



საგაზეთო  
საქართველო

ISSN 0132-1307

4  
1989

# ს ა ჯ ტ რ ე ტ ა ს ე ლ ტ ვ ნ ე ბ ა

4 • 1989

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
უძველესი ქართული

მთავარი რედაქტორი  
ნოდარ გურაბაიანიძე

სარედაქციო კოლეგია:  
ზურაბ აბაშიძე,  
(კასუხისმგებელი მდივანი),  
აკაკი ბაჭრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ნოდარ ბაბუნიძე,  
ლილი გვარამია,  
ვასილ კვიციანი,  
ნოდარ მგალობლიშვილი,  
ზურაბ ნიშარაძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რევაზ ჩხეიძე,  
ანტონ ვულუკიძე,  
ნიკო ზავთაძე,  
ნოდარ ჯანაშიანი.

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ქორეოგრაფია  
ტელევიზია

რედაქციის მისამართი: 880029 თბილისი, კ. მ. ქ. № 18  
ტელ. 95-10-24, 95-18-24

მხატვრული რედაქტორი პავლე შივაიანიძე

საქართველოს კა ცენტრალური  
კომიტეტის გამოცემულია.  
თბილისი, 1989



კინო

რას ვფიქრობთ ქართულ კინოზე . . . . . 3

ნათია ამირეჯიბი —  
დართა ეკრანი . . . . . 63

ნოდარ კაკაბაძე —  
ნეტარ არიან მომწეშენი ანუ არცოდნა არცოდნა. გაბრაშ არცოდ-  
ნა არაუმინებად მიიწვ არ გამოდგება . . . . . 70

მხატვრობა

ლევან ფრუიძე, თენგიზ ფურცხვანიძე —  
ატმინს ხეობის პრობლემატი . . . . . 2

ირინა ტუცოვა —  
გკაფიო კვალი ხელოვნებაში . . . . . 43

ნანა ყიფიანი —  
ქართული ბატიკის დაბადება . . . . . 56

აკაკი გელოვანი —  
მიხეილ ჯანაშვილის ბახსიანება . . . . . 144

თეატრი

გიორგი ჭიბლაძე —  
ბრიტოლ რობაჰიძე (მოგონება-მიმორიალი) . . . . . 22

გრიგოლ რობაქიძე —  
სათავინი ჩიმი შემოქმედებისა . . . . . 35

ნინო ჩხეიძე —  
უშანვი თეატრიდან წავიდა . . . . . 87

„ნიჭი თავისთავად გულისხმობს პროფესიონალიზმს...“ . . . . . 100

მართი დღე თბილისის თეატრებში . . . . . 105

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტი გარდა-  
თმობული სხდომა საბჭოს წევრებთან და აქტივთან ერთად (1935  
წლის 25 სექტემბერი. რუსთაველის თეატრში შექმნილი მდგომარეობის გამო) 110

რუსუდან თულიანი-ჩხეიძე —  
ბერიკატის სიუჟეტი . . . . . 110

ვაჟა ძიგუა —  
ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ . . . . . 154

მუსიკა

ლონდა ეხაძე —  
მიხეილ ბარისნიკოვი — მითი და სინამდვილე . . . . . 133

ინტერვიუ მიხეილ ბარისნიკოვთან . . . . . 138

დიმიტრი ჯანელიძე —  
„ქაბაა და დიდებაა აარტუალისა ვენისა“ . . . . . 50

კარლო სიხარულიძე —  
მთნობრავრის საკითხები ვაჟა-ფშაველას კულტურისტიკაში... . . . 126

საბჭოთა  
ხელოვნება

ვარკანის პირველ და მესამე გვერდებზე: კითხვები ზღაპრების — „პორტრეტი“, „შიშველი ქალი“.



ატენის ხეობის ხედი

# ატენის ხეობის პრობლემები

ლევან ფრუიძე, თენგიზ ფურცხვანიძე

საპარტიზმლოში არცერთი ხეობა ერთმანეთს არ ჰგავს. თითოეულს მაღლიანი ბუნებისაგან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მშვენიერება აქვს მინიჭებული, რასაც უფრო აღრმავებს და ალამაზებს ჩვენი წინაპრების შემოქმედების ნაყოფი — ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლები. როგორი ზუსტი ინტუიციითაა შერჩეული ადგილი ამ ძეგლებისთვის, რომლებიც ისე ერწყმებიან გარემოს, ადამიანის ხელთქმნილი კი არა, თვით ბუნების ნაწილი გეგონებათ!

ასეა ატენის ხეობაშიც. ტანსრული სიონისათვის მაინც რამხელა სივრცეა გამონახული ამ ვიწროებში! ანდა მთას რა დიდებულ გვირგვინად ადგას თავს წამომართული ციხე! ვერის ციხე და ვერის ტაძარი ხომ მათ ტოლს


არ უდებს. თვით სოფელთა განლაგებაც ხალხური ხუროთმოძღვრული დაგეგმარების ბრწყინვალე ნიმუშია. ახალმოდურმა ვეებერთელა სახლებმა კი უხეშად დაარღვიეს უზადო ჰარმონია. ნურავინ იფიქრებს, საკუთარი სახლის აშენება მხოლოდ მისი საქმე იყოს. ამ მტკივნეულ თემის ცალკე, საგანგებო გაშუქება სჭირდება, ამჯერად ჩვენ ატენის ხეობის ძეგლების თანამედროვე მდგომარეობაზე გვინდა ვიმსჯელოთ.

ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ტანა გამოდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, ღრისხევამდე დის აღმოსავლით, მერე დის ჩრდილოეთ, ერთვის მტკვარს სამხრილამ“<sup>1</sup>.

სოფელ ხიდისთავთან გვინახავს ამ მდინარის შესართავი: ტანას ანკარა ჩქერები

მღერი მტკვარში მაშინვე უჩინარდება. ვინ წარმოიდგენს, მისი პატარა ხეობა თუ ამხელა სილამაზეს და სიმდიდრეს ფლობს. სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, დედამიწის ამ მცირე მონაკვეთზე იმდენი ძეგლია თავმოყრილი, ნებისმიერ ვრცელ სახელმწიფოს შეუძრდება. მარტო სოფელ ბონევეში შვიდი ეკლესია დაეთვალეთ. ეს მიწის ზედაპირზე რაც ჩანს, ხოლო თუ ვინმე ქანს გახსნის და მის წიაღში ჩაიხედავს, ვინ იცის რა სასწაულს იხილავს. ატენის ხეობა ხომ შიდა ქართლს მესხეთ-ჯავახეთთან აკავშირებდა, აქ ოდესღაც ცხოვრება დულდა და ეს კლდოვანი ნიადაგი, დაჭებირებულ-დატერასებულო, მრავალ მოსახლეს ასაზრდოებდა. უეჭველია, ეკლესიათა სიმრავლე მრევლის სიმრავლით იყო გამოწვეული. ტანას თითოეულ შენაკადს — თვით უმნიშვნელო ღელეს, ნაკადულს თავისი საკუთარი ხეობა და მთელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამყარო მოეპოვება. ყოველ ნაბიჯზე ნამუსრევ ძეგლთა ლაღადისი ისმის. შეუძლებელია აულეღვებლად მოიარო აქაურობა. მაინც რამდენი უშენებიათ, რამდენი უკეთებიათ, ჩვენ სრულფასოვანი სიის შედგენაც კი გაგვიკრავბია. მეტ-ნაკლებად აღრიცხულია მხოლოდ საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი, ხოლო ეთნოგრაფიული ძეგლები ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ისინი საუკუნოვანი მოთმინე-

ბით ელიან მშველელს და მოკირანახულებს გამოვლენილ ძეგლთა სია გაცილებით გაიზრდებოდა, თუკი ტანას აუზში ძეგლების შესწავლა სათანადო არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული დაზვერვით წარიმართებოდა, რაც უთუოდ, მომავლის საქმეა. მიწის ქვეშ მოქცეულ ძეგლებს მშობლიური ნიადაგი საიმედოდ ინახავს და უმკრობესია „არა ხელ ვყოთ“, რამდენადაც ჭერჯერობით მიწის ზედაპირზე არსებული თვით პირველხარისხოვანი ტაძარ-მონასტრებისათვის და ციხე-დარბაზებისთვისაც ვერ მოგვივლია. „არწივთა სანავარდოთა“ თვალის გასწორება უკვე უჭირთ ატენის, ვერის და წედისის ციხესიმაგრეთა მცოვან ქონგურებს. ღვარცოფი ნთქავს ვერის დიდებულ ტაძარს. ატენის სიონსაც აკლია შესაფერისი ზრუნვა, თუმცა ამ ხეობაში ის ყველაზე მეტად პატივდებულია. წეროსხევის გუმბათოვანი ეკლესია ან ბოშურის მარიამწმინდა ვილას აწსოვს სრულიად დავიწყებულია ეთნოგრაფიული ძეგლები, მხოლოდ ატენის ხეობაში კი არა, საერთოდ რესპუბლიკის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულად დადგენილია ეთნოგრაფიული ძეგლის ცნება — წარსულში ხალხი, რასაც თავისი ხელით აკეთებდა და იყენებდა, დღეისათვის ეთნოგრაფიულ ძეგლადაა ქცეული, ასეთი რიგის მემკვიდრეობის გეგმაზომიერი აღრიცხვა-პასპორტიზა-



ატენის საონი



სოფ. დიდი ატენი. საცივი მარანი  
ვაზის ფუნა  
საფლავი ყეენის მარანთან

ცია ჭერჭერობით არც დაწყებულია. საკვირ-  
ველია, რას ველოდებით, როცა არცერთი ის-  
ტორიული ღირებულების ნაგებობა აღარ  
დაგვრჩება, ალბათ მხოლოდ მაშინ გვეწვევა  
სინანული, მაგრამ გვიანდა იქნება თითზე  
კბენანი.


ეთნოგრაფიულ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის  
ტრადიციული, ხალხური მარნები, რომლე-  
ბიც ჭერჭერობით ასე უხვად აქვთ მარჯვენა-

დალოცვილ ატენელებს — სახელგანთქმული  
ატენური ღვინის დასაყენებლად. დადგინდა  
რომ ძველ ჩვეულებას არ ღალატობენ და  
მაცოცხლებელ შუშხუნა ატენურს სტუმარს  
გულიანად სთავაზობენ. გარდატენში მცხოვ-  
რები ჭიჭიკო ლოცულაშვილის მარანი თავი-  
სი ღირსებითა და მნიშვნელობით ატენის სი-  
ონს თითქმის არ ჩამოუვარდება და ჭერ კი-  
დევ რამდენია ასეთი პირველხარისხოვანი ძე-  
გლი, რომელიც მეცნიერული კვლევის მილ-  
მაა დარჩენილი. სწორედ ამიტომ, ისინი ხელ-  
ალებით ნადგურდებიან და, ბუნებრივია, სი-  
ნანულსაც ვერ იმსახურებენ, რადგან მათი არ-  
სებობაც არაფერ იცის. თუმცა, რომელიც გა-  
მოვლინებულია, მიინცდამინც არც ის სარ-  
გებლობს შედევით.

1975 წელს, როცა დიდატენში ისტორიული  
„საცივისა და ყეენის მარნები“ მოვიანახლებეთ,  
იმდენად მოუვლელი და გააპარტახებულინი  
იყვნენ, იძულებული გავხდით პრესაში გან-  
გაში აგვეტება, მაგრამ ამოდ დავფერთ.  
მდგომარეობა არა თუ გამოსწორდა, გაუარეს-  
და. ზედ ყეენის მარნის შესასვლელში, პირდა-  
პირ კართან მიცვალებული დაუსაფლავებიათ,  
რითაც ძეგლს საერთოდ დაეკარგა სახე. ხო-  
ლო წმინდათაწმინდად შესანახავი საცივის  
მარანი კვლავ სანაგვედაა გადაქცეული.  
„არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი  
დიდი, და ციხის გორის სამჭკით არის საცი-  
ვი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო  
წარჩინებული“ — ამოდ ღალადებს ვახუშტი  
ბაგრატიონი. ამ უღირესად ტევად და მოკლე  
განმარტებაში ქართველი ხალხის კულტურუ-  
ლი ღვაწლის ერთი მკაფიო თავისებურებაა  
გადმოცემული. თვით ვახუშტის აღიარებით  
ატენური ღვინო საქართველოში ყველაზე სა-  
უკეთესო ყოფილა: „არს ესე ხეობა ვენახო-  
ვანი, ხილიანი“ — მიუთითებს მკვლევარი.  
ხოლო საცივიანოს აღწერისას საგანგებოდ,  
დაბეჭილებით აღნიშნავს: „ღვინო აქაური  
უმჯობესი ყოველსა ქართლსა და უმეტეს  
ატენური ყოველთა საქართველოს ღვინო-  
თა“.

რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის.  
ამ ვიწრო, კლდოვან ხეობაში დასაბამიდან ვა-  
ზი და ქართველი კაცი ერთმანეთს შეეზარ-  
დნენ. ატენელი ძეგლთა მშენებლები უბად-  
ლო მევენახეები იყვნენ. მათ მიერ გამოყვა-  
ნილი ვაზის ჯიშები — ცოცხალი ძეგლები,  
ქვას სულს უდგამდნენ, ყომრალ ტინებს ხას-  
ხასა სიმწვანით მოსავდნენ. ყოველი მტკავე-

ლი მიწა საუკეთესო მოსავალს, იძლეოდა, ციკაბოს ბაქნები და ეტები აგვირისტებდნენ. ტანას მაცოცხლებელი ჩქერები უკვდავების წყაროდ მთიდან მთაზე გადააყავდათ, ასე საზრობოდნენ ბუდეშურისა და ჩინურის ფესვები, ხოლო მცხუნვარე მზე ყურძენს აშაქრებდა. ბუდეშური ვარდისფერდებოდა, ჩინური კი ჩაქარვდებოდა. დამკრახული მტევნები საქორწინო ქალწულებს ემსგავსებოდნენ. რთველი და მარნობა თავბრუდამხვევ სურნელს აყენებდა, ტკბილს ვენახებში გამართულ ქვიტიკრის საწნახლეებიდან შინ მარნებში ეზიდებოდნენ და ქვევრებში აღუდებდნენ. დუღილის დროს ღვინო რომ არ გადამწვარიყო, წყაროს ცივი წყლით, ზამთრობით კი ყინულით აგრილებდნენ. ვინც საცივი მარნის ახლოს ესახლა, ქვევრები იქ ჰქონდათ ჩადგმული და ღვინოს ბევრი ხელი აღარ სჭირდებოდა. მიწის სიღრმეიდან მომდინარე სიცივით სასამელი სიტკბოს და სიფუცხუნეს ინარჩუნებდა. ამრიგად, ბუნებრივად ცქრიალა ატენური ზღაპრულ სასმელს ჩამოჰგავდა. გვიან, ფრანგების მიერ ხელოვნურად გაკეთებული შამპანური მას ვერ შეედრებოდა. შუშხუნა ღვინოების ხალხური ხელოვნება ატენის ხეობამ დღემდე შემოინახა. საგანგებო კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ ატენურის ტიპის ღვინო ძველ საქართველოში სხვაგანაც მზადდებოდა. ამ ტრადიციის ხსოვნა ჭერ კიდევ ცოცხლობს გარეკახეთში — მანავსა და მის მიდამოებში. იქ ახლაც უჩვენებენ მარნებს, სადაც ზაფხულობით ქვევრებს ირგვლივ მუდმივად წყაროს



ვერის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადი

ცივი წყალი უვლიდა, რის შედეგადაც ღვინო გემოტკბილი და შუშხუნა დგებოდა. გარდატენში ჰიპოკო ლოცულაშვილის მარანში ქვევრებს ირგვლივ წყაროს წყლისათვის საგანგებო ღრმულები აქვს დატოვებული. არქეოლოგები ორმაგედლიან ჭურებს რომ პოულობენ, საფიქრებელია, ისინი შუშხუნა—ატენური ტიპის ღვინის დასაყენებლად იყო გან-



ვერის ტაძარი. საკურთხეველი



წერის ხევის ლევისმშობლის ეკლესია

კუთვნილი. აი, ასეთი მემკვიდრეობის პატრო-  
ნია ატენის ხეობა — ძეგლთა საუფლო.

ხანდაზმულებს კარგად ახსოვთ — დიდ და  
პატარა ატენში ლვინის საწყაფი თუნგი ხეთ-  
ლიტრიანი იყო, ხოლო კოკა 60 ლიტრიანი,  
პატარა ატენს ქვემოთ — საწყაფ თუნგში რვა  
ლიტრი ლვინო ჩადიოდა, ხოლო კოკაში 80  
ლიტრი. სამოციტრიანი ერთი კოკა სუფთა  
ატენური ოთხმოციტრიანი კოკის ფასად  
იყიდებოდა. „აბანოს ხევის“, „დეგეულას“  
და „საცივის ხეების“ ლვინო მართლაც ზღა-  
პრულ სასმელს წარმოადგენდა, მეტადრე სა-  
ცივ მარანში დაყენებული. ნუთუ შეიძლება  
დღეს მამა-პაპათა ამ მონაპოვარზე ხელი ავი-  
ლოთ?! რისთვის იავარყავით საცივი მარა-  
ნი?! რატომ არ ვაქცევთ მას ისეთივე საამა-  
ყო საჩვენებლად, როგორც ატენის სიონია?!  
ვინ იტყვის უარს საცივის მარანში ხალხური  
წესით დაყენებული ატენური იგემოს, თუ-  
გინდ ერთი ჭიქა, ისევე როგორც უნგრეთში  
ჩასული ყოველი ტურისტი ოცნებობს ტოკაის  
ლვინო შესვას და ფასს არც კითხულობს, მთა-  
ვარია ლვინო გასინჯოს. აი რა შეუძლია რეკ-

ლამას. ჩვენ ხალხურ ატენურს აღარც ფასი  
აქვს და აღარც სახელი, მისი ღირსება დავი-  
წყების უფსკრულში იძირება. ატენური ლვი-  
ნის ქარხნის მესვეურები ხალხური მეღვინე-  
ობის ბედით საერთოდ არ ინტერესდებიან.  
ატენის ხეობის ვენახებიდან ბუდეშურიც ისე  
ამოვარდა, სინანული რა არი, ისიც არავის გა-  
მოუხატავს. მართლაც დამახასიათებელი ქარ-  
თული უდარდებოდა. ატენელ მევენახეებს  
კი გული სტკივთ, ისინი წინაპართა ნაამაგა-  
რის დაკარგვას ვერ შერიგებიან. ოლონდ ნე-  
ბართვა მისცენ, ოლონდ ვინმემ უხელმძღვა-  
ნელოს და საცივის მარანს კვლავ განაახლე-  
ბენ, ყველა სტუმარს მასპინძლად დაზღვე-  
ბიან, თუმცა ატენის ხეობამ თანამედროვე  
დონეზე სტუმრების მიღება რომ შესძლოს.  
უამრავი რამ არის მოსაგვარებელი. უპირვე-  
ლეს ყოვლისა, ჭერ ძეგლებს სჭირდება მოე-  
ლა-პატრონობა, განსაკუთრებით ვერის ტა-  
ძარს, რომელიც დაღუპვის პირასაა მისული.

ატენის ხეობის მარჯვენა მხარეს გაშენე-  
ბულ სოფელ გარდატენთან, მდინარე ტანას  
ერთვის მისი პატარა შენაკადი — ვერე. სოფ-

ლიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ვერის ხეობის სიღრმეში, დიდი ველების მთის ძირას, ხშირი ტყით დაფარულ ფერდობზე, გაშენებულია ქართული ხუროთმოძღვრების მეტად საიტერესო ძეგლი — ვერის სამონასტრო ანსამბლი. ჩვენი მემკვიდრე ვახუშტი ბაგრატიონი ხეობას და მონასტერს ასე აღწერს: „კვალად ატენის-წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერის — ხევი. აქა არს ციხე მალას კლდესა ზედა და ხეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი. ვერის დაბის დასავლით არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილნაშენა ყოვლად წმიდისა. ამის ზეით ატენი, მცირე ქალაქი“<sup>3</sup>

ამჟერად შემორჩენილია სამონასტრო ნაგებობათა, გალავნის, გვიანდელი ხანის სამრეკლოსა და სხვა შენობების ნანგრევები. ანსამბლის ცენტრში მუშვიდე საუკუნის სამნავიანი ქრისტიანული ბაზილიკაა აღმართული, რომლის შუა ნაგი გვერდის ნაგებისაგან გამოყოფილია თალიანი სვეტების ორი წყვილით. ქვეითკირით ნაგები ეკლესიის ფასადები მოპირკეთებულია თლილი ქვით. შესასვლელი კარი სამივე მხრიდან ჰქონია, მაგრამ დღეს, ეკლესიაში მხოლოდ ჩრდილოეთიდან

შეიძლება შესვლა. საკურთხეველში აქაიკ შეიმჩნევა ძველი მხატვრობის ნაშთი.

ვერის ბაზილიკას სამი წარწერა ამშვენებდა. წარწერები პირველად მარი ბროსემ 1851 წ. გამოაქვეყნა, ხოლო მოგვიანებით, 1913 წ. — ექვთიმე თაყაიშვილმა. ვერის წარწერებში მოხსენებულია ციხისთავი გორგონელი. მისი განკარგულებით XI საუკუნის 60-იან წლებში ვერე აღადგინეს და ჩუქურთმებით შეამკეს.<sup>4</sup> ციხისთავი გორგანელი ატენის სიონის წარწერაშიც იხსენიება, ქალაქ ატენის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ვერის ეკლესიის ზომებია — 11,5×16 მ<sup>2</sup>, ამ ბაზილიკაში ნათლად მქლავდება ქართველი ხუროთმოძღვრის მისწრაფება, მიუახლოვოს ბაზილიკური ეკლესია გუმბათოვანი ტაძრის გეგმას.<sup>5</sup> ამიტომ ვერის ინტერიერში ისეა დადგმული ოთხი რვაწახნაგა სვეტი, რომ მათ შორის კვადრატი წარმოიქმნება. გუმბათოვანი არქიტექტურით ნაკარნახევია, აგრეთვე, ვერის აღმოსავლეთის ფასადის ღრმა ნიშებით მორთვა.

მეტად ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ვერის ბაზილიკის გვერდითი ნაგების გადახურვის სისტემა. გვერდითი თაღები შუა ნავის პარალელურად კი არ არის განლაგებუ-

ხევის ლეონსმშობლის ეკლესია





ძობნევი. კოშკების ეკლესია

ლი, რაგორც სხვა სამნავიან ბაზილიკაში, არამედ მთავარი ნავის ღერძის მართობულად. აკად. გ. ჩუბინაშვილი თვლიდა, რომ გვერდითი ნავეების ასეთი განლაგება შემთხვევითი არ არის. იგი აშკარად ნაკარნახევია გუმბათოვანი ტაძრის არქიტექტურის გავლენით, რაც ვერის ეკლესიას საეტაბო, გარდამავალ ხასიათს ანიჭებს. ამიტომ ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული ეროვნული არქიტექტურისათვის ფასდაუდებელია.

გ. ჩუბინაშვილმა ვერე პირველად 1915 წელს ინახულა, ხოლო შემდეგ 1922 და 1925 წლებში მეკლესიარი გულისტკივილით წერდა: „სამი წარწერიდან, გამოცემული ბროსეს და თაყაიშვილის მიერ, 1915 წელს ერთი კიდევ თავის ადგილას იყო, ხოლო 1922 წელს მართო მისი ნახევარი დარჩენილიყო. ამრიგად, ძეგლები იღუპება ჩვენს თვალწინ. საერთოდ ვერემ შვიდ წელიწადში მრავალი ნაწილი დაკარგა თავისი დეკორატიული მორთულობისა: იგი გადააქციეს მზა, კარგად გათლილი ქვების მოპოვების წყაროდ. ამ ძეგლს კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის...“<sup>47</sup>, „... მომდევნო 25 წელიწადში იგი უფრო მეტად დაზიანდა, — მისი ნგრევა მიმდინარეობს „ვიგანტური ნაბიჯებით“ — აღნიშნავს გ. ჩუბინაშვილი.

ამასთან ერთად, ბაზილიკას დიდ ზიანს აყენებდა და აყენებს მდინარე ვერის მცირე შენაკადი — დანახვისის მთიდან გამომდინარე — „მონასტრის ხევი“, რომლის ნაპირზეცაა ეკლესია აგებული, წყალდიდობის დროს, აბობოქრებულ ლელს პირდაპირ ეკლესიის ინტერიერში შეჭმონდა მთებიდან ჩამოტანილი ქვა-ღორღი. მართალია, ორი ათეული წლის წინ, ამ ლელის ნაპირზე ღვარცოფსაწინააღმდეგო ჯებირი ( იქნა აგებული,

მაგრამ ჩამონადენი წყლებისგან ის სამონასტრო კომპლექსს ნაკლებად იცავს. ეკლესიის წლები, ვერის ამ შესანიშნავი ანსამბლის გადარჩენისთვის კი ქმედითი ზომები არ განხორციელებულა. ქართული ხუროთმოძღვრების ეს უიშვიათესი ძეგლი უკიდურესად სავალალო მდგომარეობაშია. ეკლესიის ნავი მთლიანად ჩამოშლილია და ნანგრევებად ქცეული, იქვე, ინტერიერში ყრია და ზედ ხეებია ამოსული. უსახურავოდ დარჩენილი ტაძრის ძველი მხატვრობა, ჩამორცხვის გამო, ძლივსა ჩანს. ნაგებობის ირგვლივ, ფასადებიდან ჩამოცვენილი, მრავალი ქვა მიმოფანტული, ხოლო მთელი ძეგლი, სვეტების თავებამდე, ქვა-ღორღითაა ამოვსებული.

დრო აღარ ითმენს, ძეგლი დაღუპვას რომ გადაურჩეს, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს სათანადო გაწმენდითი და სარესტავრაციო სამუშაოები, რათა ჩვენს ერს შევეუნარჩუნოთ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფრიად მნიშვნელოვანი და ორიგინალური ძეგლი — ვერის სამონასტრო ანსამბლი.

ატენის სიონის ზემოთ, კლდეებით შევიწროებული მდინარე ტანის ხეობას მარცხნიდან წეროს ხევი ერთვის. წინათ იქ სოფელი ყოფილა გაშენებული, რომელიც ვახუშტისაც აქვს ნახსენები. ამჟამად ნასოფლარის მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთებია შემორჩენილი. ირგვლივ შესანიშნავი ბუნებაა. საარაკო სილამაზის კლდეები ქოჩორა ტყითაა დაფარული. ხევში პატარა მდინარე ჩამოდის, რომელზედაც რამდენიმე წყალსატყვია გამართული. აქვე პატარა წისქვილია შემორჩენილი. ხევის სიღრმეში შორიდანვე მოჩანს მაღალ კლდეზე აგებული ღვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლესია. მას ორი შესასვლელი აქვს: დასავლეთისა და ჩრდილოეთის. ინტერიერში სამხრეთ კედელზე შემორჩენილია ნუსხა-ხუცური წარწერა:

„წეროსა ღვთისმშობელო, ადიდე ორსავე შინა ცხოვრებასა მადიდებელი სახელისა შენისა როსტევან“<sup>48</sup>.

სამწუხაროდ, ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა მეტად სავალალოა. გუმბათქვეშა საყრდენი სვეტის მორღვევამ გუმბათის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოშალა. ჩამოქცეულია აგრეთვე სახურავისი ნაწილი, რომელიც ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეს ფარავდა. ნახევრად ჩამონგრეულია ეკლესიის დასავლეთის და ჩრდილოეთის კედ-

ლები. გუმბათის, სახურავის და კედლების ნანგრევები, იქვე, ეკლესიის შიგნით და გარეთ ყრია. გუმბათის მეორე საყრდენი სვეტის მდგომარეობა საგანგაშოა — მთელ სიგრძეზე დიდი ბზარი მიუყვება. ეკლესიის პერანგი თითქმის მთლიანად შემოძარცულია, არადა, მთელი ნაგებობა სუფთად გათლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. არც კანკელს დასდგომია კარგი დღე — იგი მთლიანად დაშლილა. ნაგებობის გადარჩენილი კედელ-გუმბათი იმდენად მორყეული და დასუსტებულია, ეკლესიაში შესვლაც კი საშიშია.

დგას მაღალ კლდოვან ბაქანზე ნახევრად დანგრეული, უღვთოდ პერანგშემოძარცული წეროს ხევის ღვთისმშობლის ეკლესია, დგას, და რა ხანია შევლას ითხოვს; ეშველება კი „...ვინ იცის?!“

სოფელ ბოზნევის განაპირას მდებარე, ტანის მარცხენა ნაპირის ფერდობზე წამომართულია ე. წ. კოშკების ეკლესია. ამ დარბაზულ ტაძარს ორი წარწერა ამშვენებს: ერთი, სამხრეთის შესასვლელის კარის თავზე ქვაშია ამოკვეთილი, ხოლო მეორე ფრესკულია. წარწერებით ირკვევა, რომ კოშკების ეკლესია 1683 წელს აუშენებია და მოუხატავინებია იმ დროს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, გიორგი სააკაძის შთამომავალს, „დიდმოურავიანის“ ავტორს — პოეტ იოსებ თბილელს. ეკლესიის ინტერიერი მთლიანად დაფარულია მეტად საინტერესო ფრესკებით. აქვე, სამხრეთის კედელზე, შესასვლელის გვერდით შემორჩენილია თვით იოსებ თბილელის პორტრეტიც, რომელიც ამჟამად იმდენად დაზიანებულია, რომ ძლივსლა მოჩანს. ეს კი, „დამსახურებაა“ იმ ვაიმნახველებისა, რომლებმაც თავიანთი სახელების „უკვდავსაყოფად“ პოეტის სახე უმოწყალოდ დაამახინჯეს. ზოგიერთმა თანამედროვე ბარბაროსმა მტაცადი ფრესკებით დაფარულ ძველი ეკლესიის კედლებზე საკუთარი სახელისა და გვარის ამოკაწვრა როდი იკმარა, მისამართიც დატოვა — აბა ვნახოთ რას დამაკლებთო! ეს კი პირდაპირ შედეგია იმ უყურადღებობისა, რომელსაც იჩენენ ამ ერთი შეხედვით პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ეკლესიის მიმართ. ატენის ხეობის ძეგლებს შორის მას ერთ-ერთი საბატო ადგილი უჭირავს და, ბუნებრივია, მეტ ზრუნვას საჭიროებს.

მდინარე ტანის სათავეებთან, ზღვის დონიდან 1250 მეტრ სიმაღლეზე, ერთი მეორის გვერდი-გვერდ გაშენებულია ორი სოფელი: ქვემო და ზემო ბოშური, სადაც რამდენიმე ისტორიული ძეგლია შემორჩენილი. მათ შორის გამოირჩევა ბოშურის ღვთისმშობლის საკმაოდ ხანდაზმული ეკლესია. მეცხრე-მეათე საუკუნეებით დათარიღებული ეს ძეგლი ხშირი ტყით დაფარულ ხევის ფერდობზეა გაშენებული. ნაძვის ხეები თვით ტაძრის სახურავზეც კი ამოსულა და კედლებში ღრმად გამჭდარი ფესვებით მთელს ნაგებობას სრული დანგრევით ემუქრებიან.

ეკლესიის ძველი მხატვრობა ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ეს მხატვრობა მეორემეტე-მეცამეტე საუკუნეებს მიეკუთვნება. ამასთანავე დაკავშირებით, ვაკვირვებას და განსაკუთრებულ სინანულს იწვევს ვიღაც უცნობის „თაოსნობა“, რომელმაც მრავალ ჰირვარამს გადატანილ, გაფერმკრთალებულ ფრესკებს, თავისებურად „რესტავრაცია“ ჩაუტარა, მუქი საღებავით კონტურები შემოავლო. პარადოქსია, მაგრამ თვითონ „რესტავრატორი“ თურმე დარწმუნებულია, რომ მან

სოფ. ბოშურის კვირაცხოვლის ეკლესია





სოფ. ბოშური, წმ. მარიაშის ეკლესია.  
„რესტავრირებული“ ფრესკები

საშვილიშვილო საქმე გააკეთა და ძველი ქართული ფრესკები დალუპვას გადაარჩინა. თვითნებობის ფრიად დამახასიათებელი მაგალითია.

როდესაც მეორედ ბოშურის ღვთისმშობელი მოვინახულეთ, ეკლესიის სახურავზე ამოსული ხეები უკვე გამხმარი დაგვხვდა. ეტყობა ძველი მთლად მიტოვებული არ არის და იქნებ კიდევ უფრო აღარ დაზიანდეს...

სამწუხაროდ, სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია. პროფესორი სერგი მაკალათია წიგნში — „ატენის ხეობა“, რომელიც 1957 წელს გამოიცა, იქაური სიძველეების მძიმე მდგომარეობაზე საკმაოდ დაწვრილებით წერდა, მაგრამ ამოდ, განსვენებული მეცნიერის დღაღისი ყურად არავინ იღო. ახლა ატენის სიონამდე საკმაოდ კარგი გზა მიდის. ნახელავს გერმანელი მრეწველის ზეზემანისა, რომელიც ტანას ხეობის ძვირფასმერქნიან ხე-ტყეს ჰრიდა, დაკვირვებული თვალი მოშიშვლებულ თხემებსა და კბოდეებზე გარკვევით შენიშნავს, სოფლები ერთმანეთს ებმის, სახლებმაღალი და ვალავანფართო ეზოები ვაზის ტალავრებშია ჩაფლული, მონინახულზე იქაურობას და თითქოს ყველაფერი რიგზეა. ატენის

სიონი არცთუ ცუდად გამოიყურება, მაგრამ, როდესაც სოფლის უბნებს გადახედავ, ნათელი გახდება, რომ მიგრაციის მსახვრალი ხელი მთელ ხეობას აჩანაგებს, მეტადრე ტანის ზემო წელსა და განაპირა დასახლებებში, რომლებიც თანამედროვე კომუნუიკაციების მიღმა დარჩენილან. როცა მთის სალოცავებს დღეობებიც აცოცხლებს, მაშინ კვლავ ერთ-არსებად იქცევიან ძეგლები და ადამიანები, ოღონდ მორწმუნეთა მხურვალე ლოცვას და ალალ ცრემლს დარდიმანდობა და ძეგლებზე საკუთარი „მეს“ უკვდავყოფის ცდუნება ენაცვლება. ოციანი წლების აგონიას გადარჩენილი ეროვნული ფასეულობანი ისევ დაჩაგრული და პატივყარლია. შეიძლება პირდაპირ ითქვას, მთელს ხეობაში, ატენის სიონის გარდა, არცერთი ისტორიული ნაგებობა არ არის დატული.

ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ ატენის დიდებული ხეობა ნაკრძალ ზონად გამოცხადდეს, ჩატარდეს ძეგლების საფუძვლიანი რესტავრაცია, მოწესრიგდეს ტურიზმის თანამედროვე ინდუსტრიის მოთხოვნათა გათვალისწინებით. სიცოცხლემ უნდა დაისადგუროს მაღალმთიანეთის მღუშმარე სოფლებში, თვალის საზრდოს ატენური ღვინის გემოც



უნდა შეემატოს და ვინ არ ისურვებს მოინახულოს მკვდრეთით აღმდგარი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული რელიეფით უმდიდრესი ეს ხეობა. თუკი ყოველივეს თანამედროვეობის სული შთაბერება, ამ საშვილიშვილო საქმეში დახარჯული ყოველი მანეთი ბარაქად დაგვიბრუნდება, ოღონდ გამძლოლი და თავის დამდგმელი გამოჩნდეს...

1987 წლის 3 სექტემბერს, გაზეთ „კომუნისტში“ (№ 203) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, პროფესორ ირაკლი ციციშვილის მეტად საგულისხმო წერილი გამოქვეყნდა — „მივალწიოთ ურთიერთსარგებლობას“, სადაც დასმულია საკითხი, მოწინავე ქვეყნების მაგალითისამებრ, ჩვენთანაც განხორციელ-

დეს ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ურთიერთსარგებლობაზე აგებული შეთანხმება. საქართველოს უამრავი ძეგლიდან თურმე მხოლოდ ოცია ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მეტ-ნაკლებად შეიძლება საჩვენებლად გამოდგეს. აქვე დავძენთ, რომ თუ საერთაშორისო ტურიზმის მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, ამისათვის მზად არცერთი ადგილობრივი ძეგლი არ აღმოჩნდება. მრავალთაგან ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად გვესახება შესაბამისი უწყებათა შორის საჭირო კოორდინაციის ურთიერთობა და, რაც მთავარია, მეცნიერული კვლევა-ძიების შეუფასებლობა. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, პირდაპირ ვიტყვი, საქართველოს საერთოდ არ გააჩნია მეცნიერული მხარეთმცოდნეობა და ასეთ ვითარებაში ძნელია ტურიზმის შემეცნებით საფუძველზე ლაპარაკი კი, დრო კი აღარ ითმენს. გაზეთი „თბილისი“ სამართლიან-



კვირაცხოვლის ეკლესია



ნად წერს: „არის ქვეყნები, სადაც ტურიზმი შემოსავლის ერთ-ერთი თუ არა, ძირითადი წყარო მაინცაა. ტურისტულ ინდუსტრიაში მარჯვედ დაბანდებული ფული, ბუნების, ისტორიული ძეგლების გონივრული გამოყენება, უქვევლსა და უპარესად ფასეულ დივიდენდებს იძლევა. ხალხთა ურთიერთგაცნობის მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოს ამ მხრივ, თუ დღევანდელი სასიხარულო შედეგები არა, კარგი პერსპექტივა მაინც აქვს. რეალურად როგორ გვაქვს საქმე?“ ამის შესახებ გაზეთის კორესპონდენტი ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ანზორ ბურჯანაძეს ესაუბრა. აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა საკმაოდ არასახარბიელოა. „რაც შეეხება ისტორიულ ძეგლსა და ცეცას, საბჭოს ერთი მილიონი მანეთი აქვს გამოყოფილი მათი რესტავრაციისა და მისასვლელი გზების კეთილმოწყობისათვის“ („თბილისი“, 1988, 20 დეკემბერი, გვ. 3), მაგრამ კონკრეტულად რა გაკეთდა, ფართო მკითხველისათვის უცნობია. არც ძეგლთა დაცვის მესვეურებთან საქმიან კონტაქტებზეა ლაპარაკი. ერთი სიტყვით, მდგომარეობა ფრიად ბუნდოვანია და რაიმე ხელშესახები პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. რა თქმა უნდა, გარდაქმნის ამ ვითარებაში ასე გაგრძელება შეუძლებელია. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოში ძეგლთა დაცვა და ტურიზმი მეცნიერულ საფეხურზე უნდა განვითარდეს. ამისათვის მეცნიერებაც უნდა იყოს მზად და შესაბამისი უწყებებიც, მითუმეტეს, ღღეს კოორპირებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესანიშნავი პირობებია შექმნილი.

საკმაო ძალისხმევია საქირო შეიარესებულ-ლიკური ტურიზმის განვითარებისათვის. ცოდვა გატეხილი სჯობს და უნდა ვაღიაროთ, ქართველები საკუთარ ქვეყანას ნაკლებად იცნობენ. ბევრს შეხვდებით ისეთს, რომელსაც სვანეთსა თუ ხევისურეთზე, რაჭასა და თუშეთზე წარმოდგენაც არა აქვს. აღარას ვამბობ ატენის ხეობასა და სხვა მსგავს სანახაობაზე, რაც ჩვენს სამშობლოს ასე უხვად აქვს მომადლებული. ამგვარად, თანამედროვე ტურიზმი, უპირველეს ყოვლისა, თითოეულ ჩვენთაგანს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს სჭირდება, რათა ისინი ჭეშმარიტად ქართველ პატრიოტებად აღიზარდონ და ამ ქვეყნიდან ისე არ წავიდნენ, რომ საქართველოს თითოეული კუთხის სიმშვენიერე და

სიმდიდრე არ იხილონ. თუ ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებას შევძლებთ, მაშინ ფართო მასშტაბით საერთაშორისო ასპარეზზე გასვლაც ადვილად მოხერხდება და უკიდურეს ჩამორჩენას თავს დავადწევთ. საჭიროა ატენის ხეობით დავიწყეთ. იქ საკმაოდაა მიტოვებული ნაგებობები, რომელთა სასტუმროებად ქვევა დიდ დანახარჯს არ მოითხოვს. ძეგლების კეთილმოწყობაც არცთუ ისე ძნელია. თითქმის ყველა მათგანთან გზა მიდის. ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა ეთნოგრაფიულ სურნელს ჯერჯერობით მოკლებული არ არის. შეიძლება ხალხური წესით დაყენებულ, ბუნებრივი ატენური ღვინის ერთ ჭიქას შესაფერისი ფასი დაედოს. ამით შევინახებთაც წვახალისებთ და საქართველოს ვაზის კულტურის გვირგვინს — ატენის ხეობასაც შთამომავლობას შემოვუნახავთ, როგორც ჩვენი წინაპრების სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეთა შედეგს. ღირს ყოველივე ამაზე დაფიქრება და, რაც მოთავარია, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. ჩვენი ღრმა რწმენით, ერთობლივად უნდა გაისარჯოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ძეგლთა დაცვის ყველა სამსახური, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს სსრ აგრომრეწვი და გორის რაიონის ხელმძღვანელობა.

დასანანია ისიც, რომ ატენის ხეობაში დავგემილი, სოფელ ბიისის თერმულ წყალზე ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა ვერ განხორციელდა. თითქოს ყველაფერი მზად იყო, მაგრამ, როგორც პრესაში ამას წინათ იუწყებოდნენ, გორის რაიონის აგრომრეწვმა საქმეს თავი ვერ გაართვა და მშენებლობა არც დაწყებულა.

გვწამს და გვჯერა, საზოგადო ზრუნვით მიზანი მიღწეული იქნება, ატენის ხეობა ტურისტთა საყვარელ ადგილად გადაიქცევა.

**შენიშვნები:**

1. ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 57.
2. იქვე, გვ. 59.
3. იქვე, გვ. 57.
4. გ. ჩუბინაშვილი, ქართველი ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 202.
5. Н. Чубинашвили, Церковни. Изд. «Мец-нереба», Тб., 1976, стр. 44.
6. გ. ჩუბინაშვილი, იქვე.
7. იქვე.
8. ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 26.

# რას ვფიქრობთ ქართულ კინოზე

შველასათვის ცნობილია ის წარმატებები, რასაც ქართულმა კინომ საერთაშორისო მასშტაბით მიაღწია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მთლიანი პროდუქციის დონე არც თუ ისე შთამბეჭდავია. ამაზე განსაკუთრებით გვმართებს დაფიქრება დღეს, როდესაც ჩვენი კინემატოგრაფი თვითანაზღაურებაზე გადადის. თანამედროვე ქართული კინოს თვალშისაცემი ხარვეზების მიზეზთა დასადგენად საჭიროა კინოწარმოების მთელი პროცესის გაანალიზება, აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის ცოდნა. სწორედ ამ მიზნით ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა ქართული კინოს მოღვაწეებს, კინოდრამატურგებს, რეჟისორებს, ოპერატორებს, მხატვრებს, მსახიობებს, ხმის ოპერატორებს და სხვა კინოპროფესიების წარმომადგენლებს. ქართული კინოს პრობლემებზე მსჯელობა გადაწყვიტეთ დაგვეწყო საუბრით თემებსა და ჟანრებზე, დრამატურგიაზე, ფილმის ენობრივ ქსოვილზე, ეკრანიზაციაზე — ერთი სიტყვით, იმ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია კინოდრამატურგის პროფესიასთან.

ჩვენი საორიენტაციო კითხვები ასეთია:

1. გაკმაყოფილებთ თუ არა ქართული კინოს დონე, როგორც ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილისა?

2. რა ტენდენციები შეინიშნება ქართულ კინოში თემებისა და ჟანრების შერჩევის თვალსაზრისით და რომელი მიგაჩნიათ საინტერესოდ?

3. რაში ხედავთ კინოდრამატურგის სპეციფიკას და ვის აქვს უფლება იყოს კინოდრამატურგი?

4. აქვს თუ არა დრამატურგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ფილმის მხატვრულ ხარისხში და რა მოეთხოვება სცენარს?


5. ენობრივი ქსოვილი თამაშობს თუ არა წამყვან როლს ფილმის გარემოს, გმირთა ხასიათების გადმოცემაში და რამდენად სწორად მეტყველებენ ქართულ კინოში?

6. რა აზრისა ხართ ეკრანიზაციაზე, თვლით თუ არა დამაკმაყოფილებლად ქართული ლიტერატურის ეკრანიზაციას რამდენიმე დღეს და ხარისხის თვალსაზრისით?

7. როგორ აისახება ქართული ეროვნული ხასიათი და ქართული ბუნება ეკრანზე. თხრობის რომელი ფორმა მიგაჩნიათ ქართული ბუნებისათვის ახლობლად?

8. რა მიგაჩნიათ საერთაშორისო კინოფესტივალებზე ქართული კინოფილმების გამარჯვების მთავარ მიზეზად?

პირველები ჩვენს კითხვებს გამოეხმაურნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „დებოუტის“ მთავარი რედაქტორი კინოდრამატურგი ანზორ ჯულელი და ამავე სტუდიის II შემოქმედებითი გაერთიანების მთავარი რედაქტორი, კინოდრამატურგი ამირან ჭიჭინაძე.



**ანსორ ჯუღელი:**

1. „კაცის გული ისეთიას“ პრინციპით თუ მივუღებთ, არ უნდა გვაკამაყფილებდეს. უფრო სწორად, მიღწეულს არ უნდა ვეჭრდებოდეთ და უკეთესს უნდა ვესწრაფოდეთ, თორემ — ხომ დავიღუპეთ! ისე კი, ქართული კინემატოგრაფი ამჟამად ქართული კულტურის ყველაზე ბოპულარული დარგია, ფლავრტის ერთგან უთქვამს: ნებისმიერი ერი, რაგინდ ჩამორჩენილიც იყოს, რაიმეში, თუნდაც ერთ მოძრაობაში, მაინც გამოავლენს სიდიადესო. განსაკუთრებული ჩამორჩენილობა ჩვენ ალბათ ვერ უნდა დაგვწამონ, ხოლო ქართული ლიტერატურა, ხალხური მუსიკა, ქორეოგრაფია და არქიტექტურა ჩვენს ეროვნულ სიკეთეებს და უნარს ისე ძალუმაღ წამოწევენ წინ, რომ ჩვენს საძრახის თვისებებს, საკმარისზე მეტი რომ გავგაჩნია, თითქმის ფარავენ. მაგრამ კინოში ქართველი კაცი მაინც განსაკუთრებით ეფექტურად გამოიხეურდა. თუ ლიტერატურა და ტრადიციული ხელოვნება ჩვენი კოლექტიური ცნობიერების სიღრმისეულ და იმანენტურ ასპექტებს ეხებოდა, კინო ჩვენი გარეგნული ელვარება წარმოაჩინა, ჩვენი რამდენადმე უტრირებელი არტისტიზმი. რომ არ თქვან, ქართულ კინოს ზერელო-

ბას და ზედაპირულობას ვწამებდე, დავუმატებ — ქართველ რეჟისორს, ეროვნული კულტურით ორჯანულად ნასაზრდოებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად გადააქვს ფილმში ჩვენი ხალხის სულიერი მიღწევების შედეგები. ეს აძლევს ფილმს განუმეორებელ „ქართულ“ იერს და, ამით, გამოარჩევს მას მსოფლიო კინემატოგრაფიის საერთო ფონზე, დავუმატოთ ამას კინოს თანდაყოლილი ინტერნაციონალური ბუნება და უფრო გასაგები გახდება, რატომ გაიცნო ქართველი ერი მსოფლიომ უპირატესად კინოს მეშვეობით, რად იქცა კინო ჩვენს სავიზიტო ბარათად უცხოეთში.

ქართული კინოს ერთ ნაკლზე მაინც მივინდა შეგჩერდე. ეს ნაკლი მნიშვნელოვნად მიმაჩნია. აშკარა, აღიარებული მიღწევების პარალელურად საკმაოდ დაბალია ე. წ. საშუალო დონე. სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ქართული კინო ძლიერია ე. წ. ნებისმიერ პროგრამაში, მაგრამ საველდებულ პროგრამაში, „სკოლაში“ მოიკოკლებს. ამ ვარემობას, ჩემი აზრით, ერის ხასიათის თავისებურებანი, მისი ყოფა-ცხოვრების სპეციფიკა, ცივილიზებურობის დონე განსაზღვრავს.

2. ქართულ კინოში მუდამ ძვირად გვხვდებოდა აქტუალური, საკირბოროტო, განსაკუთრებით კი ე. წ. საწარმოო თემატიკა. თითო-ორილა ნაკლებად წარმატებულ ცდას თუ არ ჩავთვლით, ქართველი კინემატოგრაფისტები მუდამ გაუბოდდნენ დაკვეთილ, თავისმოხვეულ თემებს. ამას, თავის დროზე, გვიკვირებდნენ კიდეც (გავიხსენოთ ბოგომოლოვის სტატია ჟურნალ „ისკუსსტვო კინოში“), ერთგვარი გამართლება ჰქონდა ამ საყვედურსაც. მაგრამ ჩვენ გავუბოდით არა სინამდვილეს, არამედ ცხოვრებისეულ სიმართლედ გამოცხადებული იდეოლოგიური მოდელის გადმოცემას, თანაც უკვე დაკანონებული შტამპებით. ეს იყო სიყვალის, ან რაც მასზე უარესია, „სანახევრო სიმართლის“ თავიდან აცილება. ვერ ვიტყვი, რომ ამას ყველა ბოლომდე გააზრებული თეორიული და ეთიკური დასკვნების საფუძველზე სჩადიოდა, მაგრამ შინაგანად, შემოქმედებითი ალლოთი ქართველ რეჟისორთა უმეტესობა მუდამ გრძნობდა და თავს არიდებდა ამას.

სრული უნაყოფობისაგან თავის დასაღწევად რჩებოდა სინამდვილის ასახვის ნართული ფორმა, გადატანითი, ალევგორიული ხერხებით გამოხატვა იმისა, რაც პირდაპირ არ ითქმოდა. ამან გამოიწვია, როგორც თვლიან, იგავური ფილმების მომრავლება. ცხადია, ამ ქანრის ყველა ფილმი ერთნაირი დონისა და ღირსებისა ვერ იქნებოდა. არც თუ იშვიათად, ქანრის თავისებურებათა უცოდინარობის თუ სხვა მიზეზების გამო, ირღვეოდა ამ ხასიათის ნაწარმოებისათვის აუცილებელი კანონები, ზოგჯერ, ცენზურის შიშით, სათქმელი ისე საგულდაგულოდ ინდებოდა და იმალებოდა, მაყურებელს უჭირდა მისი ამოცნობა. რა დასასაღია და, ზოგჯერ, აშკარა შარლატანობაც იკავებდა გზას ეკრანზე. და მაინც, ქართულ ფილმთან შეხვედრისას მაყურებელი თითქმის ყოველთვის გრძნობდა რაღაცას განსხვავებულს, რომელიც მისი პიროვნების მხოლოდ ელემენტარულ გრძნობებსა და მოთხოვნილებებს კი არ ეხებოდა, არამედ უღვივებდა ბუნდოვან ფილოსოფიურ რემინისცენციებს, იდუმალის, ამაღლებულისაგან უხნიობდა მას. ქართული კინოს ზოგჯერ არაზუსტი, მკაფიობას მოკლებული სიმბოლოები ამოხსნის ნაირ-ნაირ საშუალებას და უფლებას უტოვებდა მაყურებელს და თანამონაწილეობის ილუზიას უქმნიდა.

მაყურებელმა, უფრო უცხოელ მაყურებელს ვგულისხმობ, არ იცოდა, რომ გადმოცემის ეს ფორმა, ერთგვარად, გაკირვების შედეგი იყო. ქართული კინოს ოსტატები ათწლეულებით სათანადო ინსტანციებთან ბრძოლის სირთულემ და შეურთიგებლობამ ისე მიაჩვია ქარაგმებით ლაპარაკს, სათქმელის ღრმად და ორიგინალურად შენიღბვას, რომ თვით ეს ხერხი ესთეტიკური ზემოქმედების ძირითად, ზოგჯერ თვითმიზნურ წყაროდ იქცა. ხშირად მაყურებელი სიამოვნებას სათქმელის ამოცნობაში პოულობდა. იქნებოდა რაღაც შეთქმულთა კავშირის მსგავსი ნაწარმოების ავტორსა და მაყურებელს შორის. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ მას, რაც ეკრანზე ჩანს, აქვს ლატენტური და, ამდენად, ძირითადი მნიშვნელობა და რომ მის ამოხსნას კვალიფიციური ადამიანი სჭირდება.

ესეც ესალბუნებოდა მაყურებლის თავმოყვარეობას.

ჩემი აზრით, ახლაც, როცა სიმართლის პირდაპირ თქმის უფლება, როგორც ჩანს, გვეძლევა, ქართულმა კინომ უნდა შეინარჩუნოს წლების განმავლობაში გამოტანული ფორმა. მით უმეტეს, რომ, ვაგრცელებული შეხედულებით, ხელოვნება სიმბოლურით თქმაა, როცა იწერება ერთი, იგულისხმება მეორე, ხოლო სულში აღიჭვრება მესამე — მთავარი. ესეც არ იყოს, ვინ იცის, კვლავ როდის და რა სიტუაციაში დაგვჭირდება იგი.

3. კინოდრამატურგიას აშკარა სპეციფიკა რომ არ გააჩნდეს, იგი ბელეტრისტიკის ერთი სახეობა იქნებოდა. მაგრამ ეს, ძალიანაც რომ გვიინდოდეს კინოდრამატურგიაში მომუშავე ხალხს, ასე არ არის. ყველაზე მარტივი, ტრივიალური გამართლება ასეთია: ლიტერატურული ნაწარმოები შემოქმედებითი გარჯის საბოლოო შედეგია, კინოსცენარი კი შუალედური. იგი ერთგვარი, თუნდაც ძალიან დეტალური, მაგრამ მაინც გეგმაა, რომლის მიხედვით შემოქმედებითი და საწარმოო დარგის მუშაკთა მთელმა კოლექტივმა უნდა შექმნას მომხმარებელთან მისატანი პროდუქცია — ფილმი. მე, ჩემი რედაქტორული მუშაობის დროს, ბევრჯერ წამიკითხავს შესანიშნავი ბელეტრისტების მიერ დაწერილი სცენარები, რომლებშიც წმინდა ლიტერატურული მარგალიტებიც იყო მიმოზანული და გული დამწყვეტია, რომ ისინი ან შეუმჩნეველი დარჩებოდნენ, ან სულაც ზედმეტი იქნებოდნენ. ერთმა დიდმა რეჟისორმა ერთი დიდი მწერლის სცენარის მიხედვით გადაიღო ფილმი. სცენარი, ჩემი აზრით, ლიტერატურული შედეგია იყო. რაოდენ ვაკვირვებულები დავრჩი, როცა ფილმის დამთავრების შემდეგ რეჟისორი რამდენადმე ცინიკურად ყვებოდა, ყველაზე მეტად სცენარის სულელურ ორნამენტალიკასთან ბრძოლამ გამაწყვალა. ფილმი სცენარზე უკეთესი გამოვიდა (განსაკუთრებით სოციალური ზემოქმედების უნარი და რეზონანსით); მაგრამ მასში აღარაფერი იყო იქიდან, რითაც სცენარი ასე ხიბლავდა მკითხველს. ერთი ასეთი მაგალითიც იყო ჩემს რედაქტორულ მუშაობაში. ახალგაზრდა რე-

ესორმა, დებიუტანტმა, რამდენიმე გვერ-  
დზე დაწერილი სცენარი მოიტანა ორნაწი-  
ლიანი ფილმისათვის. მუნჯის ენა დედამ  
იცისო და მე, თავის ქებად ნუ ჩამომართ-  
მევთ, მიეჩვიე გაუწაფავი, ბუნდოვანი სტი-  
ლით (თუ წერის უცოდინარობას სტილი  
შეიძლება ეწოდოს) შესრულებულ სცენარე-  
ბში ჩანათვიკრის და, საერთოდ, პოზიტიუ-  
რის ძებნას. ამ შემთხვევაში, ჩემდა გასახა-  
რად, აღმოვაჩინე ძალიან არასტანდარტული,  
საინტერესო ჩანათვიკრი, ჩაწერის სისუსტის  
გამო მისი უარყოფა უსინდისობა იქნებოდა,  
არც თანავებობა ჩანდა აუცილებელი, თუ-  
მცა ასეთი რამ ჩვენ (გაერთიანება „დებიუ-  
ტზე“ მოგახსენებთ) პრაქტიკაში გვაქვს. მა-  
შინ მე, იმისათვის, რომ რამდენიმე ჰირვე-  
ულ მკითხველს რაიმე შარი არ მოედო ჩვე-  
ნთვის, თანაც ჩემი ლიტერატურული თავმო-  
ყვარება არ შელახულიყო, თავიდან ბო-  
ლომდე გასაგები, მარტივი ქართულით გადა-  
ვწერე ეს სცენარი. ეს წმინდა რედაქტო-  
რული მუშაობა იყო და იგი არც არავისთვის  
დამიყვედრებია. რაც მთავარია, ავტორი არ  
გამნაწყენებია და მის შემოქმედების სამ-  
ყაროში შექრა არ დაუბრალებია ჩემთვის.  
ამ მაგალითებით მიხდოდა უფრო თვალსა-  
ჩინო გაუმეხადა თუ რა განსხვავებაა მხატვ-  
რულ ნაწარმოებსა და კინოსცენარს შორის,  
რა სპეციფიკა გააჩნია რედაქტორის მუშა-  
ობას, ვთქვათ, ლიტერატურულ ჟურნალში  
ან გამომცემლობაში და კინოსტუდიაში.

4. ჟურნალ „ოგონიოკის“ გასული წლის  
ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაიბეჭდა საუბარო  
ცნობილ რუს რეჟისორთან ანდრეი მიხალ-  
კოვ-კონჩალოვსკისთან, რომელიც რამდენი-  
მე წელია უცხოეთის სტუდიებში მუშაობს  
და ახლა კვლავ სამშობლოში დაუბრუნებია  
ფილმის გადაღება. კორესპონდენტი გაოცე-  
ბული ეკითხებოდა — უცხოეთის სტუდიებ-  
ში საუკეთესო მომსახურებას შეჩვეული,  
ჩვენი აპარატურით, ჩვენ ფირზე როგორღა  
მოახერხებთ სურათის გადაღებას. ჩემთვის  
მოულოდნელი და ამავე დროს გასახარებელი  
იყო პასუხი: აპარატურასა და ფირს როგორ-  
მე მოვუვლი, ოღონდ ერთი გამართული  
სცენარი დამაწერინაო. მაშ ასე, კარგი სცე-  
ნარის დაწერა ყველგან პრობლემა ყოფილა  
უცხოეთში ამ სირთულეს ზოგჯერ იმით

წყვეტენ, რომ სცენარის შესაქმნელად დრა-  
მატურგთა მთელ ჯგუფს ქმნიან ხოლმე, რო-  
მელთაგანაც ზოგს ფაბულის საინტერესოდ  
განვითარება ემარჯვება, ზოგს — სხარტი  
დილოვად და ზოგს — კიდევ რა... ასეთი  
რამ ჩვენშიც შეიძლებოდა ვაკეთებულყო,  
მაგრამ ისედაც მცირე ჰონორარი სულ მთლად  
უმნიშვნელო თანხებად დანაწილდებოდა  
და, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩიტი ბრდღვნად  
არ ელირებოდა. აქვე მინდა დავუმატო, კი-  
ნოდრამატურგთა შემოქმედებითი თანამონა-  
წილეობით მატერიალური დანტერესების სა-  
კითხი ახლა აქტუალურად დგას და იმედ-  
უნდა ვიქონიოთ, კინემატოგრაფის ახალ სის-  
ტემაზე გადასვლით ისიც ისევე გადაიჭრება,  
როგორც სხვა საკიბრობოტო საკითხები.  
სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე დავუმატებ:  
ჩვენ ექვენარევი იმედებით ველოდებით კი-  
ნოს ახალ სისტემაზე გადასვლას. ვიცი, რომ  
მაშინ მანეთი გახდება ის ობიექტური და,  
ამავე დროს, უღომბელი მარეგულირებელი  
და მაკონტროლებელი, რომელიც სელექცი-  
ის მოახდენს, ავსა და კარგს გაარჩევს და თა-  
ვის ადგილი მიუტენს. მთავარია, ამ „მანეთს“  
ხელი არ შევეშალოთ, თავისი საქმე აკეთოს,  
რადგან ჩვენ, განვითარების ამ ეტაპზე მაინც,  
საგანთა სხვა საზომი, სამწუხაროდ, არ გავ-  
გაჩნია.

5. მე ქართულ დუბლიაჟში დავიწყე მუშა-  
ობა და ამ საქმეში, დროდადრო, ახლაც  
ვმონაწილეობ. ფილმების დუბლირება, საე-  
რთოდ მთარგმნელობისა არ იყოს, ორი ენის  
გაჯიბრებასაც შეიცავს. ამ დარგში საქმიან-  
ობამ მე გაცილებით უკეთ გამაცნო ჩვენი  
ენა, დამანახვა მისი უნიკალური თვისებე-  
ბი. ზოგიერთი ბოლომდე დაუზუსტებელი  
დასკვნაც მიტრიალებს თავში. ჯერ ერთი,  
ამაღლევებელი და მიმზიდველია იმის დანა-  
ხვა, რომ თითქმის ყველა ენა დაახლოებით  
ერთნაირი ხერხებით და საშუალებებით გა-  
დმოსცემს აზრს, იგრძნობა ადამიანები აზ-  
როვნების უნივერსალიზმი, ადამიანთა ერ-  
თობა და ე.წ. მერწმუნეთ, გულის ამაჩუყებე-  
ლიც კია მგრძნობიარე ადამიანისათვის. ამ-  
ავე დროს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობ  
ქართული ენის გასაოცარ, მე ვიტყვოდი, რე-  
ლიქტურ განსხვავებას; განსხვავებას, ძირი-  
თადად, ინდო-ევროპული ენებისაგან, რად-



განაც დუბლირება, ძირითადად, ამ ენებიდან ხდება. მკითხველმა ალბათ იცის, რომ ჩვეულებრივ თარგმანის სირთულეებს, ფიქმის დუბლირებისას ემატება სხვა შეზღუდვებიც: ფრაზა ზუსტად იმდენი მარცვლი-საგან უნდა შედგებოდეს, რამდენიც სათარ-მნელ ფრაზაშია, სასურველია, ზოგიერთი, განსაკუთრებით, ფრაზის დამწყები და დამამთავრებელი ბგერები ერთნაირი იყოს. მაგალითად, დაუშვებელია ანით დაიწყო ფრა-ზა, რომელიც ორიგინალში უნით ან ბანით იწყება და ა. შ. გარდა ამისა, ქართულად თარგმნის ფრაზას იმავე ადგილას უნდა ჰქონდეს პაუზები და ეს პაუზები სასაუბრო ქართლისათვის ბუნებრივი და გამართლებუ-ლი უნდა იყოს. და ეს მაშინ, როდესაც ჩვე-ნი სინტაქსი, წინადადებაში წვერთა თანმიმ-დევრობა დიდად განსხვავდება ინდო-ევრო-პულისაგან. მე ორიოდე სიტყვით ვთქვი ის-რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სერიოზული ენათ-მეცნიერული დაკვირვების თუ შესწავლის საგანი შეიძლება იყოს. ამ, ჩამოთვლილი, სიძნელეების დაძლევა ყოველთვის როდეს ხერ-ხდება. იგი თვით ნიჭიერ და მაღალკვალი-ფიციურ მთარგმნელებსაც არ ხელეწიფე-ბათ, ეს არის ერთი მიზეზი ქართულად დუ-ბლირებული ფილმების არაბუნებრივი ქლ-რადობისა, ქართული ენის დიდად განსხვა-ვეული ბუნება.

ამ არტანუბისაგან თავისუფალია ქართუ-ლი ორიგინალური კინო. ამდენად იგი უნდა იყოს ერთი იმ ციტადელთაგანი, სადაც თა-ვის სიწმინდეს და თვითმყოფობას დაიცა- და შეინარჩუნებს ქართული ენა. სხვა ამო-ცანებთან ერთად, ქართულ კინოს ამ დი-დი მისიის ტვირთებაც შეუძლია.

6. კინოს ტექნიკური შესაძლებლობები იმდენად დაიხვეწა, იმდენად ძალმოსილი გა-ხდა კინოს სინტაქსი, რომ მას უკვე ძალუძს შეზღუდოს თითქმის ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებს და მასი კინემატოგრაფიული ექ-ვივალენტის შექმნის კადნიერი მიზანი დაი-სახოს და გადაჭრას კიდევ. უცხოეთის კინო ბოლო ათწლეულებში ძირითადად ეკრანიზა-ციის გზით მიდის. სერიოზული მწერლების ინტელექტუალური ნაღვანს გამოყენება პარაზიტურებად ნუ მოგვეჩვენება. პირი-ქით, ბევრი ღირსეული ნაწარმოები ლიტე-

რატურული მოდის ცვალებადობის თუ მიზეზების გამო, აღარ იზიდავს მკითხველს. არა და, მასში ჩადებული ესთეტიკური თუ სოციალური შესაძლებლობები დასაკარგავად გასამეტებელი არ არის. კინოს შეუძლია ახალი სიცოცხლე შთაბეროს მას, თანამედ-როვე საზოგადოებას არ დაუტარგოს იგი. ქართულ ლიტერატურაშიც ბევრია ასე ძნე-ლად გასამეტებელი ნაწარმოები. ამ მხრივ ეკრანიზაციის თანამედროვე დონე სრულე-ბით არაღამაქმავოფილებელია. ამის ერთი. შესაძლოა მთავარი, მიზეზი ისაა, რომ სა-კავშირო სახეობა ათწლეულების მანძილზე ამრეზით უყურებდა ცალკეული ერების არ: მარტო ისტორიულ თემატიკას, არამედ მათი კლასიკის ეკრანიზაციასაც; მიიჩნევდა, რომ მრავალშილიონიანი საკავშირო მაყურებლი-სათვის იგი უინტერესო და არაფრისმთქმელი იქნებოდა. მას ავიწყებოდა საკავშირო მა-ყურებლისათვის სრულიად უცნობი ავტო-რის ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურ-ჯას“ მიხედვით გადაღებული ფილმის წარ-მატება ჩვენს ქვეყანაში და მისი ტრიუმფა-ლური წარმატება ყველაზე პრესტიჟულ სა-ერთაშორისო კინოფესტივალზე კანში.

ამ რამდენიმე წლის წინ რეჟისორ ვანტანგ ტაბლიაშვილთან ერთად რეზო კვესელავამ და მე მთელი წელი ვიმუშავეთ ლ. არდაზი-ანის ცნობილი რომანის ეკრანიზაციაზე. ჩე-მი აზრით საინტერესო და მეტად აქტუალუ-რი სცენარი გამოგვივიდა, მაგრამ ცენტრა-ლურმა ინსტანციებმა მხოლოდ სიტყვიერად შემოგვითვალეს. ტყუილად გაისარჯეთ, ეს თემა საკავშირო მაყურებელს არაფრით და-ინტერესებსო. ეს ისე, კონკრეტული მაგა-ლითისათვის.

მაგრამ ერთი რამ წინდაწინ უნდა განვსა-ზღვროთ. მხატვრული ნაწარმოები, განსაკუ-თრებით თუ იგი კლასიკურ ფონდშია შესუ-ლი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მხატვ-რულ-აზრობრივი სისტემაა. მასში დაუდევ-ვარი ჩარევა მკრეხლობაა. დაუშვებელია სათქმელის შეცვლა, ძირითადი იდეის გამ-რუდება. თუმც, კინოს სპეციფიკის გათვალ-ისწინებით, ბევრი რამის უფრო დეტალუ-რად დამუშავება მოგვიწევს, ხშირად საჭი-რო გახდება ისეთი ხერხის პოვნა, რომელიც ლიტერატურულ სათქმელს ვიზუალურსა და

მაყურებლისათვის მისაწვდომს გახდის, მოხდება მხატვრული ნაწარმოების ერთგვარი ადაპტირება. მაგალითისათვის გამოგვადგება ილია ჭავჭავაძის, ჩემი აზრით, გენიალური მოთხრობა „სარჩობელაზე“.

ყველა გვემხსობება, მოთხრობა ერთი შეხედვით რიტორიკული კითხვით მთავრდება: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?..“

იმის თქმა არ მინდა, რომ პეტრეს დანაშაული ისე ღრმად არის დაშიფრული, რომ ვერაფერ ხედება და მისი ამოხსნის მისია მე დამეკისრა. მაგრამ ცხადია, ეს იდეა მეტი-მეტად ცხადი, რომ იტყვიან, შუბლში ნახალი არ არის, მაგრამ ამ მოთხრობის ეკრანიზაციის დროს უფრო მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს, რად დაადანაშაულა ბებერი პეტრე ცხოვრებისაგან გათელილმა. ყველაფერზე გულამღვრეულმა კაცმა, რომელსაც წყდანი ერთადერთი ახლობელი ადამიანი, ძმა კატასავით დაუხრჩვეს, ილია, ჩემი აზრით, აყენებს ერთ ფუნდამენტურ და ყველა დროისათვის საჭირობოტო საკითხს: ყოვლის-მომცემ ბოროტებას, თავის მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად სკიბდება პატარ-პატარა, წერილმანი სიკეთეები, რომლებიც აქა-იქ იციმიციმებენ ცხოვრების მღვრიე დინებაში. მათი დანიშნულებაა ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანებს ორიენტაცია დაუკარგონ, გათიშონ ისინი, მოაჩვენონ მათ, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის, რომ სიკეთეც არსებობს, რომ საჭირო არ არის ბოროტებასთან ერთობლივი ბრძოლისათვის გაერთიანება. მისდაუნებურად, ასეთი არასახარბიელო, ბოროტულ როლს ასრულებს საცოდავი, თვინიერი პეტრე. ასე იქცევა მისი მცირე სიკეთე ტოტალური ბოროტების მოზაიკის აუცილებელ ნათელ კენჭად. მოთხრობის ეკრანიზაციის დროს, ამ აზრის მკაფიოდ გამოხატვა მით უფრო საშუარია, რომ ეს მდგომარეობა უნივერსალურია და ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი, რადგანაც მცირე და უღონო, პასიური სიკეთე არაფერსმაქნისია, უფრო მეტიც. მავნებელია, რადგანაც იგი, შესაძლოა, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს დიდმა და ორგანიზებულმა ბოროტებამ.

7. რიგგარეშე არ ვიქნები, თუ ვიტყვი,

რომ წლების მანძილზე დამკვიდრდა ქართველის სტერეოტიპი კინოში. ეს არის ცოტა ახირებული, არაპრაქტიკული, არაბუნებრივად უანგარო და კეთილი და, ამ თვისებების გამო, სასაცილო ადამიანი, იგი გაუთავებლად ვარდება უხერხულ, კომიკურ სიტუაციებში, ხოლო გონებრივი სიჩქარისგან, გაუნათლებლობისა და ჩამორჩენილობის გამო, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა უჭირს. ყველაფერი ეს მაყურებლის გასაცინებლად არის გაკეთებული. მაგრამ შედეგი სანახევროა. არაქართველები იციან, ქართველები — მწარედ იღიმებიან. არადა, როგორც საკავშირო პრესა და ტელევიზია გვამცნობს, კავშირში ჩვენ გვიცნობენ არა როგორც გულკეთილ იდიოტებს, არამედ როგორც ჭიბიდან გავარდნილ თაღლითებსა და სპექულანტებს, მექრთამეებს, მეჭლათანეებს, უფრო მეტიც. ლამის ჩვენ დაგვაბრალონ ქვეყნის დაქცევა და ყოველგვარი უკეთურობა, რაც ჩვენი ერის ერთ-ერთ წარმომადგენელს, დამსახურებულად თუ უსამართლოდ, ბრალდება. აჯობებს, ქართულმა კინომ შექმნას ქართველი ადამიანის რეალური სახე — თავისი სამარხისი და საქებარი თვისებებით.

8. ქართული კინოს საერთაშორისო წარმატებების მიზეზები, რამდენადაც მოვახერხე, სხვა კითხვებზე გაცემულ პასუხებში შეიძლება იპოვოს მოწადინებულმა მკითხველმა.

### ამირან ჰიზინაძე:

1. კინოკომპიუტერში რედაქტორად რომ ვმუშაობდი, ყოველწლიურად მიხდებოდა მოხსენების გაცემა ქართული კინოს დონის შესახებ. თითქოს ხელოვნება, სიტხის მსგავსად, საერთო დონის კანონს ემორჩილებოდეს. ხელოვნების თითოეულ ნაწარმოებს თავისი სიმაღლე აქვს. ქმნიან, ნეტა, ცალკეული ნაწარმოებები ერთ რაღაც დონეს? რა ვიცი, შესაძლებელია... ასევე კულტურა... საერთოდ, კულტურის და კერძოდ კინოხელოვნების „დონეს“ აყალიბებს მხოლოდ ნამდვილი ხელოვნების ცალკეული ნიმუშები, მათი საერთო „დონეა“ ხელოვნების დონე. აქ უკვე სიმაღლეა. თამაზ გამყრტიძე, ელისო ვირსალაძე, პაატა ბურჭულაძე


ლაძე, რობერტ სტურუა, ანა კალანდაძე;  
ოთარ ჭილაძე — ესაა უმაღლესი დონე. კი-  
დეც არიან სხვები: მხატვრები, კომპოზიტო-  
რები, არქიტექტორები, შესანიშნავი მსახი-  
ობები.

ქართული კინოს „დონე“ შეესაბამება ჩვე-  
ნი კულტურის „დონეს“. კულტურის, ქარ-  
თული ხელოვნების საუკეთესო წარმომად-  
გენლები, საკმაოდ აქტიურად მონაწილეო-  
ბენ კინოპროცესში. კერძოდ, საკუთრივ  
კინოში, ბევრი თუ არა, რამდენიმე მაინც,  
ნამდვილი ხელოვანია.

მაკმაყოფილებს თუ არა „დონე“? არის  
ფილმები, რომ მაკმაყოფილებს, არის —  
ცუდად ვხდები, როცა ტელევიზიით გადმოს-  
ცემენ და ვიცი, რომ ჩვენს გარდა სხვებიც  
ხედავენ.

მაინც მინდა, რომ მეტი იყოს ნამდვილ  
შემოქმედი, ქართული კულტურის შემადგე-  
ნელ ნაწილში — ქართულ კინოში. მინდა,  
რომ კიდევ უფრო მაღალი იყოს ქართული  
კინოს „დონე“, ქართული კულტურის „დო-  
ნე“.

2. შეინიშნება. ჩამოყალიბდა რამდენიმე  
კინორეჟისორის მდგრადი სახე. ადრეც მათ  
შექმენს „დონე“, ახლა, მით უმეტეს, ამ „დო-  
ნის“ ქვემოთ არ ჩამოვლენ. აქ ჩემთვის თე-  
მას, ან ქანრს, მნიშვნელობა არა აქვს. მნი-  
შვნელობა აქვს ამ კატეგორიის რეჟისორე-  
ბის ჩამოყალიბებულ სტაბილურ დონეს...  
მათი სახელები მოულოდნელ სიახლეებთან,  
მგონია, რომ აღარ დაკავშირდება, მაგრამ  
პირადად ჩემთვის, მრავალ მიზეზთა გამო,  
ისინი საინტერესონი არიან, მაგრამ... მაგ-  
რამ არა ისე, როგორც ახალგაზრდები, ახალ-  
გაზრდებიდან განსაკუთრებული თემატური  
სიახლე, ორი-სამი კაცი გარდა, არავის მო-  
უტანია. ახლა სითამამე აღარაა საჭირო. არც  
აზრობრივი სამართებლის პირზე სიარული.  
საჭიროა მხოლოდ ხალასი ნიჭი, მოქალაქე-  
ობრივი შეგნება, პროფესიული სინდისი (რა  
ცოტა რამეა, არა?! ) და ახალგაზრდების შე-  
მოქმედება. თემისა და ქანრის განურჩევლად.  
საინტერესო იქნება. მე პირადად მაინტერეს-  
ებს თემურ ბაბლუანის მომავალი ფილმი;  
ველი ალექო ცაბაძის, ტატო კოტეტიშვილ-  
ის, ლევან ზაქარეიშვილის, დათო ჯანელი-  
ძის ახალ ფილმებს. ვფიქრობ, რომ მათ უნ-



და გავვისხნან ახალი სამყარო, ახალგაზრდა  
თაობის სულიერი სამყარო. მინდა, რომ გე-  
ნახლდეს კომედიური ქანრის ფილმების შე-  
ქმნა. პირადად მე, კარგ კომედიას არაფერი  
მირჩევნია, მაგრამ სადაა? ძნელი საქმეა.  
ამისათვის საჭიროა მოუბრუნდეს ქართულ  
კინოს რესო გაბრძობა, სპეციალურად იმუ-  
შაოს კინოსათვის რესო კეიშვილმა. არ „გა-  
სერიოზულდნენ“ რეჟისორები, რომელთაც  
კომედიის ქანრი ჰქონდათ არჩეული მიუწე-  
ლომელი. აკრძალული „სერიოზული“ თე-  
მების დასამუშავებლად.

რა კარგი იქნებოდა, რომ ერთი-ორი ახა-  
ლგაზრდა რეჟისორი მხიარული ფილმების  
გადაღებაში დაოსტატდეს. ადამიანების კარგ  
გუნებაზე დაყენება, დაწრმუნებული ვარ,  
ძალზე კეთილი საქმეა.

არავენ ფიქრობს ბავშვებზე, არც საშუა-  
ლო თაობის კინომოდელზე, არც ახალგაზრ-  
და.

ტენდენციებზე თუა საუბარი, შეინიშნება  
ძლიერი ტენდენცია უცხოეთის ფირმებთან  
თანამშრომლობისა. ვისაც ავტორიტეტი და  
უნარი აქვს, ყველა უცხოელებს დაუკავში-  
რდა. ამასი არაფერია დასაძრანი, არც გასა-  
კვირი: ხალს უნდა ნორმალურ პირობებში  
მუშაობა. უნდა კარგი ფირი. თანამედროვე  
ამარატუა, ნორმალური რაოდენობის ფული  
— კინოს გადასაღებადაც და ისედაც... ეს  
ტენდენცია, ალბათ, კიდევ უფრო გაძლიერ-  
დება ახლო მომავალში, რადგან თუ რამე

გვაქვს ქართველებს საექსპორტო — ესა ნიჭიერება (კინო საქმეში ამას ემატება უფასო ნატურა და იაფფასიანი „მასოკა“).

3. კინოდრამატურგიის სპეციფიკა ისაა, რომ სცენარი კინოფილმის გადასაღებად იწერება, სხვა დანიშნულება მას არა აქვს. უფლება—იყოს კინოდრამატურგი, აქვს ყველას, ვისაც რატომღაც ამის სურვილი გაუჩნდება. კანონი ამას არ კრძალავს. სერიოზულად? ცხადია, უნდა შეეძლოს წერა მწერალთა კავშირის წევრთა დონეზე, უნდა ჰქონდეს რეჟისურის ნიჭი — სცენარს როგორ დაწეროთ თუ უკვე დადგმულ კინოს ვერ ხედავ? ამისათვის, უნდა გქონდეს ხასიათის განსაკუთრებული თვისებები, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, დავასახელებ მოთმინების უდიდეს უნარს, ხშირად საკუთარი თავმოყვარეობის ხარჯზე, სხვადასხვა ხასიათის (ძირითადად ეგოცენტრულის სიჭარბით) ადამიანებთან ურთიერთობის უნარს; უნარს აიტანო სრულიად ურთიერთგამომრიცხველი აზრი შენს ნაწერებზე, ნათქვამზე, აიტანო, რომ სხვა როგორც უნდა ისე მოიხმაროს, ისე დაამახინჯებს, ან შეცვლის შენსას, ან სრულიად გულწრფელად თავისად ჩათვლის. მხოლოდ ქეშმარიტი თავმდაბლობა თუ გააძლვინებს ადამიანს.

4. რა თქმა უნდა, დრამატურგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორია რეჟისორი, რა ნიჭის პატრონია, ვინ არის, იქიდან ჩანს, თუ რის გადაღებას აპირებს. ნამდვილ სცენარში, მე აქ, „ნამდვილში“, მხედველობაში მავს პროფესიული მხარე. უკვე დევს მომავალი ფილმის განმსაზღვრელი ყველა კომპონენტი. მდარე სცენარიდან ვერაფერს ვერ გადაიღებს ღირსეულ ფილმს. პირიქით კი მომხდარა...

სცენარში უკვე დევს ძირითადი აზრი, არის (თუ არის!) სიტუეტური ხაზი, არის ხასიათები. აქ და ყოველთვის, როცა ვახსენებ სიტყვას „სცენარი“, გულისხმობ მისს, რაც ქალღმერთს დაწერილი გადაღების წინ. გადასაღებად. არა აქვს მნიშვნელობა ვინ დაწერა ეს სცენარი — სცენარისტმა ურეჟისოროდ, რეჟისორთან ერთად, თუ მხოლოდ რეჟისორს ეკუთვნის იგი.

5. თითქოს სცენარის ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ დიალოგში უნდა ჰქონ

ნდეს და არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ერთ ჩიწერება რემარკები, ე. ი. სცენარის ენა მხოლოდ „ისმის“ და არა „ჩანს“. მაგრამ ყველა ნორმალური ადამიანი, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდეს, ცდილობს არაფერი დააკლოს, მაქსიმალურად კარგად გააქეთოს იგი. ასეა კინომწერალიც. განგებ ცუდად არავინ არ წერს. ნამდვილი, პროფესიონალი სცენარისტი პატივისცემით ექცევა თავის საქმეს და ამდენად სიტყვასაც.

კიდევ ერთი რამ, რაც ლიტერატურას ახასიათებს: კარგად, მსუყედ დაწერილი წინადადება იწვევს გაცილებით მდიდარ ემოციებს და აზრობს, ვიდრე თითქოს იგივე მოქმედების, იგივე პლასტიკის აღმნიშვნელი მშრალი ფრაზა.

და მეორე: როცა სცენარისტი განწყობილია „მხატვრულად“ წეროს, მუშაობის პროცესში, კინოსათვის თითქოსდა არასაკირო სიტყვების ძებნაში, მას თავისთავად ებადება ისეთი რამ, რაც საკირო ხდება და სრულიად მოულოდნელად, წინასწარ გახელსაზღვრელად ჩნდება ახალი სცენა, ახალი რეპლიკა და სხვა. ამიტომ წერის პროცესი სცენარისტმა არ უნდა გააილოს, მონდომებით და ხალისით უნდა აღწეროს ის, რაც „ჩანს“ და ისიც, რაც „ისმის“.

სცენარის მოეთხოვება მაქსიმალურად გააადვილოს ფილმის დადგმა, შემოქმედებითი სიამოვნება მიაყენოს ფილმის დამდგმელს, რათა იმათაც, თავის მხრივ, ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭონ მაყურებლებს.

ქართულ კინოში ხშირად არ მეტყველებენ სწორად. შეცდომები უფრო ხშირად „ჩაწყობის“ და გასმოვანების დროს ხდება. აქ რეჟისორს უსათუოდ გვერდით უნდა ეჯდეს ავტორი ან კარგი რედაქტორი.

6. ვფიქრობ, რომ ქართული ლიტერატურული კლასიკა, ძირითადად, ზერელედ და არადამკამყაფილებლადაა გადატანილი ეკრანზე. ამ მცირე ხნის წინათ ძნელი იყო მიხედილ ჯავახიშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ჩვენი პავლოვრაფიული ლიტერატურის პატრონის ეკრანიზაცია. ახლა თითქოს ყველაფრის თქმა შეიძლება და ზოგი თავიდან უნდა ვთქვათ, ზოგი პირველად.

თანამედროვე მწერლებიდან ეკრანიზაციის მდიდარ საშუალებას ვეძიებ ვეძიებ ვეძიებ

კილაძის, ოთარ ჩხეიძის, გურამ გეგეშიძის პროზა, მაგრამ ამ მწერლებმა სხვას არ უნდა მიანდონ ეს საქმე. საერთოდ, მწერლებმა მუდამ უნდა მოიცალონ და მიიღონ მონაწილეობა თავიანთი ნაწარმოების ეკრანიზაციაში.

თუ მაინც რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი გასურთ, ვიტყვი, რომ ქართული კინო ძირითადად ქართულ ნაწარმოებებს ეყრდნობა და რაოდენობის მხრივ, აქ ყველაფერი რიგზეა. ვფიქრობ, ჩვენი კლასიკოსების ზოგიერთი ნაწარმოები ხელმეორედ უნდა გადავიღოთ. ამაში არაფერი იქნება ცუდი.

7. გინდა, არ გინდა — ქართული ხასიათები და ბუნება კინოში მაინც არსებობს. თავისთავად... კინო კონკრეტული ხელოვნებაა: ეკრანზე ცოცხალი ადამიანები მოძრაობენ, საუბრობენ. ქართველები, მაინც, თავისებური ხალხი ვართ და ქართველი კამერის წინ სულ უსაქმოდ რომ დასვა, მაინც სხვებისაგან განსხვავებულ ადამიანად გამოჩნდება. ცუდია ეს თუ კარგი, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენივე მცდელობით შეიქმნა ერთგვარი ქართული კინოსახე, კინოხასიათი. ესაა, ძირითადად, კეთილი, მხიარული, რომანტიული ბუნების ადამიანი. ეტყობა ასე გესურდა, დაახლოებით ასე გვინდოდა დავენახეთ გარედან სხვებს. ცხადია, ჩვენში იმდენი ტკივილია, იმდენი ფიჭი, სევდა და ღრმა განცდა, რომ ერთი და ასი კინოფილმი იმას ვერ დაიტევს. ჩვენშია რაინდობა, ინტელექტი, შეუზღუდაობა, აზრის თავისუფლება, სამართლიანობის გრძნობა, კეთილშობილება. მაგრამ, ამავე დროს, იმდენია და ისე ხშირი უსაფუძვლო ამპარტავნობა, სიყვეყჩე, უნიათობა, ყალბი პათოსი, უკულტურობა. უნდა გამოიტანოს თუ არა პატარა ერის ხელოვნებამ სასაქარაოზე თავისი ნაკლი? — რთული საკითხია... ალბათ, მაინც საჭიროა, რადგან ჩვენი ხელოვნება უპირველესად ჩვენს ხალხს ემსახურება. აქ უნდა გაიხსენოთ ილიას, ვეჯას სიტყვები „ნამდვილ მწერალზე“. სხვებმა რაც უნდა ის იფიქრონ და ისა თქვან, გამგები ყველაფერს სწორად გაიგებს. უგუნური და ბნელი ადამიანი მაინც ასეთად დარჩება და არცა აქვს მნიშვნელობა ასეთი მკაუთრებელი

ჩვენი რას იტყვის, ან რას იფიქრებს. ასე არ არის?

თხრობის ნებისმიერი ფორმა ჩვენი ბუნებისათვის მისაღები და ახლობელია, ოღონდ კარგი ფორმა იყოს. მე პირადად მიყვარს იუმორი, ირონიული თხრობა. ეს, ვფიქრობ, მარტო მაღალი კულტურის მქონე ერის შვილი შეუძლია.

8. საერთაშორისო კინოფესტივალებზე ქართული კინო ბევრი მიზეზის გამო იმარჯვებს. ჩვენი კინო თავისებურია, ჩვენი საუკეთესო ფილმები დახვეწილია, დიდი გამოვლენებით გაკეთებული. მისი შემქმნელების პოზიცია მუდამ კეთილშობილურია, კაცთმოყვარე. ჩვენს ფილმებშია იუმორი და ერთგვარი ფარული სევდა, ერთიცა და მეორეც თანაგრძნობას იწვევს და შემქმნელების კულტურაზე მეტყველებს. ჩვენი მსახიობები გარეგნობით სასიამოვნო, ან მნიშვნელოვანი არიან, ჩვენი ბუნება წარბეჭატია, ყოფა და ტრადიციები — მდიდარი.

ისიც არის, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი სრულიად მოულოდნელია უცხოელისათვის, რომელმაც ფილმის ნახვამდე შეიძლება არაფერი იცოდა საქართველოს არსებობის შესახებ. არც გაეგო საქართველოს სახელი და უცებ — ფილმი ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთი პატარა კუთხიდან. ფილმი ცოცხალი, თავისებური, მას სულ, ან თითქმის, არ ეტყობა მძიმე წესი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში აყალიბებს ერთიან აზროვნებას, ერთიან ფილოსოფიას.

გთხოვთ, თუ ამ ჩვენს საუბარს გამოაქვეყნებთ, ისიც დაამატოთ (ამას მე ვუღწერდილად ვამბობ, რომ სრულიად არა ვარ დარწმუნებული რომელიმე ჩემი აზრის სისწორეში). თუნდაც ერთისაც... ყველაფერი ძალზე რთულია. ძნელია სწორად უპასუხო ამდენ შეკითხვას, თუნდაც ეს შეკითხვები ეხებოდეს საქმეს, რომელსაც ავერ თითქმის 30 წელია ვცდილობ ვემსახურო. კემპარტი აზრი რომ გქონდეს, ზუსტი სიტყვების მონახვას ბევრი დრო უნდა — იმაზე ბევრად მეტი. ვიდრე ჩვენა ვაქვს.

# გრიგოლ რობაქიძე

(მომონება-მემორიალი)

ვიორგი ჯიბლაძე

## სიტყვის ოსტატი და მოაზროვნე

ჯერ კიდევ სწავლისათვის ამოუცნობი და საიდუმლოებით მოცული სახით დგას თანამედროვე ქართველი მკითხველის წინაშე უცხოეთიდან სამშობლოში სულელირად ახლახან დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძე. ჩემი თაობა იცნობს მის ნაწერებს, რაც 1981 წლამდე შექმნილი, მომდევნო წლებისა კი, მწერლის გარდაცვალებამდე (1982 წ. 19 ნოემბერი), ჩვენი დროის ლეტაში იყო ჩაძირული. ისინი სამშობლოდან შორს, მხოლოდ ევროპელებმა იცოდნენ, ჩვენ არც ერთი მათგანი არ წაგვიცოხნავს, მართოდენ ახლა ვიწუებთ გაცნობას და შესწავლას.

გრიგოლ ტიტეს ძე რობაქიძე 82 წლის ასაკში ეწევა გარდაცვალება, მარტოდმარტო მყოფი, უპირისუფლოდ, დაუტრებელი, თვალმეც მისთვის არავის დაუხუვავს. მხოლოდ მეორე დღეს, 20 ნოემბერს მისი ნაწერები ბინაზე ეწევის პოლიცია და ამგვარი მიცალკეულობისათვის შვეიცარიული კანონებით გათვალისწინებული აქტები ვანუშორაკილებია, ბინა და ნაწერები დაუღუპავს, შემდეგ კი მომხდარს შესახებ ინფორმაციას ქართველთა სათვისტომოსათვის შეუტყუბინებია. მწერალი დაკრძალეს ჯერ ენევაში, შემდეგ პარიზს გადასვენეს, ლეიფლინს სასაფლაოზე, ძეგლიც დაუდგეს. მისი დაბადების წუთის თარიღი დღემდე არ იყო დადგენილი. ეს ბარევი გამოაწერა გრიგოლ რობაქიძის დისშვილმა როსტომ ლომინაშვილმა, რომელმაც დოკუმენტურად დაამტკიცა, რომ პოეტის დაბადება 1880 წლის 28 ოქტომბერს და არა 1884 წლის 1 ნოემბერს, როგორც დღემდე იყო მიღებული.

სასულიერო პირის შვილს, მამის სურვილით სამღვდლოდ გამოადგებულს, ყრმობიდანვე თან სდევდა „ფსალმუნის“ ამალღებული სიტყვები: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა წაზახვას უღმერთთასა და ჭახას ცოდვილთასა არა დადგა და საქდომელსა უშეჭლოთასა არა დაქდა“. ეს განხიდა ცხოვრების აზრად, მაგრამ არ ჩაუცვამს ანაფორა, უმისოდ განაგრძო ეკლესიური ხარისხი პოეტის მხატვრული სახეობით, მშობელი ერის განსაღიდებლად. მან ბავშვობიდანვე იგრძნო „გოეთის თვალის“ დვთაებრივი მადლი და ბოლომდე მას შერჩა. მთელი ცხოვრების მანძილზე ის არც „ფსალმუნის“ სიბრძნეთა ლაბირინთებს განუშორებია, ყოველთვის მოხიბლული იყო დავითის სასწაულებრივი სიტყვებით: „დღე დღესა აუწყებებს სიტყუასა და ღამე ღამესა მოუთხრობს შეცნებებებს“. ისიც დღე-ღამე ათენებდა სიტყუასა და მცნებების უფრომდებთან — პოეტს იყო, შეცნებებში, უპიდავანო ცოდნის შექმნისათვის იარაღის მფლობელი. და მან ბერად შეიძლო, ბერად გაეცა, სრულ-

ლიად ორიგინალური, სხვათაგან განსხვავებული და გამორჩეული. მაშინაც ყველა გრძნობდა, დიდი და პატარა, ვინც ლიტერატურასთან იყო დაკავშირებული, რომ გრიგოლ რობაქიძე ქმნიდა ახალ ქართულ მწერლობას, ფორმითაც უჩვეულოს, უმაგალითოს.

მეხუბდავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძე ქართველი სიმბოლისტების გვერდით იდგა და გამოთქმული ლექსი — „სიბრნას სიმღერა“ (ვახტანგ?! მინდა გავიფიქროს თქვენთან ერთად: „წუღა ირხევა, — ნაკეც-ნაკეც ათამაშებს წვირითა ნავებს; წეგაწოლილს ჩემს მაგარ ტანს არხებს, არწევს, აქანავებს“) უფრონაღ „ციხეფერ ყანწებში“ დაიბეჭდა 1916 წელს; მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძე აუგად არ ეთიბებოდა საერთოდ „მოედრის“, თვითონაც ხომ სრულიად ახალი პოეტური ფორმებისა და ბელეტრისტიკის ორიგინალობის დამცველი იყო (ის ამ მხრივ სათანადოდ მიუზღავდა როგორც ქართულ, ისე ევროპულ მწერლობას), ვიმეორებ, მხოლოდ აუგად ურველივე ამისა, ის მაინც სხვა იყო, სრულიად არ გავადა არაიის და ვერაიან ბუღავდა მის დამსახურებობად, რაკი ეს შეუძლებელი იყო. ის იყო გრიგოლ რობაქიძე, გამორჩეული თავისი სტილით, მწერებით, გარე სამყაროს ფილოსოფიური აღქმით, ენციკლოპედიური ცოდნით, საოცრად რომ იჭრებოდა ასე ღრმად მეტაფიზიკის ურთულეს სამყაროში. ამ მხრივაც მას ტალი იარა მუყავდა. სრულიად ორიგინალური იყო. არც შეეცება „მოდერნიზმში“ დამოკიდებულებას, ერთ-ერთ ლექსში „იბრუბაქიძე“, რომელიც გაწეო „პარიზის“ 1924 წლის პირველ ნომერშია დაბეჭდული ქვესათაურით: „მასხუდად ევროპის პოეტის შეკითხვაზე: რეალისტებს, ნატურალისტებს, სიმბოლისტებს, ფუტურისტებს, დადაისტებს და ყველა მათ ნაშეიქს“, პირდაპირ არის გამოვლენებული ძლიერება სულითა. დამოუკიდებლობა, საყოფარო შემოქმედებითი სახის შეუფალობა:

„წავების ურაცანი შეანგრევს ევროპას. სიტყუაც ხომ მაგარი: იბრუბაქიძე...“

სამშობლოდან გადახვეწილი ეს „იბრუბაქიძე“ შემდეგ ევროპამ გენოსიდა აღიარა. თავიდანვე ისე დიდი იყო, კახტებას და ორდენებში ვერ ეტეოდა. ლიტერატურულად სკოლები მისთვის უფრო მოკიდებულს წარმოადგენდა, ვიდრე შემოქმედებითს ლაბორატორიებს. ის არ არის არც პრერომატიკოსი, არც რომანტიკოსი, არც რეალისტი და არც ნეორეალისტი. სრული სახით არც სიმბოლისტი, მით უფრო არ არის აქმე-



ისტი, დადასტოვებული, კუბისტი, ფუტურისტი ან ლეფსტი. ის არც ფანტასტიკა, არც დრეკულენტალიზმი. მისი შემოქმედება მისივე მხატვრული სულის ლაპა, რომლის სიმჭურვალე ყველაფერზე ზღვს აღეზინებდა. ამიტომ დარჩა ბოლომდე, ხამარის კარამდე, მისი ერთგული როგორც პოეზიაში, ისე დრამატურგიაში და რომანტიკაში. ის დარჩა მხოლოდ ერთ დიდ პერსონაჟად — გრიგოლ რომაქიძედ. არავინ თადარიგად არა ჰყოლია, არც უცდია შემოაქვლენი გაეჩინა. ვერც გაინიღებ, ვინაიდან ისინი არ იყვნენ, რაკი არ შეეძლოთ. არავის ჰქონდა მისი ტალანტი, ცოდნა, შემართება. გრიგოლ რომაქიძე შემოქმედებაში ბოლომდე გრიგოლ რომაქიძედ დარჩა.

თუ ასე იყო მხატვრული შემოქმედებაში, იმავდროულად რა ხდებოდა აზროვნების კოორდინატებთან, სადაც შეიძლება სურათი სხვაგვარი მივიღოთ? ხომ არაა ვენოსი ბელეტრისტები, მაგრამ სუბტი თეორეტიკოსები ტრლსტობის მხვავსად? ხლენსი, პირობითი, დიდი იყო როგორც მოაზროვნე-კრიტიკოსი, მაგრამ სუბტი ვახლდათ, როგორც მხატვარი-შემოქმედი (მისი დრამატურგია მაქვს მხედველობაში). ქართულ მწერლობაზეც სრულიად ანალოგიური სურათია. არა-ის დიდი შემოქმედნი, მაგრამ შედარებით მდარე თეორეტიკოსები. ილია ჭავჭავაძე სხვაა — ორივეგან ძლიერია, როგორც პოეტი-ბელეტრისტი და როგორც მოაზროვნე-თეორეტიკოსი.

რა კვალიდევიათა შეიძლება მიეცეს გრიგოლ რომაქიძეს, როგორც მოაზროვნეს, ფილოსოფოსს?

მე უარყოფილ წიგნითის მოხაზრების, თითქმის გრიგოლ რომაქიძეს აზროვნებაში საკუთარი ზნა არ ჰქონდა, ვერაპული თეორიების კონკლუმერაციას ახდენდა, არა, ის არ არის არც პლატონიზმისა და არც არისტოტელეს პერიპატეტიკული მოძღვრების წარმომადგენელი. ანტიკურ მატერიალიზმს თვალს უსწორებს, მაგრამ ერთგულებას არ მიუღწავს. პლატონის ნეოპლატონიზმს თვალს უსწორებს, თუმცა უფრო სხვაგვარი შეტაფიოკა იზიდავს. მისთვის შეტაფიოკა შეტაფიოკაში კი არ არსებობს, მინჯის ხლრმეებში იმეგვამდგარია. ეს არ მიმართავს მინჯამდგომად ან თვითარყოფად. ამიტომ შუა საუკუნეების მისტიკურ თეორიებს კიდევაც ენდობა და არც ენდობა. ახალ ფილოსოფიას კრიტიკულად უყურებს. არც კანტიაჩი, არც ნეოსკანტიაჩი, არც ჰეგელიანგელია, არც ნეოპეგელიანელი. ნიუსებს პირით კანტის ტრანსცენდენტალს კიდევაც დასცილს. მაგრამ არც ნიუსებს ზნს მიუყვება. ნიუსებს „ზეკივი“ და მისი „ზეკივი“ ორი განსხვავებული ფენომენია: პირველი სიძულვილია, მეორე — სიყვარული. ის უეჭველად იზიარებს ნიუსებს ვეფხულ კრიტიკას. ეს კრიტიკა მისი ცნობილი იყო და შეუძლებელია, მას არ სცოდნოდა. ფრილიდ მა და მა — არც ოქით, არც აქით. სხვა ათხვავარი მოდური თეორია — პრაგმატიზმით დაწყებული და ევზისტენციალიზმით დამთავრებული, სახვებად მიანიძა, მაგრამ არა განხარებულად. მას კანტარია ფილოსოფია აქვს, შექნილი და გამომუშავებული ტრავმირებამდე მიყვანილი ზონების ათეული წლებს მანძილზე შეტაფიოკაში როგორც პერსონაჟურ ტვარსმით, ისე ცხოვრებისხელე ვლკობაზე ტვარსმით. და რაკი ასე ტანჯით შექმნა, არა თუ დათმობა, მისგან ოდნავი ვადახვავაკ აღარ შეუძლია. მი-

სი ფილოსოფია მისივე მთელი არსება და ერთი უარყოფა ავტომატიზრად მოახვავებს მეორის ზნაში. ეს იყის და კიდევ უფრო ახალღდევებს ერთსაც და მეორესაც, მიუხედავად ურავანებისა. ის ერთნიარად ძლიერია, როგორც პოეტი-რომანტიკოსი და როგორც მოაზროვნე ფილოსოფოსი.

შეხაძლია ეს ძალი თეორიული შემართებისა აზროვნების სტერეოში საფუძველი იყის მისი დამოკიდებულებისა პლიტეტიკისა და პლიტეტიკური პარტიზისადმი. გრიგოლ რომაქიძე არახლდეს არც ერთ პარტიას არ უყოფილა, თუმცა ეს „უპირატესობა“ არ ნიშნავს „უიდეოზას“; პირიქით, იდეურად პოეტი ყოველთვის მტკიცე, შეუპოვარი იყო, დათმობა თუ უყარდახვავა მას არც იცოდა. ამიტომ ჩვენ სათანადოდ უნდა მივუღლოთ მის კატეგორიულ, საზგახმულ მტკიცეებას 1947 წლის მ მისის თარიღით დიხა და სიძადაში ვამოგზავნოდ, დღეს უკვე ცნობილ წიგნში. იქ პარდაპირ არის ნათქვამი: „პლიტეტიკაში არ ვერევი და არც ვრეულდვარ არახლდეს. მე ვარ მხოლოდ მწერალი და ჩემს შემოქმედებას ვხალვარვარ არც „მარცხენი“ და არც „მარჯვნი“ — მდინარეს მესამე ნაპირს აქვს, უხილავია და უფრო გულისმეორი“. 1 ეს „მესამე ნაპირი“, პოეტიცხე სიტყუებით „უხილავი და უფრო გულისმეორი“; ვიდრე „მარცხენა“ თუ „მარჯვენა“ ნაპირი, იყო ვანახვება მხატვრული შეთავზებისა, რასაც ჩვეულებრივ პოეტიკური და ესთეტიკური ტერმინებით შემოქმედება ეწოდება. სწორედ ამ „მესამე ნაპირით“ ახალდა ლიტერატურის ისტორიაში გრიგოლ რომაქიძე, როგორც მხატვარი-პოეტი და რომანისტი, რომელთანაც რამდენიმე შეხვედრა თურმე ჩემი პრედესტინაციაც იყო.

II.

პირველი გაცნობა

გრიგოლ რომაქიძის სახელი მე უფრო ადრე ვავიკნი, ვიდრე მის რომელმე ნაწარმოებს წვაიკიხავიკნი. ჩვენი ოჯახის ერთი ნაცნობი ქალის შეხახვებ ამბოდენ, რომ ის უუყარად პოეტი გრიგოლ რომაქიძის, მაგრამ ცოლად ვერ შეირთო მატერიალური ზელმოკლეობის ვამო, რასაც მძიმედ ვანიციდობ. ის ქალი — მ. დედაჩემის ახლო მეგობარი იყო, შემდეგ ჩვენი ნათლიაც ვახდა, ვარდაცვალებამდე მის ოჯახთან ურთიერთობა გვექონდა (მის სახლშიაც ვცხოვრობდით) და ზულ შემოხდა, რომ გრიგოლ რომაქიძე ცნობილი მწერალია, გამომჩნილი პოეტი, უცხოეთში სწავლამიღებული, ქუთაისის სპირის სტუმარი. მისი პირველი ლექსი, რომელიც ჩემმა მისწავლბულმა წამაიკთხა, იყო „სიხარული და ხილტვა“. ლექსის პირველმადე სტროქონებმა ჩვენ — ლიტერატურით ვატაცებული უმწავილები მოგვხიბლა. იგი ასე იწყებოდა (როგორც ზეით მოვისხენიეთ):

„ღღა ირცხვა, —  
ნაკეც-ნაკეც ათამაშებს ზვირთითა-ნავებს:  
ზეწაწოლილს ჩემს მაგარ ტანს არხევს, არწევს,  
აქანავებს.

მე ტანს იმანს, —  
ცხახლი თითით აგზნებს, მიშლის თმის და-ლაღლებს,  
ტალღის ნელი პეშვით მკოცნის, უხვად მაყრის  
სიხხლის ლაღებს“.

არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ვრუნტელის მომგვრელმა ლექსმა „ვერის ხიდზე“, რომელშიაც ბუნებრივი სტიქია და სინამდვილის მისტიკური ხილვა ერთ ფენომენად იკვრება — „ვერის ხიდზე მძიმე ღამით თმაგაშლილი ქარი მღერის...“ ლანი დასატყვის ვერის ხიდზე, ლანი თოვლის და ნაშქერის“. ეს მისტიკური როკვა და ფანტასმაგორია ბოლომდე გრძელდება თავისი კუდიანებით, კინკებით, სისხლის ლანდებითა და მოვრალი ქარებით. იქნება მძაფრი კოლიზია, რაც მკითხველის სულსაც აფორიაქებს.

მაგრამ, განსხვავებით „ვერის ხიდისაგან“, სადაღ ბუნებრივად დაწერილი იყო ვახლი კამენის — ერთ ღირსი განთქმული რუსი პეტრისა და ავიატორისადმი მიძღვნილი, 1920 წლის სურნალ „მეოცნებე ნაშრომების“ მე-4 ნომერში დაბეჭდილი ლექსი. რომელიც მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილი ვახლი კამენსკი თბილისის სამკურნალო კომპანიაში იწვა ოლია ქვევავაძის პარსსპექტზე, მე და სიმონ ჩიკოვანმა რამდენჯერმე ვინახულეთ დავით ბურღუკის, ვლადიმირ მაიაკოვსკის, ვალდმირ ზღინიაკოვისა და ალექსანდრე კრუჩინინის ეს უფრთხულეხი, დაუდგარი მე-გობარია, სიკვდილის პირსაც ოპტიმისმით სავსე, მაგრამ ერთხელაც არ გვიკითხავს მისთვის ახლოვდა თუ არა მას გვიგულდ რომაქმის ლექსი. ამის კითხვა მაშინ არც შეიძლებოდა.

ჩემს გონებას ცოცხლად შემორჩა ლექსი „ამორბალი ლონდა“, ქვეშ მიწერილი რომ ჰქონდა — „სოციალური ნაპირებ-გადასულია“. იგი დაწერილი და დაბეჭდილია 1928 წელს. უფრო აღრიხდელი არც ერთი ნაწარმოების სახელიც კი ვაგონილი არ მქონდა. იმგვარი ლექსი მანამდე საერთოდ არ წაშეკითხა, თუმცა სიმბოლისტებისა და ფუტურისტების არაერთი ნაწარმოებზე, მათ შორის ქართული შემარცხელებისა, უკვე ვიცნობდი. „ამორბალი ლონდა“ მართლაც სრულიად თავისებური, თავიდან ბოლომდე ორიგინალური იყო თემითაც და ვაზარბითაც. სონეტში უცნაურად იყო შემოჭრილი „ფილიპეს-ში“ — ალექსანდრე მაკედონელი, რომელთანაც „რომელიან ამორბალი“ თვით ლექსი კი ძალიან შთაბეჭედავად იწვებოდა:

„ყვიინი, როკვა, ახელება, სიტყვა, თამადა, ხელიდან შეღში აზარფთში ამართული და გადმოსული“...

პოეტური სიტყვებით მთელი ფერწერული სურათია დახატული, ხოლო შემდეგ „ქერა ლონდა“ ვნებანი სურვილის დაუფარავი გამოვლენა — „მე მურსი შემირიოს ალექსანდრემ, თუგინდ ერთი დღით მიხმოს თვად მან; გემით ქალბო: მინდა გავხდე მისგან ორსული“. და შემდეგ მიდის ეროტული ორგანიის ოსტატური ლაკონური აღწერა:

„სამი დღე არის: ამორბალითან მაკედონელი — ვაწის ფოთლებში ლხინობს მტის ველარ მდომელი: და ტუტვის ლამაზს: მრავალი ხალხი დავიმონე:

მტრები ავხორცე  
მტრები ავხორცე  
მტრები ავხორცე  
მტრები ავხორცე

რაც მე პირველმან მას მოვხსენი იქროს ქამარს“.

ლექსმა თითოეულ ჩვენგანზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, არა ეროტული გრძნობის გაშეშეღებულად აღწევებით, — ეს არ იყო მთავარი, თუმცა ტორისებული კონცეფცია სწორედ ამაში მდგომარეობდა, — არამედ გამოხატვის იმ ვერბალურ-პოეტური ფორმებით, რითაც მიღწეული ხდებოდა მაქსიმალური ეფექტურობა. ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ ალექსანდრე მაკედონელი ეროტული გრძნობებით გამოარჩეული არ იყო (კოლიც — როქანაა — შედარებით გვიან შერთო), მაგრამ პოეტისათვის აქ პირველადობა საზაანმა ამორბალების დაუოკებელ ავხორცეობაზე გადახანილი, ხოლო ქვეუის მუყობილი ცნობებით ხდება ეროტის ღვთაებრივი ძლიერების მონაც და მსხვერპლიც. მე შემდეგ ვაპყვე, ძალიან გვიან, რომ რამდენად უნდა მიძღვნიდა რომანი „ფალსტრახი“, ლიტერატურულ ექსპერიმენტებს კამარისაგან შედგება, დაუშთარებელია და იქ ამორბალითა დედოფლის — ფალსტრახის სახელის მოხსენების გარდა ამ თემიდან თითქმის არაფერია. ნამაგიეროდ „ფალსტრახი“ ექვსივე კამარა ფილოსოფიური პროზის შედეგია. მისი მსგავსი ამ დარჯში მხოფელიო ლიტერატურის ერთეულები თუ გაჩნია. რომანის ქვეხათუარია — „უცხო თვლი ევროპაში“, თუმცა სცენებისაკავახიის, თბილისის, სტამბოლის, საერთოდ უცხოეთის ცხოვრებიადა.

პირდაპირ შედეგია მეოთხე კამარის ის ნაკეთი, სადაც 1919-1920 წლების თბილისისა აღწერილი, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის ელენას (შემდეგ კავალია) ბედთან დაკავშირებით. იმ პერიოდის თბილისის ნაჩვენებია მთელი თავისი „უცნაურობებით“, ადგილობრივი და ჩამოსული (ლტოვლილი) პოეტებით, მოცეკვრებით, დიდი ხელფრების ოსტატებით. მსატყვეობით, ძველი და ახალი ყუახანებით. ძვირადღირებულია კაპალისის, ნოდოტოვის, ჩერემინის, სუდეკინის, სორინის, ერეკინოვის, გაროდცეკის, რაფელვიჩის მათემატიკური ფორმულების მსგავსი დახასიათება. ეს უკიდურესი პორტრეტულობა გამოარჩევს კრუჩინინის, ტრენტეცივის, ზდანევიჩის, კამენსკის პორტრეტურებასაც. განსაკუთრებით ძვირფასია იმდროინდელი თბილისის უშთავრების მავიტრალის — დღევანდელი რუსთაველის პარსპექტის აღწერა თავისი „უტიმერანოში“. ჩვენ ვხედავთ პოეტების ქალაქად გამოცხადებული თბილისის ფონზე პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, თვით რომანის ავტორის უაღრესად კოლორიტულ სახელებს. მაშინ „გაიამოდენ — პოეზია მარტო ტფილისისა. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ნაწილში თავს დავით ტფილისის, როგორც არტურ რუმბო პარისზე. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოქმით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის. ტიციან ტაბიძე ორპირის ჭაობში, და მალერიაში ლაფორგის მთვარის სიუჟეტულს შეხვდა და ლექსებში მასავით უყფელა აქ ყუახადებულ მსაოიბებს. მას იხსც ეგონა, რომ ორპირის ყანჩი ლოტრეპონის, „მალდარკოვი“ დიწყუება დიითრამბულ მონოლოგებს. გარკვეულ რამაბიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვალედა: აპოკალიპსი და დიონისო. ამავე დროს აწვალედა იგი „ორღობის ევაფოსტ“ და „პატმონის რიტმებს“.

ეს ცნობები და აღწერები სრულიად უნიკალურია.



ბერია სხვა რამ ძვირფასიც. მაგრამ ყოველივე ამის ჩვენება არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. დანანანია, რომ „ფალესტრას“ დამთარგმნა ავტორმა ვერ მოახწრო. ექვსი კამარის მანძილზე შეიძლო ფაბულიდან მხოლოდ იმის ჩვენება, რაც კინორეჟისორ ადოლფ ვენკას, როგორც „ფალესტრას“ მომავალ დაბეჭდვას (რომელსაც მთავარი მოქმედი გმირი კლინის მსახიობი ვერ შეურჩევია), მის ახლო მეგობრებს — პელტისს, მისტერ ლეისს, კიკო პეტრესს, ვანესს, ამერიკელ მაკ კოლასს, კასკო კოვალოვის ქალიშვილს ელენას (შემდეგ კავალასს), უოლფს, ბერს სხვა პირსა და მოქმედებათა შორის ასაყებს შეეხება. ჩემთვის სახეობი ვასაგებია, თუ რატომ უწოდა ავტორმა თავის ნაწარმოებს „რომანი, როგორც ბაზათი ევროპის მწერლებს“ და პერსონაჟურად მიუღწევნა თავის ახლო მეგობარს, გერმანულ ენაზე „გველის პერანგის“ პირველ მთარგმნელს, სახელგანთქმულ ავსტრიელ მწერალს სტეფან ცვაიხს. ვასაგებია და მით უფრო გულსაწყვეტია „ფალესტრას“ დაუთმობა რებლობა. ექვი არ მეპარება, ეს გამოწვევა იყო და ოსტატობის მხრივ ახალ სიმაღლეზე ასვლა, თუმცა ჩვენთვის ცნობილია გრიგოლ რობაქიძის სიტყვა — ვარლამ ლომინაშვილის არქივში დაუძლი შემდეგი კალამბურით: „ვისაც უნდა შემეჩიბროს, მე ხელონა მაქვს ამანათი, „გველის პერანგს“ გვერდზე დავდებ, გავად მარტო „ლაშარას“. ჩვენც „გვერდზე დავდეთ“ რომანი „ფალესტრა“ და სულ მოკლედ შევეჩხით ლეგენდად ქვეულ გრიგოლ რობაქიძის „ლაშარას“.

III

მისია „ლაშარა“?

როცა მილონობით აღმანიანს, სრულიად უდნა-შეულოდ, მთ შორის ტალანტებსა და გენოსებსაც სიცოცხლის ართმევდნენ, თითქოს არაფერია ერთ მწერალს ერთი ნაწარმოები, თუნდაც საქვეყნოდ აღიარებულთ, წაართვა და სხვას გადაუღო. მაგრამ დააკვირდით — განუკითხავობის რა კლასიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ვუას გენიას სულაც არ ეხპირიგებოდა სხვისი ნაწარმოები მისთვის დაცვაკუთრებინათ, როგორც გრიგოლ რობაქიძის ცოცხალ ტალანტ არც მოჩვენებია ვუას რომელიმე შედეგის თავისად მოენათლა. მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როგორც ამბობენ, სულ ბოლომდე გრიგოლ რობაქიძე უყუარმანოდ ცნობდა და საქვეყნოდ აღიარებდა ვუა-ფშაველას, როგორც გენიოსს, მაგრამ ისიც კარგად დაამტკიცა მან, რომ „ლაშარა“ მხოლოდ და მხოლოდ მისი ნაწარმოებია, „გველის მჭამლის“ მინდია სხვაა, საერთოდ, ორ ფეროშენთან გვაქვს საქმე და მოტივს მისი საქიბიკი ვუას პირობითად, ისიც ძალიან შეწულდულად, უნდა იქნას გაგებული. ყოველივე ამის შემდეგ საკვებით ნათლდება „ლაშარას“ ავტორის ვაგება და კონკრეტულად იმის განცხადება, რომ ეს დარსა ვაგები არ არის, ვინც ამას ამტკიცებს, სიკადლებს ჩადის, თანაც ისეთს, რომლის მსგავსი „არა თუ ქართულ, მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება“.

გრიგოლ რობაქიძემ გარდაცვალებამდე შეიძი თვითადრე ენევიდან გამოგზავნილ საქმიოდ ვრცელ წე-

რილში ყოველმხრივ დაასახუთა, თუ რამდენად ორიგინალურია, მთლიანად ავტორისებულა ნაწარმოებია, როგორც ღრამატული ნაწარმოები, და იგი სხვას არავის ეუთვნის. საკითხის ბოლომდე ღრმად გაგებისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვარჩნია სიტუვა მივცეთ ჩრ ვუა-ფშაველას „გველის მჭამლის“ ხალხური თქმულებისა და მის საფუძველზე შექმნილი პოემის შესახებ, ამის შემდეგ კი თვით გრიგოლ რობაქიძეს.

ჩვენს მონოგრაფიაში — „ვუა-ფშაველა“ აღნიშნული გვაქვს:

„რა მისცა ვუას ხალხურმა თქმულებამ ბერი არაფერი, გარდა მწირი თქმულებისა, რომელსაც თვით ვუა შემდგენიარად ვაღმოგვეცემს: „მინდია ქაჭთის იყო სტყვე; დაშკვებეულთ მოუხარშეს გველი და აქამეს, რომ მოქწამლოთ (ამ გარემოებს ვუა ვანსხვავებით წარმოგვიადგენს ვარაგავასადმი პასუხში, კერძოდ, აღნიშნავს, რომ მინდია თვითონ ქმა გველის ხორცი თავის მოკვლის მიზნით, ის ზრცი, რომლითაც ქაჭები იყვებოდნენ — გ. ჯ.), მაგრამ საწამლავმა, ქაჭების მიერ შემზადებულმა, ზიანის მაგივრად მინდიას არკო: ზეგურსი შეიქნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა — ყუავილების ენა, ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ჩანაოწი დადგა: ყველა მცენარე შესახბოდა: მე ამა და ამ სნულუბის წამალი ვარ, ამგვარად სახმარისი და ისიც ამ ყუავილების აგრვებდა და ყოველგვარ სნულად არჩენდა“.

სულ ეს არის, რაც ვუამ ხალხურ შემოქმედებაში ჰპოვა მინდიას ტრაგედიაზე, და სულ ეს არის, რის გამოყენებაც მას შეეძლო „გველის მჭამლისათვის“. მაგრამ ვანა მარტო ამ მასალას ემუარება ვუას გენიალური პოემა? ვანა მინდიას ტრაგედია ვუას მხატვრულ შედეგში უდიდეს სიმაღლეზედ არ არის აყვანილი, როგორც ამას შეესპირი ახერხებდა ხოლმე ერთი შეხედვით უზარალო მასალების გამოყენებით... და ვუა საკვებით მართალია, როცა ამბობს, რომ „მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბასი, ზორცის უმეტეობა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მხედრული მთავრული ნიჭი გველისმჭამლისა, ჩიტების ენის ცოდნა, — ხალხურ თქმულებას არ ეუთვნის. ამბავი მინდიას სულის არავითარ ღრამატულს განცდას არ წარმოგვიდგენს“. ეს ღრამატული განცდა მხოლოდ ვუას პოეტური გენიის შედეგია, მისი მხატვრული ოსტატობის ნაყოფი“.

ახეთია საქმის ვითარება ვუა-ფშაველას „გველის მჭამლიან“.

ახლა სიტუვა „ლაშარას“ ავტორს გრიგოლ რობაქიძეს მივცეთ.

ჩვენ აქ არ შევდგებით ენევიდან გამოგზავნილ ოცდაშვიდგვერდულ წერილშიან დაუჩენულ ხაკითხთა დეტალურ ანალიზს, კერძოდ, იმის გარკვევას, თუ რა „პირდაპირ საარაკო გამარჯვება“ ზდა „ლაშარას“ 1928 წლის 29 იანვრიდან მოყოლებული რუსთაველის თეატრის სცენაზე, თვით ავტორს, სექტატლის ვატანას „პროვინციაში“, სახელ „ლაშარას“ გავრცელების საქართველოში (მის ქართულ ძირებს — წარმართულ ლებრტალი „ლაშარა“, სეპტური სალოცავი — „ლაშარა“), დადგმის ნაკლს (კოტე მარჯა-ნიშვილისა და სანდრო ახმეტელის გენიის მიუხედავად: ამ ნაკლს ხელი შეუწყო მათ შორის ინსპირირე-

ბულმა განხეთქილებაში), 1980 წელს სექტატკის ფე-  
ნიმალურ წარმატებას მოსკოვში „სათეატრო ოლიმ-  
პიადაზე“ (ავტორი გულმსტიკილით აღნიშნავს, რომ  
იმ დროს „დასში აღარ იყვნენ შეხანიშნავი მსახი-  
ვრებლები: თორღვაისი უშანგი ჩხეიძე, ლამარასი ვა-  
კუაძე თამარი, რაბიული — დამხანაღე შალვა...“),  
მაგრამ „ლამარამ“ ში მოთხრობითი მანკი და მიერ გარკვე-  
ფანტასტიკად“ ეს გადაჭარბება არ გეგონოთ,  
ფუტბლის მაქსიმ (ორის ნაცვლად „ლამარა“ დადგეს  
რვაჭერი თეატრის, ში ივნილის წარმოდგენაზე  
„ოვაცია ვაგნდელდა ნახვარა სააოზე მერი, ში წუ-  
თი“, რაც თეატრის დღიურშია აღნიშნული), ერთ-  
გან „შექმნილ სახესაც“ კი ვაუტოლებს, ბოლო  
მოსკოვში გამომავალმა გერმანულმა ურნალმა მიმო-  
ხილვა ოლიმპიადისი ამ სათაური გამოაქვეყნა:  
„ლამარარარარა“, რითაც შან მონოგრაფია გამოკეთა  
სურათისათვის მთელი ოლიმპიადისა (მიმოხილვაში  
ავტორი გრიგოლ რობაქიძე „კლასიკოსად“ იყო ნახ-  
ნენები...)“. შემდეგ კი მოთხრობითია „თეატრთა  
ისტორიაში უშავალითი ამბავი, სტალინი (შე ოლიმ-  
პიადის არ დავსრებივარ) მიხულიყო ბოლო ვაჭტუ-  
და ფარდის ჩამოშვების შემდეგმ სურვილი გამოეთ-  
ქვა: თავიდან ბოლომდე განემორგებინათ პიესა“. რა  
თქმა უნდა ასედაც მოხდა „დაცარიელებულ თეატრში“.  
ნიმორგე, შეუძლებელი ხდება უველიანის მოხსე-  
ნობა — თუღდაც იმავე 1980 წლის ავტორის მოხსე-  
გოლ რობაქიძის შეხვედრა მოსკოვის სერგო ორგო-  
ნიციძისთან (რომლის წყალობითაც იგი ევროპაში გა-  
ემგზავრა მომდევნო წელს. მუხუხედავად იმისა, რომ  
მწერალმა უთხრა „ვიტიმე „წყრობით“ — „რა დავიწე-  
რია კაცო“ ეს „რალაც ურა პატრიოტული, ულტრა-  
ნაციონალისტური?!“ შემდეგ კი დაუმტებია: „კი-  
კია და“).

შეუძლებელი ხდება აგრეთვე იმ ფაქტების დეტა-  
ლური აღნიშვნა, რაც გრიგოლ რობაქიძის ქვევით  
მოქუავეს პიესა-სექტატკისა და მისი ავტორის პო-  
პულარობის დამახასიათებლად (ბორის პილნიკის  
მიწვევით შეხვედრა ინვლითელ თურნალისტთან, რო-  
მელსაც უთქვამს: „რა ბედნიერი უნდა იყოს „ლამა-  
რას“ ავტორიო!“ პილნიაკს ღიმილით უპასუხნია გან-  
ცვიფრებული ინვლითელი თურნალისტისათვის: „ავ-  
ტორი თქვენ წინ დგასო“).

მოტანილია შემდეგი ფაქტები: „იმა წელს თბილისს  
ეწვიენ მოსკოვიდან უცხო მხარეთა და ხალხთა  
კორესპონდენტები, რიცხვით ორმოცამდე. მღების  
არს მუახლოვდუნენ, სამხედრო შარაზე ერთხმად ვახ-  
ძახენ თურმე მთების მიმართ „ლა-მა-რა!“. „ლა-მა-  
რა!“ „ლა-მა-რა!“.

ასეთია თვით ავტორის მიერ გადმოცემული ფაქ-  
ტები „ლამარას“ უშავალითი წარმატებისა.

ამის შემდეგ ჩვენ გვიწოდლა დამკარლებითი შევ-  
ხებოლით „ლამარასა“ და „გველის მჭამელის“ ფაბუ-  
ლა-ხიუტების პარალელურ ანალიზს, რასაც გრიგოლ  
რობაქიძე თავის წერილში იძლევა, მაგრამ ენეს შეუ-  
ძლებელი გახდა, ვინაიდან მოითხოვა საკითხის მო-  
ნოგრაფიულად (მოცულობითაც) შესწავლა და არა  
მარტოლად მიმოხილვის ჩატარება, რომლის საშუ-  
ალემა ჩვენ მამადავ არა ვაქვეს. გარდა ამისა, ავ-  
ტორის ისე ლაქონარად, ღრმად და მიეღვი თავისი  
დამაჭრებლობით აქვეს გარკვეული ეს საკითხები, რომ

გადაწვევით სიტყვა ივით გრიგოლ რობაქიძე  
დავუთმოთ. ამ მიზნით ხსენებული ვრცელ მჭრელი  
დან მოვიტანთ უველაზე ძირითად ადგილტენე: „სამა-  
შეობხველს პრბუალემა მეცეს უშუალოდ გაეცნოს  
პირველწყაროს, რაკი კონტარტიცი საკიორ აღარ  
ხდება. ლაქუნებს, რასაც ქვენ დავუშვებთ (მრავალ-  
წრტალებით) ვადაწვევით მნიშვნელომა არ ეწენება  
უმთავრესი პრბუალემა თე თ დეღარასის მიმართ. ეს  
ამონაწერები გაკეთდება წე რილის მიერვე გვერდთან,  
საიდანაც ავტორი ფაქტიურად იწყებს „ლამარასა“  
„გველის მჭამელის“ პარალელებს.

„ავტორს შეუძლია დაუიროსიბოს „ლამარა“ ვა-  
ენს „გველის მჭამელს“ შიგაჯვის (Content) მხრით.  
სად არის „გველის მჭამელი“ ბიჭუბენი ლტავის  
მეთაურობით? სად არის იქ თორღვა: მმა მინდაის  
არა დედიო? სად არის იქ თვითონ ლამარა, კისტი  
ქალწული, ტურფა, თორღვის მიერ მოტაცებული?  
ლამარა, რომლით მოხიბულა მინდაი? ლამარას  
გულმსოგებისათვის, რომლის შურტილი მათა შე-  
ლში ვადაღის? ლამარა, რომლის ირგვლივ იშლება  
დრამა და ვითარება? სად არის იქ იყო, მამა ლამა-  
რასი: დიდი იყო, რანდელ აწ რხხვაუვანილი, დარტ-  
ვა რომ უქადის ხეცხურებს შეყლის მოტაცების გა-  
მო? სად არის მურთაჷ, მმა ლამარასი, ურმა-  
ვეფხი, შურისგებისათვის აღხილილი თორღვის მი-  
მართ? სად არის ტბილი, თენიერი მოხუცი  
პილდი: მამა იჩოსი? სად არის იქ ქავთარ, ლტავის  
მამა? სად არის იქ სცენა მის ქოხში: კვანძი მთელი  
დრამისა? სად არის იქ რაბულ ვმირი, მამა მინდაის  
და თორღვის? ღრეობა, სადაც ლამარა პირველად  
იგებს, რომ მისი მემტაცებელი მინდაი კი არაა, კის-  
ტი-ხეცხურეთ ხრამ-ღვართან შეხვედრილი და  
გულში ხვედრილი, არამედ თორღვაი, იქვე ნახული,  
სახით თითქმის იგივე მინდაი გულჩვილი; მისინა გარ-  
ნა ნიშატი შემტევი და შიშოვტრული ლამარასი?  
სად არის იქ დანაღვლიანება ლამარასი? („ნაღვლიანი“:  
არს ოდენმე ცნობას იყოს და ოდენმე „უცნობა“.  
სადა ხდება ნაღვლიანი, ხედავს რა, რომ ვახდა მიწე-  
ქისტებისა და ხეცხურების სახედრეო შეხლა-შე-  
მოხლბისა). სად არის აქ დები მინდაის და თორღვა-  
ისი შიუღა და მიაა, რომელთაც მიშუკეთ ავადმყოფი  
ლამარა, სულიერ შლილი „ადგილის დედასთან“ და  
საუღებლად, დასამონებლად და სამშოდებლად?  
სად არის იქ ეს სხვაური ტანჯვა მინდაის: ეს რამ-  
დენად მეტად ეტანება ლამარას, მით უფრო ჰკარ-  
გავს მისხურ ნიეს, საერთო ენას უყვოლებთან,  
ფრინველებთან ნადირებთან? (გახნა ამ საიდუმლო-  
ების ქვემოტყ). სად არის იქ ტუედ გავარდნა და  
ბორტვა ატეხილი თორღვაისი, ლამარას გულის ვერ-  
მომადირებლის სრულად, რომელსაც მურთაჷ შე-  
რისხაგებად ხეცხურეთში შემოჭრილი ხრმალ-და-  
ხრმალ შეხმაში შემოაქედება? და ბოლოს: სად არის  
იქ გრიგოლ, ავარდნილი და თანდათან დანელებული  
მისტურ სუნთქვაში გადახულა? ვგულობსმომ, რაც  
ხდება ბოლო აქტში: იყო, დიდი იყო: რისხვით აყუა-  
ნილი, მოსტაცეს ლამარა, მოუტლეს მურთაჷ, ეშაღე-  
ბა: შემოხრის, ვანადგუროს ხეცხურეთი, ხეცხურები  
ტურობილხედ მის ვანარასებას და თვითონაც ეშაღე-  
ბიან თავდასხმისათვის, რომ შეტყობი დასწერინ  
იჩოს შემოსევას. სისხლი დიდდერება, ორ ხალხთა

შუა უფსკრული გაითხრება, საშუელი არაა. მინდია გაეშურება ქისტებისაკენ. შივა. წარდგება იჩოს წინა-შე: იჩო: „ვინ ხარ“? მინდია: „თორღვია“. იჩო: „გაეცარ მიწას“. მინდია დაეშუება. იჩო იძრბოს ხმალს, აღმარ-თავს, ესა უნდა დაქარახს, და: უფსკრად ხმალს განზე აგდებს. „რა მოხდა?“ ეს უსიტყვა კითხვა გაოცებულ თანამყოფთა. მინდია არ იბრძვის. იჩო, აცხცახებული, სულგანაბრ მინდას: „როს უნდა დამქინა ხარმინა შენდა გასაკვეთად შენ სახეშე ერთი კუთხით არ შერხეულა! ვეჯკაც უფილხასარ! წამოდგე! შვილის ნაცვლად გთვლიდე ამიერ!“ (ეს სცენა მოგონილი არაა: ასეთი რამ მომხდარა ჩრდილო კავკასიაში). მინდია წამოდგება განცვიფრებული, თანაც აწითლე-ბული.

ბილირ: „იჩო შვილო“ გხედავ მეორედ შვებულს“. კანკალებს — ვაშავეთ, იჩოვ გადის. ამ წუთს სურს მარტო დარჩეს. ეტყვის იქ მდგომი „გაართობ“ ქის-ტები ვარს ეტყვიან მინდას. დანიშ, პატარა ძმა ლა-მარახი სულ ლამარაზე ეკითხება. არ ეშვება.

უფსკრად ერთი ქინტი შემოვარდება ზახილთ: „ხევე-სტრები თავს გვესმინან, თორღვია მოუძღვით!“ გაშ-ტრება მავსკლავი. მინდია ახლა მათ თვალში თვალის ამქცევია. შეჭკარვენ თოკით, ხრიალზე მოაუბრებს იჩო. „რა ამზავია“. ამქცევინ; თავწარდაცემულია. „მართალია?“ მინდას. მინდა: „არ ვარ თორღვია, ვვა-ვარ თორღვიანი მოველ სისხლს აიღებდე, შურის გება გათავდებოდა, ლამარა ჩემს გულშიცაა. ავადა. მორ-ჩებოდა“. გაოცებული იჩო ძლივსა სუნთქავს, ახლა უფრო მეტად აფრთოვლებული. „განთავისუფლეთი“. მინდია გარძნობს სიმძაფრით აქტს თავშეწირვისა. ძალა მისწორი უბრუნდება, უმღერის ყვაკილებს, მოსკედ-ბიან ზეფსურები ხივლით: „სიკვილი იჩოს“. იჩო დებს: უმარა, უიარაღო. გაიჭებენ რა მოხდა. ახლა ეხენიც ქვადებიან მომბდურები. პაუზა მსუნთქავი. აფრინენ ზვიანს ლამარახთან. პაუზა კიდევ. შემორბ-ბის ლგავ. „ლამარა მოხსლდა მოგინს, ცხენს მაქვე-ნებს“. კიდევ პაუზა: ზვიანს შეშოქავს ლამარა, იჩო გულში იხუტებს, დანიშ მუხლებზე ეხევა. (ლამარას ყველაფერი გაუგია ზვიანისაგან). მოიხმობს რაბუულს მასთან. ნიწნას აძლევს მათ: ხელი ხელს გაუწოდონ. სასულდება. შემდეგ მოიხმობს მინდას და თორღვიანს, იგივე ნიწნი, ეხენიც ხელს ართმევენ ერთმანეთს. აღარაა განხეთქილება ორ-ტომთა შუა. შუღლი ორ ძმთა შორის გამჭარდა. ლამარა, უნებური კვანძო ტომთა შუგლისა და ძმების შუღლისა თვითონვე ხსნის ამ კვანძს. გახსნას გადააქვება თან ვითარ მხხვრადი საკრალური. ტრავედია მისტერიაში ვადა-დას, ლამარა ხელს განუტეებს. სურათი: ერთის მხრით იჩო და რაბულ, ხელხელად ვადავობილი, მეორეთი, მათ უკან, მინდია და თორღვია ეხენიც ვა-დავობილი ხელიხელ, მკლავებზე დახვებულნი სა-უშურად განხვებულნი — ლამარა მშავეთი მალდა აზიდული. გალობენ ძველებურ პიონს. ქართელთა მიწნში კიაფობს სახელი „ლამარა“...

ახლა აქ შედგები უნდა ნათელ-ვყო. მენამე აქტში ღრემაზე ხეფსურებისა ვაჟა გამონდებდა, წარმოისო-ქვამს შარას. ახიბებული იქნებოდა ვკეთვა: თითქო მით „ლამარა“ ორგანიზაციით რაიმეს ჰქარგავდეს. პირიქით: ვაჟას შეყვანით დრამაში თავისებურება უაწახეჩილისა იძვევ უფრო მატულობს: მძაფრდება:

ისტორიული პირი გამოდის „თანამედროვე“ ზეის-ტორიულია, მითითისა: მინდასი.

შემდგომ საქიროდ ვსცანი მინდას, როგორც მინდასი. თუ შენსავე თვითონ თავი (სარქ აქ სახის) — ამ შემთხვევაში, მისან არხის დგინები-ხათვის). ეს ზდება მეორე აქტში: ქვეთარის ქოსში. მინდია იხმენს ლაგავის, მის პატარა მეგობრის მიერ წარმოქმულ ნაკვებებს „გველის მჭამელდას“. ის-მენს გულდასმით და ხედავს მინდას თავის თავს, სა-ცა მოხაზულია იგი ასარკული: ხატად ქცეულს. შაი-რი დრამის თანარახა, ეხე იგი ჩემი, სრულად და-არღვევდა „თავმედროვეს“ რკალს, რომელშიც მინდია და ვაჟა ურთიერთს ემთხვევიან. მინდას უნ-და მოხმნოდა სიტყვა: სწორედ მისი „თანამედროვე-ნი“, მისი მომღერალის: ვაჟის. „ლამარა!“ ყველა-ფერი მათგანიაურად მოზომილია, ასევე მოზომილი ეხეც: სესხი? ქვეყანაზე ჭერ არავის ხმენია, რომ „ციტატა“ „სესხს“ ყოფილიყოს. მე „სესხი“ ხერ-თოდ არ მჭირდება.

ყალბი თავმდაბლობა სრულიად უცხოა ჩემთვის. ვიტყვი პირდაპირ: მე ვერ წარმომიდგენია არა თუ ვაჟას, თვით ჰომეროს. „დავესესხო“, რომლის ერთ-ერთ ნაშთად ვაჟა ჩამოვილია. არა, „ლამარა“ სრუ-ლიად თავისთავადია ნახელავია. ამ ფაქტს შეაბრებს ოდნავაც?

ვერა — ვინი ლამარაში ნ მთავარი მოქმედია: მინდია, თორღვია, ლამარა, იჩო და მურთაზი; ამთავარი მხოლოდ მინდია არის „ველის მჭამელში“ და ეხეც როგორც ხალხუ-რი თქმულებიდან ამოღებული.

ლამარას მარჯი, როგორც სექტაკლია ამ ხუთის განსახიერებით იმართება. მინდაზე უკლებ მექნება სიტყვა. ამ ხელად კი სიტყვა იმ ოთხზე უნდა ითქვას, რომელიც სრულიად ახალი სახეებია არა მარტო ქართულ დრამატურგიაში. განსხვავება მათი (ვიგოვებ პირველ წარმოდგენებს). ლამარა: თამარ კავჯავაძე; დიად შესაფერი, ოდნავ ტანსრული, ვიდრე ლამარა წარ-მოსახული. სიტყვა, გამოიქმა, მიმოხერა, იერი, ნამდვილი კლავის ქისტისა. თამარს აქ შევლოდა მისი კახური წარმოშობა.

თორღვამი: უშანგი ჩხეიძე მოვეკეთეთ ერთი სიტ-ყვით: მემზოხვედრალი, მხოლოდ მეტს გაღარჩენილი და ამით: მეზი თვითონ.

მურთაზი: აკაკი ვახაძე. რასიული დახვეწილი ჩერ-ქეზი, მსახველი ვმირისა ისეთი მოქნილობით, რომ სხვა ბიოლოგიურ წნევად იკეთება.

იჩო: აკაკი ხორავა მოვეკრა ეხეც ერთი საზო-მით: ნამდვილი მშვილი. არა მგონია იჩომ უმარაქვის მსახველი იპოვოს, ვიდრე ხორავა. არც ის მგონია ხო-რავამ უმჯობესი სახე ნახოს, ვინემ იჩო. ვაჟავე მის ოტელოს გაოცებაში მოუყვანია: თვით კახლოვი, თვით ნემროსი-დანიენური. მე მაინც გამოიქმნა აზ-რისა ვარ. ვფიქრობ: თითონ ხორავაც დამეთანხმება. (აქ ერთი შეხვევა: დარწმუნებული ვარ, რომ ხორა-ვას თამაში ოტელოში ქართული იქნებოდა უკანას-კნელ წვეთამდე და როგორც ასეთი ეროვნული, ეს კ-ს ანდერგობებს ჩემი დაუბრუნების მტკიცებას იმავ წე-რილში, თითქო ეროვნულ თეატრს მხოლოდ და მხო-ლოდ ეროვნული დრამატურგია ჰქონდეს. ვერა, რო-მელი ნივანცი იცეკვებს ქართულს ქართველით

და ვერცა რომელი პავლოვა. გადამწვეტია ჩიში, რასხა, ასეთივე მსახიობური „თამაში“. დრამატურგია ქმნის მას? რომელ დრამას შეუძლია წარმოქმნას აკაკი ვასაძის გასაოცარი მიზნის? თეატრი თავისთავადაა ხელმოწევა. ეს ვერ გაუგია ავტორს, რომელიც თურქ „ხელოვნების დამხმარებელი მოვლავნ“ უყოფილა და თანაც დრამატურგი).

რად გამოვლენი უყვლა ამას? მხოლოდ ამ კითხვისათვის: ლამაზა, თორღვა, მერთოა, იჩო — ვფა ფშაველას რომელი ნაკადებიდან გამოდიან ეს სახეები? მონახონ ეს ნაკადები! ძუნხა ამაოდ დაურჩებოთ.

**მინდია:** თამაშობდა მას გიორგი დავითაშვილი ძალიან კარგად. შეიძლება ითქვას: ამ როლში მონახა მან პირველად თავისი თავი. ეს სახე ჩემი თუ არაა, არც ვაპასიან: იგი ქართველი ხალხის ზეპირპოეტური გენიის კუთვნილებაა. მინდათ ხატში ამ გენიამ მთლიანად ასახიერა ორმაგი უნივერსალური იდეა. სიუვარული შეიქმნა შემეცნებას (მოცუპული პავლე). შემეცნება შეიქმნა სიუვარულსა (ლეონარდო დავინჩი). როგორ ვითარდება ეს იდეა „გველის მკამელში“ და როგორ „ლაშარასი“.

1. „გველის მკამელის“ მინდია ქაქეთში ცალკე ქმნილი შემთხვევით იგემებს ქაქეთის საქმელს: გველის ხოცის „ლაშარას“ მინდათ შუა დღის ხატში ხის ჩრდილში მიძინებულს, გველი უფრს უღოკავს, გველი მეგობარი ხდება მისი ამირ.

2. „გველის მკამელის“ მინდია გველის ხოცის შემოქმნილი იღებს მისნურ ნიჭს „ლაშარას“ მინდათ ეძლევა ეს ნიჭი სიუვარულით ჩიტის გულისაღმი.

3. „გველის მკამელის“ მინდია „იციის“ და „უფარას“ (მას). პოემა იხრება ლეონარდოსაკენ. „ლაშარას“ მინდათ „უფარას“ და „იციის“ (მან), დრამა იხრება პავლესაკენ.

4. ტანჯვა „გველის მკამელის“ მინდათი: ოჯახს შუა უნდა, საკიები უნდა — მინდია პადარი უნდა მოკრას, ჩიხვი უნდა მოკლას. ხედავს პირველის — ცრემლებს. ესმის კვნესა, იტანება, რა ქნას? „გული ჩავიდე ქვისა, რომ ხუთ აღარა შეგარძო რა“ — ამბობს. ე. ი. სიუვარული მოახშო გულში. ახლა აღარც ცრემლს ხედავს პადარისა და აღარც კვნესა ესმის ჩიხვისა. მაგრამ დახე. სიუვარულის მოხშობა — ერთ თადა — აქ მოგმა უახლოვდება პავლეს, მისნური ნიჭიც წყაროა, არც ხე, არც უვადილი, არც ნადირი არა-რა ეხმარება მას. მინდია კიდევ უფრო იტანება. თაურმა კერძოულისა გაიმარჯვა თაურზე მხოლოდობისა (კერძოური აქ კაპიზია).

სულ სხვა რამ იტანება „ლაშარას“ მინდია. მას უფარას უყოველი არსი და გაეგება ენა უყოველისა. ამ სიუვარულში შემოიჭრება ლამაზა, რომელიც მინდათს გულში ჩრდილავს უყოველ სხვა არსს. სიუვარული უყოველისაში გადადის თანდათან ლამაზაში სიუვარულში. თაური პირკოვნილი იმარჯვებს თანხიან თაურზე ზეპირკოვნილია. უგულვებელ უყოველნი არსნი დღითი დღე სცილდებათ მინდათს შინაგან: აღარ „ეხიბვლები“ მას. მინდია იტანება (ეს ტანჯვა უნდა განვიმეორას — გადამოშლილია რეჟისორის მიერ გამოტოვებულ აქტში).

5. ბოლო „გველის მკამელის“ მინდათი.

ხევისურები ტუბოლობენ, ქისტები თავდასხმას აკრებენ. სად უმჯობესია დაწვედრა? ეკოთხობიან. მათ კიდევ სწამთ, რომ მისანი მინდია უმცოარი მრჩეველი ასეთ შემთხვევაში. ახლაც მხედრ რჩევას მისცემს თემს. მინდია უარობს: მისნური ნიჭი წამურთავს — ეუბნება თანამძიმე. ამათ ეს არ სჭარბა — თავისას არ იზღიან. ბოლოს იძულებულია მინდია, ურჩევთ: „მომამულულ ხევაში“ დაუხვითიო. ასეც იქცევიან. ხევისურები მარცხდებიან. ამას მინდია ვე-ლარ იტანს და: თავს იკლავს.

ახლა თვალი ვაქციეთ „ლაშარას“ მინდათსაკენ. ხევისურების შეხლაში ქისტეთთან მინდია მზად არის თავი შესწიროს — რომ ამით იხსნას როგორც ხევისურეთი, ისე ქისტეთი (მევიგონათ რა მისდა). მინდათს ამ დროს უფარას არა მარტო ლამაზა, არამედ როგორც თავისი უყოველი არსი და დახე: მსხვერპლად გაშვადილს მისნური ნიჭი უბრუნდება; თაური ზემპირკოვნილია იმარჯვებს თაურზე პირკოვნილია. დრამა მისტერიული გადადის. ვხედავ ნათივს: „გველის მკამელის“ მინდია სხვა და ლამაზის კიდევ სხვა..

მრწამა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არსი, როგორც არის მინდია, თავს არ მოიკლავს, უყვით: ვერ მოიკლავს. მეორე მხრივ, მრწამა და მრწამს უღრმესად, რომ ასეთი არსი, როგორცია ხალხი, არ ცდება არც ერთ მუხლში თავისი ქმნილი ცხადებისა. რაცა „ლაშარას“ ქმნიდ, ორ კვეთილზე ვყავი. „მინდია თავს ვერ მოიკლავს“, ვამბობდი. „მინდია თავს იკლავს“, მეუბნებოდა ხალხი. ვავხედე ბოლოს და — პირველად ჩემს სიცოცხლეში შევასწორო ხალხის ნააზრევი. დიდხანს მავა ეს გულზე სიმძიმედ. დიდ ხანს, დიდ ხანს.

რამდენიმე თვის წინა წავიციეთ (პირველად) ვაჟის კრტიკული წერილით, მათ შორის „კრტიკა ვ. ი. ვართაგავასი“. ამ წერილში ვაჟი ვეითობის სხვათა შორის — თუ რაა ხალხური თქმულებიდან „გველის მკამელის“ და რაა მისი საკუთარი. რა აღმოჩნდა, თურმე მინდია თავს იკლავს არა ხალხური თქმულებით, არამედ ვაჟის პირკოვნილი მიზნით.

მომეშვა წამსვე სიმძიმე, დავინახე, რომ ხალხის „გენებს“ არ შემიღებავს... „ლაშარა“ ისეა ქართველი ხალხის გულში შესული, რომ მის გულისცემდაა ქვეული — შესული და ქვეული ავტორის სახელი. ასე რომ ჩემი სახელის ხსენება მაინცდამაინც საჭირო არაა..

არა, როგორ არ იყო საჭირო, მაგრამ „ლაშარას“ ავტორმა უველადი შეხანაწვად იცოდა, ისიც კარგად ესმოდა, რომ ოცდაათობეტლიანი ტახუს ფანტასტიკური ძლიერება ჩერ კიდევ შეურყეველი იყო. ამიტომ იძულებული მხედოდა მარტოდენ თა-ვისპირკოვნილი ენუგეშტინია სულაც და გულიც, ეთქვა:

„გავიგე: მანდ გგონიათ თურმე: თითქო პიტლერიანი უყოველიოვ. აქ ორი ფაქტი მხოლოდ.

1. ერთმა მხოლოდობი ცნობილმა ორგანიზაციამ მაცნობა (7. 8. 1956) ერთს ამბავთან დაკავშირებით, რომ ჩემს წიგნას იგი არ თვლის „ნაყისტურად“.

2. მე რომ პიტლერიანი უყოველიოვია, მაშინ არ ვიგნებოდა გესტაპოს ზეპრის ქვეშ მოცუელი 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე“. ასეთი იყო მისთვის — გრიკოდ რობაკიძისათვის

სიცოცხლის ბოლოს, ევროპა, რომელიც მან ჯერ კიდევ კაბულობის წლებში გაიცნო, როგორც კონტინენტი, როგორც სულიერი კულტურის ფენომენი, და ჩვენც გავაცნო ჯერ კიდევ აღრე, 1928 წელს, ქუთაისის საზოგადოებისათვის წაიკითხული ლექციით.

IV

### ლექცია — „ახალი ევროპა“

ეს შემდეგნაირად მოხდა: ერთ დღეს ქუთაისის ცენტრალურ ჭურჭელში გააჩნდა დიდი აფიშები. აუწყებდნენ საზოგადოებას, რომ ევროპიან ახლად-დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძე ქალაქის თეატრში წაიკითხავდა საქარო ლექციას თემაზე — „ახალი ევროპა“. უკვლად დაიწყო საუბარი და მსჯელობა, რომ ძალიან საინტერესო ამებზე იჭერბოდა ლაპარაკი, ლექტორი სახელგანთქმული იყო, ორატორად ცნობილი მწერალი, რომლის გამოსვლებით ქუთაის-ლები აზარტოვან ადფრთვანებულან. დრო იყო მძიმე, უკვლავ გაურკვევლობისა და სულიანდში აველაციის მძიმე ატმოსფერო იგრძნობოდა, ამას გრძნობდა და დიდ და პატარაც, ერის და ბერიც.

მაგრამ რა ხდებოდა ევროპაში?

არაფერი ვიცოდით, გარდა ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებული დეპეშებისა, თუ სად რა მდგომარეობა სამხედრო ფრონტებზე, ჩინეთსა და იაპონიაშიც; მაგრამ სულიერი ქვეყანა — მწერლობა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელი იყო. ამიტომ, როცა ქალაქის ინტელიგენციამ შეიტყო ცნობილი, დიდი სახელის მქონე მწერალ-პოეტი, დრამატურგი, რომანისტი, მოაზროვნე-ფილოსოფოსი გრიგოლ რობაქიძე ლექციას ახალი ევროპის დღევანდელ მდგომარეობაზე წაიკითხავსო, თითქოს უკვლავი ამოჩრავდა. მაშინ უყავი მერვე კლასის მოსწავლე, მაგრამ ისე გატაცებული თეორიებით, რომ ვერავინ, ვერცერთი მასწავლებელი ვერ შემაჩერებდა, ხელს ვერ შემიშლიდა მომესმინა ლექცია, რომელსაც ჩემთვის უკვე ცნობილი, თუმცა ჯერ კიდევ უნახავი ლექტორი წაიკითხავდა.

მაგრამ ხელი არავის შეუშლია, პირიქით, წაგვახალისებ და ჩემთვის საუფარელი ქუთაისის ძველი თეატრის ქანდარავ დავიკავე ადგილი მეგობრებთან ერთად.

და პირველად მივხვდი უცნაურ მდგომარეობაში: მიუხედავად იმისა, რომ ლექციის დაწყებას ნახევარი საათი მაინც აკლდა, ფარად უკვე გახსნილი იყო, სცენაზე ცენტრში ჩანდა ერთადერთი ვენურტი სამი, რომელზედაც დადებული იყო ლექტორის ცილინდრი და ჯობი, მარჯვნივ კი კათედრა იდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, დარბაზში სინათლე ჩაქარეს, მაგრამ სცენაზე არავინ გამოსულა. სულგანაბული ვარს.

უეცრად აუღდა ტახის ქარიშხალი, გამოჩნდა ლექტორი თავისი შავი თმით (პარკით), ასევე მავალი-ვით შავი თვლებით, დადა და ელოდებოდა ოვაციის დამთავრებას. მაგრამ არავითარი ქალაქი მის ხელში არ ჩანდა, ლაპარაკობდა უპირადად ჩვენ უმალ ვიგარძნებთ, რომ გრიგოლ რობაქიძე, როგორც ორატორი, შლავა ნუსტუბიძე არ არის; მასხადამე, არ არის ორატორი-ტრიბუნა, იგი ორატორი-პარლამენტარია,

თუმცა იმ დროს ქუთაისს შესანიშნავი ორატორი მუავდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე თავისი უნივერსალური ცოდნით, მეტყველების ორიგინალ-ბით ჩემთვის ხელს სხვა აღმოჩნდა.

როცა შევადარე მისი ციციკრონობა ფილიპე შავ-გულძის, უკვლავ გაფრთხილს, იროდიონ ხანთაძის, არტამონ გოლითიანის მიპერიდობას, უმალ დავინახე უფსკრული და ჩემთვის ეს უკვე ახალ მორიზონტზე გახლდა მოასწავებდა. მაშინ არ მესმოდა, მაგრამ ორიოდ წლის შემდეგ, როცა უნივერსიტეტში სწავლას შევუდექი, უკვე მივხვდი, თუ რა ლექცია მქონდა იმდროინდელი და რა სიმართლით აღწერა ლექტორმა იმდროინდელი ევროპა, კერძოდ კი რასხეშით და-ოკებული და აღსწავლებული გერმანია. მაშინ პირველად გავიგინე გერმანული ფრაზა — „ლიტლანდ იუბერ ადესს“, რომელსაც ლექტორის თქმით, იმდროინდელი მონაწილე უმარწილები გაკვირვებულ-ქურჩებსა, მოედნებსა, ყავახანებსა და ლუღანებს. მაგრამ არამარტო მონაწილე, მთელი გერმანია ირუე-ვა, ტორტმანოს, ქანალოს... და ლექტორმა თავისი ტანი ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ გადახარ-გად-მოხარა, რათა ილუსტრაცია მოეხდინა იმისა, რასაც აღწერდა. ფესტს იზვიათად მიმართავდა, მეტყველ-ების დროს თითო კბილები უჩანდა, თავზე პარკი რომ მქონდა, უკვლავ ვიცოდით. ან წუთის შემდეგ ლექცია შეწყდა, ვიღაცამ გამოაცხადა — გაგრძელ-დება ნახევარი საათის შემდეგ, ახლა შეხვედნა იწყე-ბაო.

ლექციის მეორე ნახევარში იგივე მდგომარეობა გაგრძელდა, ევროპის აღწერამ უფრო ფილოსოფიუ-რი ხასიათი მიიღო, მაგრამ ახალი მოტივიც შემოიტა-ნა. ევროპა გააჩრებულ იქნა საქართველოს ასპექტ-ში და წამოაყენებულ იქნა, როგორც მახსოვს (ასრ-ლას სწორად ვამოვცემ, ფორმულირება კი მიახლოები-თია), შემდეგი დებულება: თუ გერმანიის ახალგაზრ-დობა თავის ხელში იღებს სამშობლოს ბღეს, ქარ-თვლობა ახალგაზრდობამ თავისი პატრიოტული სული უნდა გაშალოს უკვლა მიმართულებით ძველი ივერიის წარსული დიდების აღსადგენად და ახლის შესაქმნე-ლადო. აქ დიდმა ტაშმა იგრიალა და გმონი ეს იყო ახალ ევროპაზე გრიგოლ რობაქიძის საქარო ლექციის უკვლავ კულმინაციური წერტილი. მაშინ არა-ვინ იცოდა, რომ ორი-სამი წლის შემდეგ დაიწყებო-და გრიგოლ რობაქიძის ტრაგიკული გაქრობა ქართუ-ლი კულტურის მორიზონტიდან.

V

### ლიგინდა და ტრაპედი

1980 წლის ზაფხულზე, თბილისში ჩასვლისთანავე საშუალება მომეცა ახლოს მენახა მთელი იმდროინ-დელი ქართული მწერლობისა და მეცნიერების უკვლა წარმომადგენელი, მათ შორის გრიგოლ რობაქიძე. ჩვენ, მათონდელი პირველი კურსის სტუდენტების ერთი ნაწილი გაუქმებული თბილისის უნივერსიტე-ტისა, რასაც მძიმედ განვიცდიდით, ამ ფულისტიკოსის იმით ვიამბოდით, რომ ვცდილობდით ახლო მოთიერ-ობისა გაქრობა ქართული კულტურის მორიზონთან. უეკველად ამან განაპირობა ჩემი დიდი სიყვარული უკვლა იმ მოღვაწისადმი, რომელთა შესახებ ცალკე



წერილები მაქვს დაწერილი და შეტანილი ჩემივე „კრიტიკული ეტიუდების“ დღემდე გამოცემულ ტომებში. მაგრამ იქ არ არის და არც შეიძლება უფილიყო თუნდაც რამდენიმე სტრიქონი ჩემთვის ასე ახლო ნაცნობ ისეთ დიდ მწერალზე, როგორცაა გრიგოლ რობაქიძე. არასოდეს არც კება დამიწერია, არც ზოგიერთი თანაგონი დაგება. იმ დროს რატომღაც ჩემს სულს არ ეტყუებოდა აუცი მეთქვა მწერალზე, რომელიც დიდი მხატვრისა და მოზარდების არამატრო სინთეტიკურ, მარმონიულ ერთიანობასაც განასახიერებდა.

გრიგოლ რობაქიძე ახლო ცხოვრობდა იმ სახლში, სადაც ორი ჩემი მეგობარი — კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ორი ძმისშვილი — შურა და ნუხტი ცინცაძეები ცხოვრობდნენ და სადაც რამდენიმე სტუდენტო მეგობარი — დავით კუხალაშვილი, ვახტანგ გრძელბედი (შემდეგ პოპულარული იურისტი — ორატორი) და სხვები ვიკრიბებოდით. ამ სახლშივე ცხოვრობდა ყველაზესთვის საყვარელი ჩემი ნიცი და პედაგოგი ვასილ ბარნოვი. თვით გრიგოლის სახლი (რომელსაც ჩვენ «**ОСОБНЯК**»-ს ვეძახდით) იდგა გურამიშვილის ქუჩაზე, გარეგნულად ლამაზი, მოხდენილი. ვადამკვეთი ქუჩის დაყოფიანე მთავანებული იყო „დღოიერ გენერალისმისარიათი“, სადაუნაც გამოსული და შუგსული არასოდეს არავინ გვიანახავს. ჩვენ ამიტომ ვუწოდებდით ხუმრობით: „მეცდარ ბრიგადე“. როცა გურამიშვილის ქუჩას ჩავუვლიდით, ვცდილობდით, თვალთ მოგვეკრა სახელგანთქმული ქართული მწერლისათვის, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე თავისი ბინის აივანზე გამოსული არასოდეს გვიანახავს. ვასილ ბარნოვი კი სამი წლის მანძილზე ჩემს თვალთაგან მოშორებული არ მახსოვს, ვარდა ზაბთის თვეებისა, ზაფხულში იმის გამოიხიდა კორიდორში მერქვის შესახვედრად. ზოგჯერ ვახსოვდა ხორციც მოუტანათ ქალღღღში შეხვეული. როცა ის იდგა თეთრ სამოსელში, თავისი თეთრი თმაწვერით და სათნო სახით, არაერთხელ მიფიქრია, რომ ვასილ ბარნოვის ასაკამდე თუ მიაღწევდა, ჩვენი პანტოკრატიკოს-მაცხოვარი სწორედ ასეთი იქნებოდა. მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი არამატრო ქართულ მწერალს, ჩემს წინ იდგა ზეიდან ჩამოსული დვთაეზა, რომელიც მიწაზე დადის, ნელა მოძრაობს და ხმადაბლა ლაპარაკობს. იყო აქ რაღაც ქალისნური, თუმცა სავსებით ყმაწვილური განცდი. ვასილ ბარნოვი მწერალთა კავშირში უწყვე ალარ დადიოდა, იქ ერთხელაც არ მინახავს „არმაზის მხსვერვისა“ და „თამარ მრწემის“ ავტორი. მატრო ამ ორი ბრწყინვალე ბელეტრისტული შედეგის გამო ჩემთვის ვასილ ბარნოვი დიდი მწერალი იყო და მხარბრუნდა მისი ასე ახლო მანძილიდან ხილვა მისსავე ბინაში.

მაგრამ ვასილ ბარნოვი ახლა ჩემი თემა არ არის. თუ მოვიხსენიებ მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედებით ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული, მაგრამ ორივე სახელგანთქმული მწერალი თითქმის ერთად ცხოვრობდა ტრიტორიულად ერთ რაიონში, პარალელურ ქუჩებზე. ერთად იხინი არასოდეს მინახავს, თუმცა ცალ-ცალკე ორივეს ხშირად ვხედავდი.

როცა გრიგოლ რობაქიძე 1981 წელს გერმანიაში გაემგზავრა, ჩვენს წრეში ვავრცელებდა ხმა, რომელიც

ყველას ვავრცობდა, თუმცა დღესაც არ ვიცი — ლეგენდა იყო თუ სინამდვილე?

ვიცოდით, რომ გრიგოლ რობაქიძეს მეორე კოლეგა უკანა, ძალიან ლამაზი, სპეციალად ადამიანი, მაგრამ ქანჩატოლითი სუბტი. ეს ქალი იყო ნელი ფიალიკინა, რომელიც პოეტმა თან წაიყვანა უცხოეთში. სწორედ ეს „წყაუვანა“ ვადამკვეთი მითქმა-მოთქმის მიზეზად, ლეგენდის თუ სინამდვილის ერთადერთი წყაროდ.

უცხოეთში გამგზავრების წინ ნელი ფიალიკინა ავად გამხდარა. გრიგოლ რობაქიძე იძულებული შეიქნა აღებული ბილეთით უკანვე დაბრუნებინა, და გააღდა იგი წასვლა მუდლის გამოკეთებამდე. შემდეგ, როცა ნელი მორჩა და ახალი ბილეთები აიღო, გრიგოლმა თურმე შეიტყო, რომ ის გვმი, რომლითაც ადრე უნდა გამგზავრებულიყო, დაიღუპა. ასე ვადარჩინა ცოლ-ქმარის შკარა დაღუპვის ნელი ფიალიკინის ავადმურფობამ. ამის შემდეგ გრიგოლს მიუჩნევია, რომ ეს ქალი მისი ბედისწერაა, პრედესტინაციაა, ფორტუნაა და მთელი ცხოვრების მანძილზე უყოფადა მისი ნამდვილად მადურბოები. რა ვახსოვრია, თუ უცხოეთში მთელი შვიდი წლის მანძილზე გრიგოლ რობაქიძე მატროდ-მატრო უვლიდა სარეცელზე მიკრულ თავის უერთგულეს, სიცოცხლის ვადამჩენელ მეუღლეს. და ჩემთვის სახსენებლად ვახსენებ შეიქნა ღრმა ვადღისცხელით სავსე სიტყვები ნინო სალიასი, რომელიც თავის წერალებში — „გრიგოლის საფლავთან“ ამბობს: ახაწერი მაქვს გარეთვე, შენი პაროვნების დასახსიანობებში, შენ მიერ შეიღვიწის განმავლობაში ვანთლული ქოქობითი, დამხლა დაცემული, უენო მეუღლის გვერდით და მის მოვლაში. ახლაც საშინელების გრძნობა მიპარობს, როცა მოვიგონებ და თვალ წინ წარმომიხედის იმ მძიმე ვადამურფვის ვადრდით, რომლის წარმოუდგენელ და აუწერელ კაპრიზებს შენ უხსიერად, ბავშვითი ასრულედი. ხშირი მოწვევა უყოფილვარ ამ შემწარავი სურათისა. მიყარის, როგორ იტანდი ამ უძლეადი...“.

ასეთი იყო მატროდმატრო დარჩენილი გენიოსი ქართველი მწერლის კიდევ ერთი დიდი ტრაგედია. ალბათ ხედავს არც ავმარა ვანწერულს, ჰქონდა არაერთი ხმა უხედურება, ტანგებოთ კონვეიერის, რამაც უთუოდ დააჩქარა, რამდენიმე წლით მაინც, უცხოეთიდან ვადამურფი იმ უტრობ ქვეყანაში, სადაც ყველა მიდის და საიდანაც არავინ ბრუნდებო.

გრიგოლ რობაქიძის პირველ ტანგებოთ ოდისეას, ევეი არ მეპარება, მისი ახალი ბიოგრაფიები ფაქტებითა და დოკუმენტებით უჩვენებენ ერს, რომელიც გენიოსი დაბადა, მაგრამ სიცოცხლეში ვერ შეიძლო მისი დაცვა ათავის დიდი თუ პატარა შეილებების ვადარჩენის უფლება, წინააღმდეგობის ვაწევის უნარი, იყო რაღაც ვანუთბოვლადი პაროვნების დაცვისა და უხედურებისაგან თავდახსნის საქმეში. როგორც სულ ბოლო დროს ვავიცი, უთვალავი ფაქტებით, ტრიალებდა საშინელი ტრაგედია, რომელიც თითქმის ბოლოც არ უჩინდა. ჩვენ ახლაც და უკვლავის ვივლოვებთ ტანგებოთ სულამახვილ დიდ

ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს: მიხილ ჩავა-  
სიშვილს, ტციან ტახიძეს, პაოლო იაშვილს, ვაგიშვილ  
წერეთელს, მოსე გვაგებიძეს, ვახტანგ კობახი-  
შვილს, კიტა მერაბიძეს... სიკვდილს გადაურჩნენ,  
მაგრამ რეპრესიებს ვერ ადენდნენ შალვა ნუცუბი-  
ძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე წერეთელი, მიხე-  
ილ ზანდუკელი, ალექსანდრე პაპავა... უვლანს  
ჩამოეთვლა აქ შეუძლებელია. რამდენი იყო კიდევ მათ  
შესავსად რეპრესირებული და ტანჯულ ხიცოცხლს  
საბაოთლ გადაურჩენილი. ამ ჩოჩოების აღწერას აღ-  
ბათ ახი დანტეც ვერ შეიძლება, მით უფრო მძიმეა  
კრიტიკოსისთვის, მაგრამ სიმართლის აღადგენა უვე-  
ლია მოსალოდნეა, ეს ყველა იქნება ნაწილი მოვალეობა.

აი, ოცნებულ გავაღვიძარ ხუნჯ ვაგიშვილ ზობაძის  
სახელთან დაკავშირებულ ადგილებში, სადაც ის მი-  
ნახავს თავისი ხალხური, ყოფილთვის გამოჩენილი და  
ორგანიზატორი ვარკვარობით. ამ სურათების აღწერა  
და, მოუხდევად ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანდაზმუ-  
ლობისა, ჩემს გონებას არ შეუძლია. ამიტომ ვერც  
გულს ან სულს ვაპატიებდი ეს გაეყეთებინა.

### იხსმ პირადი შეხვედრები

ერთხელ ვაგიშვილს რომაქიძე ვნახე თბილისის უნი-  
ვერსიტეტის მეორე სართულზე. არ ვიცი 1980  
წლის ბოლო იყო, თუ 1981 წლის დასაწყისი. მეორე  
სართულზე ჩვენს პროფესორის ვაგიშვილს ჩუბინაშვილს  
ქართული ხელოვნების ისტორიის კაბინეტი ჰქონდა,  
იქ, სადაც ამჟამად აკადემიკოს კორნელი კეკელიძის  
სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბი-  
ნეტია. ლაზარაძე და მუშაობდა ვახტანგ, ფერცხაი-  
ლი, მაგრამ უღამაშესი თამარ ციციშვილი, შემდეგ  
ვანთქმული კინომსახიობი, დარბაზის როლის პოპულარ-  
ული შემსრულებელი. ის გვაძლევდა ჩვენთვის სა-  
ჭირო წიგნებს, იყო გულმსმერი, სიტყვა-ძუნწი,  
მაგრამ თავადიშვილურად ამაყი, მიუკარგებელი. ჩვენც  
გადამეტებული მოკრძალებით ვეცქეროდით, დიდი რი-  
დი გვექონდა, ტაძრის კედლიდან ჩამოხსნილი წმინდა-  
ნის გაცოცხლებულ ფრესკად მიგვაჩნდა. არ ვიცი  
მასთან იყო კაბინეტი, იქიდან ვამოვივდი, თუ დირექ-  
ტორი იწინებდა (მასწინ უნდერსიტეტის თბილისის პე-  
დაგოგიური ინსტიტუტი ეწოდებოდა, დირექტორი  
შავადა — პროფესორი ივანე ვაშაყაძე), ვაგიშვილ  
რომაქიძემ მარცხენა ხელში წიგნების კონთი გად-  
მოღვანა დირექციის „ტერიტორიის სახლგარი და თან-  
დათან სტუდენტთა იმ ჯგუფს მიუახლოვდა, რომელიც  
კიბის მოაქრათან იდგა. მოდიოდა დინჯი, სერვიოზული  
ნაბიჭებით. თავის მავლისფერ შავ თვალებს არაჩვე-  
ულობრივი დაინტერესებით ავლენდა იეპურბაბას,  
თითქმის ყველამ — ვაფეხსა და ქალბუნაც გამომწვე-  
ვად უფურცებდა. ნელა ჩავიდა კიბეზე, ისე რომ, და-  
ძახბული მწერა ოდნავაც არ შეუწელებოდა. ის ყველამ  
ინტო, თავისი თვალბითა და პარკიტაჟი. გაისმა  
ჩურჩულიანი წარმოქმნილი სიტყვები: ვაგიშვილ რო-  
მაქიძე... ვაგიშვილ რომაქიძე... მას კი თითქმის არ ეს-  
მოდა, არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, ისე გა-  
იარა ვეტიტები და ჩავიდა უნივერსიტეტის ლასკა-  
ლატებურ კიბეზე.

მაგრამ ჩემთვის ყველაზე „მშარე“ იყო ერთი შეხ-  
ვედრა, რომელიც სულლიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

მწერალთა კავშირის ვეტიტბული რამდენიმე ახალ-  
გაზრდა მწერალი ვიდექით. ვსაუბრობდით ლიტერატურაზე,  
ტურაზე, ვიწონებდით ან ვაკრიტიკებდით, როგორც  
ახლა ხდება ბოლშე. იყო 1981 წელი. ვაგიშვილ რომა-  
ქიძე ჩერ არ იყო უცხოეთში გამგზავრებული. მისი  
რომაქიძე „ვეტილის პერანგი“, მოუხდევად იმისა, რომ  
1982 წელს დაიხვედა, მაინც იყო კრიტიკისა და გან-  
ხილვის საგანი. ვინ რას ამბობდა და ვინ რას. მეს  
ვაპოვებოდა ჩემი აზრი, რომ ერთგან, ის თავში, სა-  
დაც ირუბაქიძის გენეალოგია ლაპარაკი, შეცდო-  
მა და შევებული. გენეალოგია იწყება 75 წლიდან  
(ქრისტეს შემდეგ), როცა გარდაიცვალა თავიდან ირუ-  
ბაქი ირუბაქიძე, რომელსაც თავისი გვარი ქალღმერთ-  
დავითაძე. შემდეგ მოდიან მისი შთამომავლები, მათ  
შორის მეთოთხმეტე საუკუნისა, „კიკია ფიცხი და კე-  
თილი. ჰგავდა სახით და სახითით ძველს ირუბაქი-  
ძეს. წერდა ლექსებს. ერთი ლექსი ვაგიშვილს დალუ-  
ვას — „ირუბაქიძის ხასა“. უფერად მასაც მოსე და  
პითაგორა. მეგრდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა,  
შვის ნიშანი. ამბობდა: მისი გვარი შვის თესლობაა:  
მეცხავით ცხელი — მეცხავით ნათელი — მეცხავით  
ვახეტებული — მეცხავით მართალი. ოდეს სიკვლე-  
ლის მოახლოვება იგრძნო — გავიდა აივანზე. აივანი  
გადაუტურბდა თვალუწვდენელ ველს. ველზე თვალ-  
აუყრელი სიმინდის ლუწი ტბა იჩებოდა. დახრილი  
მე მწერამულ მურებს ტბის ტბორებზე შავად უშვებ-  
და. ირუბაქიძემ იგრძნო სიკვდილი — და კედლიდან  
უეცრად ხმალი ჩამოვარდა. ხალების რკინა ორად  
გადატყდა. ირუბაქიძემ იგრძნო უჩვეულო: თითქო  
მასში გვარის ხერხემალი გადაიხსნებოდა.“<sup>47</sup>

ამ დღის დასახლებების შემდეგ განვითარებ აზ-  
რი, რომ მე-14 საუკუნის საქართველოში შეუძლებე-  
ლია ყოფილიყო სიმინდის ყანები, ვინაიდან ეს კულ-  
ტურა უცხო წარმოშობისაა, ამერიკულია. თვით კონ-  
ტინენტზე მე-15 საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს, მასხა-  
დაზე, ჩვენს სამშობლოში სიმინდი მხოლოდ ამის უშე-  
დეგ გავრცელებოდა. ამიტომ, რომ მისი კვლე-  
ბით ქართულ-ეკონომიკურ წყაროებში მე-17 საუკუნე-  
მდე არა ჩანს-მეთქი.

სიტყვა დამთავრებულიც არ მქონდა, როცა მომეს-  
მა ხმა: „მეწერდით, თქვენ ჩემს მეთი ვერავინ ნახეთ  
ვასაკრიტიკებელიო?!” მივიხედე და დავინახე ვაგი-  
შვილ რომაქიძე, რომელსაც ეტყობოდა იქ შეკრებილი  
ხსვა ახალგაზრდა მწერლების სიტყვები არ ჰქონდა  
მისხნილი, მართო ჩემსას შემოვიწყო და მისთვის  
ჩვეული ნაბიჭებით სამკითხველო დარბაზისაკენ გაე-  
მართა.

ძალიან გულნატკენი დავრჩი, მით უფრო იმითომ.  
რომ ეს არ მოქვამს საქაროდ, კრებაზე, არც მისი  
ვანაწყენების მიხნით. მან არც კი იცოდა, თუ როგორ  
ვაფასებდით მე და ჩემი ბავშვობის მეგობრები.  
უკვე სტუდენტები, მისი სახლის ახლო მცხოვრებ  
ბარნოვთან ერთად რომ ვეტრფოდით ქართული მწერ-  
ლობის მისხულ დიდ სახელს. ეს იყო ჩემი უკანას-  
კნელი შეხვედრა ვაგიშვილ რომაქიძესთან. ამის შემ-  
დეგ იყო აღარ მინახავს, ვიდრე 1957 წელი არ მო-  
ვიდა...<sup>48</sup>

იმ წელს კი ენევაში ვაგემგზავრე ანათლების მუ-  
შაკთა XX საერთაშორისო კონფერენციაზე. ივლისი  
იყო. ენევაში თითქმის ორი კვირა დავაყი. ბერტრე

მოიხიდა სიტყვით გამოხვლა. ეს გამოხვლები ასახულია ჩემს მემორალში „განათლების საერთაშორისო ტრინიფოსთან“ და შეტანილი მაქვს წიგნი — „ხედავოგია და მეთოდია“ (1974 წ., გვ. 220-84). ძუნწად, მაგრამ ზოგიერთი გამოხვლა მოხსენიებული იყო არა მარტო კონფერენციის ბიულეტენებში, არამედ თენვის პრესის ფურცლებზეც. არ შეიძლება ამ ფაქტს უუარაღებოდ ჩაეკლო იმ დროს თენვაში მსოფრედ გრიგოლ რობაქიძისთვის, მაგრამ არ ვიცოდა, თუ იგი თენვაში ცხოვრობდა. მეგონა იხედვრამონა იყო. ეს რომ მცოდნობდა, მაშინ უმად მოვიდოდი გონს და აღარ მოხდებოდა ის, რაც აღმეპართა. თუმცა, მე და ჩემს თაობას ისეთი შიშის ფსიქონი გვექონდა თავიდან, რომ ვერ შევძლებდით (ვერ გავხედავდი, თუმცა მხალდა არასდროს ყოფილა) უცხოეთში წახულ მწერალთან შეხვედრას. ეს იყო, ვიმეორებ, 1957 წელს, 81 წლის წინათ, როცა სტალინის კულტის გამო თბილისის საშინელი ტრაგედიადნ ერთი წელი იყო გასული, მაგრამ შიში და დამოკლეს მახვილი ჭერ კიდევ არ გვეშორებოდა.

მაინც რა მოხდა?

ჩემს თენვის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები სასტუმრო „მონ რკოდან“, რომელიც ლოზანას და შტატობრიანს ქუჩების რადუსშია მოთავსებული, ფეხით მივიდოდი ვილსონის სასახლეში. მანძილი დიდი არ იყო. ფეხით სიარული კიდევაც ვცხიამოვებოდა. ერთხელ, უკანასკნელი სხლოშიდან სასტუმროში დაბრუნების დროს, ვიდაც ხანში შესული მამაკაცი, თავზე ბერეტი რომ ეხურა, ჩემს პირდაპირ მოდიოდა და იხე უეცრად ხამაქებდა, კინაღამ დავიხენი. აზრზე ვერ მოვიდი. სახე და თავალები შევწანურა. როცა გონება გამეხსნა, ვიფიქრე, ალბათ ეს გრიგოლ რობაქიე იყო-მეთქი. რომ მცოდნოდა თენვაში მისი ცხოვრება, მაშინ არ გაშიკრდებოდა უფასო ცნობა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, მე იმ დროს ვერ გავხედავდი მასთან საუბარს, ჩემი ინიციატივით, თუ თითონ არ გამოემდობარებოდა. რაცა რადენივე ხნის წინათ ვანებ მისი პორტრეტ ბერეტით; ექვს ნატამალე არ დანებ ვიყავი, რომ ბედმა ერთხელ კიდევ და უკანასკნელად შემიხვედრა არა მარტო ჩემი საუკუნის დიდ ხელოვანთან — მოთველ გვირთანაც, რომელიც მითიონი ცხოვრობდა, რაოა ახალ მითიონად თვითონვე გადაქცეულიყო.

მაგრამ მე არ მომხდარა მოულოდნელად. თუმცა ქართული მწერლობის მორიგონზე გრიგოლ რობაქიძის გამოჩენა თავიდანვე მითიონს დაუკავრებოდა. ისეთი ადამიანი იყო, რომ პირველი შეხვედრისთანავე რაღაც მანქანებით გაიძულებოდა მოწინებთა და პატრიონცივით მოპურობოდა. ექვი არ მებარება — თავისთავზე მითებს უნებლოთ თვითონვე უწყურდა ხელს და მასთან ურთიერთობაში მუყფი ადამიანებით ეხმარებოდნენ.

ერთ ფაქტს ვავიხენებ.

1981 წლის დასაწყისი იყო, იქნებოდა დღის პირველი თუ ორი საათი, როცა მე და ჩემმა მეგობარებმა, ახალგაზრდა მწერლებმა — გიორგი შატერაშვილმა, გიგო ლომიძემ, ალექო შენგელიამ ვესტიბიულში გავიგონეთ გრიგოლ რობაქიძის აღელვებული, ხმაშალდი ლაპარაკი. იგი ეძებდა იმ დროს ცნო-

ბილ დრამატურგსა და თეატრალს გუგული ბუხნიკაშვილს. გუგული ერთ-ერთი პიესა კოტე მარტოვი ნიშვილმაც ადგა ქუთაისის თეატრში (მგონე მისი თეატრის „კი, მაგრამ...“). გუგული ბუხნიკაშვილი მაშინ მწერალთა კავშირში მუშაობდა. ვანაკებდა დრამატურგობას და თეატრებთან მწერალთა კავშირის ურთიერთობის საქმეებს. დაძაბობისთანავე გუგული მოიდა გრიგოლთან, რომელმაც მას უთარა:

— გუგული, გუგული, ძალიან შეფოტებული ვარ. ვინ არის ეს ვიდაც რევისორი „გ. რობაქიე“. ნამდვილად არსებობს ასეთი კაცი, ფხვედლინამდ ჩემი სახელი და გვარი აიღო, თუ დამკინისა? ყველა მირეკავს, ყველას ჰგონია, რომ მე რევისორიბა დავიწყე, თუ მართლა „გ. რობაქიეა“, სხოვე — იქნებ თავისი ნამდვილი სახელი და გვარი აღარ მოაწეროს აფიშაზე, რაიმე ფხვედლინი მოიგონოს“.

გუგული ბუხნიკაშვილმა დაუდასტურა აფორიაქებული მწერალს, რომ ასეთი რევისორი ნამდვილად არსებობს, ენერგიული მუშაკია, არავითარი ცუდი განზახვა თქვენდანი არა უკვს, არც უფიქრია, თუ მისი სახელით და გვარით თქვენ ახე ვანწყენდებოდიო. რაც შეეხება თქვენს თხოვნას — გვარი შეიცვალავს ან ფხვედლინი გამოიგონოსო, — მე ვერ შევუძლებდი. თუ ხსტო, მე ვთხოვ მას თქვენთან მოვიდეს, თვითონ მოვიყვანო, მიუღაპარკეთ და შეთანხმდითო.

თუ რა მოხდა შემდეგ, მე აღარ ვიცი. გრიგოლ რობაქიე მალე ეგრძაში გაემგზავრა, ხლო წარწერა „რევისორი გ. რობაქიე“ წლების ბანძლზე რელიემებს არ მოშორებია.

მაგრამ ვიცი ის, რაც ყველამ იგრანა: დიდი ხანი არ ვასულა ეგრძაში გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი განზახვების შემდეგ და უმად ვახსენა მისი ხელის კეთილად მოხსენიება. კარგად მახსენს პოეტის წინამძღებ თავდასხმები, ვანსაკუთრებოთ ვაჟ. „კომუნისტისა“, რომელმაც მყვირალა ფელეტონური სტილით დაწერილი სამკადმე მორადილი „სასტილი დაბეჭდა განმეპქებელი და ყოვლად დამამცირებელი სათაურით: „გრიგოლ, პრობა“ ავტორმა, ფილოსოფოსად წოდებულმა, სხვა ვერაფერი მონახა საბოლოო წერტილის დასახმელად, ვარდა იმისა, რომ ეგრძაში უკვე ცნობილი, გამოჩენილი ქართველი მწერლის შეურაცხყოფის გამძლეების მიზნით ბლაგვი ეურნადლის ტური ხერხი გამოიყენა: უხამსი სათაური, როგორც ეპითეტი, ორქერ გაიმერა ფელეტონის ბოლის, როგორც თიქოს-და გამანადგურებელი რეფრენი: „გრიგოლ, პრობა“ გრიგოლ პრობა“ ყოველფეც ეს შეუძლებელი იყო ქართული მწერლობის მოყვარე, შეგნებულ, საშობლობს ბედზე დაფიქრებულ მითხვედლს მოწინებოდა. მით უფრო არ მოგვეწონა ასეთი უხამსი სატორა იმდროინდელ ახალგაზრდობას. ჩვენ ვიცოდით, რომ სასტიკლის ავტორს მონოგრაფია ჰქონდა გამოცემული, რომელშიაც არკვევდა მატერიალისტური და დილექტიკის (წიგნაც) ეს სახელი ეწოდებოდა) არსებლებებს. მით უფრო გაუმართლებელი ვეჭვებებოდა, რომ ფილოსოფიაში მომუშავე კაცმა, სპეციალური თეორიული გამოკვლევის ავტორმა ამგვარი ბოროტი პასუხი შეიხზა და გამოაქვეყნა. მცირეოდენს გამოკლებით, მითხვედლის ხიშპათია მწერლის მხარეზე იყო და არა ფელეტონისტისა. ეს არავის არ

უნდა გაუკვირდეს, ვინაიდან „გველის პერანგის“, „ლორდის“, „მელტრების“, „ლაშარას“ ავტორს ყველა მოწიწებით იყიდებოდა, როგორც ნამდვილად დიდ ქართველ მწერალს.

## პართული სიტყვის ოსტატი და ჯადოქარი

ვინც ლიტერატურაში ოდნავ მაინც ერკვეოდა, არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გრავოლ რობაქიძე ნამდვილად იყო სიტყვის ქაღალქი. სიტყვა იყო მისი ერთი. მას ჰქონდა სიტყვის ანალიზის მარისებური ტალანტი. ვერც ერთი ქართველი მწერალი სიტყვის ანალიტიკურ დალაგებაში მას ვერ შეედრებოდა. საოცარია იყო ჩვეულებრივად გავრცელებული სიტყვის რობაქიძისეული რედაქცია (მიჰქუნს, კვირალია, ახარა, რისხვარი, დამ, გამჭვრის, ხმენ, სმიდერ, შეუძლოა, ნადვლი, ჰელლენურ, ჰებრაელ, უმჩნევად უთმუნობა, რომანტიკები, პირიგანი — ყველას ჩამოთვლა აქ შეუძლებელია). კიდევ უფრო განმსაცვიფრებელია სიტყვების დაშლა-აგება (კოვალიოვ — კავალია, კავა, პეტრეც — პერეც; მაყაშვილი — შეკეში, არჩილი — არჩხაბლდ და მრავალი სხვა).

ცალკე შერწყმვლას მოითხოვს ნეოლოგიზმების პრობლემა. გრავოლ რობაქიძის როგორც პოეტური, ისე ზეღერტისტული შემოქმედება სავსეა ნეოლოგიზმებით. მაგრამ არის აქ ერთი დიდი ორიგინალობა: მთლიანად დაფუძნებული ქართული ენის ძირებს, ის რობატურად აღწევს ლიტერატურულსა და ხალხურის მთლიანობის მარშონიულობას, განსაკუთრებით „ლაშარაში“, სადაც ორივე ფენომენი ხელნებით გადაადგილებლია. მე ვლასარაკობ ლიტერატურული ქართულისა და ზევსურულის ბუნებრივ შერწყმავს (არა დაილექტოლოგიური ვაგებით). მაგალითად მინდა დავასახელო „ლაშარას“ ერთ-ერთი განთქმული დიალოგი: რა უფრო ტიპილია? სიყურულ ლამაზ ქალისა, არა, მე სხვა მინდის! მთელი „ლაშარა“ ენობრივად ამ პრინციპზეა აგებული. საკუთრივ ნეოლოგიზმებს რაც შეეხება, გრავოლ რობაქიძე პირველმა შემოიტანა ქართულ ენაში ნეოლოგიზმები: ულიდერლობა, ულოლოვო, თვალმდვიეთი, ქვემეფინები, თვალურხა... ის ან მხრივად დაუცხრომელი ექსპერმენტატორი იყო. არა სასულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრავოლ რობაქიძის, როგორც ნეოლოგის, შემდეგ მხოლოდ კოსტანტინე ვასასხურდია ამოუდგა გვერდში. მაგრამ ლექსეპტური ფუნდის სიმდიდრით პირველი მაინც უფრო მეტია. სამწუხაროდ, ამგვარ პრობლემებს ჩვენ აღარ ვსწავლობთ ღრმად მეცნიერული ვაგებით და მართლაც არა ვართ, მწერლობა პირველყოფლისა ენა და ენის ფენომენები თითოეულ დიდ მწერალთან საფუძვლიანად უნდა ანალიზდებოდეს.

მახატებელი პროზაში რომან „გველის პერანგის“ ავტორს ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა. ეს იყო შემდეგი: როგორც პოეტები ოსტატურად იყენებენ რეფრენს, ისე გრავოლ რობაქიძე სწორად მიმართავს შეგნებულ ტავოლოგიას ზეღერტისტიკაში. ხალხსტრაციო მასალას მკითხველი უხვად იპოვის არა მარტო „გველის პერანგში“ თვებში, „ფალსტრახს“ შერეიერ კამარტეშიც. ამ რომანებიდან ჩვენ მხოლოდ თითო მაგალითს მოვიტანო.

„ფალსტრახს“ მესუთე კამარის პირველივე გვერდზე ვკითხულობთ: „ტრამვაში, რკინის გზაზე, მტრაროში“, ომნიბუსში წის ვინმე და რბებს თუ... მტრაროში“, ომნიბუსში ისე ვერ იმგზავრებ, რომ რამოდენიმე მუენისაივ არ იხლო“ („ფალსტრახ“, გვ. 848):

„გველის პერანგი“ (გვ. 42-43): „არის დიდი მუედროება ირანის პლატონი. პავრი ხლახი, როგორც კრისტალი ანკარა წყაროს ხარის უსკრუე სიგარლე; ხავსანი სიპების. ცა; თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანდილი; უკოლო: უბოლოვო. ვარსკვლავე: თითქო კვრცხობიოდენა ბრალიანტები; რომელთა გულები ხალისით სვდებიან. და მთლად არე: ერთი უდიდესი არხი არყოფილ მითოსიდან; რომელც ვალეშილ თვალმიდან ერკვევა. წუდება ერთი ვარსკვლავი და ცეცხლის ღერეს შეუდგე ზოლად აყოლებს მტრდესფერ სიგარეს. წუდება მეორე. წუდება მესამე. მთელი მარულა ვარსკვლავების“.

ეს ტექსტი სრულიად უცვლელად არის განვითარებული „გველის პერანგის“ 46-47 გვერდებზე, მხავდად არაერთი სხვა ადგილისა.

ამგვარი ტავოლოგიები, რაც ჩვენ „პოეზიის მხატვრულ სახეებში“, ორმოცზე მეტი წლის წინათ მართოდენ პოეტური მაგალითებით განვიხილეთ, გრავოლ რობაქიძის შემოქმედებაში ერთ-ერთ ძირთად კანონად არის ქვეული. მისი ფუნქციაა არხებით მომენტებისაივის ხაზგასმა მკითხველზე მეტი ეფექტის მოსახდენად.

არის მეორე ესთეტიკური კანონიც. რომან „გველის პერანგში“ ავტორის ადრე დაწერილი არაერთი საკუთარი ლექსი იყო შეტანილი, მათ შორის იმ დროს ვამბურებული „ტანს გეტმანს სველი აღდრე“, „მზის კვირა“, ვერსილით დაწერილი „ქარავანი“, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი, რომელც თითოეულმა ჩვენგანმა ზეპირადც კი დავისხომეთ, აღმოჩნდა „უდაბნოს კიმერა“. ახლაც, როცა შემოძლია „უდაბნოს კიმერაზე“ დაწერილი მხოლოდო ლიტერატურის საგანძურადან მრავალი ნაწარმიები დავასახელო, მხოლოდ ერთი-ორი თუ გავტოვლავ გრავოლ რობაქიძის პოეტურ შედეგებს, ნამდვილად ეგნიალურ ლექსს. ეს რაღაც უხილავის ბილვაა, მაგრამ არა მისტიკის ან მითოლოგიის სავანებიდან, არამედ უხილავის ბილვაა რეალური სინამდვილის უხილავს აპოლონურ რანგში აყვანილი რეალის კალედოსკოპით. გვეგვლად თითქოს არც ერთ მხოლოდო მწერალს ამ საგანზე, არა უკეთესი, მიმსგავსებულუც არაფერი დაუწერია. ეს პოეზიისა და სავნის, სავნისა და პოეზიის ისეთი ურთიერთ ღრმა შერება და მუსიკალური მარშონია, რომ მისი მსხავსი საუკუნეების მანძილზე აღბათ ერთგულ თუ მოხდება. არა მგონია საერთოდ შეიძლებოდეს „უდაბნოს კიმერას“ — აქლემის უკეთესი პოეტური წარმოსახვა, სადაც ყველა და ყველაფერი ერთმანეთზე ისეა მიჭრილი, თითქოს სიტყვები სტრუქტურში ჩაყმენებულნი იყოს, და ვერც ერთი მთავანი, როგორც არ უნდა დანატერხდეს, ოდნავ განძრევასაც ვერ შეძლებს. და იხატება საოცრად ძლიერი პოეტურ-ფერწერული ტილო, რომლის წინაგანი მუსიკა რაღაც კოსმოსურ საგლობლებს მივანიშნებს.

## „უდაბნოს ქიმიკა“.

აყუდებული. ულაზათო. ორკუხიანი.  
ცხუნე სივრცეთა კოშმარების უკვანო ბუში.  
ბიასავით გამომწვარი ზანგელა ბურში,  
უცხო, უთვისო, მატანტალა, შორიგზიანი.  
ამპარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.  
მოღუნებული მეოცნებე შორეთის მურში.  
მორცხვი. კეკელა. მოალურსე, მუსუსი. მრუში.  
გახუნებული, მაგრამ მაინც მარად მზიანი.  
საოცარია შენი ზანტი მთქანრებით თვლვმა —  
მზთა გაღზობით რომ მოთუნთა უდაბნოს რთვლვმა.  
ქიმიკის თავის ღიმიით გასცქერა ალმურს კომლიანს:  
თითქოს გესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი.  
და უწინა ცოხნით ოდეს ერთვის მელანქოლიას —  
დორბლიან ტუჩზე გაიბღებდა სამყაროს დარდი.

უდაბნოსა და აქლმების აღწერა „გველის პერანგში“  
მართლაც უდიდესი ოსტატობითაა მოცემული. გენი-  
ალური პოეტური ამოსუნთქვაა ბელეტრისტიკაში ეს  
ერთუნატილი მომგვრელი „ღწინ. ღწინ. ღწინ. ღწინ. ღწინ.  
ღწინ. ღწინ. ღწინ. ღწინ.“ ასე მიდის აქლმეთა ქარა-  
ვანი მზით გადაწყვარა უდაბნოში. მართლაც შეუდარე-  
ბელია! პარალელად შეიძლება მხოლოდ „თამილა“ და  
პოემა „ახულ ალა-მარაი“ დავახსენოთ.<sup>10</sup> თვით  
ლექის „უდაბნოს ქიმიკა“ თავისი აღწერებით, ლექ-  
სიკური ფონდითა და გარეგან-შინაგანი მხატვრული  
უდერგადობით ძალიან მოგვაგონებს გრიგოლ რომაქი-  
ძის თეორე ლექსს — „მისტიკა მუის“, რომელიც  
სხვა თემაზეა დაწერილი და იქ „იხდის პერანგს ცხელ  
რიყზე რქიანი გველი“. ეს ლექსი სხვა სათაურით —  
„მუის კევრი“ შეტანილია რომან „გველის პერანგში“  
და წინ უსწრებს „უდაბნოს ქიმიკას“.

## VIII.

### „ნეტარ იყვენან მგლოვნიარანი...“

ვერე, ვიგონებ წარსულს და ჩემი გონების ეკრანზე  
ერთმანეთს ცვლიან გრიგოლ რომაქიძის ცხოვრებისა  
და შემოქმედების (რაც წამოებითხვეს) მოკლე ფრაგმენ-  
ტები, ცხოველი სურათები, დაძაბული სცენები, სერი-  
ული კადრები. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, რო-  
ცა ერთიანდება, მე უკვე მესმის დიდი ადამიანისა  
და გენიოსი ოსტატის შინაგანი ღრმა ტრაგიკიზმი. ეს  
ტრაგიკული გმინვა მძიმეა, როგორც დარუხანდის კა-  
რების ქვა და მტკივნეულია როგორც ფილოკეტეტის  
ის კრილობა. მაგრამ ის ყველაფერს უძლებს, ყველა-  
ფერს იტანს, ყველაფერს იმედოვნებს. მან არ იცის  
უკან დახევა, როგორც არ იცის უმიწნოდ წინსვლა  
ის ყველაფერს უყურებს მხატვრისა და მოაზროვნის  
თვლით, ეტრფის მუარს, მარადიულს, ქედს იხრის  
მართოდენ პანტოკრატორის წინაშე, რაკი ბავშვო-  
ბიდანვე შეისისლბორცა, რომ იგი „უკვლის მფლო-

ბელია“, უკვდავი ღმერთია. ამიტომ ებრძვის მტრუვნა-  
და წარმავალს. მედროვენი მისი შეურიგებელი მტრე-  
ბი არიან. რაც კეშმარტი შემოქმედებას განეუტყვნენ  
და, ვიციც არ უნდა იყოს, გულწრფელად ახარებს. მა-  
საც შეიძლო ეთვათ თავის თავზე დავით აღმაშენებ-  
ლის გრწმული სიტყვები და გაემორჩინება „გალო-  
ბანი სინანულიანი“: „უამი რაა წუხილთა და ავთა  
აღმოფუნათაა წარმოდგეს, ზარი მეფობისაა წარქდეს  
და დიდება დაშრტეს, შეუბანი უქმ იქმნენ, ყუავი-  
ლოვნებაა დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრამ, სხუს  
შეუღვანეს სანი, — მაშინ შემეწყალო, იესუ ჩემო!“  
მაგრამ შეწყალება ათეულ წლობით იგვიანებდა, თუმ-  
ცა რა იყო შესაწყალებელი? გენიოსებს არახოდეს  
შეწყალება არ ესაპიროებოთ, თუ ძალმომრებია  
არაფერს დასაშვებს.

აქ აღიშართება ერთი დიდი საკითხი:

ბოლოსდაბოლოს მაინც ვინ არის ის, ვიზედაც ასე  
ბევრს ვლაპარაკობთ ახლა, როცა ნახევარ საუკუნეზე  
მეტე ხნის განმავლობაში მას ღუმილისა და სიძულ-  
ვილის ძაძებით ვმოსავდით?

ის გენიოსია — თავიდან ბოლომდე მხოლოდ გრიგოლ  
რომაქიძეა — ამაყი, თავმდაბალი, შეუპოვარი, რინ-  
დი, თვითმყოფი, თითქოს ანახორტიციტი მარტო დარ-  
ჩენილი, სიყვარულით ანთებული ახალი დროის მღა-  
ვი! ეს თავისთავადობა ყველაფერში მისი უდიდესი  
ჩილდო იყო, მაგრამ უდიდესი ტრაგედიაც. ამ ტრა-  
გედიიდან იშვენ მისი უკურნებელი ადამიანური ტან-  
ჯვანი, რასაც საბოლოო ქვარი მართოდენ იმ ძალამ  
დაუსვა, რასაც ამ ქვეყნიდან ყველასაგან ყველაფერი  
მიიქვს, გარდა სხოვნისა და შემოქმედებისა.

მაგრამ არის ერთი უმაღლესი ნიშანსვეტი მისი პატ-  
რიოტული სიდადიხა. მართალია გრიგოლ რომაქიძეს  
არც ერთი ანტიკატორული ანსამბლი საქართველოში  
არ აუშენებია, მაგრამ იგი იყო ახალი ქართული  
მხატვრული სიტყვის, ახალი ხელოვნების ისეთივე თავ-  
დადებული კტიტორი, როგორც იყვნენ ჯვრის, ათო-  
ნის, სვეტიცხოვლის, ვარძიისა და არაერთი სხვა დიდი  
ნაგებობის ფანტასტიკური მშენებლები.

და კიდევ: თუ უძველესი დროის ერთ-ერთი დიდი  
მოდელზე, სამშობლოდან გაქვეებული, გულმავლრვეტი  
იმურტებოდა: უმადლო სამშობლოვ, ჩემს ძვლდაც  
კი ვერ იხილაყო, საქართველოს ზღაპრულ სილამაზეს  
ათეული წლების მანძილზე იძულებით მოწყვეტილი  
გრიგოლ რომაქიძე ლოცვა-კურთხევას აღავლენდა  
უზუნაისხადმი და ერთადერთს ნატრობდა: მისი ძვლე-  
ბი სამშობლო მიწისთვის მიეზარებინათ, როგორც კი  
ეს შესაძლებელი გახდებოდა. მე ვერწმუნები იმ ცნო-  
ბულს, რომ გერმანიიდან სამშობლოსაკენ გამოგზავრე-  
ბული პოეტი ვარშავიდან მართლაც უკან გაბრუნდა,  
ბერლინისაკენ, რაკი კეთილმა მეგობრებმა ურჩიეს —  
თბილისში ნუ წახვალ, ჩახვლისთანავე დაგაპატიმრებენ.

ნი. დღეს ხომ ყველამ იცის — ეს გაფრთხილება აბსოლუტური სიმართლე იყო.

დრო გავიდა...

გრიგოლ რობაქიძე ახლა ისევ საქართველოშია, ხამშობლოს დაუბრუნდა...

და აღსრულდა წინასწარმეტყველური სიტყვები, რითაც პოეტი-მოაზროვნე ურამობიდანვე ხულდგმულობდა: „წეტარ იყვენ მკლავიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“. ეს იყო მისი დიდი ტალანტის ხელახალი აღმობრწვინება.

მაგრამ გრიგოლ რობაქიძე დიდ ტალანტთან ერთად ჩვენი ეპოქის ტრაგიკული სახის ფერწერული ხატოცაა. ეს ხატი ისევე ტანჯავს-რუღუნებით შეიქმნა ქართული მწერლობის მინანქრებიან ტაძარში, როგორც ქრისტიანული სამყაროს ეკლესიების ფრესკები თუ მოზაიკები ქვარცმულ ანდრია პირველწოდებულისა.

### შენიშვნები:

1. მომყავს გრიგოლ რობაქიძის დისშვილის რ. ლომინაშვილის წერილის მიხედვით („საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1988 წ., გვ. 105).
2. გრიგოლ რობაქიძე, „გველის პერანგი“, ფალესტრა, თბ., 1988, გვ. 338.
3. ეს ლექსი ახლახან მოიტანა თავის წერილში — „გრიგოლ რობაქიძე: ფაქტები ბიოგრაფიიდან“ მწერლის დისშვილმა როსტომ ლომინაშვილმა (იხ. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1988).
4. გიორგი ჭიბლაძე, „კრიტიკული ეტუდები“, თბ., 1955 წ., ტ. II, გვ. 327. საერთოდ ვაჟას შესახებ ჩვენი აზრი იხ. ამ წიგნში (გვ. 296-368) აგრეთვე „კრიტიკული ეტუდების“ IV ტომში, თბ., 1963 წ. გვ. 323-338.
5. ჩვენ ხელთა გვაქვს ხსენებული წერილის ორიგინალის ქსეროასლი, საიდანაც მოგვყავს ყველა ამონაწერი.
6. „ბედი ქართლისა“, ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული, № 47, პარიზი, გვ. 3.
7. გრიგოლ რობაქიძე, „გველის პერანგი“, თბ., 1988 წ., გვ. 91.
8. გიორგი ჭიბლაძე, „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, თბ., 1946 წ., გვ. 17-19.
9. გრიგოლ რობაქიძე, „გველის პერანგი“, თბ., 1988 წ., გვ. 136.
10. ამ პოემის დაწერილებითი ანალიზი იხ. წიგნში გიორგი ჭიბლაძე, „კრიტიკული ეტუდები“. თბ., 1981 წ., ტ. VI, გვ. 223-231.

## სათავენი

## ჩემი შემოქმედებისა

(ჩვენი ჟურნალის რედაქტორმა მიხობვა: ნათელმეყო ძირითადი დენა ჩემი შემოქმედებისა. თხოვნას ვასრულებ სიამოვნებით).\*

### გრიგოლ რობაქიძე

I.

მსმენია თანამემამულეთაგან: თქვენი შემოქმედება უცხოეთითაგან შემოტანილია. თითქმის ლიტერატურა საიმპორტექსპორტო საქონელი იყვება! ასეთი მიდგომა კულტურის კვლევისას სასაცილოდ თავდება. ქართველთა მინდია გველის ხორცს იგემებს — ხდება მისანი. გერმანელთა ზიგფრიდ ვეშაპის სისხლში ბანაობს — მისნად იქცევა. იქ გველი, აქ ვეშაპი, მითოლოგიურად ერთი და იგივე: ვამბობთ ხომ ქართველნი „გველეშაპი!“ იქ „ხორცი“ — მინდია სკვამს მას, აქ „სისხლი“ — ზიგფრიდ ბანაობს მასში. სხვაობა სულ მცირე. რომელ ჭკუთამყოფელს მოუვა თავში კითხვა: ქართველებმა „შემოიტანეს“ ეს მითითური ხტილი გერმანიითაგან, თუ გერმანელებმა „გაიტანეს“ იგი საქართველოდან? მეორე მაგალითი, კიდევ უფრო ნათელი. ზიგფრიდის „ბეჭეტი“ იგივეა რაც აქილოლესის „ქუსლი“. „იმპორტექსპორტის“ ხაზით რო ვიკვილიოთ ეს, მაშინ უნდა გვე-

\* წერილი გადმობეჭდილია გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებთა კრებულიდან, კარლო ინსარაძის გამოცემა: მიუნხენი, 1984 წელი. იგი დაწერილია 1949 წელს, მაგრამ არ არის მითითებული როდის და სად დაიბეჭდა. კრებულის წინასიტყვაობაში გამოცემელს მოყვანილი აქვს ციტატა „სათავეებიდან“ და იქვე მითითებს — „ბ. ქ.“ 1964. (წინასიტყვაობა გვ. 86) — მაშასადამე „ბედი ქართლისაში“. კრებული გამოგზავნილია პარიზიდან ს. ფანჩულუძის მიერ და რედაქციის მოაწორა რ. ლომინაშვილმა. — რედ.



ფიქრა: ან გერმანელებს უნდა მოეტანათ ის „ქუსლი“ კონტრაბანდით საბერძნეთითგან და „ბეკად“ გაესაღებიათ, ან და ბერძნებს უნდა მიეღოთ „ბეკი“ გერმანეთითგან (იყვენენ კი მაშინ გერმანელები?) და ბაზარზე „ქუსლად“ გაეტანათ.

ვიეთნს შეუმჩნევიათ: „რომ იმპორტექსპორტი“ აქ ფონს ვერ გახვალ — გამოუგონიათ სხვა მეთოდი: „მოტივები მავალნი“. ეს „მოტივები“ დაყალიბდნენ ალბათ, უნდა ვიფიქრო ასე, ვითარ ბატები. ხან აქ მოექცევიან, ხან იქ, ვაჰყვიან ერთსა და იმავეს: „ბაატ“, ხოლო სხვადასხვა ვარიანტით, ანუ შეხმატებილებით ქილოსთან იმ მხარისა, საცა მოხვდებიან.

ასეთნი „მკვლევარნი“ მაგონებენ იმ საარაკო მოგზაურს, რომელსაც შემთხვევით ერთი უცნობი კუნძული აღმოუჩენია და გაოცებულა თურმე, როცა კუნძულზე მცხოვრებთ შეკითხვაზე „ორჯერ ორი რამდენიაო“, „ოთხიაო“ მიუვითა. „კაცო საიდან შემოიტანეს ესო?!“ არ ვხუმრობ. თუ რა ამოტივტივდება ხოლმე მეცნიერებაში ხანდახან ამის სააშკარაო გამოსაყვანად ერთი მაგალითი, მართლაც საარაკო. ერთს ჭკუათმყოფელს უკვლევია, თუ საიდან წარმოიშვა იდეა „სამერთარსებისა“: მამა ღმერთი, ძე ღმერთსა, სული წმინდა. უკვლევია, უკვლევია და ბოლოს, საშინელი ჰაპანწყვეტის შემდგომ, კვალი აღმოუჩენია: ალბათ ერთხელ საღდაც სამთავიანი მონსტრი დაიბადაო და აქედან იდეა „სამერთარსებისა“. არ გჯერათ? მკვლევარი: გეორგ ვილჰელმ ნაკვალევი: „დი რელიგიონ დერ ინდოგერმანენ“, ლეიპციგი, 1923.

ვატყობ, გადავუხვიე ოდნავ. კულტურის მკვლევართ ერთი რამ უნდა ახსოვდეთ: ადამიანთა „არსი“ ერთია ყველგან და ყოველთვის, ხოლო „სახე“ მათი ნაირნაირი. ვინც ამ ელემენტარულ ქეშმარიტებას ვერ წვდება, იგი, ცხადია, ან „იმპორტექსპორტის“ გზით ივლის კულტურის კვლევასას: ამაოღ, ან და იმ „ბატებს“ გაყვება სასაცილოდ.

2.

ჩვენში გავრცელებული აზრი: საქართველოში სიმბოლიზმი რუსეთიდან „შემოიტანესო“ და რუსეთში კი საფრანგეთიდანო. „კეთილი და პატიოსანი“. ანდრეი ბელი

სიმბოლისტი იყო რუსეთში. აგერ, მიხედვით მისი რომანი „პეტერბურგი“. მზგავსის სიმბოლისისა არა თუ ფრანგულ სიმბოლისტურ ლიტერატურაში, მსოფლიო ლიტერატურაშიც არ მოიძებნება. ალექსანდრე ბლკი — სიმბოლისტიდ ითვლებოდა იმავე რუსეთში. მაგიდაზე მიღვეს მისი პოემა „ოთმრეტი“ და შაირთა რვეული „პრეკრასნაია დამა“. ეგებ ვინმემ მომიხახოს ფრანგულ სიმბოლისტურ პოეზიაში მსგავსი რამ ამისა! ძებნა ამაოდ ჩაუვლის.

ეს რუსეთში. საქართველოში? ჩვენი ეურნალის ამავე რვეულში იბეჭდება შაირი პაოლო იაშვილისა „არგვეთის ღამეები“, შაირი ერთად ერთი, რომელიც აღმოჩნდა ჩემს ქალღლებში. ვინ მონახავს ამ შაირის მზგავსს რუსეთის სიმბოლისტურ პოეზიაში? ვერავინ! შეიძლება პაოლომ ეს საფრანგეთიდან „შემოიტანა“ კონტრაბანდით? გადაფურცლეთ: ბოდლერი, რემბო, ვერლენი და სხვანი — თუ იხილავთ მათს შაირებში, „მზგავსი“ რაა, „ნასახსაც“ პაოლოს შაირისა?! ერთს სტრიქონს, ერთს სახეს, ერთს ხვეულსაც ვერ მონახათ! მეტს ვიტყვი კიდევ: მსოფლიო ლიტერატურაში მე არ მეგუღვლება ერთი მეგონანიც კი, რომელსაც მთვარე არ აეხატოს — ამავე დროს არ მეგუღვლება ერთი შაირიც კი მთვარისა, რომელსაც შეეძლოს პოეტური სახეობით გაეტოლოს პაოლოს შაირს. ეგებ ვინმემ მომიძებნოს ასეთი! ხოლო ეს უკვე „დღფასებაა“ და ეს კი სხვა საკითხია.

„რაშია მაშ საქმე?“ ჩვენში დღემდე ვერ განუსხვავებიათ „სიმბოლური“ „სიმბოლისტურისაგან“ — სამწუხაროდ. პოეზია „სიმბოლურია“ იმთავითვე: არა-სიმბოლური პოეზია ქვეყანაზე არ ყოფილა და არც იქნება დაუგდეთ ყური ვაჟას: „ჭერ თუ არ გაუღვიძნია (მთვარეს), ისევე თუ სძინავს მკლავზედა“, „ლაშარის ჭვარი ჩამოვა, ყელზე ჩავიდებს შანასა“; „იმათ წყალს დაუბანია თამარის ტურფა თვალნია“ (იმათ: არემარეთ); „თამარ დედოფლის ნაკონი ბეჭდად უსვიხნალზედა“ (ჩამოსქდა ცრემლი); „მეც მივიფარე თვალებზე ხელი“; „ალალიც ამაზედ არის, ნანა და ძეძუ დედისა“ (რა სისათუთე და სინაზეა); „დიდება უფლის სახელსა, რაკაი საქმე მომხდარა“ (უმეგალითო სადასიტყვა, ეგზომ მეტყველი) „დიდება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგი დაუწერია“ (ადამი თუ



იტყვოდა ამას ედემის ბაღში ასე „პირვანდელურ“). აქ უნდა შევჩერდეთ.

ცნობილია ამბავი, როცა ილიას მისვლოდა „ივერიაში“ პირველად ერთი რომელიღაც შაირი ვაჟასი, ეთქვა თურმე დიდს მამულიშვილს: ეხლა კი უნდა გავავდოთ ხელიდან კალამი მე და აკაკიმ. ხედავთ, როგორ გახარებია მძლეობა თანამემამულესი! ეხლა ხომ აღარავის მოეჩვენება ჩემი თქმა ვადამეტებულად, რომ ილია „კარდუს დიდი მოურავია!“ მოურავს არ უცნევია, თუ რაში გამოიხატობდა სიდიდე ვაჟასი. ამის ცნება ბედმა მე მარაგუნა. ვაცნე ეს ქართველობას ორმოცი წლის წინათ — ვაცნე ისე, რომ ვაჟას მოვლინებისას არც ილიას უნდა გავედო კალამი ხელითგან და არცა აკაკის (ილიას თქმა ჰიპერბოლა იყო, რომელიც თანახლავს ყოველთვის ნამდვილ გახარებას). დღეს ვინ არ ადიდებს ვაჟას?! ილიას სიტყვას. ჰო, კიდევ მოიგონებენ ხოლმე „გაკვირით“ — ჩემსას არც „გაკვირ“! ამით მე, ცხადია, არა დამაქვლდება რა. გარნა სავალლო ისაა, რომ „მადიდებელთ“ ხელში ჩემი მეთოდი ვერ მოუმარჯვებიათ, თუ გინდ ანონიმურადაც. მეთოდი, რომლის საშვალებით შესაძლოა ვაჟას ფესვეული განფენა. „განდიდება“ ვაჟასი მათს სიტყვაში რჩება მშრალ სიტყვად.

კვლავ საგნისაკენ. ვაჟას პოეზია, როგორც ყოველი ნამდვილი პოეზია, „სიმბოლურია“, თუმცა თვითონ იგი „სიმბოლისტი“ არ ყოფილა. აქაა მოქცეული სხვაობა „სიმბოლურისა“ და „სიმბოლისტურისა“. როცა პოეზიაში სიმბოლო — ეს წყაროსთავალი შემოქმედებისა — მიღების, ამოშრეტის გზაზეა მიმდგარი რომელიმე ლიტერატურაში, მაშინ ვინმე მგზნებარე მგოსანი ცდილობს: „გააღვიძოს“ სიმბოლო, მისცეს მას სიცოცხლის ძალა, უცეთ: დაუბრუნოს მას იგი. „ცდილობს“. „ცდილობს“ რასმე ნათქვამში თუ ნაწერში, „ცდა“ ყოველთვის „კურსივით“ გიხდება: ხაზგასმით. აი ასეთი „ხაზგასმა“, პოეზიაში მეთოდურ გაყვანილი, ნიუანსს ავლებს „სიმბოლისტურის“, განსხვავებისათვის „სიმბოლურისაგან“, ამ შემთხვევაში, მოუძღვრებულისაგან, და ამრიგად: ვითომ კიდევ „მოდველებულისაგან“ „სიახლე“ „ძველს“ ყოველთვის ამ ფსიქოლოგიური მომენტით ეომება: თითქოს უკანასკნელი სრულიად „აღარ ვერაგოდეს“. ასე მოხდა საფრანგეთში,

ასევე მოხდა რუსეთში, ასევე საქართველოშიც. როცა „ომი“ გათავდა — დააკვირდით ამას — „ახალის“ გამყვანნი მაინცა და მაინც აღარ გამოდევნებინა „სიმბოლისტობას“.

მატიანესათვის, ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფი, „ცისფერ ყანწელებად“ ცნობილი. თაოსანნი: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. ვაფრინდაშვილი. ჯგუფი აგებული ვითარ „ორდენი“. ძმობა: პოეზიით წარმოშობილი, არა პირუკუ. უმაგალითო ამბავი მსოფლიო ლიტერატურაში — ქართველთ შეუძლიათ ამით კიდევ იამაყონ. ჯგუფმა გასძლო 20 წელი — ესეც გულხმეირი ამბავი.

მე ვიყავ „ყანწელებთან“ მხოლოდ როგორც მეგობარი უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი. ხაზს უსვამ: მხოლოდ. რისთვის? რათა აღენიშნო, რომ ჩემს შემოქმედებაში იყო გაგულვებულ „სიმბოლოსთან“ ერთად „მითვისიც“. გარდა ამისა. მე იმთავითვე ვიცოდი, რომ „ხაზგასმა“ ხელოვნებაში, რბილად რომ ვთქვათ, სახიფათო რამაა. აქა ერთი დეტალი მრავალმეტყველი. 1918 წელს გამოვაქვეყნე რუსულ ჟურნალში „არს“, ტფილისში, ვრცელი წერილი სათაურით „Грузинский модернизм“. დამავიწყდა ეგებ სახელდება „სიმბოლისტი“, ან შემთხვევით არ ვიხმარე იგი? წარმოუდგენელია. „მოდერნიზმი“ განზრახ არის იქ ნახმარი, რათა ამ „ჩაწვეთებით“ მენიშნებინა, რომ „სიმბოლისტურს“ თან ახლავს საცდური დასაძლევნი. ვფიქრობ, ბევრსაც დავეხმარე ამ „დაძლევაში“.

„ყანწელების“ შემოქმედებას მრავალნი უცხოეთიდან „შემოტანილად“ რაცდენენ. ვიეთნი დღესაც ასე თვლიან მას. „შემოტანილი“ რომ არაა, ეს საქმოდ ნათელსვავი. დავუშვათ: „სათესლე“ შემოიტანეს, თუმცა არც ეს იქნებოდა მართალი. დავუშვათ ერთი წუთით. კითხვა იბადება თავის თავად: დახვდა თუ არა „სათესლს“ შესაფერი ნიადაგი, „შესაფერი“, ამ სიტყვის პირვანდელი ანუ ელემენტური მნიშვნელობით. „ბურგუნდის“ ვაზი, მგალითისათვის, საფრანგეთითგან უნგრელებს უნგრეთში წაუღლიათ, იქ დაუტრავათ — „ბურგუნდის“ ღვინო კი დღემდე ვერ მოუყვანიათ. ესევე ბედი ეწვია „ყანწელთა“ ჰიპოთეტიურ „სათესლეს“? ავამეტყველოთ აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფაქტი. არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო მგოსანი, „არა ყანწელი“, რომელსაც

„ასე თუ ისე“, იმგვარადვე არ დაეწყოს შაირის გამართვა, როგორც ეს „ყანწელებმა“ შემოიღეს. თითქმის არც ერთი! კიდევ მეტი: დღესაც ვერავინ მართავს შაირს სხვაგვარად. ვერავინ! რით აიხსნება ეს თუ არ იმით, რომ „სათესლეს“, „ყანწელთა“ — ვიცით: თუ ვინღ „შემოტანის“ — „ნიიდაგი“ ქართული ლიტერატურისა ისე დახვედრია, როგორც გოლგით ამომშრალი მიწა ამაცოცხლებელ თქორს?!

არავის ეგონოს, ვამტიციებდე: „ყანწელთ“ ფეხი არ აცდენოდეთ. ამგვარი „მარგალიტი“ მრავალი მოეპოვება მათ:

„სილაში ვარდი“ — „სილაჟვარდ“.

ანდა: „გრძელი მონტევიდო

მოკლე ხელთათმანებით“.\*

ვამბობ „ამგვარი“, რადგან — არ დაეფეთოს მკითხველს — რადგან ავტორი ამ „მარგალიტებისა“, არა „ყანწელი“, ფალავანადაც გამოჰყავდათ წინააღმდეგ „ყანწელთა“!

4.

ეხლა შევიდეთ ჩემს „ლაბორატორიაში“. აჰ, როგორც აღვნიშნე, „სიმბოლოსთან“ ერთად „მიითოსიცა“. ენაც „სიმბოლო“ და „მიითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. ვგულისხმობ „მკვლევარს“ და არა „მკითხველს“. „მკითხველი“ ხშირად უშუალო განცდით უფრო ორმად წვდება რომელიმე ნაწარმოებს, ვიდრე აპარატებით დამძიმებული „მკვლევარი“.

„სიმბოლო“ ჩვენში აქ თუ იქ იხმარება როგორც მშრალი ცნება, „მიითოსი“ კი „იწილობიწილო“ ჰგონიათ გადასულ ხანათა, „პრიმიტიულთა“. შესაძლებელია ვცდებოდეთ. ეგებ „ნაკვლევიტიც“ გამოაქვეყნეს ამ საგნის ირგვლივ ან იქ, საქართველოში, ან აქ უცხოეთში! ვინ იცის? მე ეს არ ვიცი. ჭერჭერობით ეს ვიცი მხოლოდ, რომ ქართულს „მცოდნეობაში“ ლიტერატურისა ხანდახან ასეთ „კურობებს“ ამოუყვით თავი, რომელიც უცხოელთათვის სირცხვილის გამო ვერც კი გამიხსელია. ქართველთა წინაშე კი საჭიროა ორი „კურობი“ მინც ვასენო, პირველი შორეულია. ერთს მგოსანს — რო-

მელსაც მის პაწა პოეტურ სამთავროში პოეტისა ეხლაც მაესტროდ ვთვლი და ახლაც გობრული გრძობით ვიგონებ შაირიდან ერთი რეასტრიქონიანი შაირი სონეტად გამოცხადებინა. გამოწყრა ღმერთი და ერთს მიმოხილვაში ღმილით „ჩაგაწვეთე“: თუ არ იცის, თუ რამდენსტრიქონიანი უნდა იყვეს სონეტი, ენიციკლოპედიურ ლექსიკონში მინც ჩაიხედოს-მეთქი. ასტეხა დავა — თურმე ამაზეც შესაძლებელი ყოფილიყო კამათი საქართველოში — ასტეხა დავა და მერე რა დავა! ეს კიდევ არაფერი. წარმოიდგინეთ: ამ დავაში მას სხვებიც აქეზებდნენ, რიგი ამკარად, ზოგი „ქვეშეკვე“.

მეორე „კურობის“ პარიზში ჰქონდა ადგილი. 1943 წელს გეაცნობეს ქართველებმა პარიზიდან, ლიტერატორებმა რასაკვირველია: ერთმა ფრანგმა პოეტმა, გვარი აღარ მახსოვს, რუსთაველის დაქარგულნი შაირნი აღმოაჩინა არაბულად თარგმნილნი და არაბულიდან ფრანგულად გადმოიღოვთ. გვამცნეს ზემით, წერილებიც მოთავსეს: ერთი პარიზის ჟურნალში, მეორე ბერლინისაში. წიგნი „აღმომჩენისა“ იმავე წელს ჩამიყარდა ხელში. წავიკითხე — „გავში კაცი!“ „აღმომჩენაში“ აღმოჩნდა: „თარგმანთან“ კი არ გვექონდა საქმე, არამედ „მიმზგავსებასთან“, რაიცა აქა-იქ გვხვდება მსოფლიო ლიტერატურაში: „«Подражание Анакреону» პუშკინისა, მაგალითად, ან და ჩვენში რომ იტყოდნენ: ამისა თუ იმის „ხმაზო“. შემდეგ ისიც გავიგე, რომ ბარათთაც მიემართნათ „აღმომჩენისათვის“. წარმოდგენილი მაქვს, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდნენ ავტორს! პასუხს უთუოდ მოიწერებოდა — რად არ გამოაქვეყნეს ამდენ ხანს?! შესაძლებელია, ვცდებოდეთ. თუ ვცდები, ორმაგ გავიხარებ: ჭერ ერთი, სირცხვილს ადგილი აღარ ექნება და მეორე, იმ შაირებს მივიჩნევ როგორც ნაყოფს რუსთაველისა, თუმცა — აქ ერთი „თუმცაა“.

ეს „კურობი“ სხვა მიზნითაც მოვიყვანე. ამ ორი თვის წინათ, დავით ყურულაშვილის პარიზულ ქართველთა სათვისტომოში გამართულ მოხსენებაზე ზოგიერთნი შეჰკამათებთან მომხსენებელს ჩემი სახელის ირგვლივ უნდა ვიფიქრო, რომ ეს „ზოგიერთნი“, რომელთა არც გვარი ვიცი და არც სახელი, ლიტერატურის მცოდნენი არიან ალბათ, და,

\* ციტატა ვალ. ტაბიძის ლექსიდან მოყვანილია არასწორად. დედანშია ..... „ლურჯო მონტევიდეო ვიწრო ხელთათმანებით“...

თუ ეს ასეა, მიკვირს, რად არ ააცილებს სხვებს ის „კურონი“?! ან და — მკითხველს ვანდობ თვითონ დააბოლოვოს ფრაზა.

5.

1940 წელს გერმანიაში გამოვიდა წიგნი: „Duchter schreiben über sich selbst“. ავტორები დიდერისის გამომცემლობისა — რიცხვით 20, მათ შორის მეც — მოუთხრობენ მკითხველთა თავიანთ ლიტერატურულ ვინაობას. მკაფიოდ მოცემულია იქ ჩემი კონცეპტი სიმბოლოსი და მითოსის. გაგაცნობთ კონცეპტს ქართული მთარგმნების ჩამატებით.

„თვალი ჩასულა მტევანში“. ეს თქმა ხშირად მომიყვანია როგორც გასაშტერებელი ნაყოფი ქართული გენისა. მოყვანილი ყავს იგ. ჭავჭავიძისა და მევენახეობის წიგნში. „თვალი ჩასულა მტევანში“ — ამას ამბობს მწიფე ყურძნის მიმართ მევენახე ქართველი. აქ „თვალიც“ რეალობაა, „ჩასვლაც“, „მტევანიც“. ხოლო, ეს რაა: თვალი ჩასულა მტევანში? ალბათ იგულისხმების სხვა რეალობა, ფაქტობრივად: უფრო ღრმა და უფრო აზრიანი. რომელი? გოეტტეს ინტუიციით, რომელიც ანაოყირებს ჩვენი ღრვის ბუნების მეტყველებას, არსი სინათლისა იმავითა, რომ სინათლეს წამოეზრდის თვალი. ეს ხილვა „გაკერით“ პლატონსაც აქვს გამოთქმული. ეხლა ჩაუკვირდეთ ქართული გენის ხტილის სიტყვათა წარმოშობაში. იგი ერთს მუხლში ასე ცხადდება: „მზე“ — „მზერა“: „მზე მზერს“. მაშასადამე, იგი „თვალია“. მაშასადამე, თქმაში „თვალი ჩასულა მტევანში“ „თვალი“ მზეა. აი ფარული რეალობა. „თვალი“ აქ სიმბოლოა მზისა. მეორე. „თვალი“ — „მზე“ იქ, იმ თქმაში, მოძრაობაშია: მზე თვალად ისხმის მტევანში და თვალურ ავსებს მას, ამწიფებს. ეს პროცესია, ამბავია. ამბავი „მითოსია“ აქ, მითოსი მზისა და მტევნის ურთიერთქცევისა. აი რა არის „სიმბოლო“, აი რა არის „მითოსი“.

ზეპიროვნულ არეში სიმბოლო და მითოსი თავის თავად იშვიან, სიძნელეს იქ ადგილი არ აქვს. პიროვნულ არეში კი მათი წარმოშობა ძნელი რამაა. ავიღოთ სიმბოლო. ვთქვათ, პოეტმა მიაგნო სიმბოლოს საგნისა. აძლიერებს იგი „სიმბოლოს“ — მაშინ „სა-

განი“ იჩქმალება, ხანდახან მთლად ჰქრება და „სიმბოლო“ გამოდის უხორცო და უსისხლო: (ეს საფრთხე თანსდევს „სიმბოლოს“ ტურ“ პოეზიას). გაშლის პოეტი „საგანს და „სიმბოლოს“ თანაბარი სიძლიერით, ხოლო ისე, საგანი „აქა“ და სიმბოლო „იქ“, მაშინ იშვის პარალელიზმი: „სიმბოლო“ გამოდის როგორც „ილუსტრაცია“: (ეს საფრთხე, კიდევ უფრო საზიანო, თანსდევს ყოველგვარ პოეზიას: როგორც „სიმბოლოს-ტურს“, ისე „სიმბოლოს“, უფრო კი უკანასკნელს). ხელოვანის საქმეა სძლიოს ეს ორმაგი სიძნელე. თუ შესძლო მან საგანში ხილული და საგნისაგან გამოყვანილი „სიმბოლო“ უქუაბრუნა საგნისაკენ და კვლავ „საგანად“ აქცია იგი, მაშინ ავტორი გამარჯვებული გამოდის. მხოლოდ და მხოლოდ „მაშინ“.

თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვან აქ ერთს ადგილს რომანიდან „მცველნი გრალისა“. ცოტა უხერხულად ვგვძნობ თავს როგორც ავტორი, მაგრამ რა ვქნა — სწორედ ეს ადგილი მესახვის როგორც უფრო სახელდახელო.

მცველი გრალისა, ერთი ორთავან, გარდაიცვალა. დედამ ეს ჭერ კიდევ არ იცის. გარდაცვალებულის ხსოვნა გულისხმიერ აღინიშნა ტფილისში. ქვემოთ ციტატა.

„იმავე დამეს, არა-შორ ტფილისიდან, სოფელში, ერთმა მოხუცმა ქალმა იხილა სიზმარში მისი პაწა ბავშვი. ძუძუს წოვდა მისას. უეცრად გამოეღვიძა. იგრძნო სიმწარე: ჰე, დიდი ხანია, ძუძუნი მისნი მკნარნია და ამოშრტილნი! კვლავ ჩაეძინა. ეხლა ეზმანა: პაწა ბიჭი სვამს სასმელს თასითგან, რომელიც კივლავ ვითარ ვარსკვლავი. გამოეღვიძა კვლავ, ეხლა ერთ ველარ შესძლო დაძინება. წამოდგა, გავიდა ეზოში, შეერთო ცალიერ დამეს. აიხედა მალლა ცისკენ ოცენბაში გადასულმა. ერთი ვარსკვლავი ეკიდა ცას, ვით თასი სხივსავსე, სულ ახლო, ახლო, რამოდენიმე წუთს მზერდა განაბული მოხუცი ვარსკვლავში წმინდა გრალს, რომლის ირგვლივ სმენილი მას ბავშვისათვის ზღაპრულად უამბნია ხოლმე. „ნეტავ რას იქმს ამ წუთს საყვარელი?“ ელვად გაუზრბინა ფიქრმა. „ეგებ ამ წუთს იგიც მზერს მომზილავ ვარსკვლავს?“ ფიქრი გაიფანტა წამსვე. ამბავი ლევანის, მისი ვაჟის, მიცვალებისა დედას ჭერ კიდევ არ მისვლოდა“.

აი ის ადგილი, განზე დავტოვოთ თვითონ კომპოზიცია: შვილის სიკვდილის გაგება დედის მიერ რომანში არაა მოთხრობილი — აღწერილი სცენის წაკითხვისას მკითხველი დაუწერელსაც წაიკითხავს: იგრძნობს, თუ რა მწუხარება უნდა განეცადა საცოდავ დედას, როცა მას ამბავს მოუტანდნენ. აქ სხვა რამ მსურს აღვნიშნო, ჭერ „ძუძუ“; ბავშვი სწოვს. ძველად წმინდა თასს ქალწულის ძუძუზე ჩამოასხამდნენ ხოლმე თხისსაგან: შინაგანი შესიტყვება — „ძუძუ“: „თასი“ — ნაგზნობია. შემდეგ: „ვარსკვლავი“ — თასი: ბავშვი სვამს — „ძუძუ“ გადადის „თასში“, „თასი“ გადადის „ვარსკვლავში“. ეხლა: „ვარსკვლავში“ იელვებს „გრალი“, იგიც ხომ თასია ნათელმფრქველი: „ვარსკვლავი“ გადადის „გრალოში“. ძუძუ, თასი, ვარსკვლავი, გრალი — რეალობანი არიან აქ, ამავი დროს ხატებანიც. ძუძუ, თასი, ვარსკვლავი, გრალი — ერთიმეორეში გადადიან, გადასვლისას ერთიმეორეში იხატებიან, იხატებიან სახეობით, ვის უელვებს აზრად: „ხატი“ ვლინდებოდეს აქ ან მქლედ ან და ილუსტრაციად? არავის! კვერტ „რეალურს“ — წამსვე „სიმბოლურად“ იქცევა: ხედავთ „სიმბოლურს“ — მყისვე „რეალურად“ გაბოდის. ორმაგი სიძნელე იგი დაძლეულია.

„მითითრი“. მითოსი კოსმიური ამბავია. „Evenement“, კოსმიური და არა „ისტორიული“. სალუსტიუსი — ეგებ გაგეგონოთ: ძველი რომაელი ავტორია — ეხება ატიისის მითოსს. ეუბნება მკითხველს: „ეს არ ყოფილა, ხოლო არის ყოველთვის“. აი ზედმიწევნილი ფორმულა მითოსისა. უხსოვარ დროში სალუსტიუსის დაბადებამდე, ქართველი დედა მოუთხრობდა შვილს: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი“. ხედავთ, ქართველ დედას მითოსი სალუსტიუსამდე გაუგია, სწორად: ქართულ გენიას. გოეტზე ასე ათქმევინებს ვილჰელმ მაისტერს მგოსანზე: „და აი იგი ცოცხლობს სიზმრით სიცოცხლისა ვითარ ფხიზელი“.

ათას წლებს იქით გოეტზე მოვლინებამდე ქართველმა გენიამ გამოსკრა პლასტიურად: „თვალთა სიზმარი“. ხედავთ, ქართველთ გოეტზემდე მიუგნიათ ამ საიდუმლოსათვის. გოეტზე აგრძელებს: „და უიშვიათესი: რაც ხდება, მისთვის (მგოსნისათვის) წარსულიცაა და მომავალიც“. დაეუბრუნდეთ სალუსტიუსს. „არ ყოფილი, ხოლო მუდამ მყოფი“ —

ეს მარადი მყოფადია. აქ წარსული და მომავალი ერთიანად იქცევა. მგოსნისათვის, ანუ ხდება, წარსულიცაა და მომავალიცო. ზეისტორიული რეგიონებიდან, სალუსტიუსის და გოეტზეს შობამდე, კარდუ მეტი სიღრმით აცნაურებს მარად მყოფადს. ქართველნი ვიტყვი, მაგალითად: „ვექმნიდ“. ეს არაა არც წარსული: „ვექმნ“, არც აწმყო: „ვექმნი“, არც მომავალი: „ვექმნი“. ხტლი ქართული ზმნისა მოქროლვით ანოშნებს აქ „მარად მყოფადს“. მეორე: ზმნისაგან „ყოფნა“ ორმაგ ვლინდება წარსული: „ყოფილი“ — „ნაყოფი“. „ყოფილი“ იხრება ზედშესრულისაკენ, „ნაყოფი“ სახელარსებითისაკენ. ეხლა სხვა სხვაობა, უფრო მნიშვნელოვანი. „ყოფილი“: ერთხელ არსებული და სამუდამოდ გადასული; „ნაყოფი“: ასევე გადასული, ხოლო ეამყოველ მოსული. „ნაყოფი“ — ამ უგენიალესი სიტყვით, არა მარტო ქართულში, „მარად მყოფადი“ გამოჭრილია ვითარ კოსმიური მედალიონი. და ბოლოს სასწაული ნამდვილი. რას ვეძახით ჩვენ მაგალითად „ხილს“? „ნაყოფს!“ რა უნდა იყოს კიდევ სხვა რამ ქვეყანაზე როგორც, „მარად მყოფი“ შედარებით „ხილთან“, რომელიც მარად იშვის?! პლატონს რომ ეს სცოდნოდა! ჰვე, რა იქნებოდა!

„საგნის“ ქცევა „სიმბოლოდ“ ძალიან ძნელია. კიდევ უფრო ძნელია „ამბავის“ ვლინება „მითოსად“. რა რიგ გამოიცნობის, სძლია თუ არა ხელოვანმა სიძნელე? სულ ადვილად. ვთქვათ, კითხულობ რომელიმე რომანს, საცა მოთხრობილია, ვთქვათ ესეც, სრულიად უბრალო ამბავი, ამბავი ყოველდღიური. თუ გრძნობ კითხვისას: თითქო იქ შენი საკუთარი განცდაა მოყოლილი და იმავ დროს — და ესა თავიდათავი — ამასაც თუ გრძნობ თანვე: თითქო „მომხდარი“ უკვე სადღაც და ოდესღაც მომხდარიყვეს — იცოდე, რომანი „მითითრია“.

6.

აი ჩემი კონცეპტი. ჩემს ლაბორატორიაში ეს კონცეპტი „მეთოდია“, ქართულად: გეზი. ეხლა გეკითხებით: „შემოტანილია“ ეს კონცეპტი, ან „ნასესხები“? მგონია, შეკითხვად ზედმეტია. რას იტყვის აქ სიმართლის ერთგული განმხილველი? აი რას! სიტყვა-სიტყვით: ავტორს ამ კონცეპტისა „ზიარება“

მიუღია; „ზედაში ყოფილა: ევროპაც და ქართული მიწაც; თვითონ „ზედაში“: ქართული ელემენტები უფრო მეტი ვიდრე ევროპული; „ელემენტები“: პირველი უფრო ღრმა და მხვედრი; „ზიარება“ თვითონ: სრულიად განსაკუთრებული.

## 7.

რა წარმოიშვა ამ ლაბორატორიაში? „ლონდა“, „ქარღუ“ (მისტერია, ხელნაწერი საქართველოში დამრჩა), „გველის პერანგი“, „ლამარა“, „ჩაკლული სული“, „მეგი“, „კავკ. ნოველები“, „ქალღმერთის ზახილი“, „მცველნი გრალისა“.

1. „გველის პერანგი“. შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვს, დაეძებს დაკარგულ მამას; „მამის“ ძებნაში იძვრის თანდათან, მეტი და მეტი სიმძაფრით, შორეული ფესვი: „მამული“; „მამულის“ ნახვაში იელვებს ხანისხან: თაური ყოვლისა, „მამა“ უზუნაესი. ერთი რკალი მოიცივის მეორეთი, მეორე მესამეთი — აქ „მოცვა“ სრულდება. გმირის თავგადასავალი: გარეგან — წინსვლა, შინაგან — უჟუჟქევა. განცდა: „ნაყოფი“ — „მარადი მყოფადი“.

2. „მეგი“. სამეგრელო — საქართველოს ძველი კუთხე: კოლხეთი. ხილი: „ნაყოფი“ — მედეა. მედეა — მეგი. მედეას მითოსი ხორცს იხსამს მეგრელ ქალწულში: ცენდება ვითარ მცენარე.

3. „ქალღმერთის ზახილი“. სვანეთი. დალი — ტყის დედოფალი. დედოფალი ერთსა და იმავე დროს მითიური ქალიცაა და რეალურიც: ორმაგობა. თვითონ ორმაგობა: მითიური წამსავე რეალურში გადადის, რეალური მყისვე მითურში. შენიშვნა: ყველაზე უძნელესი სიძნელე, რაიც კი შემოქმედებისას შემხვედრია.

4. „მცველნი გრალისა“. „თვალი ჩასულა მტევანში“: ქვეფენილი თაური, რომანის „ენგადან“, წყაროთა თვალი. იმ ვაზის ლურწებიდან, რომელთაც ეს „მტევანი“ გამოუსხამთ, ქალწულ ნინოს ჭვარი გამოუჭრია და იგი თავის თმებით შეუხვევია. მითიური წვეთი: უამსა ბედის თავდატეხისა ვაზის ჭვარს მტევნები გამოუღია. ზედაში ამ მტევნებიდან რაინდებს შეუწახავთ თასით. თასი „გრალი“ არის: საქართველოს გული. გრალი „მცველთა“ ხელშია. „წვეთი“ დიდდება უჩინარად. მოთხრობილი ამბები „ღვარია“ მისი.

5. „ლამარა“. „ჭვარი“ და „ხრმალი“ ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა. „ჭვარი“ — სიწმინდე მისნური, „ხრმალი“ — შემართება რაინდული. დრამა ორმაგ ვითარდება. „ჭვარი“ და „ხრმალი“ ერთიმეორეს ეუღლებიან — შეუღლებულთ გააქვთ „ლელო“.

ქმარა! მრცხვენია რომელიმე ქართველს შეეკითხო: „უცხოა“ ყოველი ეს? „სხვისა“ ყოველი ეს? მრცხვენია როგორც ქართველს, მრცხვენია. დაუფუნვით დაუსაშვები, ვთქვათ: „უცხოა“ ან „სხვისა“. მაშინ ვინ ახსნას — მოვიყვან მხოლოდ ერთს მაგალითს — ვინ ახსნას განსაცვიფრებელი მოვლენა, რომ „ლამარა“ მთელი საქართველოს „გულისცემად“ გადაიქცა?! თუ ჩემი არ გჯერათ, შეეკითხეთ ევროპაში დარჩენილ ტყვეებს ქართველთა: ისინი მოგიხიბრობენ. ძალიან ვეჭვობ, სხვა ერებს ისეთი ნაწარმოები მოიპოვებოდეთ, რომელიც ასე შეჭრილიყოს ხალხის გულში, უფრო სწორად: მის „გულად“ ქცეულიყოს.

რით ახსნება ასეთი მოვლენა? მკვლევარი, რომელიც ერთგულია სიმართლისა, იტყვის: ავტორს გულით განუცდია სამშობლოს გული, ეს ერთი, და, მეორე: განცდა, მას, როგორც ხელოვანს, „გულადვე“ უქცევიაო. ერთმა გერმანელმა მწერალმა ერთს ჩემს ნაწერზე სთქვა: აქ ყოველი სიტყვა და ყოველი სახე მოსდევს ერთიმეორეს, როგორც ხის ზრდისას ცილი ცილსაო. „გაგონილა ასეთი თავის ქებაა?!“ მესმის, ზნორად მსმენია. აქ უნდა გადავუხვიო.

## 8.

ვამბობ ჩემ თავზე რამეს „საქებარს“ — მესმის: ეგ სხვამ უნდა თქვასო. მოვიყვან სხვების ნათქვამს „საქებარს“ — მესმის: ეგ სხვას უნდა მოეყვანაო. აღარ ვიცი, რა ვქნა. ერთი რამ მაოცებს. ომის დროს ვხვდებოდი ქართველ ტყვეებს: ჩემს ვაჟებსა და ჩემს უმცროს ძმებს. მოხსენება გამიმართავს, ხან ამ ბანაკში, ხან იმ ბანაკში. მითქვამს ჩემს თავზე რაიმე „საქებარი“ ან და მომიყვანია სხვების ნათქვამი ჩემზე „საქებარი“, ყოველ ასეთს ცნობას ტაშის გრიალით ხვდებოდნენ: უხაროდათ! რატომ არავის უთქვამს: „თავს იქებსო“?!

მეორე, შესაძლოა აქ ჩვენ სხ, და სხ. ენა-

ზე ვლადპარკობდეთ. მე ამნაირად მისმის „თავის ქება“. მოგვიყვებით ერთ სცენას. გლენის ერის ჯგუფში ერთი, დავარქვათ სახელად „კიკოლა“, სხვებს რაღაცას უყვება. კაცი ნამლევაა, ხოლო კილო კი „დიდრაჯასი“ აქვს. ამბობს: „რო წამოვდექე, კაცო, გარდაქეშანივით“. სიცილი და ხარხარი: ხმა გაესმის: „ეგებ ბაყბაყ დევივით, კიკოლა?!“ კიდე მეტი სიცილი, კიდე მეტი ხარხარი. იცინიან, ლაღობენ. არც კიკოლას სწყყენს ეს მინცა და მინც; სხვებიც ფიქრობენ: იქოს თავის თავი, ვის ავნებს კიკოლას თავისქება?!“

მესამე. „გაგონილა ასეთი თავისქება?! გოეტჰე სწერდა — 17/VI, 1787 — ჰერდერს: თაურმცენარისსათვის, ანუ მისი აღმოჩენისათვის (მოიგონეთ, რა ვთქვი ამის შესახებ „უცხოვ საქართველოში“), „თვით ბუნებასაც უნდა ვეშურებოდეთ“. ამაზე შორს „თავისქებაში“, ჩვეული გავებით, მგონი, ქვეყანაზე არავინ წასულა. „თვით ბუნებასაც უნდა ვეშურებოდეთ“. იყო მერე ეს — თავისქება?! გოეტჰე თავმქებარა რომ ყოფილიყო, მაშინ იგი არა თუ იმ „მცენარეს“ ვერ აღმოაჩენდა, უღადესს იღე-სახეს მთელს დასავლეთში, იგი მას არც მოელანდებოდა. გოეტჰეს სიტყვაში სჩანს მხოლოდ „თავისრწმენა“. თუ ეს „რწმენა“ არა გაქვს, ვერ გამოადგები: ვერც მწერლად, ვერც მოაზრედ, ვერც მეცნიერად. ვერარად.

## 9.

ვუბრუნდები საგანს. ვიეთნი ქართველნი ამტკიცებენ: თქვენი (ჩემი) შემოქმედება უცხოეთითგან არის შემოტანილიო. „კეთილი და პატიოსანი!“ დამისახელონ თუ გინდ ერთად. ერთი ნაწარმოები უცხო — რუსული, გერმანული, ინგლისური, პოლონური, ჩეხური, უნგრული, იტალიური, ფრანგული, იაპონური, ჩინური, სპარსული — თუ გინდ ერთად ერთი ნაწარმოები დამისახელონ, რომელსაც ჩემი რომელიმე წიგნი — „ლონდა“, „გველის პერანგი“, „ლამარა“, „კავკაზიველები“, „მეგი“, „ჩაკლული სული“, „ქალღმერთის ზახილი“, „მცველნი გრალისა“ — წააგავდეს: ან მატერით, ან მისი „მოფორმებით“, ან კომპოზიციით, ან მისი განფენით, ან აღწერით, ან სახეობით, ან ახატვით, ან სახექმნით, ან ფერადობით, ან ფერ-

თა შეხამებით, ან მოყოლის ნაირობით, ან სიმბოლოს „გამოშინებით“, ან მიტონტონტონის ზრდით და მწიფობით. დამისახელონ! ვერ დაასახელებენ! ასეთი ნაწარმოები თვითონ უცხოელებს, მათ შორის გამოჩენილ მწერლებსა და მოაზრეთ, ვერ დაუსახელებიათ — ისინი ერთხმად აღიარებენ: თქვენი შემოქმედება **სრულიად, სრულიად სხვააო.\***

მკითხველი გაკვირვებას მიეცემა: ვიეთნი ქართველოვან გაიძახიან, გ. რ.-ს შემოქმედება უცხოურიათ, უცხოელნი კი ამტკიცებენ, სრულიად სხვააო! გაკვირვება სამართლიანი იქნება.

რით აიხსნება ეს უცნაურობა? ადვილი ასახსნელია. ის ქართველნი, რომელნიც უცხოურად თვლიან ჩემს ნაწერებს — აქ მკითხველის გაკვირვება გაოცებად იქცევა — რომელიღაც მგზობით მართალს იტყვიან. როგორ? გაიხსენეთ, თუ რა თქვა ჩემზე მიხილ წერეთელმა „თავის მადლობაში“: გ. რ.-ს გმირები „ყოფა-ცხოვრებითგან კი არ არიან ამოღებულნი, ისინი ქართული არსების ხორც-შესხმულობანიანაო“. მ. წ. ერთად ერთი ქართველია, რომელიც წვდა საიდუმლოს. მივუბრუნდეთ ახლა „იმ“ ქართველთ. ისინი იცნობენ საქართველოს ზედაპირს მხოლოდ, „ყოფა-ცხოვრებას“ მისას. „ქართული არსება“ კი — კარლუს სამზეოს ენა, მითოსი, მსოფლსახე, „ქართლის ცხოვრება“; ეს „ანამენუზისი“ ნამდვილი — ეს „არსება“ მათთვის „უცხო“ ხილია. საკვირველი არაა, თუ მათ ჩემი შემოქმედება — სხეულქმნაამ „არსებისა“ — „უცხოლ“ ეჩვენებათ, ანუ „უცხოეთითგან „შემოტანილია“.

ისინი კი, ვინცა არა „ტვინით“, არამედ „სისხლით“ აღიქმევენ „ქართულ არსებას“, ისინი ჩემს შემოქმედებაში განიცდიან თავიანთ გულისფეთქვას, თავიანთ მაჩისცემას. „ჯანი მამიმატის!“ აი რა თქვა ხევსურთა კრებულმა, როცა მან „ლამარა“ იხილა. ქართველნი ასეთნი ათიათასობით მოიპოვებინ. ბედნიერი ვარ.

## 10.

დასასრულ ორიოდე სიტყვა კიდევ. „სიმბოლო“, „მითოსი“, „მარადი მყოფადი“ —

\* გრიგოლ რომაქიძეზე არსებობს საკმაოდ მოზრდილი ლიტერატურა. — რედ. (მითითება წერილის გამომცემელთ ეკლუვიის — „საბჭოთა ხელოვნება“).



# მკაფიო კვალი ხელოვნებაში

ირინა ჭყვიშვა

მარტო სახელოვნო ლაბორატორიაში კი არ მუშავდებიან ჩემსაში. ისინი „ღდიშობილა“ ჩემი. „ცეცხლი“, რომლითაც ვცოცხლობ. დააკვირდით აქ შინაღენას სიტყვისა: „ცეცხლი“ — „სიცეცხლე“ — „სიციცხლე“. ამ ცეცხლით რომ არ ვიწოდებ, მაშინ ჩემი შემოქმედება „უცეცხლო“ იქნებოდა და როგორც ასეთი: „უნაყოფოც“.

მინდა გიჩვენოთ ერთი ნაბერწყალი მიწა ამ ცეცხლისა, თუმცა ვიცი, ამ „ჩვენებასაც“ ზოგიერთნი „თავისებულად“ ჩამომართმევენ. 1913 წ. მარტში პეტერბურგის ქართველთა სათვისტომომ ილიას სახსოვარი საღამო გამართა. თავმჯდომარე: მაქსიმ კოვალევსკი. მომხსენებელი შოთა დადიანი. სიტყვა ჩემი: „საქართველოს ტრაგედია“. მოვათავე სიტყვა — ალტაცება ექსტაზად იქცა. შინაარსმა გამოიწვია ეს ჩემი სიტყვისა? არა: ურიგო არ იყო, მეტი არა. ეგებ ფორმამ სიტყვისა? არა: ჩემი საშინელი აკცენტი რუსულში ცნობილია. მაშ რა იყო? ეს იყო „ის“ ცეცხლი, რომელიც სიტყვის წარმოთქმისას ჩემში იწვოდა, იწვოდა ილიას ირგვლივ. მოხდა ერთი რამ, რაიცა ექსტაზის გამოსახატავად უმაგალითოთ უნდა ჩაითვალოს. ამ ამბავს აქ არ მოვიყვან: მეშინია, „სხვანაირად“ არ გაიგონ — დაინტერესებულთ შეუძლიათ ეს „ბ. ქ.“ რედაქტორს ჰკითხონ. მოვიყვან მეორე ამბავს. „საღამო“ გათავდა. ალტაცება მინელდა. გადის ორი-სამი დღე. ერთი სტუდენტი, რუსი, უგზავნის პეტერბურგიდან ბარათს თავის მეგობარს ხარკოვში, სტუდენტს, რუსს. სწერს სიტყვასიტყვით: გ. რ.-ს სიტყვის შემდგომ, საქართველო რომ თავისუფალი მხარე იყვეს, მე მისი ქვეშევრდომი გავხდებოდიო. ეს ამბავი გადმომცა ჩემმა მეგობარმა პროფ. დიტო-დიმიტრი უზნაძემ — გადმომცა სიხარულით აყვანილმა. (რკალბში: ასეთი სათუთი, ფარული ცეცხლით ანთებული ადამიანი მე მეორე არ მინახავს; მოგახარებს რამეს — თორის, თითქო ჩვილი ბავშვიო).

ეს მოხდა 1913 წელს, რა ვიყავ მაშინ? „დამწყები“ მხოლოდ!

ამით ვათავებ ამ წერილს, რომელიც თანვე „აღსარებაცაა“.

ქენევა. 1949. ივანობისთვის

პუბლიკაცია რუსეთის ლიტერატურის

კირილე ზდანევიჩმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მკაფიო კვალი დატოვა მხატვრული კულტურის სხვადასხვა დარგში — ფერწერაში, გრაფიკაში, ლიტერატურაში, კვალი დატოვა როგორც მოღვაწემ, მოქალაქემ. გრძელი და ნაყოფიერია მისი შემოქმედებითი გზა, რომელიც თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს.

კირილე ზდანევიჩი დაიბადა 1892 წელს კოჯორში. ადრეული ბავშვობიდანვე მხატვრობისადმი მის მიდრეკილებას უთუოდ ხელი შეუწყო ფართო კულტურული ინტერესების მქონე ოჯახმა. მამამისმა, კავკასიაში გადმოსახლებულმა პოლონელმა ჯერ ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ კი სორბონის უნივერსიტეტი. მიხელო ანდიას ძე ორმოცდაათი წლის მანძილზე ფრანგულენას ასწავლიდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში. ღელა, ვალენტინა კირილეს ასული. გამყრელიძე თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდა, მშვენიერად უკრავდა, მღეროდა, ხატავდა. თავის ვაჟებს მან გაუღვივა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი სიყვარული, დედის გავლენით ძმები თითქმის

მთელი ცხოვრების მანძილზე წერდნენ დღიურებს, რომლებიც ამჟამად არა მხოლოდ პირადი ხასიათის დოკუმენტებს წარმოადგენენ, არამედ, პირველყოვლისა, საზოგადოებრივი ღირებულება აქვთ.

ზდანევიჩების ბინაში (ამჟამად ბაქრაძის ქ. № 13), სადაც ახლა ცხოვრობს მხატვრის ქალიშვილი ვ. ზდანევიჩი და შვილიშვილი, ზშირად იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები — ს. ჩიქოვანი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი... მხატვრები — ლ. გუდიშვილი, ზ. ვალიშვილი, ა. ბაქაძე-მელიქოვი... აქ სტუმრად ყოფილან ვ. მაიაკოვსკი, კ. ჩერნიავსკი, ა. კუჩინიჩი, კ. პალსტოვსკი, მ. ლე დანტიუ...

გიმნაზიის დროინდელი დღიურები, წერილები, მოგონებები, რომლებიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერ-მეურთულ ფონდშია დაცული, აღადგენს იმ ატმოსფეროს, რომელშიც გაიარა მხატვრის ბავშვობამ, ყრობამ და მოწიფულობის წლებმა. დღიურში ერთ ადგილას იგი აღნიშნავს, რომ რაც კი ლიტერატურა არსებობს საქართველოს შესახებ, მეცნიერული თუ მხატვრული, წაუკითხავი არ დარჩენიათ ძმებს. ძმასთან თუ მეგობრებთან ერთად, ფანქრითა და ფუნჯით ხელში, კირილეს შემოვლილი ჰქონდა თითქმის მთელი საქართველო.

ჭერ კიდევ ვაეთა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს იგი მეცადინეობდა კავკასიის ნატიფი ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოებასთან არსებულ სამხატვრო სკოლაში, რომელიც გიმნაზიასთან ერთად დაამთავრა. კირილეს ერთადერთი ოცნება და განზრახვა მხატვრად გახდომა იყო.

1909 წლიდან კ. ზდანევიჩი ბეჭითად მუშაობს ფერწერაში. მისი პირველი მასწავლებლები იყ-

ვნენ სამხატვრო სკოლის პედაგოგები ნ. სკლიფასოვსკი და ბ. ფოგელი. უკვე ერთი წლის შემდეგ მისი ნამუშევრები — ეტიუდები, ესკიზები, ნატურმორტები რიცხვმრავლობასთან ერთად, მხატვრული ღირებულებებითაც გამოირჩა.

1911 წელს ძმები რუსეთში გაემგზავრნენ. ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, მოსკოვში ჩასული კირილე კი მხატვრებს — ნ. გონჩაროვსა და მ. ლარინოვს გაეცნო. სწორედ მათ დაიყოლიეს ცხრამეტი წლის ახალბედა მხატვარი (რომელსაც ამ დროისთვის უკვე მრავალი ეტიუდი, ესკიზი, პეიზაჟი და ნატურმორტი ჰქონდა შესრულებული) გამოფენაზე გამოეტანა პეიზაჟი „ბათუმის პორტი“. მოსკოვის პრესამ ქების სტრიქონები უძღვნა კირილე ზდანევიჩის ფერწერულ ტილოს, მაგრამ საკუთარი ახლისადმი მკაცრად მომხიზნავს ახალგაზრდას თავებურ არ დახვევია. პირიქითაც, მიიჩნდა, რომ ჭერჭერობით ნამდვილ ოსტატობამდე ძალიან შორს იყო. ამ აზრს განსაკუთრებით აღრმავებდა თანამედროვე რუსული და დასავლეთევროპული მხატვრობის ახლოს გაეცნობა, ახლად აღმოცენებულ სხვადასხვა მიმართულებებთან ზიარება.

პეტერბურგში ჩასული კირილე ზდანევიჩი (1912) მხატვარ მიხეილ ლე დანტიუს გაეცნო (და მისსავე სახელოსნოში — დავით კაკაბაძეს). პირველი იმპერიალისტური ომის მონაწილე, გარუსებული ფრანგი, თავმდაბალი და გულთბილი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიიდან გამორიცხული, უკვე ცნობილი იყო როგორც ახალი ფერწერის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. ფილონოვთან, მალევიჩთან და სხვებთან ერთად, იგი მკაცრი მხატვრული კრიტიკის სამიზნედ იქ-

ცა. ლე დანტიუმ გარკვეული გავლენა იქონია ახალგაზრდა კირილე ზდანევიჩზე, რასაც მოწმობს ერთ-ერთი ჩანაწერი მის დღიურში (1912). სხვათაშორის, ამ ჩანაწერით ისიც ირკვევა, რომ ზდანევიჩები პრიმიტივს შემოქმედებაში აფასებდნენ, როგორც სიცხადესა და სიმშვიდეს, განცდის სიწმინდეს, ფერწერაში კი — უბრალოებასა და 'გენიალურობას'. (კ. ზდანევიჩის პირადი არქივი, საქალაქო № 3, გვ.125, ილია ზდანევიჩის ჩანაწერი).

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ პრიმიტივი იყო ახალგაზრდების შემოქმედებითი პლატფორმა. ისინი კუმოფუტურ იზმის კონცეპციასაც აპყრობდნენ ყურადღებას. თავის აღრინდელ დღიურებში კირილე ზდანევიჩი აღიარებს, რომ მოექცა თავისი დროის მხატვრულ მიმდინარეობათა გავლენის ქვეშ.

1912 წლის ოქტომბრიდან კირილე ზდანევიჩი სამხედრო სამსახურშია. სულ ერთი წლის შემდეგ კი ბედმა იგი პარიზში მოახვედრა, სადაც ბევრს მუშაობს სხვადასხვა მასალით, ხატავს ცოცხალ ნატურას, ისწრაფვის აკადემიური ოსტატობის დაუფლებისაკენ. თუმცა პარიზში იგი უკვე დამოუკიდებელი მუშაობის გარკვეული გამოცდილებითა და მხატვრობაში გათვითნობიერებული ჩავიდა, მსოფლიო ხელოვნების ამ ერთ-ერთმა უდიდესმა ცენტრმა ახალი ბიძგი მისცა მხატვარს საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისაკენ. (ზდანევიჩის პარიზული პერიოდის ტილოები — 13 ნამუშევარი, რომლებიც „ორკესტრული ფერწერით“ გამოირჩევა, გამოფენილი იყო თბილისში 1917 წელს).

პარიზში კირილე ზდანევიჩს ნამუშევრები გამოუფენია მხატვარ ალექსანდრე არხიპენკოს ატელიეში, სადაც შეუვლია პიკასოს და თავისი შთაბეჭდილებ

ბა გამოუხატია კედელზე მიწერილი შეფასებით — ხუთიანი პლუსით.

კირილე ზდანევიჩმა ვერც კი მოასწრო პარიზული შთაბეჭდილებების გადახარშვა, რომ გერმანიის ფრონტზე მოხვდა, ზოგუნდ ვალიშეკისთან ერთად ცხოვრობდა სანგერესა და ბლენდაჟებში და მასთან ერთად ხატავდა. ფანქრით ჩახატული ფრონტული სინამდვილე ასამდე ნამუშევარში გაცოცხლდა.

ხელში მძიმედ დაჭრილი მხატვარი სამშობლოში ბრუნდებდა. მას აწვალებს ფიქრი, რომ ჭერჭეროვით არ არის სრულფასოვანი ხელოვანი, მოქალაქე... რომ საამისოდ საჭიროა ბეჯითი, თავაუღებელი შრომა, ცოდნის გაღრმავება. (ამ თვალსაზრისსაც იგი აფიქსირებს დღიურებში, რომლებიც შემოგვინახა მხატვრის არქივმა). რეეოლუციურ მღელვარებათა ხანას დამთხვა კირილე ზდანევიჩის შემოქმედებითი მსოფლმხედველობის, მისი ინდივიდუალობის ჩამოყალიბება. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩნდებოდა სხვადასხვა მიმართულებანი, მიმდინარეობდა ცხარე დისპუტები. თანამოაზრეებთან ერთად, კირილე ზდანევიჩი ხელოვანის დამაბული ცხოვრებით ცხოვრობდა,

პარიზი





ნატურმორტი

ბევრს მუშაობდა. 1917 წელს მოაწყო 1912-1916 წლებში შესრულებული 128 ნამუშევრის გამოფენაც. იგი გაიმართა თბილისში ცნობილი, არუთინოვის სურათების მაღაზიაში, რომელიც მდებარეობდა რუსთაველის პროსპექტზე № 10-ში. გამოფენაზე კუბოფუტურისტული ობიექტების გვერდით წარმოდგენილი იყო პეტერბურგის, იაროსლავლის, თავრიზის, თბილისის, ფოთის, მანგლისის, ქვიშხეთის, მცხეთის პეიზაჟები, მეუღლის, პაოლო იაშვილის პორტრეტები, ნატურმორტები, კერძოდ, ნატურმორტი ფიროსმანის სურათით. იმავე

ქართული მოტივი



წელს კირილე ზდანევიჩმა მღწაწილეობა მიიღო გამოფენაზე, რომელიც თბილისის ნატიფლოვნებათა საზოგადოების ინიციატივით გაიმართა ხელოვნების სასახლის მშენებლობის დახმარების ფონდისათვის.

1918 წელს, არშაკუნის სახლში მოწყობილ გამოფენაზე, ა. ზალცმანის, ბ. ფოგელის, ნ. სკლიფასოვსკის, ზ. ვალიშევსკისა და სხვების ნამუშევრებთან ერთად წარმოდგენილი იყო კირილე ზდანევიჩის ტილოებიც. ახალგაზრდა მხატვარმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სომეხ მხატვართა „თბილისის ჯგუფის“ გამოფენაზე. რუსთაველის პროსპექტის № 10-ში მოთავსებულ საგამოფენო დარბაზში ე. თათევოსიანთან, მ. სარიანთან, გ. შარბაბჩიანთან ერთად ზდანევიჩმა გამოფინა ფუტურისტული ფერწერის ნიმუში, ნატურმორტი და ქალთა პორტრეტები. გამოფენის შემდეგსებელთა აზრები გაიყო: ი. დგენი დადებითად გამოეხმაურა კ. ზდანევიჩის შემოქმედებას, ს. გოროდეკი კი გაზეთ „ზაკავაზსკოე სლოვოში“ (1918) მკაცრად კრიტიკულად განიხილა მის ნამუშევრებს, თუმცა ზოგ მათგანს საინტერესოდაც თვლიდა. ოპონენტები ისეთივე ახალგაზრდები იყვნენ, როგორც თვით ზდანევიჩი, კამათში ისინი ექმდნენ ჭეშმარიტებას.

ზდანევიჩის ფუტურისტულმა ძიებებმა, თუმცა უფრო ნაკლებად, მაგრამ გამოხატულება პპოვა მის წიგნის გრაფიკაშიც. მხატვარმა გააფორმა თბილისელი პორტრეტების კრებული, მათ შორის თავისი ძმის ლექსებიც.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, როცა ამ გამოცემებს ვფურცლავთ, ალბათ მოძველებულადაც გვეჩვენება თვით ნაწარმოებთა შინაარსი, მაგრამ დასურათება უთუოდ დასტურია

ქართველ მხატვართა შემოქმედებითი სიმწიფისა. ლადო გუდიაშვილთან ერთად, კირილე ზდანევიჩმა გააფორმა „ფუტურისტების სინდიკატის“ (ჩამოყალიბდა 1917 წელს) წევრთა წიგნები და ბროშურები, აგრეთვე სხვა გამოცემანი, რომლებიც 1918-1919 წლებში გამოვიდა და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

1921 წლამდე კირილე ზდანევიჩის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონუმენტურ ფერწერასაც. 1919 წელს მიეკუთვნება სამხატვრო სტუდიის — „არგონავტთა ხომალდის“ მოხატულობა, რომელიც მოთავსებული იყო ამჟამინდელი ოფიცერთა სახლის სარდაფში. სტუდიასთან არსებული რესტორანი-ბარი ორი წლის მანძილზე მეტოქეობას უწევდა მის მოპირდაპირე მხარეს მდებარე „ჭიმერიონს“.

კირილე ზდანევიჩს განუხორციელებია, აგრეთვე, მოხატულობა ქართველ ეურნალსტთა საზოგადოების კლუბსა და სასადილოში.

საქართველოში საბჭოთა ხელოვნების გამარჯვებას უძღვნა მხატვარმა გრანდიოზული პანო, რომელიც გამოფენილი იყო რუსთაველის პროსპექტზე.

ოციანი წლებიდან დაწყებული კირილე ზდანევიჩი ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გრაფიკაში, ასურათებდა სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს, აწყობდა წიგნის გამოფენების ექსპოზიციებს. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ქმნიდა საბჭოთა სარეკლამო ხელოვნებას.


1926 წელს თბილისში გამოვიდა ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ავტორები — ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, კ. ჩერნიავსკი,

კ. ზდანევიჩი. წიგნი გააფორმა კირილე ზდანევიჩმა.

ამ წლებში მხატვარი თეატრალურ ფერწერაშიც მუშაობს. 1927-1930 წლებში აფორმებს სპექტაკლებს თბილისის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის სახელობისა და მუსიკალური კომედიის თეატრებში. იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ზდანევიჩის ახალი ოჯახი (ზიგა ვალიშევსკის დასთან, ვალერიასთან განქორწინების შემდეგ იგი ო. პეტროვაზე ქორწინდება) მოსკოვში ცხოვრობდა, მხატვარი ნაყოფიერად მუშაობდა მოსკოვის თეატრებში, აფორმებდა დადგმებს ნ. ფორეგერის თეატრში (ნ. ფორეგერი — რეჟისორი და ბალეტმაისტერი. ბალეტებში შექმონდა აკრობატიკა, კლოუნადა და ხმაურიანი ორკესტრის თანხლება. შექმნა დადგმების ციკლი — „ისტორიული ცეკვები“, „კონსტრუ-

თავისუფალი





ნიუ

ქციული გობაკი“ და სხვ.), „თანამედროვე ბუფონადის“, „მექღვითი სიტყვის სასახლისა“ და სხვა თეატრებში.

მაქსიმ გორკის მაღალი შეფასება დაიმსახურა კ. ზდანევიჩის მიერ გაფორმებულმა წიგნის ექსპოზიციამ „საბჭოთა ლიტერატურა“, რომელიც კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა. მოწონება ხვდა, აგრეთვე, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთი პავილიონის ფასაღზე შესრულებულ 450 კვ. მეტრის პანოს „ბამბა“.

დიდი სამამულო ომის წლებში მხატვარი ჯერ თბილისში, მერე ისევ მოსკოვში ცხოვრობდა, ქმნიდა საბრძოლო პლაკატებს, მუშაობდა მონუმენტურ მონატურლობებზე. 1949 წლიდან 1958 წლამდე კი კ. ზდანევიჩის ცხოვრებაშიც შეიჭრა ტრაგედია: ყალბი დაბეზღების გამო იგი მოსკოვიდან ვორკუტაში გადაასახლეს.

რეაბილიტაციის შემდეგ მხატვარი მშობლიურ თბილისში დაბრუნდა. მიუხედავად ბოლო წლების სიმძიმისა და მოწიფული ასაკისა, იგი ენერგიულად ჩაება მხატვრულ ცხოვრებაში. 1960 წლიდან ხელოვანის გზაზე იწყება ახალი, აღმავალი ეტაპი. ცნობილია, რომ ფერწერულ შემოქმედებასთან ერთად კ. ზდანევი-

ჩი ამ პერიოდში მეტად ნაყოფიერად მუშაობს — ლიტერატურულ, მხატვრულ, ხელოვნებათმცოდნეობით, კვლევის დარგში. წერს წიგნს ნიკო ფიროსმანაშვილზე, მოგონებებს ქართული კულტურის მოღვაწეთა და ყრმობის მეგობართა შესახებ. 1963 წლის დღიურში ზდანევიჩი აღნიშნავს, რომ ლიტერატურაში მისი მოსვლის ნათლობა სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის, მან ურჩია მხატვარს აუცილებლად დაეწერა ნარკვევები ფიროსმანზე, ლადო გუდიაშვილზე, დაეით კაკაბაძეზე და ახალგაზრდა ქართველ მხატვრებზე.

კირილე ზდანევიჩმა დაგვიტოვა ძალზე საინტერესო მოგონებანი მთელი რიგი მოღვაწეების შესახებ, ვისი შემოქმედებაც ქმნიდა ეპოქას ქართულ კულტურაში: (ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ს. კლდიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ნადირაძე, ს. შანშიაშვილი, გ. ლეონიძე, ვ. მაიაკოვსკი, ს. გოროდეცი, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ზ. ვალიშვილი, ა. ბაქტუქ-მელიქოვი, ჯოტო-გრიგორიანი და სხვ.) ბევრი მოგონება მხატვრის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, ზოგიერთი თავი კი ხელნაწერისა „მე, მაგონდება“ ინახება კ. ზდანევიჩის პირად არქივში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერ-მედიურულ განყოფილებაში. ამ არქივში დაცულია, აგრეთვე, უნიკალური ფოტოსურათები, ნახატები, ესკიზები, ჩანაწერები ხელოვნებაზე, მხატვრებზე.

1958 წლიდან კირილე ზდანევიჩი სსრკ მხატვართა კავშირის წევრია. სამოციანი წლების მისი ნამუშევრები — პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები მოწმობს, რომ შინაგანი ევოლუციის მიუხედავად, იგი იყო შემოქმედებითად მთლიანი პიროვნება, ცხოვრების, სინამდვილის მოვ-



საქართველოს  
საბავშვო მხატვრობის



ՏՈՒՐԻՍ



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ



ՎԱԳՔԱՐՏԻՅԱՆ



პეიზაჟი



კირილე ზდანევიჩი გამოფენაზე




Բաղնիկ

K.3



ნატურმორტი



ნატონორტე





ლენებით შთაგონებული, სიყვითის, სიყვარულის, სილამაზის მოტრფილავ.

1966 წელს, ძმასთან მრავალი წლის განშორების შემდეგ იგი პარიზს მიემგზავრება. აქ იგი კვლავ მოექცა ძველი თუ ახალი მხატვრობის ტყვეობაში. ამ დროს მის ნამუშევრებში ერთმანეთს შეერწყა ფერწერა და გრაფიკა. „ძველი პარიზი“, „ცათამბჯენები სენის ნაპირას“ და მრავალი სხვა ფრანგული ჩანახატი გამოირჩევა ფერთა და ფორმათა ცხოველმყოფელობით. ეს ნამუშევრები საერთო სახელწოდებით „პარიზი მხატვრის თვალთ“ ავტორმა 1967 წელს საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ სადამოხე გამოფინა.

კირილე ზდანევიჩის ფერწერული შემოქმედება იმთავიდანვე მრავალმხრივი და არაერთგვაროვანია მხატვრული პრინციპებით, ტექნიკური ხერხებით. სხვადასხვა დროს შესრულებულ მის ნაწარმოებებში გარკვევით ჩანს შემოქმედებითი პრობლემებისადმი განსხვავებული მიდგომა, წინ წამოწევა ხან კოლორისტული, ხანაც ფორმისული ამოცანებისა. ამიტომაც მის ფერწერას გამოარჩევს სილუეტურობა, ხაზობრიობა. მხატვრის მიერ წარმოსახული საგნები მოცულობითია, მკვრივი, მკაფიო. შემოქმედელ არ ერიდება ფერთა ლოკალურ ლაქებს, მყარად და რაციონალურად აგებს კომპოზიციას. ჩვენი აზრით, მის ზოგ ადრინდელ ნატურმორტში იგრძნობა ფიროსმანის გავლენაც.

როგორც ადრეულ ეტაპზე, კ. ზდანევიჩი მოწიფულობის ეამსაც აგრძელებს გამომსახველი ხერხებისა და საშუალებების ძიებას. დიდი გამოცდილების ოსტატის შემოქმედება დიალოგიურია, აქტიურ ქვრეტას ითხოვს. თავის



ქართული მოტივი

მოგონებათა წიგნის დასასრულს იგი აღნიშნავს, რომ მისი ცხოვრება მოკრძალებული იყო, შრომასა და შემოქმედებაში ჩაღრმავებული. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ეიმედებოდა, რომ შექმნიდა უკეთეს სურათებს, რომლებსაც ახალგაზრდა თაობებს დაუტოვებდა. მისი ოცნება, დაფარული თუ გამხელილი, განხორციელდა. მხატვრის ქმნილებები საქართველოს მუზეუმებისა და სხვა მრავალი ქალაქის მუზეუმის კუთვნილებაა, ისინი გაბნეულია კერძო კოლექციებში, ჩვენში თუ საზღვარგარეთ, დაკულია მის უშუალო მემკვიდრეებთანაც.

კირილე ზდანევიჩი ერთ-ერთი საინტერესო საბჭოთა ფერმწერალია, მისი მოღვაწეობა საქართველოსთვის ძვირფასია იმიტაც, რომ იგი იმათ შორისაა, ვინც აღმოაჩინა და თავი მოუყარა ნიკო ფიროსმანაშვილის ტილოებს, ზიგა ვალიშევსკის ნამუშევრებს. ქართული და, საერთოდ, საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დიდმა მეგობარმა, შესანიშნავმა მემუარისტმა გააცოცხლა გარდასული სახეები და თვითონაც მარადიული სიცოცხლე მოიპოვა.



# „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“

დიმიტრი ჯანელიძე

სინას მთის მონასტრის ქართულ ხელნაწერებში, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა მიაკვლია მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი გალობათმწერლის იოანე-ზოსიმეს ხელით ჩაწერილ ნაწარმოებს „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“ და დაბეჭდა კიდევც.<sup>1</sup> აკად. ნიკო მარის მიერ სინას მთის მონასტრის ხელნაწერიდან გადმოწერილი ეს „ქება“ წინასწარი განმარტებით და შენიშვნებით, 1924 წელს, გამოაქვეყნა პავლე ინგოროყვამ.<sup>2</sup> ამავე მკვლევარმა ამოხსნა ამ „ქება“-ს სალექსო ფორმა და ამჟამად იგი საგალობლის სახით არის ცნობილი.<sup>3</sup> სხვადასხვა დროს კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ, ს. ყუბანეიშვილმა, პ. ბერაძემ, ვ. ჰელიძემ, აკ. ბაქრაძემ, რ. პატარაძემ, ზ. გამსახურდიამ, ზ. კიკნაძემ, ლ. პაპუაშვილმა, ლ. ჯღამაიამ, ნ. მგალობლიშვილმა და სხვ. განიხილეს, ან დაიმოწმეს იოანე-ზოსიმეს სახელით ჩვენამდე მოღწეული საგალობლები.

„ქება“ არაბთა ბატონობის ხანაშია შექმნილი და ამის გამოა, რომ მოსთქვამს: „ღამარხულ არს ენაჲ ქართული... მძინარე არს... დაბალი და დაწუნებული მოელის“<sup>4</sup> მკვდრეთით აღდგომას.

ქართული ენის სადიდებლად შექმნილი ეს ნაწარმოები საეკლესიო სახიობის „ქება“-თა კანონიერულია. ეროვნული გალობათმწერლობის თვითმყოფადი მონაპოვარია და, ამდენად, განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია, მით უფრო, რომ იგი გაყდენით-ლია „ისტორიაზე წინ დასწრებულ ხანათა“<sup>5</sup> ნაკვალევით, მითოლოგემების მთელი სისტემით, მისი ამოკითხვა და ამოხსნა, ქართველური ცივილიზაციის გარკვევისათვის, ახალ მონაცემთა მოპოვებას უნდა მოასწავებდეს.

თვით ამ საგალობლის დასათურება მიგვანიშნებს, რომ ზოტბა-შესხმის ობიექტი — ენა ქართული, დიდი ღირსებით უნდა ყოფილიყო მომადლებული, რაკი საყოველთაოდ

საგალობელია მისი ქება და დიდება. ქართული ენის ეს ღირსება, გალობით ქებას და დიდებას, რომ იმსახურებს, ამ ძეგლში ასეა გამოთქმული: „ყოველი საიდუმლო“<sup>6</sup> ამას ენასა შინა დამარხულ არს“, ეს დახასიათება ეხმარება და ეკოლოკავება ლეონტი მროველის მიერ ქართველურ კერპ-ღმერთების ფუნქციურ აღწერილობას: „მზის მომფენელნი... ღმერთნი ქართლისანი ყოვლისა და ფარულისა გამოძიებელნი“. აკი ნიკოლოზ ბარათაშვილსაც უთქვამს: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაყთაოც და უსულთ შორის“.

„ქართულისა ენისაჲ“-ს „ქებას“ დაუცავს უაღრესად მნიშვნელოვანი მითოლოგიური გადმოცემანი: „ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“ და, ამის უმეტეს — „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ ე. ი. ენა ქართული არა მარტო თვით უფლისაგან შემკული და კურთხეულია, არამედ მომავალში მისი ფუნქციური შესაძლებლობა იმ ზომამდეა აღზევებული, რომ, წინასწარმეტყველებით, ღმერთების ენად არის გამოცხადებული: „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. რაკი „ისტორიის წინ დასწრებულ“ ხანიდან მოყოლებული ქართველობა თავის ენას თვით ღმრთისაგან შემკულად და კურთხეულად, თვით ღმერთების ენად მიიჩნევდა, ამის ნაკვალევი და ჩანაბეჭდი თვით ქართულ ენაში უნდა იყოს შემონახული. მართლაც, თვით ფილოსოფოსის იოანე პეტრიფის მეტყველებაშია: „ენამზობა“, „ენადღეობა“,<sup>7</sup> რაც სულხან-საბას მიერ არის განმარტებული.<sup>8</sup> ჩახრუხაძის ლექსითაც იკითხება: ფილოსოფოსნი... ენამზობდეს<sup>9</sup>. პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ ავთანდილი მრავალჯერ მოიხსენიება, როგორც „პირ-მზე“. განა ენის გადღვთებრიობას არ მოწმობს ქართული წარმოშობის, წარმართულ ნიადაგზე აღმოცე-

\* ხაზი ყველგან ჩემია. დ. ჯ.



ნებელი, კულტთან დაკავშირებული თეოფორული სახელები: „ენამზე“, „პირ-მზე“, „ოქროპირი“ და „ენადლეობა“. ენა ამ გამოთქმებით წარმოიდგინება ღვთაებად, რომლის ხატობის, წესსახიობის აღმნიშვნელი სიტყვაც „ენადლეობა“ აღმოჩნდა ძველ ქართულში. ენას, როგორც ღვთაებას, თავისი ღვთაება ჰქონია. ღვთაება ენამზე მთავარ ასტრალურ ღვთაებასთან — მზესთან არის წილნაყარი და ციურ ღვთაებათა კრებულშია. „პირ-მზე“ სინონიმა „ენამზისა“, რასაც ამტკიცებს „პირის“ გაგება, როგორც „ენის“, „მეტყველების“, აკი ქართულია: „პირმეტყველი“, „პირუტყვი“ (რამსა ჰმსახურებ პირმეტყველი ეგე პირუტყუთა?), „ოქროპირი“ (მჭევრმეტყველი).<sup>9</sup> სიტყვა „ღვდაენა“, შეიძლება, მატრიარქატის ხანასა და ვითარებაზე მეტყველებდეს. არა თუ ქრისტიანობამდე, არამედ უფრო შორეულ ათასწლეულთა მიღმა უნდა არსებულყოფი ქართული ენის კულტი, თვით ქართულის დასახელებაში ფუძე „ქართ“ ნიშნავს ცას ან ცის შეილს (ნ. მარი<sup>10</sup>). და კითხვა იბადება, თუ როგორი იყო ღვთაება ენამზის კერპი? ამ კითხვაზე პასუხის ვასაცემად მივმართოთ ქართველური წარმართობის კერპთა უძველეს აღწერილობას, რაც ლეონტი მროველის ნაწარმოებმა შემოგვინახა: „ღდა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვი ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თვალნი ესხნეს ზურმუხტი და ბიჯრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა, უკეთუ ვინმე შეეხებინ, თავი თვისი სიკვდილად განწიროს... და კუდად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა ედგა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ, რომელნი — იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“.<sup>11</sup>

ეს აღწერილობა ქართველ მეცნიერთა ყურადღებას იქცევს. გ. გიორგაძე ხაზგასმით აღნიშნავს ქართველურ კერპთა აღწერილობაში ღვთაებათა ტრიადას (არამზი, ვაცი, გაიმ), რასაც — „არამაზულ ტრიადად“ მოიხსენიებს და მეტად საგულისხმო ფაქტად მოიჩინებს ხეთურ-ხურიტულ ტრიალებთან ანალოგიასათვის.<sup>12</sup>

ქართველურ, წარმართულ ღვთაებათა უძველეს აღწერილობისდა ანალოგიით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ენის ღვთაებათა „სამ-



ძველი ქართული ხელნაწერი „თავალთავი“ (864 წ.) რომელშიაც ითან-ზისძემ საბაწმინდელ-სინელმა ჩაწერა „ქებაჲ“.

ღიდებელი“ ტრიადა, შუაში ძირმტკიცედ, „ზესმდეგად“ უნდა ვივარაუდოთ „ენამზე“, რომელიც ლითონისაგან იქნებოდა გამოქვილილი, ვითარცა „მზეებ ბრწყინვალე“, ალბათ „თუალნი ესხნენ“ ძვირფასი თვლები-სა, და ხელთა მისთა უპრიანი იქნებოდა წერაქვი,\* ხოლო გვერდი-გვერდ ჰყოლოდა მცველი თუ მსახური ღვთისშვილები, მარჯვნივ „პირ-მზე“ ოქროსაგან გამოქვილილი და მარცხნივ „ოქროპირი“ ვერცხლისაგან ქმნილი“ კერპი. ეს პირმეტყველი, ენადლეობა — ტრიადა, ალბათ, იდგა პირუტყვებზე, ვეფხის, ხარის და ირმის ქანდაკებებზე.

მიუვბრუნდეთ ენის ქებათა-ქებას, ქართული ენის ეს საღიდებელი სახიობა, წარმართული „ენადლეობის“ საგლობლის ქრისტიანიზებულ ტექსტად უნდა მივიჩნიოთ, რაკი მასში ესოდენი მნიშვნელობით თავს იჩენს მითოსური დაფენება. საგლობელში ასახული ენის მკვდრებით აღდგომის რწმენა, წარმართულ-მისტიკური აღმნიშვნელ ცნობად უნდა იქნეს გაგებული: ციური ენამზე უნდა ყოფილიყო მკვდრადი და აღდგომადი ღვთაება. ღვთაება ენამზის საღიდებელ „ენადლეობა“-ზე, ალბათ, წარმოადგენდნენ ჯერ ამ ღვთაების სიკვდილს, მის ვა-

\* წერაქვი — შუა საუკუნეთა საქართველოში კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ამ სიტყვის ეტიმოლოგია: იოანე შვეთელის პოემაში „აბდულმენიანი“ ვკითხულობთ: „ღაწურა ქვითა და წერაქვითა“ 16 ამ სალექსო სტრიქონით წარმოდგენილია „წერაქვი“, როგორც ქვაზე გამოყენებული სამწერლობო იარაღი. ავად. ს. ჭანაშია, სიტყვა „წერის“ ეტიმოლოგიური ძიებით, დასკვნის, რომ სიტყვა „წერაქვი“ ადასტურებს ქართველ ტომთა მიერ ხატოვანი და ლურსმული დამწერლობის ხმარებას<sup>14</sup>.

ება-გოდებით დატირებას და შემდგომ მის აღდგომას, რასაც მოჰყვებოდა ფერხულების ჩაბმით, როკვა-ძნობის სიხარული, და აღტაცება.

ამ ორობი წლის წინათ ვანში, ახვლედიანების გორის ზედა ტერასზე, არქეოლოგმა ნინო ხოშტარიამ სიმბოლურ-მითოლოგიური სამარხი გათხარა; დაკრძალული აღმოჩნდა რკინისაგან გამოქვილილი მამაკაცის ქანდაკი, ოქროს საყელურით, ოქროს საყურეებით; ქანდაკი ტილოში იყო გახვეული, ტილოს დაკერებული ჰქონდა ოქროს ვარდულები და კალიტები.<sup>15</sup>


საგალობლის ცნობას „დამარხულ არს ენაჲ“, თანადამთხვევით, ემოწმება, ვანში აღმოჩენილი, მისტერიალური წეს-სახიობის სამარხი. დამარხული ღვთაება, ისე როგორც ქართველური არმაზული პანთეონის ღვთაებანი, ანთროპომორფულია, კერპი მამაკაცის სახედ არის გამოქვილი; ლოწონი მროველის აღწერილობის მსგავსად, ვანის სამარხის კერპი „ზემსდევად“ არის წარმოდგენილი. ვანის სამარხიდან ამოღებული კერპი, ისევე როგორც არმაზული დამზადებულია ლითონისაგან, რკინისაგან არის გამოქვილი. ოქროული მოკაზმულობითაც ვანში დამარხული კერპი ემსგავსება ძვირფასი

თვლებით შემკულ არმაზულ კერპებს, პარალელები, მსგავსება მცირეაზიულ თურ-ხურთულ მონაცემთა გათვალისწინებით, გვეხმარებიან საგალობლის ტექსტში დამარხული „საიდუმლოს“ ამოხსნაში. ვანში აღმოჩენილი ზარზიემურად დაკრძალული კერპი არქეოლოგმა გურამ ლორთქიფანიძემ დიონისეს — ატის — აღონის — ოზირისის მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების წრეს დაუკავშირა, ამ კერპს ლმერთმკვლელობის რიტუალს მიაკეთებდა; რკინის ქანდაკების დამარხვა მან მისტერიალ, მიცვალებული ღვთაების დატირებად მიიჩნია<sup>16</sup>. არქეოლოგი მერი ინაძე ვანში აღმოჩენილი კერპის სამარხს განიხილავს, როგორც ღვთაების სიკვდილის, მისი გამოტირების მისტერიას, ბუნების ცვდომისა და აღდგომის, მისი აღორძინების ასახვას<sup>17</sup>. ვანში დამარხული კერპის განაყოფიერების ღვთაებად გავება, ჩვენს აზრით, ხელს არ უნდა უშლიდეს ენის ღვთაებადაც მის აღიარებას, რადგან წარმართობაში მრავალფუნქციური ღვთაებანიც არიან ცნობილი.

საგალობლის მოთქმამ „დამარხულ არს ენაჲ“ და, თითქოს ამის დასტურად ვანში, ახვლედიანების გორაზე, კერპის მისტერიული დაკრძალვის აღმოჩენამ არ შეიძლება არ გავავსენოს და ისტორიულ-შედარებითი მიმოხილვაში არ ჩაერთოთ, ათასწლეულთა მიღმაართიდან, საუბუნეთა შორეთზე გადმოტარებით, ჩვენს დრომდე ბერიკაობა-ყვენობის მიერ შემონარჩუნებული მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების მისტერიები. ყოველივე ეს, შესაძლებელი სისრულით ცნობაშია მოყვანილი და გამოქვეყნებული<sup>18</sup>. ამგვარად, მივმართავ, ყვარლის რაიონის სოფელ საბუეს ბერიკაობა-ყვენობას, რაც თეატრალური ინსტრუქტის ხალხურ სანახაობათა ექსპედიციამ, 70-80-იან წ., არაერთხელ ნახა, კონფოტო ფიქსირებასთან ერთად აღწერა.

საბუეს ბერიკაობა-ყვენობის ერთ-ერთი მოქმედი ბერიკა „ენას“ განასახიერებს და მის სახელია „შოენე“. ცხენშემბულ საზიდარზე მოენე ყეენის გვერდით დგას, ყეენის ხარკვამურ ბრძანებებს დაეცნობით, გამასხარაკებით თარგმნის და ისე მოხერხებულად, რომ ხალხს ყეენის ძალაუფლების დასამხობად, ყეენის წყალში გადასადგებად აგულიანებს. ამასთანავე, რაც კი სოფლის სინამდვილეში ამოსაძირკვაი და ამოსადგება, ამისთვისაც პოულობს დაუზოგავად მამხი-

ოიანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელის ხელნაწერი (1991 წ.) „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ერისაჲ“





ლებელ სიტყვას. ასე ამგვარად მოენის წინამძღვრობით, სოფლის თავიდან მდინარისაკენ, ხალხმრავალი ბერიკაობა, რომ მიემართება, გზადაგზა ბერიკები მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების მისტერიულ სცენებს წარმოადგენენ და, ამასაც, მოენე შესაფერისად, გონებაშახვილურად ეზმიანება. ერთი სიტყვით, მოენე ბერიკაობაში ღირსეულად წარმომსახველობს ენის ღვთაებრიობას, ქართულ მამულშვილურ გზნებას და სოციალურის გადასაჭრელად ხალხის ამხედრებას. ხალხური „მოენის“ ნიღაბი იმის მთქმელია, რომ ხალხს ენა მიაჩნია მისი თვითმყოფობის, დამკველ მებრძოლ ძალად.

ქართული ენის კულტის თვალსაზრისით, ინტერესის აღმძვრელია რიგი ეთნოგრაფიული მონაცემები. განსაკუთრებით საინტერესოა „ჯვართ ენა“ — ქადაგის მიერ ქადაგობის დროს ხმარებული. თ. ოჩიაურის განმარტებით: „ჯვართ ენა“, ჩვეულებრივ სასაუბრო ენისგან განსხვავებით, ტერმინთა ნაერთია; „ჯვართ ენა“. ხევსურთა წარმოდგენით, ღვთაებათა წმინდა ენა იყო... რომელსაც ქადაგი ამა თუ იმ მოვლენის თუ საგნის გამოსახატავად ხმარობდა<sup>19</sup>. „ჯვართ ენით“, ქადაგის აღმნიშვნელი ტერმინია „მეენე“, ეს „მეენე“ „ჯვართ ენისა“ მხარს უბამს და ეზმიანება ბერიკაობის „მოენეს“. ერთიკა და მეორეც ჯვარიონ-ხატოინის წარმომადგენლებია, ენის ღვთაების მსახურნი არიან, მის ნებას და სურვილს ემორჩილებიან. ვაჟა-ფშაველას, თავის ერთ-ერთ წერილში, მოჰყავს ფშაველი „მეენის“ (ქადაგის) ლოცვა: „დიოხ ხელმწიფევე, ლაშარის ჯვარო, საქართველოს დამრიგებელო, შენ სდგეხარ ღვთის კარზედ, სიტყვა გაგიდის. ჩვენ ხორციელთა, ჩვენის უტობითა, ჩვენის უმეცრებითა, თუ ან რამ ღმერთს შევაწყინეთ ან კვირეც შევაწყინეთ, გვიყმენ, გვიმსახურენ ჩვენის ალალის ოფლითა, ნუ შეგვი-საწყინებთ, ნუ გვიზამ ჩვენის უტობისა, უმეცრებისა, ღმერთი შენს ხმალსა და ბატონობას გაუმარჯვებს“<sup>20</sup>. მაგონდება დიმიტრი ალექსიძის დადგამაში „ბახტოინი“ სერგო ზაქარიაძე ქადაგის როლში, განა ის „ჯვართა ენით“ არ მეტყველებდა და ქართულ სიტყვაში ღვთაებრივის გზნებას და მადლს არ პოულობდა?!

საგალობლის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ საიდუმლოს ამოსახსნელად მივმართეთ ენობრივ მასალას და იქ

აღმოჩნდა თეოფორული სახელები: „ენამზე“, „პირ-მზე“, „ოქროპირი“; დამწერლობით ძეგლებზე დაყრდნობით, ხეთურ-ხურიტული მონაცემების გათვალისწინებით, კივარაუდეთ და წარმოვსახეთ ქართული ენის „სამდიდებელ“ ღვთაებათა ტრიადა. ხალხურ სანახაობრივ ყოფაში და ჯვარ-სახიონში აღმოჩნდა ენის განმსახიერებელი მოქმედნი „მოენე“, „მეენე“ და „ჯვართ ენა“. ქართველურ ტომებს, უძველესი დროიდან, შეუთმუშავებიათ ენისადმი რწმენა, შეუქმნიათ მისი კულტი. საგალობელი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ ამ მრავალსაუკუნოებრივი კულტურის ანარეკლია.

თუ საგალობელს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ სტრუქტურული მეთოდის კვალობაზე განვიხილავთ, აშკარა ხდება, რომ მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების მითოსური მოდელი მთავარია და სწორედ ეს არის ის ბირთვი (მზე შინა და მზე გარეთა), რომლის გარშემო მოწესრიგებული და აწყობილია კომპოზიციურ გარსთა გარსშემონავლები. საგალობელი სულ ათი სტროფისაგან და 40 ტაეპისაგან შედგება, აქედან შვიდი სტროფი 28 ტაეპით მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების მითოლოგიური მოდელით არის აწყობილი, რაც საგალობლის 70 პროცენტს შეადგენს. პირველი კომპოზიციური გარსშემონავლები, სახარებიდან ლაზარეს აღდგომის პარალელის მოხმობით, წარბართულ-მითოსურის დაძლევის ცდა, ქრისტიანიზაციის საფუძველზე ხორციელდება. მეორე გარსშემოწერილობა, მითოსურის ქრისტიანიზაციისას, მიზნად ისახავს მშობლიური ნიადაგის შენარჩუნებას, ამიტომაც ქართლის მოქცევიდან მოხმობილია ნინო, ელენესთან ერთად, პარალელია „ვითარცა მართა და მარიამ“. მესამე გარსი, მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების მითოლოგიურ ბირთვს გარს ევლება რიცხებით სიმბოლოებით, ისევ მშობლიურის. — ქართული დამწერლობის კოდის „წილი ანბანისაჲ“-ს, გამოყენებით. ქრისტიანიზებული საგალობელი, თავისი სიმბოლოებით და ანბანური კოდით, მიმართულია შორეული მომავლისაკენ, ქრისტიანულ-მესიანისტურია, „და იტყვის ყოვლად ოთხი ათასსა მარავსა“. სრულიად სხვა რამ ამოიკითხება და ამოიხსნება, თუ უკუმიქცევით მითოლოგიურის, „ისტორიულის წინ დასწრებულ ხანისკენ“ მივმართეთ საგალობელზე დაკვირვებას და, ვარაუდით წარ-

მოვიდგენდით მის ქრისტიანობამდელ სახეს. დატოვებული იქნება „წილ“ ასოს რიცხვითი მნიშვნელობა — ოთხი ათასი წელი, რაც უკუმიქცევით მოგვცემს ძვ. წ. მესამე ათასწლეულს. „წილ“ აღმნიშვნელად ივარაუდება აგრეთვე მათეს სახარების პირველი სიტყვისა „წიგნი“ — „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, ამის მოწამედ წამოგვიტხარ“ ქართველური ხატოვანი და ლურსმნული დამწერლობის შემოღების დრო\*, ე. ი. მაჩვენებელი იქნება ძვ. წ. მესამე ათასწლეული, რასაც მხარს უჭერენ არქეოლოგიური გათხრები — თრიალეთის სოფ. ოზანში ბორის კუფტინის და მესხეთის ამირანის გორაზე ტარიელ ჩუბინიშვილის მიერ აღმოჩენილი პიქტოგრა-

\* აკ. სიმონ ჯანაშია წერდა: „...ქართველ ტომებსაც ხატოვანი და ლურსმული დამწერლობა უნდა ჰქონოდათ. ამ მხრით უადრესად საყურადღებოა ქართული ტერმინი „წერა“, იგი თავდაპირველად „ჭრას“, „კეფთას“ ნიშნავდა. აქედანაა „წერაქვი“... ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო რაიმე მაგარ მასალაზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთის პროცესი. თუ ჩვენ ჩვეუკვირდებით ამ სვანურ დაღებს, რომლებიც შეგროვებულია რუს. ხარაძის მიერ, იძულებული ვიქნებით ვალიაროთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს სწორედ ლურსმული დამწერლობის ნიშნები, რომელთაც პირვანდელი ფუნქცია, მართალია, დაკარგული აქვთ, მაგრამ თავისი გარეგანი სახე სავსებით შეოჩენიათ!“



დამარბული ღვთაება-კერპი. ვანში გათხრილი ელნისტური ხანის მისტერიალური სამარხიდან

ფიური დამწერლობის ძეგლები, სწორედ ძვ. წ. III ათასწლეულით რომ თარიღდება მჭიდროდ ენის, მეტყველების, მწიგნობრობის, პოეტური შთაგონების გაღვთებრივება ახასიათებდა აღმოსავლეთის ცივილიზაციებს, რაც ცნობილია სხვადასხვა ხალხის რელიგიების ისტორიით. ძველ შუამდინარეთში, სიბრძნის შემორჩულ ღვთაებას ბზუს მიწვევებოდა დამწერლობის გამოგონება. მზის ღვთაების მარდუქის ღვთისშვილი ნიბუ თვლბოდა მწერლობის მფარველ ღვთაებად. ყოველივე ეს შუამდინარეთშია ძვ. წ. მესამე ათასწლეულის ფარგლებშია.<sup>23</sup>

ძველი ინდური საგალობლებით წარმოდგენილია მეტყველების ქალღვთაება „გაზ“ - ის ღვთაებათა სამ-სამობაშია აღზევებული, და დაიქადებს კიდევ, რომ ავსებს ცას და დედამიწას; სამებით მიმომავალს ღმერთები დაპყავს ხელში აყვანილი, მფარველობა ადამიანთა საქმიანობას და კოსმოსური განფენილობით ავსებს იმასაც, რაც დედამიწასა და ზეცის, ყველა სქნელის გადაღმაა.<sup>24</sup>

ბერძნული მითოლოგიით, ენის ღვთაებათა ფუნქციას ღვთის შვილები — მუზები ასრულებდნენ: მკვერმეტყველების, გალობის, სიმღერის, მითშემოქმედების — პოლიპონია, დამისა და ტრაგედიის — მელპომენე, კომედიის — თალია, რაკვის (ცეკვის) — ტერფსიხორა, პოეზიის — ევტრეპე, საქორწინლო, ეროტიკული პოეზიის — ერატო, ჟამთაღმწერლობის, ისტორიის — კლეაო, ასტრონომიის, ვარსკვლავთმეტყველების — ურანია. ამ ღვთისშვილებს, მუზებს წინამძღოლობდნენ ღმერთელი აპოლონი და დიონისე. კოლხეთის მეფის მზისშვილის აიეტის დისწულის არიადნეს, დიონისეს, აპოლონის, არტემიდის თაყვანისცემის და კულტის ეგრობის და ქართლის სამეფოებში, ქართველი ტომებით დასახლებულ პონტოს სახელმწიფოში გავრცელებისას, მუზების „ენადღეობაც“ და მასთან დაკავშირებული შეჯიბრებანიც ადვილად შესათვისებელი იყო, რამდენადაც ქართველობას ენამზე, დედაენა სწამდათ და სახიობის მრავალსახეობას მუზეკაბუჯი — პირმზე, ოქროპირ, ოქრომსახიობელი მფარველობდა.<sup>25</sup>

ქართული ენის კულტმა თავის ასახვა პოევა არა მარტო საგალობელში „ქება და დიდება ქართლისა ენისაჲ“, არამედ თვით რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ —

„ხმატკბილის და ტკბილქართულის“ ავთანდილის სახით. აკი ავთანდილი მრავალგზის არის მოხსენებული როგორც პირ-მზე და მისი მითოსური წარმომავლობა, „ტკბილქართულის“, ლეთაბრივი წარმომადგენლობა ცხადყოფილია მისი ენამზეობის ასეთი წმინდა წყლის მითოლოგიური დახასიათებით: ავთანდილის „სმენა გააყვობდა მსმენელისა ყურთა ბერთა“, ან კიდევ — ავთანდილის ენამჭევრობა, ენაჯადოქრობა ისეთი ძალისაა, რომ „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარია“<sup>26</sup>.

იოანე-ზოსიმეს ნაწარმოებში „ანდერძი იადგარისაჲ“ ისევ ქართულის ქებათა-ქება იგალობება: „შუენიერად დატკობილითა ხმათა მათთა სიმრავლითა, გალობითა ბრწყინვალითა“. იოანე-ზოსიმეს საბაწმინდელ-სინელის ამ გალობაში რუსთაველის თეატრის ყოფილმა მსახიობმა, პროფესორმა პანტელეიმონ ბერაძემ მოიძია ძველი ქართული რიტმიც, — რვა მარცვლიანი ლექსის, ან თექვსმეტმარცვლიანი შაირის ჩანასახი და ეს სალექსო საზომები, ქართული ხალხური მუსიკის და ქორეოგრაფიის რიტმებთან შეთანხმონანებაში, მიმართა დაქტილურ ჰეგზამეტრთან შედარებითი შესწავლისაკენ<sup>27</sup>. აკად. კორნელი კეკელიძემ, რომელიც უღორესად ფრთხილი და თავშეკავებული იყო სამეცნიერო შრომის დაფასებაში, პ. ბერაძის ეს მიგნებანი აღმოჩენად მიიჩნია<sup>28</sup>. იოანე-ზოსიმეს მიერ ხალხური შემოქმედებიდან, შუა საუკუნეთა გალობათმწერლობაში სალექსო საზომების შეთვისებას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა აკად. შალვა ნუცუბიძე. ეს მოვლენა, მან იდეოლოგიური ვითარების და სოციალურ წინააღმდეგობათა თვალსაზრისით განიხილა და გაიაზრა, კუთვნილი ადგილი მიუჩინა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში<sup>29</sup>.

**შენიშვნები:**

<sup>1</sup> Ал. Цагарели. Памятники грузинской старины на Святой земле и на Синае. стр. 203.  
<sup>2</sup> შარი ნ. „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, ეურნ. „კავკასიონი“, 1924, № 1-2, გვ. 269-270.  
<sup>3</sup> ინგოროვა ჰ. გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 145-153.  
<sup>4</sup> „ქართლის ცხოვრება“ ნ. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 106.  
<sup>5</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, განმარტება პროკლესთვის დიადონოსისა და პლატონუნის ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკლევდა

დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937, გვ. 6, 107.  
<sup>6</sup> ორბელიანი ს. ს., თხზ. ტ. IV, ილია აბულაძის გამოც., თბილისი, 1965, გვ. 241.  
<sup>7</sup> ძველი ქართული მეზობენი, I, ჩახარუხაძე, ქე-ბა მეფისა თამარის, ივ. ლოლაშვილის გამოც., თბილისი, 1957, სტროფი 38.  
<sup>8</sup> ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები... კრბ. „ძველი ქართული მწერლობის თიხი ძველი“, თბილისი, 1965, გვ. 219.  
<sup>9</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, სვეტი 85.  
<sup>10</sup> შარი ნ. რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში, თბილისი, 1930, გვ. 22.  
<sup>11</sup> ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 89-90.  
<sup>12</sup> გიორგიძე გ. ათასი ლეთაბების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია), თბილისი, 1988, გვ. 149.  
<sup>13</sup> „ძველი ქართული მეზობენი, II — იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ივ. ლოლაშვილის გამოც., თბილისი, 1964, სტროფი 80.  
<sup>14</sup> ჯანაშია ს. ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის, გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ., 21. XII, № 294.  
<sup>15</sup> „ვანი“. ტ. I., 1972, გვ. 88; ტ. IV, 1979, გვ. 115-116.  
<sup>16</sup> ლორთქიფანიძე გ., ძველი კოლხეთის ისტორიისათვის, გვ. 123.  
<sup>17</sup> ინიძე შ. სატაძრო ცენტრები კოლხეთში, „მაცნე“ ისტორია... 1986, № 4, გვ. 45. ჯანელიძე დ. ქართული თეატრის ისტორია, ხალხური საწყისები, თბილისი, 1982, გვ. 223.  
<sup>18</sup> ოჩიაური თ. ქართული უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი 1954, გვ. 128-135.  
<sup>19</sup> ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერალები, გ. ქიქოძის გამოც., თბილისი, 1937, გვ. 131.  
<sup>20</sup> ჯანაშია ს. დსახ. ნარკვევი.  
<sup>21</sup> კუფტინი ბ., წალკის რაიონში 1947 წლის არქეოლოგიური გათხრები (რუსულ ენაზე), თბ., 1948, გვ. 31-33, ტაბ. 36; ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. მასალები მესხეთ-ვაკახეთის უძველესი ისტორიისათვის, თბილისი, 1963, გვ. 89-91, ტაბ. 5.  
<sup>22</sup> ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია აკად. გ. მეღვიშიაშვილის რედაქციით, თბილისი, 1988, გვ. 97-98.  
<sup>23</sup> დიუშენილი ტ. ინდოევროპელების მთავარი ლეთაბანი, მოსკოვი, 1986, გვ. 20-25; გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, ტ. II, თბილისი, 1984, გვ. 835.  
<sup>24</sup> ჯანელიძე დ. მუშუბაძე, თბილისი, 1980.  
<sup>25</sup> რუსთაველი, „ეფესოს ტყაოსანი“, პირველი საიუბილეო გამოცემა, სტროფი 893, 801.  
<sup>26</sup> ბერაძე ბ., გამოკლევვა იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, IV, № 6; შიხი-ვე ბერძნული და ქართული ლექსმწყობის საკითხები, თბ., 1969.  
<sup>27</sup> კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 149.  
<sup>28</sup> ნუცუბიძე შ. შრომები, ტ. III, ქართული ფილოსოფიის ისტორია, წ. I, 1983, გვ. 440-441.

# ქართული ბატიკის გამოფენა

ნანა ყიფიანი

ამ რამდენიმე ხნის წინ მხატვრის სახლში მოწყობილი გამოფენა „ქართული ბატიკა“ დეკორატიული ხელოვნების ახალი დარგის ჩამოყალიბების მანიშნებელია. იგი ჩვენში მხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისში იწყებს არსებობას. შესაძლოა, ამაში გარკვეული კანონზომიერებაც იყოს ეტაპურობის თვალსაზრისით: ქართული დეკორატიული ხელოვნების განვითარება 50-იანი წლების შუახანებიდან ჩვენი ტრადიციული დარგით — კერამიკით იწყება. მერე ვითარდება კედლორობა, რომელიც ქართული ოქრომკედლეური ტრადიციებიდან მომდინარეობს. დეკორატიული ხელოვნების

შემდგომი გამდიდრება სხვა ტრადიციული სახეებით (მინა, მინანქარი და სხვ.), უკვე მოგვიანებით, 60-იანი წლების შუახანებიდან ხდება. მათში გარკვეული მხატვრული ტრადიციების დამკვიდრება ახალი, მანამდე უცხო მხატვრების განვითარების პირობასაც წარმოადგენდა.

80-იან წლებამდე ბატიკისადმი ინტერესი ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. მხოლოდ შემდგომ შემზადდა ის ნიადაგი, რომელმაც ამ დარგის შესაბამისი მხატვრული ფორმის მოძებნის შესაძლებლობა შექმნა.

ბატიკის დარგის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პედაგოგს მედეა ჩიხლაძეს, რომელსაც მხოლოდ 1985 წლიდან (მას შემდეგ, რაც ქსოვილების კათედრას გვიყვანდარელი უძღვება) მიეცა ხელოვნების ამ დარგის ინტენსიური, მეთოდური სწავლების საშუალება. უკვე რამდენიმე წელია ბატიკა ხშირად ჩნდება გამოფენებზე, მაგრამ მეტად მოკრძალებულად. ხელოვნების სხვადასხვა სახეებისა და დარგების მომკვეთი ექსპოზიციების მასშტაბებში მცირერიცხოვანმა ბატიკამ სათანადოდ ვერ წარადგინა თავი. ამ დარგისადმი მიძღვნილმა გამოფენამ კი, რომელიც მ. ჩიხლაძის, ინიციატივით მოეწყობა და რომელზედაც წარმოდგენილი იყო მისი სტუდენტებისა და ახლად კურსდამთავრებულების ნამუშევრები, თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ბატიკამ რეალურად

ი. ერისთავი

დეკორატიული  
კერამიკა



დაიშვილდა, თავი და, რაც მნიშვნელოვანია, თავიდანვე წარსდგა საკმაოდ მაღალი მხატვრული დონით ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედების სახით.



თ. ხოჭერია

დეკორატიული  
კომპოზიცია



აღმოსავლური ხელოვნების — ინდოეთის, ინდონეზიის, შრილანკის, — ამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე დარგს თანამედროვე ხელოვნებაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. ევროპაში ბატოკის ტექნიკა ჩვენი, საუკუნის დასაწყისში ვრცელდება. ეს განაპირობა ჯერ კიდევ XIX ს-ის შუახანებიდან აღმოსავლური ხელოვნებისადმი გაზრდილმა ინტერესმა, რამაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ სახვით ხელოვნებაში ფორმალური ენის ცვლას, არამედ ახალი მხატვრული დარგებისა და ტექნიკათა ათვისებას.

ევროპულმა ხელოვნებამ აღმოსავლური ხელოვნებიდან აიღო ქსოვილის ხელით მოხატვის ტექნიკა და შექმნა ახალი მხატვრული სახეობა. დღეს მას უწოდებენ „შემოქმედებით ბატოკას“, აღმოსავლურ ტრადიციაში კი იგი გამოყენებითი ხელოვნების, უტილიტარული დანიშნულების სფეროს განეკუთვნებოდა — ტანსაცმლის ქსოვილის მხატვრული გაფორმების ხერხს წარმოადგენდა. ევროპულმა ბატოკამ სახვითი ხელოვნების ნიშნები შეიძინა: ამ ტექნიკაში სრულდება დაზგური ნაწარმოებები, პანოები-სურათები. ბატოკაში სახვითობის შექრამ გავლენა იქონია თვით აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ დარგის ხელახალ აღორძინებაზე.

სეთის ხელოვნებაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს. ამდენად, ქართული ბატოკა უკვე არსებულ ტრადიციაზე წარმოიშვა, უფრო სწორად, იგი გაეცნო იმ გამოცდილებას, რომელიც ბალტიისპირულ და რუსულ ხელოვნებაში ამ დარგს გააჩნია. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა შემოქმედებამ თვითმყოფადი სახე შეიძინა, თავიდანვე იქნა გააზრებული მასალის სპეციფიკა, რამაც შესაბამისი მხატვრული ენის მოძიების შესაძლებლობა შექმნა. ამის საფუძველი სწავლების მეთოდოლოგია, რაც გამოფენის ექსპოზიციამაც ასახა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატოკა საბჭოთა ხელოვნებაში ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩნდება, 60-იან წლებამდე მას მცირე ადგილი უკავია. 60-იანი წლებიდან კი, მას შემდეგ, რაც ინტენსიურად მიმდინარეობს დეკორატიული ხელოვნების დარგების აღორძინებისა და განვითარების პროცესი, იგი ბალტიისპირეთის და რუსეთის ხელოვნებაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ექსპოზიცია აიგო გარკვეულ ლოგიკაზე, რომელიც თემატური ჯგუფების შექმნას ითვალისწინებდა. ამ პრინციპმა მხატვრულად გაამთლიანა გამოფენა და თითოეული ნაწარმოებიც გამოკვეთა. ამასთან, ასახა სწავლების პროცესის ეტაპურობაც, რომლის ძირითადი მიზანი მასალისა და ტექნიკის დაუფლება და შესაბამისი მხატვრული აზროვნების განვითარება იყო.



5. ერისთავი  
დეკორატიული  
ნატურმორტი

ა. ალბორტი  
დეკორატიული  
ნატურმორტი

თარება. სტუდენტების მიერ თან-  
მიმდევრულად მუშავდება რამო-  
დენიმე თემატიკა — ნატურმორ-  
ტი, პეიზაჟი და თავისუფალი თე-  
მა. ამგვარი უნარობრივი დიფე-  
რენციაცია პირობითია — იგი გუ-  
ლისხმობს მარტივიდან რთული-  
სკენ სვლას, სამეტყველო ენის  
დაუფლებას რეალური გარემოს  
მხატვრული ინტერპრეტაციის ათ-  
ვისების გზით, ამოცანათა იმ სხვა-  
დასხვაობით, რასაც თითოეული  
უწარი განსაზღვრავს.

გამოფენაზე ძირითადად წარ-  
მოდგენილი იყო პანოები-სურა-  
თები. რამდენადაც მათი ძირითა-  
დი მახასიათებელი სახვითობაა, ამ-  
დენად ახალგაზრდა მხატვრების  
მასალისადმი დამოკიდებულება  
ბატიკაში სწორედ ამ თვისების —  
სახვითობის სპეციფიკის მიგნება-  
ში, ასახვის საშუალებების და გა-  
მომსახველობითი ხერხების შე-  
თანხმებულობაში მდგომარეობს.  
თუ | ტრადიციულ, გამოყენებით  
ბატიკაში ქსოვილზე არსებული  
გამოსახულება წმინდა ფორმალუ-  
რი ხასიათისაა, ანუ წარმოდგენს  
ქსოვილის დეკორს, კაზმავეს მას,  
სახვითი ბატიკა თვითფასეული  
მხატვრული ნაწარმოებია. ამდე-  
ნად, ქსოვილზე არსებული გამო-  
სახულება ორივე შემთხვევაში  
სხვადასხვა მიზნისათვის, ფუნ-  
ქციისათვის არის განკუთვნილი.  
პირველ შემთხვევაში იგი გარკვე-

ული ფორმის (ტანსაცმლისა თუ  
სხვა) დამატებაა. თუმც მნიშვნე-  
ლოვანი, მეორე შემთხვევაში და-  
მოუკიდებელი მხატვრული ფორ-  
მაა. ნამუშევრებში გამოჩნდა, რომ  
ბატიკაში არსებულ სახვითობას  
თავისი სპეციფიკა აქვს, რომელ-  
საც მასალა და ტექნიკა განსაზ-  
ღვრავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო  
ბატიკის ძირითადი ტექნიკები —  
ცხელი, ცივი, ქსოვილის ხელით  
მონატიკის თავისუფალი და შერე-  
ული ხერხი. ნამუშევრებში ავლენ-  
დნენ ეტაპურობას, იმას, თუ რო-  
გორ ხდება ქსოვილის ზედაპირის  
ათვისება მხატვრულ ამოცანათა  
თანდათან გათვლების გზით. ნა-  
ტურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი  
განსაზღვრავენ სხვადასხვა მხატ-  
ვრულ ამოცანებს, ქსოვილის სიმ-  
რტიკის აგების განსხვავებულ  
სტრუქტურას, რომელსაც, რასა-  
კვირველია, განაპირობებს ბატი-  
კის სახვითი ხერხები — ძირითა-  
დად ლოკალური ფერი და ხაზი.  
ხაზი გამოსახულების გარშემომ-  
წერი კონტურია, თუმც იგი ყო-  
ველთვის არ იხმარება (ცხელ ბა-  
ტიკაში ფერის ფერისგან რეზერ-  
ვინით იზოლაციის ხერხი საშუა-  
ლებას იძლევა გამოსახულება კონ-  
ტურის გარეშე, უშუალოდ ფერ-  
თა შეთანხმებებით აიგოს). ფერი,  
წინასწარ შედგენილი, ან ზედა-  
პირზე სუფთა სახით დადებული,  
როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად  
ლოკალურია, ამდენად, ბატიკაში  
ფორმის შიდა დეფერენციაცია,  
პლანები, სიღრმე, პირობითი მხა-  
ტვრული ხერხებით — ხაზით, მი-  
სი მიმართულებით, სისქის სხვა-  
დასხვაობით, ფორმათა და ფერთა  
გარდამავლობით, კონტრასტით,  
ერთი ფერთი მეორის გადაფარ-  
ვით და გარდამავალი ფერთი მი-  
ღებული ეფექტით მიიღწევა. ეს  
განსაზღვრავს მხატვრული ფორ-  
მის სიმრტიერობრივი დეკორატიუ-  
ლობისაკენ სწრაფვას. ცხელ ბატი-  
კაში ეს მხატვრული ენის გრაფი-

კულობას განაპირობებს, ხოლო თავისუფალი წესით ქსოვილის მოხატვა კი ცხოველხატული, ფერწერული ეფექტის მიღების შესაძლებლობას ქმნის. ნატურმორტებში, რომელიც ძირითადად ცხელი და შერეული ტექნიკითაა შესრულებული, გამოიყენება სახვითი საშუალებების იმგვარი ურთიერთშეთანხმება, რომელმაც მოგვცა მწყობრივ მკაფიო სტრუქტურის მქონე მხატვრული ფორმა. ფერთა რაოდენობის მინიმუმით (2-დან 6-მდე) იქმნება მხატვრული გამომსახველობა. თემა, ბუნებრივია, ფორმის ორგანიზაციის სტიმულია. ნატურმორტი, როგორც ჟანრი განსაზღვრავს სახვითი სტრუქტურის ტიპს, კარნახობს სახვითი ხერხების გარკვეულ შეთანხმებას, შინაარსის კონკრეტულ გამოსახვის მხატვრულ ხერხს, რადგან მისთვის, როგორც ჟანრისთვის, პირველადია საგანი. სივრცის, გარემოს მნიშვნელობა ნაწარმოების სტრუქტურაში არ არის დიდი, ამდენად, საგნის გარემომცველი სივრცე შეიძლება იყოს შეზღუდული, არა ღრმა. მისმა ლოგიკურმა მიდრეკილებამ ფრონტალურობისადმი განსაზღვრა ამ ნატურმორტებში გამოსახულების სიბრტყოვანება. ამდენად, ამოცანა მდგომარეობს იმგვარ პლასტიკურ-ფერით ორგანიზაციაში, რომელიც სიბრტყეზე გაშლას, ზედაპირზე დამაგრებას და ამ გზით დეკორატიულ გამოლიანებას გულისხმობს. კომპოზიცია ყველა წარმოდგენილ ნატურმორტში ზედაპირის პარალელურად იგება. გამოიყო აგების ორი პრინციპი: ნატურმორტის შეკრულ ჯგუფად წარმოდგენა (ამ შემთხვევაში გამოსახულება თითქმის ავსებს კადრს), და ჯგუფის დაშლა, რომლის დროსაც ფონის ფართობი და, ამდენად, კომპოზიციურად მისი მნიშვნელობა იზრდება. ამ უკანასკნელში საგანთა ერთი მეორით

გადაფარვა არ ხდება. საგანთა ფერის ლოკალურობაც, ერთგვაროვნება ან ფერადოვან სიბრტყეებად მათი პირობითი დაშლა, მოცულობის მინიმუმამდე დაყვანას და ფორმის სიბრტყეზე გაშლას გულისხმობს. მაგრამ გარშემოწერილობა უკვე თავისთავად განსაზღვრავს მათ კონკრეტულობას და გამოყოფს მათ ფონიდან, რაც პირობითი პლანის, ე. ი. სიღრმის არსებობას განაპირობებს. მეორე ჯგუფში ზედაპირზე სიღრმის, პლანების არსებობა, მიუხედავად კადრის გამოსახულებით შევსების, საგანთა ურთიერთგადაფარვის პრინციპით ხდება. მაგრამ დეკორატიული სიბრტყოვანების, სიბრტყობრივი მთლიანობის შენარჩუნება ფერის საშუალებით და კომპოზიციის სტრუქტურით მიიღწევა. ფონის ლოკალური, ერთგვაროვანი ფერი, მისი ინტენსივობა, გამოსახულ საგანთა ფერის თანაბარია, რაც ზედაპირის დეკორატიული მოწყობის განუპირობებელია და, ამდენად, მათგან-

ბ. მუშუელიანი  
დეკორატიული კომპოზიცია





2. ხურცილავა  
დეკორატიული პორტრეტი

გართულებაც, მისი დეფორმაციის, აბსტრაქტიზმის გზით.

ბუნების თემაში ან ქალაქის პეიზაჟებში უკვე სხვა ამოცანა ისახება. ნატურმორტის შექმნაში, შემჭიდროვებული სივრცე იშლება, ჩნდება სივრცის გადმოცემის ცდა, რაც ფორმის და ფერის ორგანიზაციის უკვე სხვა მეთოდს უკავშირდება. გათვალისწინებულია, რომ პეიზაჟი, გარკვეული გარემოს ამსახველი, ნატურმორტისაგან განსხვავებით, ზრდის თხრობის მომენტს, იგი მოიცავს გარკვეულ სივრცეს, ე. ი. გადმოსცემს სიტუაციას. მაგრამ ბატიკაში, როგორც დეკორატიული ხელოვნების დარგში, რეალური სამყაროს მხატვრული ინტერპრეტაცია სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, ფორმის ისეთ ორგანიზაციას ითვალისწინებს, რომელიც აღქმის ექსპრესიულობას, ზედაპირის დეკორატიულ მოწესრიგებას, მხატვრულ-დეკორატიულ მთლიანობას ქმნის, ნაწარმოების „წაკითხვას“ კი არ თხოულობს, არამედ მხედველობით შთაბეჭდილებაზე იგება. ამდენად მისთვის სახასიათოა სახვითი ელემენტების კავშირების მოძიება, მაქსიმალურად განზოგადებული, პირობითი მხატვრული ფორმის, ისეთი დეკორატიული მთლიანობის შესაქმნელად, რომელიც არ უშვებს ფორმის შიდა დაწვრილმანებას და დიფერენციაციას, რაც თავისთავად თხრობის მომენტის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და დეკორატიულობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

ზებელ ძალად წარმოგვიდგება. იქ, სადაც ფონი თითქმის არ ჩანს, ნატურმორტის საგანთა განაწილება სიღრმეში კი არ ხდება, არამედ ვერტიკალურისაკენ ისწრაფვის და, ამასთან, ფერის სიკაშკაშის ძალას და ინტენსივობას ინარჩუნებს. ამდენად ფერი ნახატის სტრუქტურის თანმდევი და მისი გამომსახველია. ხშირია ფერთა მსგავსების, განმეორების დეკორატიული პრინციპის გამოყენებაც. კონტური, თუკი იგი გამოსახულებაში არსებობს, ძირითადად ერთგვაროვანი სისქისაა. ესეც გამოსახულების სიბრტყეოვანებას განაპირობებს. უნდა ითქვას, რომ ფორმის მოდელირების ერთ-ერთი ხერხიც — საგნის რამდენიმე ფერის სიბრტყეზად დაშლა, მოცულობის პირობითი მინიშნებაა; იგი ფაქტიურად, ზონებად ყოფს საგანს, შლის მას და ზრდის ფერადოვანი სიბრტყეების თამაშს. ამდენად, იგი მხატვრულ ხერხად წარმოგვიდგება და არა ფორმის დამრგვალების საშუალებად. დეკორატიულ-პირობით ენას ხშირად თან ახლავს ფორმის შეცნობადობის

ბუნებისა თუ ქალაქის პეიზაჟის თემაში გამომსახველობითი საშუალებების ზრდას განაპირობებს სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება, რაც სახვითი ხერხების გამრავალფეროვნებასთან არის დაკავშირებული. ცხელ ბატიკასთან ერთად გამოიყენება ცივი და შერეული ტექნიკა, თავისუფალი მოხატვის წესი, ეს ფერის ლოკალურობიდან

გამოსვლის საშუალებას იძლევა და ფერთა შეთანხმების დროს, ფერადოვანი ლაქის ფართობის შემცირებისას, კოლორისტული გამის ტონალობებით გამდიდრების შესაძლებლობას ქმნის. თუ ნატურმორტებში თითოეული ფერი თავისი ინტენსივობით თითქმის ყოველთვის თანაბარია, ლოკალურია და სიბრტყობრივი, ამ შემთხვევაში სიბრტყე ირლვევა და მასში ჩნდება სივრცე, მაგრამ ისეთი ხერხით, რომელიც, ამავე დროს, ფორტალურ სიბრტყეს მთლიანობას უნარჩუნებს. სხვადასხვა ტექნიკამ, როგორც აღენიშნეთ, გაამდიდრა სახვითი ხერხები. გაჩნდა ფერთი მონასმებები, რამაც გამოსახულებას მოცულობა შესძინა და სივრცეში მოათავსა. თავისუფალი მოხატვის ტექნიკაში შესაძლებელი გახდა ფერთი გაღვრები, გაიზარდა ხაზის მნიშვნელობა, რომელიც დამოუკიდებელ კონტურს კი არ წარმოადგენს, გამოსახულების სიბრტყეზე მყარად დამამაგრებელს, არამედ თავისი სპეციფიკურობით, მოქნილობით, ფერთა მონასმებთან ერთად გარკვეული მოძრაობის, მიმართულების შემქმნელია. სხვა მნიშვნელობა შეიძინა ფონმაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში არა სიბრტყის, არამედ სივრცის, სიღრმის პირობით მიმინიშნებლად წარმოგვიდგება. ეს სახვითი ხერხები, უპირველესად, ქსოვილის დეკორატიული მთლიანობის შექმნას ისახავს მიზნად, რაც მხატვრული ენის პირობითობას განსაზღვრავს, ეს ენა, ბუნებრივია, განსხვავდება სახვითი ხელოვნების ენის პირობითობისაგან. მაგალითისათვის ავიღოთ ფონის ადგილი პეიზაჟის თემაზე შესრულებულ ნამუშევართა პლასტიკურ ორგანიზაციაში. აღენიშნავეთ მის მხოლოდ ერთ-ერთ თავისებურებას. რამდენიმე ნამუშევარში თერთი ფონი სივრცის გამომხატველია. თეთრ ზედაპირს თავისთავად სივრცის მომეტი შეაქვს გამოსა-

ხულებში და ამ ნამუშევრებშიც სივრცობრიობა თეთრის სწორედ ამ თვისებას ემყარება. იგი ორგანიზომილებიანი სიბრტყის საზღვრებს, ნეიტრალურ-სიბრტყობრიობას ინარჩუნებს და მესამე განზომილების, ე. ი. სივრცის ილუზიის შესაქმნელად არ არის დიფერენცირებული, დანაწევრებული. ფონი სივრცის განცდას ბადებს მასზე გამოსახულების მოთავსების ხერხით, მისი აგებით, ორგანიზაციითა და ფერის განაწილებით. გამომსახველობითი ხერხები, თავისთავად, პირობით, მარტივ სტრუქტურას ქმნიან. ხდება გამოსახულების ფორმისა და ფერის არა მარტო დამარტივება, არამედ მათი ისეთი შეკავშირება, სიბრტყის ისეთი მხატვრული ორგანიზაცია, რომელიც დეკორატიულ მთლიანობას ქმნის. სახვითი ხერხების მინიმალური რაოდენობით მიიღწევა მხატვრული გამომსახველობა, მხატვრული ფორმა ამ შემთხვევაში უფრო ცხოველხატულია, ნატურმორტების ფორმის გრაფიკულ ხასიათთან შედარებით.

ბუნებრივია, ეს თავისთავად კარნახობს პეიზაჟის თემის გაღვრვის ხასიათს. არც ერთი ნამუშევარი არ ასახავს პეიზაჟს ილუზორულად, არამედ ბუნების ზოგადი სახის შექმნისაკენ მიიღვრის. მხატვრული ფორმის სპეციფიკურად დეკორატიული პირობითობა განაპირობებს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ სვლას, მაქსიმალურ განზოგადებას, რომელიც ზოგჯერ ფორმის აბსტრაქციონისა და ასოციაციურობამდე მიყვანას უშვებს.

ამრიგად, ორი ენის სხვადასხვა მხატვრულ ამოცანას შეიცავს. მსგავსი სახვითი ხერხები განსხვავებული კავშირების მოძიებას განაპირობებს. მაგრამ მათ საერთო მიზანი გააჩნიათ — ბუნების მხატვრული ინტერპრეტაცია საკუთარი დეკორატიული მთლიანობის შექმნისაკენაა მიმართული,



ს. მუშუღლიანი  
დეკორატიული კომპოზიცია

რომელიც ახალ, პირობით მხატვრულ რეალობას ქმნის.

ადამიანის სახის გამოსახვა ბატიკის ტექნიკაში, ცხადია, განსხვავდება სახეთი ხელოვნების სპეციფიკისაგან. დეკორატიული ხელოვნების მხატვრული ენა პორტრეტის პირობით-განზოგადებულ მხატვრულ გადაწყვეტას ითხოვს.

დეკორატიული მოტივები, რომლებიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, ძირითადად არქიტექტურული ინტერიერის მხატვრული გაფორმებისათვის არის განკუთვნილი. სწავლების პროცესში სტუდენტები მათ მიერ შეჩვენულ არქიტექტურულ სიტუაციებში რთავენ ბატიკასა და გობელენს, ბატიკაში ქსოვილის გამკვირვალება მათ საშუალებას აძლევს იგი განათების წყაროს გასაფორმებელ ელემენტად გამოიყენონ. მოხატული ქსოვილი ამით მეტ გამომსახველობას იძენს, გაცილებით უკეთ ეკითხება მისი ფაქტურა, გამოსახულება. ამავე დროს, განათების სიმკვრივე რბილდება, რაც

სივრცის ორგანიზაციაში გარკვეულ როლს თამაშობს.

არქიტექტურისათვის განკუთვნილი დეკორატიული მოტივების კომპოზიციურ გადაწყვეტას მათი დანიშნულება და ადგილმდებარეობა განაპირობებს (ჭერი, მაგიდის ზედაპირი, კედლის განათებული ჩანართები, ტიხრები). ერთ შემთხვევაში იგი ორნამენტულ ზოლს, ამ განმეორებელ რიტმიკაზე აგებულ ნახატს წარმოადგენს, უმეტეს შემთხვევაში კომპოზიციები კონცენტრულობით, ცენტრალიზებით, ამასთან მარტივი სიბრტყობრივი ნახატი და ორი-სამი ფერით (ძირითადად კონტრასტულით) გამოირჩევიან. ხშირად გამოიყენება ფერითი ვალერები, რაც ნიუანსებს ქმნის. ამასთან ერთად, შიდა განათება ფერთა კონტრასტებს არბილებს, ფერის პულსაციას ქმნის და ინტერიერის სივრცეში აქტიურ გამოსახულებით ძალას წარმოადგენს. ერთ-ერთი სადიპლომო ნაშრომი — კედლის პანო — შესრულებული საგანგებოდ მშენებლობის სამინისტროსთვის, დღეს აქ კაფეს ინტერიერს ამკობს. ექსპოზიციაში ჩართული იყო ტანსაცმლის მოდელები და ფოტოფილმბეჭდვის ტექნიკით წარმოებაში შესრულებული საკაბე ქსოვილები.

გამოფენა სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა. მონაწილეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ სტუდენტია, მცირე ნაწილი კი ახლად კურსდამთავრებული. მომავალში უკვე გვექნება საშუალება დავინახოთ თუ როგორ განვითარდება, რა სახეს მიიღებს ჩვენში ქსოვილის ხელით მოხატვის ეს დარგი. გამოფენა მხოლოდ პირველი ნაბიჯია და ამიტომ ახალგაზრდა მხატვრებს და მათ პედაგოგებს შემდგომი წარმატებები უნდა ვუსურვოთ. სადღეისოდ კი შეგვიძლია განვაცხადოთ: ქართულ დეკორატიულ ხელოვნებას კიდევ ერთი დარგი შეემატა ბატიკის სახით.

კინომცოდნე ნ. ამირჯინის წერილების ციკლი, ხართო ხათაურით „დრო-  
თა ეკრანი“, შინადასახავს თანამედროვე კინოს ისტორიის ცალკეული ეტაპების  
ხელახალ გააზრებას.

# დროთა ეკრანი

(50-იანი წლები და ქართული „ახალი ტალღა“)

## ნათია ამირჯინი

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნა-  
ხევრის მხატვრულ ფილმებში ძირითადად  
საქართველოს წარსულსა და აწმყოს აჩ-  
ვენებდნენ. ისტორიული ფილმების უმეტე-  
სობა სათავგადასავლო ჟანრში იყო გადაწ-  
ყვებილი და არ ჩანდა საქართველოს ისტო-  
რიის ტრაგიკული ბედის, ან თანამედროვეის  
თვლით დანახული წარსულის სერიოზული  
ჭვრეტა („ბაში-აჩუკი“, „მამულე“). ისტო-  
რიულ-ბიოგრაფიულ ფილმებში განსაკუთ-  
რებულ ყურადღებას სოციალურ-პოლი-  
ტიკურ ვითარებაზე ამახვილებდნენ, რო-  
ცა გამოჩენილ ადამიანს ცხოვრება უხდებ-  
ოდა, ხოლო თვით პიროვნება უჩინარდებ-  
ოდა ვულგარული სოციალოგიის პრინციპ-  
ზე შეთხზულ გარემოცვაში („მაიაკოვსკი  
იწყებოდა ასე“), კომპოზიტორზე გადა-  
ღებული ფილმი „ეთერის სიმღერა“, მაშინ  
გავრცელებული ფილმ-ოპერის ჟანრთან მი-  
ახლოვებული, ზაქარია ფალიაშვილის სუ-  
ლიერ სამყაროს ვერ წარმოაჩენდა. დაიდგა  
აგრეთვე ზღაპარი „ცისკარა“, რომელსაც  
არც საინტერესო ქვეტექსტი, არც ფორმის  
მახვილგონიერება არ გააჩნდა.

თავდაპირველად, ფილმი „ცისკარა“ კო-  
ტე მიქაბერიძეს უნდა გადაეღო, მაგრამ სულ  
მოკლე ხანში სტუდიის ხელმძღვანელობამ  
მას მუშაობა აუკრძალა და ერთ-ერთ კინე-  
მატოგრაფიულ თავყრილობაზე გამოაცხადა,  
რეჟისორი კოტე მიქაბერიძე ფილმის მხატ-  
ვრულ ორგანიზაციას ვერ გაუმკლავდაო; იმ-  
დროინდელმა კინომესვეურებმა არ იცოდ-  
ნენ, რომ ქართველ რეჟისორთა შორის, დე-  
კორატული პირობითობისა და ფანტასტი-  
კის წარმოსახვის მხრივ ყველაზე ძლიერ ოს-

ტატთან ჰქონდათ საქმე... მაგრამ კოტე მი-  
ქაბერიძე არასანდო პირად აღიარეს, და ალ-  
ბათ, მისი „გადაყენების“ მიზეზიც ეს იყო.  
რეჟისორის შედეგები — „ჩემი ბებია“, მა-  
შინ აკრძალული და თაროზე შემოდებული,  
დეკორაციულ-პირობითი, ექსპრესიონისტუ-  
ლი მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო  
კინონაწარმოები, დღესაც მსოფლიოს კინო-  
მოღვაწეთა მოწონებასა და აპლოდისმენ-  
ტებს იმსახურებს. კოტე მიქაბერიძეს „ცის-  
კარა“ ჩამოართვეს და ეს უარყოფა მძიმე  
მორალური ტრავმა იყო რეჟისორისათვის:  
ყოფილ რეჟისორებულს არ ანდეს ზღაპრის  
გადაღება... იგი შემდგომში მულტიპლიკაცი-  
ურ და „დუბლიაჟის“ სამქროში მოღვაწე-  
ობდა. რეჟისორის ერთადერთი შედეგია  
„ჩემი ბებია“. დანარჩენ ფილმებს კინოს ზე-  
მო ინსტანციების ცენზურული მარწმუნებში  
ეტყობა და ამიტომაც შეძლებისდაგვარად  
არ გამოხსივდა კოტე მიქაბერიძის ტალანტი,  
რომელიც ფანტასტიკის, გამოგონებლობის,  
გონებათმახვილობისა და პირობითი დეკორა-  
ციის წარმოსახვაში ბრწყინვალედ ვლინდებ-  
ოდა.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის  
იმ კინონაწარმოებებში, რომლებიც თანამე-  
დროვეობას ასახავდნენ, მთავარი პრობლემა  
საბჭოთა ადამიანის მორალური სახის, ახალ-  
გაზრდობის აღზრდის და აგრეთვე ხრუშჩო-  
ვისდროინდელი დადგენილებების ეკრანზე  
განხორციელება იყო...

ამ პერიოდის ქართული ეკრანი ასახავდა  
საბჭოთა მორალის საუკეთესო თვისებებით  
აღჭურვილ, ყოველმხრივ მისაბამ და სამაგა-  
ლითო ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში

თითქმის არავითარი შეცდომა არ ჩაუდენია, ან თუკი რაიმე ნაკლოვანი საქციელი წასცდენია — მაშინვე გამოუსყიდია თავისი დანაშაული. მაგალითად, მეოჯახე მამაკაცის, ან მეცნიერის „სატანისეულ“ მიცურობად იმ პერიოდის ფილმებში ესტრადის მომღერალი ქალი იყო წარმოდგენილი („ნინო“, „ყვავილი თოვლზე“)... ალბათ, იმიტომ, რომ საესტრადო მუსიკა მაშინ მანკიერ მოვლენად ითვლებოდა. თუ ვინმე ამორალურ გზას ადგა (მაგალითად, ქურდი ფილმში — „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“), მცირეოდენი აგიტაციის შედეგად უმალ გამოსწორდებოდა... უმრავლეს საბჭოთა ფილმებში კუხის დარბილებით ცდომილთა მორჩულება ეკრანზე იდეალტიკურ ინტონაციას ამძლავრებდა, რაც ერთნაირად აუტანელი იყო მაყურებლისა და ხელოვნებისათვის.

ახალგაზრდობის მიუღებელი საქციელი და უღისციპოლინობა ძირითადად მშობლებს ბრალდებოდა („სად არის შენი ბედნიერება, მზია?“, „მანანა“, რადგან გარემომცველი საზოგადოების მანკიერი ზემოქმედების ჩვენება რეკომენდებული არ იყო, ამიტომ კერძო შემთხვევებს და აქა-იქ წარმოჩენილი ნაკლოვანებების იშვიათ კერებს ეკრანზე უმტიკივეულოდ „აქრობდნენ“...

ხრუშჩოვის დროინდელ დადგენილებებს ბევრი ქართული ფილმი გამოეხმაურა, მაგალითად, არქიტექტურული ზედმეტობის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა ფილმ „აბეზარაში“, სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღება გამამხვილეს ფილმში „ჩრდილი გზაზე“... სკოლადამთავრებულთა შრომითი საწარმოო ცხოვრება ხაზგასმული იყო ფილმებში „ჩვენი ეზო“, „საბუღარელი ჰაბუკი“.

შრომითი საქმიანობის წინ წამოწევა, ალბათ, იმდროინდელი ლიდერის ცხოვრებისეულ მონაცემებს ითვალისწინებდა; როგორც ხრუშჩოვის ამჟამინდელი ბიოგრაფები წერენ, მის ვერ მიუღია სრული განათლება შრომითი და პოლიტიკური მოღვაწეობის მიზეზით. სწავლობდა „რაბფაკში“ და აგრეთვე სამრეწველო აკადემიაში, რომლის კურსი ვერ დაუმთავრებია მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის გამო.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი მოვლენები: მილიონობით პოლიტიკური პატიმრის გან-

თავისუფლება, ე. წ. „ხრუშჩოვებში“ ათასობით უბინაოთა ახალსახლობა, სტალინის/კულტის ცხადყოფა — ქართულ გეგმურ მუშაობაში არ ასახულა...

1956 წლის ტრაგედიის შედეგად სტალინის კულტზე ფილმის შექმნა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი მსხვერპლად შეეწირა სტალინისადმი ერთგულების იდეას. უთარალო ახალგაზრდობას დამსჯელი სამხედრო რაზმები სასტიკად გაუსწორდა. დღემდე უცნობია მსხვერპლთა ვინაობა და რაოდენობა.

ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მოსწავლეებს, ღღენიდავ ჩასჩიჩინებდნენ სტალინის უზუნაესობის იდეას. იმდროინდელმა ყმაწვილებმა იცოდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომი მოიგო „სტალინის ბრძნულმა მხედართმთავარულმა გენიამ“, მათ გაკვეთილებზე ესმოდათ სტალინის ღიღება და ყოველი სასწავლო დისციპლინის იდეურ სულისჩამდგმელად სტალინი მიაჩნდათ (მაგალითად, მაშინდელი ერთ-ერთი მოსწავლის მიერ ფიზიკაში დაწერილი თემა, რომელიც ერთთავად რადიოტალღებსა და პოპვის აღმოჩენებზე მოგვითხრობდა. უცბად მთავრდებოდა სიტყვებით: „გაუმარჯოს დიდ სტალინს“!). არცერთ მოწაფეს არ შეეძლო საშინაო თუ საკლასო თემის წერისას ბელადის გვარის დამარცხვა და ერთი ხაზიდან მეორეზე გადატანა; „დიდი სტალინი არის ჩვენი ბედნიერი ბავშვობის სულისჩამდგმელი“, ან „დიდმა სტალინმა შეგვიქმნა საამური ცხოვრება“, ან „დიდ სტალინს ვაშა!“ — ასე წერდნენ რეპრესირებული მშობლების ობოლებული შვილებიც სხვებთან ერთად.

ათეული წლების განმავლობაში ბელადზე აგიტაცია-პროპაგანდამ ფართოდ გაიშალა ფესვი მოსწავლეთა გონებაში და უცბად აღმოჩნდა, რომ სტალინი ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობის ინიციატორია. ამგვარ მიწისძვრას ყმაწვილის ფსიქიკა ვერ აიტანდა, მეტად დიდი იყო რყევის ამპლიტუდა, ახალგაზრდობაც აღსდგა იდეალების შესანარჩუნებლად და მსხვერპლად დაეცა.

მათ არ იცოდნენ, რომ მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ე. წ. „ხალხის მტერი“, „ტროცკისტი“ სტალინიზმის რეჟიმმა დაღუპა, არ იცოდნენ აგრეთვე, რომ მეტად დიდი იყო მეორე მსოფლიო ომში ხალხის მსხვერ-



პლი, რაც გენერალსიმუსს არ უნდა დაეშვა, თუ ის გენიალური მხედართმთავარი იყო; არ იცოდნენ აგრეთვე, რომ კოლექტივიზაციამ სოფლის მეურნეობა გააჩანავა და კიდევ ბევრი რამ იყო მათთვის გაუგებარი...

მაგრამ დღეს, როცა ყველასთვის ნათელია სტალინის დიქტატურის უღმობელოება, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც უკრიტიკო სიყვარულითაა მიხედვით გამსჭვალული. მიზეზი ალბათ, ეროვნული საერთობაა (თუმცა სტალინმა რუსული გვარი დაირქვა და დედაც რუსული სცნო... ქართული ცეკვა რომ უჩვენებიათ, უთქვამს: მერ რუსული კულტურის ადამიანი ვარ, ეს ჩემთვის უცხოაო). სტალინის გაფეტიშება, შესაძლოა, საერთაშორისო ასპარეზზე უცნობი და მცირერიცხოვანი ერისთვის პოპულარობის პერსპექტივა იყო და არის; ან შესაძლოა, ვინმეს საკუთარი პერსონის სიპატარავის და უძლურობის განცდა აწვალებს და „ლონიერ“ ლიდერთან გაერთიანება აწყობს, ზოგიც საკუთარი ავი ზნის განუხორციელებელ სურვილს სტალინის სიასტიკეში იოკებს. ერთი რამ ნათელია, რომ სტალინის დროს შიშმა შეიპყრო უმეტესობა და საყოველთაო შიში სიყვარულში გადაიზარდა. გენიოსი რუსთაველი იყო, რომელმაც ბრძანა: „შიში შეიქმნ სიყვარულსა“ (ალბათ, კარგი იქნებოდა, თუ სიტყვა გენიალურს მხოლოდ ჰუმანისტებს მივაკუთვნებთ და არა კაცთმძღულეთ!).

ვინ მოთვლის, კიდევ სტალინის ქამიანობის რამდენი ასპექტია ხელშეუხებელი და განსახორციელებელი კნოხელოვნებაში. ყალბი იდეალების გაფეტიშება და დაცემა, ადამიანის სულიერი მორჩილება და ძალისმიერი გარემოცვის შედეგად დაკარგული ბრძოლისუნარიანობა, სულიერი გარემოება, ცხოვრებისეული სიყალბე და აქედან გამომდინარე — გადაგვარება, ადამიანის და დროის, ხელოვნების და დროის ურთიერთობა და სხვა მრავალი ასპექტი, რაც დღეს ეკრანზე მხატვრულ განზოგადებას ელის ხელოვანთაგან, რადგან შემოქმედი ეპოქის სულის ბიოგრაფია და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენს სცენარისტებს და რეჟისორებს დღესაც ბევრი აქვთ საფიქრალი და განსახორციელებელი. მით უმეტეს, რომ ეს ურთულესი გზა თენგიზ აბულაძის გამბედაობამ და ტალანტმა გაჭრა. „მონანიება“ მან აკრ-

ძალეების პერიოდში, 1984 წ., დადგა და კიდევ უფრო ამაღლდა, როგორც მოქალაქე და შემოქმედი.

თენგიზ აბულაძის პირველი დამოუკიდებელი ფილმის „სხვისი შვილების“ გადაღება დასრულდა 1958 წელს... მანამდე საბჭოთა ეკრანებზე, 1957 წელს, გამოვიდა მიხეილ კალატოზოვის ფილმი „მიფრინავენ წერობები“, (კალატოზოვილი რუსეთში მოღვაწეობდა, საქართველოდან იგი ოცდაათიანი წლების რეპრესიებს გაექცა). ფილმმა კანის საერთაშორისო ფესტივალზე უმაღლესი ჯილდო „ოქროს პალმის რტო“ დაიმსახურა. კინონაწარმოების მხატვრულმა სიმართლემ განაცვიფრა საერთაშორისო კინემატოგრაფიული წარმომადგენლობა და აგრეთვე გადატარალემა მოახდინა საბჭოთა კინოხელოვნებაში. ეკრანზე გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ომში წასული საქმროს ბიძაშვილზე თხოვდება: ვერონიკა მოდლატეა. იგი მიხვდება თავის შეცდომას — თვითმკვლელობით უნდა დაისაჯოს თავი, მაგრამ ომის განუკითხავი საშინელებისაგან დარჩენილი ობოლ ბავშვს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს და ამ გზით მომავალი ცხოვრების საზრისს პოულობს...

ვერონიკას შეცდომა ფსიქოლოგიურად და მხატვრულად განმარტებულია ადგილისა და დროის სიტუაციის ჩვენებით. მოხდა აქამდე უჩვეულო რამ — საბჭოთა ფილმის მთავარი მოქმედი გმირი ცოდვილია და მიუხედავად ამისა, ავტორების აზრით, მას თანაგრძნობა სჭირდება...

„სხვისი შვილებში“ წარმოსახულია ფილმის მთავარი გმირის შეცდომა. კინონაწარმოების ავტორები დათას საქციელის გამო დიდაქტიკურ შეგონებას არ ქადაგებენ, არამედ მას ცდომილად ტოვებენ, ცოდვა, რომელიც ობოლი შვილებისადმი უპასუხისმგებლობაში გამოიხატა და დანაშაულს ემიჯნება, დათას შერჩა.

ცხოვრებისეული სიმართლის ასახვის მხრივ „სხვისი შვილები“ წინადადგმული ნაბიჯი იყო, მასში შეუღამაზებლად გამოჩნდა დათას ეთიკური სისუსტე და აგრეთვე ნატოს მაღალი ზნეობა. ამგვარად, ფილმში ნაჩვენებია ცხოვრების ჩრდილ-ნათელი; იგი აღარ იმეორებს მანამდე არსებული „გალაქული“ ფილმების უზაღოებას,

მასში გამოხატულია ადამიანური არსების ავ-კარგი...

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისეული სირთულის ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ დაიწყო და საფუძველი ჩაეყარა ახალ კრიტიკულ რეალიზმს, ნოვატორობა მის აპოლიტიკურობაში გამოიხატება. „სხვის შვილებში“ არ არის წამოჭრილი კლასთა ბრძოლისა და დაპირისპირების პრობლემა, გაქრა სოფლის მეურნეობის და საწარმოოს მავნებელი, დივერსანტი, „ხალხის მტერი“ და აქედან გამომდინარე, გაქრა შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სოციალ-პოლიტიკური წინააღმდეგობის ასახველი დრამატურგიული კოლოზია; შემოქმედებს საშუალება მიეცათ მხატვრული კვლევისთვის „ხელში ჩაეგდოთ“ ადამიანი და ყოფით ყოველდღიურობაში ეჩვენებინათ მისი ფსიქოლოგიური ნიუანსები, წყობა, აუწყობლობა თუ გადახრა.

„სხვის შვილებში“ რთული ადამიანური საქციელი ფსიქოლოგიურად ახსნილია და ამგვარად, კვლავ გაგრძელდა „მადანას ლურჯაში“ წამოწყებული ადამიანებზე დაკვირება და მისი სულის „კვლევა“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „მადანას ლურჯაში“ კლასობრივი წინააღმდეგობა აისახა უქონლება და მქონებელთა შორის, „სხვის შვილებში“ კი დაპირისპირების ეს სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი, მოშლილია. აქ ჩვენ ვხედავთ ერთი კლასის წარმომადგენლების ეთიკურ და სულიერ ცხოვრებას.

„სხვის შვილებში“ გამოჩნდა თანამედროვე ადამიანის კრიტიკული ჰერეტიკა და ამგვარად, შეიქმნა ქართული ნეოკრიტიკული კინოს ნაკადი, რომელიც განსაზიარდა სხვა რეჟისორების და აგრეთვე თვით აბულაძის შემდგომ ფილმებშიც. ნეოკრიტიკული ფილმების აპოლიტიკურობას ვერ ეგუებოდა კინოხელმძღვანელობის ბიუროკრატიული სარედაქტორო აპარატი და ამიტომ მათგან მეტად დიდი იყო წინააღმდეგობა სამოციან, სამოცდაათიან და ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში. ბევრი კინონაწარმოები აკრძალულ იქნა, ზოგი დროებით, ზოგიც დიდი ხნით. მიუხედავად ამისა, ქართულ კინოხელოვნებაში გამოითქვა შეუღამაზებელი ცხოვრების აზრი ხან იგავის, პარაბოლის, ხან „პირში თქმის“ გზით, მაგრამ მინც ითქვა სიმართლე. ნეოკრიტიციზმის ნაკადი ხან

მიწისქვეშ, ხან ზედაპირზე მიედინებოდა, მოსკოვის სახკინოს „ჯებირთა“ ძნელად გადალახვით...

დღეს, როცა „სხვის შვილებს“ ვუყურებთ, დიდად არ გვაკვირვებს დათას საქციელის ეკრანზე წარმოჩენა, მაგრამ მაშინდელ კინოხელოვნებაში იგი გაბედულ კადნიერებად აღიქმებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „ოტებელის“ დრო იყო, „სხვის შვილებში“ დათას შეცდომა თითქმის გაწონასწორებულია მისი მეუღლის — ნატოს კეთილშობილებით, მაგრამ, ამავე დროს, ქალის მძალიან ზნეობა ერთგვარი კონტრასტული ხაზგასმა და გამუქებაა დათას ცდომილებისა.

დათა (ოთარ კობერიძე) მზრუნველი მამაა, მაგრამ ვნებათაღელვა მის ადამიანურ ბუნებაში უფრო ძლიერად აღმოჩნდება. იგი მორიდებით შესთავაზებს თეოს ცოლობას, მაგრამ მას სატრფო უარით ისტუმრებს, რადგან სხვისი შვილების მოვლით თავის შეწყუხება არ სურს... დათა ცოლად ირთავს ნატოს, ოჯახი ბავშვების სიყვარულსა და სიამტკბილობაში ცხოვრობს მანამ, სანამ თეო დემონურად არ წარმოისახება დათას წინაშე. ყოფილი მიჯნურები ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან პარალელურად მიმავალ ტრანსპორტში. ავტობუსის (საიდანაც თავის ძალაში დარწმუნებული თეო იღუპალი ღიმილით გასცქერის დათას) და ტრამვაი (სადაც ვნებისგან მონუსხული და მორჩილი დათა ზის) ხან მიჯრით, ხან დაშორებით მიემართება. რეჟისორის, ოპერატორის და კომპოზიტორის მიერ წარმოსახული ეს მეტაფორა განსაკუთრებულ მხატვრულ მნიშვნელობას იძენს კულმინაციის შესამზადებლად, ამალაზიანებულია სიყვარულის მუსიკალური თემის ავბედითი ინტონაციით; ოპერატორ ლევან პაატაშვილის მიერ ზემოდან ისეა გადაღებული ტრამვიისა და ავტობუსის დაახლოება-განშორება, რომ ტრამვიის ლიანდაგი თეოსკენ გაწვილ ხელებად აღიქმება...

დათას პიროვნების ფსიქოლოგიურმა ნიუანსირებამ მხატვრულად შეამზადა მისი სახილად გაქცევა, იგი ემოციონალურად არის მოტივირებული, მაგრამ ეთიკურად — არა. გრძნობის და ზნეობის შეჯახება, ამალაზიანებულია და მდებრიო საქციელის თანაარსებობა დათას სახის კონტრასტული კოლორიტის გამომხატველია, რაც პერსონაჟს მრავალგვარობას ანიჭებს და ამის გამო, იგი



მხატვრულად საინტერესო, პიროვნული ხასიათის ჩრდილ-ნათელის, ავ-კარგისა და არასწორხაზოვნების ამსახველია. დთა ეთიკურად ნაკლოვან საქციელს ჩაიდნენ ნებისყოფის სისუსტის გამო, რაც ადამიანურია, მაგრამ, ამავე დროს, მორალური არასრულფასოვნების დამამტკიცებელია.

ნატოს სახე ფსიქოლოგიურად საინტერესოა და მოფიქრებული, მისი დრამატურგიული ნიღაბია დედობის მარადქალაქობით განპირობებული კეთილშობილება, გამბედაობა, თავდადება.

ნატოს როლის შემსრულებელი — ციცი-ნო ციციშვილი — არაპროფესიონალი მსახიობია, იგი ამ როლზე გარკვეული მონაცემებისა და სამსახიობო ნიჭის მიხედვით იქნა არჩეული.

„ციცინო მხოლოდ ლამაზი კი არაა, იგი ჩინებული მსახიობიცაა“ — გამოაქვეყნა უნგრეთის გაზეთმა „მადიარ იფიუშაგმა“ (1959 წ. 28/II) ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის, ჯუზეპე დე სანტისის აზრი. ციცი-ნო ციციშვილის გამომეტყველებაში იკითხება სიამაყე, ხასიათის მონოლითურობა, გამბედაობა, რაც სავსებით ესადაგება ნატოს სახის შინაგან სულიერ სამყაროს.

ნატო გაბედულია მაშინ, როცა ბავშვების დასაცავად მანქანის მძღოლს სახეში წიგნს გააწნავს, როცა ორშვილიან კაცს ცოლად გაჰყვება და მაშინაც კი, როცა გაქანებული მატარებლიდან ვადმოსტება, ბავშვებს ხელს ჩასჭიდებს და ამაყად ვაივლის მათთან ერთად. ნატოს სახეში მდებარის ინსტინქტია ფსიქოლოგიურად დასაბუთებული და შემდგომ სახვით მოქმედებაში წარმოჩენილი. ქალური სიღარბისლით და თავაზიანობით მიიღებს იგი თვის სახლში: ჯეირანივით ყელმოღერებული ვაივლის მისი მეტოქის წინაშე და დათას თვით შესთავაზებს სტუმრის გაცილებას. იგი ღირსებით აღსავსეა მაშინაც კი, როცა მისი ქალური თვემოყვარობა შეილახება, დაათანებ მითოვებული ნატო ტირის, მაგრამ — ამაყად...

ნატო დადებითი გმირია, ამგვარი უზადობა საბჭოთა კინოხელოვნებაში ქალის სახის წარმოჩენის უკვე ნაწრთობი ხერხი და ამავე დროს ცენზურის სქელი კედლის „გამბურღვი“ იარაღი იყო, სცენარის ფილმად განხორციელებისთვის მიმართული. ნატო კეთილშობილების ერთგვაროვან ნიღაბს ატა-

რებს, ისევე, როგორც მოლიერის კლასიციზური ნაწარმოებების მოქმედი გმირებიც ეს დასაშვებია, მაგრამ ამგვარი ნიღაბი გააჩნდა ათეული წლების განმავლობაში ათეული საბჭოთა ქალის ეკრანულ სახეს, ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსებით წარმოჩენილი ნატოს ხატი მიიქცევა ჩვეული, უკვე ვაკეპალური გზითაა შექმნილი და ახალი საეტაპო ფილმისთვის ნაკლებად ნოვატორულია...

თენგიზ აბულაძემ „სხვის შვილებში“, „მაგდანას ლურჯას“ ბავშვები ათამაშა — ნანი ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი... ორივე სახე, მიუხედავად ხასიათების განსხვავებისა, ერთმანეთის დანამატად და შემაგვებლად იკითხებოდა. ორივე მათგანი სრულიად საპირისპირო ზნის და ქცევის ბავშვები არიან: მიხო — თავდაპირველი, სიტყვაძუნწი, მოქმედებასა და ქცევაში ლაკონური, დინჯი და გულჩათხრობილია. სანამ იგი ერთ სიტყვას იტყვის, ლია თავისი ტიკტიკით წალეკავს ხოლმე იქაურობას. ლია ემოციურად უფრო თვალსაჩინო, პლასტიური და სხარტია, ყოველგვარ გარე მოვლენას თავისებურად აღიბეჭდავს სახეზე და ბავშვური რეაქციით პასუხობს.

თენგიზ აბულაძის მიერ ზუსტად არის ჩავლებული და ეკრანზე გამოხატული ბავშვებისთვის დამახასიათებელი აქსტიკულაცია. მაგალითად, მამსა და შვილებს შორის მომხდარ უსიამოვნებას, რომელიც სილის გაწვნით მთავრდება, მიხოს ჩუმი და ჭიუტი პროტესტი მოჰყვება, მამის თხოვნას იგი ყურად არ იღებს და სახლში არ მიჰყვება. ლია კი თავის ორბოფობას ამ საკითხზე ასფალტზე პატარა ფეხის ტრიალით გამოხატავს.

„სამსახიობო ოსტატობას“ აღწევს ნანი ჩიქვინიძე დაბადების დღის ეპიზოდში, ენერგიასა და მიზანსწრაფვის კინემატოგრაფიულ გამოსახულებად გადაიქცევა ეს პატარა გოგონა: გამჭვირვალე მზით განათებულ კბეებზე დაუღალავად მორბენალი, დეიდა ნატოს მოსვლამდე რომ ვერ ითმენს და ავტობუსის გაჩერებასა და თავის „მოქეიფ“ პატარა სტუმრებს შორის ქარაზოტივით დაჰქრის...

ისევე, როგორც „მაგდანას ლურჯაში“, „სხვის შვილებშიც“ ბავშვები ეკრანზე წარმოსახულნი არიან სინამდვილის შესატყვი-სად. პატარების ეკრანული გარჯა და ღია-

ლოგი მათ ასაკობრივ ზღვარს არ სცილდებოდა, ისინი ბავშვურად უშუალონი და მართალნი არიან და გადასაღებ მოედანზე თავის ბავშვურ ყოფას აგრძელებენ უფროსების მიერ შეთხზული ამბის მიხედვით. ამრიგად, სრულიად უგულვებელყოფენ ვადამღებ აპარატთან თანაარსებობას... თავისთავად ეს ავტორების დამსახურებაა, რადგან მათ ბავშვებს თავს არ მოახვიენ დაბრძნებელი ადამიანის ნირი და ამით თავიდან აიცილეს სისუალბე...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი საუკეთესო ფილმები, რომლებიც ბავშვების ყოფას ეხებოდა, გარკვეულ წარმატებას აღწევდა მხატვრული სიმართლის განხორციელების გამო... მცირეწლოვანთა ტექსტს ცენზურის მკაცრი „ყაღაღა“ არ ედო, რადგან პატარები, სოციალური სტატუსის მიხედვით, თავისთავად აპოლიტიკურები არიან. ბავშვები ფილმებში: „მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „სერიოჟა“, „ველური ძაღლი დინგო“, „ორი ფიოდორი“, „შედარებით შეუზღუდველნი იყვნენ ჩინოვნიკებისაგან“, კინომოღვაწეებმა თავისუფლებისკენ გადავარდნა „ხვრიელი“ ნახეს და შეძლებისდაგვარად გამოიყენეს ცოცხალი აზრის „გასაძვრომად“...

გამომსახველობითი თვალსაზრისით, „სხვისი შვილები“ აგრძელებს „მაგდანას ლურჯას“ შუქწერას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ახალგაზრდა ნიჟიერ მხატვრებს — გივი გიგუტს და კახი ხუციშვილს დავამატა ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი ოპერატორი და მაშინ დებიუტანტი — ლევან პაატაშვილი, რომლის ოპერატორულმა ხელოვნებამ თავისებური ხელწერა დაამკვიდრა; ინტერირის, ექსტერიერის, პორტრეტის ახლებური წარმოსახვით მან კინონაწარმოების მხატვრულ-იდეურ კონცეფციაში სახვითი სინათლე შეიტანა, ცხადპყო ხელოვანის ინდივიდუალური გამომსახველობითი აზროვნება და ახალი ფორმის ძიების დაუშრეტელი სურვილი. ლევან პაატაშვილი ორმოცდაათი-ანელთა კინემატოგრაფიული თაობის ერთერთი ძლიერი წარმომადგენელია, რომელიც დღემდე გვანცვიფრებს გამომგონებლობითა და შუქწერის ვირტუოზული ფლობით, დახვეწილი გემოვნებით და მაღალი პროფესიონალიზმით.

ლიას სირბილი რკინის გამჭვირვალე კიბეებზე, ამ კიბეების მზით განათება გადმოსკვეცის ბავშვის სიხარულს, ახალი დედის

მოპოვების გაუცნობიერებელ გრძნობებში რომ გამოიხატება. ამ ეპიზოდში ლევან პაატაშვილმა მთავარ გადასაღებ ობიექტად გამოიყენა: მზე, მისგან გაჩანჩახებული ნატურა, მორბენალი პატარა ლია და გამომსახველობითი შუქწერით ბედნიერების ხატი წარმოსახა ეკრანზე...

„სხვისი შვილებში“ ლევან პაატაშვილის შუქწერა მრავლისმთქმელია; ასე მაგალითად, თეოს ბინაში ფილიგრანულად განფენილი ჩრდილ-ნათელი ფანჯრის კალიუზის გაფანტული სხივებისაგან იქმნება და ემოციურად უფრო მიზანდასახულ განწყობილებას ბადებს, ვიდრე მსახიობ ასმათ ქანდაკრუაშვილის მიერ განსახიერებული როლი. თეოს სახე თავის სიმბოლურ მნიშვნელობასაც არ ამართლებს, იგი ერთგანზომილებიანი „ნიშანია“ ქალის მაცდურნი არისა. ამ სექსუალურ „ნიშანს“ მიანდეს ავტორებმა ფილმის გმირების ბედ-იღბალი, მას გაუმართლებლად დაეკისრა ზომავე მეტი მხატვრული ფუნქცია; თეოს სახის შესაქმნელად არც სამსახიობო შესაძლებლობა და არც კინორამატურგიული მონაცემები იყო საკმარისი...

გამომსახველობის თვალსაზრისით ბავშვების ბინა, რომელიც მიტოვებულ, უწყსრივოდ დაყრილ საოჯახო ნივთების ქაოსს წარმოადგენს, უდიასახლისობის, უდედობის გარემოს ქმნის. მაგრამ ეს აყრილობა არ იყო გადაღებული რეპორტაჟული და დოკუმენტური მანერით, არამედ მხატვრების, ოპერატორისა და რეჟისორის მიერ საგანგებოდ დაყრილი და გაშუქებული საგნების რაოდენობას წარმოადგენდა, იგი კადრის პირობითი კომპოზიციით იყო შექმნილი, რაც ნეორეალისტური ფილმების ესთეტიკისათვის უცხოა. („სხვისი შვილებსაც“ მიაწერდნენ ნეორეალისტის გავლენას და ამიტომ გვეკირდება მისი განსხვავებულობის აღნიშვნა).

ნეორეალისტური ფილმების დრამატურგია სოციალ-ეკონომიკურ კონფლიქტზეა დაფუძნებული, ძირითადი წინააღმდეგობა მატერიალურ სივიწროვესა და გაკვირებაში გამოიხატება. ყოველივე ეს „სხვისი შვილებში“ უგულვებელყოფილია. მატერიალური გაკვირება ფილმში, როგორც მხატვრული მონაცემი, არ ფიგურირებს. იგი გარეგნულადაა თვალშისაცემი და ომისშემდგომი ატმოსფეროს ინფორმატორია. „სხვისი შვი-

ლების“ პერსონაჟების გაპირვება სულიერ შრეშია მოცემული, იგი მორალურ-ეთიკურია და არა სოციალურ-ეკონომიკური...

აი, რას წერს თვით თენგიზ აბულაძე 1958 წლის № 8 ე. „საბჭოთა ხელოვნებაში“: „სასაცილო და არასერიოზულია, როცა იტალიური ნეორეალიზმის გავლენაზე ვლაპარაკობთ იმის მიხედვით, რომ მთავარი როლის შემსრულებელი პროფესიონალი მსახიობი კი არაა, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტია, რომ ვაჩვენებთ პატარა გოგონას ძირგამოხეულ ჩუსტებს, ტყვიისფერ ზეცას, ანდა გადაღებისას მივმართავთ კონტრასტულ განათებას და კიდევ ერთი: ვინაა დამნაშავე იმაში, რომ ქართველები იტალიელებს გვანან, ანდა პირიქით. თბილისის ტერასისმაგვარი განლაგება, მისი რელიეფი მოგვგაგონებს იტალიურ ქალაქებს, ანდა, ისევ პირიქით — იტალიური ქალაქები მოგვგაგონებენ თბილისს. ჩვენს ქალაქში გულმხურვალე, და ტემპერამენტიანი ხალხი ცხოვრობს, აქ უამრავი კიბეები და ეზოებია, ამიტომაც სურათში მოქმედება ოთახებში კი არ მიმდინარეობს, არამედ კიბეებზე, ეზოებსა და ქუჩაში.

თუ ნეორეალიზმს მივიჩნევთ როგორც სიმართლის სინონიმს, ცხოვრების მართალ ასახვად კინოხელოვნებაში — მაშინ მე ნეორეალისტი ვარ“.

თენგიზ აბულაძის რეჟისურის თავისებურებანი ნათლად გამოიხატა „სხვის შვილებში“. აღსანიშნავია რეჟისორის გამომსახველობითი აზროვნების კომპოზიციური კრილი. იგი იყენებს ხმოვანების, შუქწერის, პლასტიკის ტემპო-რიტმულ დაპირისპირებას. მისი მონტაჟი უმთავრესად კონტრასტზეა აგებული...

მაგალითად, ფილმი იწყება გარეგნულად საკმაოდ სტატიკური და მინორული ეპიზოდით — დათას და თეოს საუბრით. ლაკონური დიალოგი დაბალ ინტონაციაში მიმდინარეობს, თეო ზანტად იბანს მკლავ-კისერს, ოთახში განფენილი ჩრდილ-ნათელი ერთობ მინორულ, დებრესიულ განწყობილებას

ქმნის. ეს არის მიჯნურთა განშორების სცენა.



დიალოგის ინტონაცია, სტატიკური მიზნად კადრი, ოპერატორული და მხატვრული შუქწერით განსახიერებული სევდა, კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის მინორული მელოდია, სიყვარულის განწირულების ხატს ქმნის. ყოველივე იცვლება მაყორული, ანცი, მზის სხივებით სავსე გარემოთი, ქუჩაში მორბენალი და მოკიყინე ბავშვების რიარით. ამ კრიამულს მოჰყვება მანქანის მუხრუქის მუხზე კრიალი. მუსიკა წყდება, ერთი წამით მოსალოდნელი საფრთხის სიჩუმე ჩამოწვება; მას მოჰყვება კვლავ ხმაურიანი კონფლიქტი მანქანის მძღოლსა და ნატოს შორის, წიგნით სილის გალაწუნება, შეკრებილი ხალხის ყაყანი... როგორც ვხედავთ, ექსპოზიცია სავსეა განწყობილებათა კონტრასტული ცვალებადობით. ტემპორიტმული და შუქწერული ეპიზოდების კონტრასტული მონაცვლეობა თენგიზ აბულაძის რეჟისურის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი მხატვრული საშუალებაა.

ფილმში „სხვის შვილები“ რეჟისორის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია, აგრეთვე მხატვრული სახეების ფსიქოლოგიური დამუშავება, კადრის მხატვრული კომპოზიციის საგანგებო მისადაგება კინონაწარმოების კონცეფციასთან და მისი აქტიური მნიშვნელობა პოეტური მეტაფორის წარმოსაჩენად, კინოსპეციფიკისთვის დამახასიათებელი შუქ-წერული პლასტიკა, კინემატოგრაფიული დინამიკის მომძლავრება და ფუნქციონალური დიალოგის ლაკონიზმი...

„სხვისი შვილების“ შემდგომ უდავო ვახნა თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი მნიშვნელობა ქართულ კინოხელოვნებაში...



# ნების პრიან მოძრაუნენი ანუ არსოდნა არსოდვა, მებრამ არსოდნა არბუენცად მაინს არ ბაემოდება

ნოდარ კაკაბაძე

ჩვენც ვიტყვით მარტო ჩვენ ცოცხლობთ,  
მარტო ჩვენ გეზრდიან ღღანია..“  
ვაჟა-ფშაველა

შველას გაგვიგონია ქართული ანდაზა: კარგ მოქმელს კარგი გამგონი უნდაო. აკაცის კი ეკუთვნის სიტყვები: კარგი მოქმელი ის არის, ვინც თავის ნათქვამს სხვებს შეაზნუნოს. როგორც ჩანს, მე ცული მოქმელი გამოვლექი, რადგან სხვათაგან ვერ ამისინა ჩემი ოპონენტისა და ჩემი სრული ურთიერთგაუგებრობა. ვგულისხმობ ჩემს წერილს „თანამედროვე ხელოვნების ზოგიერთი სადავო საკითხის გამო“ („საბჭოთა ხელოვნება“ № 8, 1987) და ბატონ გურამ პეტრიაშვილის აღშფოთებულ რეაგირებას ამ წერილზე — „თუ არა გქერა...“ („ლიტერატურული საქართველო“ 11 დეკემბერი, 1987).

ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, რომ აზრი არ ჰქონდა ჩემს პასუხს ბატონ გურამის ერთობ კატეგორიულ დაუბუკებელ და იმპერატივულ ფილიპიკაზე, რადგან ჩვენ სხვადასხვა ენაზე, ერთმანეთისათვის გაუგებრად ვლაპარაკობთ. ბატონი გურამი მომწერდა იმას, რაც მე არ მითქვამს (უფრო ზუსტად: არ დამიწერია), ჩემგან მოითხოვდა იმას, რაც მიზნად არ დამისახავს და ა. შ. იმას, რაც ბატონ გურამს და მე დაგვემართა, გერმანელები უწოდებენ (ოპონენტს ბოდლის უხლდი, რომ ისევ და ისევ არაქართულ სამყაროში გადავდივარ, ვიცი რა ამ მხრივ მისი განსაკუთრებული სიმკაცრე და „სურვიმი“ თუ „სურითანელობა“) „გერმანიზმის“ ანდა „ანაინანდერ ფორბაიერდენ“-ს, ე. ი. ორი ადამიანი ერთმანეთს ელაპარაკება, მაგრამ ერთმანეთისა არა ესმით რა, თითოეულს, ასე ვთქვათ, თავისი „ტექსტი“ აქვს, მაგრამ მათი ნათქვამი მიზანს ცდება, ერთმანეთს არ ხვდება, ერთმანეთს ცილდება — ერთი სიტყვით, ვერ ხორციელდება ურთიერთგაგებინების, კომუნიკაციის აქტი. თუმც გარეგნულად, ფორმალურად მოსაუბრენი ერთმანეთს ელაპარაკებიან, მაგრამ თითოეული მათგანი

სხვადასხვა შინაარსს გულისხმობს; ერთი შეხედვით გარეგან კი ეს თითქოს არ ჩანს.

მე კი მეგონა საკმაოდ მარტივ, ყოველ შემთხვევაში, გასაგებად მარტივ რაღაცას ვამბობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ცუდად. გაუგებრად მითქვამს, რადგან ბატონ გურამისაგან პასუხი მივიღე კითხვაზე, რომელიც მე არ დამისვამს. წინასწარ ბოდის ვიხდი მკითხველების წინაშე ერთი და იმავეს მრავალჯერ გამეორების გამო, მაგრამ ხომ არსებობს ანდა: გამეორება ცოდნის ღედაა; ასევე მგონია, გამეორება გაგებინების, შესწავლის საუკეთესო საშუალებაა.

რასაკვირველია, სპბპლმზბულო პრ პრის, რომ ჩემი ნათქვამი (დაწერილი) ყველამ გაიზაროს, არსებობს დიამეტრულად ჰაპირისპირო თვალსაზრისიც, მაგრამ იმისათვის, რომ კამათი, გნებავთ, გაბაახება შედგეს, ამისათვის აუცილებელია: ორივე მხარეს ერთმანეთისა ესმოდეს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში არ დასტურდება. მე აღიარებ ვარ, ბატონი გურამი — ბალთას ჩვენს შორის გაბა ურთიერთაცდენილი, ურთიერთამცდარი საუბარი, თუკი შეიძლება ამას საუბარი ვუწოდოთ. ჩვენ ორივენი ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთისა მაინც არ გვესმის, თუმც ამის გამო უნინ და პათოსი კამათისა არ გვიწმენდება და არ ვვიცხრებთ.

საქმე ეხება ორ ძირითად საკითხს და არა დეტალებს.

თუ ბატონი გურამის რანგის მკითხველს ვერ გავაგებინე, რისი თქმა მსურდა, მით უმეტეს, უზირ მკითხველს საერთოდ ვერაფერს გავაგებინებდი; სიმართლე გითხრათ, ცუდ გუნებაზე დავლექი. წინამდებარე წერილში შევეცდები რაც შეიძლება გასაგებად და მარტივად, კომენტარებისა თუ განმარტებების დართვით, ვთქვა ჩემი საშუალებით.

დავიწყოთ წინა წერილის კომპონიციდან: ივრია (2) ნაწილისაგან შედგება და, შესაბამისად, ორ (2) საკითხს ეხება (აქვე მინდა შევნიშნო, ბატონი გურამი ამ ორ საკითხს თავისდაუნებურად ერთმანეთში ურდებს ანდა აიკვებებს, რაც ჩემს თვალსაზრისს ძირფეხიანად ცვლის). ეს არის ორი (2) სხვადასხვა საკითხი, რომელიც თანამედროვე ხელკონვენციაში, ჩემი აზრით, უპეტულოდნადაა საკითხის არგს მიეკუთვნება და პრინციპულად მტდარია მათი ერთმანეთში აღრეულად განხილვა — ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისმება და წყდება, თუმცა ორივე პარობლემას შეხასპლო ერთხა და იმავე ხელკონვენციის შემოქმედებისში უცვლელად.

I საკითხი კანონიერი ტექსტების, სიუფეტების, თემების, ლეგენდების, მოტივების ადაპტირების, თანამედროვე მოდიფიცირების, ზოგ შემთხვევაში პარამოდერნიზმის უფლებამოსილებას ეხება (აქ პარადოგმად, საილუსტრაციო მხაზლად ძირითადად რეზიზმბრტ სტრუქტურის რევიზორული შემოქმედება იგულისხმება).

II შემთხვევაში საკითხი ისმება ხელკონვენციის ნაწარმოებში კონკრეტული ისტორიული, გეოგრაფიული, ეროვნული, ლოკალური კოლორიტისა და „სულის“ შენარჩუნება-დაცვის აუცილებლობისა თუ არასავალდებულობის თაობაზე (აქ პარადოგმად გამოიყენება ს. ფარაჯანოვის შემოქმედება, საერთოდ, და მისი „სურამის ციხე“, კერძოდ).

ამთავითვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ წინა წერილი არ ყოფილა ხელკონვენციის რომელიმე ნაწარმოებზე რეცენზიად გამოწვლილი (ამდენად მას არ შეიძლება მოვთხოვოთ ხელკონვენციის რომელიმე ნაწარმოების სრული ინტერპრტირება) და არც რომელიმე რეცენზიაზე პასუხად გააზრებულ-მოფიქრებული (ამიტომაც მას არ შეიძლება მოვთხოვოთ რომელიმე რეცენზიის არგუმენტების ვაბათილება.) ჩემს ოპონენტს ვერ გაუფია (აღზათ, ჩემი ბრალად), რომ ჩემი წინა წერილი მხოლოდ ს. ფარაჯანოვის ფილმზე არ არის დაწერილი. ფარაჯანოვის ფილმი ერთ-ერთი პარობლემის ორი შესაძლებელი გადაწყვეტის ერთ-ერთი გადაწყვეტის მავალიად მაქვს მოყვანილი. მე არამც და არამც არ ვაპობო, რომ ეს ერთადერთი პეტრა, მაგრამ ამ გზასაც არსებობის უფლება აქვს მეთქი, ეს მინდა და მეთქვა.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პატ. გ. პეტრიაშვილი, სამწუხაროდ, ზოგჯერ იმას მომწიწებს და სასტიკად მაკრიტიკებს, რაც მე არ მიეკუთვნის, არამედ, მავალითა, თომას მანს, შენგულერსა თუ ზიურტს; ერთი სიტყვით, ბატონ გურამს სზირად, „მისამართი“ ეწლებს ხოლმე. პატრიცეული გურამ პეტრიაშვილი ჩემგან მოითხოვს ფილმის ინტერპრტიციას და ტონში ეწმუნება, ზგონია, ამას ვერ შევძლებ; ასევე ნიშნის მოკვებით მეუბნება, თუკი ეს შესაძლებელი იყო, ფილმის სიმბოლოები და აღვგორიები რატომ არ ვაშოფრეკო? საამოცნებით ვასრულებ ბატონ გურამის თხოვნასა თუ მოთხოვნას, მაგრამ ცოტა ქვემოთ.

ერთი სიტყვით, იმას, რაც ჩემს წინა წერილში რიზბრტ სტურუას ეტება (პარობლემის საკითხი), ზა-

ტონი გურამი ავრცელებს ს. ფარაჯანოვის „სურამის ციხეზე“ (თითქოს მე ს. ფარაჯანოვის ფილმს სურამის ციხის თქმულებასა ანდა დანიელ ჭონჭიძის „სურამის ციხეზე“ პარობლიად მივიჩნევდ, რაც მე არც დამიწრია და არც მივუღლისხმია). ეს იწვევს ჩემს და ჩემი ოპონენტის, „სახელმწირო“ დაშორებას, რის საფუძველზეც ბატონი გურამი „ბრალდებათ“ მთელ მწკრივს აგებს.

შევეცდები შემტებისდაგვარად ავუხსნა და განვუმარტო ზოგე რამ ჩემს აღსოფთებულ კრიტიკოსს. როგორც ჩანს, ბატონ გურამ პეტრიაშვილზე ჩემს მსჯელობა დამარწმუნებელი არ აღმოჩნდა, მაგრამ მე არც მშინია პრტიცენია, რომ ერთხაზად ყველას, და განსაკოტრებით ბატონი გურამის ტიპის მეთხველს მივიმარბდი. ეს ბუნებრივიცაა: ხელკონვენციის სპეციფიკა ისიცაა, რომ მისი ნიშუშები „სავალდებულო“ ამ არის ყველას ერთნაირად მოსწონდეს ან არ მოსწონდეს.

სამწუხაროდ, აღზათ, ვაუგებრად მითქვამს და ამიტომ ვერ გაუფია ბატონ გურამს ავრთვეთ ისიც, რომ ზგონიერი სულიერი-კულტურული კრიზისზე მე ვლაპარაკობ I (პირველ) საკითხთან (ე. ი. პარობლირების საკითხთან) დაკავშირებით, მახასაღამე, რიზბრტ სტურუას შემოქმედების კონტექსტში და არა II საკითხის განხილვისას, სადაც ს. ფარაჯანოვის შემოქმედებასაც ვეხები, რომელიც არ მიმანია ამ კრიზისის გამოხატულებად. პირველ საკითხზე ვლაპარაკობ 118-121 გვერდებზე, ხოლო მეორე საკითხს ვეხები 122-127 გვერდებზე.

და რაც უფრო საოცარია, ბატონ გურამს მსოფლიო სულიერი კრიზისის პარობლემა ჩემი გამოგონილი, თითიდან გამოწვლილი და ჩემი უფუნებობის შედეგად ანდა უფუნებობის ეამს ჩემი მალუციანია თუ ჩემი აპოკალიფსური მირაჟი ზგონია.

ჩვენ რომ უსაშველოდ კრიზისულ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება (საქართველოში ამას ბოლოგორი გადაშენების ხედათიკვებით) — ეს ბატონ გურამს ჩემი „ზღაპარი“ თუ მხედველობის აბერაცია ზგონია.

წუ ეწყინება ბატონ გურამსა და ჩვენში, სამწუხაროდ, მისი თამის წარმომადგენლები, თუ შეიძლება ახე ითქვას, „შუაგარდობა“ (სტუდენტურად ეს ნაკლებად ითქმის, რაც მათ ბოლო ხანებში დამბტიციტკიდეც) უფრო მეტს ლაპარაკობს და ტრიზნიდან „ქადაგებს“, რაც მთავარია, მეტს წერს, ვიდრე კითხულობს. სხვანაირად როგორ აუხსნათ აბა ის ფაქტი, რომ ბატონი გურამი თომას მანს, შენგულერის, შერბერტ შარკუტის, ქეიზს ქოისის, კაცკას, მუჟილის, ორტგა ი. ვანეტის, ჰაიდგერის, ხარტრის, კამიუს, შუენერლის, გახენარის, პარკის, კანტის, შარტინ ბუბერის და შრავალ სხვათა აზრებს მე მომაწერს, რომელთაც მე ძალიან გამარტივებულად, ზოგადად და მიახლოებით გადმოვცემ.

საოცრად დიდ პატავს მეტს თავისდაუნებურად ბატონი გურამი, როცა მთელი თაობებისა და შრავალი გამოჩენილი ადამიანის ნააზრებს მე მომაწერს. ცხადია, პატრიცეული გურამს აქვს სრული უფლება არ დაეთანხმოს თუნდაც მთელს მსოფლიოში აღიარებულ

ავტორებს, მაგრამ მე არა მაქვს უფლება სხვის აზრზე მივისკუთრო და შევიფრო, თითქმის მოცდომის ვაშს XX საუკუნის ასეთი აპოკალიფსურ სურათი „შემომხება“ ჩემდაუნებურად. თანამედროვე სამყაროს ეს ტოტალური სულიერ-კულტურული კრიზისი ფრანკი, ირინასწარმეტყველებს, ნაწილობრივ აღწერს: შოპენაჟერმა, კირკგორმა, ნიუსშემ, ფროიდმა და სხვებმა, გურამ პეტრიაშვილი კი ყოველივე ამას მე მომაწერს, რაც ჩემთვის დიდი კომპლიმენტია, თუშე ამჯერად არ ვიმახსოვრებ.

ისევ და ისევ მაგონდება ლათინური ანდაზა: „იგორანცია ნონ ესტ არგუმენტუმ“ — „არცოდნა ნაბუთად არ გამოადგება“.

მართალია, სამშუპაროდ, ქართულ თეორეტიკონებს არა ავტო, ზოგიერთი გამოწვლინის გარდა, გამოკლებული და დახასიათებული თანამედროვე სამყაროს ტოტალური კრიზისი, რადგან ჩვენ უთავარებელი ეკონომიკური-მატერიალური მხარე მოუგვარებელი გვეყონდა და ვეაქვს და დღის წესრიგში გვედგა უფრო მეტად ნივთიერი გაბრუნება, ვიდრე სულიერი შევირცხება, ეს ჩვენი და საერთოდ მთელი საბჭოთა ხალხის განვითარების სპეციფიკა იყო. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულმა ხელშეწყობმა და მოზაროვნებმა არახისტემური სახით მიანაშენეს ამ კრიზისზე (გეროვლი ჰქვამდა, კ. ვამსახურდია; ვაკილები ვინც შესაძლებლობა ამ საკითზე წერისა ჰქონდა ევროპაში მხსოვრებ გრიგორი რობაქიძე, ყველა თავისი შრომა კრიზისის საკითხს მიუღწევა ქართველმა ფილოსოფოსმა ზურაბ კაკაბაძემ, რომელიც ჩემთვის ამ სფეროში თავისებურ „ვერტიკალის“ წარმომადგენელი).

ჩემი მხრივ ვურჩევ ბატონ გურამს წაიკითხოს შემდეგ წიგნები (თუნდაც ზოგიერთი მაინც): ოსვალდ შპენგლერის „დასავლეთის აღსასრული“, ალფრედ ზაიდლის „ცნობიერება როგორც ბედისწერა“, კონსტანტინე ფილერის „ნიმილიზმის დადგომა“, რუდოლფ კაიზერის „მითოს მოკლებული დრო“, იდონ ფონ შორბატის რომანი „უღმერთო ახალგაზრდობა“, მარტინ ბუბერის „ღმერთის დაბნელება“, ფრიდრიხ ზიბურგის „დალუპის ხალისი“, ნატალი სარკოტის „უნდობლობის საუკუნე“, ბერტრან შარპუნე „ერთგანაწილობიანი ადამიანი“, გრიგორ რობაქიძის — „ჩაბლული სული“, მანს ეგონ ჰოლტბუენის „ტრანსტენდენციის მოკლებული სამყარო“, ლუის მამფორდის „მანქანის მითოსი“, სადაც განალიზებულია ე. წ. „დეგა — ტექნიკა“ და თანამედროვე საზოგადოების მდებრუნაწაცია. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა ქართველმა ხელოვნმა აშკარად იგრძნო და გამოხატა (ზოგმა პირდაპირ, ზოგმა ირიბად) თანამედროვე სამყაროს ეს გლობალური კრიზისი (რობერტ სტურუა, ოთარ იოსელიანი, ალექსანდრე რევიანოვილი, ოთარ კილიძე, რეზო კვიციანი, ლია სტურუა, ტარიელ ჰუნტურია, გურამ დოჩანაშვილი, ამირ კაკაბაძე, ვართულეი ახალაზრდა ახსტრაქციონისტები), ასევე ურთიერ ბატონ გურამს გაითვალისწინოს შემდეგი გამოწვევები და პარადოქსები:

თეორის აღორნოს უთქვამს (დაუწერია): „ოსვენციონის შემდეგ ლექსების წერა აღარ შეიძლება“-ო. ვოლფგანგ ჰილდესმაიმერი წერს: „ოსვენციონის შემდეგ რომანების წერა აღარ შეიძლება“-ო. (ბატონ

გურამს შეუძლია ეს პარადოქსები პირდაპირ აზრით გაიგოს და მე მივიფინოს: ნოდარ კაკაბაძე გვიჩვენებს არც ლექსები ვერცოთ და არც რომანებიო! ნამდვილად აღორნოცა და ჰილდესმაიმერიც გულისხმობენ, რომ ჰილდერული და სტალინური ბანაკების შემდეგ ძველებურად წერა აღარ შეიძლებაო. მე დაჰქმნდო ჩერნობილის შემდეგ ენებებზე, ტორილებსა და ბოლოებზე წერა და ხბოსავთ კუნტრუში აღარ შეიძლება, უფრო მეტიც, ეს ვერებლობა და ჩვენი ეპოქის აღეკვტრის არ არის! „ბულებლები და ვარდები განივდენენ; დიდი ქალქის ქუჩის ორბტრიალში უცნაურად გაისმის ბულებლის გაღობა და ელტრისოშუქე ვარდებიც აღარ ჩანს ძველებურად ვრდისფერა“ — ამას ვირჩევთ უფლები ამბობს.

ერთმა პოეტმა ჩვენსა და რამდენიმე მომდევნო თაობას „უშუშარების ჩრდელში გაზრდილი თაობა“ უწოდა. მსოფლიოში ცნობილი მწერალი ფრიდრიხ დიურენტიანი თავის პიესაში — „ფოკოსები“ სან გენიალურ ფოკოსს საგვეთში ათავსებს (თვითონ ისინი მდიან კლინიკაში), რათა კაცობრობა დაღუპვისაგან გადაარჩინოს. ჭრ კიდეც მოუხმანს უწერია: „ამ საუკუნეში, პოზიტივისტებისა და ათვისტების საუკუნეში, ყველაფერი გაანადგურა, გარდა სატანისმისა, რომელსაც მან ფეხი ვერ მოუცვალა. სატანის უდიდესი ძალა იმაშია, რომ მან ხალხი მიიყვანა თავისი არსებობის უარყოფამდე“.

ნუთუ ის, ვინც ჩერნობილის, ოსვენციონის, პირსონის და ა. შ. ტრაგედიების მერე უღარდელად ვანაგრძობს სიბერას — „უყარბოა სიწითლითა ყანა დაღუშევენია“, ბატონ გურამს უფრო ნორმალური ჰგონია, ვიდრე აღორნო ან ვულფი?

კრიზისულ ეპოქაში რომ არ ცვხვობრბდებო, სიკვდილ-სიუციციონის საკითხი რომ არ იდგეს კაცობრობის წინაშე, მაშინ არ იქნებოდა საქირობა „კაცობრობის გადარჩენისა და განვითარების საერთაშორისო ფონდის“ შექმნისა (ასეთი ფონდის არსებობას მე გვიგონა, ვერც პატ. გ. პეტრიაშვილი ვერ უარყოფს). რომ არ გვეჩვენოს, გადარჩენის საკითხი დადაგებოდა — მე ვფიქრობ, ლოკალური მსჭვლობა! არც საქართველო არ არის ამ შემთხვევაში გამოწვლინი და ამ დროს საქართველოში „ტრუფანდურისკენ“ და „ცხუკვა-კუნტრუშისაკენ“ მოწყდენა, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენი ეპოქის ძირითადი განწყობილების ადეკვატური ჰერ იქნება!

ნუთუ უფუნებობის ეამს ჩემი ვადამოფორი ფანტაზიის ნაყოფია ის ფაქტო, რომ XX საუკუნესა და განსაკუთრებით მის მიწურულში ადამიანები ასეთი პარამეტრები, უტილიტარისტები, „რაციონალისტები“ და ა. შ. გახდენენ, რომ ვეღარ შეხვდებოთ ვერც ცხოვეტებასა და ამის შესაძლებლობა ვერც ლიტერატურაში ისე დიდ სიყვარულს, რაც არსებობდა ნესტანსა და ტარიელს, იზოლდასა და ტრისტანს, ლოტესა და ვერთერს, ელორსა და სენ პარეს, რომელსა და ჯუდეიტებს და ა. შ. ა. შ. შორის. თანამედროვე ხელოვნება და ლიტერატურა უსიყვარულობას მისტირის. გადმოიხსეთ ამ თვალთ კაცება პარაბოლები და რომანები, ანდა ჭობის „უღბისე“, სადაა აქ შემხარტი სიყვარული? ხელთ შემოვარჩა ერო-სპორტი ერო-ტექნიკა, სექსუალური პარტნიორობა და არა სიყვარული. ბატონ გურამს, ალბათ, კაცება, წობის

და სხვათა ნაწარმოებები მათი უგუნებობის მხოლოდ ავადმყოფური ნაყოფი ჰგონია და არა რეალობის ადეკვატური გამოხატვა. ასევე პატივცემული პეტრი- აშვილი, ალბათ, თანამედროვე ფერწერის აპოკალიპ- ტური ვიზიონები შიშოიდურ მალუცინაცებამდე ესახება!

ჩვენს პრესაში დიდი ხანი არ არის, რაც გამოქვეყნ- და შემარქუნებელი ცნობა, რომ საბჭოთა ადამიანები სიმფეროპოლიდან დასახლებით ათი კილომეტრის დაშორებით, სადაც ფაშისტი ქალაქების მიერ დახუ- ცილი 12 ათასი საბჭოთა მოქალაქე დამარხული, ღამ დამოხმით მიწიდან თხრიდნენ პიტლერების მიერ მიწაში ჩაფლულ გვაგებს, მათთვის ოქროს კბილები რომ დაეძროთ. სასამართლოს დარბაზი, თურმე, მა- შინვე დაიკალა, როცა ხალხმა შეიტყო, რომ ამა და ა- მა ადგილას ნაიცოტებმა დაღუპული ადამიანები „ნიკ- ანო ურსინგოლ“ ჩაფლეს. ხალხი არ აღშფოთდა, „ნიკ- როფელი“ ვანდალზმის გამო, არამედ მხოლოდ სამარადურ პუნქტი მოინახა და დააწუსტა. ნოთუ ჩვენს განათლებულ ხანაში ცივილიზაციისა და მეც- ნიერების უმაგალითო აყვავების საუკუნეში შემარქ- ნუნებელი არ არის სამოქალაქო მაროდერების არსე- ზობის მთლი და ამის მეტე არხენად წარმოიდგინე თავი ტროლქობა და ენძელებად, რისკენაც მოუ- წოდებს ჩვენს ახალგაზრდებს ბაიონი გურამ პეტრი- აშვილი! ნეტარ არიან მორწმუნენი კაცობრიობა მი- ახლოებია ბირთვულ „უფსკრულს“, ატომური ომის ხიფათი ძალიან ახლოს იყო და ბატონი გურამი გაკ- რავებულადა, რა არის საფანჯარო, ეტყჱ რატომ არის კროზისული და ა. შ. ეს კაპაბაძის პესიმისტური „მი- რაიეთი“.

ჩა გინდ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ მეცნიერებმა აგვაშენეს და მეც- ნიერებზე გვაქცივენ. სწორედ მეცნიერების წყა- ლობითაა, რომ, ფიგურალურად თუ ვიტყვი, გაქვდა, გაღაშუნდა ენძელები და ტროლქობი და თანხედროვე გეოგრაფია ენძელებს განმარტავდეს უღრმეს მწუხარებებსა და სინანულს, რომ თანამედროვე სამყარო ადამი- ანებს „დაეკარათ“, თვალმა და ხელს შუა გაუტრათ ენძელები და ტროლქობი, ე. ი. ბუნება (მდინარეები და ტბები მოკვდა, ტყეები გაიჩეხა და ა. შ.) და ჩერ- ნობილის, ბაბი იარის, ბუნეზვალდის, პირსონის, ნავასიის და ა. შ. მახლობლად იდილიებისა და ბუ- კოლოკური სცენების განსაზიერება არა მარტო გონე- ბის სისუსტე ანდა უქალბურესი ცინიზმი, არამედ უტაქტობაც და უგემოვნებაც.

თანამედროვე ხელოვნება და ჰუმანიტარული მეც- ნიერების მოწოდებული არიან განგაში ატეხონ, ზარი შემოიკან, საზოგადოება, კაცობრიობა „შეაქანდა- რონ“, რათა იგი გამოფხიზლდეს და ხელი აიღოს თანდათანობით თვითმკვლელობის პროცესზე, თავი არ მოიტყუოს, რომ არაფერი ხდება ჩვენს გარშემო. რომ უველადფერი თავისთავად მონუსხრდება; მდინა- რეები თავისთავად გასუფთავდება, ჰაერი გაიწმინდე- ბა და, რაც მთავარია, ადამიანი თავისთავად ვარდა- იქმნება, თავისთავად „დაიფხება“ მდალი მორალით, თავისთავად გახდება კეთილი და ალტრუისტული, მოყ- ვასის მოყვარული და „ვეგეტარიანილი“. ანდა სადღა ახლა ჩვენს გარშემო იმ რაოდენობით ენძელები და ტროლქობი, თუ კაცობრიობამ ახლანდელი მიმართუ- ლებით ვანაგრძო სვლა, მალე ენძელებსა და ტროლ-

ლებს ე. წ. წითელ წიგნში შეიტანენ და სწორედ ამი- ტომაცაა საჭირო განგაშის ატეხვა, რომ ბუნებამ ჩვენს გარშემო და ჩვენს თვალწინ ილუბება, და არა შეიძლება დახუტვა და უღარდელი კრებები, თითქმის ჩვენს გარშემო არაფერი ხდებოდეს.

თანამედროვე ხელოვნები შემოფოთებული არიან იმის გამო, რომ ტექნოკრატი ფუტუროლოგები ვეპირ- დებიან სტერილურ რეტორტულ მომავალს, ლაქწას- ღულ საშუაროს, რომელთა დასახლებული იქნება ინდივიდუალობის მოკლებული რბობი — ადამიანე- ბით და ზოგ მეცნიერს ეს უხარია, ასეთ მომავალს შეხარის. გაუგებარია ტექნოკრატიული ოპტიმიზმის საფუძველი ალბათ, შეხანინავია ტექნიკური პროგ- რესი, ტოტალური კომპიუტერაზაცია — კომპიუტერე- ბის, ინფორმატიკის და ა. შ. შეტარა ადამიანური მოლ- დავილობის უველა სფეროში, მაგრამ თანამედროვე ხე- ლოვნებას ეშინია ამსახაში ადამიანი არ დაიკარგოს. ხელიდან არ გამოვცვადოს, რომლის კეთილდღეობ- სათვის კეთდება თითქმის ეს უველადფერი (კეთილდღე- ბა მარტო მატერიალური ცნება არ უნდა იყოს, სულიერადაც კარგად უნდა ვგარტობდეთ თავს). მი- ლიონანი ქალაქების ურჩხულ-შენობებს შორის თა- ნამედროვე ადამიანი თავს ცუდად ვგარტობს, მას ამშვიდებს (თუ საგანგებოდ სექლკაიანი და დაუხუტწა- ვი არ არის) პატარა სახლები პატარა ქალაქს ან ხო- ფელში, სადაც ისმის ჩიტების გაღება—სწორედ ამისკენ მისწრაფება და ამის ნატვრა აქვს თანამედროვე ხე- ლოვნებას, რისგანაც მანქანური ცივილიზაციის გან- ვითარების აჩქარებულ ტემპთან ერთად კატასტრო- ფულად იძარცვება ადამიანის ცხოვრება. ბატონ გუ- რამს კი ჰგონია, რომ მე თითქმის ენძელებსა და ტროლქობის წინააღმდეგ ვიყო! კი ბატონო, წარ- მოიდგინეთ თავი ენძელებად და ტროლქობად, უმარ- ვილებო, მე ამის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ ამათ არ უნდა გამოიწვიოს ადამიანთა სიფ- ხიზლის მოღუვნება, ხიფათის დაუნახაობა, ილუზიის წარმოქმნა, რომ თითქმის ამით დაიძლევა სულიერი სილატაქე და კროზისი და საყოველთაო იდილია დამ- უარდება.

სწორედ იმიტომაც, რომ არ გადაშენდნენ უკანასკ- ნელი ტროლქობი და მაკრის მოშამულოების გამო არ მოსოსო ენძელები, საჭიროა ახლა, სანამ კიდევ დროა, განგაშის ატეხვა და ზარის შემოკრა და არა ისეთი პოზის მიღება, ისეთი იდილიების წერა, თით- ქმის ჩვენს გარშემო არაფერი ხდებოდეს, თითქმის ჰაერ- ი უწინდებურად სუფთა იყოს, მტკვარი ანკარა, კაც- ნი წმინდა, ქალენი უბნო (ამ სიტყვის ძალიან ფართო გაგებით და არა ბიოლოგიური თვალსაზრისით). თუ არ დავიარაზებთ, განგაში არ ავტეხებ, ზომები არ მივიღებ, ჩვენს თავს არ მივხედებ, მაღე ქართვილიც წითელ წიგნში შესატანი ვახდება. ამ დროს ბატონი გურამ პეტრიკაშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში იხტი- ბარგაუტრებლად მოუწოდებს თავის კოლეგა — პოე- ტებს: „კვლავ ვუშმდარმო ფირსუზ ზემასს, ზურ- მებზხ ხმელეთს“... მოსაწონია, რომ პოეტი პეტრიკა- შვილი ცდილობს არ გაწვიციოს კავშირი აკაცის ტრა- დიციებთან, მაგრამ საინტერესოა, სად ხედავს იგი ფი- რსუ ზეცას და ზურმუხტ ხმელეთს? (ანდა, სად შო- ულობს ასეთ სათვალეს?). როგორ შეიძლება ლი- ტერატურის, ხელოვნების თემატიკა არ შეიცვალოს.

როცა სამყარო, სინამდვილეში რადიკალურად შეიცვალა?! სად იყო წინათ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, ატომარული ხიფათი და ა. შ.?! ეს სრულეობა არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ ილიასა და აკაკის მემკვიდრეობაზე, მაგრამ ახალ პრობლემებსა და ახალ თემებზე წერა, რაც ახალმა დრომ მოიტანა, ნულუ ეს გროვეული ლიტერატურის ტრადიციების ლალატია?!

შე ის თვალსაზრისიც მესმის, რომ რისი უფლებაც აქვთ მრავალრიცხოვანი ერების წარმომადგენლებს, იმის უფლება თავს არ უნდა მიესცენ მცირერიცხოვანი ერების ხელშეწყობაზე. მცირერიცხოვან ერებს თავიანთი სპეციფიკური, აქტუალური, საარსებო პრობლემები აქვთ, რომელთა გაგებისათვის, სამწუხაროდ, მრავალრიცხოვან ერებს ზოგჯერ არა აქვთ შესაბამისი ორგანო (ენის, არსებობის, ზეჩვეულებების და ა. შ. შენარჩუნების საკითხი).

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ გაცუბოვებს, „გაუღაბურების“, განმარტოების, დემუმანიზაციის (ადამიანობისაგან დაცლის), ცინიზმის, ურწმუნოების, სულიერი ინტერსების კატასტროფული კლების, პრაგმატიციზმის, ნიობლიზმის და ა. შ. და ა. შ. მსახვრალი ხელი, მშინდას შედარებით სუსტად, უმინიშნელოდ ჩაშენს. მცირერიცხოვანი ერის შვილებსაც შეგვეხმ, ნულუ ამის გამოსახვა ადეკვატური საშუალებებით ჩვენს ხელშეწყობაში უნდა აიკრძალოს! (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დაუიხებით და ხაზგასმით უწინაშე ჩაშენ ჯამრჯაროგით პირველი პრობლემის ორბინიდან არ გავსულვართ, ე. ი. ამ ნათქვამი არაფერია ს. შარაჯანოვის არ მისამა — მკითხველებს უმორჩილესად ვთხოვ, ეს დამიხსნოვ. რონი).

ბატონ გურამი სერგო ფარაჯანოვის ფილმის კონკრეტულ ინტერპრეტაციასა და ფილმის სიმბოლიკის გაშიფრვას მოხვს. სიამოვნებით ვასრულებ მის მოხიზვნასა თუ თხოვნას (სულ სხვა საკითხია, ყველა გაიზიარებს თუ არა ჩემს ინტერპრეტაციას).

საერთოდ, ს. ფარაჯანოვის ფილმები და კერძოდ, მისი „სურამის ციხე“ ერთგვარ გამოწვევის წარმოდგენს თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებასა და კინემატოგრაფიაში; მისი ფილმები პოეტური, „რომანტიკული“, ერთგვარად „ლირიკული“ ფილმებია, რომლებიც გვიჩვენებენ ბუნებისა და ცხოვრების, მატერიული და ობიექტური სამყაროს, ხილული თუ ემპირიული სინამდვილის ხილამოვს, თუმც მათში სკამოადა მელანქოლიაცა და დრამატული სიმამრები, მაგრამ, რომლებშიაც მაინც იგრძნობა სამყაროში სილამზის, შვენიერების, გარკვეული პარმონიულობის ძიება, ანალოგიურ არს გამოთქვამს ილანა ბოჟოსკია (იხ. «Юность», № 9, 1987, стр. 80): «Фильм открыл дорогу целому направлению в кино — поэтическому» (იგულისხმება ს. ფარაჯანოვის ფილმი «ღვიწვებულ წინაართა აჩრდილები», ნ. კ.). მაგრამ ს. ფარაჯანოვის კინემატოგრაფი არახსვთ არ მიეუფლება თანამედროვე დასავლურ ხელოვნებაში გავრცელებულ პარადიგმას ნაკადს. წინა წერილში პარადიგმის ტალღაზე რ. ხატურავს ხელოვნება „გამყავდა“ (თუმც რ. ხატურავს არ ვახსენებდი), ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიულ და ა. შ. კოლორატის უფლებულებასაც მაგალითად ს. ფარაჯანოვის შემოქმედებას, საერთოდ, და მის „სურამის ციხეს“, კერ-

ძოდ, მივიჩნევდი (იხევე და იხევე ბოლდის ვუბლდო მკითხველებს, მაგრამ ამ გამოკრებით ბატონ გურამის კონტაქტის დამყარებას ვცდილობ).

პოეტური, რომანტიკული, ლირიკული ფილმების შემქმნელია მიხეილ კობახიძეც არც ის არის პარადიტი, კანონიკური, ტრადიციული მოტივების მოფიციკატორი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი ფილმები „თავის გვარში“ არ არის ბრწყინვალე.

ძირითადი იდეა რა აქვს ფილმში? — მეოთხედა კრატოსი. საერთოდ მხატვრული, სახელმწიფო ნაწარმოების დაუყვან ერთ იდეამდე მისი შინაარსის გაღარბების და გაცუბობიება — მხატვრული ნაწარმოები მრავალნიშნელოვანი და მრავალწანავანია, მაგრამ მის ერთ-ერთ ძირითად, ჩემი აზრით, წამყვან იდეამდე მითითება მიწი შეიძლება. ეს არის თავისებურად მესინისებური იდეა. ზურაბი გარკვეული გაგებით მესილია მოფიქრებული, ქრისტეს ფუნქციის მატარებელი: ისე როგორც ქრისტემ თავისი წამების, საკუთარი თავის ზეარაკად მიტოვებით იხსნა კაცობრიობა, ასევე ზურაბმა ნებაყოფლობით კედელში ჩაიკრთო, ე. ი. საკუთარი თავის მსხვერპლწერივით იხსნა სამშობლო, თავისი ხალხი, საზოგადოება, თვისტომნი. ზურაბი თავისი სურვილით, გარედან ძალდატანების გარეშე თავს წირავს სამშობლოს იდეისათვის. დღე მსხვერპლის გაცემის გარეშე არავითარი ბედნიერება არ მოიპოვება.

ფილმში ამავე აშკარა მინიშნელებია ჩაიკრებისწინა კადრებში: ზურაბის სახე არამშვენიერი შუქითაა განათებული, მას შარავანდის მსგავსი ნათელი ადგას თავზე, იგი თითქმის მოლიანად განძარცულია მიწერისა და ამქვენიერისაგან, მოლიანად ღვთიური, ზეციური, არამშვენიერი და ნეტარების, სულიერი სიმშველბის აურა იფრქვევა მისი სახიდან. მას არა აქვს სიკვდილის, მოსალოდნელი ტანჯვის შიში, მან დათრგუნა სიკვდილი, ღვთიური იდუმალეზა ოკოლეციით შემოხრტყმა თავის გარშემო. მართალია, ახალი აღთქმა არაფერს კონკრეტულს არ ამბობს ქრისტეს გარეგნობის შესახებ, არც ეკლესიის მამები (I და II საუკუნე): არც ამბროსიუსი, არც ავეუსტინე არც იერონიმე და არც გრიგოლ დიდი არ აღწერენ მაცხოვრის გარეგნულ ხატებას, რადგან ისინი ხატების თავყვანისციმის წინააღმდეგე იყვნენ, მაგრამ აპოკრიფული მოხულებებში ქრისტე წარმოდგენილია სწორედ როგორც პირმშვენიერი და ტანადი ბიჭი, ყმაწვილი ან ქაბული (ეს წარმოდგენა შეედა IV-V საუკუნეების ეკლესიის მამოა ნაწერებში (იოანე ლკროპირი, იერონიმე). აი სწორედ ასეთი „აპოკრიფული“ ქრისტე შემოიყვანა რეესორმა თავის ფილმში, თუმც მისი გარემო უფრო აღმოსავლური-სილამური, ვიდრე სახარებისუფლი. ასეთი პარადიგმა და ასეთი მხატვრული „ეკლექტიციზმი“ საერთოდ უუვარს რეესორ ფარაჯანოვს. წვეროსანი და უფრო სწორად ქრისტეს ხატება შედარებით გვიანდელია, რაც თანდათანობით ექცა მაცხოვრის „ავთენტურ“ სახე ქრისტეს იკონოგრაფიაში. ფილმში ქრისტე — ზურაბი წარმოდგენილია არა როგორც წამებული, ტანჯული, გამარკვებული, მოწონე ღმერთი, რაც ქრისტეს იკონოგრაფიაში ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს. ცხადია, ფილმში ზურაბს არა აქვს აშკარად გამოხატული საკრალური ატრიბუტები. XX საუკუნეში ქრისტეს სახე

უმაჯრებელ გამოიყენება ტანჯვის, სიკვდილის, აგრეთვე შემწყნარებლობის, მიტევების, სიყვარულის და ა. შ. სიმბოლოდ. ზურაბს აბსოლუტურად არ ემჩინება ხორციელი ან სულიერი ტკივილის ნიშანწყალი, რაც ქრისტეს იკონოგრაფიის ერთ-ერთ მიმარტყლებას ახასიათებდა. ფარაქანოვი ქრისტეს სახეს არ ავიხარებს ვნების (ტანჯვის) მიხტვის ხაზით. მოვანებით ქრისტეს წარმოადგენდნენ მეტწილად შიშველს, მხოლოდ თეოგებზე შემოხვეული ჰქონდა თეთრი ნაჭერი — დაახლოებით ასეთა ზურაბის ფარაქანოვის ფილმში ჩაკირვის წინ. ფარაქანოვის ზურაბი უკვე შემზადებულია ზეცად ამაღლებასათვის, მის აქვს რწყენა (ეს მის გამომეტყველებაში იგრობება), რომ თავი და სიკვდილის ვალდითა და დაძლეულით იგი ზეცად ამაღლდება, მაღელ შერითვის ღმერთს.

ასევე იქმნეპტურია“ ფარაქანოვის ფილმების სიმბოლოც, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებ. უნდა აღინიშნოს, რომ რევისორს აქვს სიმბოლოთა შიგლი სისტემა, რაც საკმაოდ აბსტრაქტულია. სიმბოლოთა ეს სისტემა კმნის მნიშვნელობათა და მიმართუათათ მთელ საშაროს, ერთ მთლიან სურათს, სადაც ყოველი დეტალის გამოფრვას აზრი არა აქვს.

საკავალბოდ უნდა შევიწყნო: ფილმში ნაჩვენები და ფსიქოლოგიურად გაანალიზებული არ არის ზურაბის შინაგანი ბრძოლა, ტანჯვა, საკუთარი თავის დამღევა, საკუთარ თავზე ამაღლების პროცესი — ეს ხომ ფსიქოლოგიური დრამა არ არის — ფილმი რეგენდის ენარშია გადაწყვეტილი, სადაც ფსიქიკური პროცესის ჩვენება უარყოფილია „წინააღმდეგაჩვენება“, ძალიან ხშირად გვევლება ს. ფარაქანოვის „სურაბის ციხეში“ ბრძოლაში. იგი უკვე ანტიკურ სამყაროში ნაყოფიერების და უკვდავების სიმბოლოა, ხოლო ქრისტიანულ ხელოვნებაში მის მკვდრეთით აღდგომის შინაარსობრივი ნიუანსიც ემატება. ბროწულით თავის სიმბოლური მნიშვნელობებით დაკავშირებულია ქრისტესთან. საერო სფეროში ბროწული გულუხვობაა და საშობლოს სიყვარულზე მიანიშნებს (ინდიეთში ბროწული წვენი უნაყოფობის წაშლად ითვლებოდა). ზოგან ბროწული სიყვარულის სიმბოლოცაა, ზოგაერთ შემთხვევაში სისხლის დაღვრასაც მოასწავებს.

შუა საუკუნეებში ბროწული წამებულთა, მარტვილთა სისხლის აღმნიშვნელადაც გვევლინება (იბ. ქ. კ. კუპერი, ძველ სიმბოლოთა დიქსიონი. თარგმნილი ინგლისურიდან გერმანულად. ზოგან ფერლაფი. ლა-ფიცი, 1908, გვ. 87; ჰერდერის ლექსიკონი. სიმბოლოები. ჰერდერის გამოცემისა. ფრაიბურგი. ბაზელი, ვენ. VIII გამოცემა. 1887, გვ. 84; მანლორე ჯაქი, ერსტლ ბალტიუბენერი, ჰელგა რომანი: ქრისტიანული იკონოგრაფია ტრიუნფები, 1978. კიოლნისა და ამელანის გამოცემლობა. ლაიფციგი, გვ. 154; ჩინა გერტი, სიმბოლოების წიგნი: ლორიმერის გამოცემლობა. ლონდონი. 1973, გვ. 128). შეგნონია, მითხვებს არ გაუგებდება ბროწულის სიმბოლიკის დაკავშირება „სურაბის ციხის“ შინაარსთან.

ხშირია ფარაქანოვის ფილმში აგრეთვე ფარშამანბმნის გამოჩენა. ფარშამანბმნი სიმბოლოა უკვდავების (შავალითა, ავგუსტინეს ონსულდებაში „ღვთის სახელმწიფოს შესახებ“). ფარშევანგი სამოთხის ფრინველად ითვლება. ფარშევანგები უკავშირდებიან ქრისტიანულ ნათლობასა და ზიარებას და, რაც მთავა-

რია ჩვენთვის ამკარად, მსხვერპლადობის, მსხვერპლ-შეწირვის ღვთისმსახურებასაც. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი შემთხვევისათვის, ფარშევანგები ქრისტეს მიერ სიცოცხლის მსხვერპლადკარგვისას სიმბოლოებენ. ფარშევანგის ფრთას როგორც ატარებუტს ატარებენ წმინდანები: ბარბარა, დოროთეა, მეორე მხრის, (და ეს შედარებით გვიანდელი სიმბოლური შინაარსია) ფარშევანგი გულუხვადობის, ამპარტანობის, პატრიუსიურობის სიმბოლოცაა. ფარშევანგები მკვდრეთით აღდგომასაც, გარდასულ სულსაც მიანიშნებენ. (იხ. ჰერდერის ლექსიკონი, გვ. 128-124; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 276-276; ფიზიოლოგუსი. ცხოველთა ადრეუტყობისტიანული სიმბოლოება, თარგმნილი ბერნულიდან. უნიონის გამოცემლობა, ბერლინი, 1981, გვ. 96-97; კუპერი, გვ. 188-187; ჩინა გერტი, გვ. 78).

არაიშვითათა „სურაბის ციხეში“ ინდარშამნიც, ინდარუცი სიმბოლოა ქალური ნაყოფიერებისა და მამაკაცი სქესობრივი პოტენციისა. ხშირად ინდარუს იუენებენ ნაყოფიერების სადღესასწაულო ცერემონიების დროს სამსხვერპლო ცხოველად. ინდარუ რიტუალური სუბმელოა სამადლობელი ლოცვების შესრულებისას (იხ. ჰერდერი, გვ. 178; კუპერი, გვ. 201).

ხშირია „სურაბის ციხეში“ ზაფრანა („ზაფრანბმნი ბაღა“). ზაფრანა სიმბოლოა ოქროსი და, მეორე მხრივ, ავგუ დროს უმაღლესი სათოფებისა — სიყვარულისა, აგრეთვე სინათლისა და ამაღლებულობისა. ზაფრანა აღნიშნავს, ამის გარდა, თავის განწიფებას, საკუთარ თავზე უარისთქმასაც, მორჩილებას, მოდრეკილობას (იხ. ჰერდერი, გვ. 94; კუპერი, გვ. 158).

ვხვდებით ფარაქანოვის ფილმში ძამშამბმნიც. კამეჩი სიმბოლოა მშვედობისმოყვარეობისა და კეთილი სიმძლიერებისა. ამის გარდა, იგი აღმოსავლეთ აზიასა და საბერძნეთში გავრცელებული სამსხვერპლო ცხოველია. კამეჩზე ამხედრება შინავას ადამიანის ცხოველური ბუნების მოთოკვას. ინდიელებში კამეჩის ამბობოლოებს ზებუნებრივ ძალას, სიმძლიერებს, შინავას სიმძლავრეს (იხ. ჰერდერი, გვ. 118; კუპერი, გვ. 80).

ხშირია „სურაბის ციხეში“ აბლამბმნიც. ქრისტიანულ სამყაროში აქლემი სიმბოლოა მორჩილებისა, ზომიერებისა, თავმოდრეკილობისა და თვინიერებისა, მეორე მხრით, აგრეთვე ბრავისა, სიზარმაცისა და შევლუფულობისა. ჩრდილოეთ აფრიკაში იგი აღნიშნავს სიფხიზღეს, სიჩოტებს და გულუხვადობას. ირანულ სამყაროში: რელიგიის დამფუძნებელი ზარატუტრია აქლემების პატრონი, აქლემების წყეშის უნდა ყოფილიყო (ხშირად გამოსახულია აქლემთან ერთად) (იხ. ჰერდერი, გვ. 84; კუპერი, გვ. 88).

ბერკია ფილმში ცხვარიც (ცხვრის ფარა), რომელიც წარმოადგენს სათოფის, უმურობის, უმანკობისა და სიწმინდის სიმბოლოს. ამავე დროს, ძველდროებაში ცხვარი უკვლავ გავრცელებული სამსხვერპლო ცხოველი იყო, აქედან — იგი იქცა ქრისტესა და მისი სამსხვერპლო სიკვდილის სიმბოლოდაც. ქრისტიანულ ხელოვნებაში სხვა ცხვრებს რომის კრავი აღნიშნავს ცხოველის კრავს (ბატკანს), რომელიც ქვეყნის ცოდებებს ტვირთულობს. კრავების ანდა ცხვრების ფარა განახანებურებს მორწმუნეებს ანდა მარტვილთა ემღესიას (ქრისტე აქ გვევლინება ხოლმე კეთილ მწყემსად). განკითხვის დღე ზოგჯერ ვიჩვენებს ქრისტეს.

რომელიც ერთმანეთს აშორებს ცხვრებს (შიშაქებს) ყოველსაგან (იხ. ჰერდერი, გვ. 157).

ფილმში **მხანამი** ჩნდება. თხა დაკავშირებულია ნაყოფიერების კულტებთან, მაგრამ აგრეთვე მეორე მხრივ, დემონიურ ძალებთანაც. თხა სიმბოლოა პირველქმნილი მატერიისა და პირველდღობისა, ადამიანური საწყისისა. განტევების ვატი არის ქრისტე, რომელიც მთელი ქვეყნის ცოცხებს ატარებს (ჰერდერი, გვ. 188, კუპერი, გვ. 280).

არაიშვიათია „სურამის ციხეში“ სხმედრემიცი: სახედარი ძალიან ბევრი, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა აქვს. აღნიშნავ მხოლოდ ზოგიერთს, რომელიც რამენაირად შეესატყვისება ფილმის შინაარსს. ბიბლიაში სახედარი ზოგჯერ უმანკოების სიმბოლოდ გვევლინება, ხანდახან სხვადასხვა დებობით კონტექსტში მოიხსენიება. ასე მაგალითად ბილემის მოლაპარაკე სახედარი ისეთ არსებას წარმოადგენს, რომელსაც ღმრთის სიტყვა უფთვ ესმის, ვიდრე ადამიანს; სახედარი და ხარი აუცილებელი ატრიბუტებია ქრისტეს დაბადებისას ბავსათან. იერუსალიმში ქრისტე სახედარზე მჭდარი შედის. მამსაბადამი, სახედარი ქრისტიანულ სამყაროში უკავშირდება ქრისტეს დაბადებას, ეგვიპტეში გადახვეწასა და იერუსალიმში შესვლას. ჩოკინა (ჩოჩორი) ხშირად სიმბოლოებს თვინიერებას, უწყინარობას, სისათუტეს, ნაყოფიერებასაც (მეორე მხრივ, სისულელეს, სიზარმაცეს, სიჭკუტასა და სქესობრივ სიმსუფიერებას, რაც ფილმის რეჟისორს ამ შემთხვევაში არ აინტერესებს) (იხ. ჰერდერი, გვ. 48; კუპერი, გვ. 46; ფილოლოგიუსი, გვ. 21 და 86; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 120).

არაიშვიათია ფილმში **ცხენების**. განსაკუთრებით საინტერესოა თეთრი ცხენი, რომელიც მზიურ და ღმერთების საჭირთო ცხოველად ითვლება. თეთრი ცხენი შემდგომ არიან ღმერთების ეტლებში; თეთრი ცხენი მზეს, უსადოებას, უმარკოებას, სიცოცხლეს და სინათლეს სიმბოლოებს. ცხენი აგრეთვე სიმბოლოა ახალგაზრდობის (სიურმის), ზღვარქელობის, ძალის, ნაყოფიერების, სექსუალობისა და მამაკაცურობისა. ცხენი ზოგ შემთხვევაში სამსხვერპლო ცხოველადაც გვევლინება (იხ. ჰერდერი, გვ. 124—126, კუპერი, გვ. 188—189).

ფილმში ვხვდებით **მამლებს** თუ **მამლებს**: მამალი მზისა და ცეცხლის სიმბოლოა, აგრეთვე წყვდიადის დაძლევისა სინათლის მიერ, მზის ფრინველი, მზის ღმერთების ატრიბუტი. მამლის აუკაროდ გამოკეთილდებოდა ნაყოფიერების ინსტიტუტი მას აქვეყნ აგრეთვე გამარჯვების, ნაყოფიერების სიმბოლოდ, მამრობით პრინციპად. მამალიც სამსხვერპლო ფრინველია. ქრისტიანულ სამყაროში მამალი მკვდრითი აღდგომასა და ქრისტეს კვლავ აღდგომასთან დაბრუნებაზე მიახლოებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში. მამალი განსახიერებს ქრისტეს ნათლის გამარჯვებას წყვდიადის ძალაზე (იგი ხშირად გამოსახულია ეკლესიის თაფლისი), მამალი ადამიანებს აუწყებს ქრისტეს დღის დადგომას (იხ. ჰერდერი, გვ. 87; კუპერი, გვ. 70; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 157).

ფილმში ხშირია **ძალღმბი**, ძალღმბი მრავალსახე, ურთიერთსაპირისპირო სიმბოლოური მნიშვნელობე

ბი აქვს. შავი ძალღმბი ბევრგან დაკავშირებულია სიკვდილთან (გვიხსენით ფარაქანოვის ფილმში **მედიცინა** წამებისა და დედამისის სიკვდილის სცენებში **მედიცინა** ძალიან ხშირად ჩნდება შავი ძალღმბი). მეორე მხრივ, ძალღმბი სიმბოლოებს ერთგულებას, იგი ბავშვებისა და ქალების დამცველად გვევლინება; ხვდებიან ძალღმბი მზადყოფნა მაკინტოშისათვის მას ნაყოფიერების, გამრავლების, სექსუალური სიძლიერის სიმბოლოდაც აქვეყნ. ზოგან მას მსხვერპლადც წიარადენ. (იხ. ჰერდერი, გვ. 78; კუპერი, გვ. 82—84; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 188—184).

გარკვეულ იქნა თამაშის ფილმი **ღვინო**. ღვინო სისხლის სიმბოლოა, ხოლო ქრისტიანულ მითოლოგიაში ზიარების რიტუალში მას ენიჭება ყველაზე წმინდა და ღრმა მნიშვნელობა; იგი ქრისტეს სისხლს აღნიშნავს. საერთოდ ღვინო მთავრად მსხვერპლად შეწირვის დროს დაღვრილ სისხლს. იგი ზოგჯერ ნაყოფიერების სიმბოლოცაა. როგორც ცნობილია, მარკოზის, მათესა და ლუკას სახარებებში ღვინო და პური სიმბოლოდ ქრისტეს სისხლსა და სხულს. (იხ. ჰერდერი, გვ. 181; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 266, კუპერი, გვ. 212).

„სურამის ციხეში“, როგორც გახსოვთ, რძეც ხეივანიერებს, რძეც ნაყოფიერების, უყვადებისა და ფულიერი საზრდოს სიმბოლოა. ქრისტიანულ ხელოვნებაში ხშირია ღვინოსმობლის გამოსახვა, რომელიც ქრისტეს ძუძუს აწოვებს. ადრექრისტიანულ ეკლესიაში რძე და თაფლი რიტუერგოულ სიმბოლოდ გვევლინება — მათ ნათლობისას იუენებდნენ ურთობების ნიშნად. ის მიიჩნეოდა სამოთხის საშემკლად ინიციაციისა და დაქრძალვის ცერემონიებში. ქრისტიანობაში რძე ღვინოს სიმბოლოცაა. რძეს აძლევენ ახლად მონათლულს ანდა ქრისტეს სჯულზე მოქცეულს ნათლობის წინ საკრამენტულ ღვინოსთან ერთად. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში რძე ითვლება ქრისტეს სულიერ საზრდოდ. ინიციაციის ცერემონიების დროს რძე გვევლინება ახლად დაბადებულის საზრდოდ ვითარცა მკვდრითი აღმდგარის სიმბოლო.

რძე ღვინოს სიმბოლოცაა. რიტუალების შესრულებისას იგი განიხილება სიცოცხლის წვედად. სხვა რელიგიებშიც რძე წმინდა სასმელია (ჰერდერი, გვ. 111; კუპერი, გვ. 121).

ვხვდებით ფარაქანოვთან მტრძემბებს. წინა აზიაში მტრძემბი უკავშირდება ნაყოფიერების ქალღმერთის იშტარს, კერძოდ, ფინიკიაში — ასტარტის კულტს. ბიბლიაში, როგორც გვახსოვს, წარღვინს შემდეგ ნოე სამ მტრძემბს გაუშვეს ბრუნობიდან, რომელთაგან ერთი ზეთისხილის რტოი იბრუნებდა. მტრძემბი აღნიშნავდა ღმერთთან შერიგებისა და, აქედან გამომდინარე, იგი მშვიდობის სიმბოლოდაც იქცა. ქრისტიანულ ხელოვნებაში მტრძემბი სულიერობის სიმბოლოა (მტრძემბი მთავრებს აგრეთვე უმარკოებაზე, უბრალობასა და სისუფთავეზე). იგი ზოგჯერ გვევლინება აგრეთვე მონათლული ქრისტიანის, საერთოდ ნათლობის, ანდა მარტვილის სიმბოლოდაც. მტრძემბი უყოველივე ამის გარდა სიმბოლოებს კიდევ ნაყოფიერების ერთი სახიდან მეორე სახეში (ანდა: ერთი მდგომარეობიდან, სიტუაციიდან მეორეში) გადასვლას — ერთი სამყაროდან მეორე სამყაროში გადასვლას. იგი მთავრებს სიცოცხლის, ცხოვრების განახ

ღებზეც, მტრები სიმბოლოა უმარკების, უწყინარობის, საინოების, ქალღრობისა და დედობრობისა. ძველ აღმქმეში მტრები ასიმბოლოებს გულბრყვილობას, უწყინარობას, უმარკობას, მორჩილება-მოდრკილობას, გულწრფელობას. იუდაიზმი მტრები სამსხვერპლო ფრინველიცაა. ქრისტეს ნათლობისას სულიწმინდა მტრების სახით ცხადდება. „ფილოლოგუსი“ ცეცხლოვან წითელ მტრებს დადარებს ქრისტეს. (იხ. პერდერი, გვ. 168—167); კუბერი, გვ. 192—198; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 817—818; ფილოლოგუსი, გვ. 68—72).

ფარაქანოვის ფილმში არც ძალქმის დაბრისპირება შემოხვევითი: კალია ნგრევის, ივარქმის, გაკამტვრების, ზოგჯერ ვერჯობის, მოტუფების, ბოროტების, ცოდვების სიმბოლოა (პერდერი, გვ. 78; კუბერი, გვ. 77; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 186), ხოლო პეტეა — ქრისტიანული სიმბოლოა ში აღნიშნავს ალდგობას (სულის აღდგომას) და უკვდავებას, რაც ცხადია, ქრისტესკენ მივჯახებებს (პერდერი, გვ. 146; კუბერი, გვ. 167).

სბრძმ, როგორც „სურამის ციხის“ მნახველებს ახსოვთ, არც თუ უმნიშვნელო როლს ასრულებს ფილმში. იგი სიმბოლოა შემეცნების, თვითშემეცნებისა, ცნობიერებისა, ჭეშმარიტებისა და სიცხადისა. შუა საუკუნეების ბელგედაში გვევლინება სარკე აგრეთვე შირაპი ღვთისმშობლის ქალწულობის სიმბოლოცა. რომელშიც ღმერთი თავის ხატებას თავისი სახით „ირეკლავდა“. (იხ. პერდერი, გვ. 158; კუბერი, გვ. 178—179; ქრისტიანული იკონოგრაფია, გვ. 810).

მე იმედი მაქვს: მკითხველებიცა და ბატონი გურამიც ადილიდ შეძლებენ ამ სიმბოლოების ანდა სიმბოლოების ამ გაშიშვლის დაკავშირებას ს. ფარაქანოვის ფილმის იდეურ შინაარსთან, თუც, ცხადია, ისინი ვაზიარებენ „სურამის ციხის“ ჩემულ ინტერპრეტაციას.

ეს არცხეითად, ახლა წვრილმანება და დეტალებზე ჭარბობით „ილუმინა“ უცხოელისა (4 იტალიელისა და 1 ფრანგისა) და უკველივე უცხოურისა და უცხოელისადმი „უსიქოზური“ დამოკიდებულების თაობაზე. უფო კაზირაგი, ალბერტო ფრანსინო, ვიტორიო სპეცა, საურო ბორელი, ფებრის რეკო კინოურნალისტები, კინო-რეცენზენტები არიან, რომლებიც სისტემატურად წერენ კინოზე და თუც ისინი ჩემი აზრით, სწორ შეხედულებებს გამოთქვამენ, რატომ უნდა ჩამოვთავოთ „დანაშაულებ“ მათი აზრებისა და დავირებების დამოწმება?! მათი ციტატები მოჰყავს არა იმიტომ, რომ ისინი უცხოელზე არიან, არამედ იმის გამო, რომ მათ ვეთანხმები (ის სულ სხვა საკითხია, რომ შეიძლება ზოგჯერ თვებს საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდეთ). ამის გარდა, ნათქვამია „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“. თუკი ბატონი გურამი სერგო ფარაქანოვს „შინაურად“ ჩათვლის — უკველ შემთხვევაში, თბილისელი ხომ მაინცაა (ბებია ქართველი, ბერაშვილის ქალი შვიდა).

მაგრამ მოავარი ჭერ კიდევ არ გვითქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით: ბატონი გურამი არ იცნობს და ამიტომ არც ცნობს 4 იტალიელისა და 1 ფრანგის ავტორიტეტს კინოს დარგში. მაგრამ მე

დარწმუნებული ვარ, „ილიას და არარუ თავდადებულის“ ავტორი ვერ უარყოფს ფედერაციო ფედერაციას და ანდრეი ტარკოვსკის, ტონინო გურანასა და მარკო ჩელო მასტროიანის კომპეტენტობას კინოს შეფასების სფეროში. ამათვე ხომ ვერ იტყვის ბატონი გურამი: „ვიცი თბო, ვინაა, რა გაუკეთებია, რა ავტორიტეტით სარგებლობს თავის იტალიაში...“ იქვე: „არაა აუცილებელი, რომ ყველა იტალიელი დანტესავით ბრძენი იყოს...“ კიდევ: „...საერთოდ კი უნდა ვიფხობო, რომ რამდენჯერღვე ჩვენზე მეტი არაა იტალიელები, ბრძენიც და სულიცი იმდენჯერ მეტი უკლებია“. მე ჩემდათავად მინდა ვკითხო პატრიუტული გურამს, თუ არ მიწყენს, განა ჩვენი რისხობრივი სიმკიცრის გამო აბსოლუტურად დავწვეული ვართ სისულელისაგან, ბატონო გურამი? მე მშვენივრად მესმის, რომ უცხოური, უცხო უკველთვის არ ნიშნავს, არ უღრის საუსტროს, მაგრამ ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ყველანი, ტონინო გურა, მასტროიანი და სხვები საუცხოო ექსპერტები და კინოს დარგში ავტორიტეტები არ არიან

საფრანგოში სპეციალური დოკუმენტური ფილმი შექმნეს ფარაქანოვის შესახებ (იხ. ანდრეი ზორკი, „თბილისისა და საქართველოს მთებში“, „სოვეტსკი ცერანი“, № 17, 1988), ხოლო კინოკრიტიკოსების საერთაშორისო გამოკითხვებზე ფარაქანოვი დასახელებს მსოფლიოს 20 საუკეთესო რეჟისორს შორის ოთარ იოსელიანთან ერთად. (იქვე).

ფედერაციო ფილმი: „მინახავს სერგო ფარაქანოვის მშვენიერი ფილმები“ (იხ. ელენა მიხაილოვსა ინტერვიუ ფელინისთან, უფრანლი „დაუგავა“, № 10, 1987).

„ფარაქანოვის ფილმები დიდი ხნის წინ ვნახე. თანავეუტყობდო მას უსაზღვრებოა და რეპრესიების წლებში და ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ იგი მაშობას შეუდგა და საქმე კარგად წუვიდა“ (იქვე). ფელინიმ ფარაქანოვს გამოუგზავნა „კომპლიმენტარული“, სახატო პირად წერილი, რომელიც ასე იწყება: „ჩემო ძვირფასო სერგი!“ და რომლისგანაც ფარაქანოვმა თავისებური კოლაცი გააკეთა, ჩახვდა რა იგი ხალაფით ინკურსტირებულ ძველბურ ჩარჩოში. ფარაქანოვის ამ კოლაციში „მონაწილეობს“ ფარაქანოვის და ლოტოსის გამხმარი ფოთოლი.

ტონინო გურა: „ოქვენ ხომ დიდი ინტელაგურაფისტი გეკათ — იუო ტარკოვსკი, ახლაც უმთაშინადა აბულაფ, ფარაქანოვი, კირა მურატოვა, გერმანი, ნორსტინი, იოსელიანი...“ (გ. კიტრინიაციის პტუბლიკაცია: ტონინო გურა: „ოქვენ დიდი კინემატოგრაფისტი გეკათ.“ „ლიტერატურნაა ვაგეტა“).

იქვე: „როდესაც თბილისში ვნახე ფარაქანოვის „სურამის ციხის ლეგენდა“, მაშინვე ვთქვი, რომ ეს — შედევრია. ხოლო ბოლო 4 თვეა ამ ფილმს რომის უჩვენებია — მოხვედრა შეუძლებელია, თუმც იტალია განვითარებულა კინემატოგრაფიაში...“

მოვუხმინოთ ისევ ტონინო გურა: „ოთარ იოსელიანის, გიორგი დანელიას, სმარტო შტარკანოვი, ელდარ შენგელიას და სხვათა სახელბი ინტერესს იწყებს ჩვენშიც, საფრანგეთშიც, სხვაგანაც. ამქერად სულ რამდენიმე ფილმი ვნახე: „სურამის ციხე“, „ციხური მთები“, „გვა შინასკენ“, ერთი-ორი დოკუმენტურიც. ყველად შესანიშნავი შთაბეჭდილება

დატოვა. განსაკუთრებით — ფარაქანოვისა და შენგელაის ნამუშევრებში». (სანდრო თუშმალიშვილი, სამსო ელსაბედშვილი; არა დააკლდეს ტაძარს. ჩვენს სტუმარია იტალიელი კინოდრამატურგი ტონინო გუერა: „კინო“, № 8, 1984).

ვეჭვიც არ შეპარება, რომ კინორეჟისორი, კინოსცენარისტი, კინოსამაგისტრო, პოეტი და პროზაიკოსი ბატონი გურამ პეტრიაშვილი მშვენივრად იცნობს ტონინო გუერას შემოქმედებასა და მოღვაწეობას (სხვათა შორის, ისინი შემოქმედებითი მოღვაწეობის უნივერსალურობით გვანან კიდევ ერთმანეთს), მაგრამ იქნება ციალა ბრეგვაძე (იხ. მისი წერილი „რატომ ვიცავთ?“, „ლიტ. საქართველო“, 16 სექტ. 1988), რომელმაც მხოლოდ ბატონ გურამ პეტრიაშვილის წერილის წაკითხვის შემდეგ გაიგო, რატომ არ მოსწონს ფარაქანოვის ფილმი, არ იცნობდეს ტონინო გუერას — პოეტს, პროზაიკოსსა და მსოფლიოს ერთ-ერთ უგამოჩინებლეს სცენარისტს (აქ შეიძლება გავიხსენოთ ფილიპინთან ერთად შექმნილი „ამარილი“, „ხოხლოდი კი მიცურავს“, „ჩინკილი და ფრედი“ და ანტონინო-ნათვის დაწერილი სცენარები — „წითელი უდაბნო“, „ზარბისი პონდი“, „ბლოუ-აჰ“ და სხვები); აგრეთვე დამიან დამიანისათვის, მონჩილისათვის, ჭუჭუბუ დე სანტისისა და ვიტორიო დე სიკასათვის შექმნილი სცენარები და მრავალი სხვა..).

ახლა უფრო დავუფიქროთ იური ლოტმანს, რომლის მიმართაც, მე მგონია, უსაფუძვლოა ბატონ გურამის „გამანადგურებელი“ და „მატესტირებელი“ შეკითხვა: „იქნებ დავდებოდეთ, დავდინდეთ... ვეითხოვთ ვინაა, რა გავუტოვებია, რა ავტორიტეტით სარგებლობს“? პართალა, ლოტმანი კინემატოგრაფისტი არ გახლავთ და არც კინოსცენარე, მაგრამ თავისი გამოკვლევებით ენის, ლიტერატურის, კულტურის ისტორიის, კულტუროლოგიის, ფილოსოფიის და ა. შ. დარგებში მან მოიპოვა უფლება ანგარიშსასაწყევო რაღაც თქვას თუნდაც კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე:

«...фильмы Сергея Параджанова не только восхищают, но и раздражают, особенно зрителям, воспитанным на развлекательных фильмах». (Ю. Лотман, Новизна легенды, «Искусство кино», № 5, 1987, стр. 63).

მე მგონია, ასე დემარტოა ციალა ბრეგვაძესაც, რომელმაც „გამოცანის ამოხსნის თუ გამოცნობის“ მეტად იოლ გზას „მოაგნო“, რამაც სწრაფად გაათავისუფლა პატოკემული ციალა არასრულფასოვნების კომპლექსისაგან.

«А когда приходит время размышлений, то невольно восклицаете: «Но это же ни на что не похоже! Это знаете, не поймешь что!».

«...огромные пласты символических значений, подчерпнутых из арсенала мировой культуры, и, что еще важнее — установка на символическую значимость всех деталей, передающаяся зрителю и овеивающая дымок таинственной многозначности весь текст фильма, делают каждый кадр сложнейшим сгустком смыслов. Многие детали не поддаются (по крайней мере, для пишущего эти строки) однозначной расшифровке» (იქვე, გვ. 65).

«Зрителю нет дела, что белая бурка Арчила или вазы, в которых везет свин сокровища Ос-

ман-ага, уже появлялись в других кадрах: он построен не на театральное любование «восточным колоритом», а на прочтение символик кадра и знает, что одни и те же символы в различных контекстах могут по-разному читаться» (стр. 66).

«С этим рядом символов, евангельских по происхождению, связан образ овечьего стада» (стр. 67).

«Мифологизм языка фильма проявляется еще в одном: он панхронен. Определить время его действия в исторических категориях невозможно и не нужно. Он протекает в повторяющихся времени мифа и свободно совмещает приметы различных эпох» (стр. 67).

როცა მეც დაახლოებით იგივე ვეჭვი წინაწილში, ბატონმა გურამმა ლამის ჭვარს მაცვა, და ანათემას გადამცა (უკეთ, ფარაქანოს მოქცევა ასე): „თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ეს ყოვლად ამორფული არსებები (რომლებსაც პეტრონაევი არც კი შეიძლება დაერქვას) ჩაცმული არიან პირობითად, ცხოვრობენ პირობით დროში, პირობით გარემოში და მოქმედებენ პირობით სიტუაციაში, მაშინ აღბათ დამეთანხმებით, რომ მე მართალი ვარ: ძნელია კაცმა გაიგოს, თუ რომელი დღერის მხალხრია ს. ფარაქანოვი“. როგორც ჩანს, ბატონ გურამს მთლიანფიქრებზე ან ბუნდოვანი წარმოდგენა ანდა უარყოფითი აზრი აქვს — მაგრამ ეს ვარკვევით უნდა ითქვას, თორემ ძალიან ძნელი გასაგებია ხდება მისი შემოგონ მჭკლანობის „ლოგიაკა“: რას ახრალებს რეჟისორს: უღმერთობას თუ მხატვრულ უხესურობას?

ერთი საკითხია, რომ ს. ფარაქანოვი თავის ფილმში (შეიძლება ითქვას, ფილმებში) არ იცავს ქართულ (ეროვნულ) ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ ლოკალურ სულსა და კოლორიტს — ეს მისი შეგნებული პოზიციაა.

და, მეორე საკითხია, ამის მიუხედავად, ქმნის თუ რა რეჟისორი ფარაქანოვი კინოხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებს?

უცნაური არგუმენტია: ფილიპის, გუერას, ტარკოვსკის, ლოტმანს და სხვებს რაში ანადლებს ქართული სინამდვილის დამახინჯებაო (აქ მე მხოლოდ პატოკემული გურამ პეტრიაშვილის კი არ ვეპაშაობები, არამედ მის მიმდევრებსაც, მაგალითად, ქალბატონ ციალა ბრეგვაძესაც), კი მაგრამ მათ ხომ ანადვლებთ ხელოვნების დამახინჯება, თუკი ასეთი რამ ხდება?! უცნაური „ლოგიაკა“: ფილიპის, გუერასა და სხვებს მოსწონთ ფარაქანოვის ფილმი იმიტომ, რომ ისინი „ისისხლით და ხორციით“ არ იგრძნობენ ქართულ კულტურას და მისი განვითარების გზებს“. თუ ეს ასეა, მაშინ (ლოგიკურად ასე გამოდის) აზრი არ მქონდა ჩვენი ფილმების (და არა მარტო ფილმების) ჩვენებას არაქართული მკურებლებიანათვის. და, პირიქით, ჩვენც არ გვკვს უფლება და საფუძველი შევავსოთ არაქართული ნაწარმოებები.

კიდევ უფრო შორს თუ წავალთ, არ გვაქვს უფლება (რადგან შედეგი თუ ნაყოფი სავალალო იქნება) შეჭპირის, შილერის და ა. შ. დადების. მთარგმნელობითი ხელოვნების არსებობასაც გამოყვლემოდ საფუძველი, ლოგიკურები თუ ვიქნებოდით, თუ ჩვენ იმოავითვე არაქართული მხალხის შეფახების უნარ-

მოკლებული ვართ. რადგან ბატონ გურამისა და ძმთა მისთა მთავარი, „რეიონის“ არგუმენტი, ვახლავთ: ესა და ეს შემეფანტებოდა (თუნდაც მისი სახელი ფელენი იყოს ანდა ლობჯანი) ქართველი არაა და მას რაში უნადვლება ქართული ხელოვნება ასე ახსურდამდე მივალთ. გამოდის, რომ ესა თუ ის ეროვნული ხელოვნება მხოლოდ ამ ეროვნების წარმომადგენლებითვის იყოს გასაგები და მათ ჰქონდეთ მისი შეფასების უფლება. თუ ეს ასე არ არის, თუ ჩვენ სწორად ვერ ვაფიქტო მათი „ლოგიკა“, მაშინ რა „დაშვება“ ფიქტო ლში, გუფარს, ლობჯანსა და სხვებს, რომელთაც მოსწონთ ფარაქანოვის მთელი შემოქმედება და, კერძოდ, ეს ფილმიც?!

ე. ი. (მე ვიმეორებ, გაუგებრობათა თავიდან ასაღწევად) ბატონ გურამისა და მისი მიმდევრების მთავარი თეზა: ის, ვინც არ იცნობს საქართველოს, მის სინამდვილეს, მისი კულტურის სპეციფიკას და ა. შ. („ისხილთი და ზორციო“), მას არა აქვს უფლება და უნარიც შეაფასოს ქართული წარწერებისა და ნაწარმოების ქართულ თემაზე. ეს თეზა შეიძლება შევატრიალოთ და იგივე გავიმეოროთ, ვთქვათ ინგლისურ, იაპონურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ და ა. შ. ნაწარმოებებზე და ბატონ გურამსაც უნდა წავართვათ უფლება რომელიმე არაქართულ ნაწარმოებზე აზრის გამოთქმისა (რ. ჩხეიძის „დღის კიბოტზე“, რ. სტუროვის „რიჩარდ მენსენსა“ და „მეფე ლიოპო“ და ა. შ. ა. შ.), რადგან გენსა თვითონ ბატონ გურამი ვრწმუნობს და იცნობს „ისხილთი და ზორციო“ ინგლისურ და ესპანურ კულტურებს და მათი განვითარების გზებს? განა შექსპირის ვაგებას და მისი პიუხით აღტაცებას ინგლისური ისტორიის, კულტურის, უცხოის სპეციფიკის ცოდნა განაპირობებს?!

ჩემი ღრმა რწმენით, ქართველ მყურებელსა და მათხველს აქვს უფლება გამოთქვას აზრი, მაგალითად, გახარული ვარისა ვაშკისა რომანებზე ანდა აქირა სურსიანას ფილმებზე, თუმც, იშვიათი გამოცეკვლისის გარდა, მათ არა აქვთ კოლუმბიის (საეროოდ სამხრეთ ამერიკის) და იაპონიის ცოდნა. ბატონ გურამს, ჩემი აზრით, ეროვნუთისაგან ვერ არჩევს საერთოდ ხელოვნების (მისი კანონების, სპეციფიკის, ესთეტიკური გემოვნების) და რომელიმე ქვეყნის ეთნოგრაფიის ცოდნა-წოდებას შორის განსხვავებას.

ქართველს რომ ქართველს აქვებს, ეს კარგია, სასიამოვნოა ჩვენთვის, მაგრამ როცა მას და მის ნაწარმოებს არაქართველი აქვებს, ორგზის უფრო სასიამოვნოა, რადგან ამ შემთხვევაში ობიექტურობის აღბაობაა მეტი. მაგალითად, მე ტანში სიამაყის ვრუანტელმა დამიარა, როცა ელემ კლიმოვმა უფრანდ „ოკოლინისა“ კორესპონდენტის, ფილიპს მედევეციის შეითხოვეს, კინორეჟისორებს შორის თი მთიმ წლებში ვინ არ გატეხილა, ვის არ უღალატინა თავისი მრწამსისათვის, ვინ არ გაყიდულაო, სხვებს შორის ოთარ იონელიანია და ელდარ შენგელიაიც დასახელა. „Эльдар Шенгелая не изменил себе ни в чем“ — მე ეს ფრაზა ძალიან მეაძუება. და ჩემთვის ამ ნათქვამს მეტი ფასი აქვს, ვიდრე რომელიმე ჩემი თანამემამულის ანალოგიურ გამოთქვამს ექნებოდა. ნათუ ეს უკველივე არაქართულის გაფიქტოება, ასე ვთქვათ, უცხოურის „ფსიქოზა“ და ანტიპატრიოტიზმი?!

ნათუ ესეც უცხოურის, არაქართულის მონურ თაყვანების მაგალითია?!

კინორეჟისორ ს. ფარაქანოვს დიდად აფასებს ცნობილი ქართველი ფერმწერალი და თეატრალური მხატვარი, გოგი ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც დაეწინაურებთ ქართული კულტურის უცოდინარობას. მან შესეკათოცოდნენ ნატალია ზეიფასს განუცხადა: „ატარკოვსკიმ კოვენტ გარდენში „შორის გოდუნოვი“ დადგა. რატომ დიდ თეატრში არ დადგა? განა „ანდრეი რუბლოვის“ შემდეგ ნათელი არ იყო, რომ ამ რეჟისორის იღებო ბარე პიუხლ ოპერას განწვდებოდა? რატომ არ აწვევენ საოპერო თეატრში ს. ფარაქანოვს — იშვიათი მუსეკათობის რეჟისორს, რომელსაც ესმის ოპერა...?“ (იხ. გოგი ალექსი-მესხიშვილი, ცოდნის ოპერა, „საბჭოთა ხელოვნება“, № 8 1987, გვ. 99. გადმოხებულია უფრანდ „სოვეტსკაია მუსეკა“-დან ცნობილი მუსეკათობის, ნატალია ზეიფასის საუბარი მხატვართან). მართალია, მესხიშვილი კონკრეტულად არაფერს ამბობს „სურამის ციხეზე“, მაგრამ კონტექსტითაა აშკარად ჩანს, რომ გ. ალექსი-მესხიშვილი დიდი აზრისაა საერთოდ რეჟისორ ფარაქანოვზე (რითი ვართ ჩვენ გ. ალექსი-მესხიშვილზე უკეთესი ქართველები: ნიხით, გენებით, ჩამოვადლობთ თუ შექმნილი თვისებებით?).

რასაც ბატონ გურამი ირონიულად უტრიალ-პურულას, ხოლო სხვები „თვალის სატყუარს“ უწოდებენ, ანდრეი ტარკოვსკიმ ასე დაახასიათა:

«Он делает не коллажи, занавески, куклы или что-то, что можно назвать дизайном. Нет, это другое. Это возвышеннее, талантливее, это настоящее искусство. В чем его прелесть? В непосредственности. Что-то, придумав, он не планирует, не рассчитывает, не конструирует. Между замыслом и выполнением нет разницы. Эмоциональность, которая лежит в начале его творческого процесса, доходит до результата, он не распылявшись, ничего не утравя. Доходит в чистоте, в первозданности, непосредственности, наивности“.

(ციტირებულია ვახლი კატანიანის წერილიდან: „Волшебные касания“, «Огонек», № 52, декабрь, 1987 г., стр. 17).

მართალია, ანდრეი ტარკოვსკი ამას ფარაქანოვის კოლაჟებზე ამბობს, მაგრამ მისი მხატვრობა სწორედ მის ფილმებში და, კერძოდ, „სურამის ციხეშია“ გაცოცხლებული და ამოძრავებული და სწორედ ამას უწოდებს ბატონი გურამი „ტრიალ-პურულას“, „ლამაზ“ კადრებს და „სურათებს“ (ბრჭყალეში ჩასმული ეს სიტყვები მივცანიშნებს იმას, რომ პატრიცეუმული გურამი ამ სურათებს სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს).

ცხადია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ რიტორდამში ერთი ამბავი ატყდა, როცა 1988 წ. ფარაქანოვი ჩავიდა იქ ფეტბიალზე. „სერგო ფარაქანოვი — მესტრო“, „პატრიკ კაზლონი იღებს დოკუმენტური ფილმს ფარაქანოვზე“, „კინორეჟისორ ფეტბიალს აქვს პატივი მიიღოს ფარაქანოვი“, „ილეგენდარული ადამიანი ჩამოვიდა“ და ა. შ. და ა. შ. ატრელდა მოლანდური გაზეთები. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, რომ რიტორდამის ფეტბიალზე კინორეჟისორებმა მხოლოდ 20 საუკეთესო კინორეჟისორს შორის შორის მიიღო 2 საბჭოთა რეჟისორი დაახა-

ხეხეს: ოთარ იოსელიანი და სერგო ფარაქანოვი. უცხადესი ხალხია ეს უცხოელები — სენსაციას დახარბებული, მასობრივი ფსიქოზით შეპყრობილი (თუმცა ყველა ჩვენი რეჟისორი არ არის ვარაუდობადი ასეთი ყურადღება). მაგრამ სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური დებუნებისთვის მინც საინტერესოა, რამ გადაარა ეს ხალხი ფარაქანოვზე, რომლის „ლაშაჟი კადრები“ ბატონ პეტრიაშვილს „არა აღელვებს“? ფაქტია, რომ ჩვენში სწომები ორიგინალობენ, არ მოსწონთ, მაგრამ ამბობენ: მოგვეწონსო, ფერობენ, ეს კარგი ტონია. მეორე მხრივ, ეს ფარაქანოვის „ჩაწყობილი“ სხვადასხვა საჩუქრები, ბრილიანტებით, ქურჭლებით და ა. შ. მაგრამ იმ პირველ მოლანდაში, ანდა დასავლეთ ბერლინში („ბერლინალზე“ წარმოდგენილ მრავალ ფილმს შორის შეუმღებელია შეუმჩნეველი დარჩეს ერთი ბრილიანტი: ეს არის კინორეჟისორი სერგო ფარაქანოვის ფილმი — „ხუარამის ციხის ლეგენდა“ — გაზეთი „დი ვარჰატი“), ან მიუნხენში, ან სან-პაულოში და ბევრგან სხვაგან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული ხალხი, კინოსპეციალისტები და ჩვეულებრივი მკურნებელიც რამ გადარია? რანარად „ჩაწყობ“ ეს ყველაფერი ფარაქანოვა ამ მოკლე ხანში, ჯოჯოგარ მოსაწარსო ყველას დახატუბრება? ჩემთვის ფარაქანოვის ეს „ფეოლომენი“ პირდაპირ აუხსენილია ანდა რა ახარება, რას აიჩემებს ეს ფარაქანოვი, თუნდაც სან-ხეხასტიანის ანდა კანის 41-ე საერთაშორისო კინოფესტივალის მუხუდურებმა? არცერთი საბჭოთა ფილმი არ წაიღეს საკონკურსოდ, აქაოდა ფარაქანოვის ახალ ფილმს „აშუქ ქვრებს“ რატომ არ გვთავაზობოი რანარად, „რა მანქანებით“, „ჩათაფლა“ ეს ხალხი რეჟისორმა, რომლის „ქრეტა-ქრეტები“ „სისხლითა და ხორციტ“ ნაღდ ქართველ რეჟისორსა და მწერალს, ბატონ გურამ პეტრიაშვილს აგრეტივად აღიზიანებს? ანდა რამ გადარია „ლაშაჟიშვილს“ კორესპონდენტ ეან რადვანი („ლ“ უმანდებ“, 8 ოქტ. 1988), რომელი ფარაქანოვს რამდენჯერმე „შემოქმედებით გენიას“ უწოდებს.

თანამედროვე ხელოვნება უპირატესად პაროდულია რომ უნდა იყოს (ამ სიტყვის ახლებური და ფართო გაგებით) — ეს აზრი თომას მანს ეკუთვნის, ბატონი გურამი კი ამ თეზის მე მომწერეს. ცხადია, უცდომელი არავინა და შეიძლება თომას ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ბატონ გურამს მისამართი მონიბა და მე მაკრიტიკებს ამ „მკრეხელური“ დებულების გამო (საინტერესოა, აქაც ვერ გავიგებთ ერთმანეთს მე და ჩემმა მომწინებმა თუ ჩემი ოპონენტები მერიკა თომას მანს კრიტიკას?). თომას მანი ამ აზრს გამოთქვამს თავისსავე რომანზე — „დოქტორ ფაუსტ-ლიუკენა“ დაწერილ ცეკვი — „დოქტორ ფაუსტუსის აღმოცენება“ — აქ, სადაც ქვიშე ქვისზე ლაპარაკობს. (მე იძულებული ვარ ისევ და ისევ შევახსენო ბატონ გურამს, რომ ს. ფარაქანოვის „ამავი სურამის ციხის“ არ მიმართა პაროდულ ნაწარმოებად — ასეთებად მივიჩნევ რეჟისორს, სტურუას ნამუშევრებს — ასე რომ, ბატონ გურამის მგზნებარე ფილიპიკები პაროდისა და პაროდულთობის წინააღმდეგ „სურამის ციხესთან“ დაკავშირებით“, რომელთაც მისი წერილის ნახევარი უკავიათ, ერთგვარ ფუჭ და „უმინსამართო“ „გასროლას“ წარმოადგენს).

აქვე შეიძლება შევნიშნო: თავისდაუნებურად ტიპიკული გურამი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდეს მხატვარს, ფრანგ მარსელ დიუშანს „გვიმტაცებს“ დიხს“ ტურდებს („სხე, მაგალითად, წარსწობს“ ჯოჯონდას პორტრეტი. ვიპაროდისტი იღებს ფუნქს და მიახატავს უღვაშებს... ასეთი პაროდირება ახალი ნაწარმოების შექმნა კი არა, ძველის განადგურებაა“). ახლა მოვუსმინოთ მხატვარს გაი ბუდამეს, რომელსაც, ალბათ, მხატვრობაში მეტი დევტრება: „ერთლია ამ პერიოდის, ტრადიციის მიმართ ამბობსებულო სერიოდის ხელოვნებაზე ილაპარაკო და არ მოიხმო მაგალითად ფრანგი მხატვარი მარსელ დიუშანი, დიდი ინტელექტისა და მხატვრული ერთდციის ხელოვნა. მისი აზროვნება შესანიშნავი მაგალითია განსაზღვრული ხედვის ხელოვნებისა. მის აზროვნებაში არსებითად უაყოფილია სწორედ ტრადიციული ესთეტიკური კონსტრუქცია. მარსელ დიუშანს შესწევს უნარი თამამად დაამხვხვიოს ხელშეუხებელი წარმოდგენა, მაგალითად, თუნდაც ლეონარდოს „ჯ.მ.მ.მ.მ.მ.“ მინ. ხატოს უღვაშებში (ხაზი ჩემია, ნ. კ.), თუმცა კი მას ამით აბსოლუტურად ახალი, ისევ მხატვრული სიცოცხლე შეუნარჩუნოს. იგი გვიხსნებს ხედვას, გვიანებს ახალი ხედვის უნარს, რომელიც არც ერთგვარი ვოლუტარიზმისგანა თავისუფალი, რადგანაც ასეთი ხელოვნება პირველ რიგში იმიტაციული, ბიურგერის დაკანონებული წარმოდგენების მსხვრევისკენა მიმართული. ამ მეტად ღრმა ფსიქოლოგიურ მინიშნებებს, რომლებსაც მარსელ დიუშანი მიმართავდა, ხელოვნება ახალი, განსხვავებული რაციონალური აზროვნებით პლასტიური ფორმების საკენ მიჰყავდა“ (გია ბუდაძე, საგნობრივი ხელოვნება, „ლიტ. საქართველო“, 11 ნოემბერი 1988). ვის დაუფეროთ, მკითხველზე? მართალია, ამას ხელოვნებასთან არა აქვს კავშირი, მაგრამ მინც საინტერესოა, რომ რამში ვამოვიდა ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონების საორგანიზაციო კომიტეტის ურნალ „ილ მონდიალეს“ პირველი ნომერი, რომლის ყდაზე დაბეჭდილია ჯოჯონდა, ხელში ბურთი რომ უჭირავს. იტალიელები არ იზიარებენ ბატონ გურამ პეტრიაშვილის აღფრთოვებს და ამას არ მიიჩნევენ ლეონარდო და ვინჩის შურტაცყოფად.

ბატონი გურამი წერს: მას მოჰყავს ციტატი ჩემი პირველი წერილიდან — „მეორე ჭგუთი თანამედროვე ხელოვნებისათვის სავალდებულოდ არ მიიჩნევს კონკრეტულ, ეროვნულ, ლოკალური, ისტორიული რეალიტების, აქსესუარების, ყოფითი დეტალების, უფრო მეტიც, ეპოქის სულითა და სურნლის რეპროდუქტივებს“. ამის შემდეგ ბატონი გურამი დასძინებს: „კინაწარმოებებში, რომლებსაც მე ვიცნობ ნოდარ კაკაბაძის მიერ ჩამოთვლილთა შორის, მხოლოდ ს. ფარაქანოვის „სურამის ციხის ამბავია“ უფლებელყოფილი ყველაფერი ერთად: ეპოქაც, სულიც, სურნელიც, ეროვნებაც, ისტორიაც და ყოფითი დეტალებიც, სხვა ნაწარმოებებში არაა ეგრე“.

არსებობს ლათინური ანდაზა: „არცოდნა საბუთი არ არის“ („იგნორანცია ნონ ესტ არგუმენტუმ“). თუ ბატონი გურამი არ იცნობს ბრეტის „კავკასიური ცარცის წრეს“, თომას მანის მცირე რომანს — „რჩეულს“, ლიურენმატის „რამულუს დიდს“, „მოხუც ბანოვანის სტუმრობას“ და ა. შ. განა ეს არცოდნა

ჩეს სანქციალდეგო არგუმენტად გამოდგება? ასე მაკალითად, თვითონ თ. მანი წერს. თავის რომანზე — „ჩრდილი“, რომ აქ გამოხსნულია იმპროვიზებული, „გაგოლინი“, დეკორატიული, ზეირიული, ზეისტორიული შუა საუკუნეები, რომელთაც აკლია კონკრეტული ისტორიული და ფსიქოლოგიური ნაშევილობა — დამატებულია. მეორეგან აღნიშნავს თ. მან მანი თავის „ჩრდილი“ დასაბუთო სინამდვილის თაობაზე: „ჩემი ქრისტიანულ-ზეირიული ანდა ეროვნებამდელი შუა საუკუნეები“. თომაშ მანის ეს რომანი შუა საუკუნეების ლეგენდას ამუშავებს და ლეგენდას ენართად წწორედ არ შეეფერება ეს სიცალი-ისტორიული-ფსიქოლოგიური კონკრეტუა. ასევე დიურენმატის — „მოსუცი ბანოვანის სტუმრობაში“ არ ადგლია დეკორატიული და არც დრკა.

ჩვენ ძალიან ხშირად ვივიწყებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ნაწარმოებზე უნდა იმსჯელო იმ ეანრის კანონების მიხედვით, რომელსაც ნაწარმოებში მიეკუთვნება. ფარაანოვი ისტორიულ ტრაქტატს კი არ იღებს. აჩამედ კინოენთ მოვითხრობს ლეგენდას.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ლიტურჯ ახალგაზრდულ თეატრში ლიტურჯ რეჟისორის ემუტანტის ნეკროშისის მიერ ვადიმ კორსტილიოვის პიესის მიხედვით დადგმული: „ფიროსმანი, ფიროსმანი.“

მე არ ვიცი, მოსწონს თუ არა პატივცემულ გურამს ეს სპექტაკლი. ცხადია, მას უფლება აქვს არ მოსწონდეს, ისევე შეე უფლება მაქვს — მოსწონდეს, მაგრამ არავისა აქვს უფლება, თუ დემოკრატიულ და არა ტოტალიტარულ სახელმწიფოში გვცხოვრობს, სახლს მოუფროს „ქაჯარას კუთ ეგვი“! და ანათემას გადავცეთ რეჟისორი. ჩემსა და ძალიან ბევრზე სპექტაკლი უღმრეს შთაბეჭდილებას ახდენს (საერთოდ, საყოველთაოდ აღიარებულია თეატრალურ წრეებში თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ შედეგად, თეატრმა ვასტროლებზე, მკონი, ლონდონში, ერთ სხვა სპექტაკლიან ერთად წწორედ ეს სპექტაკლი წაიღო), იმის მიუხედავად, რომ სპექტაკლი არ არის დეკორატიული არც დრკა, არც ადგილი, არც ტანსაცმელი, არც ზენ-ჩვეულებანი — აქ დარღვეულია ისტორიულ-ეთნიურ-გეოგრაფიულ-სიცალიურ-ფსიქოლოგიური კოლორიტი და შესახამისობა. აქ არც ინტერიერია ქართული, არც ექსტერიერი, არც აღდგმული, არც არქიტექტურა, არც სიმღერები, არც ადამიანთა გარეგნობა, მაგრამ საქმე გვაქვს უარწყინებლს (ჩემი აზრით და გეოგრაფიებით, უბრწყინებლს) ხელოვნების ნაწარმოებთან, რომელიც დიდად ცოდება ემპირიული, ყოფილი რეალიზმის ფრადებულს.

აქ ნიკო ფიროსმანი ნახევრად შეშლილია, ენაბლუ, ღამის დამბლადცემული, „სალისის“ ტიპი, ცხოვრებისაგან გათვლილი, წყლთა გულბრწყინი, გამოცემული. ნეკროშისი უღრდები ძალით გვარძობიანებს და განგვაღვივებებს უიღბლო, წარუშტებელ ხელოვნის ზოგადკაცობრიულ ტრაგედიას. ამ სპექტაკლში ნიკო ფიროსმანის ცხოვრება კორსტილიოვის მიხედვით გადმოცემული მხოლოდ ხანაბია, თავისებური ბიძგი და იმპულსია ნეკროშისის უბრწყინებლს დრამატული ჩანაფიქრის განხორციელებასთვის.

მაშხადაბე, ეიმუნტას ნეკროშისის სპექტაკლში არ არის ქართული რეალები, აქსესუარები, გარემო-ატრიბუტები, ყოფილი დეტალები, მაგრამ მანც იგი საოცარი შთაბეჭდილების მომბდენი წარმოდგენაა. სანტერესოა, რატომ არ შეურაცხყო ქართულიების თავმოყვარობას, ღირსების გრძობას, ეროვნულ შეგნებას ნეკროშისის სპექტაკლი?

ფრიად ირიგინალურ აზრს გამოთქვამს ბატონი გურამი ღმერთი, საერთოდ, და კერძოდ, გვასწავლის ნიცშე რას გულისხმობდა, როცა ამბობდა, ღმერთი მოკვდა: „ღმერთი მოკვდაო, ნიცშემ რომ განცხადა, უნდა ვიკითხოთ, რომელი ღმერთი ჰყვდა მხედველობაში. როცა კაცი იმდენს და ისე დაწერს, ნიცშემ რომ დაწერა, მას აუცილებლად ჰყავს რომელიღაც სხვა ღმერთი.“

ქანსალი გულბრყვილობა წწორედ ისაა, რომ შემოქმედს გულბრყვილოდ სწერა: არის ისეთი რამ, რისთვისაც იგი ვადლებულია იღავწოს და, თუ საჭირო გახდება, თავიც ვაწიროს.

და ეს „რამ“ არის მისი „ღმერთი“. ღმერთად შემოქმედს შეიძლება ჰყავდეს: თვით უფალი, საშობლო, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა, მშენებრება, თავისუფლება“.

ისევე და მერამდენეკრ ვერ ვუგებთ ერთმანეთს მე და ბატონი გურამი: მე ერთს ვამბობ, მას მეორე ემსი. მე „ღმერთში“ მემსის ღმერთი ფილოსოფიური, რელიგიური, ტრანსცენდენტური მნიშვნელობით, ბატონი გურამი კი „ღმერთს“ გადატანით, ფიგურალური აზრით გულისხმობს. „ჩემო ღმერთო!“ — შეუძლია უთხრას რომელიმე ახალგაზრდა შეყვარებულმა თავის სატრფოს, მაგრამ აქ იგი „ღმერთს“ ფიგურალური მნიშვნელობით იგულისხმებს და არა რელიგიური, ტრანსცენდენტური გაგებით.

ბატონი გურამის მიხედვით, არ არსებობს თეიზმი და ათეიზმი (ამას ასე პირდაპირ არ ამბობს პატივცემული გურამი, მაგრამ მისი მსჯელობიდან ასე გამოდის. ყველას თავისი ღმერთი ჰყოლია). თურმე, ყველადერი, რაც მოგწონს, გვეყვარს ან რასაც ვაღიარებთ, ღმერთი ყოფილა! სულ სხვა საკითხია, ვეთანხმებით თუ არა, მაგრამ განა, ერთი მხრით, სიცარიება, მარქსი, ენგელსი და ა. შ. და, მეორე მხრით, პაიდგერი, სარტრი, კამო, თუნდაც ფროიდი, აგრეთვე ნიცშე და ა. შ. ათეისტები არ არიან? იმის მიუხედავად, რომ მათ რაღაცს სწეროდათ, რაღაცას აღიარებდნენ, და ბევრს წწორედ კი-დე. ნეთუ არასოდეს დაუფერებია ბატონი გურამი დღსტოვეკის ნათქვამს: ღმერთი თუ არ არსებობს, მაშინ ყველადერი ნებადართული ყოფილაო!

„...როცა კაცი იმდენს და ისე დაწერს, ნიცშემ რომ დაწერა, მას აუცილებლად ჰყავს რომელიღაც სხვა ღმერთი“ (ხაზი ჩემია, ნ. კ.). ჩემთვის გაუგებარია, რა გულისხმება აქ „ისე“ წერაში და „სხვა“ ღმერთში.

ღმერთი, მარტივად რომ ვთქვათ, არის უწინაის იდეალური, სულიერი ინსტანცია, საწყისი, აბსოლუტური პრინციპი, რაღაც აბსოლუტური, რაც არსებობს და ღმრებულია ინდივიდის ფიკიურ-ბიოლოგიური არსებობის გარეშეც და რაც აწწირიგებს სამყაროს, პარმონიელობა შეაქვს მასში. ღმერთი ცალკეული ადამიანების ბიოლოგიური არსებობით კი არ იწყება და მოავრდება, არამედ მარადულთა, უბოლო-

ვადლა, განუსაზღვრელია. ადამიანები იბადებიან და იხოცებიან. მაგრამ თუ ისინი, ღმერთის მიხედვით, მის შესაბამისად ცხოვრობენ და იქცევიან, თუ თავის მოქმედებას უთანხმებენ, უკვემდებარებენ ღმერთს. მაშინ ადამიანებიც რადიკალურად უკედენი, მარადიული, აბსოლუტურის თანამონაწილენი, აბსოლუტის თანაზიარის ხდებიან.

აი ასეთი ვაგებთ ნიცშეს (ასევე ფროიდს და სხვებს) არ სწამდა ღმერთი და ეს უღმერთობა, ეს ურწმუნობა აპირობდა იმ კრიზისს, რაზედაც ზემოთ ბევრი ვილაპარაკე. მე დარწმუნებული არა ვარ, შევძელი თუ არა, ბატონი გურამისათვის გასაგებად იმის თქმა, რისი თქმაც მსურდა: რამე ან ვინმე თუ გიყვარს და ამასთან ბერასაც წერ, ეს ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი გწამს. ასე მარტივად არ წყდება რელიგიური რწმენა-ურწმუნოების საკითხი.

ასევე უცნაური წარმოდგენა აქვს ბატონ გურამს ამბივალენტურობა და ამბივალენტურობაზე: „თქვენ წერთ, რომ სერგეი ფარაჯალოვს ახასიათებს „ამბივალენტური დამოკიდებულება როგორც სომხებისადმი, ასევე ქართველებისადმი“ — მომმართავს მე ბატონი პეტრია-შვილი. „ეს უბედურებაა, ბატონო ნოდარ!“

ჩემში ყოველივე ამის წაქოხნავ მიმართული ვა-მოიწვია მხოლოდ. თუ შენი გიყვარს კიდევ და კიდევ გეჭაგრება, ცხადია, ვერ მიხვდები, რომ ზერ-მანუს მხოლოდ უყვარს თავისი.“

და კიდევ ბატონ გურამის მიმართება ამბივალენტურობისადმი: „ამბივალენტური გრძნობებითა და დამოკიდებულებებით არ იქნენბა ხელოვნება. მით უმეტეს შედეგები.“

რაც გიყვარს, უნდა გიყვარდეს, რაცა გატულს, უნდა გატულდეს!“ ძალიან გამარტივებულად და ცალსახად უყურებს ბატონი გურამი ცხოვრებასა და ხელოვნებასაც. ამის გარდა, მის ამ მსჯელობებს ცოტა უფასობისა და დამატარების „სუნი“ უღის. თქვენ წარმოადგინეთ, ბატონო გურამ, „ამბივალენტური გრძნობებითა და დამოკიდებულებებით“ იქნენბა ხელოვნება და, ასე განსაჯეთ, შედეგებიც! ალბათ, ბატონ გურამს თავისი კატეგორიული მსჯავრის გამოკატანისა არ გახსენებია ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, მიხაილ ხახტინის მსოფლიოში სახელგანთქმული წიგნი — „დოსტოევსკის პოეტობის პრობლემა“, რომელშიაც ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში გარკვეული ეპოქის შემქმნელი მკვლევარი ამტკიცებს, რომ დოსტოევსკის რომანებისათვის არსებითი ნიშანია სწორედ ამბივალენტურობა და ამბივალენტური ირონია (სხვათა შორის, თომას მანისა) — ეს არის გაბალანსების საწინააღმდეგო ტენდენცია, ანტიდამატური პოზიცია. დოსტოევსკის რომანებში ძნელი გასარჩევია, სადაა მთხრობელი სერიოზული, ან თუნდაც ავტორი. აქ დიალოგები დიად და დიალოგული, საბოლოო წერტილი არ არის დასმული. ცალმხრივი პათოსი გადატანლია პერსონაჟებზე — ავტორი მთლიანად არცერთს არ ეთანხმება, ხან ერთი პერსონაჟისკენ იხრება, ხან — მეორისაკენ, მაგრამ ავტორის პოზიცია სრულად არასოდეს ფარავს ამ პერსონაჟთა პოზიციას. დოსტოევსკის მთხრობელი თითქმის არასოდეს ლაპარაკობს სრული-

ად სერიოზულად, ის მუდამ თამაშობს, ასე ვთქვათ „ამბივალენტური ლამაზი“.

გერმანულ ენაში არსებობს სიტყვა „მისლიზმის“ რაც ნიშნავს სიძულვილ-სიყვარულს, ე. ი. გრძნობას, რომელშიაც მეზობლები ურთიერთსაპირისპირო განწყობილებანი. საოცარი სიძლიერით ავიწყრა სწორედ ეს „მისლიზმ“ გერმანულმა რომანტიკოსმა, მაინრიხ კლაისტმა თავის ტრაგედიაში „პენტეუზილია“: ასეთი გრძნობა აქვთ ერთმანეთისადმი აქილევსსა და ამორკალებს დედოფალს, პენტეუზილას. ვე ვიცი, რას მოახსუბეს ბატონი გურამი ამისე: გერმანულზე მე არ ვაგებ პასუხს და ქართველებზე კერძო მითითება მოგახსენოთ, რომ მათ ან წმინდაყული სიყვარული იციან ან წმინდაყული სიძულვილი, შუამდლური ანდა „შერტული“ გრძნობები ჩვენივე უცხოა და მცირერიცხოვან ერს ამის უფლებაც არა გვაქვს.

გარკვეული ამბივალენტური ნიუანსების შემცველია აკაცის „ფორმის ღირსი ხარ, შენ საქართველო!“; ილიას „ჩვენი სიბანა ზედნიერი, ვანა არის სადმე ერიო!“... ლერმონტოვის «Прощай, немая Россия», შაკისმილიან ვოლოშინის «...мы нерадивы, мы нечистоплотны, невежественны и ущемлены» (პოემა „რუსეთი“), გოეთეს, ნიცშეს, თომას მანის დაუნდობელი კრიტიკა გერმანულუბისა და გერმანიისა.

აკაცას სწორად ეს „მისლიზმ“ ჰქონდა მამის, ხოლო რუმბოსა და რიდეკს ღელის მიმართ, მართალია, ესენი ქართველები არ არიან, მაგრამ ამბივალენტური გრძნობები ყველა ერის წარმომადგენლებსთვისაა დამახასიათებელი.

ფილინის თავის უკვე ნახსენებ ინტერვიუში ერთგან ამბობს, ლაპარაკობს რა თავის „მძიმე“ სახიათზე და თანამშრომლებთან ურთიერთობაზე ფილინის გადაუღებს პროცესებს, „მაგრამ ის, ვინც რჩება, ბოლომდე ჩემთანაა. მას „შუშულ“ მღანძღვლს და ანაპარტო-ულად ვუპაპრად...“ (ხაზი ჩემია, ნ. კ.). ცხადია, არსებობს სიყვარულიცა და სიძულვილიც მეტნაკლებად შურეველი, წმინდა სახით, მაგრამ ეს სხვა სიძულვილობას არ გამოირიხებს. სიყვარული და სიძულვილიც მუდამ სწორზავანი და ცალსახა არ არსებობს, გურამ პეტრიაშვილის ღრმა რწმენით კი რამე ან ვინმე ან უნდა გიყვარდეს, ან გატულდეს, შურეველური მდგომარეობა თითქმის არ გვხვდება (ნიცშეს პირზე დობრდობიერული ლანძღვანდენ გერმანული ნაციონალიზმები: ნიცშეს ეროვნული გრძნობა არა აქვსო, ის „ევროპელია“, კოსმოპოლიტი, ასევე თომას მანსაც: ნიცშე წერდა, ჩვენ — ნიცშეები პოლონური ჩამომავლობისა ვართო — თითქმის გერმანულობისა რცხვენოდა...).

ილია პავლევიჩი სწერდა ნიკო ცხედაძეს: „რაც აქამომდე ვნახე, ისიც საკმაოა, რომ ქართველმა კაცმა თავისი თავი ღვთისგან დაწყვეტილად ჩასთვალის. სად ესენი და სად ჩვენი უღმერთი ერი გერმანული ახოვანი და ძლიერი არაა სულითა და ხორციით. ამათი მერმისი დიდი და თვალგაუწყვედილი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერებაზე თავის ღრმზე. დიდი ჯანიანი ერი, როგორც ვთქვი, სულითა და ხორციით. დიდი მერმისი მოვლილი“.



რატომ გვინათ ზოგიერთებს, რომ ერთადერთი და უმაღლესი ინსტანციის კემპარტიკმა მათ ხელშია და ყველა სხვა, ვანსხვავებული აზრი მერხელობა — აქედან იწყება ყოველგვარი ფანატიკში, ტოტალიტარში, დოგმატიკში. რატომ ერთი წამითაც არ ენაბრებათ ევო, იქნებ ვიდრეცა და რატომ მიუღიათ. რაკულბი, უცდომელი დღაღობამას პოუნები? მათ ნაწერებში, გამოსვლებში ვერც საკუთარი თავისადმი მიმართულ იუმორს, ვერც თვითირონიას ხანთლითაც ვერ იპოვენ. ამიტომია, რომ ახვ მკვანედ ილაშქრებს ღუჩა პეტრიაშვილი ყოველგვარი ამხელაღმცეის წინააღმდეგ: ან ეს, ან ის, ან თეთრი, ან შავი, ან სიყვარული, ან სიძულვილი, ან ჩვესავით მოაზროვნე ან „ერტუკოსი“. ვინც ჩვენთვის არ ფიქრობს, ის საქართველოს შტერია... მისი აზრით, არ არსებობს წინააღმდეგ წინააღმდეგობრივი, ურთიერთშედევნილი საპირისპირო გრანზობების „სიზიზიო“.

ქართველებზე, ჩემი შეხედულებით, ძალიან მალაღობა აზრისაა სტ. რახანდნი, თუკი ის წერს (ბატონი გურამი ალბათ, ჩემი საწინააღმდეგო შეხედულებებისა იქნება):

«Феномен грузинского кино — одно из радостнейших явлений последних лет. «Пастораль» Иоселлиани, «Покаяние» Абуладзе, «Необыкновенная выставка» Эльдара Шенгелая — не с того ли все это началось, что народ, который обывательски подозревали в национальной самопоуенности, доказал, напротив, свою свободу от тшеславия и готовность глянуть на себя, на свои обычаи, на свою историю иронически-веселым оком.

Мы (это, конечно, не только к ТВ относится) несколько закоесли в самоуважительности и в солидной серьезности, все время кого-то и что-то подозревая в покушениях: саркастический фильм «Скверный анекдот» — на русский характер, язвительную климовскую «Агонию» — на историю, тот же «Гараж» — аж на интеллигенцию. Во время, как «подлинная открытая серьезность не боится ни пародии, ни иронии...». Настоящий смех... не отрицает серьезности, а очищает и восполняет ее. Очищает от догматизма, односторонности, от элементов страха или утшрашения. (М. М. Бахтин — написана словно для нас), («Лит. газета», Хочу хохотать или Предновогодняя буря в чашке кофе).

საინტერესოა, რას ფიქრობს პატ. გ. პეტრიაშვილი, ქართველ მომღერალ პაატა ბურჭულაძეზე. ზერზერტ ფონ კარაიანისა და ლუჩანო პავაროტის აზრია უფრო აკრახვანაყვეს, თუ ზართული ლიტერატურის რეკლამეზე სექციადისტისა, რომელიც „ხორციით და სისხლით“ ქართველია, მაგრამ მუხიკალურ ხელშეწყობაში არ არის დიდად კომპეტენტური?

სხვადა, სასურველი აა იდეალური შემთხვევაა, როცა ხელვანის შემოქმედებისა და პირველების მნიშვნელობა და დონე ემთხვევა ერთმანეთს. თქმა არ უნდა, სერგო ფარაქანოვი მძიმე, „წილი“, „ღემონურის“ და „სატარუსის“ შემოქმედელი ადამიანია, რომელთანაც ურთიერთობას უკიდურესად აძნელებს ამ ნიჭიერი რეჟისორის ეგოცენტრიკიზმი. სერგო ფარ-

ქანოვი ანგელოსი და „წმინდანი“ რომ არ არის, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ჯელოპანის შემთხვევაში მთაბარბი მისი შემოქმედება პრაქტიკულად არაა მისი პირადი ცხოვრება.

ქონ ალბათათ თვა მარხელ პრუსტზე: „ჩემთვის ეს მწერალი იდეალია: მთელი ცხოვრება ლიტერატურას მოახმარა. მამბრამ რუმორც ადამიანი, იგი სპინოზისი იყო: ძაღმბალში, სხსხტომ... თუშტა უკიდულშარი მიმტამება: მას ხომ შემზენიერი წინანდ შემქნა“ (ზაჩი ჩემია, ნ. კ. ის. „ლიტ. საქართველო“, 12 აგვისტო, 1988, „ოგონიოკიდან“ გადმობეჭდილი ინტერვიუ ქონ ალბათთან — „აღიკიზ გალაქტიკა“). თავისთავად ცხადია, უფეთი იქნებოდა, რომ კინორეჟისორი სტოგადლო მოღვევეც ყოფილიყო, ანდა რაგორც ბატონი გურამი ბრანებს, „მას შემტეროდეს სახელი მოღვეწი“.

მაგრამ რამდენი ვიკით შეცნირებისა, ხელვანებისა და ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი, ძალიან დიდი შემოქმედი, რომლებიც არ ყოფილან მოღვეწები. „რბილად“ რომ ეთქვათ, საზოგადო მოღვეწე არ ყოფილა უდიდესი ფრანგი ლირიკოსი ფრანსუა ვიონი, რომელთანაც საქეთლითაც არ იყვენინგლინგები აღტაცებულნი და სამშობლოდანაც განდევნეს „სული“ ინგლისელობის გამო.

საზოგადო მოღვეწები არ ყოფილან არც შარლ ბოდლერი, არც პოლ ვერლენი და არც არტურ რემბო.

არც ისკარი ფაილი ყოფილა მოღვეწე და „სული ყოფაქცივის“ გამო ინგლისიდანაც კი გააძევეს, უკეთ, იძულებული გახდა გაქეთულიყო. უფრო უკან რამდვიზიით, ბარონის საქეთლითაც არ იყვენინგლინგები აღტაცებულნი და სამშობლოდანაც განდევნეს „სული“ ინგლისელობის გამო.

მე ბოღის მოვუხბი ბატონ გურამს ამდენი არაქართული მავალითის გამო, მაგრამ არც ტერენტე გრანელი, არც ნოე ჩხიკვაძე და, ბოლოს და ბოლოს, ამ სიძვიის ძალიან მკაცრი და ვიწრო ვაგებთ, არც გალაქტიკოსი ყოფილა მოღვეწე, არც საწყაული ნიკოლა ყოფილა საზოგადო მოღვეწე, რადან ამათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, პირობები, ასპარეზი: ყოფილიყვენ საზოგადო მოღვეწენი (ისე აეწყო მათი ცხოვრება).

ისე რომ ითქვას, ს.ფარაქანოვი არასოდეს კონფორმისტი არ ყოფილა და არასოდეს უთქვამს და გადაუღია ის, რაც არ სწამდა, რაც არ სტეროდა — მას არცერთი კონიუნქტურული, „უფროსთა“ მამებელი ფიგური არ გადაუღია. ამასაც აქვს, მე გვგონია, მნიშვნელობა.

საინტერესოა, რის საფუძველზე, რა დამსახურების გამო მიჩნევენ თავს ბატონი გურამი პატრიოტიკის ცნობს, მისი სულვებისა და კრატურების კომპლექსი? რატომ მიანიჩა მას თავი ლიტერატურის, ხელვანების ეროვნულობის კრიტიკიზმების დამდგენ უწევს მსაჯულად? დროთა განმავლობაში იცვლება „ეროვნულობის“ ცნებაც. ეროვნულობის პრობლემა, ე. ი. რა შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულად და რა — არა, ეს არც ისე ადვილი გასარკვევია, რაგორც ეს ბატონ პეტრიაშვილს ესახება. „სულიდეს ნაყოფილ ვანება ილ. კვაჭავაძის პოეზიისა არის ნაციონალური. ნამდვილი ქართველი ხალხის ფერისა და კილის უქონლობა ანუ ცოტახ ქონა, რაგორც ლექსებში.

აგრეთვე პროზაში. მართალია, ნაშრომი, ქეშმარიტი ნაციონალური კილო ყველა ჩვენ პოეტებს და საზოგადოთ ლიტერატურას აქლია, მაგრამ რაც აღინდელუბს ეპატობათ, ის ჩვენი დროების პოეტს არ შეენდობა. ესლა ყველამ ვიცით, რომ ნაშრომი ლიტერატურა ნაციონალური უნდა იყოს, უამისოთ ლიტერატურა ლიტერატურა არ არის...“

როგორ ფიქრობთ, ვინ წერს... საქართველოს რომელი მოძულე და მტერი? ამას წერს... 1870 წელს „დროებაში“ აღქსანდრე ცავარელი (ეს წერილი იყო. ცავარელი „დროების“ რედაქციას მიუზნედან გამოუგზავნა, იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრისტოპოლია. II, ნაკვეთი 1, შეადგინა და წინასიტყვაობა, შეხავალი, შენიშვნები და საძებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956, გვ. 98-99).

ცოტა ზემოთ იგივე ალ. ცავარელი იხვე ილია ჭავჭავაძეზე წერს: „ილ. ჭავჭავაძის აქვს ის იშვიათი თვისება, რომელიც დიდ ლირსებას შეადგენს, ამის ლექსები არიან თითქმის დიდად საცნობარ და ხან და ხან ღრმა კაცობრიულ საგნებზედ დაწერილი: — რაც ადრე ვთქვით შეიძლება აქ გაიხსენსო, რომ ამ პოეტის დიდთ პატრიოტული ლექსები სულად არ უშლიან და არ ეწინააღმდეგებან იმისსავე მაღალ ძმსმომკონიტიძის რ ლექსებსა...“ (გვ. 88). (ხაზი ჩემია, ვ. კ.).

შესაშვან ალ. ცავარელი ასე აკრიტიკებს ილიას: „...შემტები ნაწილი ილ. ჭავჭავაძის ლექსებისა რუსული ენიდან ნათარგმნსა მგავს, იმდენათ აქვს რუსული ენის კილო და წინადღეობა წყობა; აგრეთვე სიტყვები არის ნახარები პროზაშია ხანდა ხან და იშვიათი მიხვრა-მოხვრა რუსული ენის კანონებზედ, ასე რომ ხშირად იმისი თხზულება მაშინ არის ცხად დასაგები, როდესაც რუსულათ სთარგმნი; საზოგადოთ იმისი ლექსების კითხვის დროს რუსულათ უნდა მჭეჭრობდეს კაცი. ხშირად გაუჭირბლევ უყხო ენიდან სესხულობს სიტყვებსა და გამოთქმას.“ (გვ. 90). (ალ. ცავარლის ამ წერილზე მიმოითია ლევან ბრეჯაყანმ, რისთვისაც მაღლობას ვცნობავ).

რა დასამაღია და ვალაკიონი, თუმც თვითონ გვარწმუნებდა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა-ქართულთა“, მაინც ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ არ არის მიჩნეული წმინდა, „შეურველ“, „სისხლით და ხორციით“ ქართველ პოეტად, რადგან ევროპული პოეზიის გავლენები ეტყობოდაო. მის უპირისპირებენ „წმინდა“ ქართველ პოეტებს, რომელთაც წმინდა ქართული თემატიკა აქვით და რომელთაც შეგნებულად არ ვახსენებ, რადგან მათაც დიდ პატივს ვცემ და მათი დაპირისპირების მომხრე რსულდობად არა ვარ. რადგან ვალაკიონის პოეზიაში მრავლად დაიპყნება ევროპული პოეზიისთან მრავალი შემსები წერტილი, ხაზი, მომენტი, ელემენტი, ტენდენცია და ა. შ., ძალიან ხშირია მის ლირიკაში არაქართველი პოეტებისა და მოაზროვნების ხსენება (ფრანგი პარნასელები და სიმბოლისტები, მეტელი, გერმანელი რომანტიკოსები — ნოვალისი, ვაგნერი და ა. შ.). ამიტომ ზოგიერთებს ჩვენში ვალაკიონი არ მიჩნდათ წმინდაწყლის სულით ხორცამდე ქართველ პოეტად (ამას არ წერენ, ამაზე ზეპირად ლაპა-

რკობენ; მე პირადად ძალიან ხშირად მომხსენია ასეთი აზრები და შენც, ალბათ, მკითხველს შეიძლება პირდაპირ არ წერენ, მაგრამ გულსწმობენ და ზეპირად ამბობენ, რომ რ. სტურუა, მაგალითად, კოსმოპოლიტია, გ. პეტრიაშვილს რომ დავესვსოთ გამოთქმაში, არ არის „სისხლით და ხორციით“ ქართველ რეალისტი, არაა ქეშმარიტი პატრიოტი, პრინციპულად არ დგამს ქართულ პიესებს. ამას ამბობენ აგრეთვე ყველა იმაზე, ვინც ქართულ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას და ა. შ. კი არ იკვლევს, არამედ არა-ქართულს, მაგალითად, დასავლურს. რაც უნდა დეხუტოთ თვალები და დავისვოთ ყურები, მაინც იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ასეთი მითქმა-მოთქმა არსებობს და ასეთი ტენდენცია ჩვენში შეიმჩნევა. დროა ამაზე სერიოზულად ვილაპარაკოთ და ვიდავოთ.

...უბრალოდ მკითხველისათვის შეიძლება ხანტერესო იყოს (ეს, თავისთავად ცხადია, ბატონ გ. პეტრიაშვილს საწინააღმდეგო არგუმენტად არ მომხმება), რომ გამოთქმულია ვარაუდი: დაიეღვ ჭონქაძის ინმან-აღას თავისებური პროტოტიპი უნდა იყოს რსულიც მწერლის ჭეიმი შორიერის რომანის — „საპანელი მჭი ბაბას თვავადახავლის“ ერთ-ერთი პერსონაჟი, ოსმან-აღა (ამ ფაქტზე მიმოითია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ირანისმა ბატონმა აღქსანდრე გვხარაიამ, ეს დავირვება კი ეტუთენის ახალგაზრდა ირანისტს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ნოდარ ნონაშვილს, იხ. მისი სავანდიდატო დისერტაცია:

Персидские переводы романа Дж. Морьера, «Похождение Хаджи Бабы из Исфагана» и их место и значение в новой персидской литературе.

5. ნონაშვილის დისერტაციაში ვკითხულობთ: „...роман Дж. Морьера все-таки нашел свое образное отражение в грузинской литературе. По нашему мнению, главный герой известного рассказа Д. Чонкадзе (1830—1860), «Сурамская крепость» Осман-ага во многих нюансах напоминает Осман-агу из «Хаджи Бабы»: Кроме имени у них общее занятие — торговля. Оба они торгуют в Стамбуле, один бухарскими марлушками, другой — калмухскими папахами. Как известно, Д. Чонкадзе увлекался русской литературой. Ему были доступны как первое (1831 г.), так и второе (1845 г.) издания русского перевода.“

დუმается, что именно этим путем оказались в его рассказе некоторые реалии из «Хаджи Бабы» (стр. 60—61).

...თანდათანობით ჩვენშიც, საქართველოშიც, ნუ დავხუტავთ ამაზე თვალებს და თავს ნუ მოვტყუებთ, თითქმისდა შეუძნეულად ჩამოყალიბდა, ვფურცლოთ მათ პირობობად და „სდავანოფოლებისა“ და „ხაპადნიკების“ ანალოგიით, „ქართველოფოლები“ და „შედასავლეთეები“ (ან „კოსმოპოლიტები“). ახლაც უპირისპირებებიან ერთმანეთს რუსეთში „სამაიტოფლები“ და „კოსმოპოლიტები“ (ამ სიტყვის კეთილშობილური გავებით, თუმც „სამაიტოფლებისათვის“ ამაზე უფრო მეტად საგნეუელი სიტყვა არ არსებობს).

სწორად გამოგეთ, მე ბატონ გურამ პეტრიაშვილისა-



ინის არავითარი იარაღის „მიგრება“ არ მინდა, მაგრამ ჩემი მხრივ აშკარა თვალმომავლობა იქნებოდა დამფუძარა, არ შეეძვა, რომ მის წერილში ვგრძნობ „ქვეტექსტურ“ „ქართული ფილოსოფია“, რასაც მე პირადად არ ვიზიარებ, მაგრამ ეს სრულბნობა არ ნიშნავს, რომ მე მართალი ვარ და ის — მტყუანი. შეხადლო, მცირერიცხოვანი ერების წარმომადგენლებს საგანგებოდ გამაზიანებული უნდა ჰქონდეთ ეროვნული მგრძობიარობა და კონსოლიდაცია (ამ სიტყვის თუნდაც კარგ გაგებით) პატარა ერებისთვის სახიფათო ფუფუნება. ვსარგებლობ შეშთხვევით, რათა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი სათქმელი ვთქვა, ვავსახებურს მეთიველს, ჩემი აზრით, აქტუალურ პრობლემასზე, თუმცე ხშირ შეშთხვევაში ბევრ რამეს არავითარი კავშირი არ ექნება ხატონ გურამის წერილთან და მის პოლიციასთან.

მე შვენიერად მესმის, რომ არსებობს ჩვენში (და სხვაგანაც) ყოველივე უცხოურით, განსაკუთრებით. დასავლურით ფანატიკური, ბრმა, უბრალო, „მოწურის“ აღტაცება. მაგრამ ნუ დავავიწყებდა, რომ არსებობს აგრეთვე ჩვენში (ასევე სხვაგანაც) ქვესოფლები, ე. ა. უცხოელების, არათვისტომების, „გადამთიელების“, „არაშინაინების“ სისულელი და არსებობს ქვესოფლების ნაირნაირი გრადუაციები და გამოვლენები: ის, რაც შექმნილია არაშინაინებისთვის, „გადამთიელის“, უცხო „ელემენტის“ მიერ, არ შეიძლება აუგოს ღირებული. არაქართველს არ შეუძლია არავითარი კულტურული ღირებულების შექმნა.

(მე ხშირად გამოვიჩინა ასეთი „ქართული ფილოსოფიისაგან“. „დოსტოვესკი ვინ მივლია!“, „ტოლსტოი ბიოტორია“ და ა. შ. „აქ ჩვენში მიმოხედეთ, ცოცხალია შორისაც არა ნაკლები ხალხი ვყავს“ და ა. შ.). ეს მხოლოდ ჩვენი „სენი“ არ არის. ეს ყველა ერთს და ყველა ქვეყანაშია სხვადასხვა დროითა და დროსა და პირობების შესაბამისად სხვადასხვაგვარად გამოვლენილი.

არსებობენ ეროვნული ნიშლისტებიც, რომლებიც ყოველივე საკუთარს, საკუთარი ერის შექმნილს ხელაღებით ზეარყოფენ (ასეთები შედარებით ცოტან არიან, მაგრამ მაინც არიან — ყოველ შეშთხვევაში, ასეთი ანტიპატრიოტული, „პროდასავლური“ დეკლარაციები მე ჩემი ყურით მომისმენია. (სხვათა შორის ერთი ასეთი ქართველი გამოყვანილი შავს გერმანელ მწერალს, ადოლფ ენდლერს თავის წიგნში — „საქართველოზე თბრობის ორი ცდა“ — ეს არის კრებად ტიპი, რამდენიმე ასეთ, წარმოსვლით ქართველს, სამწუხაროდ, ენდლერს საქართველოში ყოფნისას შეგვდა, რომლებიც უარყოფდნენ ყოველივე ქართულს, რუსთაველიც და მწიგნობელი ქართული ხალხური პოეზიით დამთავრებული. „ქართული ენა ფიქცია“-ო, განუცხადა ერთმა „ქართველმა“ გერმანელ მწერალს. „რუსიტები“ კი [„სამატი“, „რუსიტების“ ერთი დაჭვრუტება, უარყოფენ ყველაფერს, რაც კი რუსეთში, რუსულ კულტურაში „წმინდა“ რუსების მიერ არ შექმნილია (იქნება ეს მარკ შაკალის, ბულაკ ოკუპაცია, ბორის ნეიტსის თუ სხვათა შემოქმედება). მათი დღმა რწმენა, რუსების ლიტერატურა, რუსეთი დაღუპვის პირას მიიყვანეს ფრანკ-მასონებმა და სემიტებმა. თუ ვინმეს რომელიმე თაბაში ურევია არა რუსული სისხლი, ის აუცილებლად პეტრეცვირად რუსული

კულტურის და საერთოდ რუსეთის მტრია და „შიგნიდან ამფეთქებელი“ (ამ მხრივ საინტერესო მასალას იპოვით კონიავის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში, პუშკინზე, მე გვინა, ისინი არაფერს ამბობენ, არც ლერმონოვზე ძრავენ კრინტს, არც ტოლსტოიზე, არც დოსტოვესკიზე, არც ბლოკზე და ა. შ., თორემ ძალიან გულდარბილებოდათ რუსული ლიტერატურა, მაგრამ ეს ლოგოური არ არის. ჩვენთან სხვა მდგომარეობაა. ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციაში სხვეთნიური „მინარეები“ თითქმის ნულს უდრის. ჩვენთან სხვა პრობლემა დგას. აქ ქართველებში კი არ ეძებენ „შერეულს“ სისხლის ხელოვნებას, არამედ უპირატესად მუხილს მიმართავენ „არაქართული“ გავლენებისა და ტენდენციების წინააღმდეგ.

ფსიქოლოგიურ პლანზე ნაციონალიზმი, საკუთარი ერის გამოარჩეულობის გრძნობა გაუცნობიერებლად დაეყვანება ეგოიზმზე, ეგოცენტრიზმზე, საკუთარი თავის ზღვარდაღებულ სიყვარულზე; ჩემი ერთ ყველაზე გობია, ჩემი ერთი გამოარჩეულია, ჩემს ერს ხა, განგებო, ყველა სხვა ერისაგან განსხვავებული მისია აისრია ფსიქოლოგიურად „ითარგმნება“ როგორც მე ყველას ვპოზივარ, მე ყველასგან გამოარჩეული ვარ, მე სხვებისგან განსხვავებული „მისია“ შეისრება (საინტერესოა, რომ მეტწილად ნაციონალისტებთანთან ერთ „ახსტობილს“ უყვართ, უყვართ მხოლოდ სამშობლოს „იდეა“, ისე კი თავისი ერის ყველა წარმომადგენლის მიმართ დაბოლოები, მოწონალი, მოძულე დამოკიდებულება აქვთ — მათ თითქმის არც ერთი კონკრეტული ცოცხალი წარმატებული თანამემამულე არ უყვართ, მხოლოდ თავიანთი „ქახისი“ წარმომადგენლებთან ჯარკვეული „სოლიდარობის“ გრძნობა აერთიანებთ). ეს საინტერესო ფსიქოლოგიური ფენომენია, თუმცე არც ისე ძნელ ასახსნელი, მაგრამ ხშირად თვით ნაციონალისტებიანთის „შეზღვილი“, ქვეშეცნული, გაუცნობიერებული. მათ უზომო სიძულვილი, გაღიზიანება, ბოღმა აქვთ „გახმაურებულ“ თანამემამულეებისადმი, უყვართ არსებითად მხოლოდ საკუთარი თავი და მკათ რამდენიმე გარდაცვლილი კერა — თანამემამულე. ეს ფსიქოლოგიური მექანიზმი არც ისეთი რთული ასახსნელია, თუმცე ნაციონალისტები ამაში საკუთარ თავსაც არ გამოვლენებთან — ისინი თავს იტყუებენ თავისებური „იდეა ფიქსებით“, სხვა განცდებზე და გრძნობებზე ენერგულად „იდეინან“, „აფიგენენ“ ფსიქიკიდან, ნაციონალიზმით ადამიანი თავის თავს ისეყვარულდება, თავის თავს ეფერება (ეს თავისებური „ავტორიტოზიზმი“).

მე მესმის, რომ ქართველმა ხელოვანმა ნობელის პრემიამ რომ მიიღოს დამსახურებულად, ამას მნიშვნელიზა არა აქვს; მოავრია, როგორ აფასებს მას ქართველების ერთი ჭფურა, რომელიც თავს „წმინდაისხლიან“, ქართულ ნიდავზე მყარად მდგარ პატრიოტად მიიჩნევს, რომელსაც არ შეტებია „დამპალი“ დასავლური კულტურის გავლენა

მეორე მხრით, ამ ჭფურე ქართული კულტურა ევროპული, დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის ორგანულ ნაწილად მიიჩნია, ეშინია, აზიურ, ადამსავლურ კულტურას არ მიეკუთვნონ. ერთი მხრით, ის, რაც დასავლეთში ხდება, ქართველებისათვის უცხოა; მეორე მხრით, ქართული კულტურა დასავლეთ-

ევროპული კულტურის ნაწილია. შეიძლება, მე რა დას მეშლება, მაგრამ აქ წინააღმდეგობა ხომ არ არის? გამოხავალი ერთია: ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება (თანამედროვეც და ადრინდელიც) უნიკალური ხელოვნება და კულტურაა, რომელიც არავითარ კლასიფიციკრებს არ ექვემდებარება და მსგავსი მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება. დაახლოებით აქეთვე იხრებიან „ქართველოლოგები“.

ქართული თუ ქართველი ინტელექტუალის გარკვეულ წრეებში იგრძნობა გარკვეული „მეზინანტური“ ტენდენციები: ქართველებსა და ქართველ მწერლებს წარმოადგენენ, როგორც უნიკალურად გენეტიკურად კოდირებულ ადამიანებს, რომელთაც განსაკუთრებული მისია აქისრიათ კაცობრიობის „გაჯანსაღების“ მხრივ. ის, რასაც, მაგალითად, ფრანგი, იტალიელი ან გერმანელი ზნეობრივი თვალსაზრისით „იკადრებს“, იმას ქართველი თავისი „გენების კარნახით“ ვერ „გაიმორებს“. ქართული მწერლობა და ხელოვნება „წმინდაა“, მას არ შეეხება (არ უნდა შეეხოს) ცხოვრების „უჭუჭი“, ხინამდვილის „მიხინჯი“, უცეთური, „უშეაკეცი“ ტენდენციები; ის, რასაც ინგლისური ან იტალიური „უური“ აიტანს, იმას ვერ „შეიკარებს“ ქართველის „სენა“. თითქმის ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება და ქართული ეროვნული ხასიათი იზოლირებულად ვითარდებოდა, ანდა ბოლომდე დარჩა თავისებურ „ოაზისად“, ხდამდეც ვერ აღწევს, ანდა არ (ვერ) უნდა აღწევდეს დანარჩენი მსოფლიოს „კაჟონია“, „ბაკქანალია“ და ქაოსი. ჩვენ, ბატონო, განსაკუთრებული ერი ვართ, ჩვენ განვითარების ჩვენი, განსხვავებული კანონები გვაქვს და დანარჩენი მსოფლიოს განვითარების კანონზომიერება ჩვენზე არ ვრცელდება — ეს იკითხება ქვეტიქტში.

ზემონახსენები წარების წარმომადგენლებს იუმორის, თვითირონის საოცარი დეფიციტი აქვთ.

ფანატრებს არახოლეს მოუტანია სასიკეთო შედეგები და „უშეაკეულისაგან“ აბოლოტური გამიჯნის ამ პრეტენზიას სწორედ „უშეას“ გოგირდის სუნე უდის. რუხეთში იგივე ტენდენციები შემორჩენა „პამიარტის“ დეკლარაციებზე და მოქმედებაშიც.

საშინელია, ამაზრუნეი ეროვნული ნიმილიზმი, ეროვნული თვითდაქინება, მაგრამ ასევე ამაზრუნეია ამის საპირისპირო შოვინიზმი. არანაკლებ გულისხმარევი პატრიოტიზმით სექულარაცია, პატრიოტიზმის „თავშეხადრად“ გამოყენება. ერთი ნაცნობი ერთი კაცის „კაი კაცობას“ ახე მიმტყიცებდა: „მეგარი“ პატრიოტია, ქართველების გარდა ვერავის იტანსო; მერე ჩამომოვიტავა ერები, რომლებიც განსაკუთრებით სძულდა ამ „კაი კაცს“.

..ქართული კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა და ა. შ., ჩემი დრმა რწმენით, მსოფლიო, განსაკუთ-

რებით დასავლეთ ევროპის კულტურის გამოუყოფელი (განუყოფელი) და ორგანული ნაწილია. იცოცხლებს და ვერ განვითარდება იმ პრინციპებზე, გარეთ და დამოუკიდებლად, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობენ. საკუთარ ნაციონალურ ნაჭუჭში ჩაკეტვა და ამის ეროვნული შურთვლობითა და სიწმინდით გამართლება, ჩემი აზრით, ყოველ ერის კულტურისათვის დამღუპველია. მსოფლიო კულტურის და ლიტერატურის გამოცდილების გაუზიარებლობის მოთხოვნა, მე ვფიქრობ, ძირშივე მცდარია. ერი გულისხმირი, ყურადღებიანი უნდა იყოს იმის მიმართაც, რაც მისი საშობლობს გართავს ხედა — ერი უნდა გრძნობდეს ნათესაობას მსოფლიო კულტურასთან. ყოველივე უცხოურის, არაქართულის უარყოფა — უჭუგდება ანდა ქართულ კულტურაში მსოფლიო და ევროპული კულტურისა და ხელოვნების ძირითადი ტენდენციების დაუნახაობა სულიერი სიხუტეა; ერის თანამედროვე კულტურისა და ხელოვნების წინაშე ყოველივეს უნდა იდგეს ამოცანა, რადაც ახალი უთხრას არა მარტო თავის საკუთარ ეროვნულ მაყურებელს, მეთხველს და ა. შ. არამედ მსოფლიოს, სხვა ერებსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხელოვნება პრინციპულად კარჩაკეტილი აღმოჩნდება, ბესკენაც გვეწვავა ჩვენი ზოგიერთი კრტიკოსი, ესთეტიკოსი თუ თეორეტიკოსი.

ცხადია, მცირერიცხოვან ერს თავისი სპეციფიკური პრობლემებიცა აქვს, მრავალრიცხოვანი ერებისაგან განსხვავებით: ვთქვათ, არსებობის შენარჩუნების, ასიმილაციის ბიჯათის თავიდან არიდების, ენის, ინდივიდუალური ზნე-ჩვეულებების შენახვის და ა. შ. პრობლემა. ეს მცირერიცხოვანი ერისათვის არსებითი, ფუნდამენტური, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხია.

მაგრამ, მეორე მხრივ, არც მცირერიცხოვანი ერისათვის არ უნდა იყოს უცხო მთელი თანამედროვე ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი შიში ადამიანის გამო, ზრუნვა ადამიანზე, წუხილი ადამიანის ბედის გამო, ეგზისტენციური შეჭირვება. ლაპარაკობს რა ქართული ხელოვნება საქართველოზე, ის ამავე დროს მსოფლიოზე უნდა ლაპარაკობდეს.

ბატონ გურამის ძირითადი პრინციპია (ეს მან უკვე სხვა წერილში გამოთქვა: ის. გ. პეტრიაშვილი, „მცირე“ რეპლიკა, „ქართული ფილმი“, 81 გვერტი, 1988): „უყველამ თავის ბაღს უნდა მოუაროს!“ (ამას პირდაპირ ამბობს), ანუ ვულგარულად თუ ვიტყვი, „უყველამ თავის... მიზანად მოუაროს!“ მე ვფიქრობ ამ დევიზით არ მოქმედებდნენ არც დავით აღმაშენებელი და არც თამარ მეფე, არც მიქელ თამარაშვილი და არც გრიგოლ ფერაძე, არც იოანე პეტრიწონელი და არც პეტ-

(დასასრული 99-ე გვერდზე).

# უშანგი თეატრიდან წავიდა\*...

ენო ჩხეიძე

რატომ წავიდა უშანგი თეატრიდან?..  
წმინდად მისვამენ ამ შეკითხვას: ზოგი —  
ტაქტით, მორიდებით, ზოგიც — პირდაპირ,  
შეუფარავლად. რა მოუვიდა, რა დაემართა?  
როდის? რომელმა როლმა იმოქმედა? და  
უმრავლესობა თვითონვე პასუხობს კითხვას:  
ალბათ ჰამლეტმაო.

უშანგი ჩხეიძის — ჯერ კიდევ ახალგაზრ-  
და კაცის, სცენიდან წასვლამ მისი შემოქ-  
მედებითი აღმავლობის დროს იმთავითე დი-  
დი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დღემდე ყვე-  
ბიან ლეგენდებს, რომლებშიც ტყუილი და  
მართალი ერთმანეთს გადაჯაჭვია და ამ ვერ-  
სიების მიღმა ჭეშმარიტება დაფარული აღ-  
მოჩნდა. ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ ჰამ-  
ლეტი — როლი, რომელსაც უშანგის ავად-  
მყოფობის გამომწვევ მიზეზად ასახელებენ  
— მან ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, 25 წლის  
ჰაბუაძემ ითამაშა: ჰამლეტით დაიწყო უშანგი  
ჩხეიძემ ტრაგიკული როლების თამაში და მას  
შემდეგ ათი წლის მანძილზე სძრავდა მთელ  
თეატრალურ სამყაროს. ასე, რომ ერთი რო-  
მელიდაც როლი არ ყოფილა მიზეზი მისი ავად-  
მყოფობისა. არც მიზეზი და არც მისი წარ-  
მოქმნის პირობები არ ექვემდებარება სწორ-  
ხაზოვან განმარტებას.

სამწუხაროდ და სავალალოდ თეატრისა  
1933 წლის აპრილს გარდაიცვალა დიდი კო-  
ტე მარჯანიშვილი. როგორც მარჯანიშვილის  
ღირსეული მოწაფე, თეატრის უპირველესი  
მსახიობი და სპეტაკი პიროვნება უშანგი ჩხე-  
იძე დაინიშნა მარჯანიშვილის თეატრის სამ-  
ხატვრო ხელმძღვანელად.

თეატრი რთული ორგანიზმია, ძნელია მი-  
სი ხელმძღვანელობა: ორმოცდაათი და  
ზოგჯერ მეტი მსახიობისაგან შემდგარი და-  
სის შეკვრა, მათი შემოქმედებით მიზნებს  
დამორჩილება, თითოეულის პრეტენზიების  
დაქმნაყოფილება, ემოციების დოზება. ყო-

ველივე ეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვა-  
ნელის მოვალეობაში შედის და სიხარულ-  
თან ერთად ათასგვარ უსიამოვნებასთანაა  
დაკავშირებული. თუ ჩვეულებრივ დაწესე-  
ბულებაში მთავარი ფიგურაა დირექტორი,  
თეატრში მთელი მუშაობის წარმმართველია  
სამხატვრო ხელმძღვანელი: მასზეა დამოკი-  
დებული არა მხოლოდ კარგი სპექტაკლების  
გამოშვება, არამედ თეატრში შემოქმედები-  
თი ატმოსფეროს შექმნა, სარეპერტუარო  
ხაზის განვითარება, მომავალი მსახიობების  
აღზრდასა და დაოსტატებაზე ზრუნვა.

უშანგი თეატრის წამყვანი მსახიობი იყო  
— ამასი ეკვი არავის ეპარებოდა, მაგრამ  
მისი სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნა,  
თეატრში ბევრს მოხვდა გულზე. მათ შორის  
უშანგი ჩხეიძის უახლოეს მეგობარს, ყმაწ-  
ვილობიდანვე მასთან შეზრდილს, მის ძმად-  
ნაფიცს დ. ა.-ს\*\* იგი თვლიდა, რომ თეატრის  
სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს რეჟი-  
სორი და არა მსახიობი.

ამ პიროვნების დიდი მონდომების შედე-  
გად თეატრში დაიწყო უსიამოვნებანი, რო-  
მელთა გამოწვევებს იგი კვლავ და კვლავ  
ხელს უწყობდა. უხმოდ, ღირსეულად უმკ-  
ლავდებოდა უშანგი ჩხეიძე ყოველ იერაჟმს  
და, ამასთან, მუდამ ამ მეგობრის დამცველად  
გამოდიოდა. თეატრში ურთიერთობების გა-  
მწვევებს ისიც დაემატა, რომ წარსული  
წლების მანძილზე დიდი დატვირთვის გამო  
უშანგი თავს ცუდად გრძობდა, გადაღლილი  
გახლდა და ცოტას ითამაშობდა.

ერთ დღეს ეს მეგობარი და კიდევ ერთი  
პიროვნება მივიდნენ ერთ ცნობილ ექიმ-  
ნეროპათოლოგთან და სთხოვეს: ბატონო!  
უშანგი ვერ არის კარგად და მი-  
სი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაგზავნა  
გვინდა. მოგეხსენებათ, ეს რთული საქმეა  
და, გთხოვთ, დაგვეხმაროთ: მოგვეცი თ ცნო-  
ბა უშანგის ავადმყოფობის შესახებ და თა-

\* ამ წერილის ფრაგმენტი დაიბეჭდა ქართული თე-  
ატრისადმი მიძღვნილ გაზეთში (1989 წ. 14 იანვარი).  
ავტ.

\*\* წერილის ავტორმა არ ისურვა ინიციალების გახსნა  
(რედ.).

ნაც, რაც შეიძლება მძიმე ნერვიულად და-  
ვადებული დახასიათეთ, რათა უფრო დამა-  
ჯერებელი იყოს მისი საზღვარგარეთ გაგზავ-  
ნის აუცილებლობა.

ნევროპათოლოგმა დიდი მსახიობის სა-  
კეთილდღეოდ მისცა ასეთი ცნობა,  
რომელიც შემდეგ „მეგობარმა“ უშანგის  
საწინააღმდეგოდვე გამოიყენა. მიიტანა საქა-  
რთველოს მთავრობის ხელმძღვანელებთან  
და მოახსენა მათ — უშანგი ჩხეიძე მძიმე  
ნერვიული ავადმყოფია და მისი თეატრის  
ხელმძღვანელად მუშაობა ყოვლად დაუშეგ-  
ბელია, დალუბავს თეატრსო.

ასეც მოხდა: ყოველგვარი კვლევა-ძიების  
გარეშე უშანგი გაათავისუფლეს და მის  
მაგივრად თეატრის ხელმძღვანელის თანამ-  
დებობაზე დანიშნეს მისი მეგობარი დ. ა.

ექიმთან ამ ვიზიტის მეორე მონა-  
წილემ ძლიერ განიცადა ეს ამბავი, მოვიდა  
უშანგისთან და გულწრფელად უამბო ყვე-  
ლაფერი. უშანგიზე ამან ძლიერ იმოქმედა,  
მაგრამ ხმაც არ ამოუღია, არავისთვის მოუ-  
თხოვია პასუხი, არც სამაგიეროს გადახდა  
გაუფლია გულში, ისე დატოვა თეატრი, გა-  
მოეთხოვა საყვარელ პროფესიას — თავისი  
ცხოვრების აზრს. მაშინ უშანგი ჩხეიძე 87  
წლის გახლდათ.

ადვილი აღმოჩნდა უშანგის გზიდან ჩა-  
მოცილება. იგი ძალზე თავმოყვარე და ამ-  
აყი, რაინდული ხასიათით შემკული, მგრძნო-  
ბიარე გულის მფლობელი, ნიჟიერი პიროვნე-  
ბა იყო, ვერ ეგუებოდა ორპირობას, გაუ-  
ტანლობას, სიცრუეს; საკმარისი იყო მის მი-  
მართ გულგრილობა გამოეჩინათ, ან უსინ-  
დისო რამ ჩაედინათ, იგი უმალ გაეცლებო-  
და იქაურობას.

ასე მოხდა ამჯერადაც. თეატრიდან წასე-  
ლის შემდეგ უშანგი დროებით მოსკოვში წა-  
ვიდა (ალბათ, ფიქრობდა, ცხელ გულზე არა-  
ვინ შემომაკედნესო ხელში) კახაკოვის კლინი-  
კაში სამკურნალოდ.

უშანგის პირად არქივში დაცულია უამრა-  
ვი ფასდაუდებელი წერილი, რომლებიდანაც  
დასტურდება ჩემს მიერ მოთხრობილი ფაქ-  
ტის ჭეშმარიტება. ზოგიერთი მთვანი ამ  
სტატიაშიც მომყავს, მხოლოდ შემოკლებე-  
ბით. უშანგის გადასარჩენად განგაშის ზარი  
ერთ-ერთმა პირველმა შემოკრა ვერიკო ანჯა-  
ფარიძემ. აღსანიშნავია მისი წერილი უშანგი-  
სადმი, სადაც იგი წერდა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო, უშანგი ვე-  
ლა განსაკუთრებულ გუნებაზე ვარ, ვინაიდან  
რში ისევ არეგ-დარევის გამო. საშინელი სუ-  
რვილი დამებადა შენთან ლაპარაკისა. უნდა  
იციოდე, უშანგი, რომ ჩემთვის პირადდ ქა-  
რთულ თეატრში ყველაზე ძვირფასი მოვლენა  
ხარ შენ.“

ძვირფასია ჩემთვის შენი შემოქმედების  
ამბები და შენი ადამიანური სისპეტაკე. წე-  
რილებს, ალბათ, სხვებიც გწერენ, დასვენებს,  
ნუ აჩქარდები, ნუ გამოიტან, საჭიროა ყო-  
ველმხრივ გაერკვე.

შენი აზრი დიდმნიშვნელოვანი ამბავია,  
ეს უნდა იციოდე და ამიტომ ცნობებს (...)-სა-  
გან\*, რომელსაც შურის გარდა არავითარი  
სხვა გრძნობა არ ამოძრავებს, ნუ დაენდო-  
ბი“...

„მიიღე ჩემი სალამი, იყავი კარგად.  
ვერიკო ანჯაფარიძე.  
1931 წელი.“

უშანგისათვის მოსკოვში მის მეგობარ და-  
საც მიუწერია, თან შეცბუნებული ცდილო-  
ბდა თავის გამართლებას.

„სალამი და სიცოცხლე უშანგის!  
„შენი წასვლა ასე მოულოდნელ პირობე-  
ბში მოხდა, რომ ვერც კი მოგასწავრით მე და  
შენ ხეირიანად დალაპარაკება. სალაპარაკო  
კი ძალიან ბევრი იყო, საჭირო იყო ერთხელ  
და საბოლოოდ ამოწურულიყო ეს უხეირო  
გაუგებრობა, რომელიც ხელოვნურად დათე-  
სეს ჩვენ შორის და ამ ამბავს ახლოც აგრძე-  
ლებენ.“

შენი წასვლის შემდეგ ენები, ზევითაც  
ვიწერებ\*, არ დაწყნარდნენ, შეიქმნა კან-  
დიდატების ძებნა უშანგის ადგილზე.

სამწუხაროდ, ეს ფაქტი გამომეპარა და  
უკანასკნელ წუთამდე არ გამიგია. შეიქმნა  
იმის მტკიცება, რომ საჭიროა უშანგის ად-  
გილზე ვინმე, თორემ მას არ შეუძლია მუ-  
შაობა, ავად არის და სხვა.

ერთ დღეს დამიძახეს განსასაკომში და  
მკითხეს, რაშია საქმეო? მე ყოველივე ავუ-  
ხსენი, რომ შენ ავადმყოფობის გამო წახვე-  
დი მოსკოვში, და კომისარიატმა იცის-მეთქი.  
მას რა საჭიროა ეს კანდიდატებიო, რომელ-

\* წერილში სრულადაა მოყვანილი ზემოთ ხსენებუ-  
ლი პიროვნების სახელი და გვარი (ავტ.).  
\*\* წერილი სრულად არ არის მოყვანილი. (ავტ.).

საც თეატრი აყენებდნენ, (არ დაგავიწყდეს, მე არავის ვახსოვარ, ამ შემთხვევაში), როდესაც უშანგი ჩამოვა მაშინ გადაწყვიტეთ ყველა საღაო საკითხიო.

განსახკომმა გასცა შემდეგი ხასიათის განკარგულება: დროებით უშანგი ჩხეიძის ავადმყოფობის გამო, სამხატვრო ხელმძღვანელობა დაეკისროს დ. ა.-სო,\* ეს არის და ეს.

ამას იმიტომ გწერ, რომ მინდა თავი დავიფარო წინასწარი ყოველგვარი პროვოკაციისგან, რომელიც მოსალოდნელია მომწყონ შენს წინაშე.

შეიქმნა დასში ჩოჩოლი და უკმაყოფილება, მოითხოვდნენ გარკვეულ ხელმძღვანელობას და სულ ადვილი იყო კატასტროფა და თუ გავთვებდელი შენ და დავთანხმდი, შენი სანქციის გარეშე ამდლო ეს პასუხისმგებლობა, მხოლოდ და მხოლოდ თეატრის სიყვარულით, რომელიც მე და შენ გვიყვარს. ბევრჯერ გითქვამს: დამანებეთ თავი, მე მსახიობი ვარ და სხვა არაფერი არ მინდა თქვენგანო.

მაგრამ ყოველივე ეს არავის აძლევს უფლებას შენს სურვილს შენი ნებართვის გარეშე გადაეღობოს. რა წუთშიდაც ჩამოხვალ, შენი უფლება შენს ხელთ არის, არავინ მოცილებ არ გეყოლება. შენ ამაში სრული დარწმუნებული და დაწყნარებული იყავი.

ასე, ჩემო უშანგი, მოუთმენლად მოველი შენს წერილს და მოსაზრებას ყოველივე ამაზედ, რაც მოგწერე.

დ. ა.  
1934 წ. 25/11.

ვგონებ, უშანგის ამ წერილზე პასუხი არ გაუცია. სამაგიეროდ იმ დღეებში იგი წერდა დიმიტრი ჯანელიძეს, რომელიც იმხანად თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე იყო:  
„ძმაო დიმიტრი!

ისეთი ამბები მოხდა თეატრში, ცოტა არ იყოს ზედმეტი რომ არ ვსთქვა, პატარა უსინდისობა ჩაიდინეს ჩემს მიმართ, რამაც როგორც საპირო იყო ჩემზედაც იმოქმედა, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერი არ მომხდარა, მხოლოდ „ადაშიანს“ გამოუჩნდა, გაუშინებულა ერთი პატარა ნაწილი თავის არსებობისა,



უშანგი ჩხეიძე. 1948 წ.

რომელსაც, ალბათ, ან ძონძებით ფარავდა, ანდა მდგომარეობით გამომუშავებული რეფლექსით.

მე ერთი ვიცი, ჩემო დიმიტრი, პიროვნებას რომ მსხვერპლად შესწირო საქმე, პიროვნება უნდა წარმოადგენდეს გვარიან ღირებულებას. ანდა უნდა იყოს იმედი, მომავალში არამც თუ ანაზღაურებული იქნება მსხვერპლი, არამედ აშენდება უფრო ძლიერი, ჯანსაღი და ერისათვის სასარგებლო საქმე. მარჯანიშვილი ბევრ მსხვერპლს მოითხოვდა, სამაგიეროდ იძლეოდა ასს იმდენს და ერთ წელიწადში გადიოდა მანძილს, რომლისთვისაც ქართულ თეატრს, ალბათ, ათეული წლები დასჭირდებოდა.

მე მინდოდა თეატრში წონასწორობა ყოფილიყო, მაქსიმალურად გამოიყენებინა დასის ნუჟიერი ელემენტი. ამისათვის ჩემს მოადგილედ მსურდა გარეშე კაცი ყოფილიყო, არ მოხერხდა.

ბოდიშს ვიხდი, რომ ეს ჩემი გულიტკივილი გაგიმეღვანე, მაგრამ მე აღარ დამრჩა არც ერთი მეგობარი, რომელთანაც გულწრფელი საუბარი შემეძლოს. რასაკვირველია, აქ ხელსაყრელი საბუთი ყველასათვის, რაზედაც თამაშობენ, ჩემი ავადმყოფობაა, მა-

\* წერილში სახელი და გვარი სრულიადაა მოცემული. ხაზი ეკუთვნის წერილის ავტორს. (ავტ).



დგანან: გერცელ ბააზოვი, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით ახლულაძე, სხედან: ნიკო გოცირიძე, ბააზოვის მეუღლე და უშანგი ჩხეიძე 1935-36 წ.წ.

გრამ განა ახლობელმა ამხანაგებმა ამით უნდა ისარგებლონ?

იმ ამხანაგებმა, რომელთაც მე ყველაფერი გავეუკეთე იმისათვის, რომ ისინი არ გაეღრბნათ თავის დროზე, რისთვისაც მე ისეთ ადამიანს შევადულე თავი, როგორც კოტე იყო.

ყველაფერი შეიძლებოდა ნებაყოფლობით: გაკეთებულიყო და არა ზურგს უკან, ხრიკებით, ჩემი სურვილი ერთია, ეგ ნატანჯი თეატრი არ დაინგრეს და იარსებოს. იმედია: რომ იქ ოდესმე ნიჭიერი ხალხიც გამოჩნდება. მე, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე.

იყავი კარგად. უშანგი.  
1934 წელი 25/III<sup>ა</sup>.

აქვე გთავაზობთ ბატონი დიმიტრი ჯანელიძის პასუხს შემოკლებით.

„ძვირფასო ძმაო, უშანგი!

მივიღე შენი წერილი. შენი მტკიცე სურვილი ყოფილა ეხლაც, რომ ეს ნატანჯი თეატრი არ დაინგრეს და იარსებოს. შენ მალე ჩამოხვალ, ეს სურვილი თან ჩამოგყვება და წინ გაუძღვები შენს საქმიანობას, შენს მუ-

შობას და ბრძოლას ქუთაისიდან დაწყებული თეატრის ზრდა-განმტკიცებისათვის.

შენს მეგობრებს, რომელთაც შენ ეული წლები გავიტარებია, ჩემი ატესტაცია არ სჭირდება. აქ ჩამოხვალ, ყველა პირის-პირ შევხვდებით და ჩვენს გულისწყრომასაც გზა-კვალს გავუჩვენებ.

შენ დიდი საქმე ჩაგაბარეს, არ არის ბატარა საქმე, თეატრი, როდესაც იგი საბჭოთა ქართული კულტურის მსოფლიო ისტორიის სარბიელზე გამოიყვან და გამოჩენილ ძალად გამხდარა.

შენს წერილში მე შემომესმა გულნატკენი ადამიანის, შენს მდგომარეობასთან შეუთანხმებელი ძღერა... შენ ისეთ მდგომარეობაში ხარ, რომ გული ვერაფერ ვერ უნდა გატკინოს.

ძმა მიწოდე და მეც ძმურად გული ამოგიხსენი, როგორც გინდა ისე მიიღე, ის კი იცოდე, რომ თუკი ოდესმე შენთვის ისეც კალამს ხელს მოვკიდებ ანდა ენას სიტყვას დავებარებ, ყოველთვის საქმის სიყვარული იქნება ამის საბაბი. იმ საქმის, რომლისთვისაც ხალხს შენ სიყვარულით გაუზრდხარ.

ველი შენს წერილს და ჩამოსვლას პატივისცემით და სიყვარულით —

დიმიტრი ჯანელიძე.  
1934 წ. 2/IV თბილისი“

ამავე პერიოდშია დაწერილი უშანგის წერილი მისი ზესტაფონელი მეგობრის სანდალა გაჩეჩილაძისადმი, რომელიც ასევე მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა. როგორც მკითხველი დარწმუნდება, წერილის ტონი მშრალია და მკაცრი (წერილი მომყავს შემოკლებით).

„ძმაო სანდალა!

მე უკვე ვიყავო გეგენავასთან, და უარი განვუცხადე (ხელმძღვანელობაზე), შენც ამასვე გითვლი.

ასე დატოვება თეატრის ამ მდგომარეობაში მე შეუძლებლად მიმაჩნია, და მე მგონია ამისთანა თეატრში არც დავრჩები.

თუ არ მოვეცილდი საქმეს, შეიძლება რაიმე უბედურება შემემთხვას, რადგან სისაძაღლეს არ მოვუთმენ ადამიანს და ცუდს რამეს ვუზამ. შენ თვითონ არ ისურვებ ასეთ დაბოლოებას.

მე შემიძლია ვიბრძოლო პრინციპიალურ საკითხებზე. აქ კი სულ სხვა საქმეა.



პარეზად იგი მხოლოდ და მხოლოდ მარჯანი-  
შვილის თეატრს მიიჩნევდა. ასე დაკარგა ქა-  
რთულმა ხელოვნებამ, ქართულმა თეატრმა,  
ერმა, საზოგადოებამ, მყურებელმა დიდი  
ტალანტის მსახიობი — უშანგი ჩხეიძე, ხო-  
ლო ორგული მეგობრის წყალობით მას სა-  
მუდამოდ მიეკერა ავადმყოფის სახელი. ხა-  
ლხსაც არ შეუწუხებია თავი კვლევა-ძიებით.  
იგიქრეს: ალბათ, მართლა ვეღ არის, თო-  
რემ ასე ახალგაზრდა ასაკში რატომ დაანე-  
ბებდაო თავს თეატრს ასეთი ბრწყინვალე  
მსახიობი.

ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო. როდე-  
საც უშანგი გარდაიცვალა 1953 წლის 1 დე-  
კემბერს! „ლეჩკომბინატში“! ჩემი მისვლის  
შემდეგ რამდენიმე წუთში მივიდა ეს პირო-  
ვნება — დ. ა. ...ძალზე დამწუხრებული,  
აცხაცხებული ხელებს თავში იშენდა და გუ-  
ლწრფელად ტირიდა: „ბიჭო უშანგი... ბიჭო  
უშანგი... 20 წელია არ მინახიხარ, რატომ  
წახვედი ჩემი უბარი, ძმაო... მოვსულიყავი,  
ერთს გამარტყამდა, ხომ არ მომკლავდიო“...

იგი მორწმუნე იყო და მომდურებული ახ-  
ლობლის სიკვდილი დანაშაულის მიტევების  
გარეშე დიდ ცოდვად ეთვლებოდა.

რაც უშანგი თეატრიდან წავიდა, ე. ი. ოცი წლის მანძილზე მას ამ პიროვნების სა-  
ხელი არ უხსენებია, აღარც ერთმანეთი უნა-  
ხავთ. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ უშანგის  
გარდაცვალების შემდეგ ამ პიროვნებამ ყვე-  
ლაფერი იღონა უშანგის სახელისა და ხსოვ-  
ნის უკვდავსაყოფად, თუმც კი უკვე გვიანი  
იყო...

მუსიკისმცოდნე დოლოძე, ნატო ვახანაძე და  
უშანგი ჩხეიძე 1952 წ.



მიანიც რა ავადმყოფობა სჭირდა უშანგი  
რაზეც ყველა ლაბარაკობდა წლების მანძილზე  
ზე და მე კი ვერც ვამჩნევდი? ეს ახსნა  
მასვენებდა. და ერთხელაც ვესტუმრე ერთ-  
ერთ თვალსაჩინო მეცნიერს ევტიხის გობრო-  
ნიძეს. ვთხოვე მას უშანგის ავადმყოფობის  
წერილობითი დიაგნოზი შეედინა, რადგა-  
ნაც ვთვლიდი, რომ მომავალი თაობებისათ-  
ვის საჭირო იყო ამ დიაგნოზის არსებობა.  
ეს წერილი დღესაც ჩემთან არის დაცული.  
ჩემს თხოვნაზე ბატონმა ევტიხიმ მიპასუხა:  
„— დიახ, ეს იყო ნევროზი — აკვიტე-  
ბული შიშის ნევროზი, რომლის დროსაც  
ფსიქიკური აპარატი ხელუხლებელია, აზრის  
გონების ფუნქცია მოწყვსრივებულია.

უშანგის ეს შიში გულის არეში ტკივილე-  
ბის გამო ჰქონდა. მართო ვერ ჩერდებოდა,  
მართო არსად დადიოდა (კურორტების გარ-  
და), მეგობრებთან, ახლობლებთან თავს ჩი-  
ნებულად გრძობდა, მაგრამ ყველზე და-  
სანანი ის იყო, რომ მას ჰქონდა სცენაზე გა-  
მოსვლის, დახურული სივრცის შიში. ემო-  
ციური დატვირთვის შედეგად თითქმის გუ-  
ლი ეწყურებოდა და ეწყებოდა ტკივილი.

უშანგემ იცოდა, რომ ეს არ იყო საშიში  
დაავადება, არამედ გადაღლის შედეგი; მაგ-  
რამ ეს გრძობა იმდენად ძლიერი იყო, რომ  
უჭირდა მისი გადალახვა. უშანგის თეატრი-  
დან წასვლის მიზეზი ეს შიშის ნევროზი არ  
ყოფილა. ამ ნევროზით თამაშობდა იგი უკა-  
ნასკენელი ხუთი და მეტი წლის მანძილზე თა-  
ვის ბრწყინვალე და საყვარელ როლებს, ამ  
ნევროზით ითამაშა ახალი როლიც — იაგო  
„ოტელოში“. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ  
პერიოდში იგი სიამოვნებით თამაშობდა კო-  
მედიურ როლებს. უშანგის სრულიად საღი,  
ნათელი, ჭანსალი გონება ჰქონდა — იგი  
კვლავ ძველი უშანგი იყო, ერთი განსხვავე-  
ბით, რომ არ შეეძლო თამაში.

— კი, მაგრამ, ბატონო ევტიხი, ნევროზი  
ყოველ მეორე ადამიანს აქვს, გულის სპაზ-  
მებიც და მის გამაყუჩებელ წამლებსაც ხმა-  
რობენ. ნუთუ ამ მიზეზით ატყდა ამხელა ამ-  
ბავი და შეიქმნა ლეგენდა, რომელიც ათეუ-  
ლი წლების მანძილზე აჩრდილივით თან  
სდევს უშანგის სახელს.

— იცით რა, ქალბატონო ნინიკო! უშანგი  
სხვა რანგის მსახიობი იყო.. მინდა ავიხს-  
ნათ და ვერ გამომიხატავს ჩვეულებრივ  
სიტყვებით.

როდესაც უშანგი თამაშობდა, თეატრის კედლების მიღმა ისმოდა მისი სუნთქვა, ხოლო ჩვენ, პარტერში მსხდომთ, სცენიდან წამოსული უშანგის ბობოქარი ტემპერამენტი და გულის ცემა წალკევით გვემუქრებოდა. მისი ვირტოუზული თამაში ტანში გვზარავდა, ბუსუსებს გვაყრიდა და ცეცხლს გვავიძლებდა. მისი თვალების ელვარებას ვერ ვუძლებდით... ხან წამოვიწყებოდათ სავარძლებიდან და ხანაც თვალებზე ხელს ვიფარებდით.

თვითონ როგორ უძლებდა ზედიზედ ყოველდღე ჰამლეტის, თორღვას, გოდუნის, კარლ მოორის, კარლ ტომასის, ურიელის, ყვარყვარის, ჩენჩის, კვექენაძის, ბეგლარის, იაგოს თამაშს?!

ამიტომ ყოველ საღამოს მაყურებელს ლამის ჩაეღეწა თეატრის კარები სპექტაკლზე მოსახვედრად და ამისათვის დაჰყავდათ ხელში აყვანილი კოტე, ვერიკო და უშანგი თბილისის ქუჩებში.

დიდი ფიზიკური ძალის ადამიანი იყო უშანგი და კიდევ დიდხანს გაუძლო.

ერთხელ ბატონ კოტე მარჯანიშვილს უსაყვედურეს: რას ერჩოდი ამ ბიქს ვერ დაზოგეო? თვეში 30 სპექტაკლის ნაცვლად 40-45-ს თამაშებდი, ისიც ასეთი რეპერტუარით. ცოდვა არ იყოო?


— რა მექნაო, ახალ თეატრს ვქმნიდი და თუ დავზოგავდი, თეატრს ვერ შევქმნიდი და უშანგიც უშანგი აღარ იქნებოდაო. ხანდახან მძიმე და ძნელია დიდი ხელოვანის ბედი“.

რას იზამ, ასეთ ასაკში ამხელა სახელისა და პოპულარობის მქონე მსახიობის თეატრიდან წასვლას, არ შეიძლებოდა სენსაცია არ გამოეწვია.

თვით უშანგის უახლოესი მეგობრები და პარტნიორებიც კი ეფექტისათვის დღეს საინტენეტალურ ზღაპრებს ყვებიან და წერენ უშანგის ავადმყოფობაზე. აბა, ერთი ცოცხალი იყოს, რას ვაბედავდნენ, იმასაც ნახავდით.

უშანგი ისეთი მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის ვაჟკაცი იყო, რომ კულისებში თუ დადგებოდა გრიმით და კოსტიუმით, კიდევ გავიდოდა სცენაზე და კიდევ ითამაშებდა ისე, რომ არავის ხელს შეეშველება არ სჭირდებოდა — სიხარულისაგან თეატრი ზანზარებდა.

**ეცტიხი გობრონიძე,**  
1974 წელი, მარტი



იური ლევიტანი და უშანგი ჩხეიძე 1936 წ.

მიოტქმა-მოტქმა უშანგის ავადმყოფობის გარშემო კი გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება. ზოგის აზრით თურმე უშანგი გარეთაც არ გამოდიოდა და არც არავის ღებულობდა. სინამდვილეში კი, მაისის თვეში რომ გაემგზავრებოდა თბილისიდან რომელიმე კურორტზე (თუ ფული გვქონდა), ნოემბრის დასაწყისში ჩამოდიოდა. მაჩუქრიის საზღვრიდან პოლონეთის საზღვრამდე მთელს საბჭოთა კავშირში ჰყავდა მეგობრები. მის პირად არქივში დაცულია უთვალავი წერილი და ფოტოსურათი სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანების მიერ გამოგზავნილი, მისდამი პატივისცემისა და აღტაცების გამოხატველი წერილები.

უშანგი იმდენად მომხიბვლელი და საინტერესო პიროვნება იყო, რომ მასთან ერთი შეხვედრაც კი საბუდამოდ ამასხოვრდებოდა. ჩვენი თეატრალური ხელოვნების კორიფეები ქედს იხრიდნენ უშანგის წინაშე მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, მისი სახელი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.

როგორც ვთქვე, უშანგი ჩხეიძე საოცრად ძლიერი ნებისყოფის პიროვნება იყო. რაოდენ მძიმე და მწარეც არ უნდა ყოფილიყო მისთვის თეატრიდან წასვლა, მან მაინც შეისძლო საკუთარი თავის ხელში აყვანა. სცენის გარეშე დარჩენილმა მსახიობმა დაიწყეო წერა და ფასდაუღებელი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ოთხმოქმედებიანი დრამა „გიორგი სააკაძე“ — დაწერილი თეთრი ლექსით;

ორი მონოგრაფია: „ათი წელი მარჯანიშვილთან“ და „მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი“;

„ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია“ (მოგონებები);



რეჟისორული გეგმა პ. კაკაბაძის „ბახტრინის“ დადგმისა, თავისი ესკიზებით; ლექსები, პიემები, ნახატები, მოთხრობები, ნოველები, დაუმთავრებელი პიესები და სტატიების რვეულები ფილოსოფიური ეტიუდებით.

ამის გარდა უ. ჩხეიძე ლექსებს უკითხავდა მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს და თეატრში სტუდია გახსნა. ფირზე ჩაწერა რადიოსათვის მის მიერ შესრულებული გმირთა მონოლოგები, ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრები; თეატრიდან წასვლის შემდეგ მთელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით უშანგი ჩხეიძემ დაამტკიცა, რომ იგი შრომისუნარიანი იყო, თუმც კი ტრაგიკული როლების თამაში არ შეეძლო, მაგრამ ნუთუ კომედიური როლების შემსრულებელი უშანგი ჩხეიძე არ სჭირდებოდა მარჯანიშვილის თეატრს? ნუთუ უშანგის პიროვნება, მისი გამოცდილება არ იყო საჭირო თეატრისათვის? მას ხომ შეეძლო დაედგა სპექტაკლები, ემუშავა ახალგაზრდა მსახიობებთან, გაეხსნა სტუდია. რა იღონა თეატრმა იმისათვის, რომ ასეთი დიდი პიროვნება, მსახიობი სრულიად არ ჩამოცილებოდა თეატრს. გავიდა წლები დ. ა. აღარ იყო თეატრში, მაგრამ განა მარჯანიშვილის თეატრის

ხელნაწერი უ. ჩხეიძის წერილისა  
ლ. ნაკაშიძისადმი

*ჩხეიძე უ.*

*სამკვიდრეო აქვს ვაღ-ყნო  
აქვს აქვს ბუხარ, იმეზს  
ვ სიძინე ყნო ვაღ-ყნო.  
მქვს მონე მონე მონე  
კავთახარა ბუხარისაგან.  
ქ ახანე სისამხეი იყ  
ხემაგლ-ანაქი სისამხეი ვბ-ზე.  
აქვს სიძინე მანაქი ხოთ  
იქვს ხმანე, ბარს სიძინე,  
სიძინე, მქვს მონე იქვს.  
ყნო ვაღ-ყნო ქ ახანე  
ბუხარ. სიძინე ხემაგლ  
ყნო ვაღ-ყნო ბუხარისაგან  
ხემაგლ სიძინე სიძინე.*

მომდევნო ხელმძღვანელებმა და დირექტორებმა მონივრულად უშანგის დაბრუნებაზე. ანდა რომელმა ერთმა ითავა მისი გამოყვანა ამ რეჟოზიდან, ვინ მიჰყვა ბოლომდე? იყო ასეთი ადამიანი, რომელიც შეეცადა დახმარებოდა უშანგის, კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი პროფესიული ვალი და მიიყვანა კიდევ იგი თეატრში. მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

როგორც ვთქვი, უშანგის მზად ჰქონდა რეჟისორული გეგმა პ. კაკაბაძის „ბახტრინისა“ მარჯანიშვილის თეატრში დასადგმელად, განაწილებული ჰქონდა როლები და შესრულებული მოქმედ პირთა ტიპაჟების ჩანახატები, რომლებიც თავისი მხატვრული ღირსებებით დღესაც მნახველთა განცვიფრებას იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მას არავინ ამოღგომია მხარში და ეს დადგმა ჩანაფიქრად დარჩა.

უშანგი ბუნებით ძალზე მორიდებული გახლდა. არ უყვარდა ხალხის შეწუხება, თუნდაც უკიდურეს გაპირებებში ყოფილიყო. არავის არაფერს სთხოვდა და ჩვენც, ახლობლებს გვიკრძალავდა ვინმესთვის მიგვემართა და გვეზრუნა ოჯახური პირობების გაუმჯობესებისთვის.

თუ არ ვცდები, 1946 წელს მოსკოვში აკაკი ვასაძისა და აკაკი ხორავას სტალინთან სტუმრობის დროს აკაკი ვასაძეს უშანგი ჩხეიძის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის დახმარება უთხოვია. სტალინს უკითხავს: „რა დაემართათ? მე ვნახე 30-იან წლებში დეკადაზე მარჯანიშვილის სპექტაკლები“. მსახიობებმა უპასუხეს, კარგად არ არის უშანგი და თუ დავეხმარებით, ვიცით, თეატრში დაბრუნდება.

— მერე დავეხმართ, დავაბრუნოთ, შევუქმნათ პირობები. — თქვა სტალინმა და ღიმილით დაუმატა: — უშანგის პირველი ნომერია არტისტის დაავადება ხომ არა აქვს? (როგორც ჩანს, განდიდების მანისა გულისხმობდა).

— არა, — უპასუხა აკაკი ვასაძემ — უშანგის ეს არ სჭირდება, იგი ისედაც პირველი ნომერია ჩვენს თაობაში.

ამის შემდეგ კრემლიდან საქართველოს ხელმძღვანელობას გაეცა განკარგულება, უშანგი ჩხეიძეს შეუქმნით ყველა პირობა და თეატრში დააბრუნეთ.

და ამის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაი-

წყო. დღეში რამდენჯერმე მოდიოდნენ უშანგისთან მაღალი თანამდებობის პირები —

მთელი ორი წლის მანძილზე უწყვეტად. რას არ სთავაზობდნენ! საუკეთესო კურორტების საგზურებს, საუკეთესო მკურნალობას. უპირველეს ყოვლისა, სპეციალური სამსახურებრივი მსუბუქი ავტომანქანა მიამაგრეს.

უშანგი თავშეკავებულად და მორიდებით პასუხობდა ამ მზრუნველობაზე, მაგრამ მაინც თქვა: თუ ჩემი დახმარება გინდათ, უპირველეს ყოვლისა, ეს ბინა ჩაიბარეთ და მომეცით სამაგიერო, რომელიც მარჯანიშვილის თეატრთან იქნება ახლოს.

იმხანად მარჯანიშვილის მოედანზე ახალი სახლები შენდებოდა და უშანგისაც დაპირდნენ იქ ბინის მიცემას. მალე ორი არქიტექტორი მოვიდა და უშანგის მოახსენეს: სპეციალური დავალება გვაქვს, გამონაკლისის სახით თქვენი ბინა ისე დავაპროექტოთ, რომ სამსახიობო მუშაობაში ხელი შეგვეწყობოთ. უშანგიმ იცოდა, რომ სახლის მშენებლობა დაწყებული იყო და ეუხერხულა, მაგრამ დაყენებული თხოვნის შემდეგ თქვა: თუ შესაძლებელი იქნება ერთი ოთახი ცოტა მოზრდილი იყოს, რათა რეპეტიციების ჩატარება შეეძლოს, ორი კი პატარაო. მართლაც ბინა მისი სურვილისამებრ დააპროექტეს, მაგრამ უშანგის ის არ გრგო. სახლის აშენების შემდეგ ის ბინა გადასცეს ფოთის ქალაქკომის მდივანს ამხანაგ გ. კ.-ს, რომელსაც ფოთში ჰყავდა ოჯახი.

ამ შემთხვევამ მოთმინებიდან გამოიყვანა უშანგი; მოტყუებულმა და შეურაცხყოფილმა წერილი მისწერა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს, რომელიც მის არქივშია დაცული. იგი წერდა: „თავმოყვარეობის შელახვას და სირცხვილს განვიციდი, როდესაც ამის შესახებ მიხდება წერა თქვენს მიმართ, ამ გარემოებამ დაამაყვია საერთოდ ჩემი მუშაობის საპირობებაში. ასე გრძელდება წლების მანძილზე ჩემდამი დამოკიდებულებაში“.

გასაგებია გაცხარება ადამიანის, რომელიც ასეთი მრავლისმეტყველი დაპირებების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში სასოებით ელოდა ამ ბინის მიღებას.

მოგვინებს წინ ვუსწრებ და აქვე აღვნიშნავ: რამდენიმე წლის შემდეგ ამხ. გ. კ. დაპატიმრეს, ე. წ. „მეგრულთა საქმის“ გამო, მისი ცოლ-შვილი გარეთ გამოასახლეს



უშანგი ჩხვიძე 1947 წ.

და ამის შემდეგ უშანგის შესთავაზეს მისი კუთვნილი ბინის დაკავება. სხვის აწიოკებულ და ატირებულ ბინაში მე არ შევალო, — უპასუხა უშანგიმ.

მიუხედავად ამისა, ძველი ბინა ჩაიბარეს — უშანგი ჩვენი ბიძაშვილის მსახიობ დ. ჩხვიძის ოჯახში გადავიდა მოსკოვის ქუჩაზე (ამჟამად გ. ლეონიძის ქუჩა), ხოლო დედა, მე და ჩემი პატარა შვილი იძულებული გავხდით ექვსი თვის განმავლობაში იმ ბინაში გვეცხოვრა, მარჯანიშვილის მოედანზე. მთელი ამ ექვსი თვის მანძილზე უშანგის ფეხი არ შემოუღდამს იმ სახლში, თუმცა კი უშანგის მთელი წიგნები ჩვენთან იყო. (ძველი ბინიდან გადასვლისას, როდესაც ბარგი გადაგვქონდა, ორი ქურთი მუშა მებმარებოდა და ორივე გაცოცხლებული იძახდა: „სულ ციგნები და ციგნები, რა ამბავია ამდენი ციგნები. სხვა ბარგი და ავეჯი არ გაქვთ, ჩპარა მოგვეცი, რომ მუშაობა ადრე დავამთავროთ. ავუსუსი არ არის, ამ ბინაში რომ სიმდიდრე იყო, ის წავიდა და ციგნები მოვიდა...“).

ამასობაში რესპუბლიკის მთავრობაში ცვლილებები მოხდა, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი, ცკ-ის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე დაინტერესდნენ უშანგის ბედით და ახალი ბინა მოგვეცეს კამოს ქუჩაზე, მარჯანიშვილის თეატრის გვერდით, სადაც დღეს უშანგი ჩხვიძის სალ-მუზეუმი. მაგრამ უშანგის ამ ბინაში ბედნიერი ცხოვრება არ დასცალდა — ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

\* \* \*

დავუბრუნდეთ უშანგის ავადმყოფობას. ერთმა მისმა მეგობარმა ექიმმა მითხრა: რა უნდა გვექნა, მკურნალობის მეთოდი ერთი

გვექვს, ავადმყოფი კი ათასი, ყველა თავისებურ, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს; ჩვენ ამის დრო და საშუალება არ გვექონდა. ორიოდ საათით შევივლიდით მასთან სამსახურის შემდეგ, საინტერესო საუბარი გაიმართებოდა. ჩვენც ვითომ და ვცდილობდით რაიმე გაგვეკეთებინა მისთვის ჩვენი შთაგონებით, პირიქით კი ხდებოდა — მისი ზეგავლენის ქვეშ აღმოვჩნდებოდით ხოლმე, იმდენად საინტერესო იყო მასთან შეხვედრა. მერე გავბრბოდით სახლში, რათა საღამოს პაციენტები მიგველო. აბა რა გვექნა: არსებობა ხომ გვინდოდა.

ჩვენს შორის ერთადერთმა ექიმმა შესძლო დახმარებოდა უშანგი ჩხეიძეს: რწმენა აღუდგინა, ფეხზე დააყენა, გარეთ გაიყვანა და დააბრუნა თავის თეატრში. ეს იყო ექიმი ლილი ნაკაშიძე.

აქვე მინდა მოვიყვანო ორი წერილი უშანგისა და ქალბატონი ლილის მიმორწირიდან.

„ქალბატონო ლილი!

რამდენადაც თქვენ გულუხვი იყავით თქვენს წერილში, მე სიძულწე გამოვიჩინე, მაგრამ მაინც მინდა მადლობა გადაგიხადოთ წერილისათვის. ეს ისეთი სასიამოვნო იყო ჩემთვის — თითქოს პირადად შენახეთ.

უშანგი ჩხეიძე. ელო ანდრონიკაშვილი და იოსებ გრიშაშვილი 1950 წ.



თქვენმა სიტყვებმა თითქოს იმედი ჩამინერგეს. ძალიან საეჭვო, შორეული, მაგრამ მაინც იმედი, უიმედოდ ცხოვრება კი მაშინაა ძნელი. საშინელებაა, როდესაც ყველაფერი წარსულშია და წინ კი მხოლოდ სიცარიელეა. თქვენი მკურნალობა ისეთივეა ჩემთვის, როგორც სასოფარკვეთელი მოცურავისათვის შუქურის დანახვა. შეიძლება მან ვერც კი მიადწიოს ნაპირს, მაგრამ მის ბრძოლას მიზანდასახულობა აქვს და იმედიც უქანასკნელ წუთამდე. ბევრი რამ მინდა მოგწეროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია. თქვენ არავის არ შეუტყვლიხართ, ქალბატონო ლილი. სამწუხაროდ ჩემდა, არც ისე ადვილია თქვენი შეცვლა.

ხაჭაპურისათვის დიდი მადლობელი ვარ. თქვენი ნაწერი და ხაჭაპურის აღნაგობა ძალიან გავდნენ ერთმანეთს, ერთი ხელი იყო, მაგრამ რა დასაშვებია — თქვენ და დიასახლისი?!

თქვენი წერილები მინდა სიგრძისად გადავაბა ერთმანეთს და დღეში რამდენიმეჯერ ავუარა-ჩავუარო, თქვენი გამამხნეველები სიტყვებიც თვალწინ მექნება და სეირნობითაც, მე მგონია იკმარება.

ჩემი გულთბილი სალამი და კარგი სურვილები ბატონ გიგოლსა და ქალბატონებს (მაიას და მეიას), ვრცლად თინიკო მოგწერთ.

თუ ადამიანის ნაწერი გამოხატავს მის ხასიათს, ვეჭვობ, რომ გეყოთ მოთმენა ჩემი მკურნალობისათვის.

უშანგი

1944 წელი, 15 აგვისტო. თბილისი.

„ბატონო უშანგი!

ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოულოდნელი და სასიამოვნო იყო თქვენი წერილის მიღება. მართალი უნდა გითხრათ, ცნობიერების რომელიღაც პატარა კუნჭულში იყო პატარა აზრი, რომ თინიკოს წერილზე რამოდენიმე სიტყვას მიაწერდით. ამაზე მეტს ჩემი წარმოდგენა არ სცილდებოდა. ასეთ სრულღირებულოვან წერილს დაწყებულს მომართვით და დამთავრებულს თარიღით არ მოველოდი. არ მეგონა თუ ამდენი გამძლეობა გეყოფოდათ. ანდა ამდენის ნებას მოგცემდათ თქვენი იკვირანი სპაზმები. შინაარსის მხრივ, ბატონო უშანგი, ასეთი გულუხვი არასოდეს არ ყოფილხარ. თქვენი წერილი უტყუარი საბუთია იმისა, რომ რუბიკონი უკვე გადალაზულია. თქვენ გჯერათ, იმედი

გაქვთ (პატარა, მაგრამ ჰანცი იმედი). ეს დიდი ფაქტია და რაც მთავარია ეს არ არის მხოლოდ ფაქტი. ისე როგორც თქვენ უიმედობას გარკვეული ორგანული დასაბუთება და დასაყრდენი ჰქონდა, ასევე დღევანდელი იმედიც ზოგადი ორგანული მდგომარეობის ნაყარნახევია. ეს გრძნობა უთუოდ მრავალგზის შემოწმებული გექნებათ, თორემ ასე ადვილად ამ სიტყვებს არ გაიმეტებდით.

იწერებით, რომ ჩემი შეცვლა სამწუხაროდ არავის შეუძლია. თუ ეს ქაითნაური არ არის! რატომ სწუხართ? განა მე თქვენ მოგეცით საბაბი იმის საფიქრელად, რომ დავიღალე, მომბეზრდა ჩემი როლი და შემცვლელი მესაპიროება? მე ბედნიერი ვარ იმით, რომ თქვენ გჯერათ ჩემი და არც ისე დაუსრულებლად შორს არის ჩემი მიზანი. მე მჯერა, რომ მალე გამოხვალთ ნაპირზე და ისიც ვიცი, რომ ეს ნაპირი მეტის მზით და დღევანდელი მოგვლით ვიდრე ის — საიდანაც თქვენ ასე ზანტად მოდიხართ. გზადაგზა იღლებით და საშინელი სიყვარულით და სინანულით უკან-უკან იყურებით.

ჩემს მოთმინებაზე და გამძლეობაზე — ძალიან ვთხოვთ ასეთი არაპირდაპირი საბუთებით, როგორც ხელთნაწერია — ნუ მსჯელობთ. ჯერ ერთი იმისათვის, რომ თქვენ პირდაპირი საბუთი გაქვთ საწინააღმდეგო აზრისათვის და მეც იმისათვის, რომ თქვენ არა გაქვთ უფლება ხელთნაწერზე ასეთი დასკვნა იქონიოთ.

ადამიანის ნაწერსა და ხასიათის თვისებებს შორის რომ პირდაპირი დამოკიდებულება იყოს, თქვენზე უფრო დამდგარი ხასიათი და მტკიცე ნებისყოფა ძნელად თუ ვინმეს ექნებოდა. როგორც სჩანს, მე და თქვენი ხელნაწერი ხასიათთან საწინააღმდეგო დამოკიდებულებაში ვართ.

ბატონო უშანგი, წევხართ ისევ თქვენ დიდებულ პოზაში, რომის პატრიციევით წამოწოლილი ტახტზე თუ ფიხზე დიდხართ?

მე ბევრი მინდა მოგწეროთ, მაგრამ მეშინიან — ჩემი წერილების სიგრძე ანგარიშები არ დამახვედროთ, თუმცა თუ მართლა აპირებთ, წინასწარ გაფრთხილებთ, რომ არ იქნებით მართალი — რადგან საბოლოო ჯამში საკმარისად დავასვენეთ, თინიკო იცინის თუ არ იცინის?

ჩვენი ამბებით არ შეგაწუხებთ, მოკლედ



უშანგი ჩხვიძის უკანასკნელი ფოტო. 1952 წ.

მოგწერთ: გიგლა მუშაობს ძლიერ ზანტად, მაგრამ მანცი წინ მიდის. მეია დედამისივით მარცხიანია, ხშირად ვარდება. მაია სულ გაეცტა. ათში ვაპირებთ ლეჩხუმიდან ქუთაისში წასვლას და იქედან პირდაპირ თბილისში და, ცხადია, ჩვენი პირველი სტუმრობა იქნება თქვენთან.

გიგლა და ბავშვები გითვლიან გულთბილ სალამს.

თქვენი ლილი ნაკაშიძე.  
სოფელი ლერი. 1944 წელი."

ქალბატონი ლილის ყურადღება და მზრუნველობა დაეხმარა უშანგის გადაელახა ეს ნერვიული ავადმყოფობა, იმედი ჩაუსახა და ძალა შემატა მას. ამ დროს დაიწყო მან რადიოსათვის თავის შემოქმედების ჩაწერა, რისთვისაც ლილი მადლობა ბატონ აკაკი ძიძიგურს; კვლავ დაბრუნდა თეატრში, დაენიშნა ხელფასი, გაიცნო ახალგაზრდა მსახიობებო და გადაწყვიტა მათთან ემუშავა, შესანიშნავი გემები ჰქონდა: სურდა მარჯანიშვილის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით და თანამედროვე თვალთახედვით დაედგა „ჰამლეტი“, „ურეელ აკოსტა“, ეროვნული დრამატურგიის ნიმუშები. სთხოვდა თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელობას დახმარებას და იმედიც ჰქონდა, რომ მხარში ამოუდგებოდნენ. მოხდა პირიქით: სადა გვყავს ჰამლეტის ან ურეელის მოთამაშე ახალგაზრდა მსახიობებით, უპასუხეს.

თეატრში მაშინ ჩემი თაობის ახალგაზრდა ნიჭიერი ქალ-ვაჟები იყვნენ. უშანგი ხედავდა მათ შესაძლებლობებს და უნდოდა მათთან მუშაობა. კვლავ და კვლავ ითხოვდა, შემოიწყეთ ხელი და თუ ახალგაზრდებმა ეს

როლები ვერ დაძლიეს, ჩემთან მუშაობა ხომ მაინც შერჩებათო. მაგრამ კვლავ გულგრილობას წააწყდა.

ამის შემდეგ უშანგიმ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით მიმართა თეატრში სტუდიის განსნის თაობაზე. და მართლაც, მარჯანიშვილის თეატრში უშანგი ჩხეიძეს გაუხსნეს სტუდია. შედგა ახალგაზრდების მიღება, მუშაობაც დაიწყო. პედაგოგებად სტუდიაში მიწვეულნი იყვნენ გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, მსახიობის ოსტატობა თვითონ უშანგის უნდა ესწავლებინა. იმ სტუდიელთაგან რამდენიმე მსახიობი დღესაც თეატრშია და დასის მნიშვნელოვან ძალად ითვლება.

მაგრამ ეს ბედნიერებაც დიდხანს არ დაცალდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა (ორივე თანამდებობა ეკავა ი. გ.-ს) სტუდიაში პედაგოგებად სრულიად უცხო პირები, არაპროფესიონალები დაუნიშნა. უშანგი ცხადია შეეწინააღმდეგა; რასაც შედეგად მოჰყვა ი. გ.-ს ბრძანება, რომელიც მან შიკრიკის ხელით სახლში გამოუგზავნა უშანგის. ბრძანებაში ნათქვამი იყო: განთავისუფლებულ იქნას უშანგი ვიქტორის ძე ჩხეიძე მარჯანიშვილის თეატრთან არსებული სტუდიის ხელმძღვანელობისაგან, ვინაიდან თეატრთან არსებული სტუდიის დირექტორი და ხელმძღვანელი უნდა იყოს ამავე თეატრის დირექტორიო.

ეს 1948-49 წლების მოვლენებია — მახსოვს უშანგიმ ეს ბრძანება ნაკუწ-ნაკუწ დახია და გადაყარა, ამიტომ იგი ხელთ არა მაქვს და ზეპირად მომყავს მისი შინააარსი. თეატრის ბრძანებათა წიგნში იგი გატარებულია უფრო სხვა ფორმით, მაგრამ არსი კი იგივეა: უშანგის თეატრიდან ათავისუფლებენ!..

სტუდია კი უმალ დახურეს, ხოლო ი. გ.-ს უთხრეს: ეს სტუდია უშანგისთვის გავხსენით და არა შენთვისო.

რასაკვირველია, მხოლოდ ერთ ადამიანს ყველაფერში ვერ დაადანაშაულებ. უშან-

გის მისვლა ჩანს დიდად არც სხვებს გაბარებიათ, თორემ არ დაუშვებდნენ მის დასვლად ადვილად მოშორებას. შესაძლოა ბევრს იმის შიშიც ჰქონდა, რომ უშანგი მათ დაჩრდილავდა. ყოველ შემთხვევაში, მანამდეც და შემდეგაც ეს ეკვი არაერთხელ დადასტურებულია.

1966 წელს მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკა“-მ გამოსცა ექვსტომეული „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიისა“. რა თქმა უნდა, იქ უშანგი ჩხეიძეც არის მოხსენიებული, თუმცა კი ბევრი არაფერი სწერია მის შესახებ: აღნიშნულია, რომ ვერიკო ანჯაფარიძეს კარგ პარტნიორობას უწევდაო...

მაგრამ აი უცნაური რამ: უშანგის მუზეუმში მიკილია ამავე გამომცემლობის მიერ ამავე პერიოდში გამოშვებული პატარა სარეკლამო აფიშა, რომელზეც გამოსახული არიან საბჭოთა თეატრის კორიფეები — ერმოლოვა, სტანისლავსკი, მოსკვინი, კაჩალოვი, კომისარჟევსკაია, სპეტანოვა და, მათ შორის, უშანგი ჩხეიძე იავოს როლში.

სად არის ლოგოვა? მან ვინც ის ექვსტომეული შეადგინა ნუთუ ვერ მონახა საჭირო მასალა უშანგი ჩხეიძის შემოქმედებაზე, გერაფერი ამოიკითხა შესაბამის ლიტერატურაში მისი კარგი პარტნიორობის მეტი?!

ყოველივე ამას როდესაც ვიხსენებ გული მიძიმდება ხოლმე. რატომ უკლავენ ადამიანები ერთმანეთს გულს, რატომ ერჩიან ღირსეულთა შორის ღირსეულებს?

უშანგი თავის დაავადებას თუ ნევროზს გადალტოდა უწოდებდა: ასე აქვს რუსულად დაწერილი თავის ავტობიოგრაფიაში — Переутомление. თავის მეგობარს, კომპოზიტორ თამარ ვახვაჩიშვილს ასეთი იუმორისტული ლექსი დაუწერია (1933-35 წ.წ.).

«Привет маман,  
Ваш младший сын  
Комедиант уже ушедший.  
Огорчены? Не важный чин,  
Но знаменит, как сумасшедший.  
Зато мой брат у ваших ног,  
Характер чудный, как папашин.  
Какой восторг? Грузин бульдог  
У обрусевшей вдрызг мамашин.  
Ушанги».



მართლაც ტრაგიკულად წარიმართა საქართველოს უდიდესი ტრაგიკოსის უშანგი ჩხეიძის ცხოვრება. ათასგვარი ახსნა შეიძლება მოუხანხო ამას, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ უშანგის ბედი არ წყალობდა — ბედი კი, ბევრს ნიშნავს მსახიობისთვის.

37 წლისამ დატოვა სცენა.

54 წლისა გარდაიცვალა.

მასსოვს ე. მარჯანიშვილის დაბადების 100 და ჩვენი თეატრის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია, რომლის გადაწყვეტილებით მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი უნდა გამხდარიყო მისი სამი მოწაფე: ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე... მესამე ადგილისთვის შეიღმა მსახიობმა, რეჟისორებმა და მწერლებმა ისეთი ამბავი ატყუეს, რომ საბოლოოდ არავისთვის მიუტოვია პრემია.

მასსოვს როგორ წუხნდა სერგო ზაქარიაძე: „უშანგი ჩხეიძის სახელმა დროს გაუძლო, მის მერე საქართველოს ამხელა მსახიობი არ ღირსებია და ღირსია მთაწმინდაზე გადავსვენოთ“ „შემდეგ სერგო ზაქარიაძე სავეტებით სამართლიანად მთაწმინდაზე დაკრძალეს, ხოლო უშანგი კვლავ დიდუბის პანთეონშია.

აღბათ, ესეც ბედაა.

არც იმაზე უზრუნია ვისმეს, რომ უშანგისთვის გარდაცვალების შემდეგ მაინც მიენიჭებინათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება ან რაიმე პრემია, თუმცა ამის მაგალითები არცთუ იშვიათია. თუმცა კი რა შეიცვლებოდა ამით; უშანგი სიცოცხლეშივე გულგატეხილი იყო და ამის შეგრძნება დღეს ყველაზე მძიმეა ჩემთვის. სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე სულდგმულობდა იგი თავისი საყვარელი მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედების ძალით და მტკივნეულად განიცდიდა მასთან დაშორებას...

„რამდენი ხიტყვა დამრჩა უთქმელი  
ანდა სიმღერა რამდენი გრინობის,  
რამდენი სახე ხორცეშუხსხმელი,  
რამდენი ქარგა განჯარახულ როლის.

უშანგი ჩხეიძე“.

რე იბერი, არც ეკვთიმე და არც გიორგი ათონელისა არც გრიგოლ ფერაძე, არც იოანე პეტრიწონელი და არც პეტრე იბერი, არც ეკვთიმე და არც გიორგი ათონელისი, არც იოვანე მოსხი და არც არსენ ნინო-წმინდელი... არც ანიიმოზ ივერიელი და არც ნიკო ბური და არც საბა კლდიაშვილი...

ილია ჭავჭავაძის ლექსის „იანიჩარის“ პათოსი ჩემთვის გასაგები, მსახლენი და გასაზიარებელია („შენი რაა, რომ ამშვენებ შენ დამლუპველ ოსმალებსა...“), ეროვნული უბედურება იყო ქართველი იანიჩარებისა და მამულეების არსებობა, მაგრამ მეორე უკიდურესობაა, როცა ქართველებს საკუთარი ორღობის ვარეთ გახედვას ანტიპატრიოტობად უთვლიან. ცხადია, დავით არსენიშვილი პირველი ქართველი, თუ საუკეთესო ქართველი არ ყოფილა, მაგრამ მისი არც ჩაქოლვაა მართებული. ბატონ გურამის დევიზს რომ ვამულოდნენ: ალბერტ შვაიციერი გერმანიაში „დაეტეოლა“ და აფრიკაში კეთროვანებს არ დაუდგებოდა ექიმად, ნიკო ბური ბურების მხარდამხარ არ იბრძოლებდა, თომას მანის ვაჟი, კლაუს მანი ამერიკის ქარში თანამემამულე ნაცისტების წინააღმდეგ არ იბრძოლებდა, დედა ტერეზა და მისი მოწაფეები ინდოეთში „დაეტეოდნენ“ და ზუსთავე კონტინენტს არ მოედებოდნენ.

არც პაატა ბურჭულაძე უვლის „საკუთარ ბაღს“: მთელ მსოფლიოში „დაწოწილაობს“, ხან კარაიანს „აწონებს თვის“, ხან ლუჩანო პავაროტის. „მოღალატეები“ არიან, ბატონ გურამის „ლოგიკით“, მასყალა ქანარაშვილი და ზურაბ სოტილაშვილი („მოღალატე“ იყო ერთ დროს ზურაბ ანჯაფარიძე).

ხაერთად, ძალიან საინტერესოა ბატონ გურამ პეტრიიაშვილის აზრი ჩვენს საოპერო თეატრზე: როგორ ფიქრობს ბატონი გურამი, ქართულ საოპერო თეატრში მხოლოდ ქართული ოპერები უნდა იდგმებოდეს? (კინოსა და თეატრის დარგში მისი თვალსაზრისი ცნობილია). ანდა: ქართველი მუსიკოსის მიერ ბეთჰოვენისა და შუბერტის შესრულებაც ღალატია? — „სხვისი ბაღის მოვლა“ ვგანძობ, ჩვენ პიანისტებსაც არ დადგებათ ქარგი დღე, არც მომღერლებს, „ტოსკაში“, „კარმენში“ ან „აიდაში“ რომ მღერიან.

აღბათ, ფიქრობს ბატონი პეტრიაშვილი: „კულდა ხარი თვითონ არ იყო და სხვებს ზუზებს უფერიბდაო“.

ანეთია დაბალეობით ჩემი თვალსაზრისი ბატონ გურამ პეტრიაშვილის მიერ წამოკრილ საქთებზე. მე არ „ვიკვებები“ ილუზიით, რომ იგი ჩემ სიმართლეში დაჯარწმუნე, მაგრამ იმის იმედი მაინცა მაქვს, რომ რაც ვთქვი და ვივლულისხმე, იმას ისე გამოგებს, როგორც ვთქვი და ვივლულისხმე.

# „ნიჭი თავისთავად გულისხმობს პროფესიონალიზმს...“



დილოგი საქართველოს სსრ დამსახურებულ  
არტიტთან, ნინელი ჭანკვეტაძესთან  
მიმყავს თეატრმცოდნე მანანა  
ტურიაშვილს

**მ. ტ.** — ყოველთვის საინტერესოა დასაწყისი... საიდან გაგიჩნდათ მსახიობობის სურვილი?..

**მ. ჭ.** — სკოლა დავამთავრე, მინდოდა ქუჩა-რნალისტი გავმხდარიყავი, მაგრამ გადავიფიქრე (მაშინ მეგონა, რომ დროებით). ამის მიზეზი ჩემი მეგობრის ოჯახი აღმოჩნდა. მისი შრომები, ახლობლები თეატრით იყვნენ გატაცებულნი, ბებია სახალხო თეატრის რეჟისორი გახლდათ. მათგან გავიგე, რომ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობენ ცეკვას, ფარეჯობას, მხატვრულ კითხვას, გადიან ვოკალს, მუშაობენ პლასტიკაზე, ხმაზე, ცხადია, ეუფლებიან მსახიობის ოსტატობას (ყველაზე ნაკლებად მაშინ მსახიობის ოსტატობაზე ვფიქრობდი), სწავლობენ ხელოვნების, თეატრის, მუსიკის ისტორიას. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რისი ცოდნაც არც ერთ ადამიანს არ აწყენდა, მითუმეტეს — ქალს. რადგანაც სხვა სასწავლებელში მსგავს განათლებას ვერ მივიღებდი, გადაწყვიტე ჯერ თეატრალური ინსტიტუტი დამემთავრებინა და მერე დაეუფლებოდი ჩემს მიერ არჩეულ პროფესიას. ასე მოგხვდით თეატრალურ ინსტიტუტში. პირველი დღიდანვე უამრავი სიძინელე დამატყდა თავს: მიმივრეჟიმი, დილიდან ღამემდეგ ლექციები. ხანდახან თითქოს რაღაც გამომდიოდა, უფრო ხშირად — არა. იყო წუთები, როდესაც ვფიქრობდი, რომ ჩემი ეგოიზმისა და დაუფიქრებლობის გამო ვიღაცის ადგილი დავიკავე... გაქცევიც დავაპირე. მითუმეტეს, რომ შრომლებისათვის თავიდანვე არასერიოზულ

ლი იყო ჩემი გადაწყვეტილება. ბატონ მინელი თუმანიშვილთან შეხვედრამ ყველაფერი გადაწყვიტა... საერთოდ ძალიან გამიმართლა: ინსტიტუტში ბატონი მიშას მოწაფე ვიყავი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც ბატონი მიშას თეატრში აღმოვჩნდი... რამდენიმე ჩემს თანაკურსეულთან ერთად მეც მერგო ეს ბედნიერება...

ბედნიერებაა, ალბათ, როდესაც გყავს ადამიანი, ვისიც გჯერა, ვინც თავისი საქმის ცოდნით, ამ საქმისადმი დამოკიდებულებით შენთვის სამაგალითოა. ბედნიერებაა, როდესაც ასეთი მეგზური გყავს და მზად ხარ უკანმოუხედავად გაყვე ჩვენი პროფესიის არცთუ ისე უნიფათო გზაზე. ისეთი მასწავლებელი, რომელიც თანამოაზრეებს ზრდის, ალბათ, ყველას არა ჰყავს. არადა, საჭიროა! მითუმეტეს დღეს, როდესაც ასე აუცილებელია პროფესიონალიზმი, შენი საქმის ყველაზე უკეთ ცოდნა და კეთება...

თუკი რამ ვიცი და შემძლია დღეს, ეს ბატონი მიშას დამსახურებაა. ყველას ვუსურვებდი ასეთი მეგზურის შეხვედრას.

**მ. ტ.** — თქვენ ახსენეთ პროფესიონალიზმი... რას ნიშნავს ეს ცნება მსახიობისთვის? რა კავშირი აქვს პროფესიონალიზმს ნიჭთან?

**მ. ჭ.** — რადგან პროფესიონალიზმი ცოდნასთან ერთად დიდი შრომაცაა, ვფიქრობ, რომ ნიჭი თავისთავად გულისხმობს პროფესიონალიზმს. მცდარად მიმაჩნია აზრი — ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი. ნიჭი და სიზარმაცე შეუთავსებელია. ზარმაცი არ არის ნი-

კიერი, და მორჩა!... სხვა იღბლიანობა, მაგრამ ეს უკვე ახალი თემაა. ნიჭი არ ასვენებს, გაჩერების უფლებას არ აძლევს ადამიანს... აწვალებს მას, დილიდან ღამემდეგ ამუშავენს. ნიჭიერი ადამიანი არასოდეს კმაყოფილება მიგნებულთ. ცდილობს სულ უფრო და უფრო მეტს მიაღწიოს. პროფესიონალიზმი გულისხმობს მთელი ძალების, ცოდნის, დაკვირვების, გამოცდილების მაქსიმალურ გამოყენებას შენს საქმეში. ეს ძალიან რთულია, მაგრამ აუცილებელი.

**მ. ტ.** — როდესაც ვუყურებ სპექტაკლებს თქვენი მონაწილეობით, ასე მგონია, ყოველთვის შეუცვლელად, ერთნაირად ასრულებთ როლს. იმპროვიზაცია, თავისთავად არ გამოირიცხება, მაგრამ თქვენ ყოველთვის ინარჩუნებთ რეჟისორის ჩანაფიქრს...

**ნ. ჭ.** — ალბათ ზომიერების გრძნობას გულისხმობთ... ეს მსახიობის კიდევ ერთი საჭირო თვისებაა. ამ შემთხვევაში ჩემი თავი არ მყავს მხედველობაში.

**მ. ტ.** — ერთ-ერთი საუბრისას, რომელსაც მე რადიოგადაცემისთვის ვიწერდი, ბატონმა მიშამ თავად აღნიშნა თქვენი ეს თვისება...

**ნ. ჭ.** — ზომიერების გრძნობა სხვა ყველაფერთან ერთად სჭირდება მსახიობს; ზუსტად უნდა გაიარო ზღვარზე. ეს ზღვარი რეჟისორის ჩანაფიქრია. ამიტომ, უნდა ვიცოდე არა მხოლოდ ჩემი როლის ფუნქცია სპექტაკლში, არამედ მთელი სპექტაკლის სათქმელი, გრძნობათა ბუნება, თამაშის წესი. ერთი სიტყვით, რეჟისორის თანამოაზრე უნდა გავხდე. მაშინ ზუსტად ვგრძნობ, რომ ეს ამ სპექტაკლს, ამ სცენას, ამ ეპიზოდს არ უხდება, ზედმეტია. თუ ეს ყველაფერი არ იცი, მაშინ როლის ბედი უკვე შენს გემოვნებაზეა დამოკიდებული. ხშირად მაყურებელი ტრასაც უკრავს, იცინის... მაგრამ საღდაც მიგნით მსახიობი თავს უხერხულად გრძნობს, ე. ი. მას გემოვნება, ამ შემთხვევაში ზომიერების გრძნობა, ღალატობს. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ზუსტად შეასრულო რეჟისორის ჩანაფიქრი. მითუმეტეს, რომ ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმისას, რეპეტიციების დროს, შენც წვალობდი რეჟისორთან ერთად.



„დარაბებს მიღმა ვაზაფხულია“. ნ. მიქაშვიძე, ნ. კანკეძაძე

ბატონი მიშა ის რეჟისორია, ვისაც უკანმოუხედავად გაეყვები ყველგან: ვიცი რომ არ „გადამჩხვავს“. მასთან მუშაობისას მშვიდად ვარ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეპეტიციების დროს არ ვკამათობ, მაგრამ ეს სასიამოვნო კამათია. ამ დროს ხომ უკმარაობა იბადება... ყოველ შემთხვევაში, უნდა დაიბადოს. სხვა რეჟისორების მიმართ, მაგალითად, კინოში — გადაღებებზე, ასეთი სრული ნდობის შეგრძნება არა მაქვს. იქ უფრო ჩემი თავის იმედზე ვარ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მე მათ ვატივის არ ვცემ ან არ მჯერა; პირიქით: ზოგიერთის შემოქმედებაში შეყვარებულიც კი ვარ. მაგრამ მგეზური ერთია ცხოვრებაში, თანამგზავრი კი შეიძლება ბევრი გყავდეს. ხან მიმართლებს ამ თანამგზავრობაში, ხან კი არა, თუმცა ყოველთვის ვცდილობ მათი თანამოაზრე გავხდე. ზოგიერთს ეს აღიზიანებს კიდევ. ფიქრობენ, რომ მსახიობისათვის ყველაფრის ცოდნა აუცილებელი არ არის... შეიძლება ყველა მსახიობისათვის აუცილებელი არ იყოს (თუმცა დარწმუნებული არა ვარ), მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია. თანაც გამოცდილებამ მაჩვენა, სადაც ჩვენ, მთელი გადამღები ჯგუფი, ან რეჟისორი და მსახიობები თანამოაზრენი ვიყავით —



„ღონ ქუანი“. ელვირა

ფილმს არ წაუგია და არც ჩვენ დავრჩენილ-  
ვართ წაგებულნი... პირიქით...

**მ. ტ.** — თეატრში მუშაობა რას მატებს  
თქვენს კინოში მოღვაწეობას?

**მ. ჯ.** — რას მმატებს არ ვიცი. მაგრამ  
თეატრში შექმნილი მთელი ცოდნა, გამოც-  
დილება კინოში მიმაქვს და ვცდილობ იქ  
გამოვიყენო. ხანდახან გამომდის, ხან რაღაც  
ახლის მოძებნაა საჭირო...

ფილმზე მუშაობის შემდეგ ყოველთვის  
დიდი სიამოვნებით ვბრუნდები შინ, თეატ-  
რში. „საგიჟეთის“ შემდეგ სიმშვიდეს მო-  
ხატრებული ვიცი, რომ აქ არავინ არ ამა-  
ჩქარებს, იმდენი რეპეტიცია შექნება, რამდენ-  
იც საჭიროა... თუ რაიმე არ გამომივა, ბა-  
ტონი მიშა დამეხმარება, თუ ესეც არ მი-  
შველის, მაშინ რაიმე გამოსავალი მოინახე-  
ნა, მოუშადადებელს სცენაზე არ გამიშვე-  
ბენ... ბოლოს და ბოლოს როლიდან მაინც  
მომხსნიან! კინოში სულ სხვაა. იქ სულ გა-  
ჩქარებენ, ბოლო წუთამდე მზად არა ხარ, არ  
იცი როგორ მოიქცე. უარესიც ხდება... ხან-  
დახან თვითონ რეჟისორმაც ზუსტად არ იც-  
ის რა უნდა ან შენგან რას ითხოვს. ეს ყვე-  
ლაზე დიდი უბედურებაა. ჩემი აზრით, ფი-  
ლმი თავიდან ბოლომდე რეჟისორისაა და  
თუ რეჟისორმა არ იცის რა აკეთოს, ეს ყვე-  
ლასთვის საშიშნელებაა.

კინო ხშირად მეტ ტკივილს მაცყენებს...  
თუნდაც იმიტომ, რომ იქ კარგთან ერთად

ცულიც სამუდამოდ ფიქსირდება და მერე  
ალარაფერი ეშველება! ხშირად უყურებ შენს  
ნამუშევარს და გული გისკდება: იცი, რომ  
დღეს სხვანიარად გააკეთებდი იგივეს... მა-  
გრამ უკვე ველარაფერს შველი. ხანდახან სა-  
სწაული მოხდება და კმაყოფილი ხარ შენს  
მიერ შესრულებული ეპიზოდით, კმაყოფი-  
ლია ყველა — გილოცავენ, გკოცნიან. მერე  
უყურებ გამძლეველ ფიქს (ისიც კარგად  
თუ გაამძლევენ: ხანდახან ფირიც ფუჭდება)  
და იმის მესაქცეს ვერ ხედავ, რაც სინამ-  
დვილში გააკეთე... ხან ყველაფერი კარგია,  
მაგრამ ფილმისათვის ზედმეტია და იჭრე-  
ბა... დიახ, იჭრება და მორჩა! ის ეპიზოდი,  
რისთვისაც დათანხმდი ამ გადაღებაზე, ყვე-  
ლაზე მთავარი რომ გეგონა, — აღარ არის  
საჭირო. თეატრში ამგვარი რამ შეუძლებე-  
ლია. იქ შენა ხარ როლის ბატონ-ბატონი.  
როლზე მუშაობა პრემიერის შემდეგაც გრძე-  
ლდება. წარმოდგენის ყოველი საღამო შენია  
და ხელშეუხებელია, მსახიობზე დამოკიდე-  
ბული სპექტაკლის ბედი. ამას რა თქმა უნდა  
ცული მხარეც აქვს. ხანდახან ბატონი მიშა  
თავის დადგმულ სპექტაკლს რომ უყურებს,  
გული სტკივა. ეს უკვე ჩემი სპექტაკლი არ  
არისო — გვეტყვის, თავში ხელს შემოი-  
ტყაას და მიდის. მერე დამატებით რეპეტიცი-  
ებზე იწყება გამორკვევა — ვისი დადგმუ-  
ლია და რატომ?!

**მ. ტ.** — თქვენ როლზე მუშაობისას ანა-  
ლიზზე, გონების ჩარევაზე ბრძანებდით, მა-  
გრამ სცენაზე გამოსვლისას რა ხდება თქვენს  
გონებაში? რა გიწვევთ კონტროლს?

**მ. ჯ.** — კონტროლს... არ ვიცი, ეს ალბათ  
ქვეცნობიერად ხდება. სცენაზე ყოფნისას  
საკმარისია გარედან შეხედო, კონტროლი  
გაუწიო შენს თავს, და თუკი რაიმე გაგაჩ-  
ნია, მაშინვე დაიკარგება (რა თქმა უნდა აქ  
არ იგულისხმება თამაშის სხვადასხვა ხერხე-  
ბი, განსხვავება და ა. შ.). სცენაზე არაფერი  
არ შეიძლება შენი თავის შემოწმება — სწო-  
რად იქცევი თუ არა. იქ ნებაზე ხარ მიშვე-  
ბული. იმას რასაც რეპეტიციების დროს  
ამუშავებდი (სცენების ეპიზოდებად დაყოფ-  
ვა, ფრაზების აწყობა, გმირის პლასტიკის  
მოძებნა და ა. შ.). დროებით დაეწყებულა.  
სცენაზე რა მოგივა, ერთი შენ იცი და მეორე  
დმირთმა... ბოლომდე შენც არ იცი...

**მ. ტ.** — და ეს ალბათ ბედნიერების წუ-  
თებია...

5. ჭ. — მთელი სპექტაკლის თამაშისას ბედნიერების სამი-ოთხი წამი თუ გეჭნება. ისეც იშვიათად ხდება. ესაა წამები, როდესაც შენ, შენ აღარ ხარ, მაგრამ არც ბოლომდე ხარ შენი გმირი: რალაცა გაურკვეველი ხდება. ამ შეგრძნებისაგან აუწერელ სიამოვნებას ღებულობ. ამ წუთებისათვის თანახმა ხარ მთელი წელი თავდაუზოგავად იშრომო. ასეთი წუთები იშვიათია, მაგრამ მთელი სპექტაკლის განმავლობაში ასე რომ ხლებოდეს, ალბათ გაგიჟდებოდა ადამიანი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გმირის ტკივილისა თუ სიხარულის გაიგივებას ვერც ერთი ადამიანი ვერ გაუძლებდა. ეს რალაც წამებში ხდება და ისიც თუ ხდება. აი, ეს არის ნამდვილი ბედნიერება!

8. ტ. — თქვენ ფიქრობთ, რომ გაიგივება განიჭებთ ამ ბედნიერებას...

5. ჭ. — ამ დროს გავიწყდება მაყურებელი, გავიწყდება სცენის არსებობა. გამოთიშული ხარ ყველაფრისაგან და მართლაც გმირის ცხოვრებით ცხოვრობ.

8. ტ. — მამ როგორღა მყარდება ემოციური კავშირი თქვენსა და მაყურებელს შორის?

5. ჭ. — ეს ჩემგან მოდის. თუ მე არ გამოჩნდა ემოცია, ვერაფრით ვერ მოატყუებ მაყურებელს, ვერაიარო „ტექნიკით“ ვერ შეცვლი იმ ნამდვილს. თუ მე ნამდვილად არ მეტკინა, მაყურებლამდე ვერასოდეს ვერ მივა განცდა. გარეგნულ ხერხებს არ ვგულიხნობ: შეიძლება სცენაზე ცრემლები ვღვარღვარო, მაგრამ თქვენზე არ მოქმედოს. ზემოთ იმ წამებზე როდესაც გელაპარაკებოდით, არ იგულისხმობთ, თითქოს მთელი სპექტაკლი გამოთიშული ხარ და ორ წამში ერთგები: არა, შენ თავიდან ბოლომდე ჩართული ხარ და აკეთებ შენი გმირის საქმეს. მაგრამ ის, რაც გადაეცემა მაყურებელს, რაც ანთებს, რაც მოქმედებს მასზე, მხოლოდ ეს არის ბედნიერი წუთები. აი, თქვენ არ გიგრძენით, — უყურებთ სპექტაკლს, უყურებთ მშვიდად... რალა თქმა უნდა, მოაწონთ. მაგრამ უცებ, ერთ წამში ყველაფერი იცვლება თქვენში, იზადება განსხვავებული ემოცია, განსხვავებული გრძნობა და ხედვით, რომ იქ რალაცა მოხდა. შეიძლება ბოლომდე ამას სახელი ვერც დაარქვათ, მაგრამ გრძნობთ... როდესაც სცენაზე სხვას ვუყურებ, ვგრძნობ ამას.



„სხელი ზაფხულის სამი დღე“. თამარიკო

8. ტ. — აი თუნდაც ფანჯრის სცენა თორთონ უაილდერის „ჩვენს პატარა ქალაქში“... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ დროს თქვენსა და მაყურებელს შორის ეს უხილავი კავშირი მყარდება.

5. ჭ. — ფანჯრის სცენა შეიძლება ერთ დღეს კარგად „გამოვიდეს“, მეორე დღეს კი ცუდად. მაგრამ ეს კარგი თუ ცუდი პირობითია, მხოლოდ ჩემთვისაა და კიდევ იმისთვის, ვინც ასჯერ ნახა სპექტაკლი. მხოლოდ მე და „ის“ ხვდებით განსხვავებას. მაყურებლისთვის, რომელიც პირველად მოვა, ეს განსხვავება აბსოლუტურად შეუმჩნეველი იქნება. მე ყოველთვის შემიძლია გარკვეულ დონეზე ვითამაშო ეს ეპიზოდი, რადგან მაქვს სცენის ზუსტი კონსტრუქცია — ზუსტი ამოცანა, და კიდევ იმიტომ, რომ არსებობს იმპროვიზაცია. ეპიზოდის ზუსტი კონსტრუქცია და იმპროვიზაცია საშუალებას მაძლევს, მაგალითად, ვიტყვო ყოველ დღე სცენაზე, მაგრამ ეს ტირილი ყოველთვის სხვადასხვანაირი იქნება... არ დაემსგავსება ერთმანეთს. ამიტომ ვამბობ: ჩემი თამაში დღეს შეიძლება ან უკეთესი იყოს, ან უარესი, მაგრამ ჩემში ყოველთვის ნამდვილი ემოცია აღმოცენდება.

აი, მაგალითად, ბატონი მიშას სპექტაკლი დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“. მეშინია კიდევ ვთქვა, რამდენი წლის სპექტაკლია, მესამე კურსზე დავდგით; დღესდღეობით ჩვენ მას ხშირად არ ვთამაშობთ. თითქმის თორმეტი წელი გავიდა დაღმოდან, მაგრამ ის მაინც „ცოცხალია“. ამის მიზეზი კი ის მყარი კონსტრუქციაა, რომელსაც ვე-



„უკარაჩა“. ინგა

რაგინ ვერ დაანგრევს და კიდევ — უმთავრესი — იმპროვიზაცია, რომელიც დღემდე აცოცხლებს სპექტაკლს.

**მ. ტ.** — როგორ განსაზღვრავდით იმპროვიზაციას?

**მ. ჭ.** — ეს ჩემზე უკეთ განუსაზღვრავთ და არაერთხელ, კერძოდ ბატონ მიშასაც. თუ თავხედობაში არ ჩამომერთმევა, შევეცდები ავხსნა. სამწუხაროდ დღეს იმპროვიზაცია ხელწამოსაკრავი გახდა, ვისაც არ ეზარება ყველა იყენებს ამ სიტყვას, ხშირად უდაგილოდ. როდესაც მოუშმადებელ გადაუღებზე მივიღივარ კინოში, ტელევიზიაში, ან რომელიმე გადაცემის, თუ საღამოს წაყვანას მთხოვენ სახელდახელოდ და მე საშინლად ვღელავ, ასე მაწყენარებენ ხოლმე: „რთული არაფერია, შენგან არაფერი არ არის საჭირო, მხოლოდ უშუალოება და იმპროვიზაცია!“ ეს ტყუილია! არ შეიძლება იმპროვიზაცია თავიდან ბოლომდე მომზადებული. მოუშმადებელი იმპროვიზაცია არ არსებობს. როდესაც შენთვის ნათელია, რა უნდა აკეთო, მხოლოდ მაშინ შეიძლება შედგეს იმპროვიზაცია. ზუსტად უნდა იცოდეს რას აკეთებ, აი, როგორ გააკეთებ ამას — ეს არის იმპროვიზაცია. ფანჯრის სცენაში მე ზუსტად ვიცი: დღეს ჩემი შვილი თხოვდება, მაქვს საშინელი წინათგრძნობა, დილიდან მეტირება, მე ვიკავებ თავს ტირილისაგან. აი, როგორ შევიკავებ თავს — ამის იმპროვი-

ზაცია შესაძლებელია და აუცილებელიც. მაშინ ეს სცენა ყოველთვის ისეთი იქნება, თუქნა თქოს „პირველად თამაშობ!“ სპექტაკლი რომ დიდხანს ცოცხლობს, ეს იმპროვიზაციის წყალობით ხდება. თქვენ რაც მოაწონთ, ეს იმპროვიზაციაა. ამაში არაფერია რთული, ყოველივე მარტივია, ოღონდ ხშირად გვავიწყდება ეს. თუ არ არსებობს იმპროვიზაცია, ათი წლის განმავლობაში, ერთი და იგივეს თამაშისაგან სიამოვნებას ვერ მიიღებ. ათი წელი ილაპარაკო, აკეთო, იმოძრაო ერთნაირად. იმპროვიზაციის გარეშე, აუტანელი იქნებოდა.

**მ. ტ.** — მაგრამ თქვენ ცოტა როლები გაქვთ ნათამაშები...

**მ. ჭ.** — რა თქმა უნდა, ძალიან ცოტა...

**მ. ტ.** — და ეს ალბათ თქვენთვის არ არის კარგი.

**მ. ჭ.** — ეს არავისთვის არაა კარგი. ყველა ჩემი პარტნიორი ამგვარ დღეშია. ჩვენ ძალიან ცოტა სპექტაკლები გვაქვს. ბოლო სამი წელი, როდესაც გვეგონა, რომ ყველაზე მეტს გავაკეთებდით, ხელიდან გამოგვეცალა. ვფიქრობ, სამი წლის წინ კარგ ფორმაში ვიყავით: დიდი შრომისა და წვალების შემდეგ დასმა გარკვეულ ეტაპს მიაღწია. ჩვენი თეატრი ოფიციალურად ათი წლის წინ გაიხსნა, არაოფიციალურად კი თხუთმეტი წელია ვარსებობთ. მაშინ, როდესაც თეატრი ჭრე კიდევ ყალიბდებოდა, მაყურებელი არ გეყავდა, თეატრს არ იცნობდნენ, წარმოდგენებზე ნათესავები და ახლობლები მოდიოდნენ; მერე ბილეთებსაც ვასაღებდით. შემდეგ წლების მანძილზე ნელ-ნელა შევიძინეთ ჩვენი მაყურებელი. დღეს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თეატრის სახელით უღრმესი მადლობა გადავუხადო მათ, ვინც კლუბებშიც კი დაგვდევს, ჩვენ ერთსა და იმავეს ვთამაშობთ, მათ კი არ ბეზრდებათ, სცენაზე მყოფთ ხშირად გადმოგვედება ხოლმე მათი სიტბო, განწყობა და შეუძლებელია ამითვე არ უპასუხო.

**მ. ტ.** — თქვენი თეატრის — კინომსახიობთა თეატრის — მაყურებელი ძირითადად ახალგაზრდობაა.

**მ. ჭ.** — და ეს ძალიან სასიამოვნოა, თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდებთან ურთიერთობა უფრო რთულია და საპასუხისმგებ-



# ერთი დღე თბილისის თეატრებში

1989 წლის 8 თებერვალი

## ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

### „პორგი და ბესი“

8 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა საბალეტო სპექტაკლი „პორგი და ბესი“, რომელიც შეიქმნა ჯორჯ გერშვინის ამავე სახელწოდების ოპერის მოტივების მიხედვით. სპექტაკლი განახორციელა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა მ. ლავროვსკიმ, მასვე ეკუთვნის დადგმის ლიბრეტოც. საინტერესო ქორეოგრაფიულმა ძიებებმა, მსახიობთა საშემსრულებლო დონემ განსაზღვრა სპექტაკლის ხანგრძლივი სცენური არსებობა და მან თეატრის რეპერტუარში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

სპექტაკლი ზუსტად 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ

მიმდინარე სპექტაკლები ოპერის თეატრში დანიშნულ დროს იწყება ხოლმე, რაც თეატრის მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს. თეატრის ადმინისტრაცია და მომსახურე პერსონალი თავაზიანად შეხვდა მაყურებელს. უთუოდ აღსანიშნავია მათი ყურადღება და გულისხმიერება.

მაყურებლის კეთილგანწყობამ სასიამოვნო თეატრალური ატმოსფერო შექმნა დარბაზში, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა წარმოდგენაზე.

სპექტაკლის მწყობრ რიტმულ მსვლელობას ხელი შეუწყო ორკესტრმა (დირიჟორი ი. კიაურელი). მუსიკოსებმა შესძლეს გამოეცათ ჯორჯ გერშვინის რთული და მდიდარი მუსიკალური სამყარო, სადაც ტრადიციული კლასიკური ფორმა, ფოლკლორული საწყისი და ჯაზის რიტმები ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის.

მსახიობთა პროფესიონალიზმმა, მაღალმა საშემსრულებლო ტექნიკამ განსაზღვრა სპექტაკლის დინამიური ელერალობა, მისი მთლიანობა.

ლოც. თუ ახერხებ მათ სულში რაღაცის შეცვლას, ტკივილის ან სიხარულის გადაცემას, ესე იგი, ძლიერი ხარ. ჩვენ ვიცნობთ ჩვენს მაყურებელს. წარმოდგენის დაწყების წინ რომელიღაც ჩვენგანი იტყვის ხოლმე, ისევ ის ახალგაზრდები მოვიდნენო. იმ „ჩვენ“ მაყურებელს უკვე მოღარეც იცნობს და სალაროში მათთვის ბილეთი ყოველთვისაა გადანიშნული. ისინი არც ჩვენი ნათესავები არიან და არც ახლობლები: გულშემოტკივრები არიან და ახალ სპექტაკლებს ელიან ჩვენგან. ჩვენც ველოთ...

...ამ სამი წლის წინ, როდესაც შეიძლება და რაღაცა დიდისა და სერიოზულის შექმნა,

ჩვენ გავჩერდით. სამი წლის დაკარგვა... ეს საშინელება! მაშინ არაჩვეულებრივი რეჟიმი გვექონდა: დილა-საღამოს რეპეტიციები, განუწყვეტელი ვარჯიშები... დღეს ყოველივე ამის დაკარგვა საშინლად მოქმედებს. მაგრამ რა ვქნათ?! თეატრის გახსნის იმედი თუკვე მესამე თოთხმეტ იანვარს ვხვდებით (ეს დღე ჩვენი თეატრის დაბადების დღეა), ოღონდ არ დაგვადგა საშველი. არც ამ წელს თოთხმეტ იანვარს გაიხსნა თეატრი, თუმც ყველა გვეხმარება, გვაძნევენებს, გვეკითხებიან — რა გვიღიხის, რა გვიჭირს... იმედი თუ ვცოცხლობთ...

მაცურებელზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ნ. მაღალაშვილის (პორგი) და მ. ალექსიძის (ბესი) ლირიულმა დუეტმა. მსახიობებმა მცირე ნიუანსებამდე დამუშავებული საცეკვაო მანერით, ფსიქოლოგიური ხაზის გამოკვეთით, ღრმა ემოციით გამოამჟღავნეს გმირთა შინაგანი ბუნება. მათი შესრულებით პორგისა და ბესის ამადლეზულმა სიყვარულმა ფართო განზოგადება შეიძინა.

ფეკტური, ორიგინალური სცენური სახეები შექმნეს ჯ. ცხვედიანმა (სპორტინგ ლაიფი) და თ. ვაჟაძემ (კრაუნი), და მაცურებლის მოწონება დაიმსახურეს. მსახიობებმა დახვეწილი პლასტიკით, ლაიტთემათა ზუსტი შეგრძნებით, ფართო აქტიორული შესაძლებლობებით გამოავლინეს გმირთა სამყარო, მკვეთრი ფერები შესძინეს მათ.

სპექტაკლში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს „ცეკვა-მოდერნის“ თანამედროვე რიტმები და კლასიკური ბალეტის ელემენტები, ამდენად იგი გამოირჩევა ფერადოვან ქორეოგრაფიულ ნახაზთა მრავალფეროვნებით, სადაც კორდებალეტს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ენიჭება. მსახიობები გამოირჩეოდ-

ნენ ორგანიზებულობით, დასრულებული მოძრაობებით, სინქრონულობით.

ჯორჯ გერშვინის საყოველთაოდ ცნობილი „ნანას“ ასრულებდა ოპერის სოლისტები მ. დავითაშვილი. მომღერალი კარგად გატნობდა ბლიუზის ინტონაციებს, მის ჰარმონიას, ამდენად მან შესძლო ცრმად ჩასწვდომოდა ნაწარმოების ბუნებას და გადმოეტყა მისი კოლორიტი. ეს ნაღვლიანი მელოდია მთელ სპექტაკლს გასდევს ერთიან ლაიტთემად, როგორც პორგის აუხდენელი სიყვარულის, ნათელი ოცნების სიმბოლო.

სპექტაკლის მსვლელობისათვის ხელი არ შეუშლია ტექნიკურ ხარვეზებს. განათება, შექმნილი მონაცვლეობა მოქმედებისათვის ზუსტი და ორგანული იყო.

„პორგი და ბესის“ მორიგმა წარმოდგენამ სათანადო დონეზე ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი უკვე რამდენიმე წელია თეატრის რეპერტუარშია, იგი კვლავ ინარჩუნებს შესაფერის ფორმას, მხატვრულ-ესთეტიკურ დონეს, რაც თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

წინათ დაპითაშვილი

## რუსთაველის სახელობის თეატრი

### „საბრალდებო დასკვნა“

8 თებერვალს, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, წინასწარ გამოცხადებული სპექტაკლი — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო შეიცვალა ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნით“. მოულოდნელი ინციდენტით გაწბილებულმა მაცურებელმა დემონსტრატიულად დატოვა დარბაზი და შეურაცხყოფილმა თეატრის წინ უკმაყოფილო „ბჭობა“ გამართა.

სპექტაკლის თვითნებური შეცვლა მშობლიური თეატრის „ერთგულმა და თავდადე-

ბულმა“ მომსახურე პერსონალმა თავგანწირვით გაასაიდუმლა და „უტიფარი“ ცნობის-მოყვარენი გამაღიზიანებელი იერიშით მოიგერია.

ფეიქრობ, არც თუ ისე სასიამოვნო „უვერტიურას“ წარმოდგენს თეატრის ფოიეში გამართული მუშტებისა და უშვერი სიტყვების კორიანტელი. არ ეკადრება ამგვარი, ექსცენტრიული „სანახაობა“ აკადემიურ თეატრს.

უსახური ყოფისაგან მოღლილი გატანჯული მაცურებელი, თეატრისაგან მოელის საინტერესო, შთაბეჭდვად ხელოვნებასთან ზიარებას, ყოველდღიური ჯადისაგან განტვირთვის და, სამწუხაროა, თუკი ამ იმედს მას, სადღესასწაულოდ განწყობილ თეატრის ზღურბლიდანვე უმსხვრევენ.

სპექტაკლი ზუსტად 8 ს. დაიწყო და „მარშით“ წარიმართა. სტოიკური სიღარბისლით მაღლმოსილი, დარბაზს შემორჩენილი მაცურებელი მორჩილად განლაგდა ნახევრადცარიელ პარტერში და შესაშური ინტერესით

ადევნებდა თვალყურს სცენაზე მიმდინარე ამბავს.

თუ გავიხსენებთ, რომ სპექტაკლის პრემიერა გაიმართა 1973 წლის 28 მარტს, ბუნებრივია, წარმოდგენა მოძველდა, თავისდაუნებურად დაიშალა კიდევ, მსახიობებმაც დაკარგეს ინტერესი 16 წლის წინათ დაღმგული სპექტაკლისადმი.

თვითნებური იმპროვიზაციების ანაბარად მიტოვებულმა წარმოდგენამ „შეებით ამოიხსნა“, სცენაზე შეიკრა თავისუფალი, შინაურული წრე და გათამაშდა ქარგონზე აგებული ინტერმედია.

გერ ვიტყვით, რომ 8 თებერვალს რუსთაველის თეატრში სპექტაკლი შედგა. დარბაზი მკვეთრად გაიყო ორ, სრულიად განსხვავებულ „ბანაკად“.

ჭკუფი გულმხიარული მაყურებლისა, ყელმოღერებით ადევნებდა თვალს მათ გასაციუნებლად მომართული მსახიობების „ექსტრავაგანტურ“ გრიმასებს, მოჭარბებულ, ვულგარულ ქესტებსა და ინტონაციებს. თუმცა საკუთარი ენამახვილობა თავად ღუმბაძისეულ პერსონაჟებსაც გულიანად აციუნებდა. მათთვის იმ საღამოს სრულიად მიუწვდომელი და შორეული აღმოჩნდა ზომიერების გრძობა. მაყურებელთა ნაწილმა მკაცრად მიიღო იფფასიან ეფექტებზე აგებული სანახაობა, მოთმინებით გაუძლო ამ გამოცდას.

მსახიობის ყოველი როლი, მისი ინდივიდუალური „მე“-ს ნაწილია, იმდენად უფრო მეტი სცენური სახე და ინდივიდი ამოიზრდება ამა თუ იმ მსახიობის პიროვნებიდან, რამდენადაც მდიდარი და მრაველფეროვანია მისი შინაგანი, სულიერი სამყარო, რამდენადაც ახლობელი და ორგანულია მისი ნატურისათვის „ამ სხვადა“ — ქცევის წყურვილი.

ყალბი და ბუნდოვანი იყო ღუმბაძისეული პერსონაჟების სასცენო ქმედება იმ საღამოს უსაფუძვლო, სწორ შეფასებებს მოკლებული მათი სიტყვები. ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მსახიობ გ. გეგეჭკორის ტიგრან გულიანი. საინტერესოა, რომ მსახიობი არ უპირისპირდებოდა წარმოდგენის ერთიან განწყობას, არ ერიდებოდა თავისუფლების გამოვლენას, მერამ, ამავე დროს, ზომიერების გრძობაც არ დაუკარგავს. ამიტომაც მისი გმირის სიტყვები არ კარგავდნენ ქმედითობას, ქცევები — ლოგიკას, ემოციას — დახვეწილობას. განსაკუთრებით ამაღლებული იყო გ. გეგეჭკორი — გულიანი საღამოსის (მსახიობი გ. თალაკვაძე) გასამართლების სცენაში, ზუსტი და ტევადი მისი შეფასებები.

სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა სპექტაკლში გამოყენებული რამაზ ჩხიკვაძის და ნანო ბრეგვაძის სევდიანი, ლირიკული სიმღერების კუმბეტები, დარბაზში გამაყრებლად რომ არ გაისმოდეს. უკანასკნელ ხანს, რატომღაც მომძლავრდა მაყურებლის ფონოგრამის საშუალებით გამოფხიზლებისა თუ დასჯის ტენდენცია.

„საბრაღდებო დასკვნა“ თავის დროზე რუსთაველეთა ერთ-ერთი წარმატებული დაღმა იყო და დიდძალ მაყურებელსაც იზიდავდა. ცხადია, რუსთაველეთა დღევანდელი რეპერტუარის ფონზე, სპექტაკლი გვარიანად მოძველებული ჩანს და ეს თავისთავად სასარგებლოდ არ მოქმედებს არც მაყურებელზე, არც მსახიობზე და მაინც: თუკი თეატრს განუზრახავს მისი შენარჩუნება, ალბათ საჭიროა მეტი მზრუნველობაც გამოიჩინოს მის მიმართ.

თამარ ჭოთათელაძე.

## მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

### „მერაბობა და სიყვარული“

1989 წლის 8 თებერვალს, ოთხშაბათს, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა

ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე).

სპექტაკლი დაიწყო ზუსტად დანიშნულ დროს, 8 საათზე. შეივსო დარბაზის მხოლოდ ორი მესამედი. მაყურებლის პრობლემაზე ბევრჯერ დაიწერა და ითქვა. ქართულ თეატრში თითქოს ერთგვარ ტრადიციად იქცა ის ფაქტი, რომ მაყურებელი ან არ მოდის სპექტაკლის სანახავად, ან თუ მოდის, ხშირ



შემთხვევაში, შეუფერებლად იქცევა. გულსატკენია, რომ ჩვენმა მკურნებელმა ვერა და ვერ გამოიმუშავა თეატრში დროულად მოსვლის ჩვევა და სპექტაკლის აღქმის კულტურა. ის იყო ჩაქრა შუქი, რომ მკურნებელმა დასცხო ტანში, ოვაციები, რაც სრულიად უადგილო იყო და ფარდის ახდის წინ უხერხული პაუზა წარმოიქმნა. მაღლობა ღმერთს, როგორც იქნა დაცხრა „ვენებათაღლევა“ და სპექტაკლი დაიწყო, მაგრამ, წარმოდგენა თითქმის ათი წუთის დაწყებული იყო, რომ კარი გაიღო და ჩაბნელებულ დარბაზში დაგვიანებული სტუმრები გამოჩნდნენ. ამო აღმოჩნდა კაპელდინერის თხოვნა — მათ ხმაურით გაიკვლიეს გზა სიბნელეში და როგორც იქნა მიაგნეს საკუთარ ადგილებს. შემდეგ მთელი სპექტაკლის მანძილზე გაისმოდა სკამების ბრაზუნები, რეპლიკები, უადგილო სიცილი. ფინალურ სცენაში კი, როდესაც ფერდინანდმა საწამლავი შესვა, ერთ-ერთმა მკურნებელმა ველარ მოითმინა და „თანაგრძობით“ ხმა-მალა ამოიგმინა, რასაც საერთო სიცილი მოჰყვა.

რაც შეეხება მასპინძლებს, ამ მხრივ, არაფერი გვაქვს სასაყვედურო: საგულისხმოა, რომ სპექტაკლის პრემიერა 1988 წლის 1 მაისს შედგა, განვლო თითქმის ათმა თვემ და მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენის რიტმი და საერთო მხატვრული დონე არაფრით ჩამოუვარდება მის თავდაპირველ სახეს, მაშინ როდესაც ჩვენს თეატ-

რალურ ცხოვრებაში ძალზე ხშირია საწინააღმდეგო მაგალითები. ეს უთუოდ ფსევდოა და, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორის ოსტატობასა და შემსრულებელთა პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

8 თებერვლის წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: რ. ჩხიკვიშვილი (ფერდინანდი), ე. მუჯანაძე (ლუიზა), გ. ხურცილაძე (პრეზიდენტი), ნ. კობერიძე (ლედი მილფროდი), ჯ. მონიავა (ვურმი), კ. თოლორაია (მილერი), ლ. ყარასაშვილი (მილერის ცოლი), ლ. ანთაძე (პოფმარშალი ფონ კალბი), მ. ტურაშვილი (სოფი), ნ. წიკლაური (კამერდინერი), ვ. კორშია, კ. გვიგინიშვილი, ზ. წაქაძე (პოლიციელები).

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „ვერგობა და სიყვარულში“ ძალზე მნიშვნელოვანია განათების პარტიტურა და მცირეოდენი დაგვიანება ან უზუსტობა მოქმედებს რეჟისორული გადაწყვეტის სრულყოფილ აღქმაზე. ჩვენი სურვილი იქნება, თუ თეატრი მეტ ყურადღებას დაუთმობს დადგამთა ტექნიკურ მხარეს.

საერთოდ კი, როგორც ჩანს, კ. მარჯანიშვილის თეატრმა გაითვალისწინა მისი მისამართით გამოთქმული უწინდელი შენიშვნები, რაც, ბუნებრივია, უკეთესი მომავლის იმედსა და განწყობილებას გვისახავს.

**ფიჩია აუზიტაშვილი  
ლალა ბიბილაშვილი.**

**3. აბაშიძის სახელობის  
სახელმწიფო მუსიკალური  
თეატრი**

„**ქახელავი ბაზა**“

- „არ მოგწონთ თქვენი ახალი ბინა?“
- პირიქით, აქ საინტერესოა.
- როცა თქვენი საქმის გარჩევა დასრულდება, ცალკე გადაგიყვანთ, დილეგში. ეს კი საერთო საკანია მათთვის, ვინც ელოდება.

- დიდხანს გრძელდება მოლოდინი?
- ზოგისათვის ერთი საათი, ზოგისათვის მთელი ცხოვრება!“

ლამანჩელი, რაინდისა და უზენაესი მსაჯულის ამ დიალოგის ფრაგმენტი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ე. აბაშიძის სახ. სახელმწიფო მუსიკალური თეატრის დღევანდლობაზე. ღმერთმა ნუ ქნას, პატივცემულნო, თქვენმა მოლოდინმა მთელ სიცოცხლეს გასტანოს. იმედია, უახლოეს მომავალში საკუთარი შენობა გექნებათ. მანამდე ბედმა ზიზნობა გარგუნათ. რა გაეწყობა. გეთანხმებით მდგომარეობა მძიმეა, გაუსაძლისი. აბა რა სასიამოვნოა

ნოა ჩათბუნებული მყურებლის ხილვა, თვალზე გაქცევაზე რომ უკირავს, აქაოდა თავი ზედმეტად რისთვის შევიწუხოო. ხშირად, ცივ დარბაზში 45 კაციანი აუდიტორიის წინაშე გიხდება გამოსვლა. აქედან ნახევარი იძულების წესითაა მოყვანილი, მათთვის თეატრში წასვლა სასაჩუქრის უმძლესი ზომის ტოლფასია, არც გაემტყუნებათ. აქი დაიჩვილა ერთმა: ბილეთს „ლამანჩელი“ აწერია, სამსახურში გვითხრეს „ქალთა აჯანყებას“ გიჩვენებენო, აქ კი „კახელები ბამზე“ დაგვხვდა. რას მივაწეროთ მსგავსი მისტიფიკაცია, შანტაჟს, თუ მყურებლის მოზიდვის უსაზღვრო სურვილს.

წარმოდგენა დროზე დიწყო, დაგვიანებულითა განსახლებას ათი წუთი დასჭირდა. პროგრამა საერთოდ არ არსებობდა, თუმცა არც არავინ დაინტერესებულა. მიზეზი შემადგენლობის ცვლილებაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ განა ეს გამართლებათ? სპექტაკლი მეოთხე სეზონია რეპერტუარშია, პრემიერა 1985 წ. 25 დეკემბერს შედგა. (აღნიშნული ფაქტის დასადგენად ძველი პროგრამის მოძებნა გახდა საჭირო).

უსუსური ლიბრეტო (ავტორები — მიხ. თარხნიშვილი და თ. აბაშიძე), უფრო სწორად

ანეგდოტურ სიტუაციათა ნაკრები საეჭვო გამოვლენის ტიპური ნიმუშია. სქემური ხასიათები, უკბილო იმპროვიზაციები სპექტაკლის შესაქმნელად სრულიად უფარგისია. საქმეს ვერც ვაჟა ზარაშვილის მუსიკა შევლის. საერთოდ, რა შეიძლება ითქვას პიესაზე, სადაც არც ერთი სრულყოფილი მხატვრული სახე არ მოიძებნება. „ყოფის აპურებიდან თავდახსნილი“ მსახიობები სიბრაულეს იმსახურებენ, მათ მიმართ პრეტენზიის გამოთქმა უბრალოდ უხებრულია. ამის გამო დაწვრილებით ინფორმაცია რიგითი წარმოდგენის მსვლელობის შესახებ ზედმეტად მიგვაჩნია. ერთი, უმორჩილესი თხოვნა გვექნება, შეიძლება ოდნავ კატეგორიული. პატივი ეცით, ანგარიში გაუწიეთ სარეპერტუარო პოლიტიკას, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მაინც! „კურკას ქორწილი“, „მევიოლინე სახურავზე“, „ლამანჩელი“ თავს შეურაცხყოფილად გრანობენ „კახელების“ ფონზე, ბოტემტის მოკვეთას ითხოვენ. იმედია, სამხატვრო საბჭო ყოველ ღონეს იხმარს თეატრის ღირსების აღსადგენად.

მარინა ჯალალანია  
რუსიკო ზაფიაშვილი



ქ. გოგბერაშვილი  
კომპოზიცია ქვაზე

**ბაქოში** ჩატრევილი რევიზორის ხანდრო ახმეტელის შემოქმედება საფუძვლიანად შესწავლილი — დაიწერა მონოგრაფიები, გამოქვეყნდა მრავალი დოკუმენტი. მაგრამ დღეისათვის კვლავ განაახლებულია მისი თეატრიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული მასალა, რომელიც წლების მანძილზე მკვლევართათვის მიუწვდომელი იყო.

1985 წელს რუსთაველის თეატრის ბაკოში ვახტორელის დროს სექტარული „ლაშარას“ მკვლელობისას მომხდარი ინციდენტი დღეო საფუძვლად ს. ახმეტელის კონფლიქტს ა. ხორავასა და ა. ვახაძესთან. ს. ახმეტელმა ვახტორელიდან დაბრუნებისთანავე (5 ივლისი) თეატრიდან მოხსნა ხორავა, ხოლო აკაკი ვახაძე განათავისუფლდა სტუდიის ხელმძღვანელობიდან და ხარეთისორი კლდევის წევრობიდან.

დღეისათვის ნათელია, რომ წამყვანი მხახიბების უცარი განთავისუფლება და მკაცრად დახკა ნაქარე-

ზად აღადგებულ იქნა კორპორაცია „დურუქის“ საქმიანობა.

თავის სიტუაციაში დადანი აღნიშნავს, რომ ახმეტელს ხელი არ შეუწყვია ახალგაზრდა დრამატურგთა გამოვლინებისათვის. სინამდვილეში კი 1980-1982 წლებში რუსთაველის თეატრში დაიდა: 27 წლის ა. მახვილის „განგაში“, 28 წლის გ. შატბერაშვილის „დუშანი“, 26 წლის პ. სამხონაძის „ხალტი“, 25 წლის ს. მთვარაძის „შლეგი“. ამასთანავე შ. დადიანი განაგრძობს: „თეატრში ერთ დროს შედეგა რაღაც უჩრდილი, მაგრამ გულგრილობით და დაცინვით მოპყრობამ ხალხი დაფრთხი და გაფანტა“. სინამდვილეში კი ს. ახმეტელმა 1927-1928 წლის სეზონისათვის მზადების შესახებ გაწეო „ზარია ვოსტოკას“ თეატრში ჩამოყალიბდა დრამატურგთა სახელოსნო. (1927წ. 15 ივნისი, № 1502) კორესპონდენტისათვის მიემუდ ინტერვიუში განაცხადა, რომ უფრადღება

# საქართველოს სსრ-ითა და მთავრობის კავშირის პრეზიდენტის გაფართოებული სსრ-ითა სსრ-ის წევრობის და აქტიურობის ერთად

ვად მოხდა, მით უფრო რომ რეპერტუარი ძირითადად ამ ორ წამყვან მხახიბზე იყო აგებული. კონფლიქტმა ისეთი პარციპული ხასიათი მიიღო, რომ განაპირობა რუსთაველის თეატრის მიმდინარე ცხოვრებაში საქართველოს მთავრობის ჩარევა.

ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს დაუშვებლად მიაჩნდათ ა. ვახაძისა და ა. ხორავას განთავისუფლება და გამოხოტყვებდნენ აზრს შემოქმედებითი მუშაობის ვაგრძელების შესახებ. ამის თანაურე იყვნენ გამოძახებულნი და მიეცათ სიტუაციური წინადადება, თვითონვე მოეგვარებინათ კონფლიქტი, მაგრამ ამ შეზღვევებმა სათანადო შედეგი ვერ გამოიღო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის 18 სექტემბრის დადგენილებით ს. ახმეტელი თეატრიდან განთავისუფლეს, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციებში დეკლარატი ამ გადაწყვეტილებაზე სათანადო შეხედულების გამოთქმა. ასეთ კრებათა ორცხვს განუყოფენებოდა მწერალთა კავშირში 25 სექტემბერს გამართული თათხირი. ამიტომ, ცნობილ მოღვაწეთა გამოსვლებში ანალიტიკურად უნდა შეფასდეს, ორატორები თეატრის უარყოფითი მუშაობის მიზეზებად ასახელებდნენ დრამატურგებთან კავშირის ვაწყვეტას, საზოგადოებრივი აზრის უარყოფას, რამაც კლექტივი თითქოს ჩისში მოაწყვედია. ამის გამოწვევებში

გამახვილებმა ქართულ დრამატურგიაზე და რეკლუციური თემატიკაზე. ამ მიზნის განახორციელებლად მასში შევიდნენ პროლეტარულ მწერალთაგან — ი. ჯავლი, კ. კალაძე, ხოჯია; ფუტურისტებიდან — ს. ჩიქოვანი და დ. შენგელია; ცინფურუნილებიდან — ტ. ტახიძე, პ. იაშვილი, გ. ლერონი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. შანშიაშვილი, „ქვემო“ მწერალთა ეგუფიდან — შ. შარაშიძე, ს. ყანჩელი და ნ. შიუკაშვილი.

სახელოსნოს მიზანი იყო თეატრთან დრამატურგთა მქილო შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება ნაწარმოების იღების ჩასახვიდან მის სცენურ განხორციელებამდე. ამისათვის ს. ახმეტელს მუშაობა ასე ჰქონდა ვაუალებიწინებულ: „ნაწარმოების თემა, რომელიც შემდეგში ცალკეულ დრამატურგს ვადაცემა დასამუშავებლად, შეირჩევა სახელოსნოში თეატრის უშუალო ხელმძღვანელობით. დრამატული ნაწარმოები თავდაპირველად წაკითხულ იქნება და აქვე მოხდება მისი ვარჩევა ზოგიერთი შესწავლის მიზნით. შემდეგ, ვიდრე სცენაზე მოხვდებოდეს, პიესა დამუშავდება თეატრის სამხატვრო ლაბორატორიაში ავტორის უშუალო მონაწილეობით. ეს საშუალებას მოცვეცემს საბოლოოდ დამუშავებით ნაწარმოებში. ამის შემდეგ პიესა ვადაცემა რევიზორის სცენაზე მხატვრული გაფორმებისათვის. ამგვარად, წრე მიზნად ისახავს მიიღოს ნამდვილად ეპოქის თანხმეირი ნაწარმოები ავტორისათვის“.

ამ თანამშრომლობის ნიადაგზე მომდევნო სეზონში დაიდა ხოჯიას „ხოჭოების დრო“, ხოლო დ. შენ-

\* საქართველოს ლიტერატურისა და სახელმწიფო არქივი ფონდი 8; აღ. 1. საქმე 467.

გელაას პიესის შესახებ საქართველოს მწერლების მერკო ყრილობაზე ს. ახმეტელმა განაცხადა: „ეს პიესა „თერთმე“ მიღებულია რეპერტუარში და წავა უსათუოდ... დეჟ, თვით შენგელაიამ თქვას — დღიდან პიესის დაწყებისა, ხელს უწყობდა თუ უშლიდა მას რუსთაველის თეატრი. თუ პირველი არ იყო ახმეტელი, რომელმაც ძლიერდევობით დააწერინა მას ეს პიესა მე ვამბობ, რომ ლაპარაკი იმის შესახებ, ვითომ ქართული თეატრი წინააღმდეგია ქართული რეპერტუარისა, არის დიდი პროვოკაცია“.

შემდეგ შ. დადიანი გამოსთქვამს მოსაზრებას დრამატურგების უშუალოდ თეატრში მუშაობის შესახებ და პრაქტიკულად იმეორებს ს. ახმეტელის მიერ ჩამოყალიბებული ლაბორატორიის ძირითად პრინციპებს. ასევე ტენდენციურია შ. დადიანი, როცა აღნიშნავს, თეატრს არც ერთი თვალსაჩინო მოღვაწე არ გამოუვლენიაო; იქვე უსაფუძვლად აუხსტებს, რომ აკ. ვახაძის, აკ. ზორაძის, ირ. ვაშლიშვილის აღზრდის სათავე სხვაგან არის საძებნელიო. აღნიშნულ ხელისუფალთა შემოქმედება სრულყოფილად მხოლოდ ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით გამოვლინდა რუსთაველის თეატრ-

ში და ამ საკითხის დასმა გამოწვეული იყო უარყოფითი მაგალითების ხელდასმული შექმნის აუცილებლობით. იგივე აზრს ანვითარებენ მ. ჯავახიშვილი და გ. ბააზოვი, რომლებიც თეატრს კადრების მომზადებლობას აბრალებდნენ. კრიტიკულად შეაფასა თეატრის საქმიანობა კ. ვამსაზურდიამაც (თუმცა აღფრთოვანებული ლაპარაკობს თეატრის ბრწყინვალე გასტროლებზე მოსკოვში).

ამგვარი შეხედულებითაა გამსჭვალული დანარჩენი ორატორთა გამოხვედრებიც და მათი სათითაოდ განხილვა ვანსხვავებული აზრის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. ვანსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც ერთ მწერალს არ უწოდებია ს. ახმეტელისათვის „ბურთუაიული ნაციონალისტი“ და დადებითებაში მოყვანილი სხვა „ბრალებები“ ბოროტად არ გამოუყენებია. სტენოგრაფიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ ზოგიერთი მწერალი ს. ახმეტელთან მხოლოდ საკუთარ ანგარიშს ასწორებდა და მისათვის უხაფუძვლო ღანძვასაც არ ერიდებოდა.

გუბაუ მებრელიძე

## 1935 წლის 25 სექტემბერი თავმჯდომარეობს ამც. აკ. თათარიშვილი\*

ამც. აკ. თათარიშვილი — ამხანაგებო, მწე-რალთა კავშირის პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომას ვახსენოვდი ვიცხადებ. დღეს პრეზიდენტის სხდომა მოვიწვიეთ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის აქტივის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსაც ესწრებოდა: რუსთაველის თეატრის განახლებული ხელმძღვანელობა — სარეჟისორო კოლეგიის მთელი შემადგენლობის სახით, აგრეთვე თეატრის მუშაკები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები. მათ სურთ გავაცნონ, თუ როგორ ესმით უქანასკნელ პერიოდში თეატრში შექმნილი მდგომარეობა, მისი წარმომქმნელი მიზეზები. აგრეთვე დაგვანახონ მომავალი მუშაობის პერსპექტივა, ის ღონისძიებები, რომლებსაც გარდასაქმნელად ატარებს მთელი კოლექტივი საბჭოთა საზოგადოებასთან და პარტიასთან ერთად. თეატრის ხელმძღვანელობის ამ ინიციატივას მე არ შემოძლია არ მივეგებო. მით უფრო, თუ გავითვალისწინებ იმ ურთიერთობის ტრადიცი-

ებს, რომელიც უქანასკნელ ხანში დამყარდა მწერალთა კავშირსა და თეატრს შორის. მე გვინია საჭირო არ არის იმის დეტალურად დახასიათება, თუ როგორი იყო ამ დამოკიდებულების თავისებურება. ეს კავშირი ნორმალური არ იყო. ჩემი აზრით შეუძლებელია საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი აღმავლობა, საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარების, იდეური და ყოველდღიური ზეგავლენის გარეშე. თეატრის მოწყვეტა ფართო საზოგადოებრიობისაგან შემთხვევითი არ იყო. ეს არის ლოგიკური შემდეგი იმ კორპორაციული კარჩაეკტილობისა, რომელმაც უქანასკნელ ხანს აშკარა ჰიპერტროფიული ხასიათი მიიღო — თქვენთვის ცნობილი კორპორაცია „დურუჟის“ ზოგიერთი უარყოფითი ნაშთის, რეციდივების სახით. ეს ყოველდღიური მიუღებელი ურთიერთდამოკიდებულება შედეგია თეატრის წარსული მუშაობის როგორც პრინციპული, ასევე ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი შეცდომებისა. ვანსაკუთრებით საყურადღებოა ამც. ახმეტელის უცნაური პოზიცია ჩვენი დრამატურგიული საზოგადოებრიობის მიმართ. მისი გავლენა თეატრის განვითარებისა და წინსვლა-

\* თათარიშვილი აკაკი სამსონის ძე (1897-1937) — იმეპად განათლების სახალხო კომისარი.

ზე სრულიად უდავოა. ეს ელემენტარული დებულება თეატრის ხელმძღვანელობამ სადავოდ გაიხადა. მისი პრინციპი მდგომარეობდა შემოქმედებით მუშაობაში დრამატურგიის წამყვანი როლის უარყოფაში. ჩვენ არ მოვითხოვთ დრამატურგიის განსაკუთრებულ პრიორიტეტს თეატრზე. ჩვენ საბჭოთა თეატრისგან მოვითხოვთ იმ ძირითადი პრინციპების აღიარებას, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველზე ყველა მომუშავეისათვის სავალდებულოა. დებულება, რომ თეატრი თავისი მხატვრული განვითარებით წინ უსწრებს დრამატურგიის ზრდას, მოძველებული თეზისია. საკითხის ასე დასმა პრინციპულად მიუღებელია. ჩვენ იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ თეატრსა და დრამატურგის შორის ურთიერთთანამშრომლობის ორგანული კავშირი უნდა არსებობდეს. ყოვლად შეუძლებელია, რომ თეატრში შეიქმნას რაიმე მხატვრული განძი დრამატურგიული მასალის გამოყენების გარეშე. დრამატურგია თეატრს აძლევს იდეური მუშაობის შინაარსს, განსაზღვრავს მის სოციალურ სახეს, გადაწყვეტ მნიშვნელობას იქნეს შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში. ამავე დროს თეატრის ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა დრამატურგიის განვითარება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თეატრი შემოქმედებისათვის ერთგვარ ლაბორატორიის წარმოადგენს, სადაც ავტორი ეცნობა იმ კანონზომიერებებს, თავისებურ პირობებს, სადაც ყალიბდება სპექტაკლი. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ შემდგომისათვის მწერლებთან მჭიდრო კავშირის გარეშე ვერ წარმოადგენია თეატრის ზრდა. ისინი ორ მოწინავე რაზმს წარმოადგენენ საბჭოთა კულტურის შექმნის ფრონტზე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პოლიტიკური გეზი თეატრის გარდაქმნის საქმეში, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, სავსებით შეესატყვისება საერთო დაწესებას. აქ არავითარ დისონანსს პარტიის გეზსა და ჩვენს საზოგადოებრიობას შორის ადგილი არა აქვს. გამოვთქვამ იმედს, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა იქნება დასაწყისი თეატრსა და მწერლებს შორის იმ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის დამყარებისათვის, რომელსაც მოითხოვს პარტია და მისი ხელმძღვანელი — ცენტრალური კომიტეტი. დარწმუნებული ვარ, რომ დღეიდან მოისპობა ყველა ის დაბრკოლება, ხელოვნური ზღუდეები, რომლე-

ბიც სამწუხაროდ ჩვენს შორის არსებობდნენ. დღეიდან უნდა მოისპოს ის კარჩაკეტილობა და განკერძოება, რომელიც თეატრს თავსდევდა ორგანული სენის სახით. ეს იმის განაღობა იქნება, რომ თეატრის განახლებული ხელმძღვანელობა საბჭოთა საზოგადოებრიობისა და პარტიის დახმარებით დაძლევეს იმ სიძნელეებს, რომლებიც კოლექტივის წინაშე დგას (ტაში).

**ამხ. გორდელაძე** — ამხანაგებო, თქვენთვის ცნობილია ის დადგენილება, რომელიც რუსთაველის თეატრის მუშაობის შესახებ გამოიტანა სახკომსაბჭომ და საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა. ეს დადგენილება თეატრს ახალ მიჯნასთან აყენებს და მოითხოვს ჩვენი მუშაობის საფუძვლიან გარდაქმნას. მე გულახდითლად უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თეატრის კრიზისის, მისი შემოქმედებითი და იდეოლოგიური ჩაყვარდნების მიზეზს წარმოადგენდა ის კარჩაკეტილობა, მოწყვეტა საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან და განსაკუთრებით მწერლობისაგან, დრამატურგიისაგან, ხელოვნების სხვა მუშაკებისაგან და არანორმალური დამოკიდებულება, რომელიც განუხრელ ტრადიციად იქნა მიჩნეული, ზშირად სკანდალურ მდგომარეობამდე მიდიოდა. ამის დამადასტურებელი მაგალითი მრავალი გვაქვს. აიღეთ, ამხანაგებო, თუგინდ ის ფაქტი, თუ როგორ ზრდიდნენ სტუდიელებს. როცა მათ ვეკითხებოდით, რა არის მთავარი თეატრის ხელოვნებაში, სტუდიელები პასუხობდნენ, რომ მთავარია აქტიორი და მყუდრებელი. როდესაც ვეკითხებოდით, — რატომ, ისინი გვპასუხობდნენ, — ჩვენ ამას არ გვასწავლიდნენო. ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი, იმიტომ რომ თეატრის ხელმძღვანელობას ასეთი გეზი ჰქონდა აღებული.

ამხანაგებო, მთავარი მიზანი ჩვენი დღევანდელი შეხვედრისა, რომელიც შედგა რუსთაველის თეატრის ინიციატივით, იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საფუძველი ჩაუყარათ მჭიდრო შემოქმედებით თანამშრომლობას. ჩვენი თეატრის კოლექტივი გამსჭვალულია იმ მისწრაფებით, რომ უსათუოდ შეძლებს ამ დავალების შესრულებას. ვფიქრობთ, ჩვენი თანამშრომლობა საშუალებას მოგვცემს თეატრი წაიყვანოთ ახალი განმარჯვებების გზით მაღალი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად (ტაში).

აშ. აკ. ვასაძე — ჩვენი შეხვედრა მრავალს-  
მთქმელია. ნება მომეცით რუსთაველის თეა-  
ტრის ახალი ხელმძღვანელობის სახელით მო-  
გესალმოთ ჩვენი ხელოვნების ავანგარდს,  
დღევანდელ საუკეთესო წარმომადგენლებს,  
ქართველ მწერლებს და დრამატურგებს (ტა-  
ში).

ვიდრე საქმეზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა  
რუსთაველის თეატრის ისტორიაში პატარა  
ექსკურსი გავაკეთოთ, რათა დავინახოთ ის  
აღმავალი წერტილი, საითკენ და რა გზით  
უნდა წავიდეს თეატრი.

მოგეხსენებათ რუსთაველის თეატრი, ძვე-  
ლი თეატრის ნანგრევებზე აღმოცენდა. 1914  
წლიდან იმ ქაოტურმა მდგომარეობამ, რომე-  
ლიც ძველ თეატრში დამყარდა შენობის და-  
წვის შემდეგ, იმ აღრევამ, რომელიც წმინ-  
და ეკონომიკურმა და მატერიალურმა პრობ-  
ლემებმა განაპირობეს, ქართველი საზოგადო-  
ებრიობის სულიერ სამყაროში ერთგვარი  
რღვევა შეიტანა და ეს ქაოსი მენშევიტურმა  
ხელისუფლებამ უფრო გააღრმავა. ერთი-მე-  
ორის მოწინააღმდეგე ხუთი თაობის წარმო-  
მადგენლები, რომლებსაც პროფესიისა და  
შენობის გარდა არაფერი აერთიანებდათ, ქარ-  
თული თეატრის ბედს ძალიან სავალალოდ  
ხდიდნენ. ის ცოცხალი ტრადიცია, რომელიც  
საფუძველი უნდა ყოფილიყო ქართული თეა-  
ტრის შემდგომი განვითარებისათვის, ამ ხან-  
გრძლივმა კრიზისმა სრულიად მოაღწია. შესა-  
ნიშნავი არტისტები მივიდნენ ისეთ ზომამდე,  
რომ მათ რეპერტუარს ხშირად ასახარეოებდა  
„არშინ მალალანი“ და მდარე ხარისხის ნა-  
წარმოებები. თეატრი მწერლობას მოსწყდა  
და მისი გზა უფსკრულისაკენ წარიმართა. ა.ი.,  
ასეთი ქაოტური თავიგული მიიღო საქმითა  
ხელისუფლებამ მენშევიტებისაგან. ამიტომ  
იყო, რომ 1920 წელს ნიკეიერი რეჟისორის ს.  
ახმეტელის გამოჩენა და ს. შანშიაშვილის  
„ბერლი შანაის“ დადგამა თეატრი კრიზის-  
ისაგან ვერ იხსნა. ვერც შესანიშნავი დიდოს-  
ტატის, განსვენებულ კ. მარჯანიშვილის  
მთელმა რიგმა დადგმებმა, რომლებიც მან სა-  
ქართველოში გაიმეორა, თეატრი შინაგანი  
წვალებისაგან ვერ იხსნა. თეატრი საჭიროებ-  
და გარკვეულ რეფორმას, გარკვეული მეთო-  
დით მუშაობას, ვიდრე კოლექტივის ახალგა-  
ზრდების გულში, რომლებიც იმთავითვე რე-  
ვოლუციურად იყვნენ განწყობილნი, ეპოქის  
იდეის მარცვალი არ ჩავარდა. ამის მოწმენი  
აქ მრავალნი არიან და 1924 წელს ჩამოყა-

ლიბდა კორპორაცია „დურუჯი“, როდესაც მი-  
სი მანიფესტი გამოვიდა ცენტრალური კომი-  
ტეტის და ცენტრალური აღმასრულებელ  
კომიტეტის ორგანოს ფურცლებზე ეს იყო  
აღნიშნული, როგორც ფრონტის გარღვევა.  
თეატრის მაშინდელი ცოცხალი ტრადიციები  
ისე ძლიერი რომ ყოფილიყო, რათა მასზე  
დაყრდნობა შეგვეძლებოდა, მაშინ წარმოუდგე-  
ნელი იქნებოდა კორპორაციის ასეთი მკვეთ-  
რი მანიფესტით გამოსვლა, რომელმაც საზო-  
გადოება აფორიაქა. ამ მიმართულებამ ზო-  
გი ისეთ პოზაში მათყენა, რომ ჩვენ მოწყვე-  
ტილი დავრჩით მათგან. იმ დღიდან რუსთა-  
ველის თეატრის ირგვლივ საშვედრო-სასი-  
ციცხალი ბრძოლა გაიმართა. კორპორაციის  
გამოსვლას თანაუგრძნობდა და მის გეზს იზი-  
არებდა განსვენებული დიდი ოსტატი კ. მარ-  
ჯანიშვილი. მაშინ თეატრში მხატვრულ მე-  
თოდად ერთი დევიზი იყო წამოყენებული —  
სპექტაკლი თეატრალური დღესასწაულია.  
ამ თეატრალურმა დღესასწაულებმა ძალიან  
მრავალფეროვანი და მრავალმხრივი დადგმე-  
ბი მოგვცა, მაგრამ მათ აკლდათ სწორი ძირი-  
თადი გეზი, ვინაიდან საერთო თეატრალურო-  
ბას, საერთო თეატრალურ სიხარულს არ შე-  
უძლია ისე ღრმად განჭვრეტოს, ისე ღრმად  
გახსნას ის მოცემული დრამატურგიული მა-  
სალა, რომელიც მის წინ იყო და თეატრი  
ერთგვარ ექსპექტიზში გადავარდა. დიდი ნი-  
ჭით გაფორმებული სპექტაკლები ხან ექს-  
პრესიონისტული, ხან ფუტურისტული, ხან  
დადასტურიც კი იყო. მაგრამ 1924 წელს  
„დურუჯის“ მიერ გაცემული საბჭოთა პლა-  
ტფორმაზე შედგომის თამასუქი ვერ განა-  
ღლდა და შინაგანი კრიზისი დიბადა. საჭირო  
იყო ახალი მეთოდის დაუფლება. 1926 წელს  
კონფლიქტი მოხდა და განსვენებული მარჯა-  
ნიშვილი თეატრიდან წავიდა. თეატრის ახა-  
ლი აღმავლობის მიჯნა საბჭოთა დრამატურ-  
გიით იწყება. მიუხედავად იმისა, რომ იგი  
თარგმნილი იყო, რუსთაველის თეატრის შემ-  
დგომი განვითარება 1926 წლიდან, დრამა-  
ტურგიის წიაღიდან მომდინარეობს და ს.  
ახმეტელის მეთაურობით თეატრმა სწრაფი  
ზრდა განიცადა. საბჭოთა დრამატურგია პირ-  
ველ ეტაპზე იყო ფორმით ნაციონალური და  
შინაარსით სოციალისტური და ეს დაბუღება  
ქვაკუთხედად დაედო ხელოვნების ყველა  
დარგს. კერძოდ დრამატურგიისა და თეატრის  
განვითარებას. ვინაიდან მუშაობა პარტიისა  
და ხელისუფლების ხელმძღვანელობით მიმ-

დინარეობდა, თეატრს ჰქონდა პოლიტიკური ალლო და საზოგადოებრივ აზრს ყურს უდებდა. საბჭოთა დრამატურგიიდან გამომდინარი მეთოდი ჩვენ საშუალებას გვაძლევდა მიგველო სპექტაკლები „რდევია“, „ანზორი“, „ინ ტირანოს“, მაგრამ 1924 წლიდანვე ჩვენს მუშაობაში ერთგვარი მტკივნეული ხაზი მოდიოდა. ეს გახლდათ ის კორპორაციული კარჩაქეტილობა, რომელიც საბჭოთა საზოგადოებას, მწერლობას, დრამატურგიას გვაცილებდა. ამან ისეთ ფორმალისტურ გაანბრამდე მიგვიყვანა, რომ პიესის გარეშედღარჩით. მოგეხსენებათ ის ჩავარდნები, რომლებშიც მე და ჩემს ამხანაგებს მონაწილეობა მიგვილია. მაგალითისათვის პიესა „თეთნულდი“ ავიღოთ. სარეჟისორო კოლეგიაზე არსებული ოცნებები მოვინდომეთ „თეთნულდის“ მასალაზე ვაგვეშალა, მაგრამ ჩვენს მიერ გამოყენებული საშუალებები პიესის წიაღიდან არ მომდინარეობდა. მისი ფორმალური მხარე და შინაარსი ურთიერთსაწინააღმდეგო გახლდათ და სპექტაკლი დამარცხდა. სხვა ნაწარმოებებს არ დავასახელებ, ვინაიდან ფორმალისტური გადახრის გზაზე, ეს ყველაზე ნათელი და მკაფიო მაგალითია, რამაც თეატრი საფრთხეში ჩააგდო. ჩვენს თეატრს ჭერ კიდევ გასტროლების დროს „პრავდისა“ და „იზვესტიის“ ფურცლებზე ამ საფრთხის აცილება მითითებული ჰქონდა. მეორე მტკივნეული ხაზი, რომელიც კორპორაციიდან მოდის: თეატრალური ხელოვნება ორგანიზებული ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი შემადგენელი ნაწილები, განსაკუთრებით დრამატურგია, უგულვებელყოფა ამ გარემოებაში იმ გზამდე მიგვიყვანა, რომ ძველმა ხელმძღვანელობამ, ახმეტელის სახით, მსახიობს ცქერა დაუწყო, როგორც საცდელ მასალას. ამან მსახიობი ძალიან მოჭნილი გახადა, მაგრამ მანეჟენის მდგომარეობაში ჩააყენა და მისი ზრდაც შეჩერდა — გარკვეულ შტამპსა და ჩიხში მოამწყვდია, განვითარების პერსპექტივა დაჩრდილა. ეს საზოგადოებრივი აზრის გავლენით ყველაზე ადრე იგრძნო, თეატრის ერთმა ნაწილმა, რომელიც 1920-1924 წლებიდან აქტიური მუშაყებისაგან შედგებოდა. მაგრამ ამის შესახებ ამხანაგური კრიტიკის გამოთქმა ვერც კი მოასწრეს, რომ ისინი მტრებად იყვნენ გამოცხადებულნი. ერთი ადამიანის მოხსნით სხვებისათვის ნი-

შანი იყო მიცემული, რომ თეატრიდან გამოვეული იქნებოდნენ.

ამხანაგებო! მსახიობის, მუშაყის მოხსნა იმას არ ნიშნავს, რომ თეატრი იღუპება. მაგრამ ამ მოხსნას სარჩულად რა უღევს, რა არის ამის მიზეზი? მიუხედავად დიდი ჭაფისა და ამხანაგური მოპყრობისა არაფერი არ გამოვიდა, ვიდრე საქმეში ჩვენი ხელისუფლება არ ჩაერია და ჩავარდნის ყველა მიზეზი არ გამოიკვლია. სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 13 სექტემბრის დადგენილება რუსთაველის თეატრისათვის ისტორიული დოკუმენტია. შეიძლება საბჭოთა კავშირის სხვა თეატრებისთვისაც ეს სამაგალითო გახდეს, იმიტომ რომ რუსთაველის თეატრის მსგავს ტყვილებზე ბევრი თეატრი განიცდის. მე მოგახსენებთ ახალი კადრებისა და ადამიანის აღზრდაზე, რომლის შესახებ თავის გენიალურ სიტყვაში დიდმა ბელადმა სტალინმა წარმოთქვა: „კადრები წყვეტს ყველაფერს“, „ადამიანი ეს არის საუკეთესო კაპიტალი“ — ყველაზე უძვირფასესი კაპიტალი, რომელიც სათუთ მოპყრობას თხოულობს. ისეთ მეზაღეს თხოულობს, რომელიც ყვავილს ზრდის, რათა ნაყოფი გამოაღებინოს. ეს მხარე სრულიად მოსპობილი იყო რუსთაველის თეატრში იმ მეთოდებით, რომელთაც იყენებდა მისი ხელმძღვანელობა ს. ახმეტელის სახით. ამას მთელი ჩემი პასუხისმდებლობით ვაცხადებ. ამ საქმეში პარტია და ხელისუფლება რომ ამ ჩარეულიყო და ზემოდასწრულიად არ დაეწყო ბუნტი, შეიძლება კიდევ უარესი მომხდარიყო. ყოვლად შეუძლებელია ადმინისტრირების წესით მუშაობა, როცა ერთი პიროვნება ერთუფლებიანობაში გადადის. ეს რაღაც შუა საუკუნეების მომასწავებელი ამბები იყო. მსჯელობის სახითაც კი, ვინმეს რომ რაიმე გამოეთქვა, ის უმადრე ექვის ქვეშ აღმოჩნდებოდა. როგორც თეატრში მოსწრებულად ამბობდნენ ხოლმე, პირდაპირ „მუშაზე“ იყო აყვანილი. უმოქმედობამ, საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფამ უქანასკნელი ორი წლის განმავლობაში არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ შემოქმედებით ჩიხში მიგვიყვანა. საჭირო იყო სწრაფი მოტრიალება, მაგრამ ძველმა ხელმძღვანელობამ, ახმეტელის სახით, ეს ვერ მოახერხა.

ვფიქრობ, ისტორიული ექსკურსი საკმარისია. ჩვენი მომავალი შემოქმედებითი პროგრამაა, კოლექტიური ხელმძღვანელობის მე-

თოდებით წარგმართო რუსთაველის თეატრის შემდგომი განვითარება.

თქვენს წინაშე შეუძლებელია მთელი შემოქმედებითი პროგრამის გაშლა, მაგრამ ერთი შეიძლება ითქვას: გმირული რომანტიკა, საბჭოთა რომანტიკა, რომელიც რუსთაველის თეატრს წარსულში ახასიათებდა, უძველესად თეატრის დროშა იქნება მომავალშიც.

სეზონისათვის მზადება ობიექტური მიზეზების გამო ძლიერ დაგვიგვიანდა. ახალი ხელმძღვანელობა მუშაობას სწრაფი ტემპით შეუდგა. დღეს უკვე დავიწყეთ კორნეიჩუკის პიესის „პლატონ კრეჩეტის“ დამუშავება. ამ პიესაში რუსთაველის თეატრი იმ დიად მიზანს ასახავს, რომელიც თავის სიტყვაში ამხ. სტალინმა აღამიანისა და კადრების შესახებ წარმოთქვა. ამ საპატიო მიზნისათვის ვდგამთ უკრაინულ საბჭოთა მწერლის პიესას, რომელსაც განახორციელებს რეჟისორი აღსაბაძე, მუსიკას წერს ი. ტუსკია, მხატვარია სერგო ქობულაძე. შემდეგი პრემიერაა ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით. პიესა დაწერილია ახალი ხერხებითა და საშუალებებით, რათა მეკეთრად გამომვლავნდეს ჩვენი წარსულის სოციალური უკუღმართობანი. სარეჟისორო კოლევამ პიესა დასადგმელად რეჟისორ პატარიძეს გადასცა, მუსიკას ი. ტუსკია წერს, მხატვარია დიმიტრი თავაძე. მესამე პრემიერად სარეჟისორო კოლევამ საქართველოს 15 წლისთავისათვის ს. შანშიაშვილის „არსენა“ მიიღო. ამ პიესის დადგმა წილად მე მხვდა. მხატვარ ირ. გამრეკელთან ერთად. მუსიკალური გაფორმების მხრივ მოლაპარაკება გვაქვს კომპოზიტორ კილძისთან. ვინაიდან თეატრს მუშაობა მძიმე პირობებში უხდება, წელს ამ სამი პრემიერით დავკმაყოფილდით, რომ საშუალება გვქონდეს წარსულის ერთგვარი რევიზია მოვახდინოთ და მომავალი სეზონისათვის უფრო სერიოზულად მოვემზადოთ. ძველი პიესებიდან განახლდება „ინ ტრანსა“, „ან-ზორი“, „ნაბიჭვარი“ და სხვა.

აი მოკლედ, ამხანაგებო, ჩვენი მომავალი სამუშაო პროგრამა.

რუსთაველის თეატრის ახალ ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საქართველოს კ 3 (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა ხელისუფლება რუსთაველის თეატრის გამოიყვანს ჩიხიდან, რომელშიც იგი უქანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოექცა და იგი საბჭოთა

საზოგადოებრიობის, ქართული მწერლობის, დრამატურგიის ორგანიზაციული დახმარებით კვლავ საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრული რიგში ჩადგება (ტაში).

**ამხ. აკ. ზორავა.** ამხანაგებო! წინასწარ ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ შეუჩვევლობის გამო რაღაც ისე ვერ ვთქვა. პირველად მიხედება საუბარი ისეთი თვალსაზრისით ორგანიზაციის წინაშე, როგორიც საბჭოთა მწერლობაა. ეს ჩემი ბრალი არ არის. ზშირი სტუმარი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება უფრო კარგად მელაპარაკა. ვეცდები მომავალში ეს ნაკლები გამოვასწორო.

მე ვიტყვოდი, მოხდა ობიექტულისათვის საშინელი ტრაგედია: ცნობილი და უთუოდ ნიჭიერი ხელმძღვანელი ს. ახმეტელი, რუსთაველის თეატრიდან უცნაურ მოიხსნა და ამის ირგვლივ საშინელი ჭორები გავრცელდა. ამ ათი წლის განმავლობაში თეატრალური ბრძოლები ისეთი ხასიათისა იყო, რომ საკითხის ობიექტურად განხილვის მსურველმა შეიძლება მთავარი მიზეზი ვერ იპოვოს. ამხ. აკაკიმ ჩვენს შორის გათიშვის მთავარი მიზეზები პატივცემულ კრებას ამომწურავად მოახსენა. მინდა მხოლოდ ზოგიერთი რამ დავუმატო. ისევ კორპორაციიდან დავიწყებ. ჩვენ საჭიროდ ვცანიდა 20 ამხანაგის მკიდრო რკალი შეგვექმნა, რომლებსაც საბჭოთა თეატრის შექმნისათვის თავგამოდებით უნდა ებრძოლა. მათი უმრავლესობა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განცალკევებული იყო. ჩვენი შემკიდროვება კორპორაციული იმიტომ იყო, რომ თეატრალური და პოლიტიკური ფრონტიდან შემოტევა გვაიძულებდა ეს ახალი საქმე, ეს ორგანიზაცია არ დანგრეულიყო და დასახული მიზნისათვის გაორკეცებული ენერგიით გვებრძოლა. მაშინ ეს გამართლებული იყო. გავიდა ხანი და თვით თეატრის პირობები, საზოგადოებრივი ზრდა ამ კარჩაკეტილობის მოსპობას მოითხოვდა. უნდა ვალიაროთ, მეც და დანარჩენი ამხანაგებიც იმდენად ვიყავით იმ იდეით გატაცებულნი, რომ კორპორაციული კარჩაკეტილობას ბოლომდე ხელს ვუწყობდით. ჩვენ მოვლენათა სწორი შეფასების თვალთახედვა დავკარგეთ, თეატრალური ასპარეზზე ბრძოლის მიზანი, დავკარგეთ იმ სიტყვის გაგება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას მივეცი და ამ ორი წლის განმავლობაში ჩიხში ჩავვარდით. ამ შემთხვევაში ჩვენ წმინდა ფორმალური მხარე გვახალისებდა. იმდენად გავკრტაცა საბჭოთა

კავშირში რუსთაველის თეატრის უდიდესობის იდეამ, რომ მოვინდომეთ კავკასიის ხალხთა კადრების შექმნა, დიდი ვალდებულებების აღება მაშინ როდესაც შემოქმედებითი მიზნის გაფართოება გვპირდებოდა. ამ მდგომარეობამ გამოვავაძრა რეპერტუარის, ფორმისა და შინაარსის აქტიორის აღზრდის, სტუდიაში კადრების მომზადების საკითხი და იმ ჩიხამდე მივედით, რომლის გამოსწორებას დროულად და სრულიად სამართლიანად შეუდგა ჩვენი პარტია და ხელისუფლება. კერძო მაგალითებს არ მოვეყვებით, მხოლოდ ერთი უნდა მოვახსენოთ: იმდენად გავვიტაცა მეგობრობის უნიათმა გავებამ, რომ საკუთარი თავის სიყვარულმა თავდავიწყებამდე მიგივიყვანა და საბჭოთა საზოგადოების უნებლიეთ მოეწყდით. თეატრში ამან ისეთი წესები შექმნა, რომლებიც საბჭოთა კავშირში არ არის. გულწრფელად უნდა მოვახსენოთ, რომ რუსთაველის თეატრის ყოველ შეგნებულ მოსამსახურეს თავისი არსებობა ორგავარად უნდა გაეგო. ცხოვრების ძლიერ ტემპს მიყოლოდა და ამავდროს ორმოცდაათი პროცენტით ყურადღება იქითყენ მიეპყრო, რომ თეატრში არსებული ტემპი და მუშაობის მიმართულება გაეგო. ამის შესახებ შეგნებულმა ნაწილმა ხმა ამოიღო და თეატრის ხელმძღვანელობასთან ლაპარაკი გვქონდა. მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო და საკითხის გარკვევის სურვილმა მტრული, არაკულტურული და არასაკადრისი ხასიათი მიიღო. არ ვიტყვი, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. სიმართლე ზუსტად არის ნათქვამი პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებაში.

საქართველოს მწერლობასა და ინტელექციანს მინდა ეთხოვო, მხარში ამოგვიდგეს, რათა ის დიდი დავალებები და ნდობა გაეამართლოთ, რაც ჩვენს მიმართ საბჭოთა ხელისუფლებამ და პარტიამ გამოიჩინა (ტაში).

**ამხ. შ. დადიანი:** რუსთაველის თეატრის გარდაქმნაზე უწინარეს ყოვლისა ქართულმა დრამატურგიამ და მისმა ორგანომ, დრამატურგთა სექციამ უნდა ილაპარაკოს.

ჩვენი დრამატურგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თეატრის შეცდომები რამდენიმე წლის წინათ ამხილეს. მაგრამ იმჟამად ეს ხმა დარჩა „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“. თეატრის მიერ იგი უგულვებელყოფილი იყო, — მეტიც — აგდებისა და დაცინვის საგნად იქცა. ეს მაშინ, როდესაც საზოგადოდ დრამატურგთა პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამყვანად იყო აღიარებუ-

ლი. რასაკვირველია, თავს არ ვიტყუებთ და არ ვამბობთ, რომ ქართული დრამატურგთა დიდ სიმამლეზე ავიდა, ეპოქის მიღწევებს გაუტოლდა და მოგვცა სრულქმნილი, მაღალმხატვრული სახეები. მაგრამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში შედარებით სწრაფად დაწინაუნდა და თეატრს საკმაოდ უბეი პროდუქცია წარუდგინა. ამას რუსთაველის თეატრმა ან-ფარში არ გაუწვია. მიუხედავად იმისა, რომ „პროდუქცილი“ ამ რამდენიმე წლის წინათ მოუპოვებოდა ჩვენი თვალსაჩინო დრამატურგების ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის, ი. ვაკე-ლის, გ. ბაზოვის და ჩემი ორიგინალური პიესები. ზოგი მათგანი თეატრის მიერ იყო შეკვეთილი, ზოგიც მრავალრეპეტიცია განვლილი და გამზადებულიც, მაგრამ არც „ბახტრიონი“, არც „ზოგაი“, არც „შამილი“, არც „შავი ქვა“ და არც ს. შანშიაშვილის პიესები არ დადგმულა. მომიზეზებული იყო ამ პიესათა უფარგისობა. ეს იყო მხოლოდ მთავარი ხელმძღვანელის თვითნებური აქტი. ზემოთ დასახელებული დრამატურგები, რომლებიც თანდათან იზრდებიან და მომწიფებულ ნაყოფს იძლევიან, ისეთი სუსტი ნაწარმოებების მოცემას ვერ შესძლებდნენ, რომ მათი უფარგისობა ვინმეს ეყიფინა. რაკი წინანდელ ხელმძღვანელობას არ სურდა თანამშრომლობითა და მეგობრობით ემოქმედა, რაკი თავი „უცოდველ ჰაპად“ ჰქონდა წარმოდგენილი, ჩვენს დრამატურგებს ხელი არ შეუწყო. ასევე არ შეუწყვია ხელი ახალგაზრდა დრამატურგთა გამოვლინებისათვის. თეატრში ერთ დროს თითქოს შედგა რალაც უჭრელი, მაგრამ გულგრილობამ და დაცინვით მოპყრობამ ხალხი დააფართო და ვაფარცა. ამგვარად, თეატრი თითქმის დრამატურგის, ორიგინალური პიესის გარეშე დარჩა და თვითონვე დაიწყო იმ ტოტის ჭრა, რომელზედაც იდგა. იგი ასევე მოექცა ახალგაზრდა მსახიობთა, რეჟისორთა და მხატვართა აღზრდას. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მყვირალა რეკლამებისა, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობას არც ერთი თვალსაჩინო ძალა არ გამოუვლენია. ვისაც ხალხი იცნობს დაფასებს: ამხ. აკ. ვასაძის, აკ. ხორავას, ირ. გამრეკელის. შ. აღსაბაძის და სხვების აღზრდის სათავე სხვაგან უნდა ვეძიოთ.

რეკლამები კი დიდი იყო: კადრების აღზრდაზე, თეატრის მეთოდოლოგიაზე, რეჟიჟისოლოგიაზე, ქართულ რიტმულობაზე, თუ რიტმიკაზე და სხვა. მაგრამ ვხედავდით, რომ

ეს იყო ნაირფერი შუშუნები და მათი გას-  
როლის შემდეგ, ნაშვების სუნს ახლა ვცნო-  
სათ.

ორი-სამი წლის წინათ, რუსთაველის თეატრის საქმიანობაზე ლაპარაკი ამ დარბაზში მოხდა. მიუთითებდი, რომ ყოყლოჩინობისა და თვითმეცხოვრების კარ თვავინი უნდა და-  
მზობილიყო. დაემხო კიდევ: რაც დაკარგულა მას ნულარ ვსტირით... ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოზობადი. სულითა და გულით მივე-  
სალმები ახალ ხელმძღვანელობას, რომელსაც წინ უდევს დიდი საპასუხისმგებლო საქმე: თეატრის გალუნული გეზი გაასწოროს, სოციალისტური თეატრის შესაქმნელად საყრდენი ქართულ მასალაზე გამოძებნოს, მხატვრულ-თეატრალური მეთოდოლოგია გადასინჯოს, მხატვრული დონე აწიოს და ხელოვნების მწვერვალები დაიპყროს. ამისათვის თეატრში საჭიროა მეტი საზოგადოებრივი აზრის და ჯანსაღი ჰაერის შეშვება. უნდა შეიქმნას ერთგული თანამშრომლობის ატმოსფერო. ეს უნდა გააკეთოს თეატრმა და დრამატურგიამ. ამიერიდან ერთი მეორის რჩევით, კლდეტიური მუშაობით უნდა შექმნან ღირსეული ნაწარმოებები დრამატურგიაში, ღირსეული სპექტაკლები სცენაზე. ამისათვის დღევანდელი მნიშვნელოვანი თათბირი არ კმარა, ერთმანეთს პრაქტიკულად უნდა დავეხლოვდეთ. ეს პრაქტიკა კი გამოიხატოს შემდეგში: რუსთაველის თეატრთან დრამატურგები მომ-  
გარებულ იქნებიან ორი ხაზით: ერთი, — დამწყები დრამატურგები თეატრალურ პრაქტიკას მიიღებენ და წმინდა ტექნიკური მხარის გაცნობასთან ერთად თემებს, სიუჟეტებსა და ნაწარმოებებს დაამუშავენ. მეორე ხაზი, — შემოკრებილ იქნან გამოცდილი და უკვე ასპარეზზე გამოსული დრამატურგები, არა თეატრის წინაგან საქმეში ჩასარევად, არამედ პისების შერჩევაში, განხილვებში და სხვა ლიტერატურულ მოვლენებზე სათათბიროდ. ამიერიდან დრამატურგია გამოთქვამს სურვილს, რომ მისაღები პიესები მის მიერ რეკომენდებულ იქნას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრამატურგის გარეშე თეატრმა გვერდი აუაროს შექსპირს ან ახალი დრამატურგი არ მოისმინოს.

აგრეთვე ჩვენი დრამატურგების სურვილი-  
ცა და მოთხოვნაც, რომ თეატრში სიტყვას მეტი ყურადღება მიექცეს. დღეს კი სამწუხაროდ ასე არ ხდება. რეჟისორი ზოგ ადგილებს გადაკარბებული მუსიკით, ან სხვა ხმა-


ურით ფარავს. ეს დაუმუშავებელი მეტყველები ბრალია. მართალია, რუსთაველის თეატრს ამ მხრივაც დიდი ოსტატები ჰყავს, მათგან რის დღევანდელი ხელმძღვანელი პატივცემული აკაკი ვასაძე ერთ-ერთ საუკეთესო დეკლამატორად ითვლება. მაგრამ ეს არ კმარა. თეატრთან აუცილებლად უნდა შეიქმნას ჩვენი თეორეტიკოსების, მკვლევარებისა და სპეციალისტების ერთგვარი ინსტიტუტი, რათა ერთხელ და საბოლოოდ შემუშავდეს მკაფიო, მხატვრული მეტყველების ნორმები, მათ ისე უნდა იმუშაონ როგორც ტერმინოლოგიის სამეცნიერო კომისია მუშაობს, ეს ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ ამის გაძლოა უნდა იკისროს თეატრმა და დრამატურგებმა. ამიერიდან აღებულ პიესაზე რეჟისორული თვითნებობა დავმობილ უნდა იქნას. ამით რეჟისორს არავითარი პერორატივა არ ერთმევა. კვალიფიციური ავტორის ნაწარმოებზე თქვენი მალამხატვრული მუშაობისას, კეთილი ინებებ და ნუ შეგვეცავთ, ნურც ახალ სცენებს, ნურც დიალოგ-მონოლოგებს შეიტანთ. ოსტატობა ის არის, მოცემული გაამშვენიეროთ და მასზე თქვენი საუცხოო სპექტაკლი აავთო. ჩვენ კი ვეცდებით თეატრის შესაფერი, ეპოქის ღირსეული ნაწარმოებები მოგვცინათ. თავს კი ვიტყუებთ იმით, რომ რაც საქართველოში დრამატურგია, ყველას ნაწარმოებში მოგახვით. არც შეიძლება ყველა კვალიფიციური დრამატურგის სტილი გამოვადგეთ. საუკეთესო პროდუქციას მხოლოდ მეგობრული რჩევით, ერთგული თანამშრომლობით გამოვავლენთ.

დასასრულს სურვილს გამოვთქვამ, რომ თათბირის შემდეგ, ზვალვე, შეგვექმნას ისეთი ორგანო, რომელიც საერთო გეგმის განსახორციელებლად პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს.

ახლა კი თქვენი გამარჯვების იყვეს.

**ამხ. პ. იაშვილი:** ამხანაგებო! რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობის მოსვლა მწერალთა კავშირში, მათი მომავალი სამუშაო გეგმის გაცნობა, ეს იმას ნიშნავს, რომ სახკომსაბჭოს და ცკ-ს დადგენილება თეატრის გარდაქმნის შესახებ თავიდანვე სწორ ნიადაგზე დგას. ურთიერთკავშირის დამყარების სურვილი იმ შემცდარ აზრს ამქადენებს, რომელიც თეატრის ხელმძღვანელობას ჰქონდა რეჟისორის

(გაგრძელება 120-ე გვ.)



# ქვაში სულჩადგმული სახეები

გიული ზაზანიძე

ილია ჭავჭავაძის  
დაუმთავრებელი  
პორტრეტი



ქაზბეგში მიმავალი, სნოს გადასახვევთან, ელის მთის ძირში გაშლილ ველზე მრავალტონიანი ქვის ლოდებიდან გამოთლილ პორტრეტულ ქანდაკებებს წააწყდებით: ვაჟა, ყაზბეგი, ილია, ბარათაშვილი... ავტორი — სნოს მკვიდრი, ახალგაზრდა მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილია. მოქანდაკის ჩანაფიქრია — ამ მიწაზე ქვაში უკვდავყოს ერის გამოჩენილი შვილები.

მერაბ ფირანიშვილი სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია. მოქანდაკე რამდენიმე რესპუბლიკური გამოფენის მონაწილეა. იმთავითვე მიიქცია ყურადღება მისმა ნამუშევრებმა: „ალექსანდრე ყაზბეგი“, „ვაჟა-ფშაველა“, „არწივი“.

ვაჟა-ფშაველას  
პორტრეტი

„ვეფხი და მოყმე“, ფერწერულმა პორტრეტებმა, პეიზაჟებმა, მინიატურებმა... ყურადღებას იქცევს ყაზბეგში, სპორტულ კომპლექსში მოთავსებული ქანდაკებები; რამდენიმე ნამუშევარი ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმს ამკობს.

კერეს მთაზე, ერთ ნახევრად დანგრეულ, ძველი ციხის კედელზე, მ. ფირანიშვილმა თავისივე გამოკვდილი ჯერიანი ფარით დამშვენებული ექვსმეტრიანი ხმალი დაჰკიდა. უფრო ზემოთ, იმავე მთაზე, ძველი სალოცავის საძირკველზე შავი ფიქალით ახალი საყდარი ააგო.

ახალგაზრდა მოქანდაკე ამჟამად კვლავ რთულ შემოქმედებით ამოცანებსაა შეჭიდებული, რაიონის მცხოვრებთა და თავკაცთა დახმარების, აბოზოქრებული თერგის კალაპოტში მერაბის მიერ მოძიებული უზარმაზარი ქვის ლოდები საქრეთლით გაცოცხლებას ელის.

შემოქმედის გამოცდილება, ტალანტი, ოსტატობა და შთაგონება იმის საწინდარია, რომ მერაბ ფირანიშვილი ღრმად შთამბეჭდავი, მონუმენტური სკულპტურული გამოსახულებებით გაამდიდრებს მშობლიურ მიდამოებს, ამჟამინდელ თუ მომავალ თაობებს ხსოვნად და ხატად დაუტოვებს ქანდაკებაში წარმოსახულ დიდებულ სახეებს — მწერლების, გმირების, სახელმწიფო მოღვაწეების მონუმენტურ გამოსახულებებს.

მოქანდაკემ ხომ უკვე ახლაც მოიპოვა აღიარება: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მიწვევა მიიღო პანორამული სკულპტურული



მერაბ ფირანიშვილი

რული მოედნის შესაქმნელად.

როგორც ყაზბეგის რაიონის ბუნების დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, ბუნების ჭომაგი და ხელოვნების ნიმუშებით მისი დამამშვენებელი, იგი ახლახან ბუნების დაცვის კომიტეტმა ოქროს მედლით დააჯილდოვა.

კვლავაც გამარჯვებებს ვუსურვებთ მოქანდაკეს მის კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

ალექსანდრე ყაზბეგის პორტრეტი



პირობების შესახებ, რომ რეჟისორი არის მთავარი წამყვანი ძალა, ანდა მას შეუძლია მდარე ნაწარმოები მაღალ მხატვრულ დონეზე აიყვანოს. ეს შეცდომები დღეიდან დაძლეული უნდა იყოს. თეატრის განვითარებაში, ქართულ მწერლობას წარსულშიც დიდი როლი უთამაშია. კარგად იცით, რომ ჩვენს დიდ მსახიობებს მკაცრ საფაროვა-აბაშიძისას, ვასო აბაშიძეს, ვლ. ალექსი-მესხიშვილს როგორი კავშირი ჰქონდათ დრამატურგებთან. ექვს გარეშეა, არანორმალური მოვლენა ის იყო, რომ თეატრში არამც თუ დრამატურგები, არამედ უახლოესი მეგობრებიც, რომლებსაც თქვენთან ერთად ბევრი ქირი გადაუხდათ და ობიექტულების წინააღმდეგ უბრძოლიათ, თქვენს მუშაობასთან დაახლოებულნი არ ყოფილან. ლენინგრადში „პიკის ქალის“ დადგმისას მეიერჰოლდმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა. მან ღია რეპეტიცია ჩაატარა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ, გარეშე პირთათვის, ჩახედა მათ თავის თეატრალურ ლაბორატორიაში. ექსპერიმენტი ამტკიცებს, რომ დღევანდელი საბჭოთა სისტემის პირობებში შეუძლებელია თეორია საზოგადოებრივ აზრს გაეთიშოს და ამა თუ იმ შეხედულებაზე კორპორაციული გზა აირჩიოს. ყოველივე ეს სახკომსაბჭოსა და ცკ-ს საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა და მის გამორკვევას თითქმის ორი თვე მოუწია. არის მომენტები, როდესაც მთავრობას მთელი ძალ-ღონე სჭირდება იმისათვის, რომ ეკონომიკურ ფონტზე ესა თუ ის დარღვევა გამოასწოროს. ამ დროს კი ხელისუფლება ხანგრძლივ დროს ერთი თეატრის ტიპილების გამოსწორებას ანდომებს; დღეს სტალინური ბოლშევიკური ცკ-სთვის დამახასიათებელია ჩვენი მუშაობის სხვადასხვა დარგში ყოველგვარი კინკლაობისთვის სასტიკი ბრძოლის გამოცხადება. ასეთი გამძაფრებული ყურადღება ჯგუფობრიობასა და მუშაობის ტემპების შენელებას არასდროს არ ექცეოდა. ამიტომ ეს საკითხი ბოლოს და ბოლოს გადაიჭრა. ახმეტელის უდიდესი დანაშაული ცკ-ს დაუმორჩილებლობაშია. მან კარგად იცოდა, რომ მთავრობამ თეატრს უამრავი ენერგია დაახარჯა. მას კარგად ახსოვდა, რომ არც ერთი ხელოვანი, არც ერთი სხვა დარგის მომუშავე არ იყო ისეთ პირობებში ჩაყენებული, როგორც ამხ. სანდრო ახმეტელი. ამ ფაქტის უარყოფა არ შეიძლება. როცა ს. ახ-

მეტელს ვხვდებოდით, იგი დღევანდელ ხელმძღვანელობაზე ალტაცებით ლაპარაკობდა მისი დანაშაულიც იმაშია, რომ ვერ გაერკვა და შეცდომა დაუშვა.

დღეს თეატრს ახალი ხელმძღვანელობა მეთაურობს. მათ იციან ჩემი დამოკიდებულება, თუ რა დიდი ენთუზიაზმით ვმონაწილეობდი იმ ხალხთან ერთად, როდესაც ვხვდებოდით თეატრის გამარჯვებებს ტფილისში, მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. მახსოვს „რღვევის“, „აზრობის“, ინტირანოსის“ დადგმის დროს განცდილი სიხარულიც.

ქართული მწერლობა უნდა იყოს არა მარტო მეგობარი, იგი თეატრის მუშაობაში უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს. შეიძლება მწერალი დრამატურგი არ იყოს, მაგრამ თეატრს მისი კულტურა, გემოვნება გამოადგეს. თეატრის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთმა საუბრისას მითხრა, რომ ამ ამბავს ჩაუცივრდება.

ამხანაგებო! ჩვენი სამშობლო მოწინავე რესპუბლიკაა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების დროს, არამედ იყო რევოლუციურ წარსულშიც. ამ დროს ცკ-ს დადგენილების შესუსტულებლობა მოქალაქური მოვლენების გაუგებრობაა. ამიტომ შეერთებული ძალით გავლენა უნდა მოვახდინოთ ქართულ დრამატურგიაზე, რათა ახალმა გამარჯვებებმა ალტაცებაში მოიყვანოს ახალგაზრდა დრამატურგები. შეიძლება ამან ზოგიერთი მწერალი, რომელსაც პიესა არ დაუწერია, აიძულოს პიესების წერას ხელი მოჰკიდოს. ჩვენი შეთანხმებული მუშაობა იქნება რესპუბლიკის მღვდომარეობის გამართლება (ტაში).

**ამხ. კ. გამახაზურდია:** ამხანაგებო! ქართული მწერლობის დიდმა ნაწილმა ორი წლის წინათ, რუსთაველის თეატრზე, ამავე დარბაზში თავისი შეხედულება გამოთქვა. არსებითად მის შეფასებაში დღემდე აზრი არ შემიცვლია. საერთოდ თეატრისაგან შორს ვდგავარ და მას მხოლოდ ქართული კულტურის მოყვარული კაცის თვალით ვუყურებ. ამხანაგებო! რუსთაველის თეატრის გეგმა დღემდე არ იყო მიანიცდამინიც ახალი მოვლენა და საერთოდ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სანახაობისაკენ მიიწრაფოდა. ეს გამოწვეული იყო იმ პანიკით, რომელიც შექმნა მისმა მუნჯმა მეტოქემ, აწ უკვე ალაპარაკებულმა კინომ. ამან კი რეჟისურის დიქტატურა გამოიწვია. ქართული მწერლობა ისეთ დაბალ პიე-

დესტალზე არ დგას, რომ მას თეატრმა ყურადღება არ მიაქციოს. მარტო იმის გაქირდვა არ გემართება, ვინც ამის მიზეზი იყო. მართალი რომ ვითხრათ, დიდი სიხარულით ვადენებდი თვალყურს იმ გამარჯვებას, რომელიც თეატრს საბჭოთა კავშირის სატახტო ქალაქში ერგო. ამ წარმატებას საფუძვლად ისიც ედო, რომ ჩვენ ისეთი მსახიობები გვყავს, რომლებიც ევროპის საუკეთესო სცენებს დაამშვენებდნენ. ამ სუბიექტური მიზეზის გარდა, ის გარემოებაც არსებობს, რომ დღეს მოსკოვში ჩასული ქართული თეატრი, თუ ქართველი მწერალი გამარჯვების მხრივ ისე ხელცარიელი ვერ დაბრუნდება, როგორც ოქტომბრის რევოლუციამდე იყო შესაძლებელი. თეატრს საბჭოთა პრესა გულთბილად შეეგება. უეჭველად სალაში და მოკრძალება მეტად იყო გამოთქმული, ვიდრე შეიძლება თეატრს დაემსახურებინოს, მაგრამ ეს შეგობრული ავანსი იყო. ჩვენ, სამხრეთელბებს, გვჩვენია საკუთარი გამარჯვების ზედმეტი მგრძნობელობით შეხვედრა. მაგრამ, როდესაც თეატრი გამარჯვებას იქადის, უნდა ვკითხოთ, ამ გამარჯვების კოფიციენტი რას უდრის. თუ სანახაობის თეატრს უარყოფთ, მაშინ მას უნდა ვკითხოთ დრამატურგიის სახით რა გვაქვს. ავიღოთ რეპერტუარი. სცენაზე სულ როგორღე პიესამ შეიმარტა თავი. დღევანდელ მძაფრ დროში, ეპოქისათვის ყურში ჩაძახება მცდარი ოცნებაა, თუ მძლავრი ხმითა და დიდი ოსტატობით გავლენას ვერ მოახდენ.

როდესაც ვლაპარაკობთ ნაციონალური ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის ხელოვნების შესახებ, ამაში ბევრი მწერალი და კრიტიკოსი ქართულად გადმოთარგმნილ რუსულ ამბავს გულისხმობს. მე არ ვამბობ, რომ მოძვე რესპუბლიკების კულტურა უგულვებელყოფთ. ჩვენ არამც თუ რუსული, არამედ ესკიმოსების კულტურაც უნდა გადმოვთარგმნოთ, მაგრამ თეატრში თარგმნილი პიესების მეტი თუ არაფერი აღმოჩნდა, შეუძლებელია ნაციონალური ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის კულტურით ქაღილი. ანალოგიურ ამბავს მოგახსენებთ. ვინმემ, რომ ლუვრიდან რემბრანტი ან რუბენსი გადმოხატოს, მერე აქ ჩამოიტანოს და თქვას — „ეს მე შეეკმინო“ — განა სასაცილო არ იქნება? თარგმნილი პიესა იგივე რეპროდუქციაა. რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი დრამატურგია კი არ მოისუსტებს, არამედ მოიკოჭლებს? უწინარეს ყოვლისა, აქ ლაპარაკობენ ამა თუ იმ პირის ზეგავლენით გათიშული ატმოსფეროს შექმნის შესახებ. ეს განკერძოება იმის მიზეზი იყო, რომ ქართულ თეატრს არ გადასწვდა აპრილის რევოლუციის სუსხი, როგორც ზოგიერთ ლიტერატურის თეორეტიკოსს. იმაზე ლაპარაკით, რომ ქართველი სხვანაირად დადის, ვიდრე რუსი, შორს ვერ წავალთ. ეს სიარულში კი არა, არამედ ხმისა და ტემპერამენტში მეტადენდება. ქართულ თეატრს გაცილებით მეტი სიმწიფე ახსოვს. მას ჰყავდა თეატრალური ხელოვნებისათვის წამებელი ისეთი დიდი ადამიანები, რომლებიც ისეთ დროს მოღვაწეობდნენ, როდესაც თეატრი ჩამოთხოვილი კაპიკებით არსებობდა და განათლების კომისარიატის ბიუჯეტი მის განკარგულებაში არ იყო.

აქ არიან „დურუჯის“ დამაარსებელნი. მათ იციან, რომ მიუხედავად კარგი ურთიერთობისა და მეგობრობისა კორპორაციის დიდი პატრიოტი არ ვყოფილვარ. როდესაც ძველს ეტყვი გვობივარო, ათი წლის მანძილზე მაინც უნდა აჯობო.

ქართულმა მწერლობამ, უწინარეს ყოვლისა ქართული დრამატურგია უნდა შექმნას, არ მინდა აუგად ვახსენო თეატრში მომუშავე კოლეგების ღვაწლი, მაგრამ გადაკეთებული და რეკონსტრუირებული პიესები თეატრალურ საზოგადოებას შეიძლება სხვათაშორის მიაწოდო. თეატრის გეზი მიმართული უნდა იყოს ეროვნული დრამატურგიის შექმნისაკენ. მეორე ამბავია სიტყვის კულტურა. იგი არა მარტო მსახიობებს, მწერლებსაც აკლიათ. ქართულ ენას მსოფლიოს ცოცხალ ენებში ყველაზე დიდი ხნის პასპორტი აქვს, მაგრამ სრულიად შეუსწავლელია ჯეროვნად. ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი მსახიობები (ამაში რეჟისორები არიან დამნაშავენი) სიტყვებს ყლაპავენ. ამასთანავე ვაიგებენ, ამა თუ იმ ენაში სიტყვებს მახვილი ბოლოში აქვთ და ისეთი დეკლამაციით გამოდიან, რომ მათ მოსმენას, მცირე გამოჩაკლისის გარდა, უბრალო გლახის მოსმენა სჯობს. მაგრამ როდესაც რეჟისორი მსახიობს არაქართულად ასწავლის, ის მსახიობი სმენისა და მეტყველების მხრივ დამახინჯებული იქნება. მე დავაკვირდი როგორ ასწავლიდა განსვენებული მარკანიშვილი: повернись направо, повернись налево. მაშინ ვთქვი, რომ მაგ ამბით შორს ვერ წავიდოდა. მის ღვაწლს ვაფასებ, მაგრამ ათი წლის მანძილზე ქართულ ენაში მახვილის საკითხს არავინ ყურს არ უგდებს.

მეორე დანაშაული პრესასა და ლიტერატურულ კრიტიკას მიუძღვის. მე ასეთი რეცენზია წამიკითხავს: პიესა კარგად ჩატარდა და იდეოლოგიურადაც მისაღებია, მსახიობებმა ჩინებულად ითამაშეს, მაგრამ მხატვრულად ვერ არის გამართულიო. მაშ რისთვის დაშვრა მსახიობი და რეჟისორი? ანდა იტყვიან შესანიშნავი დადგმაა, მაგრამ პიესა არ ვარგაო. ერთმა იხუმრა, მომეცით 2000 მანეთი და სილოვან ზუნდაძის გრამატიკას დავდგამო.

მაშასადამე თქვენი უბირველესი მოვალეობაა ქართული დრამატურგიის საფუძვლის ჩაყრა. უნდა გათავადეს ქაღიდი, რომ ესა და ეს პიესა გადმოვავკეთებ და მოსკოვში მივღვივართო. ქართულ სიტყვას უღიღესი სიყვარულითა და სიფაქიზით უნდა მოექცეთ. საქართველოს ხელისუფლება დიდ მოვალეობას გაკისრებთ. გისურვებთ ამ ნდობის გამართლებას (ტაში).

**აშხ. ხ. შანშიაშვილი:** ბევრს არ ვილაპარაკებ, ვინაიდან ამხანაგებმა ჩემი სათქმელი ამოწურეს. მხოლოდ იმ გარემოებას აღვნიშნავ, რომ რუსთაველის თეატრის დაარსებისას მე 12-13 წლით ადრე უკვე ვიყავი დრამატურგი და მის განვითარების პროცესს თავიდანვე თვალს ვადევნებდი. „დურუჯის“ დაარსების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, თუ შიგნით რა შეთქმულება ჰქონდათ. კორპორაციის მნიშვნელობა გერმანიაში სწავლისას ვიცოდი და ვგრძობობდი რა მახეშიც გადებმოდნენ. მაშინდელი ექვებში, თუმცა გვიან, მაგრამ გამართლდა. რასაკვირველია „დურუჯმა“ თავისი დადებითი მხარე გამოიყენა: ერთგვარი ერთსულოვნება შექმნა, საბჭოთა პლატფორმაზე დადგა და საბჭოთა პიესების განხორციელება დაიწყო, გაემიჯნა, ასე ვთქვათ, ძველს და დახავსებულს კაოზს; განვითარების შემდეგ, დიოლექტიკურად ამ იარაღმა თანდათან მასვე ბოლო მოუღო. ისეთ ორიზომ მოემწყვდნენ, რომ მარტო ვარსკვლავებს ხედავდნენ და არ ესმოდათ აქეთ-იქით რა ხდებოდა. არც მეგობრული რჩევა ესმოდათ, რაიმე კრიტიკულის დაწერაც მათი შეურაცხყოფა იყო. ძალაუნებურად კორპორაციას ვინმე ფეტიზმად უნდა გაეხადა და გახადა კიდევ. ზოგიერთმა ამხანაგმა გამბედაობა გამოიჩინა და ჩემს სენხია ახმეტელს უთხრეს: „ბიჭო ასე არ შეიძლება“. ამ ფეტიზმს ვინც ეტყობა, ასე ნუ მივდივართო, ის მისი მტერი იყო. ასე დაემართა არა მარტო იქ მოტრიალე ხალხს, არამედ დრამატურგებსაც. რასაკვირველია

ასეთი არანორმალური მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ხელისუფლების დადგენილებაში სრული სიმართლეა და რუსთაველს აკ. თათარიშვილს განვუცხადებ, რუსთაველის თეატრის გაჩნდება ერთი-ორი წლით ადრე რომ მომხდარიყო, ასეთი კარჩაეკეტობა, მათი ასეთი მოქმედება მუხახისებური და ნით დასაკრელი აღარ იქნებოდა. ბოლოს მოთინების ფილა ყველას აევსო. აღარ შეიძლება ამდენი დაუფიქრებლობის, უხეშობის დაშვება, რაც საქმეს ვნებს. თეატრი ერთი კაცის სათარეშო მოედანი არაა. იგი ჩვენი კულტურული განძის სალარაოა. არავინ მისცემს მსახიობს საუთარ ნებაზე ატლიანეების, დრამატურგებისათვის კისრის მოჭრის, საზოგადოებისათვის ზიზილ-პიპილას ჩვენების ნებას. დარწმუნებული ვარ, ისეთი ამხანაგები, როგორებიც არიან აკაკი ვასაძე, შოთა აღსაბაძე, აკაკი ხორავა, საქმეში გაამართლებენ და ამას თქვენ მალე დაინახავთ (ტაში).

**აშხ. შიხ ჯავახიშვილი:** სათქმელი თითქმის აღარ დამრჩა. მეც და ზოგიერთ თქვენთაგანსაც ძველი თეატრი ახსოვს. უდავოა, რომ უწინდელი თეატრის წარმოდგენასა და ცალკეულ თვალსაჩინო არტისტებსაც თავისი სტილი ჰქონდათ, მაგრამ ძველ თეატრს ერთიანი სტილი არ შეუქმნია. რუსთაველის თეატრის უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ მან თავისი განუმეორებელი სტილი შექმნა. იგი ბევრს არ მოსწონდა (ეს სულ სხვა საკითხია), მაგრამ ერთგვარი ხიფათი არსებობდა, რომ უკიდურესობამდე დაყვანილ სტილს ერთგვარი ყაზარმული იერი დასდებოდა. ს. ახმეტელის დამსახურებას ნურც შევამცირებთ და ნურც გადავაპარებთ. ცხადია, ამ სტილის შექმნაში უდიდესი მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა არტისტებმა — აკ. ვასაძემ, აკ. ხორავამ, რეჟისორებმა ეგრეთვე მთელმა კოლექტივმა. ეს იმის საწინდარია, რომ უახმეტლოდ რუსთაველის თეატრი სტილს არ შეიცვლის, ვინაიდან ეს მეტად სასიხათო საქმეა. ამ უდიდეს მიღწევებსა და დამსახურებას ნაკლიც თან ახლდა. სიდაც არტისტის შემოქმედება შებოჭილია, თეატრს უდიდესი ხიფათი მოეღოს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში სათუბარო კულტურამ გარკვეული გეზი აიღო — არტისტის შემოქმედების, თაოსნობის, ინიციატივის უნარს ხელ-ფეხი გაუხსნა. რუსთაველის თეატრამდე ეს ამბავი არ მოსულა. ს. ახმეტელთან საუბარი მეც მჭო-

ნა და მან მითხრა — რომელსაც ვაზეთში წაიყვით, რომ მაინცა და მაინც გარუსტის ასეთი მნიშვნელობა არა აქვსო. სახელმძღვანელოდ მიჩნეული ეს გეზი უდიდესი შეცდომა იყო. იგი დროზე უნდა იქნას გამოსწორებული, თორემ შესაძლოა გვიან იყოს.

მეორე საკითხი — მწერლობა და თეატრია. ერთ დროს საკავშირო დრამკომის რწმუნებულები გახლდით საქართველოში, შემდეგ აქვე კისიაში და რუსთაველის თეატრთან ურთიერთობა მქონდა. მანამდე შორიდან მესმოდა, თუ რა იყო ავტორი ახმეტელისათვის. ძალიან ხშირად მქონია ლაპარაკი მწერლის მორალურ უფლებებზე. აქვს თუ არა თეატრს უფლება პიესა იმდენად გადააკეთოს, რომ ავტორმა ნაწარმოები ვეღარ იცნოს? რომ გენერალურ რეპეტიციებზე დრამატურგს სპექტაკლს არ უჩვენებდნენ? მე საბჭოთა კანონმდებლობაში იმ გეზს ვიკავებ, რომ ნაწარმოები გადაკეთების უფლება ავტორის ნებადაურთველად არაიქნება. სამწუხაროდ, ხშირად მესმოდა „наплевать.“ არც სხვა მხრივ უწევდა ანგარიშს ავტორებს ს. ახმეტელი, რომელსაც ეხლაც უდიდეს პატივს ვცემ. სამხატვრო საბჭოს წევრად ყოფნისას ათიოდე პიესის გენერალურ რეპეტიციას დავესწარი და მაგალითი არ ყოფილა, რომ ყურადღება არ მიმექცია იმ ქართულისათვის, რომელიც სცენიდან ისმის. უწინ ახალგაზრდა ქართულ ენას სკოლაში არ სწავლობდა — თეატრი იყო მისი მასწავლებელი, სადაც საუკეთესო დიქცია და გამართული ენა ისმოდა. აქ კი ძალიან ხშირად გონჯი ფორმა ისმის. დარწმუნებული ვარ, ამიერიდან თეატრი დამახინჯებულ ფორმებს დიდ ყურადღებას მიაქცევს. ამის შესახებ გამსახურდიამ დაწვრილებით მოგახსენიან და აღარ ვავივიორებ, რომ შეუძლებელია უდრამატურგოდ თეატრის არსებობა, როგორც უარტისტოდ. ხელოვნების არც ერთ დარგში კოლექტიური მუშაობის პრინციპი ისე არ ხორციელდება, როგორც თეატრში.

უკვე შეამჩნიეთ, იმისთვის არ შევკრებილვართ, რომ წარსულს კიდევ ერთი ქვა ვესროლოთ. ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლებასა და საზოგადოებრიობას მეტად ჯანსაღი გეზი აქვს აღებული. ყველას გეჭონია შეცდომები, დანაშაულიც ჩაგვიდენია, მაგრამ ჩვენი მეგობრებიცა და ხელისუფლებაც მათ გამოსასწორებლად დახმარებას მუდამ ცდილობდნენ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ახმეტელი-

სთვის მისჯილი დამსახურებული სასჯელი საეხებით საკმარისია. თეატრმა და დრამატურგებმა ერთმანეთს მჭიდროდ ჩავეკიდოთ ხელი და სწეულებაშეპარული თეატრის განჯანსაღოთ (ტაში).

ამხ. გ. ბააზოვი: ესოდენ მნიშვნელოვანი საღამო არ მახსოვს. ყოველთვის, როდესაც რუსთაველის თეატრში გვესტუმრებოდა, მწერალთა საზოგადოება ერთ მხარეზე იდგა, ხოლო თეატრი კი მეორეზე. ათი წლის მანძილზე თეატრს დიდი მიღწევები ჰქონდა, რის შესახებაც ლაპარაკობენ პარტიული დოკუმენტები და საბჭოთა კავშირის ქალაქებში ჩატარებული გასტროლები. მიუხედავად ამისა იყო თვითმკაცოფილების, ზემოდან ცქერისა და საბჭოთა საზოგადოების აბუჩად ავადების მტკიცეული ხაზი. იგი ხელმძღვანელობის მცდარი პოზიციის გამო მიმდინარეობდა. ამ მიზეზით მწერლობასა და თეატრს შორის საერთო ენა არ იყო. ჩემმა უფროსმა ამხანაგებმა კარგად თქვეს — უდრამატურგოდ თეატრი წარმოუდგენელია. ძალიან კარგად ილაპარაკა გამსახურდიამ, რომ თეატრი ეს არის ლაბორატორია, სადაც ორიგინალური დრამატურგია იქმნება და რომლის გარეშეც თეატრი ვერ განვითარდება. საბჭოთა თეატრი ერთად-ერთია მსოფლიოში, რომელიც ახალ კადრებს ზრდის. მართალია, არსებობს ძველი ეთიკა — წაქეუულს არ სცემენო, მაგრამ ბოლო დროს სწორედ რუსთაველის თეატრში არ გაიზარდა არც ერთი მსახიობი, რეჟისორი, მსახიობი ქალი თუ დრამატურგი ქალი. მიჩვენეთ დრამატურგი, რომლის მეორე პიესა თეატრს დაედგას. პ. სამსონაძის „სალტე“ კარგი იყო, მაგრამ რატომ არ დაიდგა მისი მეორე პიესა? (ხმა დარბაზიდან — არ ვარგა), რატომ არ დაიდგა ალ. მაშაშვილის მეორე პიესა? თეატრი ამის შესაძლებლობას არ ქმნიდა. პირიქით, როცა ს. ახმეტელი ჩვენთან მოვიდა, დადგმულ პიესებსაც პროცენტებით ზომავდა — თქვენი პიესა 75%-ით მე მეკუთვნის, თქვენი პიესა 50%-ით მე დავეყურე და ა. შ. უკანასკნელ პარტიულ დოკუმენტში, 13 სექტემბრის დადგენილების სახით აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თეატრს მხატვრული დეოლოგიური ჩავარდნები აქვს.

ორი წლის წინ ვაზეთ „კომუნისტში“ დრამატურგებმა ხმა აიმაღლა. ს. შანშიაშვილისა და შ. დადიანის წერილები სიხანლა

იყო იმისა, რომ თეატრში ყველაფერი რიგზე არ არის. ამას შეგნებული ნაწილი გრძნობდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდნენ. დრამატურგებს თეატრის ხელმძღვანელი მივლილებდა, პიესას რეპერტუარში გამოაცხადებდა, ოთხი წლის განმავლობაში ამზადებდა, გაქებდა კიდევ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამოუშვებდა. ასეთი გზით ურთიერთობა არ განვითარდება. შესაძლოა რომელიმე დრამატურგმა სუსტი პიესა დაწეროს. მაშინ საჭიროა ავტორს ნაკლსა და შეცდომებზე მიეთითოს, რომ მან გადააყეთოს ან ხელი აიღოს პიესაზე. როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, თეატრში საბჭოთა დისციპლინა არ იყო (ამაზე ხორავამ ქარგად ილაპარაკა), რის გამოც ქართული საბჭოთა დრამატურგია დაჩაგრული აღმოჩნდა.

არ ვლაპარაკობთ, რომ ჩვენი დრამატურგია ძლიერია. ამაზე სხვებმა ილაპარაკეს. ქართველი საბჭოთა დრამატურგები მივესალმებით რუსთაველის თეატრის მესვეურთა მოსვლას და ვეუბნებით: სადაო და გასაყოფი არაფერი გვექონია. იყო ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები. ამის შესახებ პარტიამ და ხელისუფლებამ ავტორიტეტული სიტყვა დროულად თქვა. გაუმარჯოს ქართული საბჭოთა დრამატურგიის ზრდასა და განვითარებას რუსთაველის თეატრთან ერთად (ტაში).

**ამხ. ხ. ეული:** ამხანაგებო! მწერლები-სა და თეატრის ახალი ხელმძღვანელობის დღევანდელი შეხვედრა დიდი მნიშვნელობისაა. ამხანაგებს მინდა მოვავიწყოთ ის წარსული შეხვედრა, რომელსაც ამ დარბაზში ჰქონდა ადგილი. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელ კრებაზე თეატრის ინიციატივით ვართ მოწვეულნი. მაშინ კი ჩვენ მოვიწვიეთ თეატრის მუშაკები. საერთო ენის გამოჩახვა გვიწოდდა, მაგრამ ს. ახმეტელის სურვილი საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ამხანაგებმა უკვე თქვეს რა მოხდა რუსთაველის თეატრში. ამხ. ხორავას სიტყვაში ის იყო საგულისხმი, რომ თეატრში ახალი წესითა და მეთოდით მუშაობა არ მიმდინარეობდა. იქ სულ სხვა ამბავი იყო, რაც ხორავას არ უხსენებია, მაგრამ ჩვენთვის აშკარაა, რომ იქ საკუთარი სახელმწიფო იყო და ამას დღემდე ვგრძნობთ. თეატრის შემდგომი განვითარებისათვის ეს უსათუოდ უნდა დავიხსოვოთ. პარტიისა და

ხელისუფლების ისტორიული დადგენილების შემდეგ, ასეთ მდგომარეობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. მუშაობის ეს მხარე თუ არ გადახალისდა, არავითარ ახალ მეთოდზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ერთი შენიშვნა პატივცემულ კ. გამსახურდიას სიტყვის გამო. ლიტერატურაში ის არ არის თარგმნის წინააღმდეგი, არ მხრივ იგი ცნობილი მთარგმნელია. რატომ არ შეიძლება თეატრისათვის თარგმნილი პიესების დადგმა? მე მგონია ეს შეცდომაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თარგმნილ პიესებზე გავიდეს სეზონი. ამასთანავე თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიის ნიმუშები ქართულ სცენაზე უსათუოდ უნდა იდგმებოდეს.

კ. გამსახურდიას სიტყვიდან გამოსქვივის, რომ რუსთაველის თეატრის ათი წლის განმავლობაში იგი მიღწევებს ვერ ხედავს. თქვენი იცით, რომ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებაში თეატრის მიღწევები გარკვევით არის აღნიშნული. ამას არც ვმაღავთ. ეს ამბები მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განცდილი კრიზისითაა გამოწვეული. ვფიქრობ, ჩვენი დამოკიდებულება დღეის შემდეგ პრაქტიკულ ნიადაგზე სულ სხვაგვარად წარიმართება. როგორც ამხ. პ. იაშვილმა მოგახსენათ ჩვენ უნდა განვიციოდეთ თქვენს ტკივილებსა და სიხარულს, უშუალო მონაწილეობას ვიღებდეთ თქვენს მუშაობაში. ვინაიდან თქვენი დამარცხება ჩვენი დამარცხებაა, თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა (ტაში).

**ამხ. აკ. თათარაშვილი:** წინადადება არის, კამათი შეწყვედეს. ვინ არის მომხრე. კამათი შეწყვეტილია.

ამხანაგებო! შესავალ სიტყვაში აღვნიშნე, რომ დღეიდან ის ტრადიცია უნდა მოისპოს, რომელიც თეატრსა და ლიტერატურულ საზოგადოებას შორის დამყარდა. მათმა გამოსვლამ, ვის ხელშიც არის თეატრის შემდგომი განვითარების სადავეები, დაგვიმტკიცა, რომ თეატრი დაადგა შინაგანი ზრდისა და წინსვლის გზას, ჩვენი პარტიის შეფასება თეატრში არსებული მდგომარეობის შესახებ საეცხვით შეესაბამება ლიტერატურულ საზოგადოებაში შექმნილ განწყობილებას.

გამოთქვამ რწმენას, ჩვენს შემოქმედებით ურთიერთდამოკიდებულებაში შევქმნით თანამშრომლობის, ხელშეწყობისა და დახმარების საქმიან ატმოსფეროს. სრულიად არ



ვადგივართ ძმ თვალსაზრისის, რომ ამა თუ იმ დრამატურგის ყოველი ნაწარმოები თეატრში შემოქმედებისათვის სავალდებულოდ გაიხადოს. საკითხი ასე არ დგას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ თეატრალურ მშენებლობაში დრამატურგიულმა შემოქმედებამ მისთვის კუთვნილი საპატიო ადგილი მოიპოვოს. მთავარი ეს არის. ჩვენი ლიტერატურული საზოგადოება კი შეეცდება, ხელი შეუწყოს თეატრს იმ დიადი ამოცანის გადაჭრაში, რომელიც მის წინაშე ამჟამად დგას. ეს განხორციელება მთელი რიგი ორიგინალური ნაწარმოების შექმნით, რომლის ორიგანიზაცია მწერალთა კავშირს ეკისრება.

ამხანაგებო! მამ გაუმარჯოს ჩვენს საქმიან შემოქმედებით კავშირს, გაუმარჯოს რუსთაველის თეატრს და მის მომავალს, იმ გარდაქმნის გზაზე, რომლისკენ მას ჩვენი პარტია და ხელისუფლება მოუწოდებს (ტაში).

სიტყვა წინადადებისათვის ეკუთვნის ამხ. ბეს. ჟღენტს.

**ამხ. ბეს. ჟღენტი:** დღევანდელი კრება გამომახატებელია არა მარტო საბჭოთა მწერლობის, არამედ მთელი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის დამოკიდებულებისა პარტიისა და მთავრობის დადგენილების მიმართ, რუსთაველის თეატრის შესახებ. უეჭველია დღევანდელი მუშაობის შედეგი ერთგვარ რეზოლუციაში უნდა ჩამოყალიბდეს. წინადადება შემომაქვს მივიღოთ შემდეგი რეზოლუცია:

საქართველოს საბჭოთა მწერლების აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი მუშაკების საინფორმაციო მოხსენება თეატრის მუშაობის გარდაქმნაზე საქართველოს სასკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 13 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე „რუსთაველის თეატრის“ შესახებ წარმოადგენს მძლავრ იმპულსს, კერძოდ, რუსთაველის თეატრის და საერთოდ მთელი ქართული საბჭოთა მხატვრული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ეს დადგენილება იმის მაჩვენებელია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უდიდესი მზრუნველობით თვალყურს ადევნებდა საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის განწყობილებებსა და მოთხოვნილებებს. ხელშემწყობი პირობების შექმნასთან ერთად, დროულად და დაუზოგავად აღკვეთავს ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც კი შეაფერხებს საბჭოთა ხელოვნებისა და თეატრის განვითარებას.

კრება ურყევ რწმენას გამოთქვამს, რომ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი კულტური, განხნევებული პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობით, გარემორტყმული მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის სიყვარულით, ხსენებული დადგენილებიდან გამომდინარე ენერგიულად გაშლის ბრძოლას ყველა ამოცანის განსახორციელებლად და მუშაობის თანმიმდევრული გარდაქმნით მოიპოვებს ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს სოციალისტური ეპოქის შესაფერი თეატრალური კულტურის მშენებლობაში.

სასკომსაბჭოსა და ცკ-ის 13 სექტემბრის დადგენილება საფუძველშივე სპობს იმ გათიშვის საფრთხეს, რომელიც უკანასკნელ წლებში არსებობდა საბჭოთა დრამატურგების ძირითად მასასა და რუსთაველის თეატრს შორის, თეატრის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი კორპორაციული დისციპლინისა და კარჩაკეტილობის მეოხებით.

საბჭოთა მწერლების მთელი აქტივი მკიდრად დაუკავშირდება რუსთაველის თეატრს და მის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიური ჩაბმით უზრუნველყოფს ამხანაგური ურთიერთდახმარების განმტკიცებას.

საბჭოთა მწერლობა იმისათვის იბრძოლებს, რომ რუსთაველის თეატრი უზრუნველყოფილ იქნას მაღალხარისხოვანი ორიგინალური დრამატურგიით. საბჭოთა მწერლები აქტიურად დაეხმარებიან თეატრს მისი შემოქმედებით გზების გადასინჯვისა და სწორი, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დამყარებული შემოქმედებითი მეთოდის გამომუშავებაში. საბჭოთა მწერლობა მთელი თავისი ავტორიტეტით იბრძოლებს რუსთაველის თეატრის გარშემო ჭანსალი პროლეტარული საზოგადოებრიობის დასარაზმავად და თეატრის საუკეთესო მიღწევათა პოპულარიზაციისათვის მშრომელთა ფართო ფენებში.

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც ურყევ გარანტიას წარმოადგენს საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების ყველა დარგთა შეუჩერებელი გზის აყვავებისათვის.

**თავმჯდომარე** — ვინ არის მომხრე, რომ დადგენილებს ეს პროექტი მიღებულ იქნეს... დადგენილება ერთხმად არის მიღებული (ტაში). სხვა საკითხები დღევანდელ პრეზიდიუმის სხდომაზე არ არის. სხდომას დახურულად ვაცხადებ.

# პენოლოგიის საკითხები ვაჟა-ფშაველას

## პუბლიცისტიკაში

პარლო სინარულიძე

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეთნოგრაფიას, კერძოდ, მთიანეთის ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციებსა და ადამიანებს ეხება. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ეროვნული მწერლობის შენარსი და პრობლემატიკა უფრო მასშტაბური გახდა, გაიზარდა საკითხთა გეოგრაფია, მეტი ყურადღება დაეთმო სოფლის ცხოვრებისა და ყოფის ასახვას. ქართული სოფლის ყოველდღიური სატიკიარი სულ უფრო მეტად აღელვებდა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთ. ნათლად გამოიკვეთა ქართული პროვინციის აშკარა ჩამორჩენილობის დაძლევის აქტუალობა და მნიშვნელობა. გულისტკივილითა და შეშფოთებით აღწერდა საუკუნის მიწურულის ტიპურ ქართულ სოფელს ნ. ნიკოლაძე: — „სოფელი წმინდად ნაოხარს მოგვაგონებს, — წერდა იგი, — აქიპყნილდაქიპყნილი, მიქცეულ-მოქცეული ქობახები, დაგლეჯილ-დაფლეთილი სახურავები, ერთმანეთში არეულ-ღარეული სასუქით სავსე ეზოები, ვიწრო, უწმინდურობით გატენილი ოღრო-ჩოღრო გზა და ორლობები, შიგ სახლის კარებთან გაკეთებული კალოები, რის გამოც ხელის დადებამზე მტკერი ძვეს ყველა სახლის კუთხეში...“

საქართველოს სოფლის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებდა პოლიტიკური უუფლებობა, მეფის მოხელეთა თვითნებობა, რის გამოც რეფორმის შედეგად გლეხობისთვის მინიჭებული შედეგები ფეხქვეშ ითლებოდა.

ყველა ეს პრობლემა მთელი სიმწვავეით იდგა საქართველოს მთის მოსახლეობის წინაშე. საგულისხმოა, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველად ვაჟა-ფშაველამ ასახა მთელი სისრულით ფშავეში, თუშეთსა და ხევ-

სურეთში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა და სატიკიარი.

როგორც გ. კიკნაძე შენიშნავს, „ვაჟა-ფშაველამ ისე გაიაზრა და ასახა მთიელთა ცხოვრება, რომ აშკარა გახდა მათი განუწყვეტელი კავშირი მთელი ქვეყნის საარსებო ინტერესებთან.“<sup>2</sup> და მართლაც ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური მემკვიდრეობა იმის ნათელი დასტურია, რომ მთიელი ბართანაა, მის გვერდით დგას, რომ მთის მოსახლეობის სულისკვეთება საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთა იდეალებისა და მიზნების იდენტურია.

1912 წელს ეპისკოპოსმა ანტონმა ფშავესურეთში იმოგზაურა და „საქართველოს სასულიერო მთავრობას“ წარუდგინა მოსაზრებანი, რომელშიც ფშავესურები წარმართებად და კერპთაყვანისმცემლებად მონათლა, მოითხოვა მათში ქრისტიანობის „აღორძინება“ მოძრავი ეკლესიების საშუალებით.

1914 წელს „სახალხო გაზეთში“ დაისტამბა ვაჟა-ფშაველას საპასუხო წერილი — „ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავესურთა სარწმუნოებაზე“, რომელშიც მწერალმა მკაცრად გააკრიტიკა ეპისკოპოსის მცდარი შეხედულებანი, ნათლად უჩვენა მკითხველს, რომ ამ საკითხს არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც ეროვნული ასპექტი გააჩნდა. მაშინ, როდესაც ასე მწვავედ იდგა დღის წესრიგში მთელი საქართველოს ერთ ეროვნულ ორგანიზმად გაერთიანების ამოცანა, მთის მოსახლეობის წარმართებად მონათვლას, საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უძლიერესი გამაერთიანებელი საშუალების — ქრისტიანული რელიგიიდან მათ ჩამოშორებას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. „ურკულო მთის“ იდეა კიდევ უფ-



რო განაცალკევებდა ერთმანეთს ისედაც გათიშულ ბარსა და მთას.

„...სარწმუნოება, — წერდა ვაჟა-ფშაველა, — მე მესმის, როგორც შედეგი ადამიანის გონებრივის, სულიერის განვითარებისა და არა იმათი შუაზე გადაღწევა-გადამტკერებისა და დასახიზრებისა. ძალად შეიძლება მოხლოდ ფორმა შეათვისებინო ადამიანს, ფორმა სარწმუნოებისა, ხოლო ამ საშუალებით მისი მართლმორწმუნედ გახდომა ყოველად შეუძლებელია. დღეს სადა გვაქვს ჩვენ ნამდვილი ეკლესია? მაჩვენეთ თუნდ ერთი რომელიმე კუთხე საქათველოში მთისა, გინდა ბარისა, ეკლესია ასრულებდეს ნამდვილს თავის დანიშნულებას? ძალიან ძნელია ამისთანა ეკლესიის პოვნა, ეს სატკივარი ჟამთა ვითარების ნაყოფია, დღევანდელი ჩვენი ეკლესია ფორმაში გამოიხატება, ხოლო მღვდლის სამსახური მარტო წესების ასრულებაში“.<sup>3</sup>

მწერალი სარწმუნოების როლსა და დანიშნულებას ეპისკოპოს ანტონისგან განსხვავებით, სულ სხვა, ეროვნული პოზიციიდან მიუდგა. დაინახა ის მთავარი და არსებითი, რითაც მორწმუნე მთის მოსახლეობა სამშობლოს ისტორიას, მის აწმყოსა და მომავალს უკავშირდებოდა. ვაჟას აზრით, მთაში გავრცელებული სარწმუნოებრივი ადათებისა და ტრადიციების ხელყოფა ადგილობრივ მოსახლეობაში რწმენის დაკარგვას, გმირული წარსულის და ნათელი მომავლის იმედის წაშლას, გადაგვარებას ნიშნავდა. ამავე წერაში ვაჟა-ფშაველამ თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მთაში ტრადიციად ქცეული მრავალი ეთნოგრაფიული ხასიათის წეს-ჩვევა გააანალიზა. „იქნებ წარმართობა, წერდა იგი, — იქ არის დაფარული, ხატებში, რომ დროშებს აქლერებზე ხევისურები და ქართველ მეფეთაგან შეწირული თასებით, და ახლა როგორი, და რა ხელოვნურად გაკეთებული თასებით, დიდრონი ვერცხლის სურებით, — ჰსევამენ ლუდსა და ღვინოს?! ახლა წაიკითხეთ ვისგან არის შემოწირული და მშვენიერის ხელით დაწერილი ეს სურები, ეს თასები, და სხვადასხვა ჭურის კურკული: „მე თამარმა დიდოფალმა საქართველოსამ შემოვწირე“ და სხვ. „მე ვახტანგმა მეფემ საქართველოსამ შემოვწირე წმინდა გიორგის და სხვა“.<sup>4</sup>

ვაჟა-ფშაველამ საცხებით სწორად შეაფასა ეპისკოპოს ანტონის მიერ შემოთავაზე-

ბული მოძრავი ქრისტიანული ეკლესიების შემოღების არასასურველი შედეგები. მისი აზრით, ასეთი ეკლესიები, მთის ცხოვრებაში ახალს ვერაფერს შემოიტანდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მთაში ყველა რელიგიური ცერემონიალი ისედაც სრულდებოდა, ასეთ „ღონისძიებას“ კი ზნეობრივი „ღლეწამტყვევა“, არეუ-ღარევა და რწმენის დაკარგვა მოჰყვებოდა.

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილების დიდი უმრავლესობა გამოირჩევა ღრმა მეცნიერული წვდომით, მათში გადმოცემული მთის ადათები, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები განხილულია ქვეყნის ისტორიასთან ორგანულ კავშირში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ პუბლიცისტი არ კმაყოფილდება ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ნიუანსის მხოლოდ მშრალი აღწერით, მისი წარმოშობა-ჩამოყალიბების ისტორიული კანონზომიერების საბუთებსაც ეძებს, აანალიზებს მათ როლსა და დანიშნულებას, ხშირად კი არც ზოგიერთი ჩვეულების ჩამორჩენილობასა და უზნეობაზე ხუჭუკს თვალს.

წერაში — „ხევისბერობა მთაში და მისი დღევანდელი სვე-ბედი“ ვაჟა-ფშაველამ საინტერესოდ მოუთხრო მკითხველს მთის ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენის შესახებ, როგორც ხევისბერობა და ხევისბერია. მისი აზრით ხევისბერობის ფსიქოლოგიის გასარკვევად პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს ვისი შემკვიდრება ხევისბერი — წარმართობისდროინდელი მოგვისა თუ ქრისტიანი მღვდლისა. ვაჟას მიაჩნია, რომ მღვდლობის ინსტიტუტი, ვიდრე იმ ფორმას მიიღებდა, რომელიც მას XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა, ადრე, უფრო სადა და მარტივი უნდა ყოფილიყო, თუნდაც ისეთი, როგორც მოგვობა. მისი აზრით ხევისბერობა არის „მოძღვრება, — გამომხატველი მაცხოვრის მცნებისა — საცა სახელითა ჩემთა შეკრბენ ორნი და სამნი, მე მათ შორისა ვარო. ხევისბერის წირვა-ლოცვას არ ეკირება ეკლესია, იგი სწარმოებს პირდაპირ ცის ქვეშ, რამდენიმე იფნის ხით დაჩრდილულ მდელიოზე“.<sup>5</sup> მწერალი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ხევისბერები ხალხში სამღვდლოებასთან შედარებით უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ხევისბერი ჩაცმა-დახურვით, განათლებით არაფრით არ განირჩევა სხვა

ხალხიდან“ და, გარდა ამისა, „იმი ხატს, რომელსაც ხევისბერი ემსახურება მავ. წმინდა გიორგის, არა აქვს სახიერება“, რაც საშუალებას აძლევს მლოცველს „როგორც უნდა ისე გამოიხატოს იგი გონებაში, თავის ფანტაზიაში“, ვაჟა-ფშაველას აზრით „მდაბიოდ, მდაბიო ადგილას ვედრება ღვთისა, შეიცავს პროტესტს ეკლესიურ ღვთის სამსახურების და მღვდლების წინააღმდეგ“.

ეთნოგრაფიულ წერილებში ვაჟა-ფშაველა ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა მთისა და ბარის ერთიანობის იდეას, საერთო ისტორიულ საწყისს, იდეალებსა და მრწამსს. პუბლიცისტის უპირველესი მიზანი იმის ჩვენებაა, რომ ფშავ-ხევსურების პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი სიყვარულის უდიდესი გრძნობა, განუყოფელია ბარის მოსახლეობის ისტორიული ძირიდან. რაკი ერთი იყო საწყისი, ერთი უნდა იყოს მომავალიც — ასე შეიძლება გამოიხატოს პუბლიცისტის მთავარი პოზიცია. ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით გამოიკვეთა ვაჟა-ფშაველას წერილში — „თამარის ცხვარი ფშავში“, რომელიც 1902 წელს დაისტამბა ვაზეთ „ცნობის ფურცელში“. წერილი საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს, მთელი რიგი მინიშნებებითა და პრობლემების დასმით კი მკითხველის ინტერესს იწვევს. ამ პუბლიკაციით ერთხელ კიდევ ნათლად დასტურდება მწერლის ეთნოგრაფიული საქმიანობის უდიდესი მნიშვნელობა. პუბლიცისტის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ ზნე-ჩვეულებებით, ადამ-წესებით, მსოფლმხედველობით ორი ისეთი ახლობელი ხალხი, როგორიც ფშაველები და ხევსურები არიან, თამარ მეფის ბსოვანსაც კი განსხვავებულად სცემენ პატივს: „...თამარი ფშაველს და ხევსურებს ერთნაირად არ ემსახვით, — წერს იგი, — ამ მოვლენას, უსათუოდ, თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. სახელი და დიდება თამარისა ხევსურთა შორისაც დატულია მტკიცედ, რა თქმა უნდა, ხოლო ეს ვერ გაიგია. თუ ფშაველებივით ხევსურთ ვერ შესძლეს თამარის სახელზე სალოცავი ჰქონოდათ, ვინ უშლის მოვიდნენ სალოცავად ფშავში „თამარ მეფობას“, როგორც ამ დღეობას ეწოდება? არ ვიცი, მე ამაზე გადაპრით ვერაფერს ვიტყვი: ფაქტს კი აღვნიშნავ, ხოლო გარკვევა მისი ჩვენ ისტორიკოსთა და მკვლევართათვის მიმინდვია. ხევ-

სური ხევისბერი, როგორც ფშაველი, თავის „დიდებაში“ არ დაივიწყებს თამარს, როგორც დროს.“<sup>6</sup> მწერალი მკითხველებს მოუთხრობს ფშაველთა ერთ ფრიად საინტერესო ტრადიციას, — ფშაველებს თამარ მეფის სადიდებლად დღესაც ჰყავთ ცხვრის ფარა, რომელსაც „თამარის ცხვარი“ ეწოდება. ამ სახელით ზამთრობით იგი იკვებება შირაქში, ხოლო ზაფხულობით — მთებში. „თამარის ცხვარს“ უვლის ფშაველი კაცი, რომელიც თამარის ხატისგანვე არის არჩეული მკითხავი ქადაგის პირით. ვაჟა ამ ტრადიციაში საქართველოს გმირული ისტორიის პატივისცემას ხედავს. წერილის ბოლოს კი ქართველ ისტორიკოსთა მიმართ საყვედურსაც გამოთქვამს. „...კაბინეტში ჩაკეტილან და იქ ჩხირკედლაობენ მართო, მუდამ მასალის უქონლობას უჩივიან და ამგვარ მოვლენათ არ ეძებენ, გარეთ ვერ გამოსულან“.<sup>7</sup> ვაჟა მოუთხრობს მკითხველს, თუ როგორ ასწენა ერთ საზოგადოებაში „თამარის ცხვრის“ ამბავი და ამით საყოველთაო გაოცება გამოიწვია. საყვედურიც კი მიუღია, — თუ ასეთი ამბავი იცოდო, აქამდე რატომ დუმდიო, მწერალი ინტელიგენციასაც საყვედურობს: „მიზეზი ისაა ბატონებო, რომ არ ვიცოდო თუ ეს ამბავი არ იქნებოდა საზოგადოების ყურამდე მისული. რა მათეიქრებინებდა იმას, რაც მთელმა მთის ხალხმა, მდაბით ერმა, მთელმა კახეთმა იცის, ის ჩვენ ინტელიგენციას არ ეცოდინებოდა...“<sup>8</sup> „დიად, ასკვნის იგი, — თუ ჩვენ თვითონ არ შევისწავლეთ ჩვენი ქვეყანა, სხვები ჩვენ ვერ შეგვისწავლიან. ჩვენს თავს ჩვენ რომ არ ვაფასებთ, სხვა რა გიყავ ჩვენ დავაფასოს? ან მოსულს გარეშე უცხო კაცს სად შეუძლიან, გავლით ჩვენის ავკარგის მნახველს, ანგარიში გაუწიოს?!“<sup>9</sup>

„ნეტა არის სადმე სხვა ისეთი ღვთისა და კაცის მიერ დაიწყოებული მხარე, როგორც ხევსურეთი?“ — გულისტკივილით კითხულობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც საქართველოს მთის ამ უძველესი კუთხის საკვირბოროტო საკითხებს ყოველთვის დიდი ყურადღებით, რუდუნებით ეპყრობოდა. მის ეთნოგრაფიულ პუბლიკაციებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ხევსურეთის ისტორიას, მის თანამედროვე ცხოვრებას, მომავლის პერსპექტივებს. თავის წერილებში — „ხევსურეთში“, „ხევსურულ ქორწილში“, „ხევსურეთში“, „ხევსურის თავში“, ვაჟა-ფშაველამ ქა-

რთველ საზრგადობებრიობას უჩვენა ამ კუთხის ყოველდღიური ცხოვრება. წერილში — „ხევსურები“, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა, ავტორმა ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა ხევსურეთში გავრცელებული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები. ხევსურეთის მოსახლეობაში ძველთაგანვე არსებულ სამართლებრივ ნორმებზე საუბრისას მწერალი მკითხველს მოუთხრობს უაღრესად თავისებურ, საინტერესო ჩვეულებათ: „წყულელი, კრილობა, — წერს იგი, — მარცვლით გაიზომება. ერთი მარცვალი სწორედ ედება, მეორე გარდიგარდმო, რამდენი მარცვალიც დაედება წყულს, დამჭირება იმდენი ძროხა ან ხუთი მანეთი უნდა გადაიხადოს დაჭრილის სასარგებლოდ. მართლაც, რომ ეს კარგი მოგონებაა ხევსურების მხრით: ისეთი ხევსური არა მგონია მოიპოვებოდეს ხევსურეთში, რომ ან თვითონ არ იყოს სხვისგან დაჭრილი, ან თვითონ სხვა არ დაეჭრას. ხევსურეთის ყველა საქმეები, რომ ახალ კანონს ჩაეგდო ხელში, აქამდის ხევსურეთი კამჩატკაში დაარსდებოდა. ყველა ხევსურმა ეს კარგად იცის და კიდევ ამიტომ ფრთხილობს, რომ დაჭრილობის ამბავი „კანონის“ ყურად არ მივიღესო.“<sup>10</sup> წერილში აშკარად იგარძნობა, რომ ავტორს გულწრფელად აწუხებს ხევსურთა ყოფის ჩამორჩენილობა, სამართლებრივი დავის გარკვევის ადამისდროინდელი ნორმები. ამასთან ხაზგასმით მიუთითებს ხევსურთა ყოფის სხვა, უაღრესად კეთილშობილურ ტრადიციებზე, კერძოდ სტუმარ-მასპინძლობაზე. „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია, — წერს იგი, — სტუმრის მოსისხლე მტერს მასპინძლის მეზობელიც, თუნდაც ძმაც, რომ იყოს, არ შეუძრიათ სტუმარს ხმა გასცეს. თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაცვას.“<sup>11</sup> ბუნებრივია, ამ სტრაქონების წაქიხნისას ვაჟა-ფშაველას გენიალური პოემა — „სტუმარ-მასპინძელი“ გვახსენდება, რომლის იდეური დატვირთვაც ასე ახლოა პუბლიცისტის წერილში გადმოცემულ ეთნოგრაფიულ ინფორმაციასთან.

ეთნოგრაფიული ფენომენების აღწერისას, ვაჟა-ფშაველა მხოლოდ მათ ფიქსირებას როდი სჭერდება, მისი ჩამოყალიბების ისტორიულ მიზეზებში გარკვევასაც ცდილობს, წე-

რილში — „ხევსურები“ იგი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს თუ რატომ ექვეყნიან ხევსურები განსაკუთრებული ყურადღებითა და ზრდილობით მათს რელიგიურ დღესასწაულზე სტუმრად ჩამოსულ თუშებს და ფშაველებს კი, პირიქით. „სულ მცირე რამეზე, — წერს იგი, — შარს ჩამოუგდებენ (ფშაველებს, — კ. ს.), ჩხუბს აუტეხენ და თავდაკენილებს გამოისტუმრებენ შინა. ხშირად ამ დღეობაში ათი და ოცი ფშაველი დაიჭრება ხოლმე. მძიმედ დაჭრა კაცისა ამგვარს ჩხუბში სირცხვილია ხევსურისათვის, ქვეყანა გაკიცხავს: „ტრელ (შოზრა) ყოფილა, იმით უქნევავის ძალზედ ხმალი!“ გულადი, ხევსურის წარმოდგენით, „იმდენს გააჭრენინებს ხმალს“, რამდენიც თვითონ ჰსურს. თუ ჩხუბი გაძლიერდა და ცუდი შედეგის მომასწავებელი შეიქნა, მოჩხუბრებს ქალები გადაუდგებიან შუაზე, მანდილებს მოიხდიან და იმათ წინ გადაისვრიან: „ემას დასდევით პატივი, გეყვით, დაშველით...“ ხშირად, ხალხის გასაშველებლად, ხევისბერები დროშებს გამოიტანენ ხოლმე. თუშებს უფრო ზრდილობიანად ეკიდებიან ხევსურებში, რადგან იმათგან სიყვემე მოგონდებათ: ერთი თვის წინათ, მანამ ხახმატობა მოვა, თავი ხევისბერი დასტურებით წაიღებს ხახმატის ჯვრის დროშას და მთელ თუშეთს შემოათარებს, ჰკრებს შესაწირავს ფულით თუ საქონლით. ფშავეში ამის ნებას არავინ აძლევს.“<sup>12</sup> ხევსურების დამოკიდებულებას ხახმატობაზე სტუმრად ჩამოსული ფშაველების მიმართ მწერალი იმით ხსნის, რომ ფშაველები „შესაწირის არ სწირავენ“, რითაც უპატივემულობას იჩენენ ხევსურთა ტრადიციების მიმართ.

გაზეთ „ივერიაში“ 1889 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „ხევსურეთი“ მწერალი მკითხველს ხევსურთა ყოველდღიური ყოფის სიღუბეჭირეს, ჩამორჩენილობას აცნობს.

ვაჟა-ფშაველას ამ წერილს საფუძვლად კონკრეტული ამბავი უდევს. 1890 წელს, საქართველოში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ გადაწყვიტა ხევსურებისთვის სკოლის გახსნა. იქირავეს სახლი ბარისახოში, დანიშნეს მასწავლებელი. მაგრამ, ამ სასიკეთო წამოწყებამ ადგილობრივი მოსახლეობის შეზღუდულობის გამო ფეხი ვერ მოიკიდა. „სკოლა, თუნდ ამ ას წელიწადშიაც საძირკველს ვერ ასცილდება“, — წერს შემო-

თებულო ვაჟა. ხევსურებს არა სწამთ სწავლა-განათლების სიკეთე, არ ენდობიან არც მასწავლებელს, არც სკოლას. თავი და თავი ასეთი დამოკიდებულებისა, მწერლის ზრით, ხევსურთა ჩამორჩენილობაში უნდა ვეძიოთ.

მწვევე, აქტუალურ პრობლემას შეეხო ვაჟა-ფშაველა წერილში — „ხევსურის თავი“, რომელიც 1910 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“. ხევსურთა ზნის, ადრე-წესებისა და ტრადიციების აღწერასთან ერთად, მწერალი გვიჩვენებს მთის მოსახლეობის ბეჩავ მდგომარეობას, საუბრობს ჭირ კიდევ შემორჩენილ უაზრო, უსარგებლო ჩვევებზე, მათ შორის მთიელთა ერთერთ უძველეს ტრადიციაზე, — „კეჭნაობაზე“. „საბრალო ხევსური, ცარიელ ალაგს თავის ცხოვრებისას რომ ნაყოფიერი შრომით ვერ ავსებს, თანამომის სისხლითა პრწყავს, — წერს იგი, — ვინ არის დამნაშავე? ხევსური? არა, რა მიზეზიცაა, რა უნდა მოვსახოვოთ? რაც უანდერძებია მამა-პაპას, მარტოდენ ისაა მისი სწავლა-განათლება და იმას ებლაუტება ორივე ხელით. სწავლა-განათლებით იმას სხვა მოთხოვნილება არა აქვს შექმნილი. ახალის დროისა იმას არაფერი ესმის, რადგან არავის არ უსწავლებია მისთვის. ამიტომ იგი ძველებურად ფიქრობს, ჰგრძნობს, ძველებურად სჭრის და კერავს. მთელ ხევსურეთს არ მოეპოვება არც ერთი განათლებული კაცი, ინტელიგენტი, მთელ ხევსურეთში არ არის არსად სკოლა, მღვდლები ხომ ანგარიშში მოსატანნი არ არიან, რადგან ისინი ჯამაგირისათვის მსახურობენ მხოლოდ, ხევსურეთში არ ცხოვრობენ, წელში ერთხელ ან ორჯელ მოველინებიან თავის მრევლს, ვითა მძევარი მოფრინდებიან და მალეც გაფრინდებიან“.<sup>13</sup>

პუბლიცისტი გრძნობს, რომ ჩამორჩენილი, უსწავლელი, ბნელი ხევსურეთი გაღაშენების გზაზე დამდგარა, რომ მას შველა უნდა. „თუ ხევსურობით მეფენი არ იწუნებდნენ ხევსურებს, — წერს იგი, — ჩვენ რატომ არ უნდა შევიგუოთ ისინი? არ დავებმართოთ, არ გავუხსნათ გზა სინათლისაკენ, რადგან დღევანდელ ძალას სინათლე წარმოადგენს. რატომ არ უნდა გვესმოდეს, რომ ამით ჩვენს თავს ვარკებთ. ჩვენს ქვეყანას ძალას შევმატებთ და თუ წინააღმდეგად მოვიქცევით კი, ზარალის მეტს ვერაფერსა ვნანავთ“.<sup>14</sup>

ზემოთ აღნიშნული წერილი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალის გადმოცემასთან ერთად მწერალი გვიხატავს პატარა ხევსურის — წიქას უაღრესად კოლორიტულ სახეს, რომელმაც სწავლა დააპირა, მაგრამ გაჭირვება აიძულებს ისევ „დაუბრუნდეს ხევსურეთის ხალს კლდეებს, აიღოს ხელში ფარი და ხმალი, ყლურჭოს არაყი და კეჭნოს თავისი თანამომემნი, თავადაც რასაკვირველია დაიკეჭნოს იმათგან ნაცვლად იმისა, რომ წიქას თავი, ტვინი დაკეჭნილიყო, მოკირწყულიყო სწავლა-ცოდნითა, უნდა გახდეს საგანდ, სანავარდოდ მხეცური ვნებათ დელისა...“<sup>15</sup>

ვაჟა-ფშაველას მიერ ეთნოგრაფიულ თემაზე გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს „ფშაველები“, „აფხუშობა“, „ფშაველების ცხოვრებიდან“, „ლაშარობა“, „კობალა და იახსარი — დევების მებრძოლი“, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“, „ხალარჯობა და რიგები“, „ფშაველების ზრით, რა როგორ გაჩნდა“, „ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშავეში“, „ლაშარობის ჯგრის დღეობა ანუ ლაშარობა“ და სხვა. რომლებშიც ნაჩვენებია მთის ყოფა-ცხოვრების ბევრი საინტერესო მხარე. 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „აფხუშობა“, რომელიც გაქდენთილია მთისა და, საერთოდ, სამშობლოს დიდი სიყვარულით, ავტორს მკითხველი შეჰყავს მკაცრ, ამავე დროს, ულამაზეს სამყაროში. სადაც „აქეთ იქიდან ჩამომდგარი ტყინი სერები ცხვირით ჩაჰედილან ხევში“. უჩვეულო ხალხთაგლობა და მოძრაობა ამ მყუდლო სალოცავში, სადაც ფშაველები ამაღლებას დღესასწაულობენ... „მინდორი, ხატის კარმიდამო, დაფარულია ბატკნებითა და კურატებით, რომლებიც პირდარბაზისაკენ დაუყენებიათ მლოცავებს. ისინი დამშვიდებულნი, ამაყად იჭიკრიბიან გარს, არ იციან, რომ ხევისბერი შიღებავს იმათის სისხლით ხელებს. მივარდნილ კუნჭულებიდან მოისმის სიმღერა ძველებური, მკვნესარი, სიმღერა გულისა ზღვება და ნაღველს აღვიძებს“.<sup>16</sup>

ყურადღებას იქცევს ხევისბერის აღწერაც: „...შუათანა ტანის კაცი, მუხის ძირით ჩასხმული, გაბარჯლული უღვაშებით,

მრისხანე სახისა.<sup>17</sup> ხევისბერი თემისა და სოფლის წინ დაჰუარას თასით სვამს მის შესანდობარს, რომელსაც „მოუკლავს ერთი ხანი და იმისი მუზარადი ხატისთვის შეუწირავს. ღღეს ამ მუზარადით დიდი და პატარა დაჰუარას შესანდობარს სვამს“. მთის გამართლი წარსულისა და გმირის გახსენებით პუბლიცისტი ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებასაც ცდილობს, საგანგებოდ მოუთხრობს მკითხველს გმირის მიერ სამშობლოსათვის თვითგანწირვის ამბავს: „...დაჰუარა წინად მეფის კარისკაცადა ყოფილა და კარგა ჰქონია თათრების აღდგომის აღებულის, იმათ ბინაშით რომ ბოლი ამოვარდებოდა, ის იმის ნიშანი იყო, რომ თათრები პურსა სჰამდენო, და რაოდესაც ჩჰარობდა, — დაიძინებდნენო. აფხუშოსი ვატეხის დროს დაჰუარა სათიბსა ყოფილა, ვკით უნახავს ცეცხლის ალი, უთუოდ აფხუშოეველთ უქირსო, უთქომ და გამოშვებულა. რომ მოსულა, აფხუშო ათხრებული დახვედრია. თითო ოროლობით მათურებებე ხალხი და დასდევნებია მტერს უკვენ. მასწევია მტერს და კარავში ნაჯდომს ხანს შაჰვარდნია შიგ.“<sup>18</sup>

ფშაველი გლეხის მსოფლმხედველობა, მისწრაფებები და ცხოვრების წესი ვაჟა-ფშაველამ ღრმა ისტორიული ანალიზის საფუძველზე მიაწოდა მკითხველს წერილში „ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებებზე ფშავეში“, რომელიც 1902 წელს დაისტამბა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. წერილის დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, რომლებშიც ფშავეს დღევანდელი სახე, არსებულ საზოგადოებრივ-პიროვნული და სოციალური ურთიერთობები განსაზღვრა, ამ ექსკურსს კი ორგანულად უკავშირებს ფშაველთა ცხოვრების ყველაზე მთავარ და განმსაზღვრელ მომენტებს. „ფშაველი გლეხთა ცხოვრება, — წერს იგი, — შედარებით ბარელებისასთან სრულიად სხვა ნიადაგზეა აღმოცენებული: მკითხველმა ვგონებ უნდა იცოდეს, რომ ფშავეის ქედი ბატონყმობის მიხედ უღლეს არ გაუხრეშია. ფშაველმა არ იცოდა, როგორც დღესაც არ იცის, ბატონყმობა რა იყო, — რა ავლადიდების პატრონი, ან რა ცოდვა მადლის ჩამდენი. ბატონად ფშაველებს დღესაც და ძველდაც თავისი „ხატები, სალოცავები“ ჰყავდათ და თავიანთ თავს ხატების ყმებად მსახავდნენ. მეფეები-

საგან სოფელ-სოფლად საკუთრებად ჰქონდათ ნაბოძები ტყე და სახნავ-სათიბის მთელი სოფელი რაღაც თავისებურს, თავადების კრებულს წაავადია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თავისივე ყმა თითონ სოფელშივე იყო, სხვა ყმები არავინ ჰყავდა იმას მიჩემებული... ამის ნაცვლად ესენი ეწეოდნენ მეფის სამსახურს, როგორც ყოველივე თავადაზნაურული ლაშქრობა ომიანობის დროს...<sup>19</sup>

შემდეგ ავტორი დაწვრილებით საუბრობს იმათზე, ვინც ფშავეში ბატონყმობის დამხობა და თავისუფალი ფშაველების დამონება სცადეს. ესენი ყოფილან ზურაბ ერისთავი და „ფუძნარელი ვილაჲ ჰავჰავაჲ“. „ასე იყო, თუ ისე, — წერს ავტორი, — საქმი იმით დამთავრდა, რომ ფშავე-ხევსურეთში და თუშეთში ფეოდალურმა წესწყობილებამ ფეხი ვერ მოიკიდა, შესაფერი ნიადაგი ვერა ჰპოვა. ამიტომ, როცა ფშაველების ყოფა-ცხოვრებებზე ვწერთ და ვლამარაკობთ, საბატონო გლეხთა ცხოვრების ვითარებანი, თითქმის სრულიად უნდა დავივიწყოთ — საგანს სხვა თვლით, სხვა მხრიდან უნდა შევხედოთ ფშაველები თუმცა თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ ამ თავისუფალს ცხოვრებას თავისი წესწყობილება ჰქონდა და აქვს დღესაც. სამწყუხაროდ, მთავრობის განკარგულებანი ახალი ჯურისა ცდილობს დაარღვიოს ეს საზოგადოებრივობის წესი.“<sup>20</sup> ალბათ ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი პუბლიცისტის ცნობილი ლოზუნგისა, რომ საქართველოს ეროვნული განთავისუფლება მთიდან უნდა დაწყებულიყო, რადგან მთის ხალხს ოდითგანვე თავისუფლებას იყო მიჩვეული და მისდამი ტრადიციული ძვალ-რბილში ჰქონდა გამაჯდარი.

განსაკუთრებული პატიოტული ეღერადობით გამოირჩევა 1903 წელს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი ეთნოგრაფიული წერილი „ლაშარის ჯვრის დღეობა ანუ ლაშარობა“, რომელშიც ვაჟა-ფშაველამ მთიელთა უძველესი დღესასწაული ლაშარობა აღწერა: დასაწყისშივე ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სიშორისა და გზის სიძნელის მიუხედავად ამ დღესასწაულზე ბარის მკვიდრნიც მოდიან. „...და ქეშმარიტებით შეგვიძლიან ვსთქვათ, — ასკენის იგი, — რომ ბარით მომდინარი დღეს ლაშარში

მლოცავები ძველად ბარში გადასახლებულნი ფშაველები არიან, უკვე „გაკახებულნი“, ფშაველები ამათ კახებს ეძახიან. ჩვენ ვიცით კახეთში, გაღმა მხარეში, სხვათა შორის ორი სოფელი, დამამტკიცებელი ჩვენი აზრისა: სოფელი ფშაველი და ყვარელი. პირველი თავის ვინაობას თვითონვე გვეუბნება, ხოლო მეორის სენხია — სოფ. ყვარადღესაცაა ფშაველი სოფლად და ამიტომ არც საკვირველია, ბარელთაგანი მლოცავნი ლაშარის ჭვარს ამ სოფლიდან უფრო მეტი ჰყავს“.<sup>21</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბევრმა არაფერი იცოდა მთის მცხოვრებთა ადამიანებისა და ჩვეულებების შესახებ, ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები, პირველ რიგში ღრმა სოციალური და ეროვნული ძვლადობით ნათლად უჩვენებდა მკითხველს ფშავის, თუშეთისა და ხევსურეთის მოსახლეობის კირსა და ლხინს, მთის მოსახლეობის საარსებო ინტერესებს ორგანულად უკავშირებდა მთელი ქართველი ერის ყოველდღიურ ცხოვრებას, სწორედ ამამა მათი უსლრესად დიდი დამსახურება.

#### შენიშვნები:

- 1 იხებულება შემოკლებათ
2. გ. კინაძე. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. თბ., 1952, გვ. 7.
- 3 ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. IX, გვ. 358.
- 4 იქვე.
5. ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. X, გვ. 111.
6. ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. IX, გვ. 224.
7. იქვე.
8. ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. IX, გვ. 224.
9. იქვე, გვ. 226.
10. ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. IX, გვ. 45-46.
11. იქვე, გვ. 48.
12. იქვე, გვ. 50.
13. იქვე, გვ. 285.
14. იქვე, გვ. 286.
15. იქვე.
16. იქვე, გვ. 34.
17. იქვე, გვ. 35.
18. იქვე, გვ. 36.
19. იქვე, გვ. 228.
20. იქვე, გვ. 230.
21. იქვე, გვ. 234.

ჩვენი საბალეტო სამყარო კვლავ ადრე რაიქა სახელებმა, რომლებსაც წლების მანძილზე უმკაცრესი ტაბუ ედოთ: აქა-იქ პრესაშიც გაკრთა რუდოლფ ნურეივის ხსენება, ნამამალა ლაპარაკობენ ალექსანდრე გოდუნოვზე, იანვრის მიწურულს ლენინგრადს თავად ნატალია მაკაროვა ესტუმრა ორი სპექტაკლით (საყურადღებოა, რომ მისი პარტნიორი კოვენტ გარდენის სოლისტი, ევროპაში სახელმოხვეჭილი მოცეკვავე ალექსანდრე სომბარდტი გახლდათ, რომელიც წარმოშობით ქართველია — საუკუნის დასაწყისში თბილისში კარგად ცნობილი ინჟინრის სოლომონ ხუნდაძის შვილიშვილია). მაგრამ, ალბათ, საბალეტო ხელოვნების მოყვარულთ ყველაზე მეტად მოსვენება დაუყარვა სსრკავშირში მიხეილ ბარიშნიკოვის შესაძლო გასტროლებმა, მის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ძუნწი ცნობების მიხედვით ძალზედ ძნელი იყო სინამდვილის მითისაგან გარჩევა. შვებუნარზე ცეცხლის ფასი ადევთ მისი ცეკვის ამსახველ ვიდეოკასეტებს, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმში კი ამოღო გაირჯებოდი მისი ფოტოს მოსაძებნად...

მიხეილ ბარიშნიკოვი ლენინგრადის კიროვის თეატრის სცენაზე 60-იანი წლების მიწურულს გამოჩნდა.

1968-74 წლებში ამ ბრწყინვალე ვირტუოზმა დაიპყრო საბჭოთა აუდიტორია. სპეცი-ალისტები მის თავბრუდამხვევე ბრუნვაში, „ნახტომ-გაფრენებში“, კლასიკური ცეკვის ნახაზთა უზადო, ფილიგრანულ შესრულებაში უპირველესად პეტერბურგული აკადემიური ტრადიციების აღორძინებას ხედავდნენ. მაყურებელს კი მაღალი აკადემიზმის მიღმა არსებული რაღაც გარკვეული ძალა აღელვებდა, რაც ყოველ ნიუანსს უჩვეულო ელფერს ანიჭებდა და, რასაც იმდროინდელ ჩვენს პრესაში „ზომაზე მეტი თავისუფლება“ ეწოდებოდა. თბილისელ მაყურებელსაც, ალბათ, ახსოვს 1973-74 წლებში ბარიშნიკოვის გამოსვლები „უიზელსა“ და „დონ კიხოტში“, ალბერტისა და ბაზილის კლასიკური პარტიების მისეული შესრულება თავისუფალი იყო ფსევდოარქაიზმისა თუ სტილიზაციისაგან, მისი გმირები პასუხობდნენ თანამედროვე ცეკვის მოთხოვნებს.

# მიხეილ გარიშნიკოვი — პითი და სინამდვილე

(შტრიხები კორტრეპისათვის)



სამშობლოდან მიხეილ გარიშნიკოვის წასვლის შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ მისი მკაფიოდ გამოსახული ინდივიდუალობა ვერ გუობდა აკადემიზმს. საგულისხმოა, რომ მანამდეც, სერგეი იურსკის მიერ გადაღებულ სტელევიზიო ფილმებში „ფიესტა“ (ჰემინგუეის მიხედვით) გარიშნიკოვის ტორეადორრომეროში დაინახეს „მომავალი მარშალი“ და არა უბრალო „გლეხთა წრიდან გამოსული ტორეადორი“. ალბათ, არავინ იფიქრა, რომ საბჭოთა ხელოვნებას უბრალო ადამიანებთან ერთად „მარშალიც“ სჭირდებოდა.

მიხეილ გარიშნიკოვი ამერიკული ბალეტის „მარშალი“ გახდა.

ყველაფერი 1974 წელს დაიწყო. რუსულ ბალეტს უკვე დაკარგული ჰყავდა თავისი ვარსკვლავები ნატალია მაკაროვა და რუდოლფ ნურიევი. ცენტრიდან პერიფერიებში გადაიხვეწა არაერთი თვალსაჩინო ქორეოგრაფი. დასავლური გაზეთები უკვე მორიდებულად წერდნენ, რომ კიროვის თეატრი გადაიქცა „გაყინული მზეთუნახავების სამეფოდ“, სადაც ერთადერთი სტილი ბატონობს და ყველა მოცეკვავე „ერთპიროვნული დიქტატის ქვეშაა მოქცეული“.

თეატრთან ერთად კანადაში გასტროლებზე ყოფნის დროს, ტორონტოში გამართული ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ, მიხეილ ბა-

რიშნიკოვმა ძლივს დააღწია თავი თაყვანისმცემელთა წრეს და ორიოდვე კვარტლის მოშორებით მდგარ მანქანას მიაშურა. იგი სამუდამოდ ემშვიდობებოდა სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს. ცნობილი საბალეტო კრიტიკოსის არლენ კროსის თქმით, მან „იმთავითვე მოახდინა ერთკაციანი რევოლუცია ამერიკაში“.

თავდაპირველად მ. გარიშნიკოვმა მოღვაწეობა სახელგანთქმულ ABT-ს (ამერიკის ბალეტის თეატრი) დასში დაიწყო, სადაც ხუთი წლის მანძილზე უმთავრეს კლასიკურ პარტიებთან ერთად თანამედროვე ამერიკელ ქორეოგრაფთა (ელვინ აილესის, ჯონ ბატლერის, პოლ ტეილორის, თვალ თერფის და სხვათა) ნაწარმოებებსაც ასრულებდა. ერთნაირი წარმატებით ფლობდა როგორც კლასიკურ, ასევე თვისობრივად განსხვავებული სტილისტიკის თანამედროვე რეპერტუარსაც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგი პარტნიორობას უწევდა ჩვენი დროის გამოჩენილ ბალერინებს. ცნობილი ბალეტმეისტრები სპეციალურად მისთვის დგამდნენ ახალ სპექტაკლს. „პეტრბურგის ასწლოვანი ცეკვის აკადემიის საუკეთესო წარმომადგენელი, ABT-ს „პრინა“ — მ. გარიშნიკოვი — მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავეა“. ასე წერდა პრესა. მიუხედავად აღიარებისა 1978 წელს მან დატო-

ვა ABT და „ნიუ-იორკ სითი ბალეიში“ გადავიდა. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ბალეტომანთა შორის. ეს იმას ნიშნავდა, რომ კლასიკოს მოცეკვავეს ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო და ეცადა ბელი მისთვის ახალ ხელოვნებაში, რომელსაც „ჯორჯ ბალანჩინის ბალეტი“ ჰქვია. „ვერანაირი წარმატება ვერ დააკმაყოფილებს ნამდვილ შემოქმედს. ნამდვილი მოცეკვავე ყოველთვის მშვიერია“ — ასე ახსნა თავად ბარიშნიკოვმა ეს გადაწყვეტილება.

ორი ხელოვანის პირველი შეხვედრა 1978 წლის სექტემბერში შედგა. სატელევიზიო კომპანია „ბალანჩინის ქორეოგრაფიის“ სერიალის III ნაწილს ამზადებდა, მასში უმთავრესი ადგილი ბალეტს „უძღვე შვილს“ ეთმობოდა, მთავარი პარტია მიხეილ ბარიშნიკოვს უნდა შეესრულებინა. აი, როგორ იხსენიებენ ფილმის პროდიუსერები მერლი ბროჰევი და ემილ არდოლინი ამ დღეს: „ჩვენ წინასწარ დავანაშკიანებდით, თუ რომელი მათგანი დაილაპარაკებდა პირველად რუსულად. ეს ბარიშნიკოვი აღმოჩნდა. ჩვენს თვალწინ ხდებოდა თაობათა გადაძახილი. ბარიშნიკოვი შესამჩნევად ნერვიულობდა; ბალანჩინი კი აშკარად კარგ გუნებაზე იყო, ალბათ, წინასწარ ჰვრეტდა მასთან მუშაობის პერსპექტივით მოგვირილ სიამოვნებას... მსახიობს ძალზე ფრთხილად მისცა პირველი რჩევა, რომელიც რომელიღაც მოძრაობას ეხებოდა. 70 წლის ბალანჩინი ენერგიულად შეუდგა დემონსტრირებას. ის ხომ არაფრად ადგებდა ასაკს და არავითარ ფიზიკურ რისკს არ ერიდებოდა. იმწამსვე შეხტა მაგიღაზე და რამდენიმე საჭირო ილეთი აჩვენა. მაგიდიდან ჩამოსვლაში უკვე სხეები დაეხმარნენ. მიშა ერთგვარი შემოფოთებითაც კი შესცქეროდა დაუღალავ მეტრს. ბალეტის ბოლოს, როდესაც უძღვე შვილი, მრავალგანცდილი და დატანჯული, ჯოხით ხელში მიხიზავს იატაკზე ხელოვნამოწვედილი მამისაკენ, ბალანჩინმა თქვა: „არა, ასე არა“. მუხლებზე მდგარი მიშა იმავე პოზაში გაირინდა. ბალანჩინმა თავად აიღო ჯოხი და ცოცვით გადასერა მთელი იატაკი, რათა ეჩვენებინა, თუ როგორი შესრულება ეწადა. ეს უჩვეულო მომენტი კამერამ სამარადისოდ აღბეჭდა. ერთ წამს სიჩუმემ დაისადგურა. ოთახი თითქოს რაღაც უძლიერესი გრძნობით აღივსო. შემდეგ ბალანჩინმა მამის როლის განსახიერება დაიწყო...“

სამწუხაროდ, არ ვიცით, შემოინახა თუ არა მრავლისშემძლე კამერამ ორივე შემოქმედლისათვის მეტად სიმბოლური მომენტი — უძღვე შვილი — ბარიშნიკოვი ბრუნდება მამა — ბალანჩინთან და სიმშვიდეს ჰპოვებს მის მუხლებში ჩავარდნილი...

ამ როლმა მიხეილ ბარიშნიკოვს ტრიუმფალური გამარჯვება მოუტანა და დაამკვიდრა იგი „ნიუ-იორკ სითი ბალეის“ რეპერტუარში, უძღვე შვილი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე დრამატულ როლად იქცა; ამერიკელმა მაყურებელმა კი ერთხმად აღიარა, რომ 50-60-იანი წლების ზღურბლზე ეღუპრად ვიღვალა შემდეგ, ვერავინ შეძლო ამ პარტიის ასეთი შთამბეჭდავი ინტერპრეტაცია. სპექტაკლში არის ერთი ასეთი ადგილი: „როსკიპების ქალღმერთი“ სირენი, როცა პა დე დე-ში უძღვე შვილთან ცეკვავს, აბუჩად ივლებს მას და თავის ამალასთან ერთად დიდ სიამოვნებას განიცდის მისი შეურაცხყოფით. ღირსებაშეღაბული, დევნილი, საბოლოოდ ყველასაგან გაძევებული უძღვე შვილი მარტო რჩება. სპეციალისტთა აზრით, ამ სცენაში განსაკუთრებით ალბათ იმიტომ გაიბრწყინა ბარიშნიკოვის მსახიობურმა ტალანტმა, რომ მას თვით ცხოვრებაში ჰქონდა განცდილი და გადატანილი სამშობლოსაგან, ძვირფასი ადამიანებისაგან მოწყვეტა.

ბარიშნიკოვი ბალანჩინის დასში, რომელშიც სულ ორიოდე წელი დასყო, ცეკვავდა ამერიკულ რეპერტუარს. იგი გახლდათ ბოლოდროინდელ დადგმათა უცვლელი პრემიერი. თანამშრომლობდა სხვა ქორეოგრაფებთანაც. მათ შორის, უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ჯერომ რობინსი, რომელმაც 1980 წელს შოპენის მუსიკაზე შექმნა 18 წუთიანი შედევრი „სხვა ცეკვები“, რომელიც ნატალია მაკაროვასა და მიხეილ ბარიშნიკოვს უძღვნა. მაკაროვამ ამ თავის ნამუშევარს „ბარიშნიკოვთან შესრულებული საუკეთესო როლი“ უწოდა, ჯერომ რობინსს კი — „ყველაზე დიდი რომანტიკოსი მთელს ნეოკლასიკურ ქორეოგრაფიაში“.

ბალანჩინის სიყვარული და მისი ტრადიციების ერთგულება ბარიშნიკოვმა „ნიუ-იორკ სითი ბალეიდან“ წამოსვლის შემდეგაც შეინარჩუნა. ისინი კარგ მეგობრებად დარჩნენ. მოცეკვავე დღესაც არ ეთანხმება კრიტიკოსთა აკვიტებულ აზრს იმის შესახებ, რომ ბა-

ლანჩინთან გატარებულ ორ წელიწადს მისთვის მაინცდამაინც დიდი შედეგი არ გამოუღია: „ბალანჩინი მარად დარჩება ჩემს სათაყვანებელ კერპად. სწორედ მან მომცა ძალა სრულად მერწმუნა იმ ილუზიების რეალობა, რაც ადრე საკუთარი თავის შესახებ გამაჩნდა. მიუხედავად ამისა მუდმივი ძიების სურვილმა მასთანაც კი არ გამაჩერა“.

70-იან წლებში ABT მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი მოცეკვავისათვის მეორე „ამერიკულ ოჯახად“ იქცა. მის სცენას აშშ-ენებდნენ დანიელი ურკ ბრაუნე, ინგლისელი ენტონ დოუელი, უნგრელი ივან ნეგი და იტალიელი კარლა ფრაჩი, იაპონელი იოკო მორიშიტა, გერმანელი მარსია ჰაიდე, რომელიც სიამოვნებით ცდიდნენ თავიანთ ძალებს ახალ რეპერტუარში. ამ მეტად „ძვირადღირებულ ვარსკვლავთა“ ერთგვარმა „შემოქმედებამ“ თავდაპირველად თეატრის გულშემოტკივრები შეაშფოთა. ისინი თვლიდნენ, რომ საბალეტო სეზონის პრინციპულ საკითხს ის კი აღარ წარმოადგენდა, თუ რა სპექტაკლები დაიდგმებოდა და როგორ, არამედ ის, თუ ამ სპექტაკლებში მოცეკვავეთა რამდენად პრესტიჟული და ინტერნაციონალური შემადგენლობა იქნებოდა დაკავებული. პროტესტის ნიშნად თეატრი დატოვეს იმედისმომცემმა ახალგაზრდა ბალეტმეისტერებმა: მიშელ სმუინმა, ბრუს მარკმა და ელიოტ ფელდმა. დაიწყო ერთგვარი კრიზისი. სულ მალე თეატრიდან წავიდა პრიმა-ბალერინა სინთია გრეგორი, მან ასე გამოხატა თავისი უკმაყოფილება დასში ახალი ცხრა უცხოელი მოცეკვავის მიღების გამო. მოწვეული სოლისტები მართლაც ძლიერ ზღუდავდნენ ადგილობრივ მოცეკვავეებს, რომლებიც უკვე ვეღარ ასრულებდნენ შედარებით მნიშვნელოვან პარტიებს. ასე მაგალითად, „გელის ტბაში“ მთავარი როლები მხოლოდ ნატალია მაკაროვსა და ივანე ნეგის უნდა შეესრულებინათ. ყოველივე ამან თეატრის ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად შეარყია. ABT-ს დირექტორს საგონებელში ჩავარდა, დასის მენეჯერებს ერთადერთი იმედიღა რჩებოდათ — სამხატვრო ხელმძღვანელად მიხეილ ბარიშნიკოვი მოეწვიათ...

ამ წინადადებას 31 წლის ბარიშნიკოვი თავდაპირველად ცივად შეხვდა: იგი ჯერ არ აპირებდა თავისი საცეკვაო კარიერის დასრულებას;

ამასთან, არც სათანადო ადმინისტრაციული და საბალეტმეისტრო გამოცდილება გააჩნდა, თუ არ ჩავთვლით იმავე ABT-ს სცენაზე მის მიერ წარმატებით აღდგენილ ისეთ რთულ სპექტაკლებს, როგორცაა ივანოვის „მანიატუნა“ და პეტრას „ღონ კიხოტი“. გარდა ამისა, ამ პერიოდში იგი ერთგვარმა აპათიამ შეიპყრო. თავის მეუღლესთან, ცნობილ კინომსახიობ ჯესიკა ლანთან ერთად განმარტოვებით ცხოვრობდა ჰუძონის მარცხენა ნაპირას მდებარე დიდებულ თეთრ ვილაში და მხოლოდ უახლოეს მეგობრებს ხვდებოდა. მათ შორის გახლდათ დღეს უკვე სახელგანთქმული პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი იოსებ ბროდსკი, რომელიც ასე ხსნიდა მეგობრის დებრესიულ მდგომარეობას: „ამ დროისათვის მიშა მეტისმეტად დაღლილი იყო ცხოვრებით, პესიმიზმი მოეძალა. ეზიზღებოდა საკუთარი თავი, როგორც მოცეკვავე. თავის სხეულს კი მანქანად თვლიდა, რომელიც თითქოს მას აღარ ეკუთვნოდა“.

მიხეილ ბარიშნიკოვი თვითგამოხატვის ახალი საშუალებების პოვნას საჭიროებდა.

ABT-ს დირექტორთა გაერთიანების ხელმძღვანელად დონალდ კენდელთან შეხვედრა სადილის დროს შედგა. „მე მოვიტანე ჩემი საკუთარი ბალიდან ჩემივე ხელით დაკრეფილი წიწკა და არაყი, — წერდა კენდელი „ნიუ-იორკ ტაიმსში“, ჩვენ მშვიდად ვსაუბრობდით და ცეცხლზე ვბოლავდით საქართველოდან გამოგზავნილ ორაგულს, რომელიც მიშას რუსეთის დატოვების შემდეგ არც ენახა. დილის 3 საათისათვის უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო: ბარიშნიკოვი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას განახორციელებდა, ფინანსური საკითხის მოგვარებაზე კი დირექტორთა საბჭო იზრუნებდა“.

ბარიშნიკოვის ამ გადაწყვეტილებას ბალანჩინი ჩვეული ღირსეულობით შეხვდა: „მე დაბეჭდით შემიძლია ვთქვა, რომ მან ყველაზე უკეთ იცის ამჟამად ცეკვა. ამასთან, იგი ინტელიგენტია და შეუდარებელი პროფესიონალი. მან ჩვენგან ის ისწავლა, რაც ესაჭიროებოდა“.

1 ABT-ში ეს სპექტაკლი „კიტრის ქორწინება“ სახელწოდებით მიდიოდა.

მაგრამ რეზონანსი, რომელიც დასის ახალი ხელმძღვანელის გამოჩენამ გამოიწვია, სხვაგვარიც იყო. რიგმა გაზეთებმა ბარიშნიკოვში ამერიკული ბალეტის შიდაპოლიტიკურ საქმეებში „შემოჭრილი რასპუტინი“ დაინახეს, რომელიც კომპანიის ტრანსფორმაციას მხოლოდ საკუთარ რეპერტუარსა და მეთოდოლოგიაზე, „საბჭოთა სტილზე“ დაყრდნობით შეეცდებოდა, რაც დასს „კიროვის თეატრის მეთრეხარისხოვან ფილიალად“ გადააქცევდა. მათი აზრით, იგი ABT-ს დრამატულ ტრადიციებს ყოველგვარი დანაშაულის გარეშე გაწირავდა „წმინდა საცეკვაო იდეის“ გულისათვის. „რა დაემართება მეცხრამეტე საუკუნის კლასიკის ტრადიციულ ამერიკულ ინტერპრეტაციას, თუ მას... 70-იანი წლების საბჭოთა პრაქტიკა დაუპირისპირდება?“ — ამგვარი კითხვები პრესაში სულ უფრო ხშირად ისმოდა.

მდგომარეობას თავად დასში შექმნილი ვითარებაც ართულებდა: 24 კვირის მანძილზე მიმდინარე გაფიცვებსა და დეპატებს ხელფასის მომატების თაობაზე მოჰყვა უპრეცედენტო ფაქტი — სტუდია დაიხურა ორი თვით. მოწვეული მოცეკვაელების პრობლემაც განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც აშშ-ში ახლადდარჩენილ საბჭოთა მოცეკვავეს ალექ-

სანდრე გოდუნოვს ხელი მოუწერეს კონტრაქტი, რომელიც მას წელიწადში 150 000 დოლარს აძლევდა (მაშინ, როდესაც დასის ხიობთა კვირის ხელფასი მხოლოდ 150 დოლარს შეადგენდა). სტუდიის დახურვას კენედის ცენტრში მთელი სეზონის გადადება მოჰყვა.

1980 წლის სექტემბერში ბარიშნიკოვი შეუდგა სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებას. მოსკლისთანავე მან ხელფასის გაორმაგება მოითხოვა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა კომპანიის განახლებას. გააუქმა საშემოდგომო სეზონი და სამუშაოდ გადაინაცვლა მანჰეტენის დასავლეთ ნაწილში მდებარე სტუდიაში, სადაც დასის ისტორიაში პირველად ადმინისტრაციული კორპუსიცა და საცეკვაო დარბაზებიც ერთ შენობაში მოთავსდა. ბარიშნიკოვმა იმთავითვე აღიარა „ვარსკვლავთა სისტემის აბსურდულობა“, რომელსაც, მისი თქმით, „შანტაჟის სუნი ასდის“ და გამოაცხადა, რომ ამიერიდან არც ერთი მოწვეული მოცეკვავე აღარ გამოვიდოდა ABT-ში. მან ხელახლა გახსნა კომპანიის საბალეტო სკოლა, სადაც გაკვეთილებს ადრე მანჰეტენიდან მოწვეულ პრესტიჟულ სპეციალისტთა ნაცვლად ახლა თავად დასის სოლისტები ატარებდნენ. ბუნებრივია, მისი რეფორმები სარეპერტუარო პოლიტიკასაც შეეხო — მან თეატრის აქტიურ რეპერტუარში მყოფი 50 სამეტრაჟი 32-მდე დაიყვანა, პირველ რიგში, „გედის ტბის“, „ეზოვლისა“ და ფოკინისეული „სილიფიდების“ დადგმა მოითხოვა. ეს უკანასკნელი ABT-ში განხორციელებული პირველი წარმოდგენის მე-40 წლისთავს მიეძღვნა. ბარიშნიკოვმა ეს დადგმები მიუახლოვა კიროვის თეატრის ვერსიებს. „ვიდრე მე ვარ დასის ხელმძღვანელი, მსურს ყველაფერი იმ გზით წარიმართოს, რომელიც მე მიმაჩნია საჭიროდ. სწორედ ამიტომ ვარ აქ“. — განაცხადა მან. ბარიშნიკოვმა გახსნა სახასიათო ცეკვის კლასებიც და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საშემსრულებლო კულტურის დახვეწას. შემდეგ მან განაგრძო კლასიკური თუ ნეოკლასიკური სტილის დამკვიდრება ისეთ ნაწარმოებთა საშუალებით, როგორცაა ბურნონვილის პა დე ტრუა, ფრედერიკ აშტონის „პემანი“, ბალანჩინის „უძღები შვილი“ და „სომნამბულა“, რომლებიც თავად ქორეოგრაფმა შესთავაზა. ამასთან ერთად, თვითონაც დადგა ხუთი განსხვავებული სტილის ქორეოგრაფიული მინიატურა. რეპერტუ-

ჯორჯ ბალანჩინი და მიხეილ ბარიშნიკოვი





არში შეიტანა თანამედროვე ამერიკელ ბალეტმეისტერთა დადგმებიც; პოლ ტეილორის „ბაროკო“, ალადგინა თვალ თარფის „ბიძგი ბიძგს იწვევს“ და ა. შ. იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა თეატრთან წასული ბალეტმეისტერების დასაბრუნებლად და თავგამოდებით არ-წმუნებდა დასს, რომ აუცილებელია განსხვავებული ხელწერის ქორეოგრაფთა მოზიდვა. ამ მიზნით ბარიშნიკოვმა ახალგაზრდა ქორეოგრაფთა სახელოსნოც კი დააარსა, მათ თავიანთ ნამუშევართა სადემონსტრაციოდ ახალი სცენა გაუხსნა და დასის მოცეკვავეთა ე. წ. „მეორე შემადგენლობას“ დაუთმო. სამხატვრო ხელმძღვანელის მთელი ყურადღება ახალგაზრდობისაკენ იყო მიმართული.

შედგმაც არ დააყოვნა. ორ წელიწადში კორდებალეტი 57 ახალი წევრით შეივსო, მათი საშუალო ასაკი 18 წელს არ აღემატებოდა. საგრძნობლად ამაღლდა კორდებალეტის ტექნიკური მომზადების დონე, რასაც ხელი შეუწყო თავად ბარიშნიკოვის პირადად მაგალითმა, რამდენიმე წელიწადში დასი თვინობრივად გარდაიქმნა და შეძლო დაკარგული ავტორიტეტის დაბრუნება. „ჩემი მსახიობების მიერ „მძინარე მზეთუნახავის“ ცეკვა ჭრჭერობით შექსპირის რუსულად თამაშს ჰგავს. მაგრამ მალე სტილის ორგანულ გრძნობასაც მივალწვევთ“... — არ სჯერებოდა მოპოვებულს ბარიშნიკოვი.

მალე ახალ თაობაშიც გამოჩნდნენ მომავალი „ვარსკვლავები“: 17 წლის ბრუკლინელი ნენსი რაფა ოქროს მედლით დაბრუნდა ლონდონის მეტად პრესტიჟული ბალეტის მსახიობთა საერთაშორისო კონკურსიდან, შერილ იგერმა „სილფიდას“ შესრულებით იმ კატეგორიის მაცურებელშიც კი ჰპოვა მოწონება, ვისაც ანა პავლოვას შემდეგ საერთოდ წარმოუდგენლად მიაჩნდა ამ როლში ვისიმე გამოჩენა; სინთია ჰარვეი კი პირველი იყო თეატრის ახალგაზრდა მოცეკვავეთაგან, რომლის სპექტაკლები ანშლანგით მიდიოდა. „ჩვენ გვაქვს შენი იმედი“ — ასე ეწერა ყვავილების თაიგულში ჩადებულ ბარათზე, რომელიც იმ დაუფიქვარ დღეს საგრძნობლოდ ოთახში დახვდა. ყვავილები მშობლიური დასის წევრებისა და ხელმძღვანელის მიერ იყო გამოგზავნილი...

ბარიშნიკოვმა შექმნა თეატრი, რომელსაც ახალი ABT უწოდეს და რომელიც ახალგაზრდული ენერჯითა და ძალით, სისწრაფითა და გამბედაობით გამოირჩეოდა. ზოგჯერ შესამ-

ჩნევი იყო დრამატული სიღრმისა და ემოციუბის ნაკლებობაც. ეს კარგად ესმოდა გამოცდილ ხელოვანს: „ჭრჭერობით ჩვენი პერტუარის ნახევარი მოქცეულია ახალგაზრდა მოცეკვავეთა სხეულში, ხელებსა და ფეხებში, თავდაუზოგავი შრომის შედეგად ჩვენი სულიერადაც გავმდიდრდებით“. — ამბობდა იგი.

მას დღემდე ახასითებს რუსული კლასიკის სიყვარული და ერთგულება. თავის თეატრში მას საშუალება მიეცა საყვარელი პარტნიები ისეთი ნიუანსებით გაემდიდრებინა, ის ქვეტექსტები წარმოეჩინა, რისი შესაძლებლობაც არ ჰქონია კიროვის თეატრში: „რუსული კლასიკა ნებისმიერი თეატრის რეპერტუარის სიამაყეა. მაგრამ მე მინდა, რომ იგი უფრო მრავლისმეტყველი გახდეს“, „გედის ტბის“ ბარიშნიკოვისეული ვარიანტის პრემიერა 1981 წლის 27 მარტს გაიმართა ვაშინგტონში, კენედის ცენტრში, ზიგფრიდის პარტიას იგი ყოველთვის განსაკუთრებული სიამოვნებით ასრულებდა, თუმცა თვითონ თვლიდა, რომ „საამისო არც სიმალე გააჩნდა და არც მიმზიდველობა“. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ მაინც მოიძებნა ორიოდ კრიტიკოსი, რომლებიც გაჰყვიროდნენ „ბარიშნიკოვი უდიერად მოქცეა ბალეტის ნაზად მფეთქებელს“. მან მშვიდად უპასუხა: „კრიტიკოსები ხანდახან საკმაოდ ვიწრო სამყაროში ცხოვრობენ. ისინი გამიბრაზდნენ, რადგან ვერ მაპატიეს გარკვეული ცვლილებების შეტანა, მაგრამ კლასიკის ძლიერება ხომ მის ცვალებადობაშია“.

„ბევრის მსგავსად, მეც „გედის ტბის“ ხელახლა სანახავად კი არ მივდიოდი, არამედ იმის გასაგებად, თუ რა დანახა ბარიშნიკოვმა ჩაიკოვსკის გენიის ამომწურავ შესაძლებლობათა მიღმა. ვიმედოვნებდი, რომ იგი შეძლებდა „ბალეტში არსებული ბალეტის“ შექმნას. „მე არ შეემცდარავარ“ — იგონებდა არლენ კროსი.

პეტიასა და ივანოვისეული დადგმის ფინალი ოდეტა სულს ლევს ზიგფრიდის ხელში. თავზარდაცემული პრინცი წყალს ატანს სატრფოს გვირგვინს, შემდეგ კი თავდაც წყლის წიაღს მიეცემა.

სოციალისტური რეალიზმის ერთპიროვნული ბატონობის პერიოდში დასაშვები იყო მხოლოდ ბედნიერი დასასრული, ბოროტი

ჯადოქარი ფონ როტბარტი იღუპებოდა, ოდეთა და ზიგფრიდი კი გამარჯვებას ზეიმობდნენ და ოპტიმიზმით შეპყურებდნენ მომავალს.

ბარიშნიკოვმა აირჩია პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის რედაქცია, სადაც ოდეტას აღარ სურს გედად დარჩენა და კვლავ ტბაში გადაეშვება, სასოწარკვეთილი უფლისწული კი უფსკრულში იჩენება. ოღონდ ბა-

რიშნიკოვმა ეს ფინალური მსხვერპლთშეწორვა სხვაგვარად გაამქლავა: მიცნურთა ნაგს გედების გუნდი ზეცისაკენ მისაკურებს, იქ, სადაც სიმშვიდე და სინათლე, სადაც იშლება ზღვარი სიკვდილსა და სიყვარულს შორის...

ლონდა მსაძა

## ინტერვიუ მიხეილ ბარიშნიკოვთან

— თორმეტი წლის ასაკში თქვენ რიგის ოპერისა და ბალეტის თეატრის მეტად პრესტიჟულ სკოლაში მიგიღეს. ვის ეუფვნოდა ეს იდეა?

— თავად მე. ეს დედის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მოხდა. მე განვუცხადე მშობლებს: „მსურს საბალეტო სკოლაში შესვლა. უკვე ჩავეწერე გამოცდაზე მომდევნო სამშაბათისთვის“.

— როგორი გახლდათ მათი რეაქცია?

— მათ მიპასუხეს: „რა გაეწყობა, სცადე“, და მეც ჩამირიცხეს.

— რატომ მაინცდამაინც ბალეტი? რა არის განსაკუთრებული იმაში — იყო მოცეკვავე რუსეთში?

— ეს საკმაოდ პრივილეგირებული საქმიანობაა. პროფესიონალისათვის ნიშნავს კარგ ფულს, მყარ მდგომარეობას, 20 წლით გარანტირებულ სამსახურს, საზღვარგარეთულ ტურნეებს და სეჩრთოდ — უამრავ შეღავათს. პენსიასაც. რა თქმა უნდა, კარიერაზეც ვფიქრობდი.

— გაქონდათ ისეთი განცდა, რომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი იყავით?

— პირველ წელს არა, მეორე წელს კი...

— ყველაზე მეტად რა გიტაცებდათ სცენაზე?

— ო, ყოველივე ეს ელვისებურად გრყენის! ორკესტრი, იუბიტერები, გრიმის, პუდრის სუნი, პუბლიკა. შეგრძნება იმისა, რომ სრულიად განსაკუთრებული ადამიანი ხარ. რაღაც მომენტში ხვდები თეატრის მა-

გიას — და უკვე დაღუპული ხარ. უკანდასახევი გზა მოჭრილია. მე საკმაოდ ყურადღებამისაქცევი გახლდით და თავიდანვე მამდევნენ ყველა პატარა საბავშვო პარტიას.

— ფიზიკურად ძალიან განვითარებული იყავით?

— უფრო მეტადაც, ვიდრე საჭიროა; იმიტომ, რომ უკვე 7 წლიდან ვემცადინებოდი ტანვარჯიშსა და სირბილში. ჩემი კუნთები კი... ერთი სიტყვით, პატარა მამაკაცს ვგავდი. არც თუ განსაკუთრებით მოქნილი ფეხები მქონდა, ბრუნებსაც ვერ ვძლევდი საჭიროებისამებრ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც თავდადოეწყებით ვასრულებდი ყველა საშინელ ვარჯიშს: ვჯდებოდი იოგას პოზაში, თითო მუხლზე თითო ადამიანს ვისვამდი. სახსრებისა და მყესების ამგვარი დატვირთვის შემდეგ აუტანელი ტკივილი გეუფდებოდა, ძილიც კი შეუძლებელია. მაგრამ მე კარგი კოორდინაცია, მსუბუქი ნახტომი, წონასწორობის გრძნობა გამაჩნდა და ამასთანავე, ძალიან მინდოდა ყველას მოეწონებოდი.

— და იპურობდით კიდევ ყურადღებას?

— დიახ; მე ყოველთვის ეტაკიმასხარობდი.

— როგორ წარმოგედგინათ მომავალი?

— როდესაც 15 წლის ვიყავი, ჩვენმა სკოლამ ლენინგრადში მოაწყო ექსკურსია, რომლის დროსაც ვაგანოვას სასწავლებელში ვიყავი და ნურიევის მასწავლებელი ალექსანდრე პუშკინი გავიცანი. იგი გამესაუბრა, დაინტერესდა ჩემი შესაძლებლობებით და

ზახეულის მიწურულს გამოცდებზე მიმიწვიო.

**— როგორ შეაფასა ეს მამათქვენმა?**

— მე მისთვის არც მიკითხავს არაფერი; მხოლოდ მას შემდეგ, როცა ლენინგრადის სასწავლებელში უკვე ჩარიცხული გახლდით, უბრალოდ ვუთხარი: „ვეჭირობ, რომ ლენინგრადში მომიწევს გადასვლა“. ჩა დანიხა ჩემში პუშკინმა? ალბათ, რაღაც დანიხა. იგი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მითმობდა, კლასგარეშეც ბევრს ვემეცადინებოდი. იცით, ყველა მეკითხება აქაურ და იქაურ სისტემას შორის განსხვავების შესახებ. იქ სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს პედაგოგსა და მოსწავლეს შორის, რაც, პირველ რიგში, პატივისცემას ემყარება. ეს თავისებური ეთიკაა. იქ არავის შემოაქვს კლასში პისტოლეტი ან დანა. თუ სწავლა არ გინდა — რაღას ართმევ დროს მასწავლებელს? მე ვერ ვუგებ თავისუფალი განათლების სისტემას. გულწრფელად რომ გითხრათ, ალბათ, ეს არის, რაც ყველაზე მეტად მალიზანებს ამერიკაში, დონე — უარესს რომ ვერ წარმოიდგენ. მე არ დამიმთავრებია უნივერსიტეტთან არსებული სპეციალური სკოლა, მაგრამ ჩემი მეტად მოკრძალებული განათლებითაც კი უფრო მეტი ვიცი, ვიდრე უნივერსიტეტების სტუდენტთა უმრავლესობამ.

**— პუშკინმა ძალიან დიდი გავლენა იქონია თქვენზე. გვიამბეთ რაზე ამ აღმანიანზე.**

— იგი სპეტაკი და მეტად უბრალო ადამიანი იყო. თავის დროზე ძლიერ კლასიკურ სოლისტად ითვლებოდა, მაგრამ მიმზიდველი გარეგნობით არ გამოირჩეოდა: დიდი ცხვირი, პატარა თავი, მოკლე ტანი და ძალიან გრძელი ფეხები. ცოტა სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა სცენაზე და ვარსკვლავი ვერასოდეს ვერ გახდებოდა. მან კიროვის თეატრში მოსვლისთანავე დაიწყო პედაგოგობა.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა აღმოაჩინა მან თქვენში?**

— მას მე ვუყვარდი. მას და მის ცოლს მე უბრალოდ ვუყვარდი. 61-ში რუდოლფი (ნურიევი) დაკარგეს და ალბათ, გარკვეულად, მათ გულებში მე დავისაკუთრე მისი აღკლი. ჩვენ ძალიან ვგავდით ერთმანეთს, ლენინგრადშიც თითქმის ერთსა და იმავე ასაკში ჩავედით. ნურიევის საზღვარგარეთ

დარჩენა პუშკინისათვის უზარმაზარი დარტყმა გახლდათ.

**— თქვენ პუშკინთან 8 წელიწადს მემცადინებოდით. როგორი მოცუქავის შექმნა სურდა მას თქვენგან და რამდენად მიაღწია ამას?**

— მე ნაგვიანვე ყვავილი ვიყავი; საბალეტო ხელოვნებაში არასოდეს მქონია რაიმე პრობლემა. საკმაოდ სწრაფად მივხვდი, რომ ჩემი მონაცემებითა და უნარით ყოველთვის ვიშოვიდი სამუშაოს ნებისმიერ დასში. საქმე იმაში იყო, შევძლებდი თუ არა სერიოზული როლის ცეკვას. ნამდვილი კლასიკური ცეკვისათვის, განსაკუთრებით კი კიროვის თეატრში, უნდა იყო ლამაზი, წარმოსადგევი, მაღალი. არც ერთი ეს თვისება არ გამაჩნდა. ცეკვა კი ყველაფრის შემდეგ: ბრწყინვალედ ვფლობდი კლასიკურ ტექნიკას, წარმოუდგენელი თავისუფლებით ძალმიძდა ურთულესი პას შესრულებას, მაგრამ ეს არ იყო საქმარისი. მე კი საშინლად მინდოდა უფრო რთული, რომანტიკული როლების ცეკვა. ცხოვრების დასრულება სახასიათო მოცეკვავედ! — ასე ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი საკუთარ კარიერას. ღირსების საკითხი გახლდათ — დამერწმუნებინა ყველა,

ჭერომ რობინსი, ჯორჯ ბალანჩინი, რუზანა ბორისი, ენტონი ტიულორი და ტოდ ბოლენდერი





რომ ჩემთვის ეს როლები მოეცათ, დამერწმუნებინა პუბლიკა, რომ შევძლებდი მათ შესრულებას... ბოლოს და ბოლოს, ჩემი სიმალისი პატრონს, მაინც მომცეს რომანტიკული პარტიები. მე მდგომარეობის ბიკონ-პატრონი გავხდი.

**— და ძალიან გამაყადით?**

— არა, არა. მერწმუნეთ, თეატრში წარმატება არასოდეს არ არის საკმარისი. ეს მადანსავითაა. კამ, მაგრამ მეორე დღეს მაინც მშვიდი ხარ. ყველანი ჩვენ, ამ მხრივ, ნამდვილი შემოღობები ვართ. მე კიდევ არა ვარ ყველაზე აუტანელი ვარიანტი. მე ვხვდებოდი, რომ მრავალი რამ ჭერ კიდევ არ მქონდა მოსინჯული, მაგრამ ჩემი კარიერა რომ კიროვის თეატრით არ დასრულდებოდა — თავიდანვე ცხადი იყო. ამით ვერ დავკმაყოფილდებოდი. უკვე ნანახი მქონდა ABT და ბალანჩინის თეატრი საბჭოთა კავშირში ჩატარებული გასტროლების დროს. თავადაც ნამყოფი გახლდით უცხოეთში.

**— სულ პირველად სად იყავით დასავლეთში?**

— ლონდონში, 1970 წელს. თუმცა, მაშინ არც მქონია რაიმეს განსჯის დრო, ძალიან ბევრს ვეცევადი. დიდი წარმატება მხვდა წილად, დავინახე, რომ მარტო ლენინგრადში როდი ვსარგებლობ წარმატებით, დასავლეთშიაც აფასებენ ჩემს ღონეს.

**— განგაცვიფრათ თუ არა ყოველივე იმან, რაც ლონდონში ნახეთ?**

— მე ვნახე ბევრი მიუზიკლი, „იესო ქრისტე სუპერ-ვარსკლავი“, „მევიოლინე სახურავზე“, ფილმი „ვესტსაიდის ისტორია“. ვიციდე ჩემს ცხოვრებაში პირველი საიმონისა და გარფუნკელის ფირფიტები, პირველად ვიხილე თანამედროვე ცეკვის დასები. პირველად მოვისმინე ნამდვილი ჯაზი. შთაბეჭდილება გამაოგნებელი იყო. ამის გარდა, დავესწარი სამეფო თეატრის სპექტაკლს. და კიდევ, შეგვფი რუდოლფს. მას თვითონ სურდა ჩემი ნახვა.

**— თქვენ დაგართეს ნურიევთან ვიზიტის ნება?**

— არა. უბრალოდ, ერთ დილას მანქანაში ჩამსვეს. მთელი დღე მასთან ვავატარე.

**— რა მოხდებოდა, ამის შესახებ რომ შეეტყუათ?**

— ალბათ, ლენინგრადში დამაბრუნებდნენ და შემდეგ არსად აღარ გამიშვებდნენ. ნატა-

მა (ნატალია მაკაროვა) ამ გასტროლებს დროს დარჩა, რამაც ძალიან გამაყვირვა. ეს ყველაზე დიდ სისულელედ მიმაჩნდა, რისი ჩადენაც კი საერთოდ შეიძლებოდა. მაშინ ჩემი თეატრში ყოფნის მეორე სეზონი იყო და პუშკინიც ჭერ კიდევ ცოცხალი გახლდა. მაშინ ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე შევძლებდი ჩემი ქვეყნის, თეატრის, პუბლიკის დატოვებას. იმის მერეც კი, როცა ვნახე როგორ ცხოვრობდა რუდოლფი: მშვენიერი სახლი, აღორძინების ეპოქის იტალიური ავეჯი, ნახატები. სიმდიდრე, თავისუფლება. მას შეეძლო მთელს მსოფლიოში ეცეკვა, მაგრამ ყოველივე ეს არ ბადებდა ჩემში აზრს, რომ მეც შემეძლო იგივეს გაკეთება.

**— მასთან ამ თემაზე არ გისაუბრიათ?**

— არც ერთი სიტყვა არ დაგიძიქრავს. მეც არაფერს შევკითხვივარ. არც მაინტერესებდა ეს. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ჭორეოგრაფიაზე, თუ როგორ მუშაობენ ლონდონში, როგორ მეცადინებენ კლასში, როგორ ტექნიკას ამუშავენ. მან თავისი კოსტუმები მაჩვენა, ამიხსნა, როგორ იყო ისინი ჩაფიქრებული, როგორ იყო შესრულებული. ბევრს მეკითხებოდა დელამისზე, დაზე, ოჯახზე, პუშკინსა და მის ცოლზე.

**— 1970 წელს პუშკინი გარდაიცვალა. ამ ფაქტს ბევრი რამ უნდა შეეცვალა თქვენთვის...**

— დიახ. ეს დარტმა იყო. მე მივხვდი, რომ ამიერიდან ჩემზე აღარავინ იზრუნებდა.

**— მამათქვენი?**

— ხანდახან მე ვუჩუქავდი ან ვწერდი მას. სადღაც ერთი წლით ადრე, სანამ რუსეთს დაეტოვებდი, თავადაც ჩამოვიდა ჩემს სანახავად. იგი ამყოფდა ჩემით, მაგრამ ახალი ოჯახი ჰყავდა. ერთი სიტყვით, ბედნიერი იყო.

**— ოდესმე გილაპარაკიათ მასთან დედის შესახებ?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, არა. ყოველთვის ვაფურბოდი ამ საუბარს. 11 წლიდან უკვე საკუთარ თავს ვეკუთვნოდი. აქამდე არასოდეს მიფიქრია დედის თვითმკვლელობის მიზეზებზე, და მხოლოდ ახლა შევძექვლი მშვიდად განმეხაჯა რა მოხდა. როდესაც თავად ვცადე საკუთარი ოჯახის შექმნა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ არ მქონია ბედ-

ნერი ბავშვობა: მასში ძალზე ცოტა იყო ერთგული სიყვარული.

— თქვენ 1974 წელს დატოვეთ კიროვის თეატრი — გაიქციეთ. ამ სენსაციამ საქვეყნოდ ცნობილი გაგხადათ. არაერთგზის გითქვამთ, რომ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები წამის რაღაც მერსებებში მიგიღიათ. ძნელი დასაჭერებელია, რომ ამგვარად წყდებოდეს საშობლო დატოვება.

— მაგრამ ეს რომ ზუსტად ისევეა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში. ხანდახან წლებია საჭირო იმის მისახვედრად, რომ განშორება აუცილებელია, ხან კი — გადაწყვეტილებას ელვისებურად იღებ, უბრალოდ ხვდები, რომ ფიზიკურად აღარ შეგიძლია აღრინდებურად ცხოვრება, საჭიროა მყარი, პირდაპირი გზიდან გადახვევა. მეც მივხვდი, რომ არ მინდა რუსეთში ცხოვრება, არ მინდა კიროვის თეატრში ცეკვა. არ მომიწონდა, რომ ყოველთვის ის უნდა გამოემხატა, რასაც სინამდვილეში არ წარმოვადგენდი. პოლიტიკისადმი სრულიად გულგრილი გახლდით, მაგრამ მივხვდი, რომ არსებული სისტემა სუნთქვას მიზღობდა.

— ეს კანადაში მოხდა, სადაც დიდი თეატრის საკონცერტო შემადგენლობასთან ერთად გასტროლებზე იმყოფებოდით. გადაწყვეტილება ორი დღით ადრე მიიღეთ. როგორ მოახერხებთ ყოველივე ამის ორგანიზება?

— ჩემი მეგობრები დაუთავსებდნენ ადვოკატ ჯიმ პეტერსონს. იგი ჩვეულებრივი იურისტი იყო, ადრე მის პრაქტიკაში არაფერ ამის მსგავსს არ ჰქონია ადგილი. ის ნათლად და გასაგებად მელაპარაკა. მეითხა: „რამდენად მყარია თქვენი გადაწყვეტილება? საგნებით გესმით, რასაც აკეთებთ?“. სურდა დარწმუნებულიყო, რომ გიყთან არ ჰქონდა საქმე.

— თქვენ გადაწყვეტით თქვენი გამოსვლენი ტორონტოში დაგესრულებინათ (ჭვუფი ვანკუვერში უნდა გამგზავრებულიყო). ბოლო საღამოს პეტერსონმა მანქანა თეატრიდან ორი კვარტლის მოშორებით დააყენა. სპექტაკლის შემდეგ გაარღვიეთ თავჯანსმცემელთა ალუა და მთელი ძალით გაიქციეთ. მათ, რა თქმა უნდა, იფიქრეს, რომ სწორედ მათგან ღამობდით თავის დაღწევას და უკან დაგადევნენ. საბოლოოდ ძლივს იპოვეთ მან-

ქანა, თავგანწირული „შეფრინდით“ მასში და გაქვანეთ. მართალია რომ გითხრათ, მდებარეობაში მდებარეობაში ვარ თქვენი ასეთი დაუფარავი გამხედრობით.

— ეს არ იყო ყველაზე რთული. გაცილებით უფრო გამიჭირდა სპექტაკლის დროს. მე მივედი თეატრში და მთელი საღამო ვიკეკვი. უკვე სრულიად დაწმუნებულმა გადაწყვეტილების ურყევობაში. გაქცევის დროს კი ვერაფერი ვერ ვგრძნობდი შიშისა და კუჭში დასადგურებული სიცარიელის გაზრდა. მანქანაში შეხტომისას საშინლად დამფრთხალი ვიყავი.

— გაქცევის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში აცხადებდით უარს ამ ფაქტის შესახებ რაიმეს თქმაზე. რატომ?

— ემოციურად რამდენიმე წელი დამჭირდა შესაგუებლად. დავკარგე მეგობრები, ყველაფერი, რაზეც აღზრდილი ვიყავი, — უამრავი რამ, რისდამიც ემოციურად თუ გეოგრაფიულად ვიყავი მიჯაჭვული. მარტოობის არაერთი მეტად სევდიანი წუთი განვიცადე, რაზედაც არ მსურს საუბარი. მე ამაზე ვერასოდეს ვერ ვილაპარაკებ საჯაროდ.

— სრულიად დარწმუნებული იყავით, რომ საბალეტო სამყარო იმთავითვე დაიწყებდა თქვენზე წრუნვას, რა წამსაც დასავლეთში აღმოჩნდებოდით?

— დიას! მე ყველაფრის გაკეთება შემეძლო! მსოფლიოს ყველაზე დიდი თეატრებიდან მიმონდა მოწვევები. ვიყავი გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრალიაში. ყველაზე საინტერესო ქორეოგრაფებთან მუშაობა მისწინდა იმ ახალ პორიზონტებს, რაზეც ადრე სიზმარშიაც ვერ ვიოცნებებდი.

— 1974 წელს თქვენ ხელი მოაწირეთ კონტრაქტს ამერიკის ბალეტის თეატრთან, 1978 წელს კი — ვანაცოფრეთ საბალეტო სამყარო ბალანჩინთან წასვლით. მასთან გატარებული დრო, ბევრის აზრით, მეტად საინტერესო იყო, მაგრამ არ წარმოადგენდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერიოდს თქვენს კარიერაში.

— ეს კვლავ ვილაციის აზრია! იქ ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო. უბრალოდ ბალანჩინის გვერდით ყოფნა, თუნდაც მარტოოდენ იმის ცქერა, თუ როგორ მუშაობს, როგორ ეპყრობა ადამიანებს — კოლოსალური გამოცდილებაა. მასთან ყველაფერი სხვაგვარადაა. იქ არ არსებობს თანაბარი საწყისი





სები — არსებობს მასწავლებელი და მოსწავლე. ის მათ ასწავლის, ზრდის, იღებს დასში, დგამს მათთვის. ეს ერთი ადამიანის თეატრია. იგი ყველაფერს ასწავლიდა თავის ბალერინებს, როგორ ჩაეცვათ, როგორი სუნამოებით ესარგებლათ, როგორი ვარცხნილობა ეტარებინათ, როგორი სამკაულები... ის მათი ცხოვრების ყოველი საათის ხელმძღვანელი იყო. ბალანჩინთან არ იყო იოლი, რაც მართალია მართალია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი ხომ ქმნიდა მათ. (იციან).

**— თქვენ როგორ გეპყრობოდით?**

— შესანიშნავად. ხშირად მიწვევდა თავისთან. ვსაუბრობდით, ვესამდიოთ ცოტაოდენ არაყს, ცოტაოდენ შნაპსს. იგი დიდი გურმანი გახლდათ. უყვარდა კარგ რესტორნებში სიარული, ღვინის დეგუსტირება. საილის შემდეგ კვლავ ვსაუბრობდით, მაგრამ ბალეტზე ცოტას ვლაპარაკობდით. განსაკუთრებით რუსეთზე უყვარდა საუბარი, მუსიკაზე. ბალანჩინი ქეშმარიტად დიდი მუსიკოსი იყო. როიალზე პროფესიონალი პიანისტივით უქრავდა.

რამდენიმე ბალეტი მან სპეციალურად ჩემთვის აღადგინა, ბევრს მამეცადინებდა, ისე კი ნაკლებად მარჩევდა სხვებისაგან. ინტერვიუში, თუკი ჩემზე ჰკითხავდნენ რაიმეს, საკმაოდ გულგრილად პასუხობდა: „კარგი მოცეკვავეა. კარგი ფეხები აქვს“.

**— არის რაიმე თქვენს ცხოვრებაში, რის შეცვლასაც ისურვებდით?**

— რამდენიმე წლით უფრო ადრე მივი-

ლოდი ბალანჩინთან, სანამ ჯერ კიდევ ვიყავი რთელი იყო. იქნებ, მაშინ ჩვენი თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერი გამოდგარიყო. საერთოდ კი, ძალზე ცოტა რამეზე მწყყდებოდა.

**— თქვენს პირად ურთიერთობებზე?**

— დიახ. ძალიან ვნაობ, რომ მე და ჯესის (მსახიობი ჯესიკა ლანჯი) ყველაფერი ისე არ აგვეწყო, როგორც გვინდოდა. ეს გრძნობა მუდამ დარჩება ჩემში, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. იგი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქალთაგანია, ვინც კი ოდესმე შეყვარება. ამჟამად ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. უკეთესი დამოკიდებულებაც კი გვაქვს ერთმანეთთან. ვიღრე ადრე.

**— ალბათ, მძიმედ განიცადეთ თქვენი განშორება?**

— დიახ. რა თქმა უნდა, მაგრამ შეუძლებელია ურთიერთობის შენარჩუნება, როცა 6-7 თვე ვერ ნახულობთ ერთმანეთს; შეუძლებელია ტელეფონით ერთად ყოფნა — ეს სასაცილოა. სიტუაცია სემ შეპარდთან კი უფრო მოწესრიგებული და საიმედოა. ისინი ერთად მუშაობენ, სულ ერთად არიან. მე ბედნიერი ვარ მათ გამო. და კიდევ ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მივმხვდარიყავი, როგორ უნდა ვიყო მათ გამო ბედნიერი. მე ძალიან მიყვარს ეს ქალი, და ძალიან ვამაყობ იმით, რომ ვიპოვე ჩემს თავში ძალა, მის გამო ბედნიერი ვყოფილიყავი.

**— რამდენი ხანი დაგჭირდათ ამისთვის?**

— (იციანს) სულ რამდენიმე წელი.



„გედის ტბა“. სინთია პარკი და მიხეილ ბარიშნიკოვი

— ქალიშვილიმა დიდი გავლენა მოახდინა თქვენს ცხოვრებაზე. რა გასწავლათ მან?

— ხანდახან გეჩვენება, რომ უკვე იცი რაში მდგომარეობს ცხოვრების არსი, მაგრამ უტყებ ხვდები, რომ ყველაზე მთავარი — მიმობაა. მე მხოლოდ ის მყავს, და ეს ძალიან მენმარება ჩემთვის ყველაზე უფრო ძნელი დღეების ქამს. მშვენიერია იცოდე, რომ ვილატას სჭირდება.

— თქვენ ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფებით...

— დიახ, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო ნაკლებად მომწონს. საუბედუროდ, სულ უფრო და უფრო მეტ ინტერვიუებს ვაძლევ, რაც უკვე ჩემს ერთ-ერთ ყველაზე უსიამოვნო საქმიანობად მიმაჩნია. ძალიან ბევრი რამ მაქვს ნაყბელი. არ მქონია საშუალება ხელახლა დამეწყო ცხოვრება და ახალი ემოციები დამეგრკოვებინა. იქნებ, 40 წლის შესრულბამ მაინც მაიძულოს რაიმე ახლის განცდა. მაშინ სხვა ცხოვრება დაიწყება.

— და როგორი იქნება იგი?

— არ ვიცი. სცენის დატოვება მომიწევს. მომიწევს უბრალო ადამიანად ყოფნა.

— არ გადელვებით სხეულის დაბერება?

— ჭერჭერობით არა, ღმერთის წყალობით (იციან). მე ჭერ კიდევ ყოველდღიურად 90 წუთს ვატარებ კლასში, და თუკი ერთ დღეს მაინც გავაცდენ, მეჩვენება, რომ სასტიკად ეჯიკ. ჩემს სხეულს. სხეულის მესხიერება მაყურებლისაზე მტკიცეა. საკუთარი თავი სხვაგვარი გახსოვს, სარკე კი სულ სხვანაირს გიჩვენებს. საერთოდ, ეს მთელი ფილოსოფიაა — როგორ დაბერდე. მე, მაგალითად, უკვე სულ აღარა მაქვს ადრინდელი ელევაცია, ხანდახან ვთვალთმაქცობ იქ, სადაც ფიზიკურად ვეღარ ვქაჩავ. მაგრამ ცეკვით ახლა გაცილებით უკეთ ვცეკვავ — იქნებ, ნაკლები ბრწყინვალეობით, იქნებ, ნაკლებ ხალხს ვაიძულებ წამოიჭრას სავარძლიდან, მაგრამ მე გაცილებით მნიშვნელოვანი მოცეკვავე გავხდი. მე ცეკვის სხვადასხვა ასპექტი შევიცანი, რასაც ადრე ვერ ვახერხებდი, — მაგალითად, დუეტები პარტნიორთან (იციან).

— ფულს აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?

— მე მინდა იმდენი ფული მქონდეს, რამდენიც ყველა სურვილის დაქმნაყოფილებას შემადლებინებს. არ ვისურვებდი, მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს დულუტაში აღ-

მოვჩენილიყავი და ადგილობრივი დასი მე მეცადინა მხოლოდ იმიტომ, რომ ფული მჭირდება. გარდა ამისა, ჩემი ქალიშვილის წინაშე ვგრძნობ გარკვეულ მოვალეობას. თუმცა, ძალიან მხარჯველი ვარ. თუ თვის გატარებას კარიბის კუნძულებზე მოვიწინდომებ, სახლს, რა თქმა უნდა, ზედ ზღვის ნაპირას ვიქირავებ; თუ „კონკორდი“ დამჭირდება, ფულზე არც დაფიქრებდი. ხოლო თუკი ჩემს ახლო მეგობრებს სჭირდებათ ფული — ის მათ განკარგულებაშია.

— ვფიქრობ, რომ ყველა ძალიან მდიდრად გთვლით.

— რას ნიშნავს, თქვენი აზრით, ძალიან? მაქვს თუ არა რამდენიმე მილიონი? მაქვს.

— უკვე 7 წელია, რაც ABT-ს სამხატვრო დირექტორი ხართ. ეს თქვენი საქმეა?

— იდეალში? კი. არავითარ ძალ-ღონეს არ დადიშურებ, სანამ შევძლებ. მე არა მაქვს ამ კომპანიასთან კონტრაქტი, ეს მხოლოდ ქვინტლმენტური შეთანხმებაა. მე აქ ვარ იმიტომ, რომ მწამს ეს საქმე და მიყვარს ეს ახალგაზრდები.

— და თანაც ეს ის ადგილია, სადაც შეგიძლიათ კვალი დატოვოთ?

— არსად არ ვაპირებ კვალის დატოვებას. ეს უბრალოდ ის ხალხია, ვისთანაც ვმუშაობ. მე მინდა დავინახო, თუ როგორ აღწევენ ისინი წარმატებას, მინდა, რომ მათ იმ შესაძლებლობების თუნდაც ნახევარი გააჩნდეთ, რაც მე მაქვს; მინდა, რომ მათ ღირსეული შემოქმედებითი ბედი ჰქონდეთ, რომ ისინი კარგად გრძნობდნენ თავს თეატრში, რომ ცხოვრებაშიაც რაიმე სეროიზულის გავლენის უნარი შესწევდეთ.

— ძნელი საქმეა სახალეტო დასის ხელმძღვანელობა?

— რა თქმა უნდა, იოლი არ არის ამ წრეში ტრიალი. ძალიან ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ ეს ხომ ყველაზე მტკივნეული ადგილია ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ნებისმიერი დაწესებულების ოფიციალურ ხელმძღვანელობას ჰკიდებს ხელს. იქ შეიძლება 3 ან 300 ადამიანი იყოს, მაგრამ რა წუთიდანაც საქმეს შეუდგები, სულ ერთია, ხელფასი იქნება ეს თუ ვინმეს დათხოვნა, პირდაპირ ეჯახები საკუთარი ღირსების გრძნობას, სისუსტეებს, სულმდაბლობას, სიღამაზეს, გულწრფელობას, უნიკობას, შურისგებას, ისევე, როგორც არაჩვეულებრივი ადამ-

მიანებთან ურთიერთობას. და მოულოდნე-  
ლად ასეთ კითხვას უსვამ საკუთარ თავს:  
„რატომ თვლი თავს უფლებამოსილად ყვე-  
ლა განსაჯო? მხოლოდ იმიტომ, რომ გთხო-  
ვეს ეს? თუ იმიტომ, რომ კარგი მოცეკვავე  
ხარ?“. ეს იგივეა, რაც საკუთარ თავთან პინგ-  
პონგის თამაში. ეს მომენტი ძალზე სწრაფად  
დგება და სწრაფადვე ზრდას გაიძულებს.

— ისურვებდით სსრ კავშირში გამოხვლას?

— უკვე მითქვამს, რომ — დიდი სიამოე-  
ნებით, ოღონდ, მხოლოდ თეატრთან ერთად.  
არა მგონია, რომ ეს მალე მოხდეს.

— მაგრამ თუკი იმ დროისათვის უკვე  
დატოვებული გექნებათ სცენა?

— ეს არც ისე მნიშვნელოვანია. იქ, შავ  
ბაზარზე არის კასეტები ყველა ჩემი გამოს-  
ვლითა და ფილმით.

— დიდ თეატრს ამერიკაში ჰქონდა გას-  
ტროლები. დაესწარი?

— დიახ, ერთი წარმოდგენა ვნახე. გაფიზი-  
ლებულიც ვარ და შექუჩებულებიც. კიროვის  
ბალეტი, ჩემი აზრით, უკეთეს ფორმასია,  
თუმცა, იქაც შეიმჩნევა ერთგვარი დაცემა.


— რა მიჯანინათ თქვენს შესახებ არსე-  
ბულ ყველაზე არასწორ შეხედულებად?

— სიმართლე რომ გითხრათ, უკვე აღარ  
მიანტერესებს (იციანის) არასწორი შეხედუ-  
ლებანი. მე უკვე აღარ მიანტერესებს რას  
ფიქრობენ ჩემზე და ბედნიერი ვარ, რომ მი-  
ვაღწიე ამ მდგომარეობას.

— რამ მიგიყვანათ აქამდე?

— ალბათ, ABT-ს სამხატვრო დირექტო-  
რად მუშაობამ. ყოველი კრიტიკოსი უფლ-  
დამოსილია ჩემი ყველა მცდელობის ანალი-  
ზი მოახდინოს. მეტად ქედმაღალი კრიტიკო-  
სებიც არსებობენ, რომლებსაც თუკი რაიმე  
არ მოსწონთ, მიზეზის პოვნას შენი მუშაო-  
ბის პრინციპში ან შენს პირად ცხოვრებაში  
ცდილობენ. მე მსურს თეატრი იმ გზით  
ვატარო, რომელიც საუკეთესოდ მიმაჩნია.  
კრიტიკას კი ვკითხულობ და ვიღებ კიდევ.  
თუ ის იმ ხალხისაგან მომდინარეობს, ვინც  
რაიმეთი აღმაფრთოვანებს. მას რომ პირდა-  
პირ ფერდში ჩაიკეშულ დანასავეთ აღვიქვა-  
მდე, ალბათ, არავითარი სისხლი არ მეყო-  
ფოდა. ზოგჯერ არასწორ არჩევანსაც ვაკეთ-  
ებ, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრებაა და მე მიწდა  
თავად ვაგო პასუხი ჩემს გადაწყვეტილებაზე.

ინტერვიუ ეურნალიდან „ტეატრალნია ვიზნ“  
თარგმნა ლ. მსახაძე.



ავტოპორტრეტი. 1975 წ.  
ქ. იერუსალიმი

# მიხეილ ჯანაშვილის ბახსენება

ბაბაი გელოვანი

ზეგარდმო ნიჭით შექმნილი ნაწარმოე-  
ბი ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთ-  
ნოგრაფიაზეა დაფუძნებული. მასსადა-  
მე კერძო თვისებისა ზოგადი საკაცობ-  
რიო ხდება და ერთიარად საყვარელია  
ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნე-  
ბასაც არ უნდა ეუფთვნოდეს.

ვაჟა-ფშაველა

„მადლობელი ვარ ყველაფრი-  
სათვის... ჩემი სალამი მარად სა-  
ნატრელ საქართველოს...“—თქვა  
და სული დალია. აღსასრულის  
წინ ტელეფონით ელაპარაკა მისი  
აღმზრდელი, პროფესორი მორის  
დანიელოვი. მიხეილს ხმის ამო-

ლება უჭირდა, მაგრამ როცა მისმა ქალიშვილმა ცისანამ ჩასძახა, მორისია თბილისიდანო, ძლივს შეძლო რამდენიმე სიტყვის თქმა. ეს იყო უკანასკნელი სალაში იმ ქვეყნისადმი, რომელიც ასე უყვარდა, და ეს სიყვარული კიდევ გამოხატა ფუნჯით თუ კალმით.

„რა გინმობს 'იერუსალიმში'?" — ვკითხე ერთხელ, როცა ჩემთან სტუმრად იყო და ცისანასთან ერთად პორტრეტზე მუშაობდა. „მიწის ძახილი“, — მიპასუხა ფიქრის შემდეგ, მაგრამ იქვე გაიხსენა ერთი რაბინის სიტყვები: „მე ისრაელი საქართველოში დავტოვე“. — ამით, ცხადია, დარდიც გამოხატა: ისრაელი, ბიბლიური გაგებით, სიკეთის აღთქმულ ქვეყნად მიაჩნდა.

ერთხელ მითხრა: „მინდა საბაკლიაშვილი დაეხატო, მასალებს ვეძებ“.

ვინ იყო საბაკლიაშვილი? მწერალი გურამ ბათიაშვილი თავის ნარკვევში („კომუნისტი“, 20 VIII. 1988) წერს, რომ სიმონ-თელმა საბაკლიაშვილმა ოდესღაც იარაღით დაიკვა ებრაელები, შუბლში მოხვდა ტყვია, თეთრი გემით ჩამოასვენეს ბათუმში. „და კიდევ ერთი გმირი შეიქმნა საქართველოს“...

აი, იმ ლამაზი ვაჟკაცის დახატვა სურდა მიშას... კაცი ყველაფერს ვერ მოასწრებს, — ხელოვნება უკიდევანოა, სიციცხლე მოკლე, — მაგრამ ის, რაც მოასწრო, საკმარისია ოსტატის სამუდამო ხსოვნისათვის.

\* \* \*

მიხეილ (მორდეხაი) ისაკის-ძე ჯანაშვილი დაიბადა თბილისში 1929 წლის 24 თებერვალს. 15 წლისამ დაამთავრა შვიდწლედ, შემდეგ შევიდა იაკობ ნიკოლაძის

სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ბოლო 1949-1957 წლებში უჩა ჯაფარიძისა და კორნელი სანაძის ხელმძღვანელობით სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. რომელიც წარმატებით დაამთავრა. მისი მეგობრები იყვნენ რენო თურქია, ზურაბ წერეთელი, გურამ გელოვანი, გიორგი თოთბაძე... ჭერაც ყმაწვილი, გატაცებით უსმენდა „ბრწყინვალე მხატვრას“, ოთხმოცი წლის გიგო ზაზიაშვილს, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა.

სწავლის პერიოდში იტაცებდნენ იმპრესიონისტები — რენუარი, მანე, მონე, დეგა... მუდამ ხიბლავდა მათი ცოცხალი მზიური ფერების სიხალასე.

1960 წელს მოაწყო პირველი პერსონალური გამოფენა. ერთი წლის შემდეგ — მეორე. საერთოდ, საქართველოში შეიძლია პერ-

ივლიო



1974 წლიდან იერუსალიმში ცხოვრობდა. ბოლო წლებში დაავადდა. 1988 წლის ბოლოს 59 წლის მხატვარი გარდაიცვალა.



პორტრეტი

სონალური გამოფენა გამართა (ქუთაისში, მაიაკოვსკში, მოსკოვში, თბილისში...). მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე. თვითმყოფადი, ეროვნული სულის გამომატველი მისი სურათები დატულია საბჭოთა კავშირის მრავალ მუზეუმში.

ებრაელების საუბარი



„მეორე კლასში უკვე გატაცებული ვიყავი ხატვით. მამა სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩემი ამ გზით წასვლისა და ისე გარდაიცვალა. აზრი არ შეუტვლია. მე კი მხატვარი ჩემს წარმოდგენაში გაღმერთებული მყავდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მტკიცედ მიყვებოდი მიზნისაკენ მიმავალ გზას. ამაში დიდი როლი ითამაშა მეზობელმა მხატვარმა, რომელსაც შესრულებული ჰქონდა შოთას, თამარის, დავითის პორტრეტები“.

— იგონებს მიშა გაზეთ „ალიას“ ფურცლებზე („დაბრუნებულნი“).

შორეულ იერუსალიმში დასახლებულ ოსტატს აღმზრდელმა მორისმა ასეთი წერილი მისწერა: „შენი გამოფენა თვალსაჩინო მოვლენაა ისრაელის კულტურულ ცხოვრებაში, გამოხატულება არა მარტო შენი ხალასი ნიჭისა, არამედ ჩვენი და ქართველი ხალხების გულითადი მეგობრობისაც. შენს ტილოებზე მთელი ისტორია ჩანს ქართველი ერისა, მისი კულტურისა და სიდიადის. შენ ხატავდი შოთა რუსთაველს — შოთა კი, ესაა ქართველი ერი, მისი სიბრძნე, სიმამაცე, მეგობრობა და ერთგულება, ესაა ქართველი ერის სიბრძნე. შოთას განცდები სამშობლოში, მისი განშორება და იერუსალიმში ყოფნა—ერის წყლულია, ერის ნალველია დინამიკაში მოცემული, მისი სიდიადე... ახლა შენი ქართული სახეები, თბილისელთა ტიპები, რაბები, იცა... რომელი ერთი ჩამოვთვალა! ჩემო მიშა! მწვერვალამდე დიდი გზა. მარადიული დაბრკოლებებია, ეკლიანი და სახიფათო ბილიებია. შენ შუა გზაზე არ გაჩერდები. ვიცი, გადაგვლახოს ეს სავალი და შენი ფუნჯი გამხდარიყოს მსოფ-

ლიო საგანძურის ღირსი! ხომ იცი, რაც უფრო დაუხალოვდები მწვერვალს, მით მეტი უფსკრული დაგზვდება, რომელთა დაძლევაც შესაძლებელია მხოლოდ დიდი სიყვარულით და დიდი ჭაფით. შენ ხომ ორივე მოგცა საქართველომ!“

\* \* \*

1980 წლის 26 ივნისს თელავის ხელოვნების სახლში ზეიმით გაიხსნა საიუბილეო გამოფენა, მორდენაი ჯანაშვილის ნახევარსაუკუნოვანი შრომის ანგარიში. აქ იყვნენ ქართველი ებრაელები, მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, მოღვაწეები. გამოფენა გახსნა ხაიმ ხუბელაშვილმა. სიტყვით გამოვიდა თელავის მერის მოადგილე, უნივერსიტეტის რექტორი, სამინისტროს მუშაკები; შალვა დავითაშვილი, შალვა მეგრელიშვილი, რაფი ბარლავი, ყველანი საქართველოს მადიდებელნი. გამოვიდნენ რობერტ ელიგულაშვილი, ექიმი ისახარ იაკობაშვილი, იაკობ ჩიკვაშვილი, მიხაელ წიწუაშვილი, აბრამ მაშისთვალავი (ცნობილი მწერალი, „ხლართების“ ავტორი).

მ. ჯანაშვილის სურათების გამოფენა ისრაელის კულტურულ ცხოვრებაში მართლაც დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა გამოდგა. ისევე როგორც გერცელ ბააზოვი ქართველ ებრაელთაგან პირველი პროფესიონალი მწერალი, მიხ. ჯანაშვილი პირველი ებრაელი მხატვარი-პროფესიონალია.

მეხუთე პერსონალური გამოფენის გამო დაწერილ ნარკვევში ბაქურ ბაქრაძე ჩინებულად გამოხატავს მისი შემოქმედების არსსა და რეზონანსს, თან იმოწმებს ლ. ჭყონიას, გ. ხუბაშვილის, და სხვათა მოსაზრებებს. „მიზამ თავისი შემოქმედების გაფურჩქვნის ხანაში დატოვა საქართველო. ისრაელის მცხუნვარე მზეში ამ ყვავილმს თითქოს ჭკნობა იწყო. — ნოს-



ბორის გაბოროვი

ტალგიით შეპყრობილი ოსტატით თქოს გაჩუმდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო დროებითი შესვენება, ღრმად ჩასუნთქვა ფერთა გამის ახლებურად გადაშლის წინ“ (იაკობ კრიხელი).

„ადამიანური სილამაზის მხატვარი“ უწოდეს მიშას ჯერ კიდევ საქართველოში, პირველ პერსონალურ გამოფენაზე. მის ნაშრომს ატყვია პოეზიის სილამაზე. მ. ჯანაშვილი ჟანრობრივად მრავალმხრივი მხატვარია, რითაც ის ამკლავნებს ორი საწყისის — ბუნებისა და ადამიანურის სინთეზისაკენ მისწრაფებას. მისი სურათის ცენტრში დგას ადამიანი მთელი თავისი სიდიადით, სიამაყით, ტრაგიკულის განცდით“ (მაყვალა ჭინჭიხაშვილი).

„მოწიწებით ვესტუმრე ოსტატს იერუსალიმში. დიდი მხატვარი მეუღლესთან ერთად დიდი სიხარულით შემოგვეგება და შეგვიძღვა ოჯახში, რომელიც თვითონ წარმოადგენდა უზარმაზარ სამხატვრო გალერეას. რამდენიმე წუთით გაოგნებული შევცქეროდი ჭეშმარიტი ოსტატობითა და მა-



ლენარდო მონა ლიზათი

ღალი დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ ფერწერულ კმნილებებს და გულში ვფიქრობდი: ბედნიერია ერი, მშობელი ასეთ ხელოვანთა, და ბედნიერია ასეთ ნაშრომთა შემოქმედი“ (მზია მამისთვალოვი, იაკობ ჩიკვაშვილი, „ალია“, 747).

\* \* \*

მორღეხი ჩანაწერი ბოლომდე რეალისტური ხელოვნების ერთგული დარჩა.

„ქართველი რაბინები“ (რაბინთა დისპუტი), „დედა-შვილობა“, „მაიაკოვსკი ქართველ მეგობართა შორის“, „ლენარდო თავისი მონალიზათი“ (სამი ვარიანტი)... ამ სურათებში შექმნილია საინტერესო პორტრეტული სახეები.

ტრიპტიქი „სად წაიყვან სადაურსა“... პოეტი ალეკო შენგელია მას ძველ ქართულ კარედ ხატებს აღარებს.

პირველ კომპოზიციაზე „საქართველოდან“ მიმავალ მგოსანს მუხლი მოუყრია, ფრჩხილებით მოუკორტნია ერთი პეშვი მიწა და ბაღდადში ინახავს... დაღონებულა ცა, ფიქრის ღრუბელი შემოსე-

ვია“. სურათს ეწოდება „ვაჰ. სოფელო, რაშიგან ხარ“; მეორეზე იერუსალიმის მახლობლად ღრმად მოხუცი პოეტი ქვაზე ჩამოქდარა, ჯონზე დაყრდნობილი, ღრმა ფიქრს მიცემული გასკერის შორეთს... ფონზე ჩანს მეჩეთი, სინაგოგა, ქართული ტაძარი... სურათს ქვია „სად წაიყვან სადაურსა“. მესამე სურათზე — რუსთაველის დატირების სცენაა გამოხატული. ფონზე — ფრესკული სახეა პოეტისა. დაბინდულ სენაკს სანთელი ოდნავ ანათებს. სურათს ეწოდება „სად აღუფხვრი სადით ძირსა“...

თბილისს ეძღვნება ტრიპტიქი „მეფაიტონე“. პეიზაჟები („თბილისური საღამო“, „ზამთარი თბილისში“, ძველი თბილისის ციკლი).

ბიბლიურ თემაზე შექმნილი შესანიშნავი ტილოებია „რაბილი აბაზანაში“, „ივლითი“ (ლამაზი გმირი ქალი ამაყად დგას, ცალ ხელში მანვილი უჭირავს, მეორეში ოლოფერნის მოკვეთილი თავი).

ძალზე მეტყველია ლიონ ფიხტენგერის „ესპანური ბალადის“ („ტოლედოელი ებრაელი ქალის“) ილუსტრაციები. ნახატში „იეჰუდა“ (ჰაინეს ამ დიდ პოეტზე მთელი პოემა აქვს) წყვილიანის ფონზე ცისკენ მავედრებლის პოზით მდგარი მოხუცის მალა აღმართული ხელები სიმბოლურად გამოხატავენ დიდი პოეტის განცდებს, თავისი ერის ძნელბედობაზე შესჩივის უზუნაესს. ესაა სარიტუალო სცენა „ფეთიხა“ — „გალება“, „აღმოჩენა“. იგივე „ვედრება“, მსგავსი ალტმული ქვეყნის ხილვისა.

მიხეილ ჩანაწელია პორტრეტის ენარში თვალსაჩინო წარმატებას მიღწია. გარეგნული მსგავსება და შინაგანი სულიერი მოძრაობა მათში სრულ თანხმობაშია, შექმნილია მკაფიო ინდივიდუალური სახეები. გამოირჩევა მარ-

ქისა და ენგელის. ნ. ბარათაშვილის. გ. ტაბიძის, გ. ბააზოვის. ანა ფრანკის პორტრეტები. „ჩემი კერპები“ (ტიციანის, ველასკის, რემბრანდტის სახეები, საკუთარი ავტოპორტრეტით კომპოზიციის ცენტრში), ავტოპორტრეტები.

პორტრეტული ტილო „ბაბი“ (ზეთი), თვალს იზიდავს ფერთა სიცოცხლითა და სისუფთავით, მეტყველია რაბინის გამჭრიახი მზერა. პოზა, ფაფუკი ხელების მშვიდი მოძრაობა.

ფაშიზზე გამარჯვების 40 წლისთავზე იერუსალიმში „სამშობლომ“ გამოუშვა მ. ჯანაშვილის მიერ შესრულებული პლაკატები: „ერი იცოცლებს“, „დაფიშვავზე“, ანა ფრანკის პორტრეტი, „საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე“, „პიტლერის ფანატიზმი“ (ადამიანთა თავის ქალების ზღვაში ფიურერი დგას და ხელაპყრობილი ლოცულობს).

ემოციური გამომსახველობით გამოირჩევა აგრეთვე სურათები „რაკველი“, „მაქწავლებელი და მგალობელი შეგიბრდები“, „ორი ებრაელის საუბარი ქუჩაში“, დიდი სარეკლამო კომპოზიცია „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ“...

მ. ჯანაშვილის „იეპუდას ფიქრები“ ისრაელის პარლამენტის შენობას ამშვენებს, მისი სურათები შეტანილია წიგნებში და

ალბომებში. კერძოდ. „ისრაელის ალბომში“, რომელიც ასი ათასობა ნი ტირაჟით გამოვიდა ინგლისურ-ფრანგულ, გერმანულ ენებზე.

\* \* \*

მიშა ჯანაშვილი ღრმა პატივს სცემდა ყოველ ნიჭიერ შემოქმედს, რად ღირს თუნდაც შოლომ კობოშვილის მაგალითი! ეს იყო ხალასი ნიჭით დაჯილოებული თვითნასწავლი მხატვარი. ხელოვნების მუზეუმის უბრალო დარაჯი, რომლის ნახატები ხელოვნების დამფასებელთა მოწონებით სარგებლობდა. მიზეილმა ერთხელ ლადო გუდიაშვილს თხოვა დაეწერა მასზე წერილი „საბჭოთა ხელოვნებისათვის“. ლადოს უპასუხნია: „მე ნამდვილად დიდად ვაფასებ შოლომ კობოშვილის შემოქმედებას. მაგრამ სტატია თქვენ უნდა დაწეროთ. რადგან შოლომის შემოქმედება მთლიანად ეროვნული ხასიათისაა და თქვენ უფრო ღრმად შეგიძლიათ მისი სულის გახსნა. შოლომის შემოქმედებას არ სჭირდება ავტორიტეტის მოშველიება. ის თვითონაა ავტორიტეტი“.

ჯანაშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა შოლომის შემოქმედება. რომელსაც იგი „ქვიშაში ნაპოვნ ოქროს მარცვლებს“ უწოდებდა. ისტორიულ მუზეუმში მიაგონ

მასწავლებელი და მისწავლებელი



# ბერიკაობის სიუჟეტები

რუსუდან თულიანი-ჩხეიძე

ძველ ქართულ სანახაობათა შორის დიდ ყურადღებას იქცევს ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი ბერიკაობა, რომელიც ჭერ კიდევ ადრეული პერიოდისა და წარმოადგენდა მკვლევართა შესწავლის საგანს, მაგრამ ქართული სანახაობრივი კულტურის ამსახველი ლიტერატურის გაცნობით აშკარა ხდება, რომ ერთი რომელიმე კუთხის ქარ-

თული სახალხო დღესასწაულის ბერიკაობის სახეობათა შესწავლა ამ ბოლო დროს დაიწყო.

ვინაიდან დღემდე უფრო ზოგადად გვაქვს საქართველოში ბერიკაობის შესწავლის მაგალითები, მიგვაჩნია, რომ დადგა დრო ამ მეტად საინტერესო, თავისთავად მდიდარ ეროვნულ ტრადიციას. ვსწავლობდეთ ცალკეული კუთხეების მიხედვით. ამ მხრივ

სადაც ყუთში ჩაქმუქნილ რამდენიმე ტილოს. შეავროვა 25 ნამუშევარი, აღადგინა „ებრაელთა ფიროსმანის“ ზოგი სურათი. თვით შოლომის მოგონებების საფუძველზე დახატა სურათი „ფიროსმანისა და კობოშვილის შეხვედრა თბილისის ღვინის სარდაფში“, დაბოლოს, უკვე იერუსალიმში, დაწერა წერილი, რითაც დაიწყოება გადაარჩინა ხალხური ხელოვანი. დღეს ხელთა გვაქვს შოლომის „სცენები ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან“ და ზოგი სხვა ნამუშევარი.

მიხეილის ასული ცისანა 1954 წელსაა დაბადებული, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, შემდეგ მამას გაჰყვა იერუსალიმში და ბედმა ამერიკელთა პატარძლობა არგუნა. პირველ ხანებში განიცდიდა სიურეალისტებისა და სიმბოლისტების გავლენას. დახა-

ტული აქვს სურათები ბიბლიურ და თანამედროვე თემებზე. პორტრეტები (ავტოპორტრეტი, მამის და მახლობელ ადამიანთა, ამ სტიტიკონების ავტორის პორტრეტები), ჩინებული ტილო „ზმანება“... ცისანას არაერთხელ მოუწყვეს გამოფენა ამერიკაში.

\* \* \*

გულდია. კეთილი, დაუდევარი, კაცთმოყვარე იყო მიხეილ ჭანაშვილი. მეტს ისმენდა და ნაკლებს ლაპარაკობდა. მისგან მუდამ რაიმე ახალს, საგულისხმოს გაიგონებდით. საქართველოში ყველა იცნობდა, როგორც მიშას, მიხეილს. იერუსალიმში ძველი ტრადიციული ფორმა მიიღო ამ სახელმა. უფრო სწორად — მიიღო ახალი სახელი მორდენაი. გვართი და გულით კი იგი მუდამ ერთი იყო.

მეტად საინტერესოა ყვარლის რაიონის ბერიკაობა — ყვენობის რიტუალი.

ენისეული გომარ ნერსეზაშვილის გადმოცემით ბერიკაობა არის ერთმანეთით შევსებული რელიგიური და სახალხო დღესასწაული. ამ დღესასწაულის აღმოცენების ზუსტად დათარიღება შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოს უხსოვარ დროიდან უხდებოდა მტერთან ბრძოლა. ბერიკაობა გამოხატავს შემოსული მტრის მასხრად ავდებას, მის მარცხს, სამარცხვინო, მათხოვრულ ცხოვრებას და საქმიანობას.

ბერიკაობის სიუჟეტური ქარგის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გ. ნერსეზაშვილის მიერ აღწერილი სოფ. ენისელში 1958-59 წწ. ჩატარებული ბერიკაობა. «ყვენი ყველა ძირითად გზაჯვარედინზე შეჩერდება და გასცემს ბრძანებას, მოენე თარგმნის, მაგალითად: ამ უბანს ამდენი კვერცხი აქვს შეწერილი, ამდენი ლიტრა ღვინო, ამდენი ხორცი და ა. შ. საჭიროა გზები გაფართოვდეს, გოგოები დავათხოვოთ, ბებრები კი დავხოცოთ», რაც უფრო მოსწრებულია მოენე, მით უფრო საინტერესოა ბერიკაობა. ბრძანების გაცემისას ბერიკებს ჩხუბი მოსდით, ერთი მეორეს კომბალს არტყამს თავში, რაც აუცილებელი კომპონენტია ბერიკაობაში. ბერიკა წაიქცევა შუა გზაში, დანარჩენები კი ყვენის ბრძანებით იწყებენ ექიმის ძებნას. ერთ-ერთ ბერიკას ექიმი ზურგით მოჰყავს და ავდებს ავადმყოფთან. ექიმი ბერიკას უსინჯავს სხეულის ყველა ნაწილს, უხსნის შარვალს (ამას აკეთებს სპეციალურად გარშემო შეკრებილი გასათხოვარი ქალენისათვის), უყოფს ხელს შარვალში და აცხადებს: «გაშეშებული

აქვს და ამას მხოლოდ 16 წლის გოგო მოარჩენსო». ბერიკები დარბიან ამხანაგის გადასარჩენად, დუსიასაც მოუყვანენ, მაგრამ იგი მასხრად ივდება ავადმყოფს, ზედ დაახტება და ბოლოს გარბის. ბერიკებს მოჰყავთ მღვდელი. იგი მიიმუნის ზურგზე შემჭდარი მოდის ავადმყოფთან. გადმოვლები იგი გალანძღავს დედ-მამის სულს, რაც საერთოდ დამახასიათებელია ბერიკაობისათვის, და იწყებს წირვას. ჭვარი უკულმა უჭირავს, უკულმა უვლის ავადმყოფს და ლოცვასთან ერთად ილანძღება. ზიარების შემდეგ მღვდელი აცხადებს, რომ ავადმყოფი გადარჩება, მაგრამ მას მაინც უნდა ქალიშვილიო. ვინაიდან ამ ამბავს მღვდელი შემდეგისათვის გადასდებს, ბერიკა ლანძღვით წამოდგება და ცეკვათამაშს იწყებს. პროცესია გრძელდება ხალხის მომავალ თავშეყრამდე».

უნდა აღინიშნოს, რომ ბერიკაობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს მოძალადეობა, რაც გამოიხატება მოსახლეობის ოჯახებში ბერიკების ძალით შეჭრაში და ნადავლის წართმევაში. ბერიკები უმთავრესად სასაცილო სცენებს ანსახიერებენ. მაგალითად, სოფ. შილდაში მცხოვრები ნინო ლელელუტაშვილი იხსენებს, რომ მის შვილს სოფ. აღმატში ბერიკაობის დროს საბუღარი კრუხიან-წიწილიანად ქამრით კისერზე ჩამოუყიდა, დანარჩენ ბერიკებს აჩვენა და შემდეგ ისევ უკან დააბრუნაო».

ბერიკაობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოფლის ნაკლოვანებების მხილება და ხალხის გულისტკივილის გამოხატვა. მაგალითად სოფ. ბაღლოჯიანიდან ხვედელიძე გვაძენობს: «ენისელ-



ბერიკაობა სოფ. საბუეში

ჭირა მისი გასწორება, ამ მდინარეზე ხილია გასაკეთებელი და ა. შ.“

ბერიკაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა სხვადასხვა სოფლების ბერიკებს შორის შეჯახება-შეკიდება. ალმატელი გიგოლა ზალიაშვილი გადმოგვცემს, რომ „საბუელი და ალმატელი ბერიკები ერთმანეთს რიყეზე ეკიდებოდნენ. ალმატელებს ბაირალი ჰქონდათ, საბუელებს კი არა. ბაირალი ეჭირა ისეთ ვაჟაკს (დემეტრე კურდელაშვილს), რომელსაც ვერავინ წაართმევდა; ხოლო საბუელი გიორგი მარქაროვის ცნობით „თავადები სპეციალურად მართავდნენ საილს და ერთობოდნენ მარიამობის მინდორზე გამართულ ენისლელი და საბუელი ბერიკების ჩხუბით“.

ბერიკაობაში მოსახლეობის ჩათრევა-მონაწილეობის დადასტურებას იძლევა გოგი მარქაროვის მიერ მოყვანილი მაგალითი, როდესაც „შილდის გზაზე ბერიკები შეხვედრიან ხურჯინებით დატვირთულ მღვდელს, მათ წაურთმევიათ მისთვის ხურჯინები და წვერის გაბარსვაც მოსდომებიან, მაგრამ მღვდელს დაუძახია, თქვენც ბერიკა და მეც ბერიკაო. ამის შემდეგ ბერიკები შეეშვნენ მღვდელს“.

„ბერიკაობის დამთავრებისას ყენის წყალში გადაგდების დროს იგი ცდილობს სხვებიც ჩაითრიოს წყალში, რაც იწვევს საერთო სიცილ-ხარხარს. ბერიკები ცეკვა-თამაშის დროს ახალგაზრდა გოგონებს იწვევდნენ საცეკვაოდ და თუ რომელიმე გაუძალიანდებოდა, ან ძროხის კუდით სცემდნენ, ან გიბრით კოცნიდნენ“.

კახეთის ბერიკაობისაგან განსხვავებით მესხეთის ბერიკაობა იწყება დაფნა-ზურნით, შეღერე-

ში ყოფილა შემთხვევა, როცა ბერიკა გაგორებული და ექიმის მოყვანის შემდეგ მიანც არ ამდგარა; ვერაფერი გამიგო, გაიძახოდა, სანამ კმბუკიანის სოფლის თავმჯდომარე ამა და ამ ადგილას წყაროს არ გააკეთებს, სოფელს უბედურება მოელისო“.

ასეთივე ეპიზოდს იხსენებს არსენა გიგოლაშვილი სოფ. საბუელან: „ყენი წარმოსთქვამდა, რომ ესა და ეს ქუჩა, მაგალითად, ხენუანთ უბანი, ძალიან ვიწროა და უნდა გაგანივრდესო. ბერიკები ასახელებდნენ სოფლის მდიდარ კაცს და ყენი მას ფულად გადასახადს შეაწერდა“.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ყვარული ზურაბ კუბრაშვილი: 1954 წელს ყვარელში ჩატარებულ ბერიკაობაზე ყენი უცხო ენაზე წარმოსთქვამდა სიტყვებს, მაგალითად, ფრან, ფრონ, ფრუნ-ო, კვერდზე მჯდომი მოენე კი თარკნიდა, რომ გზა მრუდეა და სა-

ბული ფალავენების კიდაობით. მასში მონაწილეობას იღებდნენ: ნეფე-დელოფალი, სასტიკი ბერი, რომელიც არბევს და იკლებს სოფელს, ასრულებენ ფერხულს „ლალიონს“ (სააქლემოს) ბავშვთ-ტაციობითა და გამოსყიდვით და ორსეთულა „სამყრლოს“. აღსანიშნავია ტოტემისტურ გადმონაშთად შემორჩენილი ნიღბოს-ნობა „აქლემკაცობა“.

ბერიკაობაში მონაწილეობენ ბერის მწერალი, აპარელი, ექიმი, მეთელე, ბოშები და ლაზები. მთელ სანახაობას, ე. ი. კიდაობასა და ფერცულებს, ხარკის აკრეფას, უჩრთა მორჩილებაში მოყვანას, დედოფლის მოტაცებასა და მის გმირულ გამოსხნას, ბერის დამარცხებასა და თავლაფის დასხმას, დავიდარაბასა და აურზაურს — ხმაგაუწყევტლივ ეხმინება ზურნა-ტუტულაკი.

ბერიკაობის წინამძღვრობა მემკვიდრეობით გადაეცემა. იყენებს რა თაობიდან თაობამდე გადმოცემულ სცენარს, წინამძღოლი ინარჩუნებს იმპროვიზაციის უფლებას სიტუაციისა და მიხედვით.

ი. მისურადის მიერ სოფ. უდეში შეკრებილი მასალის მიხედვით „ბერად ამოირჩევდნენ ერთ კაცს, თავზე ქუდის მაგიერ კასრს ჩამოაცმევდნენ, შიგ ბატის ბუმბულს ჩაურკობდნენ, ზევიდან გადაბრუნებულ ტყავს ჩააცვამდნენ ისე, რომ მარტო თვალები და პირი უჩანდა, ხელში დიდ ჭოკს დააქვრივებდნენ“. სოფ. უდეში ყენის აღმნიშვნელად შემონახულია სიტყვა „ბერი“.

პარალელისათვის შეიძლება ფშავის წყაროსათვის ათიგენობისათვის მიგვემართა: „წელიწადს ხატში ხევისბერს მარ-

თავდნენ ხელმწიფედ. გამარ-თავდნენ ჯოხზე სახუმარს ალამს. როცა სოფელი სოფელ-დაილაშქრავდა ხელმწიფე გამოეგებებოდა ალმით და თავისი ამალით. სოფელში მოსული ვინმე ხნიერი დედაკაცი იქნებოდა; თუ ასეთი ხნიერი დედაკაცი არავინ იყო ამ დროს აქ, ასეთ შემთხვევაში კაციც შეიძლებოდა მოხუცებული, უფრო კი ასეთი ხუმრობის დროს ცდილობდნენ დადაკაცი ვინმე გამოსულიყო. დედაკაცი გამოვიდოდა ფალავენად და იტყოდა: ჩვენ ყველამ რად უნდა ვიომოთ, გამოიყვანეთ თქვენი ხელმწიფე, მე შევებები მას და თუ დავამარცხე. ჩვენია გამარჯვება და თუ ის დამამარცხებს, თქვენა ხართ გამარჯვებულიო. ხელმწიფე დათანხმდებოდა და გამოვიდოდა საბრძოლველად. მაგრამ ყოველთვის დაამარცხებდა დედაკაცი, წააქცევდა, სხვები მივარდებოდნენ და დროშას წაართმევდნენ. მეერ ზოგებს ტყვედ დაიჭერდნენ და აღარ უშვებდნენ სანამ საფასს არ მოუტანდნენ, — ლუდს და არაყს — არ უშვებდნენ. ხელმწიფის საფასი იყო ერთი კოკა ლუდი, უფრო ნაკლები იყო უბრალო მეგრძოლის საფასი... თუ ვერ მორიგდებოდნენ („მოშველდებოდნენ“) ტყვეების საფასზე, იმ შემთხვევაში სასამართლოს აირჩევდნენ და იმათ მიერ მისჯილ სასჯელს კი ყველა დათანხმდებოდა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საეკლტო ძეგლები, ტ. I ფშავი“. თბილისი, 1974, გვ. 205.

# ხანგრძლივი ინტერპელის

## უემდეგ

მამა ძივუა



1967 წელი — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნის თარიღი და მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდი თავისებურად უნიკალური მოვლენაა ქართული სასცენო ხელოვნების ისტორიაში. რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ შესძლო თანამოაზრე მსახიობებით დასის დაკომპლექტება და, რაც მთავარია, ისეთი განწყობილების დამკვიდრება, როცა მიზანი, შესაძლოა ერთბაშად, მაგრამ ერთადერთი იყო — მხოლოდ მწვერვალის დალაშქვრა! ამ სულისკვეთებით განვლო პირველმა წლებმა. კოლექტივის ერთუზიანობის შემოქმედებით პრინციპთა შედუღაბების შედეგად დაიბადა გამორჩეული სპექტაკლები: ე. როსტანის „სირანო და ბერკერაკი“, ვ. კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ“, მ. გორკის „ფსკერზე“, ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“, პ. კაკაბაძის „კახაბრის ხმალი“, ა. ჩხაიძის „ხიდი“, რომელთა რეჟონანსმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა არა მარტო რუსთავსა და თბილისში, არამედ 1969 წლის მოსკოვურ გასტროლებზე და საყოველთაო „ბუმში“ გამოიწვია თეატრალურ სამყაროში.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, რუსთავის თეატრი მუდამ წარმატებით მონაწილეობდა იმდროინდელ საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებებში — იქნებოდა ეს ფესტივალი თუ სხვა სახის დათვალიერება; ასე მაგალითად, 1970 წელს თეატრმა გაიმარჯვა პოლონური დრამატურების ფესტივალზე, სადაც წარმატება ხვდა ნუგზარ გაჩავას მიერ დადგმულ ზბინეკ სკოვრონსკის „მესტროს“. ამ ფაქტთან დაკავშირებით:

პოლონეთში მიიწვიეს სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებელი აკაკი ვასაძე. 1974 წელს, ამჯერად უკვე უნგრული დრამატურგის ფესტივალზე, კვლავ დიდი წარმატება ხვდა წილად ბუდაპეშტიდან მოწვეული სადადგმო ჯგუფის მიერ განხორციელებულ იოჟეფ კატონას „ბანკ-ბანს“. ფესტივალს ესწრებოდა უნგრეთის საელჩოს კულტურული ატაშე იოჟეფ კერი, რომელმაც თავისი აღფრთოვანება ვერ დამალა რუსთაველთა ნამუშევრის გამო და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა — თეატრი საგასტროლოდ მიიწვია უნგრეთში. „ბანკ-ბანის“ გარდა საგასტროლო რეპერტუარში შევიდა: პ. კაკაბაძის „კახაბრის ხმალი“ და ვ. კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ“. ამ გასტროლების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ თავის დროზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. ამჯერად მხოლოდ ერთს შევასხენებ მკითხველს: 1975 წელს თბილისში სტუმრად მყოფმა უნგრეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იანოშ კადარმა განსაკუთრებით აღნიშნა რუსთაველთა გასტროლები და განაცხადა, რომ ასეთი ბრწყინვალე თეატრი უნგრეთს აქამდე არ უნახავსო. ამ გასტროლების მნიშვნელობას ის ფაქტორიც განაპირობებდა რომ იმხანად ჩვენი რესპუბლიკიდან თეატრების გასვლა იშვიათობას წარმოადგენდა.

მას შემდეგ ხანგრძლივმა პერიოდმა გავლო და მხოლოდ გასული წლის თოლოს გახდა შესაძლებელი რუსთავის თეატრის საზღვარგარეთული გასტროლები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. აქვე ხაზგასმით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს

თეატრის მოღვაწეთა კავშირის „მეგობრობის თეატრის“ და, კერძოდ, მისი დირექტორის გაიოზ ჭავჭავაძის მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა. სულ მოკლე პერიოდში, ამ თეატრის მეშვეობით შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით — მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის, „სოვერემენიკის“, ვახტანგოველია, ერევნის სტანისლავსკის სახელობის, კუნსასის დრამატული, კიშინიოვის ახალგაზრდული თეატრის „ლუჩაფერულის“ და სხვათა ხელოვნებას; თავის მხრივ „მეგობრობის თეატრმა“ ბალტიისპირეთის, უკრაინისა და მოლდავეთის რესპუბლიკებში გაიტანა მარჯანიშვილის, მოზარდ მსაყურებელთა ქართული, კინოსახიობთა, მუსიკალური და რუსთავის თეატრების ბოლო წლების საუკეთესო ნამუშევრები. თუმცა, „მეგობრობის თეატრის“ მოღვაწეობა მხოლოდ საკავშირო მასშტაბით არ შემოიფარგლა და საგასტროლო გზებმა ჩვენი თეატრები სოციალისტურ ქვეყნებში გაიყვანა. ერთ-ერთი პირველთაგანი მათს შორის სწორედ რუსთავის თეატრი იყო.

ეს გახლდათ რუსთაველთა სახასუხო ვიზიტი ხასკოვოს ივანე დიმიოვის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლების შემდეგ, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე გაიმართა ქართველ მეტალურგთა ქალაქში. ბულგარელ სცენის ოსტატთა ხელოვნებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მსაყურებელზე ებრძულე თეატრალური აზროვნებით, მარხველი კულტურისადმი სათუთი დამოკიდებულებით, ახალგაზრდული გზებითა და ნიჭიერებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ცნობილ მოსაზრებას, რომ ამა თუ იმ ერის თეატრალური კულტურა მსაყურებლის დონით განისაზღვრება, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ როგორ ელვადნენ რუსთაველები საგასტროლო მოგზაურობის წინ. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ბულგარეთში კარგად იცნობდნენ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების საუკეთესო სპექტაკლებით, რამაც საერთოდ ქართული კულტურის მაღალი კრიტერიუმი დაამკვიდრა ბულგარელთა წარმოდგენაში. ეს ფაქტორები, გარკვეულწილად, ართულებდა რუსთავის თეატრის მისიას.

მატარებლით ორდღიანი მოგზაურობის შემდეგ ჩავედით სოფიაში, სადაც როგორც

ძველ ნაცნობებს, ისე დაგვხვდა ხასკოვოდან საგანგებოდ ჩამოსული დელეგაცია: ქალაქის კულტურის განყოფილების გამგებნი კოლა ათანასოვი, დრამატული თეატრის სამხატვრო კონსულტანტი ივანე დობჩევი, რეჟისორი ვასკრენია ვიხიროვა, თეატრალური კრიტიკოსი ვიოლეტა გრიგოროვა, მსახიობები — მარიანა კრუმოვა და რუმენ ტრაკივი. აქვე იყვნენ სოფიის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ხანმოკლე შესვენების შემდეგ გეზი ავიღეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქ ხასკოვოსაკენ, სადაც დაგვემილი იყო ჩვენი ძირითადი გამოსვლები.

ხასკოვო პატარა ქალაქია. სხვადასხვა არქიტექტურული სტილით ნაგებ შენობებში იგრძნობა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურების გავლენა, რასაც კარგად ერწყმის თანამედროვე ქალაქმშენებლობა. ხასკოველები ამაყობენ თავიანთი თეატრით; ის ხომ ჭერ კიდევ მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში შეიქმნა და არსებობის საუკეთესოვან ზღურბლს კარგა ხანია გადააბიჯა. აქაურ მკვიდრთ ისიც ახარებთ, რომ ხასკოვოს დრამატული თეატრი ქეშმარიტად ახალგაზრდული და მამიებელი კოლექტივია, ხოლო თვით ქალაქი — უღარესად თეატრალური. უთუოდ ამანაც განაპირობა, რომ ქართველ სცენის მოღვაწეებს არა მარტო ივანე დიმიოვის სახელობის თეატრი ეპოინძლობდა, არამედ თბილი ხასკოვო.

მიუხედავად ცუდი რეკლამისა, ქალაქში იცნობდნენ რუსთავის თეატრის საგასტროლო აფიშას: თამაზ ჭილაძის „ჩიტების ბაზარი“, ვლადიმერ გუბარევის „სარკოფაგი“ და რომენ როლანის „მგლები“. გასტროლები „ჩიტების ბაზრით“ გაიხსნა. 700 ადგილიანი მსაყურებელთა დარბაზი გაივსო. პირველივე ეპიზოდების გათამაგების შემდეგ სასურველი კონტაქტი დამყარდა დარბაზსა და სცენას შორის. დამსწრენი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს შორეული საქართველოდან ჩამოსული გმირების თავგადასავალს, რაც მათთვისაც ესოდენ ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა. ის პრობლემები, რაც თამაზ ჭილაძემ საფუძვლად დაუდო დრამატურგიულ კონფლიქტს — საკუთარი ადგილის პოვნა ცხოვრებაში, თაობათა დამოკიდებულების სიმწვავე, ადამიანის მარ-

ტობა უკიდევანო სამყაროში და, განსაკუთრებით, სიკეთის ფასი ყოველდღიურ ურთიერთობებში — ბულგარელებისათვის უაღრესად აქტუალურად და ორგანულად აქლერდნენ.

3. გუბარევის ტრაგედია „სარკოფაგი“ ბულგარელებისთვის ნაცნობი ნაწარმოებია აღმოჩნდა. ჩერნობილის ეპო ხომ მთელ სამყაროს გადასწვდა და მიუხედავად სერიოზული დრამატურგიული ხარვეზებისა, მაყურებელს განუახლდა რამდენიმე წლის წინ დატრიალებულ უბედურებასთან დაკავშირებული ემოციები, მღელვარება, ტკივილი...

რომენ როლანის „მგლები“ ხასკოველი თეატრალებისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. უმრავლესობამ არც კი იცოდა ამ პიესის არსებობის შესახებ. ტირანიისა და თავისუფლების დრამატული შერკინება გარკვეულწილად საინტერესო აღმოჩნდა მათთვის, რამეთუ ეს თემა აქტუალურია არა მარტო რევოლუციური კატაკლიზმების ეპოქაში, არამედ საოცრად თანადროულია დღესაც.

როდესაც ბულგარელი მეგობრები სპექტაკლების შემდეგ გვიზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, აღნიშნავდნენ რა პიესათა ღირსება-ნაკლოვანებებს, მსახიობთა კარგ თამაშს და მსჯელობდნენ თამაზ მესხის რეჟისურაზე, თითქმის ერთხმად სინანულით მიუთითებდნენ ერთ გარემოებაზე — მასპინძლებმა სათანადოდ ვერ უზრუნველჰყვეს გასტროლების ორგანიზაციული მხარე. კერძოდ, არ იყო მოგვარებული მაყურებელთა დარბაზის რადიოფიციურება, თარგმნილი ტექსტი დარბაზში ცოცხლად ისმოდა, რამაც განსაკუთრებული დადი დაჩინა სპექტაკლების აღქმას, მით უფრო, რომ სამივე საგასტროლო წარმოდგენაში სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთ რთულ ვითარებაში დიქტორის სტეფკა ბიჩინაშვილის მაღალმა პროფესიონალიზმმა იხსნა თეატრი აშკარა უხერხულობისაგან. მას, წარმოშობით ბულგარელს, მრავალი წლის წინ საქართველოსთან დამოყვრებულ მოღვაწე ქალს დიდი წვლილი მიუძღვის. აგრეთვე, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრების ბულგარული გასტროლების ორგანიზებაში.

გარდა ხასკოვისი, რუსთაველებმა გაცივლითი წარმოდგენები გამართეს მეზობელ

ქალაქებში — სტარა ზაგორასა და კირჩალში. სწორედ კირჩალში, ამ ათიოდე წლის წინ, რეჟისორმა ნანა დემეტრაშვილმა ორი სპექტაკლი განახორციელა — აკაკი გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „გზა“ („ყარამანს ქალი მოჰყავს“). ამ ფაქტს იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ კირჩალის თეატრის მსახიობები დღესაც სიამოვნებით იგონებენ, როგორც თვითონ ამბობენ. საქართველოსთან სახელობის ტიპულ დღეებს. კირჩალის თეატრის რეპერტუარში, გარდა ა. გეწაძის პიესებისა, თურმე მრავალი სეზონის განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ოტია იოსელიანის ცნობილი პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველთა ნამუშევრებს მაყურებელი არ აკლდა. დარბაზის რეაქცია იყო ზუსტი და უშუალო. ასეთივე იყო სპეციალისტთა შეფასებებიც, რომლებსაც ისინი სიამოვნებით გვიზიარებდნენ მეგობრულ ვითარებაში, ყოველი სპექტაკლის შემდეგ:

**ივან ლობჯივი,** ხასკოვის დრამატული თეატრის სამხატვრო კონსულტანტი: „მომეწონა „ჩიტების ბაზარი“. კარგი დრამატურგი გყოლიათ; როგორც ღრმად სწვდება თანამედროვე ცხოვრების ნიუანსებს, მეტაფორულადაც არ აკლია პიესას... სპექტაკლი მე უფრო ფსიქოლოგიურ ჩანახატებად აღვიქვი. ძნელია ასეთი ნაწარმოებისაგან სანახაობითი წარმოდგენის შექმნა. ეს ჩანაფიქრი ალბათ არც რეჟისორ თამაზ მესხს ჰქონია, რომელსაც ძირითადი აქცენტი აქტიორებზე გადააქვს, რამაც თავისი შედეგი გამოიღო კიდევ — ჩინებული აქტიორული ანსამბლია: ლეილა შოთაძე და ოთარ სეთურიძე, ნატო გაგნიძე და ნინო მესხი, გალინა კიკნაძე და ვაჟა ქოქრაშვილი, ირაკლი ლარიბაშვილი და გურამ გოგოლაშვილი. საგანგებოდ დაეახსებულე ყველა, რადგან მიმაჩნია, რომ თითოეული მათგანი ამ სპექტაკლის ორგანული ნაწილია.“

**ანა უზუნოვა,** ხასკოვის დრამატული თეატრის მსახიობი: თ. ჭილაძე თავის პიესაში ენება სადღესოდ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს — ადამიანურ სიკეთეზე დაფუძნებულ ბედნიერებას, რისი აუცილებლობა თვალნათლივ დავგანახეს სპექტაკლის ავტორებმა — რეჟისორმა, მხატვარმა და მონაწილემ მსახიობებმა. მომხიბლა ნატიფი გემოვნებით

შესრულებულმა ლ. მურუსიძის სცენოგრაფიამ — რა კარგად იკითხება სცენურ გარემოში პირობითად მოქცეული პირველი და მეორე სართულები. შესანიშნავია ფინალი“.

**ივან პეტროვსკი**, კირჯალის დრამატული თეატრის მსახიობი: „ქართული დრამატურგთა ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელია, ვინაიდან ქართული პიესების მიხედვით განხორციელებულ რამდენიმე დადგმაში მიიღია მონაწილეობა. თ. ჭილაძე ახალი სახელია ჩემთვის და გამოგოგოვებით, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ლადოს როლს „ჩიტების ბაზარში“, თუკი ვინმე დადგამდა ამ პიესას ჩვენთან. ყველა მსახიობი ძალიან მომეწონა, მაგრამ მე, როგორც ძველი თაობის აქტიორი, განსაკუთრებით ამაღელვა ლ. შოთაძისა და ო. სეთურიძის შესრულებამ.“

**ათანას ბოიაჯიევი**, ბულგარეთის კულტურის კომიტეტის თეატრების დირექციის დირექტორი: „შემძრა „სარკფავმა“. სპექტაკლმა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, თუ რა უბედურება დატრიალდა ჩერნობილში, რომ ეს ტრაგედია არ არის ლოკალური; იგი საყოველთაო-სახალხო მასშტაბებს მოიცავს. წარმოდგენა გვაფრთხილებს, რომ მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს. თვით ამბავია შემზარავი, რასაც სამწუხაროდ აკლია დრამატურგიული დენთი, ძარღვიანობა. მიუხედავად ამ ხარვეზისა, სისავსითა და ტრაგიკული განცდის შეგრძნებით ასრულებენ თავიანთ როლებს მსახიობები — ლეილა შოთაძე, ლეო ფილფანი, შოთა სხირტლაძე, სპარტაკ კიკნაძე, ვაჟა ჭოქრაშვილი, ჯემალ მახიაშვილი, ირაკლი ბალიაშვილი, ლერი მიშველიძე, ანზორ ლოლუა, ნათელა მუხელიშვილი, ვენერა ნეფარიძე, ნატო გავნიძე, ნინო მესხი, ლიუზა კალანდაძე.“

**რადკა ტრენევა**, თეატრალური კრიტიკოსი: „რომენ როლანის შემოქმედებიდან „მგლები“ ნაკლებად ცნობილი იყო ჩვენთვის. პრობლემა მეტად მწუვავეა, მაგრამ ჩემი აზრით, პიესა არასცენურია, რაც გამოჩნდა კიდევ რუსეთელთა ნამუშევარში. მოუშვადებელი მასულებლისათვის ძნელია ასეთ სპექტაკლთან შეხვედრა. მიუხედავად დიდად ნიჭიერი მსახიობების — ლეო ფილფანის, თენგიზ დაუშვილის, ირაკლი ბალიაშვილის, ოთარ სეთურიძის, შოთა სხირტლაძის ცალკეული აქტიორული გამონათებებისა და რეისორ მესხის კეთილსინდისიერი

მიდგომისა ნაწარმოებისადმი, წარმოდგენა გაკვიანურებულია და, აქედან გამომდინარე, ზოგჯერ მოსაწყენი.“

**როსიცა ვასილიევა**, ხასკოვის რადიოს კორესპონდენტი: „მგლები“ რთული, აღსაქმელად ძნელი სპექტაკლია და, ალბათ, ამან გამოიწვია მასულებლის შედარებით გულგრილი დამოკიდებულება მისადმი. მე ვთვლი, რომ ასეთი პიესის არსებობა თეატრის რეპერტუარში აუცილებელია. დადგმის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიმაჩნია ა. ქელიძის სცენოგრაფია, რომელიც სადა, ლაკონიურ, ძუნწ ფერებშია გადაწყვეტილი და ზუსტად გადმოსცემს ნაწარმოების განწყობილებას.“

თეატრი საგასტროლოდ გადის არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ხელოვნება გააცნოს უცხო მასულებელს, რაც თავისთავად ამდიდრებს მის შემოქმედლებით ბიოგრაფიას. არამედ იმისთვისაც, რომ გულითადი მეგობრები შეიძინოს, მათ კულტურასა და ტრადიციებს ეზიაროს. რუსთავის თეატრის ბულგარული ტურნე ამ თვალსაზრისითაც ბედნიერი აღმოჩნდა. შეიძლება ჩვენ ვამაყობთ, და სამართლიანადაც, ქართული სტუმართმოყვარეობით, მაგრამ ბულგარელთა მასპინძლობამ ყოველგვარ მილოდინს გადააჭარბა. დახვედრა-დამშვიდობებისადმი მიძღვნილ საღამოებს საგანგებოდ შედგენილი პროგრამებით, შეხვედრებს სხვადასხვა ოჯახებსა თუ კაფე-ბარებში ისეთი საზეიმო განწყობა, სილამაზე და გულისხმიერება ახლდა, რომ თითოეულ ჩვენთაგანს იგი სამუდამოდ აღებუჭდა მეხსიერებაში, როგორც მეგობრულ ურთიერთობათა კემშარიტი გამოვლინება. ვფიქრობ, ამ აზრს იზიარებენ ჩვენი დელეგაციის სხვა წევრებც — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნადია შალუტაშვილი და რუსთავის კულტურის განყოფილების გამგე გურამ ლოსუტარაშვილი.

მაშ ასე, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ რუსთავის თეატრმა კვლავ აჩვენა თავისი ხელოვნება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

# „შესრულდა საქმე სამტარვალო“...

პროფესიონალი მკვლელი ტირელი - შექსპირის „რიჩარდ მესამეში“ - თავზარდაცემული და გაოგნებულია უდანაშაულო უფლისწულების დახოცვით ტაუერის ციხეში.

შესრულდა საქმე სამტარვალო და  
სამეისხლო,  
ავაზაკებრივ კაცის მოკვლა, რომლის

ბადალში  
ჯერეთ ამ ქვეყნად არვის ხელი არ  
გაუსვრია.

ძველი ეპოქების ქრონიკებისა და ელისაბედის დროის სისხლიანი ტრაგედიების ავტორებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ კაცობრიობის ისტორიის სცენაზე უფრო საზარელი ამბებიც შეიძლება დატრიალებულიყო...

... ცხრა აპრილის საშინელმა დამემ უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლით მორწყა რუსთაველის პროსპექტი.

შეძრული, სახეშეშლილი ადამიანები დადიან თბილისის ქუჩებში, მთავრობის სასახლის წინ დაყრილი ზღვა მიხაკებისა სისხლისფრად ბზინავს გაზაფხულის მზეზე...

გაუგონარი, ენით უთქმელი, უპატიებელი დანაშაული მოხდა ერისა და ღვთის წინაშე...

სამაგიერო მიეზღვება ყველას, ვისაც ბრალი აქვს ამ შეცოდებაში.

ჩვენ, ცოცხლად დარჩენილებს, სიცოცხლე გამწარებულებს, გვმართებს არა მხოლოდ მიცვალებულთა დატირება, არამედ ფიქრი და ზრუნვა ერის გაბზარული სულის გასამთლიანებლად.

როდემდის უნდა მოვიტყუოთ თავი... არავინ გვიფასებს სხვათა შემწყნარებლობას, თვალს ხუჭავენ ჩვენს სიკეთეზე და წარუხოცელი ბოღმით აღვსილნი შესცქერიან ჩვენი ღამაზეო ქალწულებისა და ვაჟაკების სახეს...

ჩვენ თავს ჩვენ თვითონვე უნდა მივხედოთ და ეს ღვთაებრივი სამშობლო არავის ვაქეღინოთ...

დაუჯერებელია, რომ ექსტრემისტულმა ვნებებმა მიიყვანეს ათასობით ქართველი მთავრობის სასახლესთან. არა, ამ ძელევა-

რებასა და ერთსულოვნებას მარადიული და უწმინდესი იდეა ელო საფუძვლად - საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ამ იდეისათვის უნდა ვიცოცხლოთ, მაგრამ მისი ხორცშესხმისათვის უნდა გამოვნანოთ ცივილიზებული სამყაროსათვის შესაფერისი ფორმები...

ქართული ხასიათის მაქსიმალიზმი ყოველთვის გვიშლიდა ხელს პოლიტიკისა და დიპლომატიის იდეალებათა წვდომაში, ხოლო რომანტიული ირრაციონალიზმი - ცხოვრების რეალობის სალად შეფასებაში.

მკაცრ, დაუნდობელ საუკუნეში ვცხოვრობთ. ჩვენ ხშირად შემოვუძახებთ ხოლმე საკუთარ თავს: „ჭკუით, ქართველნო!“ მაგრამ უფრო გრძნობას, შინაგან ხმას მივყვებით, ვიდრე გონებით ნაკარნახევს. ამიტომაც გულწრფელი გაოცებით შემოგვცქერიან ჩვენი მცირერიცხოვანი კეთილმოსურნენი...

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართველმა თავის ბუნებას უღალატოს, მაგრამ თუ მას თავის გადარჩენა სურს, აუცილებლად გონიერება უნდა წარიმძღვაროს წინ...

რა იყო ნეტავ, ის ღვთაებრივი, გამაოგნებელი ღუმელი, რომელიც ჩამოწვა მთელს პროსპექტზე მაშინ, როცა დროის საბედისწერო ისარი დილის ოთხ საათს უახლოვდებოდა?

სიკვდილის წინ საკუთარ სულში ჩაღრმავება, თუ ზიარება მარადიულობასთან?

ან ის სიმღერა და ცეკვა რალა იყო მაშინ, როცა ტანკების მოტორების ხმაური ტაშის რიტმებს უერთდებოდა? ბედისწერასთან თამაში, თუ უკანასკნელი არტისტული ჟესტი განწირულებისა?

დადგება დრო ყველაფრის გააზრებისა და გარკვევის...



# «САБЧОТА ХЕЛОВНЕБА» («СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО»)

№ 4, 1989

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ  
ГРУЗИНСКОЙ ССР**

**Леван Прудидзе, Тенгиз Пурцхванидзе**

## ПРОБЛЕМЫ АТЕНСКОГО УЩЕЛЬЯ

Атенское ущелье — богатое древними архитектурными и этнографическими памятниками, издавна славилось и винодельем. В настоящее время памятники нуждаются в реставрации и обновлении, а старинные способы виноделья — в сохранении. (ст. 2).

## ЧТО МЫ ДУМАЕМ О ГРУЗИНСКОМ КИНО?

Нововведенная на страницах журнала анкета дает возможность деятелям грузинского киноискусства высказаться по поводу состояния кинодраматургии, путей ее развития и накопившихся в этой области проблемах. В номере ответы на вопросы анкеты кинодраматургов Анзора Джугели и Амирана Чичинадзе. (ст. 13).

**Гиоргий Джигладзе**

## ГРИГОЛ РОБАКИДЗЕ

В своих воспоминаниях о Гр. Робакидзе известный ученый, академик Г. Джигладзе дает и обстоятельную оценку творческой личности и наследию писателя. (ст. 22).

**Григол Робакидзе**

## ИСТОКИ МОЕГО ТВОРЧЕСТВА

Автор обращает внимание читателя на особенности грузинского характера, психологии народа, находящих проявление в языковой структуре, мифологии, культуре Грузии и питающих его творчество. Статья написана в 1949 году в Женеве. (ст. 35).

**Ирина Дауцова**

## ЯСНЫЙ СЛЕД В ИСКУССТВЕ

Статья о творческом пути Кирила Зданевича, замечательного мастера, оставившего свой след в живописи, графике, литературе. Он один из открывателей и собирателей полотен Н. Пиросманавили. (ст. 43).

**Димитрий Джанелидзе**

## «ПОХВАЛЬНОЕ СЛОВО ГРУЗИНСКОМУ ЯЗЫКУ»

Профессор Д. Джанелидзе исходя из жанровых особенностей «Похвального слова грузинскому языку» — памятника церковного похвального песнописания записанного в X веке Иоаном-Зосимом — исследует заключенные в нем мифологические системы и языковые структуры. (стр. 50).

**Нана Кипиани**

## ВЫСТАВКА ГРУЗИНСКОЙ БАТИКИ

Недавно в Доме художника экспонировалась выставка батики. Эта сравнительно новая отрасль грузинского прикладного искусства была представлена молодыми художниками, которые в своих работах проявили творческую фантазию, владение изобразительными средствами. (ст. 56).

**Натия Амирэджиби**

## ЭКРАН ВРЕМЕН

Цикл статей киноведа Н. Амирэджиби под общим заголовком «Экран времен» ставит задачей переосмысление отдельных этапов современного грузинского киноискусства. Первая статья этого цикла касается основных тенденциях 50-ых годов и «новой волны» в грузинском кинематографе. (ст. 63).

**Нодар Какабадзе**

## НЕЗНАНИЕ НЕ АРГУМЕНТ...

Каковы признаки истинно национального искусства? Какие пути развития не грозят ее самобытности? Эти и некоторые другие актуальные вопросы современного искусства поднимает Н. Какабадзе в своей статье, тем самым продолжает полемику с писателем Г. Петриашвили. (ст. 70).

**Нино Чхеидзе**

## УШАНГИ УШЕЛ ИЗ ТЕАТРА

Воспоминания Н. Чхеидзе о своем брате — легендарном актере Ушанги Чхеидзе по но-

ვომუ высвечивают общепринятую версию о причинах ухода с подмостков выдающегося актера. (стр. 87).

## Диалог

### «ТАЛАНТ ПОДРАЗУМЕВАЕТ ПРОФЕССИОНАЛИЗМ...»

В беседе с молодым театроведом Мананой Туриашвили известная актриса театра и кино Нинели Чанкветадзе рассказывает о своей творческой судьбе, размышляет о взаимосвязях таланта и мастерства. (стр. 100).

### ОДИН ДЕНЬ В ТБИЛИССКИХ ТЕАТРАХ

В нашей традиционной рубрике вновь предлагаем обзор одного театрального вечера столицы. Впечатлениями о том, как проходили рядовые представления в театрах Тбилиси 8 февраля, делаются студенты театроведческого факультета (ст. 105).

### РАСШИРЕННОЕ СОБРАНИЕ ПРЕЗИДИУМА СОЮЗА ГРУЗИНСКИХ СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ СОВМЕСТНО С ЧЛЕНАМИ СОВЕТА И АКТИВОМ, 25 СЕНТЯБРЯ 1935 ГОДА

Данная стенографическая запись дает ясное представление о том, какую позицию занял Союз писателей Грузии и некоторые известные литераторы по отношению ситуации создавшейся в театре им. Руставели.

Предисловие и подготовка текста к публикации принадлежит Губазу Мегрелидзе. (стр. 110).

## Карло Сихарулидзе

### ПРОСЫ ЭТНОГРАФИИ В ПУБЛИЦИСТИКЕ ВАЖА ПШАВЕЛА

Автор касается той части публицистического наследия Важа Пшавела, в котором писатель

воспроизводит быт, традиции и обычаи. (125).

## Лонда Эсадзе

### МИХАИЛ БАРИШНИКОВ — МИФ И ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТЬ

Автор рассказывает о выдающемся танцовщике Михаиле Барिशникове, который покинул Советский Союз в период застоя и продолжил творческую деятельность в США. Здесь же печатается интервью с Барिशниковым, опубликованное на страницах журнала «Театральная жизнь». (стр. 133).

## Акакий Геловани

### ПАМЯТЬ О МИХАИЛЕ ДЖАНАШВИЛИ

Статья о творчестве художника Михаила Джанашивили — многие живописные, тематические полотна которого заслужили признание знатоков живописи и зрителей. (ст. 144).

## Русудан Тулиани-Чхендзе

### СУЖЕТЫ БЕРИКАОБА

Автор рассказывает о разных сюжетных вариациях народного театрально-зрелищного представления Берикаоба. (стр. 150).

## Важа Дзигуа

### ПОСЛЕ ДОЛГОГО ОЖИДАНИЯ

Театровед В. Дзигуа рассказывает о гастрольях руставского драматического театра в Болгарию. (стр. 154).

გადაეცა წარმოებას 20. 02. 89 წ.  
ხელმოწერილია დასაბუქდლ 13. 04. 89 წ.  
საბუქდლი ქალაქი 5,25  
ქალაქის ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
ფიზიკური ნაბუქდლი თაბახი 10,5  
საადრისებო-საგამომცემლო თაბახი 19,65  
შეკვეთა № 413. უფ 06628. ტირაჟი 6000.

ქურნალში დაბეჭდილია მ. ბაბოცის,  
ი. კვაკანტირაძისა და ლ. საფრაზიანის  
ფოტოები.

არდაქციის მისამართი: 380029, თბილისი, კამოს ქ. № 15.  
ტელ. 95-10-24, 95-18-24.

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის  
გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
ტელ. 93-98-59.



5 *ცაიჯა*

ფატი 1 მან. 70 კაპ.

# მე-5 ნომერი:

ვაგრძელებთ გრიგოლ როგავიძის საზღვარგარეთის ვერიოდის წერილების უბუღლიკაციას.

0524681 76177



გავიხსენებთ ქართული მონუმენტური და დეზგური ფარფარის თვალსაჩინო წარმომადგენლის, კობტური ხმით გამორჩეული შესანიშნავი ოსტატის როგავიძის შემოქმედებას. ფრადი რეკონსტრუქციების რამდენიმე ნიმუში გაგვაცნობს მხატვრის იმ ნაშუავერებს, რომლებიც აწამდა არ დაბეჭდილა.

ჩვენი ჟურნალის მეოთხე ნომერში დაწყებულ საუბარს ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ გააგრძელებენ კინოდრამატურგები **ერლომ ახვლედიანი** და **რევაზ კვესელავა**, კინორეჟისორი **რეზო უსაძე**.